ირაკლი მანველიძე

საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ირაკლი მანგელიძე

საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები

ლექციების კონსპექტური კურსი

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი 2012

ლექციების კონსპექტურ კურსში მოცემულია საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთოებების თეორიის და მასთან დაკავშირებული სისტემის, აქტორების, წესრიგის, თანამშრომლობის, კონფლიქტურობის, გლობალიზაციის, ნაციონალიზმის, სამართლის, ეკონომიკის ცალკეული ასპექტები საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და საკითხით დაინტერსებული აუდიტორიისათვის.

რედაქტორი:

ირაკლი გორგილაძე,
ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები:

ინეზა ზოიძე,
ასოცირებული პროფესორი
ზაზა ბურკაძე,
ასისტენტ პროფესორი
ნატალია ლაზბა
აკადემიური დოქტორი

საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები, ლექციების კონსპექტური კურსი, თბილისი, 2012

© **ირაკლი მანგელიძე, 2012**

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2012**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-508-4

შინაარსი

თემა I
საერთაშორისო ურთიერთობების, საგანი, მიზანი და ამოცანები. თეორიული შესწავლის საფუძვლები.....5

თემა 2
საერთაშორისო სისტემა და საზოგადოება 61

თემა III
საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტები და წესრიგი 101

თემა IV
სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები 139

თემა V
კონფლიქტები და თანამშრომლობა საერთაშორისო ურთიერთობებში 176

თემა VI
გლობალური და რეგიონალური პოლიტიკა 202

თემა VII
საერთაშორისო ურთიერთობები და ნაციონალიზმი 222

თემა VIII
საერთაშორისო ურთიერთიობები და გლობალიზაცია 238

თემა IX
საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება.....251

თემა X
საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა 287

თემა XI
საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა.....308

თემა XII
საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო სამართალი 333

თემა XIII
საერთაშორისო პოლიტიკა - მორალი და სამართალი 353

თემა XIV
ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია; ევროპის კავშირი.....372

თემა XV
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსი 393

თემა I

საერთაშორისო ურთიერთობების, საგანი, მიზანი და ამოცანები. თეორიული შესწავლის საფუძვლები

საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა

საერთაშორისო ურთიერთობები საზოგადოებრივი ურთიერთობების უძველესი სფეროა, ამის მიუხედავად, იგი როგორც აკადემიური და კვლევითი დისციპლინა საკმაოდ ახალგაზრდაა. საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დარგის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად განაპირობა XX ს-ის დასაწყისში შექმნილმა იმ მსოფლიო პოლიტიკურმა სიტუაციამ, როცა ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი და რომელმაც მსოფლიო მიიყვანა 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებამდე.

საერთაშორიოს ურთიერთობები, როგორც დარგი ჩაისახა XX საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო სამეცნიერო დისციპლინად იგი ჩამოყალიბდა 40-იანი წლების შემდგომ. მანამდე, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა არ არსებობდა და მის ფუნქციებს ძირითადად სამართალი და ისტორია ითავსებდა. ძირითადად ისტორიკოსები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიული ფაქტების ანალიზით შემოიფარგლებოდნენ, თუმცა, ამ ფაქტების განზოგადებასა და დასკვნების გამოტანაზე არავინ ფიქრობდა. ასევე აღსანიშნავია მასში პუბლიცისტიკის და ჟურნალისტების როლი.

საერთაშორისო ურთიერთობების პირველი კათედრა შეიქმნა 1919 წელს ინგლისში. საერთაშორისო პოლიტიკა ისწავლებოდა, უელსში, აბერისთვითის უნივერსიტეტის კოლეჯში. იმავე წელს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პირველად დაარსდა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში. ამ პერიოდში მოღვაწე სპეციალისტების მიერ ომი აღქმულ იქნა როგორც ტრაგედია,

რადგან პირველმა მსოფლიო ომმა მოიტანა უამრავი მსხვერპლი. სულ მალე ანალოგიური კათედრები შექმნა ლონდონის და კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტებში. აქედან მოყოლებული მსგავსი კერები ჩამოყალიბდა ევროპის და რუსეთის წამყვან სასწავლო – სამეცნიერო ცენტრებშიც.

ყოველმა სამეცნიერო დისციპლინამ უნდა შეძლოს საკუთრი დეფინიციის ჩამოყლიბება, კვლევის საგნისა და ობიექტის განსაზღვრება. თითქმის საუკუნეა რაც მიმდინარეობს თეორიული დებატები, რათა განისაზღვროს ამ დისციპლინის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია, მისი კვლევის ობიექტების და ძირითადი პოსტულატების ერთნაირად გაგება. სირთულე დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავალა მოითხოვს ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, გეოგრაფიის, დიპლომატიის, დემოგრაფიის, საერთაშორისო სამართლის, ეთიკის, აგრეთვე ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების ცოდნას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით სამი საუკუნეა, რაც საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებული ავტორები ამ დისციპლინის ჩარჩოებში მისი პრობლემატიკის განმსაზღვრელ სამ საკვანძო სკითხს ეხებიან. ეს საკითხებია: 1. ომის მიზეზები და მშვიდობის/სტაბილურობისა და უსაფრთხოების წესრიგის პირობები; 2. ძირითადი მოქმედი აქტორები; 3. საერთაშორისო სისტემის კონცეფციები.

ომის მიზეზების და მშვიდობის კვლევის პრობლემა განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის აუცილებლობას, ვინაიდან იგი პირველ ყოვლისა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კაცობრიობის არსებობის მანძილზე იგი არის არა მარტო ისტორიული ცვლილებების ძირითადი წყარო, არამედ მთელი მისი პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი. შემთხევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ, პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული დიდძალი მსხვერპლის შედეგად მსოფლიოში მომწიფდა შეხედულება, რომ აუცილებელად უნდა შესწავლილიყო ომის გამომწვევი მიზეზები, რათა მომავალში თავიდანვ აეცილებინათ მსგავსი დამანგრეველი მოვლენები. ამავე დროს, წამყვანი ქვეყნების პოლიტიკური ელიტები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიხვდნენ, რომ ომის შედეგად მიღებული სიტუაცია არ შეიძლებოდა

ყოფილიყო არავისთვის მომგებიანი და სწორედ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა პირველი სასწავლო ცენტრები და დეპარტამენტები, სადაც საერთაშორისო ურთიერთობები ისწავლებოდა.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ძირითადი მოქმედი აქტორები კი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტები, რომლებიც ომობენ, ამავე დროს ქმნიან იმ ნორმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც საერთაშორისო სისტემაში მეტნაკლებად უზრუნველყოფენ სტაბილურობას, უსაფრთხოებას, წესრიგს და მშვიდობას.

რაც შეეხება მესამე ასპექტს, საერთაშორისო ურთიერთობების კონცეფციები, იგი საინტეროსოა იმიტომ, რომ ყოველი კონცეფცია გვთავაზობს სრულიად განსხვავებულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სურათს, სტრუქტურას და განვითარების მექანიზმებს. ასე მაგ., საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა ძირითადად სამი მიმდინარეობით — პოლიტიკური რეალიზმი (კლასიკური, ტრადიციული), პოლიტიკური იდეალიზმი (პლურალისტური, ლიბერალური) და პოლიტიკური მატერიალიზმით (მარქსისტული, გლობალისტური, სტრუქტურალიზმი) შეიძლება იყოს კონცეპტუალიზირებული. თითეული თეორიული მიმართულება მსოფლიოს შესწავლის სრულიად განსხვავებულ და თავისებურ ხედვას ემყარება. რელისტებისთვი საერთაშორისო სისტემა სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთქმედებაა, იდეალისტებისათვის მსოფლიო წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ურთიერთობების და ხასიათის ქსელად, მატერიალისტებისათვის კი, როგორც მდიდარ ცენტრს და ღარიბ პერიფერიას შორის ურთიერთობა, რომლის დროსაც ამ უკანასკნელიდან ცენტრი სიმდიდრეს ქაჩავს. ამასთან, რეალისტებისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარი ელემენტია სუვერენული სახელმწიფოები, იდეალისტებისათვის საერთაშორისო ასპარზზე სახელმწიფოებთან ერთად სხვა სუბიექტებიც მოიაზრება, ხოლო მატრეიალისტები კი აღიარებენ სოციალურ კლასებს. შესაბამისად, რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც კვლევითი დისცპლინის ამოცანად მიიჩნევენ სახელმწიფოთა ქცევის შესწავლას, იდეალისტები მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის, ხოლო მატერიალისტები მსოფლოში მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებული უფსკრულის მიზეზებისა და მექანიზ-

მების ახსნას მიიჩნევენ. რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებსა და ფაქტორებში განმსაზღვრელ ძალას ძალაუფლებას მიიჩნევენ, იდეალისტები — კომპლექსურ სოციალურ ძვრებს, ხოლო მატერიალისტები — საბაზრო ეკონომიკას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება კი მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სრულყოფილად აღქმისა და გაგებისათვის. საყურადღებოა, რომ თითეული კონცეფციის შიგნითაც არ შეინიშნება აზრთა ერთიანობა, რაც საბოლოო ჯამში საშულებას არ იძლევა მათ შორის რაიმე კომპრომისის შესაძლებლობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის ჩარჩოებში გრძელდება ისეთი თეორიისა და მოდელის შექმნისაკენ მიმართული დისკუსიები, რომლებსაც არსებული პარადიგმების ფარგლებში უფრო რეალური და პროგნოსტიკური ღირებულება ექნებათ.

საერთაშორისო ურთიერთობები ინტერდისციპლინარული დარგია. დიდი ბრიტანეთში 1916 წელს ავტორთა ჯგუფმა გამოსცა წიგნი ,,საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის შესავალი“, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო – ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის, ფილოსოფიის დარგის სპეცილისტებმა დაწერეს. 1955 წელს ამერიკელმა მკვლევარმა ქუინ რაითმა გამოსცა წიგნი ,,საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა“, სადაც აღნიშნულია რომ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა მჭიდრო კავშირშია სხვადასხვა სამეცნიერო დარგებთან. სხვათაშორის თანამედროვე ავტორთა უმრავლესობაც მხარს უჭერს აზრს, რომ ამ დისციპლინას მჭიდრო კავშირი აქვს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებთან.

უდავოა რომ, როგორც ნებისმიერ სხვა სამეცნიერო დარგს, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სამცნიერო დისციპლინასაც კავშირი აქვს სხვადასხვა სამეცნიერო დარგებთან. დღეისათვის გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის შდეგად საერთაშორისო ურთიერთობები ჩამოყალიბდა როგორც დისციპლინათშორისი დარგი, რომელიც რამდენიმე სფეროს (საერთაშორისო უსაფრთხოებას, საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკას, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიას, საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიას და სხვა) მოიცავს. მაგრამ, **როგორც პოლიტიკური მეცნიერება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა შე-**

ისწავლის საერთაშორისო პოლიტიკას _ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა მთელ რიგ კომპლექსს.

აღნიშნული საკითხების გარდა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა სწავლობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამხედრო ძალებისა და დიპლომატების გადაადგილება, შეთანხმების დადებას, თუ სხვა ქვეყანასთან ალიანსის შექმნას, სამხედრო შეიარაღების გაზრდისა და განლაგების, კონფლიქტების წარმოქმნის საკითხები – ეს ის თემებია, რომელსაც დღეს ცენტრალური ადგილი უჭირავს და დომინირებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებით, XX ს-ის 1950-იან წლებიდან მოყოლებული დღემდე.

ცივი ომის შემდეგ, XX ს-ის 90-იან წლებში, საერთაშორისო ურთიერთობების ყურაღების ცენტრში მოექცა რეგიონალური კონფლიქტები და ეთნიკური ძალადობის თემა. ომის, შეიარაღებისა და სამხედრო ძალები კვლავ რჩება საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევის ძირითად მიმართულებად.

XX ს-ის 70-80-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ცენტრალური ადგილი დაიკავა ეკონომიკამ, შესაბამისად იგი აღიარებულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობების მეორე მნიშვნელოვან მიმართულებად. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ექსპერტთა კვლევის სფეროა ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობები. ექსპერტების მიზანია დაადგინონ, თუ რა პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველზე მოახერხეს ქვეყნებმა შეექმნათ და შეენარჩუნებინათ საერთაშორისო ეკონომიკისა და ფინანსური გარიგებების მარეგულირებელი ინსტიტუტები. 90-იანი წლებიდან აქცენტი გადადის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის - განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს - შორის დამყარებულ ურთიერთობებზე. ამ მხრივ ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქვეყნების ეკონომიკური დამოკიდებულება, ვალები, საზღვარგარეთის ქვეყნების დახმარება და ტექნოლოგიების ტრანსფერი.

ცივი ომის შედეგად წარმოქმნილი დაპირისპირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ისტორიას ჩაბარდა, შედეგად კი წინა პლანზე წამოიწია ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებულმა პრობლემებმა, ასევე საერთაშორისო ეკოლოგიის მართვი-

სა და გლობალური ტელეკომუნიკაციების საკითხებმა. შესაბამისად, გაიზარდა საერთაშორისო ურთიერთობების ქვედარგების რაოდენობა. მათ შორის უნდა გამოიყოს საერთაშორისო უსაფრთხოების და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ქვედარგები.

საერთაშორისო უსაფრთხოების და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ქვედარგების არსისა და მნიშვნელობის შესწავლაში გვეხმარება ერთი და იგივე პრინციპები და თეორიები. ეკონომიკა მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, და პირიქით. რეალობიდან გამომდინარე, ეკონომიკა და უსაფრთხოება ერთმანეთისაგან განუყოფელია.

ამრიგად, ამ დისციპლინის კვლევის სფეროში თავს იყრის ბევრი პრობლემატიკური საკითხი. მათ შორის არის მთავრობათაშორის ურთიერთობები, უსაფრთხოების, ომის, ეკონომიკური ურთიერთობების, რეგიონალური კონფლიქტების, მშვიდობის და სხვა საკითხები. მაგრამ, ზოგადად მაინც, საერთაშორისო ურთიერთობების სამცნიერო დისციპლინის ფუნდამენტური კვლევის მიმართულება და მისი საგანი არის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების კვლევა.

სხვადასხვა ხალხებსა და კულტურათა შორის დამყარებული ურთიერთობების განუსაზღვრელი მასშტაბები განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობების საგნის შესწავლის სირთულეს.

ზოგიერთი განმარტების მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების სფერო მოიცავს მთავრობათა შორის არსებულ ურთიერთობებს. თუმცა, ეს ურთიერთობები იზოლირებულად ვერ განიხილება, ვინაიდან მოიაზრება მხოლოდ რთულ კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: საერთაშორისო ორგანიზაციებს, მრავალნაციონალურ კორპორაციებსა და ფიზიკურ პირებს, სხვა სოციალურ სტრუქტურებს (ეკონომიკა, კულტურა, საშინაო პოლიტიკა და აშ.); აგრეთვე აღნიშნულ სფეროებზე გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორების ზეგავლენის საკითხებს. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობები კომპლექსური ინტერდისციპლინარული ხასიათისაა.

საერთაშორისო ურთიერთობები უშუალო კავშირშია საერთაშორისო მასშტაბით გადაადგილების, ექსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებასთან.

ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სასწავლო დისციპლინა, ერთის მხრივ, როგორც პოლიტიკური მეცნიერების ნაწილი, უშუალოდ უკავშირდება საერთაშორისო პოლიტიკას. მეორეს მხრივ, უკვე საერთაშორისო ურთიერთობების სფერო ინტერდისციპლინარული ხასიათისაა, ვინაიდან განიხილება კავშირი საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკას, ისტორიასა და სოციოლოგიას, აგრეთვე, სხვა დისციპლინებს შორის. უნივერსიტეტებში სხვადასხვა მიმართულებით ისწავლება საერთაშორისო ურთიერთობები და შესაბამისად დიფერენცირებულია ამ სფეროს კურსდამთავრებულების დიპლომის ხარისხიც.

მაინც რა განაპირობებს მოცემული საგნის შესწავლას? უმთავრესად ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ხასიათდება რიგი სპეციფიკური გარემოებებით:

1. იგი გახლავთ ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო დარგი, რომლიც გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების ფენომენის შესწავლას სხვადასხვა მომიჯნავე სამეცნიერო დარგებთან ერთად;

2. საერთაშორისო ურთიერთობების სფერო მოიცავს მთავრობათა შორის არსებულ ურთიერთობებს, ასევე სხვადასხვა საერთაშორიო სუბიექტებს შორის ურთიერთობებსაც, როგორიცაა: საერთაშორისო ორგანიზაციები, მრავალნაციონალურ კორპორაციები და ფიზიკური პირები, სხვა სოციალური სტრუქტურები (ეკონომიკა, კულტურა, საშინაო პოლიტიკა); აღნიშნულ სფეროებზე გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორების ზეგავლენის საკითხებს.

3. ურთიერთობების მოცემულ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქცევის საყოველთაოდ აღიარებული და მისაღები მექნიზმების, ინსტრუმენტების, წესების და ნორმების შემუშავება და მოქმედება;

4. საერთაშორისო უსაფრთხოების და ინტეგრაციის პრობლემა და პროცესები მოითხოვს მსოფლიო სახელმწიფოთა ერთო-

ბივ ძალისხმევას ამ პრობლემის და პროცესის წარმატებულად გადაწყვეტისათვის.

5. სპეციალური საერთაშორისო სტრუქტურების შექმნა და სხვა. ამისათვის კი აუცილებელია შესაბამისი თეორიული საკითხების კვლევები და სწავლება ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით;

6. და ბოლოს თანამედროვე საერთაშორიო ურთიერთობები არსებობს და ვითარდება საერთაშორიო სისტემის, საერთაშორიოს თანამეგობრობის ჩარჩოებში. იმდენად რამდენადაც საერთაშორისო სისტემის უნივერსალური, ყველასათვის მისაღები მსოფლიო კონცეფცია თუ მოდელი არ არსებობს და ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის განვითრებას, ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხსენებული სისტემის არსებითი ნიშნების, სტრუქტურის, განვითრების ხასიათისა და სისტემური დინამიკის შესწავლას და გააზრებას.

დებატები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

თუკიდიდეს, მაკიაველის, გობსის, დე ვატელიეს, კლაუზევცის, ვიტორიას, გროცის და კანტის მემკვიდრეობამ სათავე დაუდო იმ ფართო სამეცნიერო დისკუსიას რომელიც წარმოიქმნა აშშ-ში ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში.

XX ს-ის საერთაშორისო ურთიერთობათა ბუნების და სპეციფიკური მახასიათებლების შესახებ დავა ძირითადად წარმოებდა რეალისტებსა და იდეალისტებს (20-40-იან წლებში, რომლებიც XX ს-ის მეორე ნახევარში შეცვალეს ნეორელისტებმა და ნეოლიბერალებმა), ტრადიციონალისტებს და მოდერნისტებს (50-60-იანი წლები), სახელმწიფცენტრისტებს და გლობალისტებს (70-80-იანი წლები) შორის და ა.შ.

საერთშორისო ურთიერთობები როგორც სასწავლო და სამეციერო დისციპლინა მკაცრი თეორიული დეპატების პირობებში ჩამოყალიბდა და ვითარდება დღესაც. თავის დროზე ამ საქმეში დიდი როლი შესარულა პოლიტიკურმა იდეალიზმა, იმდენად რამდენადაც ომი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებოდა როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, თუმცა

ომის შედეგად მიღებული სიტუაცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო არავისთვის მომგებიანი. სწორედ იდეალიზმი გახდა ის იდეოლოგია, რომლის პრინციპებზე დაყრდნობითაც მომავალში კაცობრიობას უნდა შეძლებოდა ამ დამანგრეველი ფენომენის თავიდან აცილება.

იდეალიზმი გახდა ერთგვარი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ხდება ომი? ამ ტრადიციის მიხედვით, საჭირო იყო ძალთა ბალანსის და ალიანსების სისტემის შეცვლა. მაშასადამე, იდეალიზმზე დაფუძნებული ხედვა იყო შემდეგი: მსოფლიო სისტემის რეფორმირება და ავტოკრატიულ სახელმწიფოებში შიდა ცვლილებების მოხდენა.

იდეალიზმის მანიფესტად მიიჩნევა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვუდრო უილსონის მიერ წამოყენებული ცნობილი **14 პუნქტი.** იგი ფაქტობრივად გულისხმობდა რაციონალური და ინტელიგენტური საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას და ამით ომის შეკავებას, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი მსოფლიოში მარადიული მშვიდობის დამკვიდრებისა.

იდეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია **ნორმან ანჯელი**. ის მიუთითებდა, რომ ომი წამგებიანია და გამოთქვამდა იმედს, რომ სახელმწიფოები (მათი ლიდერები) თუ გაიზიარებენ ამ ფაქტს, მიხვდებიან ომის უშედეგობას და უსარგებლობას.

ვილსონის და ანჯელის მოსაზრებებში გატარებულია ის აზრი, რომ ადამიანები არიან რაციონალურები, და თუკი ისინი გონებით მიუდგებიან საერთაშორისო ურთიერთობებს მაშინ შექმნიან ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ყველას სიკეთეს მოუტანს.

ლიბერალური იდეების გავრცელების ერთ-ერთი ტრიუმფი იყო სახელმწიფოებს შორის 1928 წელს დადებული **კელოგ-ბრიანის პაქტი,** რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები უარს აცხადებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებაზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ირჩევდნენ. მაგრამ, პრაქტიკამ აჩვენა ლიბერალური იდეოლოგიის კრახი. ნაციზმის აღზევებასთან ერთად — იტალია, ესპანეთი, გერმანია, აღმოსავლეთ ევროპა გახდნენ ავტორიტარულნი ქვეყნები. ამავდროუ-

ლად ყველაზე დიდი კრახი განიცადა ერთა ლიგამ. მან ვერ გაამართალ იმიტომ რომ სწორედ მისის არსებობის დროს მოხდა ხუთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-პოლიტიკური შემთხვევები (იაპონია-მანჯურიის ომი, იტალია აბისინიის ომი, ბოლივია-პარაგვაის ომი, ესპანეთის სამოქალაქო ომი და სსრკ-ფინეთის ომი. ამას დამატებული გერმანიის აგრესია ევროპაში), რამაც ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას. ანჯელის მოსაზრებებიც იმის შესახებ, რომ მსოფლიო ხდება სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული და ომი ხდება არა მიმზიდველი ინსტრუმენტი, არ გამართლდა. მეორე მსოფილიო ომამდე ვაჭრობა საგრძნობლად შემცირდა და ინდუსტრიული განვითარება შენელდა იმდენად, რომ იგი გახდა მხოლოდ მესამედი იმისა, რაც იყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში. შესაბამისად, ისტორიის მსვლელობამ აჩვენა, რომ ძალა კვლავაც იყო უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ურთიერთობებში და რომ თანამშრომლობამ და კოლექტიურმა უსაფრთხოებამ, ერთა ლიგის სახით, ვერ გაამართლა (თუმცა, ერთა ლიგამ დიდ წარმატებას მიაღწია სხვა საკითხებში — პირველი მსოფლიო ომის ლტოლვილები, ნარკოტიკების შეკავება, ტრეფიკინგი და ა. შ.).

ამრიგად, ლიბერალური იდეალიზმი არ იყო საერთაშორისო ურთიერთობების კარგი ინტელექტუალური მეგზური XX ს. 30-იან წლებში. ურთიერთდამოკიდებულებამ არ წარმოშვა მშვიდობიანი თანამშრომლობა და ერთა ლიგაც წინ ვერ აღუდგა ტოტალიტარული და ექსპანსიონისტური ქვეყნების დესტრუქციულ ქმედებებს. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში ხელახლა გაჟღერდა კლასიკური რეალისტების: თუკიდიდეს, მაკიაველის და ჰობსის მოძღვრებები. ლიბერალური იდეალიზმის ყველაზე ყოვლისმომცველი კრიტიკა მოგვცა ბრიტანელმა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა ედუარდ ქარმა, თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში ”ოცწლიანი კრიზისი”, რომელიც პირველად 1939 წელს გამოიცა. ქარის თქმით, საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალურმა მოაზროვნეებმა არასწორად წაიკითხეს ისტორიული ფაქტები და ვერ გაუგეს საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებას. მათ შეცდომით სწამდათ, რომ ასეთი ურთიერთობები შეიძლებოდა დაფუძნებოდა ქვეყნებს და ხალხებს შორის ინტერესე-

ბის ჰარმონიულობას. ქარის თქმით ყველაფერი პირიქითაა: ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს ფუნდამენტური ინტერესთა კონფლიქტი ქვეყნებსა და ხალხებს შორის. ზოგიერთი ქვეყანა და ზოგიერთი ერი უკეთ არიან, ვიდრე სხვები. ისინი შეეცდებიან თავიანთი პრივილეგირებული პოზიციის შენარჩუნებას და დაცვას. უქონლები კი იბრძოლებენ სიტუაციის შესაცვლელად. საერთაშორისო ურთიერთობები, მარტივად რომ ითქვას, არის სწორედ ბრძოლა ასეთ კონფლიქტურ ინტერესებსა და სურვილებს შორის.

საერთაშორისო ურთიერთობები სწორედ ამ მიზეზით შეეხება უფრო მეტად კონფლიქტებს, ვიდრე თანამშრომლობას.

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელმაც გავლენა მოახდინა რეალიზმის აღზევებაზე, არის ჰანს მორგენთაუს ,,ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის", (1948 წელი) რომელმაც, ალექსანდრე რონდელის თქმით, დიდი ხნით განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული ინტერესები და მთელი ამ დარგის შემდგომი განვითარების ხასიათი. მორგენთაუსთვის ადამიანური ბუნება წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე დაბალ, ფუნდამენტურ დონეს. ადამიანები კი არიან ეგოისტები და ელტვიან ძალაუფლებას, რაც ადვილად ხდება აგრესიის საფუძველი. XX ს. 30-იან წლებში ძნელი არ იქნებოდა ამ მოსაზრებების ზურგის გამამაგრებელი არგუმენტების მოძიება, რადგან ჰიტლერის, მუსოლინის თუ იაპონიის საგარეო პოლიტიკა სწორედ კონფლიქტებზე იყო აგებული და არა თანამშრომლობაზე.

არის 3 ძირითადი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ ვარაუდობენ რეალისტები, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის აუცილებლად ეგოიზმით და აგრესიულობით გაჟღენთილი. პირველი მოსაზრება ეფუძნება ადამიანის ბუნების თანდაყოლილ ბნელ მხარეს და მის ლტოლვას სიძულვილისა და დესტრუქციისკენ. იგივე მოსაზრება შეიძლება ქრისტიანულ რელიგიაზე დაფუძნებითაც მივიღოთ, რომლის მიხედვით ადამიანები არიან ცოდვილნი და მიდრეკილნი ცდუნებისაკენ, მას შემდეგ რაც ადამი და ევა გამოგდებულ იქნენ სამოთხიდან. პირველი მკვლელობაც ისტორიაში ბიბლიაშია აღწერილი, როგორც კაენის მიერ მისი ძმის აბელის მოკვლა, მხოლოდ და მხოლოდ შურის საფუძველზე. ანუ, რეალიზ-

მის საწყისი წერტილი არის ის, რომ ადამიანური ბუნება არის თანდაყოლილად, ბუნებრივად ბოროტი და ეგოისტური.

მეორე მოსაზრება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის ისეთ გარემოში, სადაც არ არსებობს მსოფლიო მთავრობა.

ხოლო მესამე მნიშვნელოვანი მოსაზრება ისაა, რომ ისტორია არის ციკლური და არა ხარისხობრივად გაუმჯობესებადი ფენომენი, როგორც ამას იდეალისტები აღიქვამენ. თითოეული ახალი თაობა უშვებს იგივე შეცდომებს, რასაც მისი წინამორბედი და ამ გარემოების ცვლილება ნაკლებ სავარაუდოა. მოვლენები გრძელდება და მეორდება. შესაბამისად სანამ არსებობს სუვერენული სახელმწიფოები, სახელმწიფოები იბრძოლებენ ძალაუფლებისათვის, რათა უზრუნველეყოთ თავიანთი უსაფრთხოება.

ამრიგად, XX-ის 20-იანი წლების უტოპიური იდეალიზმის და 30-50-იანი წლების რეალიზმის დაპირისპირებებმა შექმნეს პირველი დიდი დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში. დებატები რეალიზმის სკოლის დიდი უპირატესობით დამთავრდა და მორგენთაუს და ქარის თეზისები გახდა გაბატონებული მცნებები საერთაშორისო ურთიერთობებში. ბევრმა ლიბერალური სკოლის მესვეურმა რეალიზმის ეს გამარჯვება აღიარა, მაგრამ ლიბერალიზმი, როგორც ერთ-ერთი სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებში არ ჩამკვდარა. ამ სკოლის წარმომადგენლებმა შემდეგში კიდევაც შექმნეს გაბატონებული რეალიზმის წინააღმდეგ ძლიერი კონტრ არგუმენტები.

აღნიშნულ საკითხებზე დებატები შემდგომ წლებში გაგრძელდა, ამჯერად იგი გამოიწვია კვლევის მეთოდოლოგიამ საერთაშორისო ურთიერთობებში. აქ მნიშვნელოვანია გავითავისოთ ის ფაქტი, რომ პირველი თაობის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები პროფესიით ისტორიკოსები, იურისტები, ყოფილი დიპლომატები, ან ჟურნალისტები იყვნენ. შესაბამისად, მათ ჰქონდათ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისადმი უფრო ჰუმანიტარული, ისტორიაზე დაფუძნებული მიდგომა. რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა ფილოსოფიის, ისტორიის და სამართალის ანალიზს. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების შეს-

წავლის ამ ნორმატიულ ფორმას ეწოდა ტრადიციული ანუ კლასიკური მიდგომა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა პოპულარული გახდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ, სამთავრობო დაწესებულებები და კერძო ფონდები აფინანსებდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულად შესწავლას, რასაც ისინი ამართლებდნენ ქვეყნის ეროვნული ინტერესებით. ამ დახმარებით გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების ახალი თაობა, რომლებმაც შემოიღეს მკვეთრად გამიჯნული მეთოდოლოგიური მიდგომა. მათ ტრადიციონალისტებისაგან განსხვავებული განათლება გააჩნდათ. ისინი იყვნენ პოლიტოლოგები, ეკონომისტები ან სხვა სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები, და რაოდენ უცნაურადაც არ უნდა იყოს ზოგ შემთხვევებში იყვნენ მათემატიკოსები და საბუნებისმეტყველო დისციპლინების წარმომადგენლებიც. მათ შემოიტანეს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისადმი სხვაგვარი მიდგომა, რის გამოც ისინი ბიჰევიორალისტებად იწოდებოდნენ.

ბიჰევიორალისტების ამბიცია იყო, რომ საერთაშორისო ურთიერთობებშიც აღმოეჩინათ შემოწმებადი და ობიექტური კანონზომიერებები, როგორც ეს იყო სხვა მეცნიერებებში. ეს კი მოითხოვდა ფაქტების შეგროვებას, კლასიფიკაციას, განზოგადებას და წამოყენებული ჰიპოტეზის დამტკიცებას. შესაბამისად, დაპირისპირება ორ მიდგომას შორის მოხდა მეთოდოლოგიის საფუძველზე. ტრადიციონალისტები ეყრდნობოდნენ ნორმებს და ფასეულობებს, ანალიზს და ისტორიულ ცოდნას და ცდილობდნენ წარმოედგინათ თავი შესასწავლი საგნის ადგილზე - **მეცნიერი საგნის შიგნით**. ამის საპირისპიროდ, ბიჰეივიორალისტები აყენებენ ჰიპოთეზას, აგროვებენ ფაქტებს, ეყრდნობიან მეცნიერულ ცოდნას და საგანს შეისწავლიდნენ გარე მხრიდან, დაკვირვებების მეშვეობით - **მეცნიერი საგნის გარეთ**.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი დიდი დებატები რეალისტებმა მოიგეს აბსოლიტური უპირატესობით, ლიბერალური სკოლა მაინც არ ჩამკვდარა. XX_ის 50-იანი წლებიდან ეკონომიკის და ვაჭრობის ზრდასთან ერთად თავი წამოყო ლიბერალიზმმაც. აქ მცდელობა იყო, რომ შექმნილიყო გაბატონებული რეალიზმის ალ-

ტერნატიული თეორიები და ამასთანავე ჩამოეცილებინათ მანამადე არსებული ჭარბი იდეალიზმი. ამ ლიბერალური სკოლის წარმომადგენლებს დაერქვათ ნეოლიბერალისტები, რადგან მათაც, როგორც წინამორბედებს სჯეროდათ პროგრესის და ცვლილებების, მაგრამ არ იყვნენ იდეალისტები. ისინი ასევე ქმნიდნენ მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით თეორიებს.

დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის და ეკონომიკური აქტივობის ზრდამ წარმოშვა ბევრი ლიბერალური თეორია, რომელიც ყურადღებას აქცევდა ამ მოვლენებს და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მსოფლიოში არის თანამშრომლობა და, რომ რეალისტების მიერ ნაწინასწარმეტყველები ბნელი მომავალით არ მთავრდება კაცობრიობის განვითარება.

ისეთმა თეორიებმა, როგორიცაა **სოციოლოგიური ლიბერალიზმი, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, ინსტიტუციური ლიბერალიზმი და დემოკრატიული, ანუ რესპუბლიკური იდეალიზმი** ყურადღება მიაქცია თანამშრომლობის და მშვიდობის ფორმებს მსოფლიოში და განავითარა მძლავრი თეორიები ემპირიულ მაგალითებზე დაყრდნობით. ამ თეორიებმა მთლიანობაში ნეორეალიზმის წინააღმდეგ შექმნა ახალი მძლავრი ტალღა. მათი ამოსავალი წერტილი იყო იმის რწმენა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება იყოს უფრო მშვიდობიანი და თანამშრომლობაზე აგებული სისტემა.

თუმცა, 80-იანი წლების დასაწყისში, კენეტ უოლცის მეთაურობით რეალიზმის რეფორმულაციის შედეგად, ბალანსი კიდევ ერთხელ გადაიწია უკანასკნელის სასარგებლოდ. ამას ასევე ხელს უწყობდა ისტორიული მოვლენები, კერძოდ კი, მწვავე დაპირისპირებები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რამაც თავისდათავად განაპირობა დებატების განგრძობადობა.

ნეორეალისტებმა კვლავაც შეძლეს ნეოლიბერალისტების თავდაცვით პოზიციაში გადაყვანა და თავად კვლავ გაბატონებული პოზიცია დაიკავეს. ნეორეალისტების სიძლიერე ის იყო, რომ მათ აღიარეს, რომ ანარქია არ გამორიცხავს თანამშრომლობას, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც რეალიზმზე დაფუძნებით ახსნეს. მაგ. რეალისტები აღარ გამორიცხავენ თანამშრომლობას დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ თანამ-

შრომლობის დროს სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობენ ფარდობით მოგებაზე და ავტონომიის შენარჩუნებაზე.

ისტორიულმა ფაქტებმაც ხელი შეუწყო ნეორეალიზმის კვლავ მოძლიერებას: 80-იან წლებში დაპირისპირებამ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის პიკს მიაღწია. რეიგანმა საბჭოთა კავშირს "ბოროტი იმპერიაც" უწოდა, და ამ მტრულ გარემოში შეიარაღებაში შეჯიბრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. უთანხმოებები იყო ასევე დემოკრატიულ ბანაკში, სადაც, სავაჭრო ომები ხშირად იმართებოდა. ამერიკა სულ უფრო გრძნობდა მზარდ კონკურენციას როგორც იაპონიის, ასევე ევროპის მხრიდან, რაც მწვავე სავაჭრო და სხვა ტიპის კონფლიქტების საფუძველი ხდებოდა. ეს კი წყალს ასხამდა ნეორეალისტების წისქვილზე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოები არიან ეგოისტურები და რომ მათ ადარდებთ მხოლოდ საკუთარი ფარდობითი სიძლიერე და კეთილდღეობა სხვებთან შედარებით.

ნიშანდობლივია, რომ 1980-იან წლებში ბევრმა ნეოლიბერალმა აღიარა რეალიზმის ძირითადი მცნებები და გაიზიარა ამ თეორიის ფუნდამენტური მოსაზრებები რომ სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები ანარქიულ საზოგადოებაში, რომლებიც მუდმივად ცდილობენ თავიანთი ინტერესების განხორციელებას. ამასთან ნეოლიბერალისტები ამბობენ, რომ საერთაშორისო სისტემა იძლევა უფრო საფუძვლიანი თანამშრომლობის საშუალებას, ვიდრე ამას რეალისტები აღიარებენ და, რომ თანამშრომლობას ხელს უწყობს ინსტიტუტები, ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დებატების დროს მოხდა გარკვეული სინთეზი სკოლებს შორის, (მაგ., ბუზანმა და კიოჰეინმა გაითავისეს რეალიზმის ზოგიერთი ელემენტი), მაგრამ მირშაიმერის (რეალიზმის სკოლის წარმომადგენელი) და რუზენაუს (ნეოლიბერალიზმის სკოლის წარმომადგენელი) წყალობით მთლიანი სინთეზი მაინც არ მომხდარა.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში თავიდანვე დომინირებული მდგომარეობა ეკავათ ამერიკელ მკვლევარებს. ამასთან დაკავშირებით შენიშნავს სტენლი ჰოფმანმი: ,,საერთაშორისო ურთიერთობები დაიბადა და გაიზარდა ამერიკაში".

ამერიკული ჰეგემონიის დასუსტდების მიუხედავად იგი მაინც დომინირებდა. 1990-იანი წლებიდან, ცივი ომის დასრულებასთან ერთად, ამერიკული დომინანტობა ამ დისციპლინაში შერბილდა. უკვე ასპარეზზე გამოვიდნენ ევროპელი და სხვა მკვლევარები, რომლებიც უკვე ნაკლებად ეგუებოდნენ ამერიკელი ავტორებისგან წამოსულ დიქტატს. მაგ., დიდ ბრიტანეთში მთელი ცივი ომის მანძილზე არსებობოდა სკოლა, რომელიც სხვებისგან ორი გარემოებით განსხვავდებოდა: პირველი, ეს სკოლა არ აღიარებდა ბიჰევიორალისტურ გამოწვევას და ხაზს უსვამდა ტრადიცულ მიდგომას და მეორე, ის უარყოფდა რაიმე მკვეთრ განსხვავებას მკაცრად რეალიზმისეულ მსოფლიო პოლიტიკის და მკაცრად ლიბერალურ ხედვას შორის. ამ **სკოლას უწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებას ან ინგლისურ სკოლას**.

ინგლისური სკოლა საფუძველშივე აღიარებს ძალის მნიშვნელობას და სახელმწიფოთა სისტემას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ჰობსისეული ხედვა ძალიან ვიწროა. **ისინი სახელმწიფოს განიხილავენ როგორც კონსტიტუტციის და ძალის ერთობას. აღიარებენ ინდივიდების მნიშვნელობას,** რომლებსაც სახელმწიფოზე წინაც კი აყენებდნენ. ამავე დროს ხაზს უსვამდნენ ტრანსნაციონალურ ურთიერთობების არსებობას. უარყოფს ბიჰევიორისტულ მიდგომას, უპირატესობას ანიჭებს **ადამიანურ ელემენტს, ანალიზს, ნორმებს და ისტორიას**. უარყოფს მკაცრ დაყოფას რეალისტურ, თუ ლიბერალურ ხედვებს შორის. ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ **მსოფლიო პოლიტიკა არის სახელმწიფოთა მსოფლიო, მაგრამ ამავე დროს ადამიანების მსოფლიო**. საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა გარკვეულწილად არის პირველი დებატების გაგრძელება და მეორე დებატების ტრიუმფის შერბილება. იგი ეფუძნება კლასიკურ იდეებს, მაგრამ ამავე დროს აგრძელებს მათ. უარყოფს მკვეთრ დაყოფას რეალიზმს და ლიბერალიზმს შორის იმ მოტივით, რომ ისტორიული სამყარო არ აკეთებს არჩევანს სიკეთეს და ბოროტებას, ძალას და კანონიერებას შორის. რეალურად არსებობს კონფლიქტი და თანამშრომლობა, არიან სახელმწიფოები და არიან ინდვიდები. შესაბამისად, არ შეიძლება მათი აბსტრაგირება და ერთ რომელიმე თეორიაში მოქცევა. ამ სკო-

ლის ყველაზე თვლასაჩინო წარმომადგენლები არიან **მარტინ უაიტი და ჰედლი ბული.**

ზემოთ ნახსენები დებატები შეეხებოდა მხოლოდ პოლიტიკას. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა კი ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს. იგი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სიმდიდრეზე და საერთაშორისო სიღარიბეზე. ანუ, ვინ იღებს რას და რამდენს. მაშასადამე, **პოლიტიკური ეკონომიკა წარმოადგენს მესამე დებატების შემადგენელ ნაწილს** და იგი მოიცავს ნეომარქსისტულ კრიტიკას კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკისა და ამავდროულად ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკის და რეალისტური პოლიტიკური ეკონომიკის მოსაზრებებს ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ურთიერთქმედებაზე საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში.

ნეომარქსიზმი, ეს არის მცდელობა, რომ მესამე სამყაროს სიტუაცია განხილული იქნეს იმ მექანიზმების გამოყენებით, რაც პირველად კარლ მარქსმა დაამკვიდრა. თუ მარქსის მიხედვით, ბურჟუაზია ეკონომიკურ ინსტრუმენტებს იყენებს, რათა დაჩაგროს მუშათა კლასი, ნეომარქსიზმი იგივეს ანზოგადებს ჩრდილოეთსა და სამხრეთზე.

დამოკიდებულების თეორია არის მარქსიზმის ცენტრალური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთი იმონებს სამხრეთს. სამხრეთი ღარიბია არა იმიტომ, რომ ჩამორჩენილია, არამედ იმიტომ, რომ ჩრდილოეთი მას უწევს ექსპლუატაციას.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ლიბერალური ხედვა სრულიად განსხვავდება ზემოთ მოცემულისგან. ამ სკოლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ **ადამიანური კეთილდღეობა მიიღწევა გლობალური თავისუფალი ბაზრის ექსპანსიით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების გავლით და ამ საზღვრების მნიშვნელობის შესუსტებით.**

ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკის ხედვის მიმდევრები იზიარებენ ადამ სმითის თეორიას ბაზრის საყოველთაო სარგებლიანობის შესახებ და ამბობენ, რომ **ვაჭრობა კარგია ყველასთვის**. ანუ, ეს ხედვა **თავისუფალ ვაჭრობას განიხილავს, როგორც პროგრესის მექანიზმს და არა ექსპლუატაციის მექანიზმს.**

რეალიზმის გადასახედიდან ეს ყოველივე უფრო სხვაგვარად აღიქმება. რეალიზმის მიხედვით, **ეკონომიკური საქმიანობა უნდა იყოს სახელმწიფოს გაძლიერების მექანიზმი და უნდა ემსახუროს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს**. შესაბამისად, სიმდიდრე უნდა ემსახუროს და კონტროლდებოდეს სახელმწიფოს მიერ. ამ დოქტრინას **მერკანტილიზმი ანდა ეკონომიკური ნაციონალიზმი ეწოდება.**

რეალიზმზე დაფუძნებული პოლიტიკური ეკონომიკა ასევე ღაღადებს, რომ **თავისუფალი, ლიბერალური ვაჭრობა შეუძლებელი იქნებოდა ჰეგემონის გარეშე**. ჰეგემონური თეორიის ერთ-ერთი აპოლოგეტია რობერტ გილპინი. ამ ხედვის მიხედვით, მსოფლიო ლიბერალური ეკონომიკური სისტემა იყო მტკიცე და სტაბილური, რადგან პირველი მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული ამერიკა იყო ჰეგემონი, მაგრამ 70-იანი წლებიდან აშშ ჰეგემონური ძლიერება შესუსტდა, რადგან მას კონკურენცია გაუწიეს იაპონიამ და ევროპამ. ამ ხედვის მიხედვით, ამერიკის ლიდერობის შესუსტებასთან ერთად მსოფლიო ლიბერალური წესრიგიც შესუსტდა, რადგან სხვა არც ერთ სახელმწიფოს არ შესწევდა საკამარისი ძალა, რომ გლობალური ჰეგემონის როლი შეასრულოს.

პოლიტიკურ-ეკონომიკურმა დებატებმა გზა მისცა სამი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას. პირველი საკითხი ეხება **ეკონომიკურ გლობალიზაციას**; მეორე, **ვინ იგებს და ვინ აგებს** ამ გლობალიზაციის პროცესში? და მესამე, რა უფრო მნიშვნელოვანია: **პოლიტიკა, თუ ეკონომიკა**.

ზემოხსენებული დებატები ეხებოდა უკვე დამკვიდრებულ თეორიულ ტრადიციებს: რეალიზმს, ლიბერალიზმს, საერთაშორისო საზოგადოებას, და საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკას. ამჟამად ადგილი აქვს საერთაშორისო ურთიერთობებში მეოთხე დებატებს. იგი მოიცავს ალტერნატიული მიდგომების საშუალებით დამკვიდრებული ტრადიციების კრიტიკას. მათ ზოგჯერ პოსტ პოზიტივისტებსაც უწოდებენ. ამ თეორიებმა (კრიტიკული თეორია, ისტორიული სოციოლოგია, ფემინიზმი, კონსტრუქტივიზმი) წინ წამოსწიეს მეთოდოლოგიური საკითხები, თვითონ დისციპლინის ფოკუსი ანუ რა უნდა ისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობებმა, რა უფრო მნიშვნელოვანია და რა არა.

აღნიშნული დებატები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ჭრილში მიმდინარეობს და მან ხელი შეიწყო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, როგორც ახალი სამეცნირო დარგის განვითარებას.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევის ძირითადი დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოებსა და სხვა სუბიექტებს შორის მიმდინარე პროცესებს, რომლებიც საზღვრების გადაკვეთით ხორციელდება. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას ქვეშ მოიაზრება სხვადსხვა შეხედულებათა ერთობლიობა, რომლებიც წარმოდგენილია თეორიულ სკოლებს და მიმდინარეობებს შორის წარმოებული პოლემიკის სახით.

თეორია აყალიბებს ავტონომიური დისციპლინის შედარებით საგნობრივ სახეს. როგორც სტენლი ხოფმანი აღნიშნავს, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ერთდროულად წარმოადგენს ძალიან ძველ და ძალიან ახალ დისციპლინას. ძველს იმიტომ, რომ უკვე ძველ დროში პოლიტიკურმა ფილოსოფიამ და ისტორიამ დასვა საკითხი კონფლიქტებისა და ომების მიზეზების, ხალხებს შორის წესრიგისა და მშვიდობის მიღწევის საშუალებების და ხერხების, მათი ურთიერთობების წესების და ა.შ. საკითხების შესახებ. ახალგაზრდაა იმდენად, რამდენადაც იგი მისი კვლევის ობიექტის სისტემურ შესწავალს ახდენს და მოწოდებულია გამოავლინის ძირითადი დეტერმინაციები, ასევე ახსნას საერთაშორისო აქტორების ტიპიური ქცევები.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა გათავისუფლდა ისტორიული და იურიდიული მეცნიერებების გავლენისაგან.

საერთაშორისო ურთეიერთობების ექსპერტები და მკვლევარები იკვლევენ თუ რა კანონზომიერებით ვითარდება ესა თუ ის მოვლენა. მაგალითად, რა არის ომის მიზეზი? რატომ ამყარებს ზოგიერთი ქვეყანა მეორე ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობებს? შეკითხვაზე “რატომ” შესაძლოა სხვადასხვა პასუხი მოიძებნოს.

მაგალითად, მოვლეთანა განვითარების მოკლე პერიოდის შედეგებიდან გამომდინარე, ომის დაწყების მიზეზი შეიძლება იყოს ქვეყნის ლიდერის სწრაფად მიღებული გადაწყვეტილება. ასეთი პასუხი **აღწერილობით** ხასიათისაა, ე. ი. წარმოდგენილია ის გზა თუ როგორ მიაღწიეს ამა თუ იმ ძალებმა და აქტორებმა ამა თუ იმ შედეგს.

ჭეშმარიტების დადგენის მეორე ვერსია გულისხმობს უფრო გრძელვადიანი და არაპირდაპირი მიზეზების ძიებას. მაგალითად, ომის დაწყების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს გამალებული შეიარაღების პროცესი. ამ შემთხვევაში პასუხი **თეორიულია,** ვინაიდან კონკრეტული მოვლენა უფრო ზოგად კონტექსტში განიხილება და შეიძლება ის შევისწავლოთ სხვა მრავალი საკითხების კონტექსტშიც.

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას აუცილებელია აღწერილობითი და თეორიული ცოდნა. ვინაიდან, კონკრეტული დასკვნების მისაღებად, ნაკლებად ეფექტური იქნება ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მხოლოდ აღწერილობითი ცოდნის მიღებით შემოფარგვლა, თუ არ მოვახდენთ მის ფართო კონტექსტში განხილვას. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ თეორიული ცოდნა არაფრის მომცემია, თუ მას ვერ გამოვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები აღწერილობითი და თეორიული სამუშაოების სხვადასხვაგვარ თანაფარდობას განსაზღვრავენ. სხვა დისციპლინების მსგავსად, საერთაშორისო ურთიერთობები მოიცავს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ის ექსპერტები, რომელნიც ახლოს არიან პოლიტუკურ პროცესებთან უფრო მეტად იყენებენ აღწერილობით და სწრაფი დასკვნების გამოტანის მეთოდს, რათა ეფექტურად გაუმკლავდნენ ამა თუ იმ პრობლემას რეგიონში. ექსპერტთა მეორე ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს უფრო აბსტრაქტული და ზოგადი თეორიების მეთოდს.

საერთაშორისო ურთიერთობები არაპროგნოზირებადი სფეროა. ის შეისწავლის მღელვარე პროცესებსა და მოვლენებს. ლოგიკური მიზეზების გამო, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა უმრავლესობა პროგნოზის გაკეთებისაგან თავს იკავებენ და ძალიან ფრთხილობენ, ვინაიდან, საუკეთესო თეორიებიც კი

ვერ იძლევა დაახლოებით ინფორმაციას იმ პროცესების შესახებ რომელიც მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ამა თუ იმ ეტაპზე და რა შეიძლება ამას მოჰყვეს.

შესაძლოა, სწორედ ასეთი კომპლექსური და არაპროგნოზირებადი ხასიათის გამო, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები ამა თუ იმ საერთაშორისო მოვლენის განმარტებისას არ ეყრდნობიან თეორიათა და კონცეფციების მხოლოდ ერთ კონკრეტულ ჯგუფს.

ყველაზე ფართოდ აღიარებული თეორიები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღწეულ შედეგებს "რეალიზმის" ან ძალის პოლიტიკის ჭრილში განიხილავს. თუმცა, არსებობს მრავალი თეორიული შეუსაბამობა რეალიზმისა და რეალიზმის კრიტიკოსთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს შორისაც კი. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ერთიანი თეორიული ჩარჩო რითაც ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები.

არსებული თეორიების განხილვისას მთავარია გამოვყოთ სამი თეორიული პერსპექტივა – კონსერვატიული (ტრადიციული, კლასიკური, პოლიტიკური რეალიზმი), ლიბერალური (იდეალისტური, პლურალისტური) და რევოლუციური (მარქსისტული, მატერიალისტური, გლობალისტური, სტრუქტურალიზმი).

თითოეული მათგანი არის ლინზა რისი მეშვეობითაც სამყარო სრულიად განსხვავებულად ჩანს, და სხვადასხვა საკითხი სხვადასხვა დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენს. ამავდროულად ეს სამი პარადიგმა ერთმანეთსაც ავსებს. სხვადასხვა პროპორციით (თანაფარდობით) თეორიათა უმრავლესობაც სწორედ ამ სამ თეორიაზეა აგებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული შეხედულება თავის მხრივ ითვალისწინებს სხვადასხვა ქვე თეორიულ მიდგომას.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული წყაროების და საფუძვლების გააზრება გვაძლევს საშუალებას თვალი გავადევნოთ თანმედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ მეცნიერებების წინამორბედთა შეხედულებებს, გავეცნოთ დღეს არსებული ბევრად უფრო გავლენიან თეორიული სკოლების და მიმართულებების ნააზრევს და აღვიქვათ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მდგომრეობა მასში განვითრებული მოვლენებით.

საერთაშორისო ურთიერთობები სოციალური და პოლიტიკური აზროვნების იტორიაში

ერთ-ერთი პირველი წყარო, რომელიც შეიცვას სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობების ღრმა ანალიზს, არის ჩვენს ერამდე V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდეს მიერ დაწერილი „პელეპონესის ომების ისტორია შვიდ წიგნად". აქ ავტორის მიერ მოცემული ბევრი შეხედულება და დასკვნა დღესაც აქტუალურია. საინტერსოა, ის, რომ, როცა ავტორი საუბრობს ხანგრძლივი პელეპონესის ომის მიზეზებზე, მან ყურადღება მიაქცია იმ გარეომეოებას, რომ ომი წარმოებდა ბევრად უფრო ძლიერ პოლიტიკურ ერთეულებს შორის, რომელთაც საკუთარი მოკავშირეები ჰყავდათ.

თუკიდიდე აღწერს ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოთა სისტემის იერარქიულობას, ორი ჰეგემონის _ ათენისა და სპარტას კოალიციებს, მათ შორის არსებულ ძალთა წონასწორობის დარღვევას და ომის მიზეზად სწორედ ათენის გაძლიერებას და ამის გამო სპარტას საპასუხო ქმედებებს მიიჩნევს.

თუკიდიდე საუბრობს არა მარტო სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობაში ძალის ბატონობის შესახებ, არამედ მის ნაშრომში, ასევე აღნიშნულია სახელმწიფო ინტერესების შესხებაც და ამ ინტერესების პრიორიტეტულობა კერძო ინტერესებთან შედარებით. კერძოდ, თუკიდიდე დიდ ადგილს უთმობს უფრო პატარა პოლუსების ლავირილებას დიდი პოლუსებთან ურთიერთობებში, მათ სურვილს მიემხონ უფრო ძლიერებს, რათა თავი გადაირჩინონ, ან ძალთა წონასწორობა შექმნან და საომარი მოქმედება თავიდან აიცილონ.

შემდგომში ამ მირთულებამ მიიღო ***კლასიკური ანუ ტარდიციული*** სახელოწოდება და მისი მიმდევრები იყვნენ: ***ნიკოლ მაკიაველი (1469-1527), თომას გობსი (1588-1679), ემერიკა დე ვატელია (1714- 1767)*** და ა.შ. თავისი საბოლო სახე ამ მიმართულებამ მიიღო გერმანელი გენერლის ***კარლ ფონ კლაუზევცის*** (1780-1841), შემოქმედებაში.

ნიკოლ მაკიაველი პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან დაწერა წიგნი „მთავარი", სადაც იგი ძლიერი

სახელმწიფოს მომხრეა. მისი აზრით **პოლიტიკაში ზნეობრივი ნორმები ემორჩილება სახელმწიფოს ინტერესებს**. მისთვის პოლიტიკა და ზნეობა სხვადასხვა სფეროებია, საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი გარდაუვალი, ჩევულებრივი მოვლენაა და ამოტომ იგი უმცირესი ბოროტების არჩევაა.

თომას გობსი ხაზს უსვამდა, რომ **ადამიანი თავისი ბუნებით არის ეგოისტური არსება.** მასში დამამლულია ძალაუფლების მოპოვების გარდაუვალი სურვილი. რამდენადაც ადამიანები ბუნებთ არ არიან თანაბარნი თავიანთი შესაძლებლობებით, იმდენად მათი შორის წინააღმდეგობა, ურთიერთუნდობლობა, მისწრაფება მატერიალური კეთილდღეობისაკენ, პრესტიჟისა და დიდებისაკენ მიჰყავს ისინი მუდმივ დაპირისპირებამდე, რაც ადამინთა ურთიერთობებში ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს. მისი აზრით სამყაროში არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება და არც კანონი, შესაბამისად, არ არსებობს სამართლიანობა, ამიტომ ბუნებრივი მდგომარეობაა ,,ყველა ომი ყველას წინააღმდეგ".

ადამიანებმა ამ დაპირისპირებაში თავი, რომ დააღწიონ ურთიერთგანდგურებას, მიდიან იმის აუცილებლობამდე, რომ დადონ საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომლის შედეგად იქმნება სახელმწიფო. ეს ხდება ადამიანების მიერ სახელმწიფოსათვის საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების ნებაყოფილობით გადაცემის გზით, რომ ამ უკნასკნელმა უზრუნველყოს საზოგადოებაში წესრიგი, მშვიდობა და სტაბილურობა.

თუკი ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოებს, ასე ვთქვათ, ხელოვნურად და შეფარდებით, მაგრამ მაინც სამოქალაქო მდგომარეობაში, მაშინ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ხდება ბუნებრივ მდგომარეობაში. სახელმწიფოს მომავალი დამოუკიდებლობა არ არის დაკავშირებული რაიმე შეზღუდვებთან. თითეულ მათგანს ეკუთვნის ის, რაც მას ეკუთვნის მოცემულ მდგომარეობაში, და მანამ, სანამ შეუძლია შეინარჩუნოს იგი. ასეთ პირობებში საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთი რეგულატორი ***არის ძალა***, ხოლო ამ ურთიერთობების მონაწილეები იმყოფებიან გლადიატორის მდგომარეობაში, მუდმივ მზადყოფნაში იარაღით და ერთიმეორეზე მომდევნო თავდასხმის მოლოდინში.

ჰობსის შეხედულებათა თანახმად, ადამიანებისა და ხალხების ბუნებრივი მდგომარეობა ომისთვის მზადება და ომია. მშვიდობაც კი ომის მოლოდინი და მისთვის მზადებაა.

ტრადიციული მიმართულების პარალეურად განვითარდა მეორე – ***იდეალიუსტური მიმართულებაც***. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია ესპანელი თეოლოგის ***დომინიკ ფრანცისკო დე ვიტორიას, ჰოლანდილეი იურისტის ჰუგო გროცის (1583-1645), გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელის იმანუელ კანტის (1724-1804)*** და სხვა მოაზროვნეების შეხედულებებთან.

გერმანელი ფილოსოფოსი ***ემანუელ კანტი*** ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოები, მიუხედავად იმისა რომ მათ ავტონომია გააჩნიათ, შეუძლიათ გაერთიანდნენ მსოფლიო მასშტაბის ფედერაციაში, და აღიარონ ამ გაერთიანების პრინციპები, თუნდაც მათი ზოგიერთი მოკლევადიანი პირადი ინტერესების იგნორირების ხარჯზე.

კანტის აზრით ***სახელმწიფოებისათვის უფრო რაციონალური არჩევანი უნდა იყოს საერთაშორიო თანამშრომლობა და არა ომი. ამ მიმდინარეობის საფუძვლად აღიარებული არის იდეა კაცობრიობის მოდგმის მორალური და პოლიტიკური ერთობის შესახე***. სხვადსხვა ეპოქაში ამ იდეამ სხვადასხვა ავტორების შეხედეულებეში სხვადასხვაგვარი ფორმა მიიღო.

აღნიშნული მიმდინარეობის მომხრეები ხაზს უსვამენ სახელმწიფოებს შორის **მარადიული მშვიდობის შესაძლებლობას,** რომელიც მიიღწევა საერთაშორისო ურთიერთობათა მორალური და სამართლებრივი რეგულირების გზით. ასევე სხვა გეზებით, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიული აუცილებელობის თვითრეალიზაციასთან.

ამ მიმდინარეობის სახესხვაობას წარმოადგენს პოლიტიკური თანასწორობის თეორია, რომელიც მოცემულია ჰოლანდილი მოაზროვნის ***ბარუხ სპინოზას (1632-1677),*** ინგლისელი ფილოსოფოსის ***დევიდ იუმის (1711-1776),*** შვეიცარიელი იურისტის ***ემერიკ დე ვატელი*** შრომებში. ***პოლიტიკური თანასწორობის თეორიის არსში მოიაზრება ისეთი წესრიგი, რომლის დროსაც არც ერთი სახელმწიფო არ იმყოფება იმგვარ მდგომერობაში, რომ აბსოლიტურად იბატონოს მეორეზე და მათვის დააწესოს კანონები.***

XIX ს. შუახანებში მარქსიზმის გაჩენასთან ერთად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის კიდევ ერთი მიმართულება_***მარქსისტული***. იგი საერთაშორისო ურთიერთობის შესწავალს უდგება **კლასობრივი ბრძოლის კუთხით და მას განიხილავს ცალკ-ცალკე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში.**

საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკურ ჭრილში განხილულია ექსპლუატაციასთან, ხოლო პოლიტიკურ ჭრილში კი ბატონობისა და მორჩილების ასპექტებთან, შესაბამისად ყველა ერთად კლასობრივი ბრძოლის და რევოლუციებთან დამოკიდებულებაში.

როგორც ეროვნული ინტერესები, ასევე სახელმწიფო ინტერესებიც მარქსიზმისათვის მეორეხარისხოვანია, ვინაიდან ობიქტური კანონები ხელს უწყობს მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც ბატონობს კაპიტალისტური ეკონომიკა. მის მამოძრავებელ ძალას კი წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლა და პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული მისია. თავის დროზე ვ. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ კაპიტალიზმი, რომელიც შევიდა თავის განვითრების მონოპოლისტურ სტადიაში, ტრანსფორმირდება იმპერიალიზმად. ის აღნიშნავდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ გაყოფასთან ერთად იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის პირველ პლანზე წამოიწია მონოპოლიებს შორის ეკონომიკური გაყოფის პრობლემა.

განვითრებულ ქვეყნებში მონოპოლიები ეჯახებოდნენ ბაზრების და კაპიტალის აუცილებელი ექსპორტის მუდმივად მწვავე პრობლემებს. ერთის მხვრივ, რამდენადაც ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ მკაცრი კონკურენციით, მეორეს მხვრივ, იმდენად მოცემული აუცილებლობა ქმნიდა მსოფლიო პოლიტიკური კრიზისების, ომებისა და რევოლუციებისათვის წყაროს. ამრიგად ეკონომიკური ინტერესები იწვევდა პოლიტიკურ კონფლიქტებს.

საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების შესახებ, მოცემული თეორიული მიმართულებები დღესაც აქტუალურია. თანამედროვე ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემების შესწავალ სხვადასხვა სკოლების და მიმდინარეობების მიერ.

საერათაშორისო ურთიერთობათა შესწავლის თეორიები

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიების კალსიფიკაციის საკითხს ბევრად ართულებს მისი მრავალრიცხოვნობა.

თანამედროვე სამეცნიერ ლიტერატურაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შესახებ არსებობს მრავალგვარი კლასიფიკაცია, რაც გამოწვეულია ამა თუ იმ ავტორის მიერ გამოყენებული სხვადასხვა თვალსაზრისით. თუმცა ჩვენ არ ვახდენთ მათ კლასიფიკაციას და გთავაზობთ ზოგად დახასიათებს.

პოლიტიკური იდეალიზმი

საუკუნეთა მანძილზე იდეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში გულისხმობს, რომ მორალი, კანონი და საერთაშორისო წყობა ქმნის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა საფუძველს; სრულიად შესაძლებელია სახელმწიფოთა შორის ჩამოყალიბდეს მშვიდობიანი და თანამშრომლური ურთიერთობები და სახელმწიფოებმა შეიძლება თავიანთი საქმიანობა წარმართონ არა როგორც ავტონომიურმა და საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულმა აგენტებმა, არამედ როგორც ამ თუ იმ გაერთიანების წევრებმა.

იდეალისტები (***დ. პერკინი, ვ. დინი, უ. ლიჰმანი, თ. კუკი*** და სხვები), საერთაშორისო ურთიერობებს განიხილავენ ეთიკურ და სამართლებრივი პრიზმის ჩარჩოებში, რომელიც ორიენტირებულია მსოფლიო ურთიერთობების ნორმატიული მოდელის შექმნაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში იდეალიზმს აქვს ბევრად უფრო ახლო იდეურ-თეორიული წყაროები XIX ს. ჩამოყალიბებულ ლიბერალიზმთან, პაციფიზმთან და უტოპიურ სოციალიზმთან. ***მისი მთავარი გზავნილი ესა არის მტკიცება სახელმწიფოებს შორის მსოფლიო ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დასრულების აუცილებელობის შესახებ და იმის აღნიშვნა, რომ სამართლებრივი რეგულირების და საერთაშორისო ურთიერთობათა დემოკრატიზაციის გზით, მათზე ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების გავრცელებით შეიძლება საყოველთაო მშვიდობის და სტაბილურობის მიღწევა.***

ამ მიმართულების თანახმად დემოკრატიული სახელმწიფოების მსოფლიო საზოგადოებას, საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერისა და ზეგავლენის პირობებში, სავსებით შეუძლია აღმოფხვრას მის წევრებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი მშვიდობიანი გზით, სამართლებრივი რეგულირების მოდელით, საერთაშორისო ორაგნიზაციების როლის და რაოდენების გაზრდით, ურთიერთმისაღები თანამშრომლობის და გაცვლების გაფართოების ხელშეწყობით.

საერთაშორისო ურთიერთობებში იდეალისტებისათვის **მსოფლიო ურთიერთობების რეგულირებისათვის** ამოსავალი წერტილი არის **უარის თქმა ძალისმიერი და სამხედრო საშუალებების** გამოყენებაზე. ისინი უპირატესობას ანიჭებენ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებს და სისტემებს.

ამ მიმდინარეობაში ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი არის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა - განიარაღების ნებაყოფლობითი, და ომის, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის წარმოების ინსტრუმენტზე უარის თქმის საფუძველზე.

ძალთა ბალანსის გვერდით, იდეალისტები გვთავაზობენ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმს. აღნიშნული იდეა ბაზირებულია იმ პოსტულატებზე, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს ერთი საერთო მიზანი-მშვიდობა და საყოველთაო უსაფრთხოება, ვინაიდან ძალთ ბალანსის და ომის არასტაბილურობა დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოებს, მიჰყავთ ისინი რესურსების უაზრო დაკრგვამდე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, პოლიტიკურ პრაქტიკაში იდეალიზმა პოვა განხორციელება ერთ ლიგის შემნის სახით. იგი შეიქმნა ა.შ.შ. პრეზიდენტის **ვუდრო ვილსონის პროგრამის საფუძველძე**, და ამასვე გულისხმობდა ასევე **ბრიან კელეგის პაქტიც** (1928), რომელიც ადსტურებს ძალის გამოყენებაზე უარის თქმას საერთაშორისო ურთიერთობებში ადამს ტაიმსონის დოქტრინის (1932) საფუძველზე, რომლის მიხედვითაც აშშ უარს აცხადებდა ნებისმიერი ცვლილების დიპლომატიურ აღიარებაზე, თუკი იგი მიღწეული იქნებოდა ძალის გამოყენებით.

ამერიკის პრეზიდენტის ვ. ვილსონის მიერ 1918 წელს 14 პუნქტად ჩამოყალიბებული ომის შემდგომ მსოფლიო ვითარების მოწესრიგების პირობებმა მაკაფიოდ პოვა გამოხატულება იდეალისტების შეხედულებებში. სხვათაშორის მან მსოფლიო პოლიტიკურ ურთიერთობათა ჰარმონიზაციის ძითითად მექანიზმებად შემოგვთავაზა:

1. ღია სამშვიდობო მოლაპარაკებები წარმოება;

2. ომისა და მშვიდობის დროს თავისუფალი ვაჭრობის გარანტია;

3. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაბამისად, ეროვნული შეიარაღების შემცირება მინიმალურად საკმარის დონემდე;

4. ერთა ლიგის შექმნა, რომელიც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ომის შემდგომ წლეებში იდეალისტურმა ტრადიციამ, განსაზღვრული განხორციელება პოვა, ისეთი ამერიკელი პოლიტიკოსების მოღვაწეობაში როგორიც იყვნენ სახელმწიფოო მდივანი ჯონ დალესი, ჯიმი კარტერი და სხვები.

იდეალისტების აზრით, ხალხებს შორის ომის შეწყვეტის და მარადიული მშვიდობის მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტი უნდა გახდეს **მსოფლიო მთავრობა,** რომელსაც უხელმძღვანელებს გაერო და იმოქმედებს **მსოფლიო კონსტიტუციის** საფუძველზე.

იდეალისტური მიმართულება, განსაზღვრულ გავლენას ჩვენს დროშიც ინარჩუნებს საერთაშორისო ურთიერთობათა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. უფრო მეტიც შეიძლება ვთქვათ, რომ უკანასკნელ ხანს მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთ მიმართულებაში, თეორიული ანალიზისა და პროგნოზირების კუთხით რამდენადმე გაიზარდა. ხდება ასევე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაც, რომელიც ახდენს მსოფლიო საზოგადოების დემოკრატიზაციას და ჰუმანიზაციას. აგრეთვე, იქნება მისწრაფება ახალი მისაღები რეგულირებადი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების, რომელიც მთელი კაცობრიობის ინტრეესებს უპასუხებს.

ლიბერალური შეხედულებების მიხედვით სტატუსქვოს რეფორმა თანმიმდევრული, ევოლუციური პროცესია.

ლიბერალურ ტრადიციებზე აგებულ თეორიებში აქცენტი **კეთდება ორმხრივი სარგებელის** მოტანის ფაქტზე. რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთდამოკიდებულებისა და პარიტეტულობის პრინციპებზეა დამყარებული.

ლიბერალური მიდგომები ყველაზე კარგად ვითარდება **საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის კონტექსში დ**ა ამაში დიდ როლს თამაშობს ორმხრივი სარგებლიანობის ფაქტორი – ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანასთან ურთიერთობის დროს პროდუქციისა თუ სერვისის სახით იღებს სარგებელს.

ლიბერალური მიდგომისათვის აგრეთვე პრიორიტეტულია ***თავისუფლება, რაც გულისხმობს თავისუფალ ვაჭრობასა და იდეების თავისუფალ გაცვლას***. ამ მიდგომათა მიხედვით, ომი არ არის ბუნებრივი კანონზომიერება, არამედ ტრაგიკული შეცდომაა, და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობით და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების საშუალაებით უნდა მოახდინონ მისი პრევენცია ან მეტნაკლები მინიმიზაცია.

ხანგრძლივი დროის მანძილზე მიიჩნევდნენ, რომ იდეალიზმს დაკარგული ჰქონდა ნებისმიერი გავლენა და შორს იდგა თანამედროვე მოთხოვნილებებისაგან.

ამგვარი აზრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ რეალურმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელიც ევროპაში შეიქმნა 30-იანი წლებში _ მსოფლიო კონფლიქტის გაჩაღება 1939-1945 წწ., და მომდევნო, ცივი ომის პერიოდი. ყოველივე ამან საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიწვია ისეთი ცნებებისა ანალიზის აუცილებლობა, როგორიც იყო ,,ძალა", ძალის ბალანსი", ,,ეროვნული ინტერესები" და ,,კონფლიქტები" და რომელსაც ვრცლად ეხება პოლიტიკური რეალიზმი.

პოლიტიკური რეალიზმი

რეალისტური მიმდინარეობის არსი გულისხმობს იმას, რომ თითეული სახელმწიფოს ძირითად ბუნებრივ მიზანს წარმოადგენს ძალთა თავმოყრა, რომელიც არის ერთადერთი საშუალება, რომლის წყალობითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებას.

კონსერვატიული შეხედულების მიხედვით პრიორიტეტულია სტატუს ქვოს შენარჩუნება, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობებში შესაძლო ცვლილებების შეტანის საკითხი ამ შეხედულების მიხედვით ნაკლებადმნიშვნელოვანია. ამ რაკურსით ყურადღება გამახვილებულია ***ძალის პოლიტიკის კანონებზე, რაც თავის მხრივ აღიარებულია როგორც უნივერსალური და მუდამ აქტუალური.***

რეალისტური მიდგომა უპირატესობას ანიჭებს წესრიგს. მისი მომხრენი მხარს უჭერენ ფრთხილ პოლიტიკას და დიდი ენთუზიაზმით არ მიესალმებიან ნებისმიერ, განსაკუთრებით კი სწრაფ, ცვლილებას, ან ისეთ ცვლილებებს, რომელიც იწვევს საერთაშორისო მასშტაბით ძალაუფლების იერარქიული სისტემის რღვევას. ამ პერსპექტივების მიხედვით **ომი ბუნებრივი კანონზომიერებაა** და ისეთი სახის ნეგატიური მოვლენაა, **რისთვისაც ყოველთვის მზად უნდა იყო**, ხოლო **საერთაშორისო ვაჭრობა არის სახელმწიფოს ძალაუფლების/ძალის გამოხატვის პოტენციური წყარო**.

პოლიტიკურმა რეალიზმა არა მარტო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იდეალისტური მიმართულება, არამედ აჩვენა, რომ იმ ეპოქის სახელმწიფო მოღვაწეების იდეალისტური ილუზიები არანაკლებ ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში. მათ შემოგვთავაზეს საკმაოდ მწყობრი თეორია.

რეალიზმის ძირითადი არსი გულისხმობს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოები (საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური აქტორები) იყენებენ ძალას რათა თავიანთი ინტერესები დაიცვან ცენტრალური მმართველობითი მექანიზმის არმქონე – ანარქიულ სისტემაში.

ძალის გამოყენების საჭიროება თავს იჩენს იმ შემთხვევაში როდესაც სასურველი შედეგის მისაღწევად მოსაგვარებელია სხვა სახელმწიფოსთან არსებული კონფლიქტი. ძალის გამოყენების მექანიზმი ორგვარია – დადებითი (რაც გულისხმობს გარკვეულ კომპენსაციას) ან უარყოფითი (სადამსჯელო); ორივე შემთხვევაში **ძალის გამოყენების მიზანია მეორე სახელმწიფოს რაციონალურ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე ზეგავლენის მოხდენა რათა შედეგი აქტორისათვის, რომელიც იყენებს ძალის მექანიზმებს, უფრო მისაღები აღმოჩნდეს**. სამხედრო ძალებს, რაც ძა-

ლისმიერ მექანიზმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რეალისტები სხვა ფორმებთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ – ვინაიდან ანარქიული სამყარო თავისთავად გულისმობს, რომ ჩვენი ცხოვრება დაუცველია. რეალისტების აზრით ძალა/ძალაუფლება არის უნარი სხვა აქტორი აიძულო გააკეთოს რამე – ან უნარები, რისი საშალებითაც შეგიძლია მოახდინო გავლენა აქტორზე. ამ განმარტების მიხედვით ძალუფლება სხვათა დაჯაბნაა – ეს ის ცნებაა, რომელსაც ლიბერალები თავისი არსით მხოლოდ დესპოტურს, სხვა ხალხზე კონტროლის მოპოვებისა და დომინირებისაკენ მიმართულს უწოდებენ

თითეული სახელმწიფო, როგორც ისინი თვლიან, უნდა ცდილობდეს შექმნას ისეთი ძალთა ბალანსი, რომელიც გამოვიდოდა საყოველთაო კონკურენციის პირობებით. **ძალისმიერი დაპირისპირება შემკავებელი მექანიზმების თანხლებით გარანტიაა სახელმწიფოს და მისი უსაფრთხოების**. სახელმწიფოსათვის, ნებისმიერ **ეთიკურ-მორალური, და აგრეთვე, ნორმატიული წესები განხილულ უნდა, იქნეს სულ ცოტა, როგორც მისი სუვერენიტეტის შეზრუდვა**. ამიტომ აღიარებულია, რომ ნებისმიერი საშუალება მიზნის მისაღწევად_დარწმუნება, შანტაჟი, ძალა, ვაჭრობა, დიპლომატია, გამართლებულია.

კოალიციური წრე სწრაფად ადიდებს სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობას და ქმნის შესაძლებლოვბას დადგენილი ამოცანების გადწყვეტისათვის. საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს ქცევის მთავრი ღირებულება უნდა იყოს თავშეკავება და პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღების დროს.

ამ მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან ***რეინჰოლდ ნიბური, ფრედერიკ შუმანი, ჯორჯ კენანი, ჯორჯ შვერცენბეგი, კენეტ ტომპსონი, ჰენრი კისინჯერი, ედვარდ კარი, არნოლდ უოლფერსი, ბზიგნევ ბჟესინსკი და სხვები. ამ მიმართულების ფუძემდებლად ითვლებიან ჰანს მორგენთაუ და რეიმონ არონი.***

პოლიტიკური რეალიზმის მამად ითვლება ამერიკელი პოლიტოლოგი ჰ. მორგენთაუ (1904-1980 წ), რომელმაც 1948 წელს გამოსცა წიგნი ,,ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის”. მისი მტკიცებით საერთაშორისო პოლიტიკა,

ნებისმიერ სხვა პოლიტიკის მსგავსად არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში უკანასკნელი სხვა მიზანიც რომ განდევნილ იქნეს, უშუალო მიზანი ყოველთვის იქნება ძალაუფლება და გავლენა. მას საერთაშორისო ურთიერთობები წარმოუდგენია, როგორც სახელმწიფოების მწვავე დაპირისპირების არენა. ამ უკანასკნელთა მთელი საერთაშორისო მოღვაწეობის საფუძველია, გააძლიეროს საკუთრი ძალუფლება და გავლენა, და შესაუსტოს სხვების.

სახელმწიფოს ძალაუფლებაში იგულისხმება მისი ფართო გაგება – სახელმწიფოს **სამხედრო და ეკონომიკური ძალა**, რაც ქმნის ბევრად უფრო მეტ გარანტს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და აყვავებისა, დიდებისა და პრესტიჟისა, და ამავე დროს მისი იდელოგიური წესის და სულიერი ღირებულებების გავრცელების შესაძლებლობას.

არსებობს ორი ძირითადი გზა, და ასევე საგარეო პოლიტიკის ერთდროულად ორი ურთიერთშემავსებელი ასპექტი, რომლითაც სახლმწიფო საკუთარ თავს, უზრუნველყოფს ძალაუფლებით – ეს არის **სამხედრო სტარტეგია და დიპლომატია.** პირველი ეს არის პოლიტიკის გაგრძელება ძალისმიერი საშულებით, და მეორე, დიპლომატია, როგორც ძალაუფელებისათვის მშვიდობიანი ბრძოლის საშულება.

თანამედროვე ეტაპზე, მორგენთაუს აზრით, სახელმწიფო თავის მოთხოვნილებებს ძალაუფლებაში გამოხატავს **„ნაციონალური ინტერესების"** ტერმინებით. ამიტომ თითეული სახელმწიფოს მისწრაფება მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს საკუთარი ეროვნული ინტერესები წარმოადგენს შედეგს მსოფლიო არენაზე დადგინდეს განსაზღვრული ძალუფლების (ძალის) თანასწორობა (ბალანსი), რომელიც არის ერთადერთი რეალური საშულება საერთაშორისო არენაზე უზრუნველყოს და დაიცვას მშვიდობა. აქედან გამომდინარე, ***მშვიდობის მდგომარეობა, შესაბამისად არის სახელმწიფოთა შორის ძალთა თანასწორობის მდგომარეობაც.***

მორგენთაუს თანახმად, არსებობს **ორი ფაქტორი**, რომელსაც შეუძლია შეაკავოს და რაღაც ჩარჩოებში მოაქციოს სახლმწიფოს სწრაფვა ძალაუფლებისაკენ – ეს არის **საერთაშორისო სამართალი და მორალი**. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათზე

ბოლომდე დაყრდნობა ნიშნავს აღმოვჩნდეთ იდეალისტური სკოლის ილუზიების ტყვეობაში. ამ მიმდინარეობის თანახმად, ომისა და მშვიდობის პრობლემას, გადაწყდეს იგი საერთაშორისო კოლექტიური უსაფრთხოების ან გაეროს ხელშეწყობის საფუძველზე, არანაირი შანსი არ აქვს. რეალისტების აზრით უტოპიურია ის პროექტებიც, რომლებიც ეროვნული ინტერესების ჰარმონიზაციის გზით მოიაზრებენ მსოფლიო საზოგადოების ან მსოფლიო სახელმწიფოს შექმნას. ერთადერთი გზა, რომელიც იძლევა თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომი - ეს არის დიპლომატია, მიიჩნევენ ისინი.

თუმცა, ვერც პოლიტიკური რეალიზმი იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში გაბატონებულ მიმდინარობად. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ იგი **საერთაშორისო ურთიერთობებს მიიჩნევს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებად**, რომელიც აგებულია ძალისმიერი ურთიერთობების პრინციპზე. ასევე მათთვის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა არ არის ერთმანეთან დაკავშირებული, რომ არსებოს ძლიერი და სუსტი სახელმწიფოები.

პოლიტიკრი რელიზმის ერთ-ერთმა გავლენიანმა მიმდევარნა **ა. უოდფერმა** მსოფლიო არენაზე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების სურათი ააგო ბილიარდის მაგიდაზე ბურთების შეჯახების მსგავსად. აქედან გამომდინარე: ძალის როლის აბსოლუტიზაცია და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შეუფასებლობა, მაგალითად ისეთის, როგორიცაა სულიერი ფასეულობები, სოციოკულტურული რეალობა და ა.შ. მნიშვნელოლოვნად აღარიბებს საერთაშორიოს ურთიერთობათა ანალიზსს და დაბლა სწევს მისი სანდოობის ხარისხს.

პოლიტიკური რეალიზმის თეორია, რომელიც შეიცავს ისეთ მთავარ და მნიშვნელოვან ცნებებს, როგორიცაა ,,ძალა" და ,,ეროვნული ინტერსები", მასზე ტოვებს საკმარის უნდობლობას, რაც ქმნის საფუძველს დისკუსიისა და კამათისათვის.

და ბოლოს, პოლიტიკური რეალიზმი, რომელიც საქმის არსიდან გამომდინარე, ოპერირებს საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივ და უცვლელ კანონებზე, თავდა იქცა საკუთრი მიდგომების მძევალი. მათ მიერ არ იქნა გაზიარებული ყელაზე უფრო მნიშ-

ვნელოვანი ტენდენციები და უკვე მომხდარი ცვლილები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტი ხარისხით განსაზღვრას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს, ვიდრე ეს იყო საერთაშორისო არენაზე XX საუკუნემდე. მათ ვერ გაითვალისწინეს კიდევ ერთი გარემოება, რომ მომხდარი და მიმდინარე ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობებში, ტრადიციულთან ერთად მოითხოვს ახალ მეთოდებს და საშულებებს სამეცნიერო ანლიზისათვის. ყველაფერი ეს იწვევდა პოლიტიკური რეალიზმის მიმართ მძაფრ კრიტიკას სხვა მიმდინარეობების მხრიდან, უპირველს ყოვლისა ე.წ. ,,მოდერნისტული" მიმართულების და ურთიერთდამოკიდებულების და ინტეგრაციის თეორიის მხრიდან.

ამრიგად, რეალიზმი შესაძლოა ერთ დროს რეალისტური იყო - ალბათ იმ ეპოქაში, როდესაც ევროპელი მეფეები და დედოფლები აწარმოებდნენ ომებს და ტერიტორიებით როგორც საკუთარი ქონებით ისე ვაჭრობდენენ. მაგრამ დღეისათვის სახელმწიფოები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, და ეს რეალობა ეწინააღმდეგება ავტონომიისა და სუვერენიტეტის ცნებებს. საზღვრები მუდმივად იცვლება, რაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხს სულ უფრო დაუცველს ხდის. ძალის გამოყენების ნორმებმა ევოლუცია განიცადეს, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა სამხედრო ძალების ფუნქცია საერთაშორისო ძალაუფლებასთან მიმართებაში.

რეალიზმის ყურადღების მიღმა რჩება ინდივიდების, საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკური კლასების, მულტინაციონალური კორპორაციებისა და სხვა არასახელმწიფო აქტორების როლი. მისი ყურადღების ცენტრშია მხოლოდ უდიდესი სახელმწიფოები და სრულიად არ არის გათვალისწინებული ე.წ. სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნების გამოცდილებები. სახელმწიფოს ინტერესების განხორციელებაში რეალისტები უპირატესობას ანიჭებენ ძალისმიერ/სამხედრო მექანიზმების გამოყენებას და არაფერს ამბობენ არაძალისმიერი მეთოდებით ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობებზე.

რეალიზმის თვალთახედვა ძალინ ვიწროა რადგან მისი მიზანია დააკნინოს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა და ის წარმოაჩინოს როგორც მარტივი, ჰარმონიული სტრუქტურის

მქონე მოდელი. ეს მოდელი წარმოდგენილია როგორც ობიექტური, უნივერსალური და მონესრიგებული

მოდერნიზმი

საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში ,,მოდერნიზმის" წარმომადგენლებმა **პოლიტიკური რეალიზმი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მათ მიერ ინტუიციურ და თეორიულ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული ტრადიციული მეთოდების გამოყენების გამო**.

,,მოდერნისტებსა" და ,,ტრადიციონალისტებს" შორის პოლემიკამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია 60-იანი წლების დასაწყისში. ამ დაპირისპირებამ სამეცნიერო ლიტერატურაში მიიღო ,,ახალი დიდი დავის სახელწოდება". ამ დავის გაძლიერებას ხელი შეუწყო სამეცნიერო აპარეზზე ახალი თაობის გამოსვლამ (**კუინს რაიტი, მორტონ კაპალანი, კარლ დოიჩი, დევიდ სინგერი, კალევი ჰოლსტი, ერნსტ ხაასი და ა.შ**.). მათ დაძლიეს კლასიკური მიმდინარეობის ნაკლოვანებები და საერთაშორისო ურთიერთობების შესაწავლას **მისცეს ჭეშმარიტად სამეცნიერო ხასიათი.**

კვლევის დროს მოდერნისტებმა დიდი ყურადღება მიაქციეს მათემატიკის, ფორმალიზაციის საშუალებების და მოდელირების გამოყენებას, მონაცემთა შეკრებას და დამუშავებას, შედეგების ემპირიულ ვერსიფიკაციას, აგრეთვე, ზუსტ დისციპლინებიდან ნასესხებ სხვა კვლევით პროცედურებს.

ეს მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეხება არა მარტო საერთაშორიო ურთიერთობების კვლევას, არამედ სოციალური სფეროს სხვა მოქმედებებსაც. მან აჩვენა პოზიტივიზმის ბევრად ფართო ტენდენციების შეღწევა საზოგადოებრივ მეცნიერებებში.

ჯერ კიდევ ს. სიმონს და ო. კონტის ჰქონდათ მცდელობა გამოეყენებინათ ზუსტი სამეცნიერო მეთოდები სოციალური ფენომენის შესწავლისათვის. ამ მეთოდიკას გააჩნია სოლიდიური ემპირიული ტრადიცია და, აპრობირებულია ისეთ დისციპლინებთან როგორიცაა სოციოლოგია და ფსიქოლოგია. მას გააჩნია შესაბამის ტექნიკური ბაზაც, რაც მკვლევარებს სამეცნიერო ანალიზის

დროს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ახალი საშულებები. მათ შორის საერათაშორისო ურთიერთობების შესწავლისთვისაც.

სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებაში ბუნებრივ მოვლენათა კვლევის პროცესში შემუშავდა **ორი მოდელი**, რომელთა შორისაც მერყეობს ამ მიდინარობის სპეციალისტები. ერთის მხვრივ, ეს არის **ჩ. დარვინის** სახობათა **ბრძოლა გადარჩენისათვის და ბუნებრივი შერჩევის კანონი და, მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია, ხოლო მეორე, ეს არის გ. სპენსერის ორაგნული ფილოსოფია,** რომლის საფუძველზეც შემუშავდა **ბიოლოგიური და სოციალური ფენომენების სტაბილურობის და მუდმივობის შესახებ კონცეფცია**.

აშშ-ში პოზიტივიზმი წავიდა მეორე გზით. საზოგადოების ცოცხალი ორგანიზმის მიმსგავსების გზით, რომლის ცხოვრება დაფუძნებულია მის სხვადასხვა ფუნქციის დიფერეციაციასა და კორდინაციაზე. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა, როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებისა უნდა დაიწყოს **ფუნქციების ანალიზით**, რომელსაც ასრულებენ **მისი მონაწილეები**, შემდეგ უნდა მოხდეს ამ ფუნქციების **მატარებელთა შესწავლა**, და ბოლოს, იმ **პრობლემების ანალიზი**, რომელიც დაკავშირებულია სოციალური ორგანიზმის ადაპტაციასთან თავის გარემოში. მ. მერლი თვლის, რომ ორგანიციზმის მემკვიდრეობაში შეიძლება გამოიყოს ორი მიმდინარეობა. ერთი მათგანი მთავარ ყურადღებას აქცევს მოქმედი პირების ქცევის შესწავლას, მეორენი ასეთი ქცევის სხვადასხვა ტიპების არტიკულაციას. შესაბამისად პირველმა დასაწყისში მოიცვა ბიჰიევიორიზმი, ხოლო მეორემ ფუნქციონალიზმი და სისტემური მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში.

ამრიგად, **მოდერნისტები ძირითადად ყურადრებას აქცევენ საერთაშორიო არენაზე ეროვნული სახელმწიფოების მოქმედებების მოდელირებას.** მათ გამოკვლევებში აქცენტი აღებულია **გადწყვეტილების მიღების მექანიზმების და პროცედურების შესწავლაზე, მსოფლიო ელიტის და მმართველი სხვადასხვა სეგმენტების აღწერაზე, ბიუროკრატიული კომპრომისების და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკს სხვა კომპონენტების შემუშავებაზე**.

საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილე აქტორის გავლენა მოდერნისტებს საშუალებას აძლევს მოდელირება გაუკეთონ სართაშორისო ურთიერთობათა კონკრეტულ სისტემას, და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა პოლიტიკურ დონეზე ჩამოაყალიბონ სახელმწიფოთა ურთიერთობების პროგნოზები. ტრადიციონალისტები კი ყურადღებას ამახვილებენ საგარეო პოლიტიკაზე აუცილებლობით გამოწვეულ იმ ურთიერთმოქმედი ფაქტორების გავლენას, რომელიც გამოხატავს კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებლ ტრადიციას და ყოფას, ასევე პოლიტიკური ქცევის საკუთარ თავისებურებებს, მასობრივი და ჯგუფური ღირებულებების როლს და ა.შ.

მოდერნიზმი, რომელმაც კვლევაში ტრადიციული მეთოდების გამოყენების გამო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პოლიტიკური რეალიზმი, ვერ იქცა რაღაც ერთსახოვან მიმდინარეობად, როგორც თეორიული, ასევე მეთოდოლოგიური კუთხით. მათთვის საერთოს წარმოადგენს ის, რომ ისინი გვევლინებიან დისციპლინათშორის მიდგომის მიმდევრებად, აქვთ მისწრაფება გამოყენეონ ზუსტ მეცნიერებათა მეთოდები და პროცედურები. მაგრამ **მოდერნიზმის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი ფაქტობრივად უარყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკას, კონკრეტული საკვლევი ობიექტის ფრაგმენტაციას, რაც ფაქტობრივად განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობების ერთიანი სურათის არ ქონას. აგრეთვე, იგი უსაფუძვლოდ თავს არიდებს სუბიექტივიზმსაც**.

ამის მიუხედევად მოდერნისტული მიმართულების მკვლევართა კვლევები სასარგებლო აღმოჩნდა. მათ გაამდიდრეს მეცნიერება არა მარტო ახალი მეთოდებით, არამედ მათზე დაყრდნობით გაკეთებული ბევრად მნიშვნელოვანი დასკვნებითაც. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს ის გარემოება, რომ მათ საერთაშორისო ურთიერთობებში ფაქტობრივად გახსნეს მიკროსოციოლოგიური პარადიგმების შესწავლის პერსპექტივა.

ტრანსნაციონალიზმი

თუკი დავა მოდერნიზმის და პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრებს შორის წარმოებდა საერთაშორისო ურთიერთობათა

კვლევის მეთოდების შესახებ, მაშინ **ტრანსნაციონალიზმის** წარმომადგენლებმა (**რობერტ ო. კოხეინი, ჯოზეფ ნა**ინი), **ინტეგრაციის თეორ**იის მომხრეებმა (**დევიდ მიტ**რანი) და **ურთიერთდამოკიდებულების თე**ორიის მიმდევრებმა (**ერნასტ ხასი, დევიდ მოურსი**), კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს კლასიკური სკოლის კონცეპტუალური საფუძვლები.

ამ ,,ახალი დიდი დავის", რომელიც დაიწყო XX 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში, ცენტრში აღმოჩნდა სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი მონაწილის როლის, ეროვნული ინტერესების როლის და ძალის მნიშვნელობის ახლებური გაგება მსოფლიო არენაზე მომხდარი მოვლნების ჭრილში.

სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობების მომხრეებმა, რომლებიც ერთიანდებიან ერთ სახელწოდებაში ,,ტრანსნაციონალიზმი" წამოაყენეს საერთო იდეა, რომლის თანახმადაც პოლიტიკური რეალიზმი და მისთვის დამახასიათებლი ეტატიკური (სახელმწიფოებრივი) პარადიგმები არ შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ტენდენციებს და ხასიათს, ამიტომ ისინი უნდა უკუგდებული იქნას. მათი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობები გამოდის სახელმწიფოთაშორის, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ ინტერესებსა და ძალისმიერ წინაარმდეგობაზე ჩარჩოებიდან.

სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო აქტორი თმობს თავის მონოპოლიას. სახელმწიფოს გარდა საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობას ღებულობენ ინდივიდები, წარმოებები, ორგანიზაციები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და გაერთიანებები. ასევე, მრავლმხვრივი მონაწილეები, სახეები (კულტურული და სამეცნიერო თანმშრომლობა, ეკონომიკური გაცვლები და სხვა) და ,,არხები" (პარტნიორული კავშირები უნივერსიტეტებს შორის, რელიგიური ორგანიზაციები, ასოციაციები და აშ) ურთიერთობენ ერთმანეთთან, რითაც ფაქტობრივად დევნიან სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრიდან, ხელს უწყობენ ასეთი ურთიერთობების ტრანსფორმაციას ,,ინტერნაციონალურიდან" (სახელმწიფოთაშორის) ,,ტრანსნაციონალურად (სახელმწიფო მონაწილეების გარეშე).

კომუნიკაციის ტექნოლოგიურ საშუალებებში რევოლუციური ცვლილებები, მსოფლიო ბაზარზე სიტუაციის ტრანსფორმაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობის და რაოდენობის ზრდა მსოფლიო არენაზე სტიმულს აძლევს ახალი ტენდენციების წარმოქმნას. მათ შორის, მსოფლიო ვაჭორობა მეტად იზრდება მსოფლიო წარმოებასთან შედარებით, მოდერნიზაციის პროცესების შეღწევა, განვითარებად ქვეყნებში საკომუნიკაციო საშულებების განვითარება და ურაბანიზაცია, კერძო სუბიექტებისა და მცირე სახელმწიფოების საერთაშორისო როლის გაძლიერება, ბუნებრივ რესურსებზე ზესახელმწიფოთა მხრიდან კონტროლის შესაძლებელი შემცირება, ყველა ეს პროცესი, მიიჩნევენ ტრანსნაციონალისტები, ზრდის მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს და მნიშვნელოვანად ამცირებს ძალის როლს საერთაშორიო ურთიერთობებში.

ტრანსნაციონალისტები ხშირად ტრანსნაციონალურ ურთიერთობებს განიხილავენ, როგორც საერთაშორისო საზოგადოების თავისებურ სახეს, რომლის ანალიზისათვისაც გამოიყენებენ მეთოდებს, რომელიც საშულებას იძლევა გავიგოთ და ავხსნათ ის პროცესები, რომელიც ხდება ნებისმიერ საზოგადოებრივ ორგანიზმში. ამრიგად, არსებითად, საქმე ეხება საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას **მაკროსოციოლოგიური პარადიგმების** მიდგომით.

ტრანსნაციონალიზმი ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობების რიგი ახალი გამოვლინებების გააზრებას. ამიტომაც არის, რომ ამ მიმდინარეობის ბევრი დებულება განვითრებას აგრძელებს 90-იან წლებშიც. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ იგი გარკვეულ იდეურ ნათესაობას ამჟღვნეს კლასიკურ იდეალიზმთან და ნეომარქსიტების მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილ დებულებებთან. მთლიანობაში კი გლობალიზმთან.

გლობალიზმი

სახელმწიფოცენტრისტების საწინაარმდეგოდ, **გლობალისტები (ე. ხაასი, ლ. ლინბერგი),** თავის მხრივ, აგრძელებენ იდეალისტების ხაზს, და მიუთითებენ მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოების როლის შესუსტებაზე.

მათი აზრით, მსოფლიოში ტრანსპორტის, კავშირების, ინ-ფორმაციის თანამედროვე ცვლილები ეროვნულ სახელმწიფოებს საშუალებას ართმევს ეფექტური იარაღით მიაღწიონ საკუთარ უსაფრთხოებას და უზრუნველყონ საკუთარი მოსახლეობის კე-თილდღეობა.

საერთაშორისო ურთიერთობათა ნებისმიერი მხარე, წარმო-ადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა დინამიკის ბევრად უფრო ადეკვატურ ანარეკლს. კორპორაციულ ძალთა ობიექტური აუცილებლობა და სახელმწიფოთა შესაძლებლობები გლობალური საფრთხის წიინააღმდეგ ბრძოლაში აახლოებს ხალ-ხებს, მიმდინარეობს ერთი მიზნისაკენ კაცობრიობის დაახლოების პროცესი. ყველაფერი ეს გლობალისტების აზრით ხელს უწყობს ბევრად უფრო მართებული მსოფლიო წესრიგის ფორმირებისათ-ვის საიმედო წინაპირობების შექმნას, უსაფრთხოების პრობ-ლემბზე ბევრად უფრო მაღალი კონტროლის და ინტეგრაციის გაძ-ლიერებას.

სახელმწიფოცენტრისტები

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მოქმედებების სხვა-დასხვა კომპონენტების მნიშვნელობის შესახებ ტრადიციონალის-ტების და მოდერნისტების დისკუსია შეიცვალა დავით იმის შესა-ხებ, დარჩა კი სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში ცენტრალურ ელემენტად, თუ ინტეგრაციულმა პროცესებმა, ეს სფერო გარდაქმნა თვისობრივად სხვა ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიო სზოგადოებად.

სახელმწოცენტრისტები **(კ. დოიჩი, კ. უოლტცი)** მიიჩნევენ, რომ მიუხედავად ცვლილებებისა, სახელმწიფო დარჩა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალურ სუბიექტად, შეიცვალა მხოლოდ ფორმა მათ შორის ურთიერთობის. ამიტომ საერთაშორისო ურთიერთო-ბათა სფეროს ბუნება დარჩა ისეთი, როგორიც ის იყო: იგი გაჯერე-ბულია სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მოქმედებებით, რო-მელიც ხელმძღვანელობს რეალიზმის პრინციპებით_კონკურენ-ტებთან ძალისმიერი თავშეკავება და მათ მიერ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელება ძალის ბა-ლანსით.

ნეომარქსიზმი

ნეომარქსიზმის (წარმომადგენელები _ **პოლ ბარანი, პოლ სუიზი, სამირ ამინი, არჯირ იმანუელი, იმანუელ ვალერსტაინი** და აშ.) მიმდინარეობა ისევე არაერთგვაროვანი იყო, როგორც ტრანსნაციონალიზმი, და ამ მიმდინარეობის მომხრეებს აერთიანებს იდეა **მსოფლიო საზოგადოების მთლიანობის და მისი მომავლის განსაზღვრული უტოპიური შეფასებების შესახებ წარმოდგენებ**ი. ამავე დროს, მისი ძირითადი პუნქტების და საფუძვლების კონცეტუალური აგებულებიდან გამომდინარე ავითარებს აზრს **თანამედროვე მსოფლიოს არასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ**. უფრო მეტიც, ეკონომიკურად სუსტად განვითრებული სახელმწიფოების ინდუსტრიულ სახელმწიფოებთან რეალური დამოკიდებულების შესახებ, ამ უკანასკნელთა მიერ პირველების ექსპლუატაციის შესახებ.

კლასიკური მარქსიზმის ზოგიერთ თეზისზე დაფუძნებით, ნეომარქსისტები საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეს წარმოადგენენ გლობალურ იმპერიის სახით, რომლის პერიფერიები რჩება ცენტრის წნეხის ქვეშ. მას შემდეგაც კი როცა ყოფილმა კოლონიურმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ასეთი ვითარება თავის კვალს ავლენს უთანაბრო ეკონომიკურ გაცვლებსა და განვითრების არაკანონზომიერბაში.

ასე მაგალითად, ,,ცენტრი", რომლის ფარგლებში ხორციელდება დახლოებით მსოფლიო ეკონომიკური გარიგებების 80%, თავისი განვითარებით დამოკიდებულია პერიფერიის რესურსებსა და ნედლეულზე. თავის მხრივ, პერიფერიის ქვეყნები წარმოადგენენ იმ სამრეწველო და სხვა პროდუქციის მომხმარებლებს, რომლებსაც ისინი არ აწარმოებენ და აწარმოებენ ,,ცენტრი" ქვეყნები. მოექცნენ რა ცენტრის დამოკიდებულოებაში, ისინი გახდნენ უთანაბრო ეკონომიკური გაცვლების, ნედლეულზე მსოფლიო ფასების რყევის და განვითარებული სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკური დახმარების მსხვერპლნი. ამიტომ ,,ეკონომიკური ზრდა, რომელიც დაფუძნებულია მსოფლიო ბაზრის ინტეგრაციაზე, ჯამში არის ,,სუსტად განვითარების განვითარება".

70-იან წლებში, მსგავსი მიდგომები საერთაშორისო ურთიერთობების ,,მესამე სამყაროს" ქვეყნებისადმი ახალი მსოფლიო

ეკონომიკური წესრიგის დამყარების აუცილებელობის შესახებ ძირითადი იდეის წარმოქმნის მიზეზი გახდა. ამ ქვეყნების ზეგავლენით, რომლის დიდი რაოდენობაც შეადგენს გაეროს წევრს, გენერალურმა ასაბლეამ 1974 წლის აპრილში მიიღო შესაბამისი დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა, ხოლო დეკემბერში ქარტია _ სახელმწიფოების ეკონმიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

სტატუსქვოს ტრანსფორმაციის გზად რევოლუციური მიდგომა მყისიერ და სწრაფ ცვლილებებს გულისხმობს. ამ პერსპექტივათა მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ყურადღება უნდა გამახვილდეს უსამართლო და ნეგატიური ეფექტის მქონე პრობლემების სწრაფ და რადიკალურ შეცვლაზე (გამოსწორებაზე).

რევოლუციური მიდგომები ასევე მიესადაგება ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობებს და განვითარებადი სამყაროს ქვეყნებს. რევოლუციური მიდგომისათვის პრიორიტეტულია სამართლიანობა. ამ შემთხვევაში **ომი განიხილება როგორც ექსპლოატატორული ეკონომიკური ურთიერთობების შედეგი, და აქედან გამომდინარე გამოსავალი სწორედ ამ პრობლემების მოგვარებაშია.**

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ყველა თეორიული მიმდინარეობას აქვს თავისი ძლიერი მხარეები და ნაკლოვანებები. თითეული მათგანი აირეკვლას რელურობის განსაზღვრულ ასპექტებს და ვლინდება საერთაშორიო ურთიერთობების პრაქტიკაში. ყველა ამ თეორიული მიმდინარეობის ურთიერთპოლემიკა მთლიანობაში საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებასა ამდირებს ახალი დებულებებით და შეხედეულებებით. ისიც ცხადია, რომ თითეულ მათგანს საკუთარი არგუმენტაციით უჭირს დაარწმუნოს სამეცნიერო საზოგადოება საკუთრი შეხედულებების აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში სხვებთან მიმართებით. ისიც აღსანიშნავია, რომ ვერ მოხერხდა მათი სინთეზიც კი. ამის ნათელი დადასტურებაა ნეორეალიზმი.

ნეორეალიზმი

საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით კონსერვატიული შეხედულებები დიდ გავლენას ახდენენ "რეალიზმისა" და ძალის პოლიტიკის ფორმაზე, და ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ესა თუ ის სახელმწიფო ძალას იყენებს საკუთარი ინტრესებიდან გამომდინარე. რეალიზმის ცნობილი მიმართულებაა ,,ნეორეალიზმი". ამ უკანასკნელის მიხედვით რეალისტური პრინციპები გამარტივებულ და უფრო ფორმალურ ხასიათს იძენს. რეალიზმის ლიბერალური კონტრაპუნქტი, რომელიც ,,იდეალიზმად" იყო ცნობილი თავიდანვე, საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით ნაკლები ზეგავლენის მქონე მიმართულება გახლდათ.

თვით აღნიშნული ტერმინი მთელი რიგი ამერიკელი სწავლულების (**კენეტ უოლცი, რობერტ გილინი, ჯოზეფერ გრეიკი და სხვები**) მიერ ავლენს მისწრაფებას შეინარჩუნოს კლასიკური ტრადიციის უპირატესობა, და ამავდროულად გაამდიდროს იგი ახალი საერთაშორისო რეალიებისა და სხვა ღირსეული თეორიული მიმდინარეობების საფუძველზე.

საგულისხმოა, რომ **ტრანსნაციონალისტთა ერთ-ერთი ძველი მიმდევარი, კოხეინი, 80-იანი წლებში მივიდა დასკვნამდე, იმის შესახებ, რომ პოლიტიკური რეალიზმის ცენტრალური ცნებები ,,ძალა", ,,ეროვნული ინტერესები", რაციონალური ქცევა და ა.შ. რჩება მნიშვნელოვან საშუალებად და საფუძვლად საერთაშორისო ურთიერთობების ნაყოფიერი ანალიზისათვის. მეორეს მხვრივ, კ. უოლცი ლაპარაკობს რეალისტური მიდგომის გამდიდრების მოთხოვნილებების შესახებ, იმ ზუსტი სამეცნიერო მონაცემების და დასკვნების ემპირიული ვერიფიკაციით, რომლის აუცილებლობა უარყოფილი იყო ტრადიციონალისტების შეხედულებებით.**

ნეორეალიზმის სკოლის ჩამოყალიბება დაკავშირებულია კ. უოლცის სახელთა, რომელმაც 1979 წელს გამოსცა წიგნი ,,საერთასორისო პოლიტიკის თეორია". იგი ეყრდნობა რა პოლიტიკური რეალიზმის ძირითად დებულებებს (საერთაშორისო ურთიერთობების ,,ბუნებრივი მდგომარება", ძირითად აქტორების მოქმედებაში რაციონალობა, ეროვნული ინტერესები, როგორც ძირი-

თადი მოტივი ძალის მისწრაფების ფლობის) კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა წინამორბედები, საერთაშორიო პოლიტიკის თეორიის როგორც ავტონომიური დისციპლინის ჩამოყალიბების ჩაშლის მცდელობისათვის. **ჰანს მორგენთაუს ის აკრიტიკებს სა-გარეო პოლიტიკის საერთაშორიო პოლიტიკასთან გაიგავების გამო**, ხოლო **რაიმონ არონს მისი სკეპტიციზმის გამო**, საერთა-შორისო ურთიერთობების, როგორც თვითმყოფადი თეორიის შექ-მნის შესაძლებელობის შესახებ საკითხის გამო.

ის მიუთითებს, რომ საერთასორისო ურთიერთობების ნე-ბისმიერი **თეორია უნდა დაეფუძნოს არა კერძოობითობას, არა-მედ მსოფლიოს მთლიანობას, და ხაზს უსვამს გლობალური სისტემის არსებობას, და არა სახელმწიფოების, რომელიც წარ-მოადგენს მის ელემენტს. ამით უოლცი დგამს გარკვეულ ნა-ბიჯს ტრანსნაციონალისტებთან დაახლოებისაკენ.**

კ. უოლცის აზრით, **საერთაშორისო ურთიერთობების სის-ტემური ხასიათი განპირობებულია** არა აქტორების ურთიერ-თმოქმედებებით, ან მათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისე-ბურებებით, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია გეოგრაფი-ულ მდებარეობასთან, დემოგრაფიულ პოტენციალთან, სოციო-კულტურულ სპეციფიკასთან და ა.შ., არამედ **საერთაშორისო სის-ტემის სტრუქტურის ხასიათით** (ამის გამო ნეორეალიზმი ხშირად კლასიფიცირდება როგორც **სტრუქტურული რეალიზმი ან უბრა-ლოდ სტრუქტურიზმი**).

საერთაშორისო სტრუქტურის სისტემა წარმოადგენს თვით-მყოფად ფენომენს, რომელიც სახელმწიფოებს უწესებს ამა თუ იმ შეზღუდვებს, ან პირიქით სთავაზობს მათ ხელსაყრელ შესაძ-ლებლობებს მსოფლიო არენაზე.

ნეორეალიზმის თანახმად, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული ხასიათი ფაქტობრივად არ არის დამოკიდებული რაიმე მცირე და საშულო სახელმწიფოების ძალისხმევაზე, არამედ იგი **წარმოდგენს ზესახელმწიფოთა შორის ურთიერთმოქმედე-ბის შედეგს**. რაც ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობების „ბუ-ნებრივ მდგომარეობას". რაც შეეხება ურთიერთმოქმედებას ზესა-ხელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, შეუძლებელი შე-

ფასდეს როგორც ანარქიული, ვინაიდან იგი იძენს სხვა ფორმას, რომელიც ხშირად დამოკიდებულია ზესახელმწიფოს ნებაზე.

სტრუქტურიზმის ერთ ერთმა მიმდევარმა, **ბარი ბაზანიმ**, მისი ძირითადი დებულება განავითარა **რეგიონალურ სისტემასთან შეფარდებით**, რომელსაც ის განიხილავს, როგორც **შუალედს გლობალურ საერთაშორისო და სახელმწიფო სისტემებს შორის**. მისი აზრით, რეგიონალური სისტემის ბევრად უფრო მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს უსაფრთხოების კომპლექსი. საქმე ეხება იმ გარემოებას, რომ მეზობელი სახელწიფოები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებში, რომ ერთ-ერთი მათგანის ეროვნული უსაფრთხოება შეუძლებელია ცალკე იყოს მეორისაგან დამოუკიდებლად. ნებისმიერი რეგიონალური ქვესისტემის ძირითად საფუძველს ორი ფაქტორი შეადგენს

1. შესაძლებლობების განაწილება არსებულ აქტორებს შორის;

2. მეგობრული ან მტრული ურთიერთობები მათ შორის.

ორივე შემთხვევაში ზესახელმწიფოების მხრიდან ადგილი აქვს მანიპულაციას.

ამრიგად, ნეორეალიზმის, როგორც თეორიული მიმართულების აღორძინება ძალზე ნაკლებად თუ ხსნის მის უპირატესობას, ვიდრე ნებისმიერი სხვა თეორიის სისუსტეს და სახესხვაობას. ხოლო მისი მისწრაფება მაქსიმალურად დაიცვას კლასიკური სკოლის მემკვიდრეობა, ნიშნავს, რომ ნეორეალიზმის ხვედრი, უპირატესად, კვლავ რჩება მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები.

ნეოლიბერალიზმი

ლიბერალური თეორიის პოპულარული ვერსიაა ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის თეორია. ნეოლიბერალური მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება უფრო ადრეული პერიოდის ლიბერალური მიდგომისაგან იმით, რომ მისთვის **მისაღებია რეალიზმის რამდენიმე პოსტულატი** – მათ შორისაა მტკიცება იმის შესახებ, რომ **სახელმწიფოები უნიტარული აქტორები არიან** და **რაციონალურად ემსახურებიან თავიანთ ინტერესებს ანარქიულ სისტემაში**. იგი ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 80-იან წლეებში.

აღნიშნული თეორიის მიხედვით ნეორეალისტთა ზოგიერთი იდეა მისაღებია, მაგრამ ნეორეალისტების პესიმისტური დასკვნები საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით არ მართლდება. **ნეოლიბერალური იდეის მიმდევრები დაინტერესებულნი არიან დაგვანახონ, რომ ნეორეალისტების პესიმიზმი საერთაშორისო თანამშრომლობასთან მიმართლებაში უსაფუძვლოა.**

ნეოლიბერალების აზრით სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა ყოველთვის შესაძლებელია. რომლის წყალობით მათ შეუძლიათ შედეგების გაუმჯობესება. **თამაშრომლობის საწყისი ეტაპის შემდგომ ურთიერთობების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს ურთიერთდათმობის პრინციპს, ანუ თითოეულმა სახელმწიფომ უნდა გააცნობიეროს რომ ნებისმიერი უკანდახევა მეორე სახელმწიფოს მხრიდან საპასუხო უკანდახევას გამოიწვევს**.

უკუქცევით ურთიერთობებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას მიუხედავად ცენტრალური მმართველობის არარსებობისა. სწორედ უკუქცევითი ურთიერთობების საფუძველზე მუშაობენ სახელმწიფოები და ეს ურთიერთობები განაპირობებს დადგენილი ნორმებისა და წესების შესრულებას.

საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში უკუქცევითი ურთიერთობები მნიშვნელოვანია სამშვიდობო მისიებისა და იარაღის კონტროლის შესახებ ხელმოწერილი შერთანხმებების საფუძველზე დაწყებული პროცესების ეტაპობრივი განხორციელებისათვის.

საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკაში, სადაც ვაჭრობის სფეროში თანამშომლობით მიიღწევა დიდი მოგება, შიში იმისა, რომ ყოველგვარი დარღვევა და ნორმიდან გადახვევამ შეიძლება გამოიწვიოს ვაჭრობის შეზღუდვა, დიდი სტიმულია სამართლიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპია – სახელმწიფოები, რომელნიც თავიანთ ვალდებულებებს სათანადოდ ვერ ასრულებენ და ზრდიან ტარიფებს იმსახურებენ დასჯას, რაც სხვა

სახელმწიფოების მიერ ამ სახელმწიფოს საქონელზე ტარიფების დაწესებით გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ უკუქცევითი ურთიერთობები მნიშვნელოვანი ნორმას წარმოადგენს, ეს მაინც ერთ-ერთია იმ მარავალ ნორმათაგანია რაც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს განაპირობებს.

ამ მიდგომის მიხედვით **სერთაშორისო ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ კონფლიქტების შემცირებაში.** მათი კონცეფცია დაფუძნებულია ლიბერალურ იდეაზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხანგრძლივი (გრძელვადიანი) ორმხრივი სარგებელის მისაღებად მუშაობა ინდივიდუალური მოკლევადიანი სარგებელის მაქსიმიზაციასთან შედარებით უფრო რაციონალურია. ხოლო სახელმწიფოები თანამშრომლობისაკენ ილტვიან, რადგან ეს მათივე ინტერესებში შედის. მათ აქვთ იმის უნარი, რომ გამოიყენონ შესაბამისი ორგანიზაციები რათა გაიადვილონ ორმხრივი სარგებელის მიღების პროცესი და ამით თავი დაიზღვიონ სხვა სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო ყალბი/ცრუ ურთიერთობებისაგან.

მართალია, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მრავლადაა კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, თუმცა აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოები თანამშრომლობის გზას ანიჭებენ უპირატესობას.

სახელმწიფოებს შეუძლიათ შეიმუშაონ საერთო წესები, ერთობლივად დაგეგმონ მომავლის პერსპექტივები, და ჩამოაყალიბონ ინსტიტუტები, რაც ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების განვითარებას საერთო სარგებელის მოტანის თვალსაზრისით.

ამრიგად, ნეოლიბერალებისათვის საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობა ნათელყოფს, თუ როგორ აღწევენ სახელმწიფოები საუკეთესო რაციონალურ შედეგებს, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი და არა მხოლოდ აწმყოზე ორიენტირებული სახელმწიფო ინტერესები.

მკვლევარები რეალიზმის სერიოზულ ალტერნატივად ასევე თვლიან რამდენიმე წლის წინ წარმოქმნილ ისეთ პერსპექტივებს,

როგორიცაა – ***ფემინიზმი, პოსტმოდერნიზმი და კონსტრუქტივიზმი,***.

ფემინიზმი

ფემინისტური მიმდინარეობა აკადემიურ დისციპლინათა ფართო სპექტრს მოიცავს, ლიტერატურიდან დაწყებული ფსიქოლოგიისა და ისტორიის ჩათვლით. უკანასკნელ პერიოდში კი ფემინიზმი ისეთ სფეროებშიც კი შეიჭრა როგორიცაა – საერთაშორისო ურთიერთობები, ეს უკანასკნელი ფემინისტურ თეორიებთან მიმართებაში ყველაზე მტკიცე და ურყევი პოზიციებით გამოირჩეოდა.

ფემინისტური სწავლების სპეციალისტები თვლიან, რომ საერთაშორისო ურთიერთობების არსში უკეთ და უფრო ღრმად ჩაწვდომა ქალის როლისა და გავლენის გათვალისწინების ფონზეა შესაძლებელი.

თავისი არსიდან გამომდინარე ფემინისტრი სწავლება მრავალფეროვან საკითხებს მოიცავს, მაგრამ მათ საერთო ერთი რამ გააჩნიათ – **სქესი განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მუშაობის ეფექტურობას და ხარისხს – განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ომი და საერთაშორისო უსაფრთხოება.**

ფემინისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ რეალიზმის ძირითადი განმარტებები (განსაკუთრებით ანარქიასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით) აღწერენ თუ როგორ ურთიერთობენ მამაკაცები ერთმანეთთან და რა შეხედულებები გააჩნიათ მათ მსოფლიოს შესახებ. აქედან გამომდინარე, რეალისტური მიდგომა ფაქტიურად მხოლოდ მამაკაცთა მონაწილეების აზრსა და იდეებს მოიცავს და უფრო რეალისტური იქნებოდა მათი, როგორც მამაკაცების, ქმედებების განხილვა. ისინი თვლიან, რომ აღსანიშნავია ქალების გავლენაც საერთაშორისო ურთეირთობების სფეროზე (მამაკაცებისაგან განსხვავებით უფრო მეტად იყენებენ არასახელმწიფოებრივ საშუალებებს) – და ეს გავლენა ჩვეულებრივ იგნორირებულია რეალიზმის მიერ.

სქესთან დაკავშირებით არსებული მოსაზრებების კვლევის პარალელურად ფემინისტები ხშირ შემთხვევაში სქესთან დაკავში-

რებით არსებულ ტრადიციულ ცნებასთან დაკავშირებითაც კი გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. რომლის მიხედვით **მამაკაცურობა უფრო საზოგადო და პოლიტიკური სფეროსთან ასოცირდება, მაშინ როდესაც ქალურობა უფრო კერძო და საშინაო საკითხებს უკავშირდება.**

სქესი მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფუნდამენტური ცნების გარდა არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ფემინიზმთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული რამდენიმე სხვა მიდგომაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიები ერთმანეთთან მჭირდო ურთიერთკავშირშია (ყველა მათგანი განიხილავს სქესსა და ქალების სტატუსს), ისინი სხვადასხვა მიმართულებით ავითარებენ არესებულ მოსაზრებებს. რამდენიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით ფემინიზმის სხვადასხვა განშტოებას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია რაც ფემინიზმის წიაღში საინტერესო დებატების წინაპირობას ქმნის.

აღნიშნულ მიმართულებებიდან ერთ-ერთია – ***დიფერენცირების ფემინისტური*** მიმართულება – რომელიც **ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ქალის სტატუსის აღიარებაზე – ქალების, როგორც საზოგადოების მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა გამორჩეული წვლილის შეფასებაზე**. დიფერენცირების ფემინისტური მიმართულების მიმდევართა აზრით ქალები კაცებს ვერ ცვლიან და პირიქით. ქალებს დიდი გამოცდილება აქვთ აღზრდისა და ჰუმანური ურთიერთობების საკითხებში. აქედან გამომდინარე ქალებს პოტენციურად უფრო მეტი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ, მამაკაცებთან შედარებით კონფლიქტის მოგვარებისა თუ ჯგუფურ მუშაობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

დიფერენცირების ფემინისტური მიმართულების მომხრეთა მტკიცებით სინამდვილეში არსებობს დიდი გენდერული განსხვავებები. ეს არ არის გამოწვეული სოციალური გარემო ფაქტორებითა და კულტურული ტრადიციებით (თუმცა ისინი დიდ გავლენას ახდენენ გენდერულ როლზე).

დიფერენციალისტი ფემინისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ მამაკაცად და ქალად ყოფნას განაპირობებს ბიოლოგიური არსი, მაგრამ უმრავლესობის მტკიცებით ქალთა განსხვავებას უფრო მეტად კულტურული და არა ბიოლოგიური არსი განაპირო-

ბებს. ორივე შემთხვევაში ფემინისტური პერსპექტივა ქმნის მოსაზრებას რომლის მიხედვით ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში ფემინიზმის ტრადიციული პერსპექტივების ანალიზი, დაკვირვებები და განხილვა.

ფემინიზმის მეორე მიმართულებისათვის – ***ლიბერალური ფემინიზმისათვის*** – მიუღებელია ზემოაღნიშნული იდეები ვინაიდან ისინი ეყრდნობა სტერეოტიპულ გენდერულ როლებს.

ლიბერალი ფემინისტების აზრით მამაკაცების და ქალები თანასწორნი არიან, არ არსებობს არანაირი სხვაობა მათ შესაძლებლობებს შორის. ლიბერალი ფემინისტები გმობენ იმ მიდგომას, რომლის მიხედვით ქალები საერთაშორისო ურთეირთობების სფეროში ვერ ფლობენ სათანადო პოზიციებს, მაგრამ ამავდროულად თვლიან, რომ ქალების ჩართამ შესაძლოა ცვლილება არ მოახდინოს საერთაშროსიო სისტემაზე.

ლიბერალი ფემინისტები ქალის როლს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მოიაზრებენ ისეთი სტატუსით როგორიცაა - სახელმწიფოს ლიდერები, სამხედრო სამსახურში მყოფი და აგრეთვე ტრადიციულად ამ სქესისათვის დამახასიათებელი პოზიციის გარდა სხვა სახის სფეროში.

მესამე მიდგომის მიხედვით ფემინიზმის იდეა გაერთიანებულია პოსტმოდერნიზმთან. ***პოსტმოდერნისტი ფემინისტები*** უარყოფენ ზემოაღნიშნულ ორივე მიდგომას. თუ დიფერენციალისტი ფემინისტების აზრით აუცილებელია სქესთა შორის განსხვავების დადგენა და დაფიქსირება, და თუ ლიბერალი ფემინისტებისათვის არ არსებობს სხვაობა ორივე სქესს შორის, **პოსტმოდერნისტი ფემინისტების შემთხვევაში სქესთა შორის სხვაობა მნიშვნელოვანი, მაგრამ ამავდროულად პირობითია და დამოკიდებულება შეიძლება მუდმივად იცვლებოდეს.**

გარკვეულ ეტაპზე ფემინიზმის მარავალფეროვანი მიმართულებები და ჰიპოთეზები ნაწილობრივ ემთხვევა კონსერვატიული, ლიბერალური და რევოლუციური შეხედულებების ზოგად პრინციპებს.

პოსტმოდერნიზმი

პოსტმოდერნიზმი არის მეცნიერული კვლევების მრავალ-მხრივი მიდგომა, რომელმაც თავისი კვალი დატოვა სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინებზე, განსაკუთერბით კი ლიტერატურის კვლევებზე. თავისი ლიტერატურული არსიდან გამომდინარე, პოსტმოდერნისტები განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ თვით მასალაზე (ტექსტზე) და დისკურსზე – თუ როგორ წერენ და საუბრობენ ადამიანები ამა თუ იმ პრობლებმის გარშემო (საერთაშორისო ურთიერთობები).

პოსტმოდერნიზმის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს ერთადერთი, ობიექტური რეალობა, არამედ არსებობს გამოცდილებებისა და პერსპექტივების მრავალფეროვნება, რაც განსაზღვრავს და აადვილებს კატეგორიზაციას.

პოსტმოდერნიზმის თეორიის მიხედვით რეალიზმი ვერ ადასტურებს თავისივე პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებულ თეორიას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ცენტრალური აქტორები არიან, და რომ სახელმწიფოები მოქმედებენ როგორც უნიტარული აქტორები, რომელთაც ლოგიკური თანმიმდევრობის მქონე ობიექტური ინტერესები გააჩნიათ (და ამ ინტერესების განხორციელებისათვის იღწვიან ისინი საერთაშორისო ძალის პოლიტიკის საშუალებით).

პოსტმოდერნიზმის მკვლევარები რეალიზმის განხილვისას აღნიშნავენ, რომ რეალიზმში არაფერია ობიექტური და უნივერსალური სახელმწიფო ინტერესებთან მიმართებაში.

პოსტმოდერნიზმი საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებს სახელმწიფოების, **როგორც აქტორების ცნებას.** სახელმწიფოებს არ გააჩნიათ მატერიალური რეალობა; არამედ სახელმწიფოები "ფანტაზიის ნაყოფია" რასაც მოქალაქეები და ექსპერტები ქმნიან, რათა გავიგოთ ინდივიდუალური პირების ქმედებები.

პოსტმოდერნიზმის თეორიის მიხედვით სახელმწიფოების ქმედებებისა და პოლიტიკის შესახებ არსებული ისტორია სხვა არაფერია თუ არა ადამიანთა ფანტაზიის "შედევრი".

რეალიზმის მიერ შემოთავაზებული ცნების საპირისპიროდ (ცნება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები უნიტარული აქტორები

არიან) **პოსტმოდერნისტები გამოყოფენ რთული სტრუქტურის მქონე რეალობასა და გამოცდილებებს რაც რეალისტების მიერ "შეთხზული" ობიექტების (სახელმწიფოების) ქვეშ იმალება**. მაგალითად საბჭოთა კავშირი რეალისტების აზრით იყო ერთი აქტორი, რომელსაც თავისი ობიეტური ინტერესები გააჩნდა. ამავდროულად, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი მსოფლიოში მეორე მნიშვნელოვან აქტორად ითვლებოდა.

რეალისტები ფრიად გააკვირვა საბჭოთა კავშირის თხუთმეტ ნაწილად დაშლამ, რამაც ნათელჰყო, რომ "უნიტარულ სახელმწიფოს" – საბჭოთა კავშირს – თავისი ნიღბის ქვეშ მოქცეული ჰყავდა შემადგენელი რესპუბლიკების განსხვავებული გამოცდილებები, ეთნიკური ჯგუფები და ინდივიდუალური პირები.

პოსტმოდერნისტები, ისეთი კონსტრუქციების როგორიცაა სახელმწიფოები და საერთაშორისო სისტემა, აგრეთვე, რეალისტების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ შექმნილი თეორიებისა და მსჯელობების (დისკურსებისა და წერილობითი მასალების) განხილვით ცდილობენ მოახდინონ აღნიშნული კოსტრუქციების მრავალფეროვნების და მათში არსებული წინააღმდეგობების წარმოჩენა.

ამრიგად, პოსტმოდერნისტების მიზანია დაანგრიონ ის მოდელები რომელნიც საერთაშორისო ურთიერთობებს მარტივ ობიექტურ კატეგორიად წარმოაჩენენ. **პოსტმოდერნისტების მტკიცებით საერთაშორისო ურთიერთობებს ქმნის გამოცდილებათა მრავალფეროვნება რაც არ საჭიროებს გამარტივებასა და კატეგორიზაციას.**

კონსტრუქტივიზმი

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში კიდევ ერთმა ალტერნატიულმა მიდგომამ – კონსტრუქტივიზმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. კონსტრუქტივიზმს ვერ დავარქმევთ თეორიას, ის თავისი არსით უფრო საკითხთან დაკავშირებულ თეორიულ მიდგომად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

კონსტრუქტივიზმის იკვლევს თუ როგორ ადგენენ აქტორები ეროვნულ ინტერესებს და ამ ინტერესების განხორციელე-

ბის საფრთხეებს, აგრეთვე ინტერესთა და დადგენილ საფრთხეთა შორის არსებულ კავშირებს.

თუ რეალისტების კვლევის სფერო მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებია, **კონსტრუქტივიზმი უფრო ვრცელ სოციალურ ურთეირთობების კონტექსტშია მოქცეული**. ე.ი. კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართ განსაკუთრებული მიდგომაა, რომელშიც აქცენტი ამ ურთიერთობათა სოციალურ განზომილებაზეა გაკეთებული.

კონსტრუქტივისტულ კვლევა მრავალი მიმართულებებით შეიძლება წარიმართოს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მიმართულება იკვლევს თუ როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული სახელმწიფოების ინტერესები და მახასიათებლები, აგრეთვე თუ რა ფორმით ხდება სახელმწიფოს მახასიათებლების ფონზე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება.

კონსტრუქტივისტების აზრით, **ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირებისათვის მნიშვნელოვანია არა სამხედრო შესაძლებლობებისა და ინტერესების ფაქტორი, არამედ საკუთრივ მეტოქეების თვისობრივი მახასიათებლები. რომ სახელმწიფოს ინტერესები ხშირად დაკავშირებული არის სახელმწიფოთა შორის არსებულ ურთიერთობებთანაც.**

მათი მტკიცებით **დროთა განმავლობაში სახელმწიფოები ახდენენ ერთმანეთის კონცეპტუალიზირებას და შედეგად ქრება უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებული დილემა, შესაბამისად არ არსებობს გამალებული შეიარაღებისა თუ ანარქიული სისტემის სხვა ფაქტრების ზეგავლენის საშიშროება**. ამის საილუსტრაციოდ მათ მოჰყავთ ევროპის მაგალითი, როგორც კონტინენტისა, რომელმაც იწვნია მეოცე საუკუნის პირველი ნახევარში ორი მსოფლიო ომის მძიმე შედეგები. გასული საუკუნის მიწურულს ომის საშიშროებაზე ევროპაში უკვე არ ფიქრობენ. ევროპული მახასიათებლები ამჟამად მჭიდროდაა შერწყმული ევროგაერთიანებასთან, და არა ულმობელ ნაციონალიზმთან, რომელიც მძვინვარებდა ევროპაში ორივე მსოფლიო ომის დროს.

კონსრუქტივიზმი აღნიშნული ცვლილებების ახსნას ეძებს არა ძალის პოლიტიკის, ანარქიისა და სამხედრო ძალების სფეროში, არამედ მისთვის უფრო მისაღებია მოვლენების განიხილვა **უწყებების, სახელმწიფო წყობისა და ნორმების ფარგლებში მიმ-**

დინარე ცვლილებების ფონზე, რაშიც მნიშვნელოვანია გარკვეული ინსტიტუტები და ნორმები. კონსტრუქტივიზმი გულისხმობს, რომ ინსტიტუტები მუდმივად იცვლება და ეს ხდება სახელმწიფოთა და საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა მონაწილეთა ქმედების შედეგად. ინსტიტუტები და მოქმედი პირები ურთიერთგანამპირობებლნი არიან.

კონსტრუქტივისტების შეხედულებით საერთაშორისო ინსტიტუტებს ერთსა და იმავე დროს აქვთ მარეგულირებელი და „კონსტიტუციური" ფუნქციები. მარეგულირებელი ნორმები განსაზღვრავენ საერთაშორისო ქცევის ძირითად წესებს, ხოლო კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავენ საკუთრივ ქცევას და მას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს კი აუცილებელია რათა საერთაშორისო არენაზე მოთამაშეებმა აზრიანად უპასუხონ ერთმანეთის სვლებს.

მათი აზრით სახელმწიფოებს ბევრი საერთო აქვთ და ამის გამოა, რომ მათი ზოგადი მიზნებიც ანალოგიურია (უსაფრთხოება, პრესტიჟი, ეკონომიკური განვითარება და ა.შ.). მაგრამ ის თუ როგორ აღწევენ ამას ეს დამოკიდებულია მათ სოციალურ გამოცდილებასა და იდენტურობაზე, ე.ი. როგორ ხედავენ ისინი საკუთარ თავს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სხვა მონაწილეებთან მიმართებით. მათი მტკიცებით **სახელმწიფოები ისწრაფვიან მოიპოვონ მათთვის სასურველი სტატუსი და რეპუტაცია, რაც თავის მხრივ სოციალური და არამატერიალურია.** მაგალითისათვის, შვეიცარიამ აირჩია ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი და თავისი წყობიდან გამომდინარე არ გაწევრიანებულა ევროკავშირსა და ნატოში. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებას, შვეიცარია ორგანიზაციაში მხოლოდ 2002 წელს შევიდა. ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი შვეიცარიას პრესტიჟსა და სიძლიერეს ანიჭებს – ეს რა თქმა უნდა არ ანიჭებს მას მატერიალურ სიძლიერეს, მაგრამ აძლევს საერთაშორისო საკითხებში ჩარევის ნორმატიულ უფლებამოსილებას. ამის მსგავსად შეიძლება მოვიყვანოთ კანადის მაგალითიც. კანადის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს საკუთარი თვითმყოფადობიდან გამომდინარე ინტერესების იმპერატიულობა და ქმედებათა საზღვრები.

კონსტრუქტივისტული კვლევის კიდევ ერთი სფეროა საერთაშორისო ნორმები და მათი გავლენა სახელმწიფოს ქმედებებზე.

კონსტრუქტივიზმი ადეკვატური ქცევის პოსტულატით ხელ-მძღვანელობს. მაგ., ჰუმანიტარული ინტერვენციის დროს – ანუ სახელმწიფოს ან სახელწიფოების მიერ განხორციელებული სამ-ხედრო ინტერვენცია რომელიც მიმართულია სხვა ქვეყნის მოქა-ლაქეებისა და საკუთრების დაცვისაკენ – რთულია ავხსნათ რეა-ლისტური ან თუნდაც ლიბერალური ნორმების მიხედვით.

კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით ჰუმანიტარული ინტერვენცია განაპირობა ნორმებმა, რომლის მიხედვით აუცილე-ბელია საფრთხეში მყოფი ხალხის დაცვა. დეკოლონიზაციის პრო-ცესის დაწყებასთან ერთად თვითგამორკვევისა და ადამიანთა უფ-ლებების დაცვის პრინციპებმა წინა პლანზე წამოიწია და ჰუმანი-ტარული ინტერვენიცის მასშტაბებიც შესაბამისად გაიზარდა.

კონსტრუქტივისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ ლათინუ-რი ამერიკის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა საერ-თაშორისო ნორმებთან დაკავშირებით მიიღეს ან შეცვალეს არსე-ბული პოლიტიკა არა იმიტომ რომ ამით დიდ სარგებელს მიიღებ-დნენ, არამედ მათი ქმედება არსებული სიტუაციიდან გამომდინა-რე იყო. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ტემპით და-იწყეს მეცნიერების ბიუროკრატიზმის ჩამოყალიბება და სამ-ხედრო ძალების ტექნოლოგიური საშუალებების მოდერნიზაცია.

კონსტრუქტივისტების აზრით განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიზანია ისინი აღიარონ საერთაშორისო სისტემის “თანამედროვედ” და აქედან გამომდინარე არ იშურებენ თავიანთ მწირე ბიუჯეტს მეცნიერებისა და სამხედრო ძალების განვითარე-ბისათვის.

ცნობილია, რომ ,,თანამედროვე” სახელმწიფოებს გააჩნიათ მეცნიერული ბიუროკრატიული ინსტიტუტები და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამხედრო ძალები. პარადოქსალუ-რია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის ქვეყნები, სადაც სამეცნიე-რო ბიუროკრატიული ინსტიტუტები ყალიბდება მეცნიერთა სიმ-რავლით არ გამოირჩევიან და მაღალტექნოლოგიური საშუალებე-ბით აღჭურვილი სამხედრო ძალების მქონე ქვეყნებს მტრები თით-ქმის არა ჰყავთ. კონსტრუქტივისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნორმებისა და ინდივიდუალური მახასიათებლების საშუალე-ბითაა შესაძლებელი ამ პარადოქსური ქცევის ახსნა.

როგორ არის აღნიშნული საერთაშორისო ნორმები გავრცელებული მთელს მსოფლიოში? გლობალური კომუნიკაციისა და გაიოლებული ტრანპორტირების ეპოქაში ამისათვის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. კონსტრუქტივისტების აზრით ნორმებს ავრცელებენ აქტორების სხვადასხვა ჯგუფები. ინდივიდუალური პირების, სოციალური მოძრაობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო ნორმების გავრცელების საქმეში. მაგალითად, ანტიაპარტეიდულმა მოძრაობამ რასობრივი თანასწორობის გლობალური ნორმების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. სხვათა მტკიცებით, საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო და ნატო, ავრცელებენ ნორმებს რისი მიხედვით შეიძლება განისაზღვროს თუ რა არის მისაღები და მიუღებელი ქცევა. თითოეულ შემთხვევაში სახელმწიფოს ქცევას მიმართულებას აძლევს ახალი იდეები და ნორმები და არა მხოლოდ ძალისა და საკუთარი ინტრესების განხორციელების მიზანი.

ამრიგად, თეორიული დებატები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ფუნდამენტურია, თუმცა გადაუჭრელი. ამ უკანასკნელი მიზეზის გამო საერთაშორისო ურთიერთობების სფერო მუდმივი მოლოდინისა და შფოთვის მდგომარეობაშია, რათა დადგინდეს სწრაფად ცვალებადი მსოფლიოს კანონზომიერებანი, სადაც ძველი იდეები ნაკლებად ეფექტურია. სართაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა მომავალი თაობა – დღევანდელი სტუდენტები – უკეთ გააანალიზებენ მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალების მუშაობას.

თემა 2

საერთაშორისო სისტემა და საზოგადოება

საერთაშორისო სისტემის არსი

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სისტემა მნიშვნელოვანი და ცნობილი ფენომენია. მისი კონცეფცია გამომდინარეობს სისტემური ანალიზიდან. საერთოდ სისტემას უწოდებენ ელემენტთა სიმრავლეს, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში და ურთიერთქმედებაში ქმნიან მთლიანობას და ერთიანობას.

თანამდეროვე საერთაშორისო სისტემა თავისი არსებობის 500 წელს ითვლის. მანამდე ხალხი ცხოვრობდა უფრო შერეული ტიპის, ინტეგრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებში, როგორიცაა: ქალაქ-სახელმწიფოები, იმპერიები და ფეოდალური სამფლობელოები. 1648 წლის ვესტფალიის ზავმა დააფუძნა სუვერენიტეტის ცნება, რომელიც არსებითად ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფოს მმართველი არ აღირებდა თავისზე მაღლა ან თავის სწორ ხელისუფალს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც.

კლასიკური ბერძენი ან რომელი ხელისუფლის ტიპი შეიძლება ჯდებოდეს ვესტფალიის სისტემის ჩარჩოში, მაგრამ იგი აშკარად მოკლებულია სუვერენიტეტს. ვესტფალიის ზავმა ხელი შეუწყო ერი-სახელმწიფოს აღმავლობას, დიპლომატიის და არმიის ინსტიტუციონალიზაციას. ეს განსაკუთრებული ევროპული სისტემა კოლონიალიზმის შედეგად გავრცელდა სხვა კონტინენტებზეც.

საერთაშორისო სისტემა საბოლოდ ჩამოყალიბდა დეკოლონიზაციის შემდეგ ცივი ომის პერიოდში. ეს სისტემა შედგება უმთავრესად სუვერენული პოლიტიკური ერთეულებისაგან, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ სხვადასხვა სიხშირით და სიმძაფრით საერთაშორისო ურთიერთობათა რამდენადმე მოწესრიგებული პროცესის ჩარჩოებში.

საერთაშორისო სამართალში ბატონობს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, რომლის თანახმად ყველა სახელმწიფოს ერთნაირი უფლებები და მოვალეობები აქვს და არც

ერთ ძლიერ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, სუსტს თავს მოახვიოს თავისის ბატონობა ან პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენოს საკუთარი თავი. თუმცა საერთაშორისო პრაქტიკიდან ისიც ცნობილია, რომ **იურიდიული თანასწორობა სულაც არ ნიშნავს სახელმწიფოთა პოლიტიკურ თანასწორობას.** აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემაში შეიძლება გაბატონდეს ერთი რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ბლოკი, რომლებსაც შეუძლიათ არა მხოლოდ თავს მოახვიონ მთელ სისტემას თამაშის წესები, არამედ გამოიწვიონ მასში გარკვეული სერიოზული ცვლილებებიც.

საერთაშორისო არენაზე პოლიტკური ურთიერთობები განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოებს შორის ისეთი ურთიერთობები რომლის დროსაც ხორციელდება მათი ინტერესები. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც არსებობს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკის საგანს, უფრო სწრედ კი საგარეო პოლიტიკის, რომელიც აისახება მისი განხორციელების და მექანიზმების შემუშავების პროცესში. იმავდროულად იგი იძენს პოლიტიკურ ხასიათს და ხორცს ისხამს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში. ვინაიდან საგარეო პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფოები აწარმოებენ, სისტემის ელემენტებს შორის კავშირების ფორმაა, რომლის ხასიათი, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს სისტემის ხასიათს. საერთაშორისო სისტემის ხასიათზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მისი ძირითადი ელემენტების (უმთავრესი სახელმწიფოების) საგარეო-პოლიტიკური მიზნები და ორიენტაციები. კერძოდ, სუპერსახელმწიფოების ურთიერთობებმა შეიძლება საერთოდ შეცვალოს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა.

საერთაშორისო სისტემა მოიცავს იმ მოქმედ პირებს-სახელმწიფოებს, რომელთა ქმედებები და საპასუხო ქმედებები საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას ანგარიშგასაწევია დანარჩენების მიერ, რადგან საერთაშორისო სისტემა ის ასპარეზია, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება სახელმწიფოთა ურთიერთშეფასება და ურთიერთდამოკიდებული გადაწყვეტილებების მიღება.

საერთაშორისო სისტემაში გამოიყოფა ორი ძირითადი - ფუნდამენტი სისტემური პროცესი - კონფლიქტი და თანამ-

შრომლობა, რომლებიც ფაქტობრივად განსაზღვრავენ სისტემის ხასიათს, ხოლო სახელმწიფოების ქმედება თითქოს რეაგირებაა ამ „წინასწარ მოცემულ“ პროცესებზე. აღნიშნული პროცესებისა და, საერთოდ, საერთაშორისო სისტემის სათანადო რეგულირების მიზნით იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციები, მუშავდება საერთაშორისო სამართლის ნორმები და ა.შ.

ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი მოვლენა, იმდენად წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის პოლიტიკური ურთიერთობის ობიექტს, რამდენადაც იგი შეესაბამება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ინტერესებს. იგი განსახიერდება საგარეო პოლიტიკურ მიზანში და საგარეო პოლიტიკურ მოქმედებებში.

ამრიგად სისტემა არის სხვადახვა ურთიერთკავშირში მყოფი ნაწილების ერთობა, რომელსაც კონკრეტული ფორმა აქვს მიღებული. სისტემებს გააჩნიათ დამახასიათებელი პრინციპები, როგორიცაა იერარქია (საშინაო პოლიტიკაში) და ანარქია (საერთაშორისო პოლიტიკაში).

საერთაშორისო სისტემის განსაზღვრება და ცნებები

საერთაშორისო სისტემა არის მსოფლიო სახელმწიფოებს შორის არსებული დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც მოქცეულია გარკვეული ურთიერთობებისა და წესების ჩარჩოში. არსებობს ურთიერთობების ექსპლიციტური (პირდაპირი) და იმპლიციტური (კონტექსტუალური) წესები. მათში მოიაზრება ისეთი საკითხები, როგორიცაა, სისტემაში გაწევრიანება, წევრების უფლებები და მოვალეობები, და ა.შ. შესაბამისად, საერთაშორისო სისტემა მოიცავს გარკვეული წესების, ნორმებისა და პროცედურების ნაკრებს, რის საფუძველზეც ხდება აქტორების მისწრაფებების თანხვედრა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემაში ჩართული მხარეებს აქვთ მსგავსი იდეები იმის შესახებ თუ რა წესებით შეიძლება დარეგულირდეს მათი ერთობლივი მონაწილეობა. თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ სისტემის მონაწილეები ერთნაირი წესებით მოქმედებენ.

სისტემის შესახებ წარმოდგენა კი დაკავშირებულია ცნებებთან: **ელემენტი, მთლიანობა, სტრუქტურა, კავშირი, იერარქია, ქვესისტემა**.

საერთაშორისო სისტემა გულისხმობს გარკვეულ ელემენტებს და მათ შორის ურთიერთკავშირებს. საერთაშორისო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანეს როლს სახელმწიფოები თამაშობენ. ისინი იურიდიულად თანასწორნი არიან, ე.ი. თანაბარია საერთაშორისო სამართლის წინაშე.

სისტემა, რომლის შემადგენელი ელემენტებია საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტები (პირველ რიგში, სახელმწიფოები). ამ სუბიექტებს შორის დამოკიდებულებისა და ურთიერთობათა ხარისხი და თავისებურებანი განსაზღვრავენ კიდევაც მთელი სისტემის ხასიათს. თვითონ ტერმინი ხაზს უსვამს იმას, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათი, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების ერთმანეთზე დამოკიდებულების დონე ისეთი მჭიდრო და ურთიერთგანმსაზღვრელია, რომ აკმაყოფილებს პირობას, იწოდებოდეს საერთაშორისო სისტემად.

ელემენტის კუთხით საერთაშორისო სისტემას **სამი თავისებურება ახასიათებს**. პირველი ის რომ იგი შედგება არაერთნაირი, **„არატოლფასოვანი" ერთეულებისაგან**. მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სისტემის შემადგენელი ელემენტები **რეგულარულ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან**. მესამე თავისებურება მდგომარეობს ამ სისტემის **„მართვის" ხასიათში**. ეს უკანასკნელი მით უფრო საინტერესოა, ვინაიდან ანარქიულ საერთაშორისო სისტემას და მაშასადამე, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ახასიათებს წესრიგის საკმაოდ მაღალი „დონე" და სისტემა „აკონტროლებს" სახელმწიფოთა ქმედებებს უზენაესი მმართველი ორგანოს არარსებობის პირობებში.

საერთაშორისო ურთიერთობებს სისტემური ხასიათი აქვს და სხვადასხვა ტიპის ქვესისტემათა ერთობლიობას წარმოადგენს. საერთაშორისო სისტემა რთული, ჩაკეტილი სისტემაა. თითოეული მისი ელემენტი, თავის მხრივ, სისტემას წარმოადგენს. მაგალითად, სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემის ელემენტებია, მაგრამ სახელმწიფო თვითონ არის სისტემა, რომელშიც სხვადას-

ხვა ჯგუფები თუ ინტერესები ქვესისტემებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. საგარეო პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფოები აწარმოებენ, სისტემის ელემენტებს შორის კავშირების ფორმაა, რომლის ხასიათი, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს სისტემის ხასიათს. საერთაშორისო სისტემის ხასიათზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მისი ძირითადი ელემენტების (უმთავრესი სახელმწიფოების) საგარეო-პოლიტიკური მიზნები და ორიენტაციები. კერძოდ, სუპერსახელმწიფოების ურთიერთობებმა შეიძლება საერთოდ შეცვალოს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის **სტრუქტურა** ეს არის მასში შემავალ სახელმწოფოებსა და სხვა აქტორებს შორის სისტემის ფუნქციონირების და განვითარების პროცესში კანონზომიერად წარმოქმნილი განსაკუთრებული კავშირის საშულება.

ვინაიდან სისტემის შემადგენელი ელემენტები ურთიერთდამოკიდებულნი არიან და ფუნქციონირებენ ურთიერთქმედების მეშვეობით, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ავლენს ამ ელემენტებს შორის იმ კავშირებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის სტაბილურობას. რაც უფრო დიდია ურთიერთდამოკიდებულება, მით უფრო მეტია და ინტენსიურია ურთიერთქმედება. ამ შემთხვევასი სისტემა კიდევ უფრო რთული ხდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი აქვს არესებულ კავშირებს და მოცემულ ისტორიულ პერიოდში ზესახელმწოფოებს შორის ურთიერთობების ხასიათს.

სარაკეტო-ბირთვული იარაღის შექმნის და რეალურ, გლობალურ მასშტაბებამდე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის გაფართოებასთან ერთად, სისტემის სტრუქტურა საკუთრივ განისაზღვრება ზესახელმწიფოების არსებული რაოდენობის და მათ შორის ძალთა ურთიერგავლენის მიხედვით.

საერთაშორისო სისტემაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ძალის, ძალაუფლების დანაწილების ხასიათი სახელმწიფოთა ან მათ კოლაიციებს შორის. ყოველ საერთაშორისო სისტემაში გაბატონებული, უძლიერესი სახელმწიფოები განსაზღვრავენ სისტემის **იერაქიულობასა** და მის შემადგენელ ნაწილებს (სახელმწიფოებს) შორის ურთიერთობათა ხასიათს.

საერთაშორისო სისტემის ძირითადი მონაწილეებს შორის ურთიერთობების განსაზღვრული ხასიათი თავსდება ისტორიული

განვითარების გარკვეულ პერიოდებში. ეს ურთიერთობები თითეულ პერიოდში იძენს განსაკუთრებულ სტრუქტურის სახეს, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების ანუ საერთაშორისო სისტემის ამა თუ იმ ტიპს.

საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს, თუ როგორი ხასიათის ურთიერთქმედება შეიძლება იყოს სისტემის შემადგენელ ნაწილებს შორის. საერთაშორისო სისტემა ცენტრალიზირებული და იერარქული არ არის. ამ სისტემის შემადგენელი ნაწილები ფორმალურად არ იყოფა „მბრძანებლებად" და „მორჩილებად" _ ყველა თანასწორია და არ არსებობს უზენაესი ხლისუფლება.

საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ყოველთვის ოლიგოპოლური ხასიათისაა და ყოველ მოცემულ პერიოდში წამყვანი მონაწილეები უფრო მეტად განსაზღვრავენ სისტემის ხასიათს, ვიდრე თავად სისტემა განსაზღვრავს მათ ქმედებებს. სისტემაში გაბატონებული სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად ცდილობენ მასზე კონტროლი დაამყარონ.

სტრუქტურის მიხედვით ასევე გამოყოფენ საერთაშორისო სისტემის სხვადასხვა ტიპს. ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია ძალოვანი დამოკიდებულება სახელმწიფოებს შორის. ამ თვალსაზრისით კ. ჰოლსტი საერთაშორისო სისტემის ხუთ ტიპს გამოყოფს. (იერარქიული, დიფუზური, დიფუზიურ-ბლოკური, ერთპოლუსიანი, მრავალპოლუსიანი), მ. კაპლანი კი - ექვსს (იერარქიული, რბილი ბიპოლარული, ხისტი ბიპოლარული, უნივერსალური, ძალთა წონასწორობისა, ერთეული ვეტოს); მკვლევართა უმრავლესობის აზრით, პრაქტიკაში არსებითად თავს იჩენს მხოლოდ ორი ტიპი: 1) რბილი ბიპოლარული (ორ პოლუსად დაყოფილი მსოფლიო, სადაც ქვეყნების გარკვეული ჯგუფი შეიძლება შედარებით დამოუკიდებელი იყოს და არც ერთ პოლუსს არ მიეკუთვნებოდეს) და 2) ძალთა წონასწორობისა, სადაც რამდენიმე პოლუსს შორის ძალთა გადანაწილება განაპირობებს სტაბილურობასა და ამის შესაბამისად სისტემის მდგრადობას.

ჩვეულებრივ პოლიტიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ორ ტიპს _ ***მულტიპოლარული და ბიპოლარული***. თუმცა არის კიდევ ერთი ტიპი - პოლა-

რული. კლასიფიკაციის საფუძველია _ სტრუქტურაში ზესახელმწიფოების რაოდენობა. რამდენადაც საერთაშორისო ურთიერთობის სისტემამ დიდიხანია მიიღო საყოველთაო, გლობალური ხასიათი, რომელიც აერთიანებს ასობით სახელმწიფოს და არც თუ მცირერიცხოვან არასახელმწიფოებრივ აქტორებს, ამიტომ მასში საფუძვლიანად გამოყოფენ ,,ქვესისტემებს" _ რეგიონალურ და ლოკალურ დონეებზე. თითეულ ახალ ქვესისტემას აქვს ასევე საკუთრი სტრუქტურა, რომელიც მთლიანობაში დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე.

ქვესისტემას, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებლ კომპლექსს შესაბამისად აქვს ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე: **საკუთრივ ქვესისტემური და საერთო სისტემური.** ქვესისტემური ურთიერთობების მხარე ხასიათდება მასში შემავალ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების მაღალი ხარისხის განვითარებითა და მათი საგარეო პოლიტიკის დეტერმინირებით. საერთო სისტემურმა ურთიერთობებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის კურსზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის გლობალურად გარდაქმნასთან ერთად ძლიერდება ქვესისტემების ურთიერთობების ფუნქციონალური დამოკიდებულება საერთო სისტემურ ურთიერთობებთან, ანუ გლობალურ დონეზე ძალთა ურთიერთობებსა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთგავლენის და ვითარების ხასიათზე.

საერთაშორისო სისტემის დონე

გამოყოფენ საერთაშორისო სისტემის რამდენიმე დონეს: **1. გლობალური; 2. რეგიონალური; 3. სუბრეგიონალური; 4. საერთაშორისო-სიტუაციური; 5. ჯგუფური; 6. ორმმხვრივი.**

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში პირველი სამი დონის გამოყოფა ხდება გეოპოლიტიკური მიდგომის საფუძვეზე და განისაზღვრება სივრცითი ფაქტორების შედეგად. ბოლო სამი კი შეიძლება გამოიყოს, როგორც გლობალურ და რეგიონალურ, ისე სუბრეგიონალურ დონეებზე.

საერთაშორისო ურთიერთობების ***გლობალური დონე*** მოიცავს კაცობრიობის ცივილიზაციის სოციალური და ეკონომიკური განვითარების, მსოფლიო პოლიტიკის საერთო პრობლემებს. ვერც ერთი საერთაშორისო ურთიერთობების აქტორი ვერ უგუვებელყოფს პრობლემების გლობალურ ხასიათს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გადაწყვეტაში მათი უშუალო მონაწილოება შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. რაც უფრო დიდია სახელმწიფო თავისი ზომის და შესაძლებლობების მიხედვით, მით უფრო მაღალია მისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი, და უფრო ჩაბმულია გლობალურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში.

რეგიონალური დონის ანალიზის დროს მნიშვნელოვანი როლი ექცევა ,,**საერთაშორისო პოლიტიკური რეგიონის კატეგორიას".** ეს ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობის ქვესისტემის გამოყოფას. იგი მოწყობილია მსხვილ გეოგრაფიულ ზონაში. მაგრამ გეოგრაფიული ფაქტორი არ წარმოადგენს ამოსავალ წერტილს საერთაშორისო პოლიტიკური რეგიონის გამოყოფაში. **მის საფუძვლად მოიაზრება ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ურთიერთობები**. რეგიონის გეოგრაფიული საზღვრები შეიძლება შეიცვალოს ამ ურთიერთობების დონეებზე დამოკიდებულებით, ან სხვა ფაქტორების გავლენის შედეგად. მაგ., რელიგიური და პოლიტიკური ხასიათის ფაქტორები. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ: რამდემინე ათეული წლის მანძილზე მიღებული იყო აღმოსავლეთ ევროპის ცალკე საერთაშორისო პოლიტიკურ რეგიონად გამოყოფა. მასში მოიაზრებოდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, რომლების მოთავსებული იყო საბჭოთა კავშირს და დასავლეთ ევროპას შორის. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაცემის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეუერთდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ხოლო დანარჩენი ქვეყნები სულ უფრო მეტად ექცევა ახალ სახელწოდებაში _ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სახელწოდების ქვეშ. ზოგჯერ მასში აქცევენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანას.

რეგიონულ და სუბრეგიონულ დონეებს შორის განსხვავება ყოველთვის დამოკიდებულია გარკვეულ თავისებურებებზე. ერთ შემთხვევაში ესა თუ ის გეოგრაფიული ზონა შეიძლება იყოს ,,რე-

გიონული", ხოლო მეორე შემთხვევაში სუბრეგიონული. ***სუბრეგიონი წარმოადგენს რეგიონის ნაწილს და თავისთავად ქმნის სახელმწიფოების ლოკალურ ჯგუფს ბევრად უფრო მჭიდრო ურთიერთობებით.*** ურთიერთობების მიხედვით მას აქვს თავისი სპეციფიკა მთელი რეგიონისათვის. მაგ., ზემოთ ნახსები აღმოსავლეთ ევროპა იყო სუბრეგიონი ევროპის რეგიონის ფარგლებში, ისევე როგორც ეს არის სპარსეთის ყურის სუბრეგიონის მაგალითი ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში. ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონის და სუბრეგიონის საზღვრები კვეთენ ერთმანეთს. მაგალითად, სამხრეთ ევროპის ქვეყნები წარმოადგენენ სუბრეგიონს ევროპის რეგიონის ჩარჩოებში და, ამავე დროს. ის შედის ხმელთაშუაზღვის სუბრეგიონის ფარგლებშიც, რომელშიც ასევ ჩართულია ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები.

საერთაშორისო სიტუაციური დონე კი შეიძლება გამოვლინდეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სისტემის ნებისმიერ სტრუქტურულ დონეზე. მისი მთავარი **განმასხვავებელი თვისება ეს არის კონკრეტული საერთაშორისო-პოლიტიკური სიტუაციის არსებობა**, რომელიც ქმნის პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და სხვა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების განსაკუთრებულ კვანძს. ტიპიური მაგალითია, საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციები _ საერთაშორისო კონფლიქტები.

საერთაშორისო ურთიერთობების რეგიონალური და სუბრეგიონალური დონეები თავის ბუნებით წარმოადგენს ჯგუფური ურთიერთობების დონესაც. მაგრამ, განსაკუთრებული ჯგუფური დონე შეიძლება გამოიყოს თითეული რეგიონის და სუბრეგიონის შიგნითაც. მაგ., გლობალურ დონეზე ჯგუფური ურთიერთობების მაგალითად შეიძლება დასახელდეს სტრატეგიული ,,სამმხვრივი" ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ცივი ომის დამამთავრებელ ეტაპზე.

ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო პოლიტიკის გლობალური დონე დაკავშირებული იყო ორმხვრივ მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობებზეც. ორმხვრივი ურთიერთობები რეგიონალურ და სუბრეგიონალურ დონეებზე წარმოადგენს ბევრად უფრო ფართო და სხვადასხვა სახის ურთიერთობებს.

საერთაშორისო სისტემა და ძალთა ბალანსი

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური ფუნქციონირების ძირითად კანონად, როგორც ნებისმიერი სხვა სისტემის, გველინება **დინამიკური თანასწორობის დაცვის კანონი**. სახელმწიფოებს, როგორც ნებისმიერი საერთაშორისო სისტემის ძირითადი აქტორებს, შორის არსებული **განსაზღვრული პოლიტიკური წონასწორობა წარმოადგენს ძირითად წინაპირობას მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის**.

მართალია სისტემა იმყოფება დინამიურ წონასწორობაში, მაგრამ წონასწორობა სახელმწოფოებს შორის მუდმივად ირღვევა, შემდეგ კი ისევ აღდეგება ახალ საფუძველზე, და ისევ ირღვევა და ასე გრძელდება დაუსრულებლად. ეს ხდება იმიტომ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მოქმედებს სხვადასხვა წინააღმდეგობრივი ძლები, რომლებიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უთანაბრდებიან ერთმანეთს.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მთელი ისტორიული არსებობა ეკუთვნის სტიქიურად მარეგულირებელი მექანიზმების სისტემის კლასს. ეს განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერ, დღემდე არსებულ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ერთიანი მარგულირებელი ცენტრი.

სისტემის თანასწორობა მიიღწევა სახელმწიფოების პოლიტიკური შეჯახების შედეგად. იგი დევნის სახელმწიფოთა იმ საკუთარ ინტერესებს, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა სხვა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. ამ შეჯახების არენაზე გზას იკაფავს დინამიური თანასწორობის კანონი.

საერთაშორისო სისტემის დინამიური თანასწორობის კანონი კონკრეტული ისტორიულ ვითარებაში შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით. ისტორიულად, ყოველთვის ბევრად უფრო გავრცელებული იყო ***ძალის ბალანსის ფორმა***. ძალის ბალანსი ***საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთი უნივერსალური კანონზომიერებაა***. ,,ძალები" შეიძლება იყოს მხოლოდ სისტემური ურთიერთობების კატეგორია, რომელიც თავის მხრივ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ძალთა ურთიერ-

თობები. ***ძალთა ურთიერთობები კი, თავის მხვრივ, ქმნის საერთაშორისო პლიტიკის ისეთ აუცილებელ ფენომენს როგორიცაა ძალის ბალანსი.***

ძალთა ბალანსი ან **ძალთა წონასწორობა** — ერთ–ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. ამის აუცილებელი პირობა კი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობაა. თავიანთი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ერთად მოქმედებენ ხოლმე, რათა დაუპირისპირდნენ იმ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს), რომელიც საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს. ამგვარად, საერთაშორისო სისტემა დაყოფილია სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და მათ შორის არსებული ძალთა ბალანსი (წონასწორობა) არის მშვიდობისა და წესრიგის მთავარი გარანტია საერთაშორისო სისტემაში, ამ სისტემის მდგრადობის ძირითადი პირობა. ხელსაყრელ შემთხვევაში სახელმწიფოები თავიანთი სურვილით აყალიბებენ კავშირს, რომელიც იცავს თითოეული მათგანის ეროვნულ ინტერესებს, ამასთან, არ არის მათი უფლებების შემლახველი. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო თავისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით იძულებულია მიეტმასნოს დომინანტ სახელმწიფოს, რაც ხშირად ეროვნული ინტერესების ნაწილის დათმობას იწვევს.

ძალის ბალანსის პრინციპი, როგორც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოების მოქმედების დაუწერელი კანონი, სათავეს იღებს ძველი ეპოქებიდან. მაშინ, როცა სახელმწიფოები ჩაბმული იყვნენ ძალაუფლების და გავლენისათვის ბრძიოლაში. მათ შორის ურთიერთობები აგებული იყო ძალის ბალანსის პრინციპზე. ნებისმიერი სახელმწიფო თუკი ის არ აწყდებოდა არავითარ წინააღმდეგობას, ბუნებრივია მიისწრაფვოდა თავისი გავლენის გაფართოე-

ბისათვის ვრცელ ტერიტორიებზე, რომელსაც ის უნარიანდ იპ-ყრობდა და მართავდა პრაქტიკაში.

თუმცა წინააღმდეგობა აუცილებლად არსებობდა, და ეს უპირველს ყოვლისა მეორე სახელმწიფო იყო, რომელიც ასევე მი-ისწრაფვოდა თავისი გავლენა გაევრცელებინა სხვებზე. ყოველივე ეს კი ქმნიდა სხვადასხვა ინტერესების და მისწარფებების შეჯახე-ბას, რომელშიც გადამწყვეტ როლს სახელმწიფო ძალები თამაშობ-და.

რადგანაც სახელმწიფოს სიდიდე შედარებითია, ნებისმიერი ერთი სხელმწიფოს ძალის გაზრდას მივყავართ მისი მოწინაარმდე-გის ძალების შესუსტებისაკენ. თვით ძალა არაკანონზომიერად იც-ველება სივრცის დროსაც, ხოლო ცვლილება კი დამოკიდებულია ბევრ მიზეზე. ამ მიზეზების მიხედვით, თითეულ სისტემაში სახელ-მწიფოები აუცილებლად აყალიბებენ ურთიერთობებს ძალის ბა-ლანსის პრინციპის მოქმედების ჩარჩოებში. თუკი სამი სახელმწი-ფო მჭიდროდ შევა ერთმანეთში კონტაქტით, იმთავითვე შეიქმნება პირობები ამ პრინციპის მოქმედებისათვის. წარმოვიდგინოთ, რომ არის სამი სახელმწიფოსაგან _ A, B, C შემდგარი სისტემა. ერთ ერ-თი მათგანის გაძლიერებას აუცილებლად ექნება გავლენა დანარ-ჩენი სახელმწიფოების ძალების მდგომარეობაზე. მაგალითად, სა-ხელმწიფო A დაიპყრობს სახელმწიფო B-ს ან მხოლოდ მისი ტერი-ტორიის ნაწილს, მაშინ ამ მოქმედებას იმთავითვე ექნება არასა-სურველი გავლენა სახელმწიფო C–ზე. ვინაიდან სახელმწიფო A-მ თავისი ძალა გაზარდა სახელმწიფო B ხარჯზე და იმყოფება კარგ მდგომარეობაში, ვიდრე ადრე. თუკი სახელმწიფო C ხელმძღვანე-ლობა ჭკვიანია, მან აუცილებლად უნდა განჭვრიტოს და დახმარე-ბა გაუწიოს სახელმწიფო B-ს, არა იმიტომ რომ მის მიმართ სიმპა-ტიებს განიცდის, ან ზრუნავს მის მომავალზე, არამედ საკუთრი ინტერესებიდან გამომდინარე: არ დაუშვას მისთვის საშიში A სა-ხელმწიფოს ძალის გაძლიერება. შექმნილ ვითარებაში B და C სახელმწიფოების საერთო ინტერესები წინააღმდეგობაშია A სა-ხელმწიფოსთან, რადგან თითეული მათგანი ათვითცნობიერებს, რომ A სახელმწიფოს ძალის გაძლიერება ქმნის პოტენციურ საფ-რთხეს მათი არსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოების ამ ჰიპოტეზური სისტემის თითეული ერთეულიდან ორი მაინც უნდა დაუახლოვდეს ერთმნეთს თუკი მესამე სახელმწიფოდან საფრთხის ნიშნები გაჩნდება. თუკი ამ პრინციპს დაიცავს ყველა სამივე სახელმწიფო, მაშინ ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს ზიანი მიაყენოს ერთმანეთს. ამიტომაც თავისი ელემენტარული ფორმით ძალთა ბალანსი განკუთვნილია, არ მხოლოდ იმისათვის რომ შენარჩუნებულ იქნეს მშვიდობა, ან ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთაგაგებას, არამედ ის ასევე ემსახურება დაიცვას თითეული ერთეულის დამოუკიდებლობა სახელმფიფოთა ანარქიულ სისტემაში, არ დაუშვას რომელიმე მათგანის ძალის გაძლიერება იმ დონემდე, რომ მან საფრთხე შეუქმნას სხვებს.

ამრიგად, **ძალთა ბალანსი გულისხმობს ძალთა გაერთიანებით ომის თავიდან აცილებას და სისტემის შენარჩუნებას.** საერთაშორისო ურთიერთობების ძალთა ბალანსისი კონცეფცია გამოდის პოლარობის ცნებიდან. იგი აღნიშნავს ძალთა განაწილებას საერთაშორისო სიტემაში. **პოლარობის კონცეფცია** წარმოიშვა ცივი ომის პერიოდში როდესაც არსებობდა ბიპოლარული სისტემა, ანუ დაპირისპირება ორ სუპერსახელმწიფოს შორის.

ჰეგომონური სტაბილურობის თეორია

ჰეგომონური სტაბილურობის თეორია ემყარება პოლარობის ცნებას, უფრო ზუსტად კი უნიპოლაურულ მდგომარეობას. ჰეგომონია არის ძალთა უპირატესობა ერთი პოლუსის სასარგებლოდ საერთაშორისო სისტემაში. ამ თეორიის მიხედვით ესაა სტაბილური კონფიგურაცია, რადგან დომინანტური და არადომინატური ძალები ერთმნიშვნელოვნად იგებენ ამ მდგომარეობით.

ასეთ პირობებში სისტემის მუშაობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ძალაზე. როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, სისტმები უფრო ეფექტურად მუშაობს, როდესაც საერთაშორისო სისტემა უფრო შეკრულია – წესრიგის უზრუნველმყოფი ჰეგემონის არსეობის პირობებში. ვინაიდან, როდესაც ერთი სახელმწიფოს ძლევამოსილება აღემატება სხვა სახელმწიფოების ძალაუფლებას,

მას, კოლექტიური საკუთრების პრობლემის გვერდის ავლით, შეუძლია ერთპიროვნულად შემოიღოს ნორმები და წესები.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, გლობალური მასშტაბით თავისუფალი ვაჭრობისა და მსოფლიო ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფა ჰეგემონთა ხელშია.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობის დამყარებისა და ეკონომიკის წინსვლა აშშ-ის ჰეგემონიის დამსახურებაა, რამაც განაპირობა ეკონომიკური ურთიერთობების გლობალური ჩარჩოს ფარგლებში შედარებით სტაბილური და თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება და, პარალელურად ამისა, უშიშროების პროგრამის ფარგლებში მოახდინა ომის პრევენცია ძლიერ სახელმწიფოთა შორის. ხოლო რაც შეეხება 1930-იანი წლების ცნობილი დიდი დეპრესიის პერიოდს და მეორე მსოფლიო ომს, აღნიშნული თეორიის მიხედვით, ეს გახლდათ მიზეზი იმ პერიოდში საერთაშორისო სისტემაში არსებული ძალაუფლების ვაკუუმისა – ბრიტანეთს უკვე დაკარგული ჰქონდა ჰეგემონის სტატუსი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ აყოვნებდა ამ სტატუსის მიღებას.

რატომ უნდა იზრუნოს ჰეგემონმა საერთაშორისო ეკონომიკაში იმ წესების დანერგვასა და განხორციელებაზე, რაც საერთო კეთილდღეობას უკავშირდება? ჰეგემონიური სტაბილურობის თეორიის მიხედვით, ჰეგემონები, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის უმსხვილესი აქტორები უშუალოდ დაინტერესებულნი არიან მსოფლიო ბაზრის განვითარებით (სადაც ჰეგემონებს დომინანტური ადგილი უჭირავთ).

ტექნოლოგიებისა და წარმოების სფეროში უპირატესობის მქონე ჰეგემონებს კონკურენციის არ ეშინიათ; მას მხოლოდ იმის შიში აქვს, რომ თავისივე საუკეთესო საქონელს სხვა ქვეყნების კონკურენტუნარიან საქონელს შორის არ განათავსებენ.

ჰეგემონები მხარს უჭერენ თავისუფალ ვაჭრობას და ძალას არ იშურებენ თავისუფალი ვაჭრობის სისტემის განსამტკიცებლად. აქედან გამომდინარე, ჰეგემონია ქმნის მოტივაციასა და შესაძლებლობებს სისტემისათვის, რომელიც ორიენტირებულია თავისუფალი ვაჭრობის სტაბილური პოლიტიკური ჩარჩოების შექმნაზე, რაზეც მეტყველებს ჰეგემონური სტაბილურობის თეორია.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს თეორია ყველა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს ექსპერტისათვის მისაღები როდია.

რა მოსდის სისტემას როდესაც ჰეგემონები კარგავენ ძალაუფლებას და სტატუსს? ჰეგემონის სტატუსის დაკარგვით არ იცვლება ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი სისტემა. პირიქით, რეჟიმი უფრო ეფექტურად აგრძელებს მუშაობას. რეჟიმის ჩამოყალიბებაში ჰეგემონიამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი შეასრულოს, თუმცა ჰეგემონიის არსებობა არ არის აუცილებელი რეჟიმის შესანარჩუნებლად. მას შემდეგ რაც აქტორების ინტერესების თანხვედრა მოხდება სისტემის ფარგლებში არსებული წესების საფუძველზე, აქტორები ხვდებიან, რომ სისტემა მათივე ინტერესებს ემსახურება. რეჟიმის ფარგლებში თანამშრომლობა ტრადიციად იქცევა, და სახელმწიფოების ლიდერები არ ხედავენ იმის საჭიროებას, რომ დადგენილი წესებზე უარი თქვან.

საერთაშორისო სისტემის თეორიული მოდელები

არსებობს საერთაშორისო სისტემის მოდელირების რამდენიმე ვარიანტი. ერთ ერთი ვარიანტი წარმოდგენილია ამერიკელი პოლიტოლოგის **მორტონ კაპლანის** მიერ. **საერთაშორისო სისტემის ქვეშ ის მოიაზრებს ძალთა განლაგებისის ვარანტებს მონაწილე ორგანიზაციებს, სახელმწიფოს ან სახელმწიფო ჯგუფის რამდენიმე ნაკრების საფუძველზე**. მან გამოყო საერთაშორისო სისტემის ექვსი ტიპი:

_ ძალის ბალანსის სისტემა;

_თავისუფალი (რბილი) ბიპოლარული სიტემა;

_მკაცრი (ხისტი) ბიპოლარული სისტემა;

_უნივერსალური სიტემა;

_იერარქიული სისტემა;

_,,ვეტოს" სისტემა.

დასახელებული სისტემის ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინტეგრირების ხარისხით. ყველაზე უფრო ინტეგრირებულია იერარქიული და ყველაზე ნაკლებად _ ,,ვეტოს" სისტემა.

ძალის ბალანსის სიტემაში ძირითადი მოქმედი პირები ეს არის მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოები ფართო სამხედრო და

ეკონომიკური შესაძლებლობებით. ეს სისტემა, რომელშიც არ არსებობს როლების დიფერენციაცია, სუვერენული სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალური ძლიერების მიღწევას ანარქიულ საერთაშორიო გარემოში.

თუკი ამ სისტემაში მოიაზრება ხუთ სახელმწიფოზე ნაკლები მაშინ სისტემა შეიძლება აღმოჩნდეს არამდგრადი. ხოლო თუკი არის ხუთი ან მეტი ასეთი სახელმწიფო, მაშინ ისინი იჩენენ დაინტერესებას, რომ არ დაუშვან სხვა სახელმწიფოების მოშორება/დაკარგვა, როგორც სისტემის ძირითადი აქტორებისა, შეინარჩუნონ ისინი, როგორც მომავალი მოკავშირეები.

იმავდროულად, თითეული აქტორი მიისწრაფვის მაქსიმალურად უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება სიტემაში ფართო შესაძლებლობების მოპოვების გზით. ამიტომ ისინი ქმნიან კავშირებს ან აწარმოებენ ომსაც. მაგრამ ამ ომებს აქვს ლოკალური ხასიათი, ხოლო კავშირები სწარფად იცველება. შექმნილი კოალიცია ძირითადად მიმართულია იმ აქტორების წინააღმდეგ, რომლებსაც აქვს პრეტენზია ბატონობასა ან უპირატესობის მოპოვებაზე, რაც მას მიანიჭებს გაბატონებულ მდგომარეობას. ამგვარი სისტემა არსებობდა XVII_XIX საუკუნეებში. ძალთა ბალანსისი სისტემა ადვილად შეიძლება გადაიზარდოს თავისუფალ ბიპოლარულ სისტემად.

თავისუფალ (რბილი) ბიპოლარულ სიტემაში როლები დიფერენცირებულია. ის შედგება სხვადასხვა ტიპის აქტორებისაგან: ცალკეული სახელმწიფოები, სახელმწიფოების ბლოკები, ბლოკის ლიდერები, ბლოკის წევრები, ნეიტრალური ქვეყნები და უნივერსალური ორგანიზაციები.

ასეთი სისტემების მდგრადობა იზრდება იმ შემთხვევაში, თუკი ბლოკის ლიდერებს აქვთ ატომურ შეიარაღებაზე მონოპოლია. კავშირები იქმნება საერთო ინტერესების ბაზაზე. ომებს კი აქვთ ტენდენცია ლოკალურიდან გარადიქმნას ტოტალურად, თუკი არ იქნება ბირთვული იარაღის ძლიერი დამანგრეველი ძალის უფრო თავშეკავებული გავლენა.

მსგავს სისტემას ასევე ახასიათებს ნეიტრალური ქვეყნების და უნივერსალური ორგანიზაციების შუამავლობა. ასეთი სისტემა ბევრად მდგრადია ვიდრე ძალის ბალანსის სიტემა. ეს სისტემა ხა-

სიათდება ძალის ორი პოლუსის დომინირებით და კონფრონტაციით. კავშირების შექმნა ხორციელდება ორი ძალის, ორი პოლუსისი ჩარჩოებში, მაგრამ ორივე პოლუსი – ბლოკი არ არის ხისტად ორგანიზებული და ამის გამო საერთაშორიო სისტემა უფრო მოქნილია. ამ სისტემაში როგორც წესი ორივე ბლოკი ცდილობს თავისი ბლოკის ჩარჩოებში მოაქციოს ბლოკის გარეთ დარჩენილი სახელმწიფოები. თუ ეს მოხდა მაშინ ხსენებული სისტემა მკაცრ (ხისტ) ბიპოლარულ სისტემად გადაიქცევა. რბილი ბიპოლარული სისტემის ტიპიური მაგალითია ,,ცივი ომის: პერიოდი.

მკაცრი (ხისტი) ბიპოლარული სისტემა, პრინციპში მას ბევრი აქვს საერთო თავისუფალ ბიპოლარულ სისტემასთან. მაგრამ არის არსებითი განსხვავებიც. უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სისტემაში უგუვებელყოფილია ნეიტრალური ქვეყნების როლი და მნიშვნელოვნად ატროფირებულია უნივერსალური ორგანიზაციების როლიც. ამგვარი სისტემა სტაბილურია მხოლოდ მაშინ, როცა ორივე ბლოკის მონაწილეები იერარქიულად არიან ორგანიზებული. ასეთი სისტემის შექმნის შემთხვევაში მისთვის დამახასითებელი იქნება მაღალი წინააღმდეგობები. ამ სისტემას არ გააჩნია თვითრეგულირების, ინტეგრაციის საკმარისი მექანიზმები. ეს სისტემა შეიძლება გარდაიქმნას თავისუფალ (რბილ) სისტემად.

უნივერსალურ სისტემას სავარაუდო ხასიათი აქვს. ის, მ. კაპლანის აზრით, შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, თუკი სუვერენული სახელმწიფოების მხრიდან მოხდება მთელი რიგი რწმუნებეულობების უნივერსალური ორგანიზაციისათვის გადაცემა. ასეთი სისტემა თავისი წევრებისაგან მოითხოვს პერეორიენტაციას, რადგან უპირატესობა მიეკუთვნება კოლექტიურ და საერთაშორისო ფასეულეობეს.

იერარქიული სისტემა სავარაუდოდ გამოიყურება, როგორც უნივერსალურის რაღაც მოდიფიკაცია, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საერთაშორისო ორგანიზაციების მასშტაბების ცვლილების ან რომელიმე ერთი აქტორის ერთპიროვნული ძალაუფლების დამყარების შედეგად. იგი შეიძლება იყოს ორი ტიპის: დირექტიული და არადირექტიული. ეს უკანასკნელი ფუნქციონირებს დემოკრატიის პირობებში მიღებული პოლიტიკური წესების

მიხედვით, ხოლო დირექტიული სისტემა თავისი ხასიათით ავტორიტარულია.

იერარქიულ საერთაშორისო სისტემაში სუვერენული სახელმწიფოების, როგორც მონაწილეების, ფუნქციები შეზღუდული იქნება და ეს სახელმწიფოები დამოუკიდებელი პოლიტიკური სისტემების მაგიერ იარსებებენ, როგორც საერთაშორისო სისტემის ქვესისტემები.

„ვეტოს" სიტემა ეს არის სახელმწიფო-აქტორების სისტემა, რომელშიც თითეული მონაწილე განლაგებულია მნიშვნელოვანი ატომური შეიარაღების მარაგით. ანუ თითეულ მონაწილე სახელმწიფოს ექნება ისეთი იარაღი, რომ შესაძლებლობა ექნება მოსპოს ნებისმიერი აგრესორი, თუნდაც საკუთარი თავის გაქრობის ფასად. ასეთი სისტემის წევრები არ მიისწრაფვიან კავშირების შექმნისაკენ. ისინი მიისწრაფვიან იმისაკენ, რომ ომის ალბათობა არ გაიზარდოს, მაგრამ ამ დროს შენარჩუნებული იქნება დაძაბულობა, რომელიც წარმოქმნის სისტემის შედარებით არამდგრადობას.

მ. კაპლანის სისტემის მიხედვით მკაცრი და თავისუფრალ ბიპოლარულ მოდელებს შორის ცივი ომის წლებში საერთაშორისო ურთიერთბების რეალურმა სისტემამ სახესხვაობა განიცადა. 1950-იანი წლებში სისტემის განვითარება წავიდა **მკაცრი ბიპოლარული სისტემისაკენ**, რადგანაც ურთიერთწინააღმდეგ განწყობილი ზესახელმწიფოები ცდილობდნენ გაეზარდათ თავისი გავლენა ორბიტაზე რაც შეიძლება ბევრი ქვეყნის გავლენის ქვეშ მოქცევის ხარჯზე. შეერთებული შატატების და საბჭოთა კავშირის მკაცრმა კონკურენციამ ფაქტობრივად გამოიწვია გაეროს პარალიზება. ამ გზით შეერთებულ შტატებს გაეროს გენერალურ ასამბელაში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა გააჩნდა, რასაც თავისი მიზნებისათვის იყენებდა, ხოლო ყველაფერ ამას საბჭოთა მხარე უპირისპირებდა მის „ვეტოს უფლებას" უშიშროების საბჭოში. შედეგად, გაერო ობიქტურად ვერ თამაშობდა მასზე დაკისრებულ როლს.

50-იანი წლების დასასრულისათვის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემამ ევოლუცია განიცადა მსუბუქი ბიპოლარული მოდელისაკენ. აზიის და აფრიკის დამოუკიდებლი სახელმწიფოების ხარჯზე გაიზარდა ნეიტრალური ქვეყნების რაოდენობა, რომელთაგან ბევრი შეუერთდა მიუმხრობელი ქვეყნების

მოძრაობის ჯგუფს. რამდენადმე გაიზარდა გაეროს მოღვაწეობაც და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლიც. მაგრამ, იმავდროულად, გაიზარდა დაპირისპირებულ ბლოკებს შორის წინააღმდეგობებმაც მესამე სამყაროში, რამაც სტიმული მისცა რეგიონალური კონფლიქტების წარმოქმნას.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ევოლუცია ცივი ომის დასრულების შემდეგ.

სოციალისტური სისტემის ნგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო რბილი ბიპოლარული სისტემიდან გადაიქცა დიფუზურ, ანუ მრავალპოლუსიან სისტემად. თუმცა ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ აშშ-ის დარჩენის გამო ზოგიერთი მკვლევარი თანამედროვე სისტემას უნიპოლარულს (ერთპოლუსიანს) უწოდებს და ვარაუდობს მის გადაქცევას იერარქიულ (აშშ-ზე დამოკიდებულ) სისტემად. უფრო ოპტიმისტური პროგნოზით - მსოფლიოს მომავალია უნივერსალური სისტემა, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო მორალი საერთაშორისო სისტემის რეგულირებისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორები იქნება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებობდა საერთაშორისო ურთიერთობების ბიპოლარული სისტემა, ანუ დაპირისპირება ორ სუპერ სახელმწიფოს შორის. შესაბამისად, 1945 წლამდე საერთაშორისო სისტემა შეიძლება აღიწეროს, როგორც მულტიპოლარული, ძალთა განაწილებით დიდ ქვეყნებს შორის.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო გახდა უნიპოლარული. ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა ერთადერთი სუპერსახელმწიფო.

საერთაშორისო არენიდან საბჭოთა კავშირის, როგორც ერთ-ერთი ზესახელმწიფოს გაუჩინარების შედეგად დაიშალა არსებული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაც. დღეს რთულია განისაზღვროს თუ როგორი იქნება ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა. ამჟამინდელი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასითებლ რეჟიმში ფუნქციონირებს.

დღეს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა აზრი, რომ მსოფლიო უნდა იყოს მრავალპოლუსიანი. ამ იდეას მხარდამჭერები ჰყავს როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრეებშიც. ცხადია, გასაგებია ასეთი შეხედულებების და გამონათქვამების მოტივიც. ისინი დაკავშირებულია საერთაშორისო არენაზე შეერთებული შტატების დომინირებულ მდგომარეობაზე. თუმცა ძალიან ხშირად პროტესტი ერთპოლუსიანი მსოფლიოს შესახებ ძალიან ემოციურია, რისთვისაც არ ხდება სხვა შესაძლო მოდელების ნეგატიური მხარეების გათვალისწინება. მაგალითად, მრავალპოლუსინი მსოფლიო სისტემა, რომელსაც მ. კაპლანი „ვეტოს" სისტემას უწოდებს, შეიძლება ჩამოყალიბდეს ბირთვული იარაღის ფართოდ გავრცელების შედეგად, რაც მით უფრო საშიში იქნება საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის. სამწუხაროდ, თანამედროვე განვითრების ზოგიერთი ტენდენცია ასეთი ვარიანტით მოვლენების განვითრებას მეტყველებს.

ბევრი ავტორი, მრავალპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის შესახებ საუბრობდა ცივი ომის პერიოდში. ასეთი სისტემის შექმნა განიხილებოდა არა როგორც ვინმეს სურვილი, არამედ ობიექტური პროცესის შედეგი. მაგალითად, ბიპოლარული სისტემის დეზინტეგრაციის პროცესი, ახალი ცენტერების ჩამოყალიბების გვერდით არსებული ზესახელმწიფოების ძალის შესუსტება და აშ. სამწუხაროდ, ავტორთა უმრავლესობა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ანალიზსს ტარდიციული პოზიციდან ახდენს, გამოიყენებენ რა ფაქტების შეზღუდულ მოცულობას, ფაქტობრივად სახელმწიფოს ძალას აიგიავებენ სამხედრო სიძლიერსთან. ასეთ ფონზე გამოჩნდა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ს. ხოფმანის კონცეფცია, რომლის ზოგიერთ დებულებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ს. ხოფმანმა, XX ს. 70-იან წლების ბოლოს, აჩვენა საერთაშორისო ურთიერთობების განვითრების მთელი რიგი ტენდენციები. მან აღნიშნა სახელმწიფოების რაოდენების გაზრდა, ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობა, ეკონომიკურ და სამხედრო ფაქტორებს შორის დამოკიდებულების შეცვლა. მაგრამ, მთავარი იყი ის, რომ მან დაინახა ახალი იერარქიული სტრუქტურის წარმოქმნა საერთასორისო ურთიერთობების სისტემაში. თუკი ადრე იყო **ერ-**

თი იერარქიის ადგილი, რომელიც დაფუძნებული იყო ძალის ფაქტორზე მხოლოდ, ახლა უკვე 1970-იანი წლებში იგი მოწყობილია **რამდენიმე ფუნქციონალური იერარქით,** რომელთაგან თითეული დაფუძნებული იყო სხვადასხვა ფაქტორებზე _ ეკონომიკურ, სამხედრო, იდეოლოგიურ, სოციოკულტურულ და აშ.

მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია და იაპონია გამოვიდნენ მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი პოზიიცით, მაგრამ ისინი დარჩნენ როგორც ,,პოლიტიკური ქონდრისკაცები", რადგან არ გააჩნდათ თავის ეკონომიკრი მდგომარეობის შესაბამისი სამხედრო ძლიერება. ასევე ითქმის თანამედროვე რუსეთზე, რომლის ეკონომიკური შესაძლებლობები დაბალია, მაგრამ პოტენციური სამხედრო ფაქტორის გამო საერთაშორისო არენაზე მისი როლი საკმაოდ დიდია.

მიუხედევად იმისა, რომ ახალი საერთაშორისო სისტემა საბოლოდ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, მაინც მისი განსაზღვრული სრუქტურული იერარქიდან განიხილება რამდენიმე ტენდენცია. მაგალითად, აშკარა, რომ დღესათვის მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი ზესახელმწიფო _ ამერიკის შეერთებული შატატები. მას უკავია გაბატონებული პოზიციები თანაედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ, სამხედრო-სტარტეგიულ სტრუქტურებში, ასევე ლიდერობს ტექნოლოგიურ და სამეცნიერო_ტექნიკურ ურთიერთობებში. გლობალიზაციის პირობებში, რომელიც მნიშვნელოვანწილად შეერთებული შტატებიდან მომდინარეობს, ეს ქვეყანა ღებულობს აბსოლუტურ უპირატესობას სხვა ქვეყენებთან მიმართებით.

XX ს. 90 –იან წლებში მკვეთრად გაიზარდა ამერიკის პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში და პოსტასაბჭოთა სივრცეში ახალი მოკავშირების შეძენის ხარჯზე. თუმცა შეიძლება კი საუბარი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დღეს ასრულებს ერთადერთი პოლუსის როლს საერთაშორისო სიტემაში, რომელსაც მ. კაპლანი აღნიშნავს როგორც იერარქიულს? ჩანს, რომ უკანასკნელი წლების მოვლენები ამის სასარგებლოდ მეტყველებენ. შეერთებული შტატების ადამინისტრაციამ თავისი მოქმედებებით არაერთხელ დაამტკიცა საერთაშორისო სამართლის

ნორმებისადმი უპატივცემულობა, საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების როლის იგნორირება, მათ შორის გაეროსი.

ამის ნათელი დადასტურებ შეიძლება იყოს ერაყის სამხედო კამპანია უკანსკნელ პერიოდში, სადაც შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გაეროს სანქციის გარეშე განახორციელა სამხედო აგრესია.

ბიპოლარული მსოფლიოს დაცემის და მეორე პოლუსის გაუჩინარებასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკასაც მოეხსნა შეზღუდვები. თუმცა ეს არ უნდა მეტყველებდეს, რომ შეერთებულ შტატებს მარტო შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი, მათ შორის ძალისმიერი, მოქმედება და აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განვითარებულ მოვლენებზე.

ერაყის წინააღმდეგ ომი და ავღანეთის ანტიტერორისტული ოპერაცია, აჩვენებს, რომ მიუხედავად სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისა შერთებულ შტატებსაც კი გაუჭირდა სწარფი წარმატების მიღწევა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ქვეყნებში შეერთებული შატატები კოალიციურ ძალებთან ერთად მოქმედებს. თანამედრო პრაქტიკა აჩვენებს რომ ერთ ზესახელმწიფოსაც კი სჭირდება საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებთან ურთიერთობები და კორდინაცია.

დღეს საუბარია არა მრავალპოლუსიანობაზე, არამედ მრავლცენტრიანობაზე, ვინაიდან ცნება ,,პოლუსი" წარსულის ემოციებს იწვევს, როცა საერთაშორისო ურთიერთობების მთავრი რეგულატორი იყო ძალის ბალანსი.

ამერიკის შეერთებული შატატების გვერდით, დღეს საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან აქტორობაზე პრეტენზია გააჩნია ევროკავშირს, ჩინეთს, რუსეთს, ინდოეთს, ბრაზილიას, იაპონიას. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი გარკვეულ პირობებში შეიძელება გახდეს ერთ ერთი პრეტენდენტი ბიპოლარული სისტემის ახალ ვარიანტში.

თუმცა როგორც მკვლევარები თვლიან, საერთაშორისო ურთიერთობების ბიპოლალური სტრუქტურა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ჩინეთმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო მეორე ზესახელმწიფოს ადგილის დაკავება, რადგან მიუხედვად მისი წარმატებებისა, იგი

დღესაც რჩება, და კარგა ხანს დარჩება, ღარიბ ქვეყნად. სამ-ხედრო-ტექნიკურ ურთიერთობებში ჩინეთი ძალიან ჩამორჩება ამ სფეროში მრავლ წამყვან სახელმწიფოს. ჩინეთის პოლიტიკური გავლენა ძალზე ნაკლებია თანამედროვე მსოფლიოში კომუნისტუ-რი იდეოლოგიის ავტორიტეტის დაცემის გამო, რომელსაც ამ ქვეყნის საზოგადოება ეფუძნება. ხოლო ევროკავშირში არსებული აზრთა სხვადასხვაობა ცალკეულ საკითხებზე (მაგ. თავის დროზე ამერიკის ერაყული კამპანიისადმი), მიუთითებს, რომ მისი ერთია-ნი და კოორდინირებული საგარეო პოიტიკის ჩამოყალიბება სამო-მავლო საქმეა. ასევე უნდა გავითვალისწინოთ შიდაპოლიტიკურ საკითხებში უთანხმოებებიც ცალკეულ საკითხებთან მიმართებით.

ვერც რუსეთი დაიბრუნებს საბჭოთა კავშირის დროინდელ პოზიციებს საერთაშორისო არენაზე სოციალ-ეკონომიკურ და პო-ლიტიკური პრობლემების გამო, ის უფრო დაკავებულია პოს-ტსაბჭოთა სივრცეში პოზიციების შენარჩუნებით. ამრიგად, უახ-ლოეს მომავალიც საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა იქნე-ბა ნახევარცენტრისტული, ამერიკის შეერთებული სატატე-ბის_როგორც ერთადერთი ზესახელმწიფოს ლიდერობით.

ბევრი თვლის, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ყველაზე მეტად ,,ურთიერთდამოკიდებულების" ცნებით შეიძლება დავახასიათოთ. გლობალიზაციის ფონზე სულ უფრო მეტად იზ-რდება ეკონომიკური ურთიერთობები. საერთაშორისო ორგანიზა-ციების როლი და უამრავი სამოქმედო პრინციპის საყოველთაო აღიარება აძლიერებს ურთიერდამოკიდებულების იდეას.

საერთაშორისო საზოგადოება

ფორმირების წინაპირობები

საერთაშორისო საზოგადოებასა და საერთაშორისო ურთი-ერთობებს შორის ძირითადი განსხვავებაა ისაა, რომ პირველი მათგანისათვის აუცილებელია საერთო ინტერესების, ღირებულე-ბებისა და მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იზრდება ასეთი საზოგადოე-

ბის ჩამოყალიბების ტენდენცია, რომლის რეალიზაციის პირველ ეტაპს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა წარმოადგენს.

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების განვითარება ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობების სისტემიდან იღებს სათავეს, რომელმაც თანდათანობით გლობალური განზომილება მიიღო. ევროპული საერთაშორისო საზოგადოება განვითარდა შუა საუკუნეების ლათინური ქრისტიანული სამყაროს წიაღში და ევროპის მიერ ყველა მიმართულებით წარმოებული ექსპანსიის შედეგად მან საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. ევროპაში მოხდა საკუთრივ ერი-სახელმწიფოების სისტემის და ამ სახელმწიფოთაგან შემდგარი საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ყველა სახელმწიფო იურიდიულად თანასწორუფლებიანია, ხოლო მათი სუვერენიტეტი ხელშეუხებელი. XIX_XX სს. ხდება დასავლურ იდეების, პრინციპების და ინსტიტუტების გავრცელება და დამკვიდრება მსოფლიოს მასშტაბით. პარალელურად ყალიბდება მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, ხოლო გლობალური საერთაშორისო ურთიერთობები საერთაშორისო საზოგადოების ფორმას იძენს. მართალია დასავლური, ევროპული იდეები, პრინციპები და ინსტიტუტები უნივერსალურ, საყოველთაო ხასიათსა და განზომილებას იძენს, მაგრამ მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნება შენარჩუნებულია. დასავლური და სხვა კულტურების კონტაქტები, მათი თანაარსებობა და სინთეზი საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

საერთაშორისო საზოგადოება, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოება, რომელსაც შეიძლება მართავდეს ერთიანი მთავრობა საერთო კანონების საფუძველზე არ არსებობს. თუმცა, სახელმწიფოები და ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ერთ პლანეტაზე და დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ერთიანი მსოფლიო ეკონომიკით, მთლიანობაში იყოფიან (ღირებულებებით და ფასეულებებით დაპირისპირებული) სხვადასახვა ნაწილებად. მაგრამ, საბოლოოდ, ისინი აწყდებიან საერთო პრობლემებს და გამოწვევებს. თუმცა, ხშირად მიუთითითებენ, რომ მსოფლიოში არსებობს ერთობის და ორგანიზების ის მინიმუმი,

რომელიც იძლევა უფლებას, ვთქვათ, რომ არსებობს საერთაშორისო საზოგადოება. დღეს შეიძლება იგი წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებით და გაერთიანებებით. მართალია არ არსებობს ამ საერთაშორისო საზოგადოების ერთიანი მთავრობა, მაგრამ არსებობს მსოფლიო გლობალური პრობლემების ერთობლივად გადაჭრის სურვილი. ყველაფერი ეს კი, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ასევე რეალურია აღნიშვნა იმისა, რომ არსებობს საერთაშორისო საზოგადოება.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო საზოგადოების შესახებ საუბარი აქტუალურია, ვინაიდან საერთაშორისო სისტემაში წარმოდგენილია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობებს მეტად თავისებურ, ,,გლობალურ", საზოგადოებრივ ელფერს ანიჭებს. ამავე დროს ურთიერთდამოკიდებულების, ინტეგრაციისა და ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტების გავრცელების და გლობალური პრობლემების გამწვავების კვალდაკავალ სულ უფრო საუბრობენ საერთაშორისო საზოგადოების როლის ზრდაზე.

გლობალური პრობლემები (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა.) აიძულებს კაცობრიობას, ეძებოს გამოსავალი, შეარბილოს და გადაჭრას ხსენებული პრობლემები. ვერც ერთი სახელმწიფო სხვებთან თანამშრომლობის გარეშე ვერ შეძლებს გლობალურ პრობლემებთან შეჭიდებას. მთელმა კაცობრიობამ, სუვერენულ სახელმწიფოთა მთავრობებმა ეს უკვე კარგა ხანია გაიცნობიერეს და თანამშრომლობის აუცილებლობის საყოველთაო შეგრძნებამ გამოხატულება ჰპოვა მრავალ სპეციალიზებულ საერთაშორისო ორგანიზაციასა და სააგენტოში, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეამსუბუქონ გლობალური პრობლემების ტვირთი, კოორდინაცია გაუწიონ საერთაშორისო თანამშრომლობას და უშუალოდ იმოქმედონ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ სფეროებში. ამგვარად, მწვავე გლობალური პრობლემების არსებობა და მათთან გამკლავების აუცილებლობის გაცნობიერება ხელს უწყობს სახელმწიფოთა თანამშრომლობას, საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს.

საერთაშორისო საზოგადოების იდეა ამა თუ იმ სახით ყოველთვის იყო წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოე-

ბა, რომ ტერმინი ,,საერთაშორისო საზოგადოება” უფრო ხშირად გამოიყენებოდა მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებამდე, როცა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში პოლიტიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის გაბატონებასთან დაკავშირებით ტერმინი ,,საერთაშორისო სისტემა” დამკვიდრდა.

პირველად ეს ტერმინი გვხვდება ბურჟუაზიულ საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მამამთავრის, XVII საუკუნის ჰოლანდიელი იურისტის ჰუგო გროციუსის შრომაში - „ომისა და მშვიდობის სამართალი“ (1625), სადაც მითითებულია, რომ „სახელმწიფოთა დიდი საზოგადოება“ ის ძირითადი საფუძველია, რომელზეც საერთაშორისო სამართლის, წესრიგისა და თანამშრომლობის შენობა უნდა აიგოს. გროციუსის მიხედვით, არსებობს საერთაშორისო საზოგადოება და კანონები, რომლებიც ამ საზოგადოების წევრი-სახელმწიფოების ურთიერთობებს არეგულირებს. გროციუსის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს პოტენციური სოლიდარობა, ხოლო საერთო ეკონომიკური, სავაჭრო ინტერესები და დიპლომატია თანდათან ადამიანებს და სახელმწიფოებს რაციონალურ, მეგობრულ ურთიერთობებამდე, მშვიდობიან საერთაშორისო საზოგადოებამდე მიიყვანს. გროციუსის შეხედულების თანახმად, ხალხები ქცევის საერთო წესებს გამოიმუშავებენ და გაჩნდება სახელმწიფოთა ურთიერთობის დამარეგულირებელი კანონები. გროციუსის შეხედულებიდან ის გამომდინარეობს,რომ ომი უაზრობაა და ადამიანები საბოლოოდ ომზე უარს იტყვიან.

საერთაშორისო საზოგადოების თაობაზე უკვე კარგა ხანია მწვავე დებატები მიმდინარეობს. ბევრს საეჭვოდ მიაჩნია ასეთი საზოგადოების საერთაშორისო მასშტაბით არსებობა, რომლის მკაფიო მაგალითებს საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკა არ იძლევა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში საერთაშორისო საზოგადოებაზე არსებული შეხედულებები შეგვიძლია სამ მიმართულებად დავაჯგუფოდ: **ჰობსისეული** ანუ რეალიზმის შეხედულება საერთაშორისო პოლიტიკას განიხილავს როგორც საომარ მდგომარეობას; **კანტისეული** ანუ უნივერსალისტური თვალსაზრისი საერთაშორისო პოლიტიკის წიაღში კაცობრიობის

თანამეგობრობის, ძმობის ჩამოყალიბების პოტენციურ შესაძ-ლებლობას ხედავს; **გროციუსისეული** ანუ ინტერნაციონალისტუ-რი ტრადიციის თანახმად, საერთაშორისო პოლიტიკა საერთაშო-რისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესია.

ჰობსისეული ტრადიციის თანახმად, სახელმწიფოები მუდმი-ვად კონფლიქტის ვითარებაში იმყოფებიან, მათი ინტერესები ურ-თიერთსაწინააღმდეგოა და, ამდენად, ომი სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. კანტისეული ტრადიციის თანახმად, პირიქით, სახელ-მწიფოთა ურთიერთობა ზედაპირული და დროებითი მოვლენაა და საერთაშორისო ურთიერთობები, პირველ ყოვლისა, კაცობრიობის თითოეულ წევრის, ადამიანების ურთიერთობებია. კაცობრიობის წიაღში კი საყოველთაო ძმობაა ამ ძმობის რეალიზება თანდათა-ნობით მოხდება ჯერ ყველა ქვეყნის რესპუბლიკად ქცევის გზით; შემდეგ კი მსოფლიო ადამიანების საერთო ინტერესების რეალიზე-ბის და თანამშრომლობის გზით განვითარდება და საყოველთაომ-შვიდობა დამყარდა. კანტისეული ტრადიციის თანახმად, ადამია-ნებს გასაყოფი არაფერი აქვთ და კონფლიქტური ინტერესები მხოლოდ მმართველებს და მმართველ ელიტებს ახასიათებთ. გროციუსისეული ტრადიცია ორ ზემოხსენებულ თვალსაზრისს შორის იმყოფება და საერთაშორისო ურთიერთობებს გვიხატავს როგორც სახელმწიფოთა საზოგადოებას ან საერთაშორისო საზო-გადოებას. ამ ტრადიციის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთო-ბების ძირითადი მონაწილეები სუვერენული სახელმწიფოებია, მაგრამ მათი კონფლიქტური ინტერესები და შესაბამისი ქმედებე-ბი საერთო წესებით და ინსტიტუტებით იზღუდება, ხოლო საერ-თაშორისო ურთიერთობათა ძირითადი ფორმა ომები კი არა, ვაჭ-რობაა, სახელმწიფოთა ეკონომიკური და სოციალური ურთიერ-თქმედებაა. ამიტომ, სახელმწიფოები გამონახავენ თანამშრომლო-ბის ფორმებს, მათ არა მხოლოდ საერთო წესებზე და ინსტიტუ-ტებზე, არამედ ზნეობრივ იმპერატივებსა და სამართალზე დაა-ფუძნებენ. სახელმწიფოთა თანაარსებობა და თანამშრომლობა სა-ზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის მსგავსი გახდება.

გროციუსისეული ტრადიციის თანახმად, საერთაშორისო სა-ზოგადოება საერთაშორისო ურთიერთობათა რეალური და რაცი-ონალური ფორმაა. თანამედროვე საზოგადოება ყველაზე მრა-

ვალფეროვანი და რთულია; მას ოთხი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: 1. ეს საზოგადოება შედგება სხვა, მასზე უფრო ორგანიზებული საზოგადოებებისაგან, რომლებსაც ჩვენ სახელმწიფოებს ვუწოდებთ. სახელმწიფოები წარმოადგენს ამ საზოგადოების ძირითად წევრებს, თუმცა საბოლოოდ მისი წევრები ადამიანები არიან; 2. საერთაშორისო საზოგადოების წევრთა რიცხვი ყოველთვის მცირეა. ეს მაჩვენებელი დღეისათვის ორასს ოდნავ აღემატება, ეს მაშინ, როცა სახელმწიფოთა უმრავლესობა მილიონობით ადამიანს ითვლის; 3. საერთაშორისო საზოგადოების წევრები ერთმანეთისაგან უფრო განსხვავდებიან, ვიდრე ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი დიდი არ არის, ისინი ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავდებიან ტერიტორიის სიდიდით, გეოგრაფიული მდებარეობით, რესურსებით, მოსახლეობის მრავალი მახასიათებლით, კულტურით, საზოგადოებრივი მოწყობით, იდეოლოგიით და ა.შ. 4. საერთაშორისო საზოგადოების წევრები, შეიძლება ითქვას, უკვდავნი არიან. მართალია, სახელმწიფოები დროდადრო უჩინარდებიან და ჩნდებიან, მაგრამ მათი სიცოცხლის პერიოდი ბევრად აღემატება ადამიანის ცხოვრების დროით ჩარჩოებს. ამიტომ სახელმწიფოთა პოლიტიკა გადარჩენაზე, სასიცოცხლო ინტერესების დაცვაზე, შორს მიმავალ გეგმებსა და მიზნებზეა გამიზნული.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში მკველვართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოება უკვე ჩამოყალიბდა და ჩვენ უკვე მისი წევრები ვართ. მეორენი მიიჩნევენ, რომ გამოიკვეთა საერთაშორისო საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი და საერთაშორისო სისტემა საზოგადოდ გადაქცევის დაწყებით ფაზაში იმყოფება. ექსპერტთა მესამე ჯგუფი (უმთავრესად რეალისტები) უარყოფს ამგვარი საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებობასაც კი, რადგან, მათი აზრით, სუვერენული საზოგადოებისაგან შემდგარი სისტემა არ შეიძლება საზოგადოდ იქცეს. საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მითია, _ აცხადებენ ისინი, _ ხოლო ისეთ ცნებებს და იდეალებს, როგორიც არის სამართლიანობა, თავისუფლება და თანასწორობა, კონკრეტული მნიშვნელობა მხოლოდ სახელმწიფოს შიდა ცხოვრებაში და მის ინსტიტუტებში მოეპოვებათ. ამიტომ მკვლე-

ვართა უმრავლესობა ამჯობინებს გამოიყენოს უფრო ნეიტრალური ცნების გამომხატველი ტერმინი - „სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემა“, რომელშიც იგულისხმება საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვეული მოდელი სპეციფიკურ (საერთაშორისო) გარემოში, მაგრამ არ არის ურთიერთდამოკიდებულების ის დონე და ხარისხი, რაც აუცილებელია იმისათვის, რათა მას საზოგადოება ეწოდოს.

მიუხედავად ამისა, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ საერთაშორისო საზოგადოების არსებობა უკვე ფაქტია და რომ მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობათა საერთაშორისო საზოგადოებად გარდაქმნის პროცესი. საერთაშორისო საზოგადოების იდეის მხარდამჭერი განსაკუთრებით ბევრია საერთაშორისო ურთიერთობათა ინგლისური სკოლის წარმომადგენლებს შორის. მათი აზრით, თვით საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ძირითადი ობიექტი არის საზოგადოებრივი წესრიგის პირობების შესწავლა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ამ სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ჰ. ბული წერს, რომ „სახელმწიფოთა საზოგადოება“ (საერთაშორისო საზოგადოება) არსებობს მაშინ, როდესაც ქვეყნების ჯგუფი, რომლებსაც საერთო ინტერესები და ფასეულობათა სისტემა აქვთ, აცნობიერებენ საკუთარი ინტერესების გარკვეული შეზღუდვის საჭროებას და, ამასთანავე, ერთმანეთთან ურთიერთობებში ერთობლივი მართვისა და საერო ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობას.

საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისური სკოლა ასევე აღიარებს, რომ სახელმწიფოები ქმნიან საზოგადოებას, ადგენენ საერთო ნორმებს და ცენტრალურ ინსტიტუტებს და მოწოდებულნი არიან მხარი დაუჭირონ და დაიცვან მათ მიერ დადგენილი წესები. ეს ხედვა მჭიდრო კავშირშია რეჟიმების ამერიკულ კონცეფციასთან, რომელიც ასევე ხაზსს უსვამს საერთო ნორმების, წესების და ინსტიტუტების განვითარების აუცილებლობას, როგორც სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების რეგულირების საშუალებას.

თუმცა თუკი ,,რეჟიმები“ ეხება კონცეფციის ერთ-ერთ კონ-კრეტულ გამოვლინებას, ვთქვათ კოორდინაციას, მაშინ ცნება ,,საერთაშორისო საზოგადოება“ სახელმწიფოთა სისტემაში ბევრად ფართოა და მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ერთობლიობას.

საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც განსხვავდება მსოფლიო საზოგადოებისაგან შედგება ცალკეული უჯრედებისაგან - სახელმწიფოებისაგან და დაფუძნებულია ინდივიდუალური იდენტობის დაყოფის შესახებ წარმოდგენაზე. განსაზღვრული ხარისხით, მოსახლეობის მასების დონეზე, საერთაშორისო საზოგადოება შეიძლება ფუნქციონირებდეს მსოფლიო თანამეგობრობის ელემენტების გარეშე. თუმცა, სტაბილური განვითრების კუთხით საერთაშორისო საზოგადოება სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება მსოფლიო საზოგადოების პარალელურ განვითარებაზე.

ხანდახან ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო და მსოფლიო საზოგადებათა იდეები ერთმანეთის საწინააღმდეგოა, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებას აფერხებს სახელმწიფო და ეროვნული თვითშეგნება. მიუხედავად ამისა სავსებით შესაძლებელია მათი წარმოგენა, როგორც ერთმანეთის შემავსებლის. მსოფლიო თანამეგობრობა უზრუნველყოფს უკვე განვითარებული საერთაშორისო საზოგადოების უფრო მეტი გახსნილობის და ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკურ კონსენსუს, რაც თავის მხრივ ქმნის მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკურ ჩონჩხს. ეს კი მას აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ან სულ არ ჰქონდეს პოლიტიკური სტრუქტურა, ან აღმოჩნდეს ეფემერული მსოფლიო მთავრობის გავლენაში.

ყველაზე ხშირად საერთაშორისო საზოგადოების მაგალითად მოჰყავთ კლასიკური საბერძნეთი და ევროპა. ორივე შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოების არსებობას მხარს უჭერს მასში ჩართული ყველა სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობა.

სავალდებულო არაა საერთაშორისო საზოგადოება მაინცდამაინც მოიცავდეს საერთაშორისო სისტემას მთლიანად. ამის მაგალითი ბევრი შეიძლება მოიძებნოს ისტორიაში რეგიონალური

ქვესისტემების ფარგლებში. ამასთან დაკაშირებით იბადება კითხვა შესაძლებელია თუ არა გლობალური საზოგადოების არსებობა გლობალური კულტურის არარსებობის პირობებში? იმპერიული აღზევების ხანაში ევროპული სახელმწიფოები დანარჩენ მსოფლიოს თავს ახვევდნენ პოლიტიკური ორგანიზაციის საკუთარ ფორმას - ტერიტორიულ სახელმწიფოს. ამ მემკვიდრეობამ საფუძველი დაუდო პოსტკოლონიალურ გლობალურ საერთაშორისო საზოგადოებას, როდესაც მოხდა სუვერენიტეტის ურთიერთაღიარება. რაც სახელმწიფოებს იურიდიულად თანასწორუფლებიანად წარმოადგენს და ქმნის დენტურობის, როგროც საერთაშორისო საზოგადოების წევრობის საფუძველს.

საერთაშორისო საზოგადოების არსებობა ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს არ აქვთ იმის აუცილებლობა მეტად გამოიყენენო სამხედრო ძალა ბალანსის შენარჩუნებისათვის. უფრო მეტიც, ის მიდის ურთიერთობათა უფრო მართვადი ფორმისკენ. ევროკავშირი მარალორგანიზებული საერთაშორის საზოგადოების შექმნის კარგ მაგალითს იძლევა.

თანამედროვე გლობალური საერთაშორისოს საზოგადოება არათანაბრად არის განვითარებული: ზოგიერთი სახელმწიფო იზიარებს გაცილებით მეტ საერთო ნორმას, წესებს და ინსტიტუტებს, ვიდრე სხვები. საზოგადოების გულს შეადგენს დასავლეთის ქვეყენები, რომლებიც გარშემორტყმულია სხვა ისეთი სახელმწიფოებით, რომლებშიც უფრო ნაკლები საერთო ნორმა, წესები და ინსტიტუტები მოქმედებს. და არიან სახელმწიფოები, რომლებიც საერთოდ საერთაშორისო საზოგადოების მიღმა დგანან.

ანარქიულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში საერთშორისო საზოგადოების იდეა ურთიერთთანამშრომლობის აქცენტით არბილებს საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების კონფლიქტურობას.

საერთაშორისო სისტემა არ არის მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთქმედებათა მხოლოდ მექანიკური ჯამი და მასში წარმოდგენილია ,,ქცევის" გარკვეული წესები და ნორმები უკვე საზოგადოების არსებობაზე მიგვითითებს. საზოგადოებას არ შეუძლია ფუნქციონირება, თუ მისი წევრების ქცევასა და ქმედებებ-

ზე არ ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლი, არ არსებობს კანონები და ა.შ. სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარი საერთაშორისო სისტემა, როგორც უკვე ვიცით, ანარქიულია, რადგან მასში არ არის წარმოდგენილი უზენაესი ხელისუფლება (მთავრობა). მაშ რა უფლება გვაქვს, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა საერთაშორისო საზოგადოებად გამოვაცსადოთ?

ინსტიტუტები, რომლებმაც საერთაშორისო საზოგადოებში წესრიგი უნდა უზრუნველყოს, არის **საერთაშორისო სამართალი, დიპლომატია, საერთაშორისო ორგანიზაციები და ძალთა წონასწორობა**.

საერთაშორისო საზოგადოების არსებობზე მეტყველებს საერთაშორისო სამართლის არსებობაა. ვინაიდან ყველა საზოგადოებას აქვს სამართალი, რომელშიც საზოგადოების წევრების უფლებები და მოვალეობები გარკვეული წესების სისტემის სახით არის წარმოდგენილი. საერთაშორისო სამართალი განკუთვნილია იმ საზოგადოებისათვის, რომელიც შედეგება სუვერენულ სახელმწიფოებისა და სხვა აქტორებისაგან. საერთაშორისო სამართალს უკან არ დგას საერთაშორისო მთავრობა, მაგრამ დგას სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო სამართალი სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოების სამართალია. სანქციების ეფექტური სისტემისა და მექანიზმების უქონლობა საერთაშორისო სამართალის ბევრ საჭირო პრინციპსა და წესს ხშირად მხოლოდ ფორმალურ, განუხორციელებელ ინსტიტუტად წარმოაჩენს. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას საერთაშორისო პოლიციული ძალები, რომლებიც დასჯიან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დამრღვევებს და კიდევ უფრო უნდა განვითარდეს საერთაშორისო სასამართალოების ინსტიტუტი. ამავდროულად საერთაშორისო საზოგადოებაც უნდა განვითარდეს იმ დონემდე, როცა სამართლებრივი ნორმების დაცვა მხოლოდ სანქციების შიშით არ უნდა მოხდეს.

საერთაშორისო საზოგადოების საკითხები, ტრადიციულად, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა ინტერესების სფეროში რჩებოდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობების დარეგულირება, სპეციალისტთა აზრით, სწორედ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტებითა და მათ მიერ

შემუშავებული ნორმებით იყო შესაძლებელი, რადგან, საყოველთაო აღიარებით, სადაც საზოგადოებაა, იქ კანონიცაა. მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებიდან ამ შეხედულების მიმართ ძლიერი სკეპტიციზმი გამომუშავდა და საერთაშორისო წესრიგისა და საზოგადოების იდეამ ახალი განზომილებები შეიძინა.

საერთაშორისო ურთიერთობების კვლევაში აქცენტმა სამართლებრივი ინტერპრეტაციიდან გადაინაცვლა სახელმწიფოთა ქმედებების მიზეზებსა და მექანიზმებზე. ვერ ვიტყვით, რომ საერთაშორისო საზოგადოების იდეამ დისკრედიტაცია განიცადა, მაგრამ, საზოგადოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევამ ახალი განზომილება და მიმართულება შეიძინა.

]საერთაშორისო საზოგადოება გულისხმობს სახელმწიფოთა ურთიერთმიმართებას საერთო პრაქტიკის, ტრადიციებისა და წესების თვალსაზრისით. Aამგვარი წესები წარმოადგენს საერთაშორისო ,,ქცევის“ შედარების საფუძველს. მათი მეშვეობით ირკვევა რა არის სამართლიანი და რა არის უსამართლო; ეს წესები იძლევა სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობების, მათი მოთხოვნების და ქმედებების განსჯის საშუალებას.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ქცევის მიღებული წესები დავიწყებას ეძლევა, როცა ისინი წინააღმდეგობაშია სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებთან და უფრო მეტად მეორეხარისხოვანი პრობლემების დარეგულირებისათვის გამოიყენება. ამიტომაც ლაპარაკობენ საერთაშორისო ანარქიაზე და არა _ საერთაშორისო საზოგადოებაზე. დღეს ხშირად იხმარება გამოთქმა “ანარქიული საზოგადოება” და იგი ობიექტურად ასახავს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ ვითარებას. Aანარქია ხელისუფლების, წესრიგის უქონლობას ნიშნავს. იგი შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების უქონლობასაც. საერთაშორისო სისტემის შესახებ მსჯელობისას, როგორც უკივე აღინიშნა, ანარქია საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში აუცილებლად სრულ უწერსიგობასა და ქაოსს არ ნიშნავს. Uუფრო მეტიც, უზენაესი ხელისუფლების უქონლობის პირობებშიც კი შესაძლებელია არსებობდეს და მოქმედებდეა საერთო წესები.

ზოგიერთ ავტორს საერთაშორისო საზოგადოება ესმის როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელშიც მოქმედებს საერთო წესები, მაგრამ არ არსებობს საერთო ხელისუფლება, მთავრობა. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ საერთაშორისო საზოგადოება არის სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარი სისტემა, რომელშიც დამკვიდრებულია გარკვეული წესები; მას შეიძლება ახასიათებდეს ორი უკიდურესი მდგომარეობა: სრული უწესრიგობა და მსოფლიო სახელმწიფო. სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარი ამგვარი სისტემის ფუნქციონირება, რომ ზემოხსენებული ორი უკიდურესი მდგომარეობის გარეთ შეიძლება მოხდეს, თავისთავად ღირსშესანიშნავი მოვლენაა. მაშასადამე, ეს არის საერთაშორისო სისტემა, რომელშიც ურთიერთქმედებენ სუვერენული სახელმწიფოები და ამასთანავე მიღწეულია საერთო წესებისა და ინსტიტუტების აღიარებისა და პატივისცემის გარკვეული დონე, რაც საზოგადოების არსებობაზეც მიგვანიშნებს.

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში არ არსებობს კანონშემოქმედი ორგანო ან პროცესი. ზოგადი პრინციპები დაფუძნებულია სახელმწიფოთა კონსენსუსზე. ახალი პრინციპები და ნორმები და, მითუმეტეს ახალი უნივერსალური სამართალი ძალზე ხანგრძლივი პროცესის შედეგად შეიძლება დამკვიდრდეს.

ამავე დროს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტები, კერძოდ კი, საერთაშორისო სასამართლოები, ვერ იქცა იმ ორგანოდ, რომელიც მიუკერძოებლად გაარჩევდა სადავო საკითხებს და აიძულებდა სახელმწიფოებს, დამორჩილებოდნენ საერთაშორისო დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამიტომაც სუვერენული სახელმწიფოები სადავო საკითხების შემთხვევაში უპირატესობას დიპლომატიას ანიჭებენ და ხშირად ამგვარი საკითხების მოგვარების პროცესში თავს არიდებენ საერთაშორისო სასამართლოს ართვას.

სუვერენული სახელმწიფოების საზოგადოებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინტერესები, როგორიც არის სუვერენიტეტი, ეროვნული უსაფრთხოება და სხვა სასიცოცხლო ინტერესები, საერთაშორისო სამართალის ნორმებთან ხშირად წინააღმდეგობაში მოდის და მათი დაცვა დიპლომატიის ან ომის საშუალებით ხორციელდება.

ტექნოლოგიური სიახლეები, გლობალური პრობლემები და საერთაშორისო დონეზე მათი რეგულირების აუცილებლობა განაპირობებს საერთაშორისო სამართალის როლისა და ეფექტურობის ზრდას. ახალ-ახალი მწვავე პრობლემები საერთაშორისო სამართალისა და მის ნორმებზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს. საერთაშორისო სამართალის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში დანერგილი ან დახვეწილი ერთიანი სტანდარტები არა მხოლოდ სამოქალაქო ავიაციაში, ტელეკომუნიკაციებში, შრომის პირობებსა და ჯამრთელობის დაცვაში, არამედ ისეთ სფეროებშიც, როგორიც არის სახელმწიფო მართვა, სოციალური პოიტიკა და სამოქალაქო უფლებები. ამგვარად, საერთაშორისო სამართალის განვითარების ძირითადი მიმართულებები მიმდინარე საუკუნეში იყო საერთაშორისო ინსტიტუტების სტრუქტურისა და ფუნქციონირების გაუმჯობესებასა, მათი გავრცელება საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ და მნიშვნელოვან სფეროსში.

საერთაშორისო საზოგადოების განვითარების პროცესის ერთ-ერთ თავისებურებაა ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მომრავლება, მათი საქმიანობის გაღრმავება და მასშტაბების ზრდა წარმოადგენს. საერთაშორისო ორგანიზაციები როგორც სამთავრობოთაშორისო, ასევე არასამთავრობოთაშორისოა და მათი გავრცელება-განვითარება მრავალ სფეროში გაზრდილ საერთაშორისო თანამშრომლობას, კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას ასახავს. საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვისა და მათი საქმიანობის მასშტაბების გაზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის უტყუარი ნიშანია.

საერთაშორისო საზოგადოების წევრები _ სუვერენული სახელმწიფოები განსხვავდებიან სიდიდით, სამხედრო ძლიერებით, როლით, (ჰეგემონი, სატელიტი, კოლონიზატორი, კოლონია, ნეიტრალური სახელმწიფო, მეტოქე და სხავ.) მსტატუსით და ა.შ. ამიტომ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებას რაიმე მარეგულირებელი მექანიზმი უნდა ჰქონდეს. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი საერთაშორისო სამართალია. კიდევ ერთი მექანიზმი არის “ქცევის” ნორმები. საერთაშორისო საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების, მისი წევრების თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის აუცი-

ლებელი პირობა არის გარკვეული ქცევის ნორმების ანუ ურთიერთქმედებათა საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული პრინციპების არსებობა. რ. კოენი ამგვარ ნორმებს "თამაშის წესებად" ნათლავს და შენიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში, ისინი ასრულებენ იმავე ფუნქციას, რასაც ჩვეულებრივ საზოგადოებაში _ ნორმები. ხსენებული წესები განსაზღვრავენ შესაძლებელი ქცევის ჩარჩოებს, ყველაზე უფრო მისაღები ქცევის ხასიათს და ქმნიან აქტიური თანამშრომლობის შესაძლებლობას. ქცევის წესებში ასახული ნორმები, არეგულირებენ საერთაშორისო წესრიგს. ისინი არ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ეს უკანასკნელნი სწორედ ის ნორმებია, რომლებმაც სამართლებრივი, ოფიციალური სახე მიიღეს. ნორმების გარეშე საერთაშორისო საზოგადოებაში წესრიგი ვერ იარსებებდა. ამდენად, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. ნორმებიდან გამომდინარეობს ქმედებების, ქცევის დამარეგულირებელი წესები. ნებისმიერ საზოგადოებაში წესები წესრიგის ძირითადი ინსტიტუტია.

ანარქიულ საერთაშორისო საზოგადოებაში არსებობს გაურკვევლობის, არასტაბილურობის მინიმუმამდე დაყვანის, პროგნოზორების აუცილებლობა. ვინაიდან მასში დიდი კონფლიქტურობა შეინიშნება. კერძოდ, სასიცოცხლო ინტერესები, რესურსებსა და ძლიერებაში უთანასწორობა დღენიადაგ ფეთქებად ვითარებას ქმნიან. აქედან გამომდინარე, საჭიროა არა მხოლოდ საერთაშორისო სამართალი, არამედ კიდევ სხვა მექანიზმები, ნორმები, გარკვეული კრიტერიუმები და სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება საკუთარი ან სხვა სახელმწიფოთა ქმედებების განსჯა და შეფასება. ამგვარი საჭიროება მთელი საერთაშორისო საზოგადოების და არა ერთი რომელიმე სახელმწიფოს მოთხოვნილებებს ასახავს.

საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი ისეთი ინსტიტუტი, როგორიც Aარის ომები, ასევე გარკვეული ნორმებისა და წესების მიხედვით წარმოებდა და ახლაც წარმოებს. საყურადღებოა, რომ ომთან დაკავშირებული ნორმები და წესები აისახება საერთაშორისო სამართალში, მაგრამ ისინი, პირველ ყოვლისა, ყალიბდებიან საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. სახელმწიფოთა ქმედე-

ბებზე, საერთაშორისო ნორმებსა და ინსტიტუტებზე მათ ზეგავლენას ხშირად საზოგადოებრივი აზრი ახდენს. ორმა მსოფლიო ომმა, რომლებმაც ათასობით მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე; ომები საბოლოოდ დაგმობილი იქმა კაცობრიობის მიერ. 1928 წლის კელოგ-ბრიანის პაქტის თანახმად, ომი, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, აიკრძალა. ასეთივე შეფასება მიეცა ომს გაეროს ქარტიაში.

საერთაშორისო საზოგადოებაში სახელმწიფოთა ურთიერთობებს და დამოუკიდებლობას გარკვეული ნორმები არეგულირებენ და აწესრიგებენ. ცენტრალური, საერთაშორისო უზენაესი ხელისუფლების უქონლობის პირობებში ქცევის ნორმები და საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო საზოგადოებაში გარკვეული წესრიგის არსებობისა და შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

საერთაშორისო საზოგადოების მოდელები

საერთაშორისო საზოგადოება განვითარების პროცესში იმყოფება. ცვლილებები ძალის განაწილებაში, ტექნოლოგიაში, კაცობრიობის ინტერესებსა და პრიორიტეტებში ის ფაქტორებია, რომელიც წარმართავენ საერთაშორისო საზოგადოების განვითარების პროცესს. ბრიტანელი ივენ ლუარდი გვტავაზობს საერტაშორისო საზოგადოების განვიტარების ხუთ შესაძლებელ ვარიანტს: 1. ტრანსნაციონალური საზოგადოება; 2. საერთაშორისო საზოგადოება; 3. გავლენის სფეროთა საზოგადოება; 4. რეგიონებისაგან შემდგარი მსოფლიო; 5. მდიდართა და ღარიბთა საზოგადოება.

1. **ტრანსნაციონალური საზოგადოება**. ამ ტიპის საერთაშორისო საზოგადოებაში თანამედროვე სამყაროს ერთი ტენდენცია _ სახელმწიფოთა საზღვრების მნიშვნელობის დაკნინების პროცესი _ კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ერი-სახელმწიფო, ტერიტორიული სახელმწიფო თავის მნიშვნელობას თითქმის დაკარგავს. მსოფლიოში ტრანსნაციონალური პროცესები გაბატონდება. საზღვრების მნიშვნელობის დაკნინების გამო ტერიტორიული კონფლიქტების და, აქედან გამომდინარე, მათი ძირითადი წყაროს _ ნაციონალიზმის როლი მეტად შემცირდება. კონფლიქტები

უფრო სამოქალაქო ხასიათს მიიღებს. ამავე დროს შესაძლოა განვითარდეს სხვადასხვა სახის ტერორიზმი, რაც მწვავე პრობლემად შეიძლება იქცეს.

2. **საერთაშორისო საზოგადოება.** იგი თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისაგან განსხვავებული იქნება, პირველ ყოვლისა, იმით, რომ მასში მკვეთრად გაიზრდება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის როლი და ძალაუფლება. აქაც, ისევე როგორც ტრანსნაციონალურ საზოგადოებაში, ხელისუფლება სახელმწიფოთა მთავრობებისაგან საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეცემა. საერთაშორისო ინსტიტუტების ხელისუფლება უზენაესი იქნება როგორც სახელმწიფოების, ასევე ინდივიდებისათვის. უკვე არსებული ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა შეიძლება გადაიქცეს მსოფლიო სამინისტროების მსგავს ორგანოებად, რაც მსოფლიო მთავრობის მაგვარი რამ შეიძლება გახდეს. ამგვარი ტიპის საერთაშორისო საზოგადოება ყველაზე მშვიდობიანი იქნება.

3. **გავლენის სფეროთა საზოგადოება.** შესაძლებელია, წამყვანმა, უძლიერესმა სახელმწიფოებმა მსოფლიო თავიანთ გავლენის სფეროდ დაყონ და თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება ამ მიმართულებით განვითარდეს. ამ შემთხვევაში ჩამოყალიბდება მკაფიოდ გამოკვეთილი გავლენის სფეროები, რომლებშიც წამყვანი სახელმწიფოები თითქმის სრულ დომინირებას და კონტროლს მოახდენენ. ამგვარი სისტემა ოლიგარქიული იქნება. ვინაიდან გავლენის სფეროები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული, მსოფლიო ომის შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. სამაგიეროდ, ადამიანის უფლებების დაცვა მსოფლიო მასშტაბით შეუძლებელი გახდება, რადგან გავლენის ყოველ სფეროში ჰეგემონი თავისთვის მისაღებ ნორმებსა და წესებს დაამყარებს.

4. **რეგიონებისაგან შემდგარი მსოფლიო.** რეგიონალური ინტეგრაციის პროცესმა შესაძლოა მიგვიყვანოს ხელისუფლების კონცენტრაციამდე რეგიონის დონეზე (მაგ: კონტინენტზე), რაც ნიშნავს სახელმწიფო და მსოფლიო დონეზე ხელისუფლების ძლიერ შესუსტებას. ყოველი რეგიონი საკუთარ ეკონომიკას და პოლიტიკურ ინსტიტუტებს განავითარებს და რეგიონები ერთიმეორის საქმეებში არ ჩაერევიან. საყურადღებოა, რომ, გავლენის სფეროე-

ბის მოდელისაგან განსხვავებით, რეგიონებს არ ეყოლებათ გაბატონებული სუპერძალა, ჰეგემონი.

5. **მდიდართა და ღარიბთა საზოგადოება.** არსებობს ამგვარი ტიპის საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობაც. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში ამის ტენდენცია შეინიშნება. ამგვარ საზოგადოებაში გამიჯვნა ხდება არა გეოგრაფიული ან იდეოლოგიური მახასიათებლების, არამედ ეკონომიკური განვითარების დონეების მიხედვით; მსოფლიო დაიყოფა ორ სამ საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილ ეკონომიკურ კლასად, რომლებსაც ანტაგონისტური ინტერესები ექნებათ. ეს იქნება ძალზე არასტაბილური საერთაშორისო საზოგადოება, რომელშიც წესრიგი მდიდარი სახელმწიფოების სამხედრო ძალის მეშვეობით დამყარდება. ამგვარი ტიპის საზოგადოებაში ინტერესების შეჯახება და კონფლიქტები ეკონომიკური ხასიათის იქნება.

ლუარდის მიერ შემოთავაზებული მომავალი საერთაშორისო საზოგადოების ტიპები თუ მოდელები უამრავ შიდა წინააღმდეგობას შეიცავს. ეს ტიპები საყურადღებოა, პირველ ყოვლისა, იმით, რომ ყოველი მათგანი არსებული საერთაშორისო საზოგდოების წიაღში მომდინარე პროცესების, განვითარების ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებისა და პროგნოზირების მცდელობას წარმოადგენს. თუ როგორი იქნება მომავალი საერთაშორისო საზოგადოება, ამას დიდად განსაზღვრავს ეკოლოგიური პრობლემები, მოსალოდნელი დიდი აღმოჩენები ბიოლოგიასა და ფიზიკაში და მრავალი სხვა მოვლენა, რომელთა შესაძლებელი შედეგების წარმოდგენა და საერთაშორისო საზოგადოების განვითარებაზე მათ მიერ მოხდენილი ზეგავლენის სისტემურ დინამიკაში გააზრება ამჟამად შეუძლებელია. ნებისმიერი რთული სისტემის პროგნოზირება ძნელი საქმეა. ეს მითუმეტეს საერთაშორისო საზოგადოებაზე ითქმის. დიდი, რთული სისტემების საშუალო და გრძელვადიანი მდგომარეობის პროგნოზირება არ ხერხდება, მაგრამ ამგვარი ცდები მაინც საჭიროა, რადგან მიმდინარე პროცესების შესაძლებელი შედეგების ზოგადად წარმოდგენის საშუალებას მაინც გვიქმნის.

ადამიანი სრულყოფს იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს. ასევე სრულყოფს იგი საერთაშორისოსა-

ზოგადოებასაც. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა, სუსტი სახელმწიფოებისათვის, რადგან, რაც უფრო ანარქიულია საერთაშორისო სისტემა და რაც უფრო სუსტია საერთაშორისო საზოგადოება და მისიინსტიტუტები (ომის გამოკლებით!), მით უფრო მცირეა ამგვარი სახელმწიფოს გადარჩენის შანსები. ადამიანი უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ესწრაფვის. მას სურს ისეთ საერთაშორისო საზოგადოებაში იცხოვროს, სადაც არ იქნება ომები და სამართლიანობა იბატონებს. თავის დროზე გერმანელმა ფილოსოფოსმა ი. კანტმა შემდეგნაირად გამოხატა კაცობრიობის საზოგადოებად გადაქცევის არსი: "კაცობრიობის უდიდესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც აიძულებს მას ბუნება, არის საყოველთაო სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოება. მხოლოდ საზოგადოებაში და სახელდობრ ისეთში, რომელიც იძლევა თავისი წევრებისათვის უდიდეს თავისუფლებას, ე.ი. სრულ ანტაგონიზმს და მაინც ამ თავისუფლების საზღვრების ზუსტად განსაზღვრებას და გარანტირებას, რათა სხვების თავისუფლებასთან თანაარსებობა იყოს შესაძლებელი; მხოლოდ მასშიაშესაძლებელი მიღწეულ იქნეს ბუნების უმაღლესი მიზანი, კაცობრიობაში მოცემული მისი ყველა ჩანასახის განვითარება. ბუნებას აგრეთვე სურს, რომ კაცობრიობამ მისი განსაზღვრულობის ყოველი სხვა მიზნის მსგავსად, ეს მიზანიც თვითონ განახორციელოს".

თემა III

საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტები და წესრიგი

საერთაშორიო ურთიერთობები ეს არის საზოგადებრივი ურთიერთობის სპეციფიკური სფერო, მის შემადგენელ ელემენტებს შორის სხვადასხვა კავშირების ერთობლიობა და ძირითად სუბიექტებს შორის ურთიერთობები. აგრეთვე, იგი არის სახელმწიფოს ქცევა საერთაშორისო არენაზე.

საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები გამოდიან კონფლიქტურ მხარეებად, ან პირიქით, თანამშრომლობენ საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ინსტიტუტების მეშვეობით. ეს იქნება თანამშრომლობა და ურთიერთობა სახელმწიფოებს, სამთარობათშორისო და არასამთავრობო ორგანოებს, ორაგნიზაციებს, მოძრაობებს და გაერთიანებებს შორის.

ვინ არიან აქტორები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში? ერთი შეხედვით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთული არ არის. საერთაშორისო აქტორი ეს არის საერთაშორისო პოლიტუიკის სუბიექტი, რომელიც ინდივიდუალურ როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში და წარმოდგენილია დამოუკიდებელ მონაწილედ. აქტორებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკობიზნესთან დაკავშირეული და სხვა კრიმინალური დაჯგუფებები, რელიგიური ორგანიზაციები და სხვ. ცალკეულ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობების აქტორი შეიძლება იყოს ინდივიდიც (მაგ., რომის პაპი). ასევე საერთაშორისო არენაზე მრავალი მცირე თუ დიდი მნიშვნელობის აქტორია, რომელთა საქმიანობა მჭიდრო კავშირშია მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკასთან. მათ შორის არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები და ცალკეული ლიდერები, საგარეო საქმეთა სამინისტროების ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლები. თუმცა, მთავარ როლს ამ “სპექტაკლში” თამაშო-

ბენ დიდი სახელმწიფოები, ხოლო სხვა აქტორები იშვიათად ჩნდებიან "სცენაზე".

საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად სუბიექტად დღესაც რჩება სახელმწიფო. **სახელმწიფო არის მთავრობის მიერ კონტროლირებადი, დასახლებული ტერიტორიული ერთეული**. პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამა თუ იმ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. მისი ძირითადი თვისება სუვერენიტეტია, ამას გარდა როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს შემდეგი ნიშან-თვისებები უნდა გააჩნდეს: 1. მუდმივი მოსახლეობა; 2. გარკვეული ტერიტორია; 3. სახელმწიფო ძალაუფლება; 4. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის უნარი.

სახელმწიფოს მთავრობა იერარქიულად არავის ექვემდებარება; მას გააჩნია სუვერენიტეტი თავის ტერიტორიაზე და აქედან გამომდინარე გამოსცემს კანონებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას, კრებს გადასახადებს, და ა.შ. სახელმწიფოს სუვერენიტეტს აღიარებენ სხვა სახელმწიფოები დიპლომატიური ურთიერთობების საშუალებით. სუვერენიტეტი, აგრეთვე, დასტურდება სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებით.

სახელმწიფოს მკვიდრი მოსახლეობა არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ქვეყანაში შექმნილი ინსტიტუტების მეშვეობით მონაწილეობას იღებს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მოსახლეობის სრულმა შემადგენლობამ ან ერთმა დაჯგუფებამ შეიძლება თავი აღიაროს როგორც ერმა. მთავრობა ატარებს დემოკრატიულ პოლიტიკას, რაც გულისმობს იმას, რომ მთავრობის მუშაობას აკონტროლებენ წარმომადგენლები მოსახლეობიდან.

საერთაშორისო ურთიერთობებში, სახელმწიფოები ეყრდნობიან წესებს, ნორმებს, ტრადიციებს და იმ ინსტიტუტებს, რომელნიც ყველა მხარეს კეთილგონივრული ქმედებებისაკენ მოუწოდებს, აფრთხილებს რა მათ, რომ ვიწრო, პირად ინტერესებზე დამყარებული ქმედებები დამარცხებით სრულდება.

ამრიგად, სახელმწიფოები მოქმედებენ რა საკუთარი საზღვრების ჩარჩოებში, რომელშიც ისინი ფლობენ შიდა სუვერენიტეტს, წყვეტენ მთელ რიგ ამოცანებს:

ა. საკუთრი ქვეყნის ტერიტორიაზე ამყარებენ უცხო ძალების და სტრუქტურების მოქმედებებზე კონტროლს, რომლებიც ართულებენ ეროვნული უსაფრთხოების და სტაბილურობის მიღწევას.

ბ. უკუაგდებს ქვეყნის მთლიანობის, უსფრთხოების და ეროვნული ინტერესების საფრთხეებს;

გ. ბევრად ძლიერ პარტნიორთან ან მეტოქესთან ათანხმებს საკუთარ ინტერესებს;

დ. საერთაშორისო არენაზე ავსებს მის რესურსებს, ზრდის ძალებს, ავტორიტეტს და გავლენას.

ისტორიული პროცესების მსვლელობაში თანდათან იქმნებოდა ან იმსხვრეოდა სახელმწიფოთა ურთიერთობის ისეთი მექნიზმები, როგორიცაა კავშირი და კონფრონტაცია, პროტექტორობა და პარტნიორობა, თანამშრომლობა და წინააღმდეგობა.

თანმაედროვე ეტაპზე სახელმწიფო საერთაშორისო ცხოვრებაში წარმოდგენას საზოგადოების სრულ სახეს, და არა რაღაც პოლიტიკური ორგანიზაციის ან სოციალური ჯგუფის სახეს. სახელწიფოს წაროებაში რჩება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, მეცნიერების განვითრების, განათლების და კულტურის უზრუნველყოფასთან. სახელმწიფო წარმოადგენს ერთადერთ საერთო ეროვნულ ინსტიტუტს, რომელსაც აქვს ლეგიტიმური რწმუნება, დაამყაროს ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, დადოს ხელშეკრულება ან გამოაცხადოს ომი. დღესაც კი სახელმწიფოს გავლენა, მისი ძალა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მისი უნარი დაიცვას საკუთრი ინტერესები სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს რეალური ადგილი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში განისზღვრება არა მხოლოდ მისი სამხედრო პოტენციალით, ტერიტორიული სიდიდით, ბუნებრივი რესურსებით, არამედ ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებლებით მოსხლეობის შემოსავლის, განათლების დონით, მეცნიერების გან-

ვითრებით, ეროვნული ეკონომიკის გამართული სტრუქტურით და ა.შ.

პოლიტიკურ ცხოვრებაში, ნაწილობრივ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროშიც, ტერმინები სახელმწიფო, ერი, და ქვეყანა გამოიყენება როგორც ზოგადი ტერმინი და ჩვეულებრივ, მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების ჭრილში განიხილება. სახელმწიფოების ქმედებები კომპლექსური შიდა პროცესების შედეგია. ე.ი. მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები არიან ჭეშმარიტი აქტორები, რომელნიც გონივრულ გადაწყვეტილებებს იღებენ. მაგრამ თუ სახლემწიფოს გავაიგივებთ ხალხთან, ამ შემთხვევაში ადვილი ხდება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ახსნა.

ყველა სახელმწიფოს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, აქვს დედაქალაქი – სადაც განლაგებულია მთავრობა, რისი მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ტერიტორიის ადმინისტრირებას. სახელმწიფოს აგრეთვე ჰყავს პირი, ,,სახელმწიფოს ლიდერი", რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს. ხშირად ეს პირი მთავრობის ხელმძღვანელია (მაგალითად პრემიერ_მინისტრი), ან სახელმწიფოს მეთაური (მაგალითად პრეზიდენტი, მეფე ან დედოფალი). ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური ერთი და იგივე პირია. სხვა ქვეყნებში პრეზიდენტისა და სამეფო ხელისუფლების ხელმძღვანელის სტატუსს, თუნდაც პრემიერ მინისტრის სტატუსს, სიმბოლური დატვირთვა აქვს. ყველა შემთხვევაში უძლიერესი პოლიტიკური ფიგურა არის პირი, რომელსაც ვუწოდებთ ,,**სახელმწიფოს ლიდერს**" და სწორედ ეს პირი, მიუხედავად იმისა ის დემოკრატიული გზით არის არჩეული თუ არა, არის **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს მთავარი აქტორი**. სახელმწიფოში აქტორები არიან სახელმწიფოს სახელით მოქმედი ცალკეული ლიდერები და სხვადასხვა ბიუროკრატიული ინსტიტუტები (როგორიცაა მაგ. საგარეო საქმეთა სამინისტრო).

სახელმწიფოების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალეროვანი სახელმწიფოების დაშლისა (საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, და ჩეხოსლოვაკია) და ყოფილი კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად. სახელმწიფოების ზუსტი რაოდენობის დადგენა დამოკიდებულია მცირე პოლიტიკური ერ-

თეულების სტატუსის მუდმივ ცვლაზე, ვინაიდან ეს პოლიტიკური ერთულები მუდმივად ერწყმიან სხვა მსგავსი მასშტაბების მქონე პოლიტიკურ გაერთიანებას, ან პირიქით.

სხვა პოლიტიკური ერთეულები განიხილება როგორც ქვეყნები, ან სახელმწიფოები, თუმცა მათ არ გააჩნიათ ოფიციალური სახელმწიფოებრივი სტატუსი. ასეთ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტაივანს. ფაქტიურად ის დამოუკიდებლად წარმართავს თავის სახელმწიფოებრივ საქმიანობას, თუმცა იურიდიულად ჩინეთის დაქვემდებარების ქვეშაა (ეს ოფიციალურადაა აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ და უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში თვით ტაივანის მიერაც), რაც განაპირობებს იმას, რომ ტაივანი არ შედის გაერთიანებული ერების ნუსხაში. ჯერ-ჯერობით არსებობენ ყოფილი კოლონიები და მათი სტატუსი შესაძლოა კვლავ შეიცვალოს უახლოეს მომავალში. ასეთ ქვეყნებს შორისაა: პუერტო რიკო (აშშ), ბერმუნდი (ბრიტანეთი), მარტინიკი (საფრანგეთი), საფრანგეთის გუანა, ნიდერლანდების ანტილესი (დანია), ფოლკლენდის კუნძულები (ბრიტანეთი), და გუამი (აშშ). რაც შეეხება ჰონგ-კონგს – 1997 წელს ის გამოვიდა ბრიტანეთის კოლონიიური რეჟიმიდან და ჩინეთის დაქვემდებარების ქვეშ მოექცა., თუმცა ჩინეთი ,,ერთი ქვეყანა, ორი სისტემა" ფორმულის მიხედვით ინარჩუნებს დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთუელის სტატუსს. უფრო მცირე ზომის პორტუგალიური კოლონია მაკაუც 1999 წელს ჩინეთის დაქვემდებარების ქვეშ მოექცა. რომის ვატიკანის (პაპის რეზიდენციის) სტატუსი დღემდე ბუნდოვანია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებისა და ეგრეთწოდებული "არშემდგარი სახელმწიფოების" ლიდერების სრული რაოდენობია მსოფლიოში 200 ზე მეტია.

ასევე არსებობენ ისეთი "პოტენციური სახელმწიფოები", როგორიცაა ქურთისტანი და დასავლეთ საჰარა, რომელნიც მთლიანად არ აკონტროლებენ იმ ტერიტორიას, რომელზეც მათ პრეტენზია გააჩნიათ და მსოფლიო მასშტაბით მათი სუვერენიტეტი არ არის აღიარებული. ვინაიდან დიდი სახელმწიფოებიდან მცირე ერთეულების გამოყოფის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს (მაგალითად, კანადიდან კვებეკის გამოყოფა), შესაბამისად სახელმწიფოთა რაოდენობაც მუდმივად იცვლება.

სახელმწიფოების მასშტაბები სხვადასხვაგვარია – მილიარდ 500 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ჩინეთიდან დაწყებული 100,000-იანი სან მარინოს ჩათვლით. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სახელმწიფოების უმრავლესობაში მოსახლეობის რაოდენობა 10 მილიონს შეადგენს, ხოლო სხვა დანარჩენ სახელმწიფოებში 10-50 მილიონს შორის მერყეობს. მსოფლიოს 200 ქვეყნიდან მხოლოდ 23-ში მოსახლეობა 50 მილიონზე მეტია. აღნიშნულ 23 სახელმწიფოში მსოფლიო მოსახლეობის სამი მეოთხედი ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით პირველ ადგილზეა ჩინეთი, შემდეგ ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინდონეზია, ბრაზილია, პაკისტანი, რუსეთი, ბანგლადეში, ნიგერია, იაპონია, მექსიკა, გერმანია, ვიეტნამი, ფილიპინები, თურქეთი, ეთიოპია, ეგვიპტე, ირანი, ტაილანდი, საფრანგეთი, ბრიტანეთი, იტალია და დემოკრატიული კონგო.

სახელმწიფოები განსხვავდებიან წლიური ეკონომიკური აქტივობის – სრული შიდა პროდუქტის მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით, პირველ ადგილზეა აშშ – თავისი 15 ტრილიონი ამერიკული დოლარის ეკონომიკით, ხოლო ყველაზე ბოლოს - წყნარი ოკეანის ვაიატუს კუნძული (600 მილიონი აშშ დოლარი).

მსოფლიო ეკონომიკაში სულ რამდენიმე სახელმწიფო დომინირებს. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ეკონომიკის ერთ მეხუთედს, ხოლო დანარჩენ ექვს ძლიერ სახელმწიფოსთან ერთად ის მსოფლიო ეკონომიკის ნახევარზე მეტს შეადგენს. მსოფლიოს 15 უძლიერესი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნუსხაშია – ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, იტალია, ბრაზილია, რუსეთი, კანადა, მექსიკა, ესპანეთი, სამხრეთ კორეა და ინდონეზია.

ჩამოთვლილ სახელმწიფოთაგან მხოლოდ რამდენიმეს გააჩნია განსაკუთრებულად ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური გავლენა, და შესაბამისად, მათ განიხილავენ როგორც ,,დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოებს". ,,დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოების სისტემა" შეიძლება განვიხილოთ როგორც დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოებს შორის დამყარებული ურთიერთობები, რაც რეგულირდება განსაკუთრებული წესებითა და ინტერაქციით. დიდი ძალაუფლების სახელმწიფოებს მოქმედებისა

და ერთმანეთთან ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა აქვთ, რაც არ ვრცელდება სხვა სახელმწიფოების მიმართ ურთიერთობებში. ასეთ სახელმწიფოებს შორის ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოებს განიხლავენ, როგორც "ზესახელმწიფოებს". ეს ტერმინი მიესადაგება უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუმცა ცივი ომის პერიოდში ამავე ტერმინს იყენებდნენ საბჭოთა კავშირის მიმართაც. დღეისათვის საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა უმრავლესობა "ზესახელმწიფოდ" მიიჩნევს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს. უძლიერესი და სხვა ძლევამოსილი სახელმწიფოები (მრავალრიცხოვანი მოსახლეობის, ძლიერი ეკონომიკის, ან საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი როლის მქონე სახელმწიფოები) საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ. რა თქმა უნდა შედარებით მცირე და სუსტი სახელმწიფოებიც ფრიად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობებისათვის, მაგრამ მათ, დიდი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, არა აქვთ დიდი გავლენა აღნიშნულ სფეროზე.

სახელმწიფოები არიან უნიტარული აქტორები. თითოეული მათგანი გარკვეული გამოკვეთილი ინტერესთა ჯგუფის ფარგლებში მოქმედებს. სახელმწიფოების ქმედებები ხშირ შემთხვევაში არ ასაბუთებს მხოლოდ ერთი იდივიდუალური ინტერესების ერთობას. უფრო მეტიც, სახელმწიფოს "ქცევას" განაპირობებს ის შიდა გარიგებები თუ დამოკიდებულებები, რომელიც არსებობს ბიუროკრატიულ სტრუქტურებში, ინტერესთა ჯგუფებსა და სხვა აქტორებში. ხოლო თუ განვიხილავთ არასახელმწიფოებრივ აქტორებს – ინდივიდუალური პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები და ეთნიკური ჯგუფები – საერთაშორისო ურთიერთობების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ურთიერთობებით რაც ჩამოყალიბებულია მცირე რაოდენობის სახელმწიფო აქტორებს შორის, რომელნიც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ.

საერთაშორიო ურთიერთობათა სფეროში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი სუბიექტები გახდნენ **საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაცია ეს არის** ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია პროცედურებისა და წევრობის დადგენილი

ფორმალური წესები და რომელშიც წარმოდგენილია სამი ან მეტი ქვეყანა. სამი სახელმწიფო მინიმუმად იმ მიზეზითაა აღებული, რომ მრავალმხრივ ურთიერთობებს გაცილებით უფრო მეტი კომ-პლექსურობა ახასიათებს, ვიდრე ორმხრივს.

ზოგადად საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა ორ ძირი-თად ჯგუფად.

1.საერთაშორისო (სამთავრობათშორისი) ორგანიზაციები ფუძნდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სახელ-მწიფოთა ჯგუფის მიერ; ამ ორგანიზაციათა ჩარჩოებში ხორციელ-დება წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთქმედება და მათი ფუნქციო-ნირება დაფუძნებულია გარკვეულ საერთო გადაწყვეტილების მიღწევაზე წევრ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში იმ საკით-ხებთან დაკავშირებით, რომლებიც შედიან შესაბამისი ორგანიზა-ციის მოღვაწეობის სფეროში.

2.საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები იქმნება არა სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანების გზით, რომელთა მოღვაწეობაც ხორციელდება სახელმწიფოთა ოფიციალური საგა-რეო პოლიტიკის ჩარჩოებს გარეთ.

შინაარსის მიხედვით ორგანიზაციები იყოფიან:

_ რეგიონალური ორგანიზაციები (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყების ასოციაცია; არაბული სახელმწიფოების ლიგა და აშ);

_ ეკონომიკური ხასიათის ორაგინიზაციები (მსოფლიო სა-ვაჭრო ორგანიზაცია; მსოფლიო სავალუტო ფონდი; მსოფლიო ბანკი და აშ);

_ მსოფლიო მეურნეობის სხვადსხავა მიმართულების ორაგ-ნიზაციაები (ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; ნავთობის ექსპორტიორი ქვეყების ორგანიზაცია და აშ);

_ პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცი (აფრიკის ერთო-ბის ორაგნიზაცია; ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია; ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაცი და აშ);

_ პროფესიული ორგანიზაციები (ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია; კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორაგნიზაცია და აშ);

_ დემოგრაფიული ორგანიზაციები (ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაცია; ახლგაზრდობის საერთაშორისო ორგანიზაცია და აშ);

_ ორგანიზაციები ფიზკულტურისა და სპორტის მიმართულებით (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების და კულტურის და მეცნიერების ორგანიზაცია და აშ);

_ სამხედრო ორგანიზაციები (ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია; უსაფრთხოების წყანარი ოკეანის პაქტი და აშ);

_ პროფკავშირების ორგანიზაციები (თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაცია; შრომის საერთაშორისო კონფედერაცია);

_ ორგანიზაციები მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერისათვის (მშვიდობის მსოფლიო საბჭო; მშვიდობის საერთაშორიო ინსტიტუტი);

_ რელიგიური ორგანიზაციები (ეკლესიათა მსოფლიო საბჭო; ქრისტიანობის მსოფლიო კონფერენცია);

_ ჰუმანიტარული ორგანიზაციები (საერთაშორიო წითელი ჯვარი);

_ ეკოლოგიური ორგანიზაციები (გრინფისი).

ნათელია, რომ სახელმწიფოების მიერ შექმნილი ორგანიზაციები გაცილებით უფრო თვალსაჩინო გავლენას ახდენენ მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესების დროს, როდესაც საერთაშორისო არენაზე მთავარი მოქმედი პირები სახელმწიფოები არიან. იმავდროულად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიაზაციათა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფოების მიერ შექმნილი ორგანიზაციებისა და უკანასკნელ წლებში საკმაოდ მყარია მათი რიცხვის კიდევ უფრო გაზრდის ტენდენცია. თუკი 1968 წლისათვის იყო სულ 1899 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, 1978წ. - 2420, 1987წ. - 435, 1998 წელს უკვე - 5766.

სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით – მასში გაწევრიანებულია სახელმწიფოთა მთავრობები. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მის დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოები სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციის წევრები არიან, ისევე როგორც მსოფლიო ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ასეთ ორგანიზაციებს მრავალი ფუნქცია აქვთ და შესაბამისად მათი მასშტაბებიც განსხვავებულია. მაგალითად, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია კოორდინაციას უწევს წარმოებისა და ფასების პოლიტიკას თავის 11 წევრ ქვეყანაში, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით აკონტროლებს სავაჭრო წესების შესრულებას და ხელს უწყობს სავაჭრო ბარიერების შემცირებას.

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციათა ნუსხაშია აგრეთვე სამხედრო ალიანსები, როგორიცაა ნატო და პოლიტიკური დაჯგუფება აფრიკის კავშირი.

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები შეიქმნა სახელმწიფოების მიერ, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ამა თუ იმ ფუნქციის შესასრულებლად და დღეისათვის მათი რიცხვი ბევრად აღემატება სახელმწიფოების რაოდენობას.

1998 წლისათვის არსებობდა 254 სახელმწიფოთაშორის ორგანიზაცია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მონაწილეთა წრით (უნივერსალურები და რეგიონულები), ფუნქციონალური დანიშნულებით (საერთო და სპეციფიური კომპეტენცია), ახალი წევრების მიღების წესით (ღია და დახურული), უფლებამოსილებათა ხასიათით (რომელიც დაფუძნებულია წევრ სახელმწიფოთა პოზიციების დაახლოების პრინციპზე და რომლებიც ატარებენ ზენაციონალური ელემენტებს).

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების განვითარების საერთო ტენდენციებად შეიძლება ჩაითვალოს: 1. მათი მოღვაწეობის რეგიონული ასპექტების შედარებითი გაძლიერება, რომელიც საშუალებას იძლევა ფოკუსირება მოხდეს უფრო კონკრეტულ საკითხებზე). 2. სოციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაციათა რიცხვის მკვეთრი გაზრდა საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციფიური სფეროების რეგულირებისათვის. 3. სახელმწიფოთაშო-

რისი ორგანიზაციების უფრო ხშირი და ფართო აღჭურვა ზენაციონალური უფლებამოსილებით.

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების მასშტაბი, ხასიათი და გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაზე ვარირებს მეტად ფართო საზღვრებში. ზოგიერთი ამგვარი ორგანიზაციის მოღვაწეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა შესაწავლისათვის და აუცილებელია მათი გამოცალკევებით განხილვა.

ჩვეულებრივ არასამთავრობო აქტორებს შორის გამოყოფენ საერთაშორისო არსამთავრობო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ბანკებს.

გაეროს რეზოლუციის თანახმად საერთაშორიო არსამთავრობო ორგანიზაციად ჩაითვლება ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც არ არის შექმნილი სამთავრობათშორის შეთანხმების საფუძველზე.

ზოგადად სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები განიხილება, როგორც საერთაშორისო უწყებები.

არასამთავრობო ორგანიზაციები ყოველდღიურად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობელემების მოგვარებითაა დაკავებული. აღნიშნული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ დიდ რესურსებს ფლობს. მათ ურთიერთობა აქვთ სახელმწიფოებთან, ქვესახელმწიფოებრივ აქტორებთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სხვა ფორუმებზე აღიარებენ როგორც ლეგიტიმურ აქტორებს, მაგრამ არა სახელმწიფოებრივ რანგში. აღნიშნულ ორგანიზაციათა მიზანი შეიძლება იყოს პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური ან ტექნიკური დანიშნულების.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება წამოჭრან საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს მთავრობათა მოქმედება, შეაგროვონ ინფორმაცია საერთაშორისო პრობლემებზე; შეიმუშავონ მათი გადაწყვეტისათვის კონკრეტული მიდგომები და აიძულონ მთავრობები შესაბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერა; ყურადღება ადევნონ მთავრობათა მოღვაწეობას საერთაშორისო ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში და სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას; მოახდინონ საზოგადოებრივი აზ-

რის მობილიზაცია და ხელი შეუწყონ „რიგით ადამიანში“ იმ რწმენის განმტკიცებას, რომ მას უშუალოდ ეხება მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები.

მსოფლიოში, სადაც ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და გადაჯაჭვული, ხოლო ტრანსნაციონალური ორგანიზაციების (აქტორების) საქმიანობა კიდევ უფრო აქტიური ხდება, სახელმწიფო ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის წამყვან როლს საერთაშორისო ურთიერთობებში. მაგრამ, ვინაიდან მსოფლიო ეკონომიკა გლობალურად ინტეგრირებული ხდება, ამჟამად ასევე მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებენ კომპანიები, სხვადასხვა დაჯგუფებები და ფიზიკური პირები, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობას პირდაპირი გზით ამყარებენ. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების სფერო გასცდა სამთავრობო სექტორის ფარგლებს.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია მნიშვნელოვანად ზრდის სხვადსხვა კომპანიების, დაჯგუფებების, გაერთიანებების და ფიზიკური პირების როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას პირდაპირი გზით ამყარებენ. მართალია, საერთაშორისო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს მთავრობები, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორები, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკისათვის. უპირველეს ყოვლისა, ესაა სახელმწიფოს შიგნით არსებული ინტერესები, რაც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე, ანუ **ქვესახელმწიფოებრივი აქტორები**. მაგალითად, ამერიკის საავტომობილო ინდუსტრიას და თამბაქოს წარმოებას გამოკვეთილი ინტერესები გააჩნია ამერიკის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში (ეს ეხება მანქანებისა და სიგარეტის ექსპორტს, საზღვარგარეთის კონკურენტი საწარმოების პროდუქტის იმპორტის შემცირებას). პოლიტიკურად მობილიზებულნი მსგავსი აქტორები გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, თუნდაც ინტერესების დამცველი ჯგუფების, ლობირებისა და სხვა საშუალებების მეშვეობით. ასეთი ტიპის აქტორების ინტერესთა სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური საკითხებით, მაგალითად ბერძნულ-ამერიკული დიასპორა ცდილობს გავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე საბერძნეთის მი-

მართ. **ქვესახელმწიფოებრივი** ეკონომიკური აქტორების – კომპანიების, მომხმარებლების, დასაქმებული (მოსამსახურე) პირების, ინვესტორების – საქმიანობის საფუძველზე იქმნება ეკონომიკური აქტივობის კონტექსტი, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებისა და მთავრობების მუშაობას.

ყოველდღიურად ადამიანები სარგებლობენ ბუნებრივი რესურსებით, აწარმოებენ, ყიდულობენ და ყიდიან პროდუქციასა და სერვისს. ასეთი სახის საქმიანოების ერთობლიობა ქმნის მსოფლიო ეკონომიკას რაც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არის მსოფლიო მასშტაბით კომუნიკაციებისა და კულტურის ქსელში გადაჯაჭვული პროდუქციისა და სერვისის გაცვლა. სახელმწიფო დონის მიღმა არსებული აქტორების ურთიერთობების ჰორიზონტი ზოგიერთ შემთხვევაში სცილდება ქვეყნის ფარგლებს, და ამით ეს აქტორები **ტრანსნაციონალური აქტორების (ტნკ)** სტატუსს იღებენ. ეს არის ეკონომიკური პროფილის დიდი საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც კონტროლს უწევენ მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს. ასეთ კომპანიებს საწარმოები გააჩნია რამდენიმე ქვეყანაში. ტნკ-ები უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. მათი წილი მსოფლიოს ერთობლივ პროდუქტში 30%-ს აღწევს. ტნკ-ების წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული ელექტრონიკის, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ფარმაცევტიკის 75-90%. ხოლო მსოფლიოს ასი უმდიდრესი ერთეულიდან 51 ტნკ და მხოლოდ 49 სახელმწიფოა.

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა საკმაოდ ფართო განვითრება პოვა XX ს. მეორე ნახევარში და გაეროს მონაცემებით XX ს. ბოლოს მათი რიცხვი, დახლოებით 87000 აღწევს, რომელთა 90% ბაზირებულია ჩრდილოეთის სფეროს განვითარებულ ქვეყნებში. მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტნკ-დან 170 ევროპულია, 162 ამერიკული, 126 იაპონური, ხოლო 42 სხვა ქვეყნებიდანაა (სათავო ოფისის მიხედვით), მაგრამ ტნკ-ში დასაქმებულთა (სულ 75 მილიონ კაცზე მეტი) მხოლოდ 20% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. გლობალიზაციის პროცესმა ძალიან გაზარდა ტნკ-ების

როლი მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში და ისინი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად აქტორებად აქცია.

საერთაშორიო არენაზე მათი გავლენის შესახებ ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: „ჯენერალ მოტორსის“ გაყიდული პროდუქციის ღირებულებამ 2000 წელს 161,3 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც მეტია, ვიდრე ნორვეგიის, პოლონეთის ან ინდონეზიის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, ხოლო საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს 80-ჯერ აღემატება.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ზრდა და გავლენა სტიმულირებას აძლევს **ტრანსნაციონალური ბანკების** განვითარებას, რომლებიც ახორციელებენ საფინანსო ოპერაციებს მთელი მსოფლიოს მასსტაბით. 1999 წელს დასაწყისისათვის ასეთი ბანკების აქტიურობამ მიაღწია 425 ტრილიონ დოლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ათასობით მულტინაციონალური კორპორაცია ტრანსნაციონალური აქტორია. გლობალური მასშტაბით საქმიანობის წარმმართველი დიდი კომპანიის ინტერესები არასოდეს ემთხვევა სხვა, და თუნდაც საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთი ტიპის კომპანია ზოგჯერ საკუთარი მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს. მულტინაციონალური კორპორაციები ხშირ შემთხვევაში აკონტროლებენ უფრო დიდ რესურსებსაც, და სხვა მცირე სახელმწიფოებთან შედარებით, საერთაშორისო არენაზე უფრო დიდი ზეგავლენა აქვთ.

საერთაშორისო ტერორისტული ქსელი შესაძლოა თავის თავს არ თვლის არასამთავრობო ორგანიზაციად, თუმცა მისი საქმიანობა არასამთავრობო ორგანიზაციის მსგავსია – ურთიერთობის დამყარება სახელმწიფოებთან, მოსახლეობასთან და შესაბამის ინსტიტუტებთან. 2001 წლის 11 სექტემბრის დამანგრეველმა მოვლენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტექნოლოგიების საშუალებით ტერორისტები, არასახელმწიფოებრივი აქტორები, უზარმაზარ ძალას ფლობენ. ისევე როგორც გრიინფიისის წარმომადგენლები მოგზაურობენ მთელ მსოფლიოში და მათი მისია ეკოლოგიის პრობლემების დადგენა და გაშუქებაა, მსგავსად ამ ორგანიზაციისა ალ ქაიდას ქსელს ძალუძს გააგზავნოს თავისი კამიკაძე ტერორისტები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში, დაა-

ფინანსოს ისინი და კოორდინაცია გაუწიოს მათ საქმიანობას ინ-ტერნეტისა და გლობალური საბანკო სისტემის საშუალებით, უფ-რო მეტიც, გავრცელოს ოსამა ბენ ლადენის ვიდეოფირზე დაფიქ-სირებული მიმართვა მსოფლიოსადმი. "კავშირის დამყარება გლო-ბალური მასშტაბით", რაც ერთ დროს მხოლოდ ძლიერი სახელმწი-ფოებისათვის იყო რეალური, დღეისათვის ყველასათვის ხელმი-საწვდომია. თუმცა სხვა საკითხია, თუ ვინ როგორ იყენებს არსე-ბულ ტექნოლოგიებს.

როგორც სახელმწიფო, ასევე სახელმწიფოს დაქვემდებარე-ში არმყოფი ორგანიზაციების მუშაობაზე დიდ გავლენას ახდენს რევოლუციური ცვლილებები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. ცხადია, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები სა-ერთაშორისო ურთიერთობების ფორმის ძირეულ შეცვლას გამო-იწვევს. ტექნოლოგიური ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკურ არენაზე მყოფი აქტორების შესაძლებლო-ბებზე და მეტნაკლებად განსაზღვრავენ მათ პრიორიტეტებს. მოვ-ლენათა განვითარება დღითიდღე სულ უფრო მეტად არაპროგნო-ზირებადი ხდება.

ინფორმაციული ტექნოლოგიები "გლობალიზაციის" მამოძ-რავებელ ძალადაა აღიარებული. ტელეკომუნიკაციისა და კომპიუ-ტერიზაციის წყალობით მსოფლიოს ეკონომიკა, პოლიტიკა თუ კულტურა ვითარდება გლობალიზაციის პირობებში, რაც თავის გავლენას ახდენს მათი განვითარების დინამიკასა და ფორმებზე.

საერთაშორისო წესრიგი

საერთაშორისო წესრიგის პრობლემას ერთ-ერთი ცენტრა-ლური ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში, ვინაი-დან იგი გულისხმობს მსოფლიო არენაზე მოქმედ სოციალურ გა-ერთიანებებს შორის ურთიერთობების რეგულირებას, ე.ი. საერთა-შორისო საზოგადოების შემადგენელ ნაწილებსა და ერთიანი სო-ციუმის ელემენტებს შორის ურთიერთობის შესახებ წარმოდგენას.

საერთაშორისო წესრიგი გვაგონებს ისეთი ურთიერთობის ხასიათს, რომელიც არსებობს ამა თუ იმ შიდასახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში.

თავისი დამახასიათებლი თავისებურებების (ცენტრალური ხელისუფლების უქონლობა, პლურალიზმი, სუვერენიტეტი, ტერიტორიული დაყოფა) დაცვის პირობებში, როდესაც ძლიერები აკეთებნ იმას, რაც სურთ, ხოლო სუსტები იმას, რაც შეუძლიათ და ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც ბატონობს ძლიერთა უფლება, კონფლიქტი და ომები, საერთაშორისო წესრიგი შეუძლებელია წარმოდგენილ იქნეს „ბუნებრივი მდგომარეობის სახით".

საერთშორისო წესრიგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო სისტემა ანარქიული ხასიათისაა. საერთაშორისო ანარქია ნიშნავს სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობათა ძირეულ სტრუქტურას, რომლის ჩარჩოებში შეიძლება იყოს მრავალნაირი სისტემური ვარიაციები. ვინაიდან საერთაშორისო სისტემას არ გააჩნია სახლმწიფოსათვის დამახასიათებელი აუცილებელი ორი ელემენტი: **საზოგადოების სოციალური საფუძველი და მთავრობის პოლიტიკური ნება**, საერთაშორისო სისტემას სწორედ ამიტომ უწოდებენ ანარქიულს.

ანარქია არ ნიშნავს ქაოსს, სრულ უწესრიგობას, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოთაგან შემდგარი საერთაშორისო სისტემა გულისხმობს ძალზე დეცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც არ ჰყავს ისეთი უზენაესი ხელისუფლება, როგორიც სახელმწიფოში მთავრობაა.

საერთაშორისო სისტემა შეიძლება სტრუქტურულად ანარქიული იყოს, მაგრამ სხვადასხვა ხასიათი ჰქონდეს. ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში საერთაშორისო სისტემას განსხვავებული ხასიათი აქვს, მაგრამ იგი ანარქიულია, რადგანაც მისი შემადგენელი ერთეულები სუვერენული სახელმწიფოებია, რომლებიც თავიანთ თავზე მაღლა მდგომ პოლიტიკურ ხელისუფლებას არ აღიარებენ და ამგვარი ხელისუფლება არც არსებობს.

სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ანარქიულ ურთიერთობათა პროცესი შეიძლება ქაოსშიც გადაიზარდოს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასე არ ხდება. ვინაიდან სახელმწიფოთა ურთიერთქმედება, როგორც წესი, გარკვეულ წესრიგს ემორჩილება, თუმცა აღნიშნული წესრიგი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა და დონისა იყოს.

საერთასორისო წესრიგის განმარტება

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურა ლაგდება სხვადასხვა ძალებს შორის ურთიერთობების საფუძველზე, მაგრამ წესრიგი ყალიბდება ნორმებისა და ურთიერთანამშრომლობის პრინციპებით მართვადი ინსტიტუტების საშუალებით, და რა თქმა უნდა კანონის ძალით.

საერთაშორისო წესრიგის განსაზღვრების დროს უნდა ამოვიდეთ სოციალური და საზოგადოებრივი წესრიგის დახასიათებიდან. საზოგადოებრივი წესრიგი არის სოციალური ცხოვრების ორგანიზაცია, რომელიც განწყობილია ანარქიის საწინააღმდეგოდ და რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა მშვიდობიან თანაარსებობას, როდესაც ადგილი არა აქვს მტრულ მოქმედებას, აჯანყებას, ამბოხებას, ან სხვა ქმედებას, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ყოველდღიური ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება. იგი ამავე დროს, უარყოფს ერთი სოციალური ერთობის სრულ ბატონობას სხვებზე და ქადაგებს პიროვნების თავისუფლებას. **საზოგადოებრივი წესრიგი ეს არის სოციუმის ცხოვრებაში განსაზღვრული ორგანიზაცია, მისი რეგულირება განსაზღვრული ნორმების (სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი) და საერთო (ეროვნული, კულტურული, მორალურ-ეთიკური) ფასეულეობების საფუძველზე.**

ამრიგად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოებრივი წესრიგი ნიშნავს სოციალური ცხოვრების იმგვარად აწყობას, რომ შესაძლებელი გახდეს გარკვეული ფასეულობებისა და მიზნების რეალიზება.

,,საერთაშორისო წესრიგის ცნება” შეფარდებითია გლობალურ სოციალურ ერთობასთან, რომელიც შექმნილია მსოფლიო არენაზე მოქმედი სხვადასხვა საზოგადოებრივი სუბიექტების (აქტორების) გაერთიანებით. ზოგადად საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, რომელიც საშულებას ქმნის, მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების უპირველესი და ყველაზე ზოგადი მიზნები.

შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო ურთიერთობებში საზოგადოებრივი წესრიგი, სადაც არ არსებობს ერთიანი ცენტრა-

ლური ხელისუფლება და არსებობს სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ფასეულობები და ღირებულებები. ასევე, სადაც არ არის ერთიანი უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც განსაზღვრავდა საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეების სამართლებრივ თუ არასამართლებრივ მოქმედებებს?

ცნობილია, რომ აქ საერთო ფასეულები საკმაოდ სუსტ როლს თამაშობს, ხოლო საერთაშორისო სამართლის ნორმები არსით, ატარებენ არასავალდებული ხასიათს.

საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, რომელიც საშუალებას ქმნის, მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების უპირველესი და ყველაზე ზოგადი მიზნები. პირველი მიზანი თავად საერთაშორისო სისტემის შენარჩუნებაა. მეორე მიზანია მონაწილე სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენულობის შენარჩუნება. მესამე მიზანს მშვიდობა და უსაფრთხოება წარმოადგენს. მეოთხე მიზანი ძალადობის შეკავება, შეზღუდვა და ამავე დროს დადგენილი წესების თუ შეთანხმებების პატივისცემაა. საერთაშორისო წესრიგის ფუნქციონირება უმთავრესი პრინციპი და მიზანია, ვინაიდან სხვა შემთვევაში შეუძლებელი იქნებოდა ისედაც ანარქიის პირობებში მყოფი (იგულისხმება ზესახელმწიფოებრივი მმართველობის არარსებობა) სახელმწიფოების ერთმანეთთან ურთერთობების პრინციპების დანერგვა და შესაბამისად მოქმედება.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის შექმნის მომენტიდან კაცობრიობა მიისწრაფვის მოახდინოს მისი რეგულირება, რომელიც დაფუძნებულია ერთ მთავარ მოთხოვნაზე _ მისი მონაწილეების უსაფრთხოების და სტაბილურიბის შენარჩუნებაზე.

რაც უფრო სისტემური ხდება საერთაშორისო ურთიერთობები, მით უფრო მატულობს მოთხოვნილება მისი სამართლებრივი რეგულირებისათვის. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების შექმნასა და განმტკიცებაზე, საერთაშორისო ურთიერთობების ცხოვრების სტაბილიზაციის საქმეში მათი როლის გაძლიერებაზე, და ბოლოს თანდათანობით ამ გზით გლობალური საერთაშორისო სისტემის ფორმირაებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზს, არ არსებობს საერთაშორისო წესრიგის ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი არის იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომლებიც გამონდინარეობს საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან, მეორენი აქცენტს აკეთებენ საერთაშორისო სტაბილურობაზე, ხოლო მესამენი მას უკავშირებენ საერთაშორისო არენაზე გარკვეული სტატუს ქვოს შენარჩუნებას სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე.

ამრიგად, ***საერთაშორისო წესრიგი – ეს საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი მოწყობაა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოებისა და სხვა ინსტიტუტების ძირითადი მოთხოვნილებები, შექმნას და მხარი დაუჭიროს ისეთ პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს მათ არსებობას, უსაფრთხოებას და განვითარებას.***

საერთაშორისო წესრიგის არსი და მნიშვნელობა შეიძლება განხილულ იქნას მისი ფორმების და ფუნქციების ძირითადი საფუძვლების კვალობაზე. ვინაიდან საერთაშორისო წესრიგი მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია[1], მათ აქვთა საერთო ფესვები და საფუძვლები, რომელიც თავს უყრის საერთაშორისო საზოგადოების ერთობას და უზრუნველყოფს მის ერთიანობას. ასეთ საერთო საფუძვლებად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლები, რომელიც საბოლოოდ ერთიან მსოფლიო ბაზრის ფორმირებამდე მიდის; სამეცნიერო ტქენიკური მიღწევები (განსაკუთრებით კომუნიკაციურ სისტემებში, ინფორმაციის და კავშირგაბმულობის საშუალებები); პოლიტიკური სტრუქტურა და ინტერესი; სოციოკულტურული ფასეულობები. ყველა ეს ნიშანი თამაშობდა და თამაშობს არაერთგვაროვან როლს საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში; ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ერთ ერთი მათგანი უფრო წინ გამოდის ხოლო სხვები შედარებით უკან ინაცვლებს ან პირიქით. საერთაშორისო წესრიგის პრობლემის გარკვევაში მნიშვნელოვანია მისი ძირითადი

[1] saerTaSoriso wesrigi da msoflio wesrigi erTmaneTisagan gansxvavdeba. saerTaSoriso wsrigi, saxelmwifoTaSoris wesrigia, xolo msoflio wesrigi moicavs agreTve qveynebis SigniT da municipalur doneze wesrigsac.

განზომილებების (მახასიათებლების) ანალიზი. მათგან მკვლვარე-ბი გამოყოფენ სამ ძირითად სახეს:

1. ჰორიზონტალური;

2. ვერტიკალური;

3. ფუნქციონალური.

საერთაშორისო წესრიგის ***ჰორიზონტალური განზომილება*** ეს არის საერთაშორისო ურთიერთობებში **მთავრი აქტორების ურთიერთობები.** ამ დროს საერთაშორისო წესრიგს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საერთაშორისო სისტემა ატარებს **მულტიპოლარული სტრუქტურული ურთიერთობის ხასიათს** და მასში წესრიგის ფუნქციას ასრულებს **პოლიტიკური თანასწორობების მექნიზმი**. რაც შეეხება ბიპოლარულ სისტემას, აქაც ძალთა ბალანსი გვევლინება მთავარ საშუალებად არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად.

საერთაშორისო წესრიგის ***ვერტიკალური განზომილება*** ეს არის საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთობა ძლიერ და სუსტ აქტორებს შორის. სწორედ **ძალის ტრიუმფი** გვევლინება საერთაშორისო ურთიერთობათა **იერარქიულ ფარგლებში** ურთიერთობათა რეგულირების მთავარ საშუალებად. რა თქმა უნდა საერთაშორისო ურთიერთობებში ეს წარმოადგენს საერთაშორისო წესრიგის ვერტიკალური განზომილების ტიპიურ დომინირებულ ნიშანს. აქედან გამომდინარე, **ძალადობა ეს მთავარია**, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება ძლიერთა დაცვისათვის.

საერთაშორისო წესრიგის ***ფუნქციური განზომილების*** საფუძველს შეადგენს ის როლი, რომელსაც საერთაშორისო ცხოვრების სტაბილიზაციაში თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადსხვა მომართულებები – **წამყვანი აქტორების დიპლომატია და სტრატეგია**, მათ შორის **ეკონომიკური ურთიერთობები, მორალური ფასეულობები და ლიდერთა პოლიტიკური ამაბიციები**. ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა კერძო სუბიექტების დეპოლიტიზირებული სფერო (მაგ. საქმიანი ადამიანების ტრანსნაციონალური საზოგადოებები, სწავლულთა ასოციაციები, სპეციალისტები). თუმცა ფუნქციონალური განზომილების მოცემული ასპექტები შეიძლება იყოს როგორც მასტაბილიზერებელი ფაქტორი, რომელიც მხარს უჭერს საერთაშორისო წესრიგს, ასევე შეიძლება იყოს წყარო მისი არასტაბილურობისა და უწესრიგობისა.

ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, საერთაშორისო წესრიგის მთავარ საშუალებად, აღნიშნული განზომილებების მიუხედვად რჩება **ძალა და უპირველე ყოვლისა სამხედრო ძალა**. თუმცა უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა ამ ტენდენციის ცვლილება.

საერთაშორისო წესრიგის ისტორიული ტიპები

საერთაშორისო წესრიგის დამყარებისაკენ მისწრაფება უკვე ჩნდება სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების დროიდან. როგორც ცნობილია, თანამედროვე საერთაშორის წესრიგი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა სათავეს იღება 1648 წლიდან, როცა ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებამ დასავლეთ ევროპაში დაასრულა ოცდაათწლიანი ომი და ფაქტობრივად სანქცია მისცა რომის საღვთო იმპერიის ბატონობის დასასრულს ევროპის კონტინენტზე. ამიერიდან საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარ ფორმად, სწორედ ***მიიჩნევა ეროვნული სახელმწიფო, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების დომინირებული პრინციპი ხდება ეროვნული სუვერენიტეტი.***

ვესტფალიის ხელშეკრულების მიზანი იყო ომის შედეგად ძალთა დამოკიდებულების და ეროვნული სახელმწიფოების საზღვრების განმტკიცება. შეექმნა წინააღმდეგობა მათვის, ვინც სხვათა ტერიტორიებზე გაბატონების მისწრაფებას გამოავლენდა. ამრიგად, ***საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სამრთლებრივი დამკვიდრებით ხდება პოლიტიკური თანასწორობის განმტკიცება.*** მისი ძიორითადი მიზანი იყო კომპრომისი სუვერენიტეტის პრინციპსა და საერთო ინტერესების პრინციპებს შორის. ფუნქციონირების მოცემული პროცესი აიძულებდა თითეულ აქტორს შეეზღუდა თავისი ექსპანსონისტური მისწრაფები, რათა არ აღმოჩენილიყო იმ სიტუაციაში, როცა ამას სხვები აიძულებდნენ. ერთ-ერთი მთავარი საშუალება პოლიტიკური თანასწორობის შენარჩუნებამხარდაჭერისა იყო ამა თუ იმ სახის კოალიციის შეკვრა, ან გაერთიანება პრინციპით ყველა ერთის წინაარმდეგ, ან როცა ერთი თავისი წინდახედულობით მის ირგვლივ იკრებს მოკავშირეებს _

ბლოკის კოალიციას, რომელშიც შედიან ისინი, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ ძალთა არსებული ურთიერთობები. კოალიცია მიმართულია სახელმწიფოს დასაშინებლად, რომელიც ამა თუ იმ ფორმით პოტენციურად არღვევს პოლიტიკურ თანასწორობას. თუ კოალიციის შექმნის ფაქტორი ვერ იმუშავებდა, ვერ დააშინებდა სახელმწიფოს, მისი მიზნის შეზღუდვისათვის მაშინ გარდაუვლად ხდებოდა ლოკალური ომი. ამრიგად, ამ სიტუაციაში ცალმხვრივად ძალის გამოყენება წარმოადგენდა უწესრიგობის წარმოქმნის ფაქტორს, იმდენად, რამდენადაც ძალის კოლექტიური გამოყენება იყო ინსტრუმენტი საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებისათვის.

შემდეგში **პოლიტიკური თანასწორობის ცნებამ** უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და **ნიშნავდა**:

1. ძალთა ნებისმიერ განაწილებას;

2. სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ჯგუფის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ერთი რომელიმე სახელმწიფოს გადამეტებული ამბიციების აღკვეთისაკენ;

3. მრავალპორალური ერთობლიობა, სადაც დროდადრო ზესახელმწიფოები ქმნიან გაერთიანებებს, ერთ-ერთი მათგანის გადაჭარბებული ამბიციების აღკვეთის მიზნით.

პოლიტიკური თანასწორობის იდეა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო სამართლის პრინციპი არსებობდა 1815 წლამდე, როცა ნაპოლეონის დამარცხება და მონარქიის რესტავრაციის დროებითი გამარჯვება ვენის კონგრესზე განმტკიცებულ იქნა **„ლეგიტიმიზმის პრინციპით**". იგი ***ნიშნავდა მოცემულ სიტუაციაში გამარჯვებულთა მცდელობას აღედგინათ ფეოდალური წესრიგი.*** ამის გამო იყო, რომ თანასწორობის მექანიზმი შემდეგისათვის უკვე აღარ გამოყენება წესრიგის მხარდაჭერისათვის.

,,ლეგიტიზმი", რომელიც ამართლებდა ევროპელი მონრქების ინტერვენციას ფეოდალური წესრიგის დანერგვის მიზნით, დიდხანს ვერ იქნა შენარჩუნებული. უკვე XIX ს. II ნახევარში დაიშალა წმინდა კავშირი, რომელიც შეიქმნა ვენის კონგრესზე, ხოლო XIX ს. ბოლოს ევროპაში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ანტანტა და სამთა კავშირი, რომლებიც გახდნენ პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელნი.

პირველი მსოფლიო ომის მთავრი შედეგი ეს იყო მსოფლიოს გახლეჩა ორ ნაწილად. საბჭოთა კავშირის სახით შეიქმნა თვისობრივად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანება. ამის შემდეგ საერთაშორისო წესრიგის ზემოთაღნიშნულ სამ განზომილებას დაემატა კიდევ ერთი –***იდეოლოგიური განზომილება.***

ევროპის და მსოფლიოს გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა ორი საზოგადოებრივ_პლოიტიკური სისტემა, ორი ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგიით. ცივი ომის პერიოდში მერყევი სტაბილურობა მათ შორის განპირობებული იყო ბირთვული არსენალით და გამალებული შეიარაღებით. ამ პერიოდში საერთაშორისო წესრიგს განაპირობებდა ბიპოლარული მსოფლიოს სტრუქტურა, რომელიც შენარჩუნებული იქნა XX 80-იანი წლების ბოლომდე.

ამრიგად, მთლიანობაში საერთაშორისო წესრიგის ტიპები, შეიძლება გაიყოს ორ კლასიკურ ,,მოდელად" _ ,,**ომის მდგომარეობა" და „არასაიმედო მშვიდობა" ანუ „წესრიგის დარღვევა".** პირველის შემთხვეავში საერთაშორისო ურთიერთობათა არსს წარმოადგენს ომი ან მისთვის მზადება. ამ მოდელიის მოხრეები **(თუკიდიდე, მაკიაველი, გობსი, რუსო, კანტი, ჰეგელი)** მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს ერთიანი გონება, რომელიც მოკლავდა თითეული აქტორის ამბიციებს, არამედ არსებობს მხოლოდ **ინსტიტუციონალური რაციონალობა, რაც ნიშნავს, რომ ძალის საშუალებით მოიძებნოს საუკეთესო საშუალება განსაკუთრებული მიზნის მიღწევისათვის, რომელსაც მივყავრთ არა ჰეგემონობამდე არამედ კონფლიქტამდე**.

რაც შეეხება მეორე მოდელს, აქ საერთაშორისო ურთიერთობები განიხილება როგორც საშუალება, რომელსაც აქვს ძალა და, რომელიც ხელს უწყობს წესრიგის მინიმუმის გარანტიას. ასეთი **ძალები ყალიბდება იმ სახელმწიფოებიდან, რომლებიც ერთიანდებიან მსგავსი ინტერსების საფუძველზე, ხოლო ამგვარ ქმედებას ისინი მიჰყავს საერთო სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებამდე.**

ამრიგად, საერთაშორისო წესრიგის ისტორიულ ტიპების განიხილვიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ჩამოყალიბებას იწყებს საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების მომენტიდან. ვესტფალიის საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო წესრიგის გარან-

ტი ეს იყო პოლიტიკური თანასწორობის იდეა, რომლიც დაფუძნებული იყო ეროვნული სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპზე. ვესტფალის სისტემის დარღვევის შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა, საერთაშორისო წესრიგის გარანტად მოგვევლინა ,,ლეგიტიმიზმის" პრინციპი, რომელიც დაფუძნებული იყო ,,წმინდა კავშირის" საფუძვლებზე, და, რომელიც უზრუნველყოფდა ფეოდალურ წესრიგის აღდგენას ევროპაში. მისი შედეგი იყო თუნდაც ის რომ მთელი 40 წლის განმავლობაში ევროპაში შედარებით სიმშვიდე იყო. თუმცა XIX ს. მეორე ნახევარში, და განსაკუთრებით საუკუნის დასარულს ევროპა გაიხლიჩა ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად. მისი კულმინაცია იყო პირველი მსოფლიო ომი. ამ ომის შემდეგ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების ვერსალი-ვაშინგტონის სისტემა. სამწუხაროდ, ამ სისტემამ ვერ შექმნა ეფექტური საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო წესრიგს. არადა ერთა ლიგის შექმნა უპრეცედენტო ფაქტი იყო იმ მხვრივ, რომ მისი ეფექტურად მუშაობის პირობებში შეიძლება მართლაც ჩამოყალიბებულიყო კოლექტიური უსაფართხოების სისტემა, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო სტაბილურობის დ მშვიდობის გარანტი. ფაქტობრივად, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა შეიცავდა იმ საფუძვლებსაც, რამაც ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას. ომის შემდგომ ჩამყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა იალტა_პოტდსტამის სისტემა დაეფუძნა ბიპოლარული მსოფლიო სტრუქტურას და მან საერთაშორისო წესრიგის თვისობრივად ახალი საშუალებები მოიტანა. ეს იყო ბირთვული პოტენციალი, რაც საბოლოდ ძალთა სტრუქტურაში გამოიხატა.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში წესრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება ძალთა წონასორობის მექანიზმის, ომისა და საერთაშორისო სამართლის მეშვეობით.

ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო წესრიგი გამოირჩეოდა ორი არსებული თავისებურებებით:

პირველი, ეს იყო მსოფლიო გაყოფა ორ სოცილურ-პოლიტიკურ სისტემად, რომლებიც იმყოფებოდნენ პერმანენტული ,,ცივი ომის" პიროებში, სადაც ორი ზესახელმწიფო სისტემატურად ახდენდა თავისი სამხედრო შესაძლებელობების გაზრდას. ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული ბლოკი ფაქტობრივად ახდენდა თავისი მდგომარეობის ინსტიტუციონალიზაციას ორ სამხედრო-პოლიტიკურ (ნატო, ვარშავის ხელშეკრულება) და პოლიტიკურ-ეკონომიკურ (ევროპის ეკონომიკური საბჭო, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო) ორგანიზაციებად.

მეორე, ეს იყო გაერთიანებული ერების ორაგინიზაციის შექმნა თავისი სპეციალიზირებული ინსტიტუტებით და არსებობდა უფრო მეტი მისწრაფება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირება განხორციელებულიყო საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე.

გაეროს შექმნა იყო პასუხი იმ არსებული რელობისა, რომ მოხდარიყო საერთაშორისო წესრიგის რეგულირება და დაწყებულიყო საერთაშორისო საზოგადოების ფორმირება, როგორც მისი მართვის სუბიექტი. თუმცა გაეროს უფლებამოსილებაში გარკვეული შეზღუდვები არსებობს, რაც მას არ აძლევს საშუალებას ითამაშოს მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველმყოფის როლი ხალხებს შორის. შედეგად, არსებული საერთაშორისო წესრიგი როგორც წინააღმდეგობრივი და მერყევი ავლენს თავის ძირითად განზომილებებს, რომელიც იწვევს სულ უფრო მეტად მსოფლი საზოგადოებირივი აზრის დასაბუთებულ შეშფოთებას.

ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის ჰორიზონტალური განზომილება ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. ძალადობის დეცენტრალიზაცით და ცენტრალურ და გლობალურ დონეზე სტაბილურობით. ზესახელმწიფოები პირდაპირ დაპირისპირებაზე ვერ მიდიან, რაც განპირობებული ზესახელმწიფოთა ურთიერთშიშით. მაგრამ, რეგიონალურ და სუბრეგიონალურ დონეზე არასტაბილურობით (რეგიონალური კონფლიქტები, ,,მესამე სამყაროს" ქვეყნებს შორის ლოკალური ომებით, რომელთა უკან უმეტესწილად ზესახელმწიფოები იდგენენ საკუთარიუ ინტერესებით).

2. გლობალური საერთაშორისო სისტემის და რეგიონალური ქვესისტემების ფრაგმენტაციით. ამ დონეებზე, კონფლიქტებიდან გამოსვლა დამოკიდებულია რეგიონში არსებულ ძალთა თანაფარდობაზე და, იმ შიდა ფაქტორებზე, რომელიც უფრო მეტად ეხება კონფლიქტის მონაწილეებს, ვიდრე სტრატეგიულ ბირთვულ თანასწორობას.

3. ზესახელმწიფოებს შორის პირდაპირი შეტაკეკების გამორიცხვით. თუმცა მათი ადგილი დაიკავა ,,კრიზისებმა", რომელთა მიზეზები გამომდინარეობს ერთ-ერთი მათგანის რეგიონში მოქმედებით. იგი განიხილება როგორც მისი სასიცოცხლო ინტერესების ზონა (კუბის კრიზისის), ან რეგიონებში ლოკალურმა ომებმა მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის, რომელიც განიხილება, როგორც სტრატეგიული აუცილებელობა ორივე ზესახელმწიფოსათვის (ახლო აღმოსავლეთის კრიზისი).

4. ზესახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებების შესაძლებლობებით. ხოლო სიტუაციის გარკვევის მიზნით, მათ ხელმძღვანელობით სამხედრო ბლოკების შექმნით, რომელთა გამოჩენის შემდეგ ხდება სტრატეგიულ დონეზე სტაბილურობა. ასევე საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესებულობით ბირთვული საფრთხის და გამალებული შეიარაღების ლიკვიდაციისათვის. თუმცა, გამორიცხული არ იყო, რომ ეს მოლაპარაკებები შეიძლება მწირი შედეგების მომტანი ყოფილიყო.

5. თითეული ზესახელმწიფოს მისწრაფებით, რომ გლობალური თანასწორობის პირობებში შეენარჩუნებინა ცალმხვრივი უპირატესობა პერიფერიებში. გარდა ამისა, ურთიერთთანხმობით, რომ საკუთარი გავლენის სფეროებად გაყოფილი მსოფლიო შეენარჩუნებინათ.

რაც შეეხება საერთაშორისო წესრიგის ვერტიკალურ განზომილებას, აქ მიუხედავდა დიდი გარღვევისა, რომელიც არსებობდა ზესახელმწიფოს ძალებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, მათ გავლენას მესამე სამყაროზე ჰქონდა საზღვრები. სადაც გლობალური იერარქია დამყარდა უფრო მეტად, ვიდრე ადრე. ვინაიდა არსებულ ბიპოლარულ მსოფლიოში ყოველთვის იყო დაცული ზესახელმწიფოს კონტრგავლენის ნებისმიერი შესაძლებლობა მასზე სუსტი კლიენტისადმი სამხედრო ურთიერთობებში.

მეორეს მხრივ, მოხდა კოლონიური იმპერიის კრახი და წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები, რომელთა სუვერენიტეტს და უფლებას იცავს გაერო და რეგიონალური ორგანიზაციები.

მესამე, საერთაშორისო საზოგადოებაში ყალიბდება და ფართო გავრცელებას პოულობს ლიბერალურ_დემოკრატიული ღირებულებების შემცველი ახალი მორალური ფასეულეობები, რომელთა საფუძველზე განისჯება ძალადობა, განსაკუთრებით სუსტადგანვითრებულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

მეოთხე, ერთ-ერთი ზესახელმწიფოს მეტისმეტი გავლენა „მესამე სამყაროზე", ჩარევით მათ საქმეებში, უკვე ქმნიდა პირობებს მეორე ზესახელმწიფოს მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის, რაც ფაქტობრივად ლოკალურ კონფლიქტს ქმნიდა.

დაბოლოს მეხუთე, ზესახელმწიფოთა მოცემულმა საერთაშორისო სისტემის ფრაგმენტაციამ, გარკვეულ სახელმწიფოებს რეგიონალურ დონეზე დაუტოვა შესაძლებლობა ჩამოყალიბებულიყვნენ როგორც რეგიონალური ზესახელმწიფოები ფართო, თავისუფალი მანევრირების საფუძველზე.

ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის ფუნქციონალური განზომილება ხასიათდება უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოების და მთავრობების მიერ წინა პლანზე ეკონომიკური ღონისძიებების გამოტანა-გააქტიურებით. მის საფუძველს წარმოადგენდა მსოფლიოში მიმდინარე ღრმა სოციალური და ეკონომიკური ცვლილები, და რათქმა უნდა, ადამიანთა მისწრაფება მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, აღნიშნულ პერიოდში შექმნა გარკვეული პიროებები მსოფლიო არენაზე ისეთი საერთაშორისო აქტორების მოქმედების გააქტიურებისათვის როგორიც არის არასამთვრობო ტრანსნაციონალური ორგანიზაციები და გაერთიანებები.

და ბოლოს, მთელი რიგი ობიექტური ძალების მიზეზით (რასიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანთა მისწრაფებას ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ და დაკაშირებულია საერთაშორისო სტრატეგიულ-დიპლომატიურ ურთიერთობებში პირველ ადგილზე სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნის გამოჩენასთან) შესამჩნევად იზრდება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილების ურთიერდამოკიდებულების ხარისხი.

თუმცა, ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო წესრიგის იდეოლოგიური განზომილების დონეზე ამ ურთიერთდამოკიდებულებამ ვერ მიიღო ადექვატური გამოძახილი. რაც განპირობებული იყო ერთი მხრივ, ,,სოციალისტური ღირებულებისა და იდეალების", ,,კაპიტალისტურთან" დაპირისპირებით, და მეორე მხვრივ, ცხოვრების საფუძველი და გამოხატულება ,,თავისუფალი სამყაროს" და ,,ბოროტების იმპერიას" შორის არსებითად განსხვავდებოდა, და ბოლოს, ამ წინააღმდეგობებმა 80-იანი წლების შუა ხანებში მიაღწია ფსიქოლოგიურ ომის მდგომარეობას ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას შორის (ა.შ.შ. და საბჭოთა კავშირს შორის).

მიუხედავად ძალის გამოყენებისა რეგიონალურ და სუბრეგიონალურ დონეზე, ,,საშუალო" და ,,მცირე" სახელმწიფოების Aშეზღუდული შესაძლებლობებით ზესახელმწიფოებმა მიაღწიეს დაეცვათ გლობალური უსაფრთხოება და თვითონ ეკონტროლებინათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო წესრიგი. მაგრამ ის ცვლილებები, რომელიც მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ უკვე 80-იანი წლებში იგი გადაიქცა საზოგადოების განვითარების მუხრუჭად, საშიშ დაბრკოლებად მის გზაზე.

კაცობრიობისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი იყო ორი სისტემის შეჯიბრი გამალებულ შეიარაღებაში. იგი ნთქავდა უზარმაზარ მატერიალურ რესურსებს, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა მიმართულიყო მსოფლიო სიღარიბის დაძლევისაკენ.

ამრიგად, ომის შემდგომ მსოფლიოში შექმნილი საერთშორისო წესრიგი ადექვატური იყო იმ რელობისა, რომელიც არსებობდა ბიპოლარული მსოფლიო სახით. მართალია, ამ პერიოდში არსებული ორი ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბანაკი მუდმივად იმყოფებოდა კონფლიქტური კრიზისების ზღვარზე, მაგრამ ეს დაპირისპირება არ მისულა გლობალურ კონფრონტაციამდე.

საერთაშორისო ურთიერთობათა იალტა_პოტსდამის სისტემის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან ფაქტობრივად გამორიცხა მსოფლიო კონფლიქტის რეალურო-

ბა, რაც რათქმა უნდა ახლად ფორმირებული ძალთა ბალანსიის სისტემის უდიდესი დამსახურებაც იყო.

საერთაშორისო წესრიგის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

ახალი საერთაშორისო წესრიგის იდეამ, რომელმაც მიიღო სხვადასხვა კონცეპტუალური ფორმა, შეიძლება ჩამოყალიბდეს ორი ძირითად მიმართულებად – პოლიტიკური (სადაც აქცენტი სამართლებრივ პრინციპზე კეთდება) და სოციოლოგიური.

პოლიტიკური მიმართულების მომხრეთა ერთი ჯგუფი გამოდის მსოფლიოს უმაღლესი მართვის ობიექტური მოთხოვნილებებიდან და ამ მიზნის მიღწევისათვის ფუნდამენტს ხედავენ არსებულ ინტეგრაციულ პროცესებში. მიუთითებენ რა საერთაშორისო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც დაეფუძნება კანონიერებას, ისინი აღნიშნავენ, რომ გაიზრდება საერთაშორისო სამართლის სფეროს როლი და საერთაშორისო ინსტიტუტების მნიშვნელობა. ამიტომ მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებაში წამყვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციებს გაეროს ხელმძღვანელობით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც მომავალი მსოფლიო მთავრობის ჩანასახი.

პოლიტიკური მიმართულების მომხრების მეორე ჯგუფი, საერთაშორისო ინსტიტუტების, რომლებიც მართავენ საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს, შექმნას განიხილავენ როგორც გზას შორეულ მომავალში პლანეტარული მთავრობის ფორმირებისაკენ. ისინი ამ პროცესის განვითრების საფუძვლად ხედავენ იმ რეგიონალურ ძვრებში, რომლებიც ითამაშებენ კატალიზატორის როლს და ხელს შეუწყობენ ასეთი ინსტიტუტების შექმნის დაჩქარებას. თვლიან რომ ინტეგრაციული პროცესების ინსტიტუციონალიზაცია და მხარდაჭერა, არა მარტო ევროპაში არამედ აზია-წყანარი ოკეანის რეგიონში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, საფუძველს იძლევა შეიქმნას ეფექტური ფუნქციონალური მსოფლიო ფედერაცია გაეროს ეგიდით.

რეგიონალური მიდგომის ზოგიერთი მომხრე, რომლებიც ინტეგრაციულ კავშირებში (ურთიერთდაახლოების ტენდენციით) ხედავს მომავალი კონფედრეაციული სახელმწიფოს ჩანასახს,

თვლიან რომ გაერო ვერ შეუწყობს ხელს ამ პროცესებს. რაშიც მას ხელს უშლის საერთაშორისო სამართლის ის ნორმები, რომელიც საქმის არსით, ადვილდა დარღვევადია. ამიტომ მიიჩნევენ, რომ გაეროს ადგილზე აუცილებელია პრინციპულად ახალი სახელმწიფოების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო არენაზე საერთო ინტერესების განხორციელების უზრუნველყოფას.

პოლიტიკური მომართულების მომხრეთა კიდევ ერთი ჯგუფის აზრით ახალი ეფექტური საერთაშორისო წესრიგის შექმნისათვის აუცილებელია არ გლობალური მთავრობა, რომლისთვისაც მზად არ არიან არც სახელმწიფოები და არც ხალხები, არამედ ცენტრალური წამყვანი სახელმწიფოების ჯგუფიდან (ამერიკა, იაპონია, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ჩინეთი) პოლიტიკური მართვა, რომლებიც თავის მხრივ ჩამოაყალიბებენ მსოფლიოს გენერალურ კომიტეტს. მეორეს მხრივ, ანალოგიური როლი შეიძლება ითამაშონ რეგიონალურმა სახელმწიფოებმაც მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში.

არანაკლებ განსხვავებულია შეხედულება მსოფლიო წესრიგის პრობლემის შესახებ **სოციოლოგიური მიმართულებაშიც.** ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ მსოფლიო წესრიგის დამყარება შეიძლება მოხდეს **სოცილაური სტრუქტურების კონვერგენციის შედეგად, ორი ტიპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახესხვაობის დამსხვრევის და კლასობრივი ანტაგონიზმის მოსპობის საფუძველზე**. თვლიან რა რომ სწორედ ამ გზით შეიძლება მივიდეთ ერთიანი ცივილიზაციის ფორმამდე, ისინი ამავე დროს საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილი იმ ფაქტზე, რომ შესძლებელია შეიქმნას კაცობრიობის ერთიანი მართვის ცენტრი. ამ მიდგომის ერთ-ერთი მონხრე **ა. ბოვინი** მიუთითებს, რომ მყარი მუდმივი ინტერესების ბალანსის არ არსებობა არ იძლევა საშუალებას ვთქვათ ახლო მომავალში მსოფლიო საზოგადოების წევრები მოახდენენ საკუთარი სუვერენიტეტის უფლებების დელეგირებას რაიმე მსოფლიო ცენტრისადმი.

სოციოლოგიური მიდგომის **მეორე ჯგუფი თვლის**, რომ დღეს არსებობს არა მხოლოდ ობიექტური მოთხოვნილება, არამედ წინაპირობებიც რათა გადავიდეთ **წუთიერი გადაწყვეტილების მიღების ამჟამინდელი პოლიტიკიდან და მოვლენებზე ხშირად პასიური რეაგირების პოოზიციიდან, ბევრად უფრო თანმიმდევ-**

რულ და საიმედო მშვიდობის მხარდამჭერ სისტემაზე. მსოფლიო პრობლემების გლობალური ხასითიდან გამომდინარე მათი რეგულირება მოითხოვს **ახალი ტიპის სახელმძღვანელო ცენტრის შექმნას.** უკვე არსებული მსოფლიო მთავრობის იდეა და მის საფუძვლად გაეროს მიჩნევა, მათი აზრით, დღეს უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ მთავრობების მოთხოვნებს, არამედ ხალხების მზარდ მოლოდინსაც. დღეისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა კერძო და არასამთოვრობო აქტორების როლის არაჩვეულებრივი ზრდა, მყისიერად ზრდის არასამთავრობო საფუძველზე თანამშრომლობის განვითრების მოთხოვნილებასაც. გაერო და სხვა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე ასრულებენ არა მხოლოდ პოლიტიკურ ფუნქციებს, არამედ პრაქტიკულ კავშირებს ადამიანთა მოქმედების ყველა დარგთან მიმართებითაც. სამომავლოდ ეს როლი კიდევ უნდა გაიზარდოს, ვინაიდან ბევრი საერთაშორისო პროგრამის გადწყვეტის უზრუნველყოფის წყარო **არასამთავრობო სექტორია**.

ამრიგად, თუ დავუკვირდებით, ამ ორი მიმართულებას მათ შორის თვისობრივად ბევრი მსგავსებაც არის. ერთი რამ ცხადია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი უცილობლად მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ამ პროცესში. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მიმართლების შეხედეულებებს აქვს პირობითი ხასით. ასევე არ შეიძლება მათ შორის არსებული სხვაობის აბსოლუტიზირება, ვინაიდან ის შეფარდებითია. პოლიტიკური მიმართულების მომხრები არ უარყოფენ სოციალური ფაქტორების როლს ახალ მსოფლიო წესრიგში და არც სოციოლოგიური მიმართულების მომხრეები უკეთებენ იგნორირებას პოლიტიკურ ფაქტორებს. საქმე ეხება მხოლოდ იმ გარემოებას, რომ **ერთნი გამოდიან სახელმწიფოთაშორის პოლიტიკური ურთიერთობების უპირატესობით და ამის საფუძველზე გაიაზრებენ სოციალურ და სხვა ფაქტორებს,** ხოლო **მეორენი პოლიტიკური პროცესების ანალიზის და საერთაშორისო ურთიერთობებ**ის **სტრუქტურას აგებენ სოციალური ტენდენციების გამოკვლევებზე**. ვინაიდან თვლიან რომ სოციოლოგიური მიდგომა ბევრად უფრო მისაღებია, რადგან მასში ბევრად უფრო ჩანს ანალიზის იდეოლოგიზაცია. ის უფრო ფართოა, რაც იძლევა პოლიტიკური ანალიზის ინტეგრირების შესაძლებლობას, და რაც მთავრია იგი საშუალებას იძლევა

გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო სახელმწიფოების და პოლიტიკური ინსტიტუტებუს ინტერესები, არამედ სოციალური ჯგუფების და კონკრეტული ინდივიდებისაც კი.

მიიჩნევენ, რომ სწორედ სოციოლოგიური მიდგომით შეიძლება მოიძებნოს გზა მსოფლიო წესრიგის ცენტრალური პრობლემის _ საერთო მსოფლიო პასუხისმგებლობისა და ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს შორის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტსათვის. სუვერენიტეტის ,,წმინდა" პრინციპი ამ პოზიციიდან სულ სხვაგვარად გამოიყურება, რაც საშუალებას იძლევა დავინახოთ, რომ ეროვნული სუვერენიტეტის ,,თავშეუკავებლად" გამოყენება ძალიან ხშირად მიდის ძალისმიერ შოკამდე, რაც ნიშნავს ბუნებრივი რესურსების უთავბოლო ექსპლუატაციას, ისე რომ არ ხდება ზრუნვა მომავალ თაობებზე და ეკონომიკურ სისტემებზე, რაც ხელს არ უწყობს ,,ბუნებრივი სამართლიანობის" განხორციელებას მდიდარ ,,განვითრებულ მსოფლიოს" და ღარიბ ,,მესამე სამყაროს" ქვეყნებს შორის ურთიერთობებში.

გაეროს ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის რჩება ორგანიზატორის როლში ,,სუვერენიტეტების დიპლომატიას" შორის. ამავე დროს, გაეროს და მისი სპეციალიზირებული ინსტიტუტების არსებობის ფაქტი მოწმობს იმის მცდელობას, რომ სახელმწიფოებმა თავისი სუვერენიტეტის ნაწილი გადასცენ საერთო ცენტრს იმ ამოცანების გადაჭრისათვის, რომელიც შედის მათ საერთო ინტერესებში. ამგვარი ,,გადაცემები" სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ისტორიული პერიოდი ეს არის გარდამავალი საფეხური ახალი საერთაშორისო წესრიგისაკენ. მას დაარეგულირებს ინსტიტუტები, რომელთა სამართლებრივი კანონები დაფუძნებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა მონაწილის მუდმივად მზარდი სუვერენიტეტის ნებაყოფილობით ჩამორთმეულ წილზე.

ინტეგრირებულ პოლიტიკურ ანალიზზე ორიენტირებული სოციოლოგიური მიდგომა შესაძლებლობას იძლევა საერთაშორისო წესრიგის პრობლემა დავინახოთ როგორც ერთი მთლიანობა, რაც საშუალებას იძლევა მისი ფუძე დავინახოთ სისტემის განსაზღვრული ფაქტორების სახით, სადაც სოციოკულტურული ხასიათის ფაქტორებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავას. ასეთი სის-

ტემის ელემენტებად გველინება მბრძანებლობის მიმართვა, საერთაშორისო აქტორების ინტერესები და თანხმობა, ასევე შესაბამისი მექანიზმების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო წესრიგის ფუნქციონირებას და მის ფარგლებში წარმოქმნილი კრიზისების და წინააღმდეგობების რეგულირებას. ამიტომ პირველი ელრმენტის როლი, რომელიც ვლინდება მსოფლიო არენაზე სახელმწიფოების სამხედრო-ძალისმიერ ურთიერთობებში, (და რომელიც მოწყობილია იერარქიულ პრინციპზე) დღეისათვის არსებითად იცვლება, მცირდება, თუმცა ბოლომდე არ ქრება. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო წესრიგის ამჟამინდელი ეტაპი არ შეიძლება იყოს შეზღუდული რაოდენების სახელმწიფოების სისტემური ურთიერთობა (რომლებსაც მსოფლიოში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ) დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებით. მეორეს მხრივ, იზრდება ახალი ტექნოლოგიების როლი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური განვითრების დონე ზრდის ამა თუ იმ სახელმწიფოს როლსა და შესაძლებლობებს გავლენა მოახდინოს საერთაშორისო საქმეებში თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ***ამდენად ეს ორი იერარქიული ასპექტი-სამხედრო-ძალოვანი და ეკონომიკური განაპიროებს საერთაშორისო აქტორების არათანაბარ დონეს. ასეთი ორი იერარქიული სახის არსებობა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საერთაშორისო აქტორების მოტივაციები არის ამჟამინდელი საერთაშორისო წესრიგის არსებითი თვისება.***

შესამჩნევად იცვლება საერთაშორისო წესრიგის მეორე ელემენტიც, რომელიც ასევე დაკავშირებულია აქტორების ინტერსებთან:

პირველი, მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო აქტორების ეროვნული ინტერესების სტრუქტურული გარდაქმნა. პირველ ადგილზე ინაცვლებს ქვეყნის ეკონომიკური აყვავების და მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული ინტერესები. ეროვნული ინტერესების ეკონომიკურ კომპონენტს, ერთის მხრივ, განაპირობებს არა მარტო ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, არამედ ეს არის სახელმწიფოს პრესტიჟისა და ავტორი-

ტეტის[2] საკითხიც _ სახელმწიფოს პასუხი ახალ საგარეო პოლიტიკურ გამოწვევაზე, მის ადგილზე საერთაშორისო იერარქიაში.

მეორე, არასახელმწიფოებრივი აქტორების როლის გაძლიერებას თან ახლავს სახელმწიფოს კონტროლის შემცირება მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებაზე და რესურსების განკარგვაზე. უკანასკნელთა ინტერესები ხშირად არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ინტერესებთან, ან კიდევ შეიძლება აჭარბებდეს მათ. ეროვნულ ინტერესებთან მათ წინააღმდეგობას ასევე ემატება მათთან სრულიად შეუსაბამო ტრანსნაციონალური კორპორაციების, ბანკების, ასოციაციების და სხვა არასახელმწფოებრივი აქტორების ინტერესების წინააღმდეგობაც.

რაც შეეხება საერთაშორისო წესრიგის მესამე ელემენტს – ***თნხმობის მიმართვა*** _ იგი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმას რომ ნებისმიერი წესრიგი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა აქტორები ნებაყოფილობით უერთდებიან მასში არსებულ ნორმებს და პრინციპებს. თავის მხრივ ეს შესაძლებელია მხოლოდ მათვის საერთო ფასეულობების მიმართ გარკვეული თანმხვედრი ინტერესების პირობებში, რომელიც ასევე აიძულებს აქტორებს იმოქმედონ განსაზღვრულ ჩარჩოებში.

და ბოილოს, რაც შეხება საერთაშორისო წესრიგის მეოთხე ელემნტს _ ***მექანიზმებს,*** რომლებიც უზრუნველყოფენ მის ფუნქციონირებას, სშუალებას იძლევიან დაარეგულირონ წარმოქმნილი კრიზისები და წინააღმდეგობები. ცნობილია რომ დღეისათვის ასეთ მექანიზმებად გვევლინება მორალური და სამართლებრივი ნორმები, რომელიც ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოს რომ მსგავსი მექანიზმის ფუნქციას ასრულებს საერთაშორისო გავლენების და კომუნიკაციების როლის გაზრდაც. საერთაშორისო კომუნიკაცია თავისთავდ წარმოადგენს არხების საკმაოდ ფართო ქსელს საერთაშორისო აქტორების ურთიერთობებისათვის, რომელიც მუდმი-

[2] საერთაშორისო ურთიერთობებში პრესტიჟს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, თუ რომელიმე სახელმწიფოს ძლიერება აღიარებულია, მას შეუძლია საკუთარ მიზნებს მიაღწიოს ძალის გამოყენების გარეშეც, ვინაიდან იგი ძალაუფლების, ძლიერების მაჩვენებელი და, გარკვეულწილად, მისი ფუნქციური ექვივალენტია. სახელმწიფოს პრესტიჟი გამომდინარეობს მათი რეალური ან წარმოსახული ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებიდან. ძალა ძლიერება სახელმწიფოს ეკონომიკურ, სამხედრო და სხვ სახის შესაძლებლობას ასახავს.

ვად ვითარდება და იძენს ბევრად უფრო რთულ ხასიათს. დღეისათვის იგი წარმოდგენილია ერთის მხრივ, ტრადიციული, ოფიციალური, ინსტიტუციონალური და არაინსტიტუციონალური არხების ურთიერთობების სახით. ხოლო მეორეს მხრივ, ოფიციალურ ინსტანციებსა და საზოგადოებრივ აზრებს შორის ურთიერთობებით, რომელიც ახდენს მზარდ გავლენას სამართლებრივ რეჟიმებზე, დიპლომატიურ უწყებებზე და აშ. და ბოლოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თვითმყოფადი განუსაზღვრელი როლით, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების არხების, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო წსერიგზე. თითეულ ზემოთდასახელებულ არხს თავისი როლი აკისრია საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებაში.

როგორც ისტორიულად დასტურდება, საერთაშორისო წესრიგის ერთი ტიპის დანერგვა და მეორის შეცვლა ხდება მასშტაბური ომების და რევოლუციების შედეგად. თანამედროვე პერიოდის საერთაშორისო წესრიგის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო წესრიგის კრახი, რომელიც არსებობდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განხორციელდა და მოხდა მშვიდობიანი სურვილით. ამსთან არსებული საერთაშორისო წესრიგის სამშვიდობო ხასითი, საკმაოდ უარყოფითი იყო, რადგან მან ვერ გამორიცხა მრავალრიცხივანი რეგიონალური შეიარაღებული კონფლიქტები და ომები.

მუდმივად არსებული დაპირისპირება ორ ბლოკს შორის, რომელიც გამოხატული იყი ,,ცივი ომით", მისი დასრულების შემდეგ აღინიშნა მსხვილმასშტაბიანი გეოპოლიტიკური ძვრებით, როგორიცაა:

პირველი, მთავრი მოწინააღმდეგის ,,დაკარგვით" მოხდა როგორც ,,გამარჯვებული" ისე დამარცხებული " მხარეების დეზორიენტაცია;

მეორე, ძალების, კოალიციების, კავშირების გადაჯგუფებით;

მესამე, ძველი იდელოგიური სტერეოტიპების შეცვლით;

მეოთხე, პოლიტიკური რეჟიმების შეცვლით;

მეხუთე, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნით;

მეექვსე, მოხდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ძირფესვიანი ტრანსფორმაცია, რომელსაც თან ახლავს პოლიტიკური ექსტრემიზმის და აგრესიული ნაციონალიზმის გამოვლენა, რელიგიური შეუთავსებლობა. ნაცინალურ_ეთნიკურ[3] და კონფესიურ საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტების გაზრდა და მიგრაციული პროცესები გააქტიურება.

საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაცია მეტყველებს, რომ კაცობრიობა იმყოფება მისი განვითარების გარდამტეხ ეტაპზე. გადარჩენის ობიექტური იმპერატივები, უსაფრთხოება და განვითარება თავისთავად მოითხოვს ახალ ბევრად საიმედო წესრიგის განვითარებას, რომელიც შესაბმისობაში იქნება ახლა ტენდენციებთან.

რთულია ზუსტი განჭვრეტა იმისა თუ როგორი იქნება მომავალი საერთაშორისო წესრიგი, მაგრამ ცხადია ის გარემობა, რომ მსოფლიოს გლობალიზაცია, გლობალური პრობლემები, ინტეგრაციული პროცესები გარკვეულ როლს ითამაშებს ამ პროცესებში და ამ გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით შეიძლება იმის თქმა რომ საერთაშორისო წესრიგი იქნება გლობალური, რომელიც დაეფუძნება ერთიან მოთხოვნებს.

გადაწყვეტილების მიღება და საერთაშორისო წესრიგი

---

[3] როგორც მკვლევარების სამართლიანად აღნიშნავენ, საერთაშორისო სისტემაში წესრიგის შენარჩუნების პრობლემის ერთ ერთი მეტად აქტუალური შემადგენელი ელემენტია ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ცხოვრებაში დამკვიდრება. საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, ყოველის სახელმწიფო სუვერენულია თავის უფლებებში. თუმცა იგივე სამართალი თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს ერებს და ხალხებს. აქედან გამომდინარე ერთა თვითგამორკვევის პრინციპი პირდპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენული მთლიანობის საერთაშორისო სამართლის ნორმას და თანამედროვე ეტაპზე უკვე საკმაოდ ხშირად გვევლინება სუვერენულ სახელმწიფოთა ფრაგმენტაციის და დაშლის მძლავრ ფაქტორად.
საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობას და გარკვეულ წესრიგს თუკი რაიმე უქმნის საფრთხეს ეს სწორედ ერთა თვითგამორკვევის პრინციპია. დედამიწაზე რამდენიმე ათასი სხვადსხვა ხალხი ცხოვრობს და თუ მათი გარკვეული ნაწილი ეთნიკურ საფუძველზე საკუთარი სახელმწიფოს სექმნას სეუდგება აღნიშნული თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები ამას ვერ გაუძლებენ, ადგილი ექნება პოლიტიკურ და ეკონომიკურ კატაკლიზმებს რომელებიც გარკვეულ დისონას შეიტანს საერთაშორისო წესრიგის სტაბილურობაში.

საერთაშორისო წესრიგი განსაზღვრავს მის მონაწილეთა შორის ურთიერთობების სახეს, წესებს, მოქმედების შიდა ლოგიკას, მონაწილეთა მოლოდინებსა და მათ აღქმას, ამა თუ იმ მოვლენისა თუ გადაწყვეტილებების შეფასებას. საერთაშორისო წესრიგის სახე და საერთაშორისო სისტემა განსაზღვრავს მონაწილეთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების შინაარს და მოქმედებებს. ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამგვარი პროცედურები განსხვავაებული იყო, თუმცა ეს განსხვავება, ღრმა ხასიათს არ ატარებდა. თუ უძველესი პერიოდიდან მე-20 საუკუნემდე საერთაშორისო პოლიტიკაში დომინირებდა რეალისტური ხედვა, რომლიც გულისხმობდა სახელმწიფოების მხრიდან ძალთა ბალანსის შენარჩუნების აუცილობლობასა და მის გამყარებას, თუ ყოველი სამეფო ან სახელმწიფო ცდილობდა შედარებითი უპირატესობის მიღწევის გზით საკუთარი უსაფრთხოების გარანტირებასა და შესაძლებლობის შემთხვევაში გაბატონებასაც კი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალმა ძალამ – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიოს შესტავაზა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სრულიად ახალი კონცეფცია – იდეალიზმი, რომელიც ეფუძნებოდა ძირითადად მორალს, რაც ევროპული პოლიტიკიდან დიდი ხნის წინ იყო გამოდევნილი და ალტრუისტული ქმედებებისაკენ მოუწოდებდა დიდ ძალებს. ევროპაც დაეთანხმა იდეალისტურ პრინციპებზე დამყარებული საერთაშორისო ორგანიზაციის – ერთა ლიგის შექმნას. ერთა ლიგამ, სამწუხაროდ, ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა – ვერ შეინარჩუნა მსოფლიო მშვიდობა და საბოლოოდ მისი ფორმალური არსებობა დასრულდა ახალი მსოფლიო ომით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი ერთა ლიგას ჩაენაცვლა ახალი გლობალური საერთაშორისო ორგანიზაცია, გაერო რომელიც საერთო მიზნებსა და გადაწყვეტილებების უმრავლესობის პრინციპებით მიღებაზეა დამყარებული. გაეროს წესდებამ ახალი ძალა შთაბერა საერთაშორისო სამართლის განვითარებას. საერთაშორისო სამართალი დღესდღეობით არის მოქმედების ის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ სახელმწიფოები, თუმცა საკითხავია, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ეს „საერთაშორისო სამართალი“ – პატარა სუსტი სახელმწიფოებისა თუ დიდი ძალების?

თანამედროვე ეპოქაში გადაწყვეტილებების მიღება ყველა სახელმწიფოს მხრიდან ხდება საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით, მისგან გადახვევა დევიანტურ ქმედებად ითვლება და სერიოზულ გამოხმაურებას იწვევს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, თუმცა ამ გამოხმაურების სახე და ხასიათი დამოკიდებულია სამართალდამრღვევი ქვეყნის ძალასა და წონაზე საერთაშორისო სისტემაში და ასევე, სამართლისდამცველი და დანაშაულის აღმკვეთი ქვეყნის ინტერესზე ამ საკითხის მიმართ.

საერთაშორისო ურთიერთობებში გადაწყვეტილებების მიღების ლოგიკა: ის დამყარებულია საერთაშორისო სამართალზე, თუმცა ამ სამართლის ინტერპრეტირება ნებისმიერი ფორმითაა შესაძლებელი და ამის უფლება მხოლოდ დიდ ძალებს შესწევთ, მცირე ძალები მოქმედებენ საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაძლო განხორციელების გზით საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილი ნორმების ფარგლებში და მათთვის მისი ინტერპრეტირება არაა ხელმისაწვდომი

თემა IV

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

საგარეო პოლიტიკა როგორც სახელმწიფოებრივი ფენომენი

მსოფლიო თანამეგობრობაში სახელმწიფოთა შორის ურთიერთიერთობების განხორციელების მთავარ საშუალებას საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს. იგი გულისხმობს სახელმწიფოს საერთო კურსს საერთაშორისო არენაზე და საქმეებში. ეროვნული ინტერესებისა და მიზნებიდან გამომდინარე იგი მოწოდებულია დაარეგულიროს სახელმწიფოსი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან. საგარეო პოლიტიკა ხორციელდება სხვადასხვა საშულებებითა და მეთოდებით.

საგარეო პოლიტიკა ყალიბდება არა მხოლოდ ინდივიდუალური და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების შიდა დინამიკით, არამედ საზოგადოების საშუალებითაც. ვინაიდან საკუთრივ სახელმწიფო არ არის რაღაც დამოუკიდებლად მოქმედი ერთეული და მის ქმედებას განსაზღვრავენ სახელმწიფოს შემადგენელი ინდივიდები - მოქალაქეები, პოლიტიკური ლიდერები თუ ბიუროკრატები.

საგარეო პოლიტიკა ეს არის სახელმწიფოს მოქმედება საერთაშორისო არენაზე, რომლითაც არეგულირებს ურთიერთობებს სხვა სუბიექტებთან_სახელმწიფოებთა, კავშირებთან ან ბლოკებთან, საერთაშორისო გაერთიენებებთან, მსოფლიო და რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა სახელმწიფოს სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც მთავრობა საერთაშორისო არენაზე კონკრეტულ ქმედებებს ახორციელებს. მასში აღნუსხულია სამოქმედო გეგმა და მიზნები, რომლებიც უნდა განახორციელონ სახელმწიფოს ლიდერებმა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში.

მთავრობის სხვადასხვა ეშალონებში ყოველდღიურ გადაწყვეტილებებსაც კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის მიზანი. საგარეო პოლიტიკა გარკვულწილად დაკავშირებულია ქვეყნის საშიანო პოლიტიკასთან. ამ თვალსაზრისით მის მთავარ ამოცანას შეადგენს ის, რომ უზრუნველყოს სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის ბევრად წარმატებული საერთაშორიშო შეთანხმება მიღწევა.

საგარეო პოლიტიკის **უმთავრესი ფუნქციაა** აიცილოს სახელმწიფოებს შორის ომი, აგრესია და სხვადასხვა სახის კონფლიქტები. XX ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საერთაშორისო ცხოვრების ცივილიზირებული მონაწილეები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, რომ არ დაუშვან ბირთვული ომი. ახორციელებენ პრევენციულ ზომებს საერთაშორისო კონფლიქტების აღმოფხვრისათვის. ებრძვიან შიმშილს, თანამშრომლობას ახორციელებენ ბუნებრივი კატასტროფების მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად, ერთობლივ ღონისძიებებს ახორციელებენ გარემოს გადარჩენისათვის და ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებისათვის.

საგარეო პოლიტიკის განხორციელების **ტრადიციულ ფორმებს** წარმოადგენს:

1. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება (ან გაწყვეტა) სახელმწიფოებს შორის (შეიძლება მოცემულ სახლმწიფოს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ან მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ დაინტერესებულია დიალოგით მასთან ამა თუ იმ მიზეზით);

2. სახელმწიფოს წარმომადგენელობის გახსნა საერთაშორისო ორგანიზაციებში;

3. სახელმწიფოების წარმომადგენელებთან, საერთაშორისო საზოგადოებრივ სტრუქტურებთან, განსხვავებულ დონეზე, ეპიზოდური ან რეგულარული კონტაქტების განხორციელება და მხარდაჭერა.

კავშირების არსებული არხები სახელმწიფოს საშუალებას აძლევს საგარეო პოლიტიკური მოქმედებების განხორციელებაში ერთმანეთს შეუთანხმოს სხვადასხვა მეთოდები და საშუალებები:

ა. განახორციოლოს ინფორმაციის გაცვლა და ვიზიტები სხვადასხვა დონეზე;

ბ. საკითხთა ფართო სპექტრის მიხედვით, დასადებად მოამზადოს ორმხვრივი ან მმრავალმხვრივი ხელშეკრულებები და შეთანხმები. მათ შორის კონფიდენციალური და საიდუმლო ხასიათის;

გ. ხელი შეუწყოს ცალკეულ სახელმწიფოებთან საჭირო საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას, და პირიქით, საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ საკითხებთან მიმართებით ბლოკირება გაუკეთეს ამ ურთიერთობებს;

დ. ომისთვის მომზადება და საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის სასურველი საგრეო პოლიტიკური სიტუაციის უზრუნველყოფა და ა. შ.

საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო პოლიტიკის თეორიას. მის საფუძველზე შემუშავდება უფრო ეფექტური მექანიზმები, მეთოდები და საშუალებები საგარეო პოლიტკური მიზნის მიღწევისათვის. იგი უზრუნველყოფს საგარეო პოლიტიკური ღონისძიებების დაგეგმარებას და კორდინაციის განსაზღვრულ ჩარჩოებს.

საგარეო პოლიტკის დროს ხდება ოფიციალური სტრუქტურების მოქმედება და ურთიერთომოქმედება, რომელებსაც აქვს (ან მინიჭებული აქვს), უფლება გამოვიდეს საზოგადოების სახელით, გამოხატოს მისი ინტერესები, აირჩიოს განსაზღვრული მეთოდები და საშუალებები მათი რეალიზაციისათვის.

სახელმწიფო საკუთარ თავს საერთაშორიო არენაზე გამოხატავს საგარეო პოლიტიკის მეშვეობით, რომელმაც შეიძლება მიიღოს ძირითადად ორი ფორმა – **დიპლომატიური და სტრატეგიული**. მათი დანიშნულება არის **ეროვნული ინტერესების** დაკმაყოფილების, სახელმწიფოს, საზოგადოების, ადამიანის განვითარების, თავისუფლების უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისათვის სასურველი პირობების შექმნა.

არსებობს ეროვნული ინტერესების ორი განმარტება:

1. ლიბერალური, რომელიც ამ ფენომენს წარმოადგენს, როგორც ადამიანთა ინტერესების რაღაც განზოგადებას, რომელთა რელიზება აუცილებლად უნდა დაემორჩილოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სტარტეგიას.

2. კონსერვატიული ანუ სახლემწიფოებრივი, რომელიც ეროვნულ ინტერესებს აიგიავებს სახელმწიფო ინტერესებთან.

ეროვნული ინტერესი არის საგარეო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად ეროვნული უსაფრთხოებისა და გადარჩენის პრინციპები უდევს. იგი გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფოების მიმართ. ეროვნული ინტერესების ცნებამ დროთა განმავლობაში შეცვალა სახელმწიფო ინტერესის დოქტრინა. ამ ცვლილებების არსი, ერთი მხრივ, ერი სახელმწიფოფოს წარმოშობისა და ნაციონალიზმის აღმავლობას უკავშირდებოდა, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს დინასტიური ინტერესების მთელი საზოგადოების ინტერესებით ჩანაცვლებას.

ინტელექტუალებისა და პოლიტიკური ელიტის მიერ გააზრებული ნაციონალური ინტერესები, სახელმწიფოს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს **საგარეო პოლიტიკური დოქტრინა**, რომელშიც განსაზღვრულია საგარეო პოლიტიკური სტრატეგია, როგორც ერთიანი მიზანი და საშუალება. იგი დაკავშირებულია საერთაშორისო არენაზე ფუნდამენტალური ნაციონალური ინტერესების განხორციელებასთან.

ნებისმიერი საერთაშორისო აქტორის სტრატეგია თავისთავად წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, სიტუაციის ანალიზის მეთოდს, მისი შესაძლო განვითარების მიმართულების შეფასებას, საკუთარი ინტერესების შეპირისპირებას მიღებულ სურათთან და მის საფუძველზე არჩევანის ბევრად უფრო ეფექტური საშუალების შერჩევას მიზნის განხორციელებისათვის.

თანამედროვე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის, როგორც პოლიტიკის რეალიზაცია წარმოადგენს რთულ საგარეო პოლიტიკურ მოვლენას. **იგი თავისთავში მოიცავს ობიექტურად არსებულ ეროვნული ინტერესების ბაზისს, დიდ სტარტეგიას და საგარეო პოლიტიკურ კურსს.**

სახელმწიფოს დიდი სტრატეგია მოიცავს მის განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებას, რომ უზრუნველყოს ეროვნული ინტერესების დაცვა_რეალიზება როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომის პირობებში.

არსებობს წარმატებული სტრატეგიის ორი აუცილებელი პირობა:

1. **სტარტეგიული სიტუაციის სწორი შეფასება**, ანუ იმ თავისებურებების, რომელიც მოცემული მომენტისათვის შეიქმნა საერთაშორისო ვითარებაში;

2. **სტრატეგიული ანალიზი**, ანუ სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორების შესწავლა, რაც დაეხმარება მისცეს მას ბევრად უფრო სრული წარმოდგენა.

სახელმწიფოს დიდი სტრატეგია ხორციელდება კონკრეტული, პრაქტიკული ღონისძიებების ქმედებებით, რომელიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს მიერ თავისი საგარეო პოლიტიკის ყველა თავისებურებების გათვალისწნებით და ქმნის მის საგრეო პოლიტიკურ კურს, ანუ საგარეო პოლიტიკა თავისთავად სტრატეგიაა, რომელის მიხედვითაც ხელისუფლება გარკვეულ მოქმედებას ახორციელებს ამა თუ იმ სახელმწიფოს მიმართ.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგია ხორციელდება საგარეო პოლიტიკურ პროცესის შედეგად. **საგარეო პოლიტიკის პროცესი იმ სტრუქტურებისა და პროცედურების ერთობლიობაა, რომლებსაც სახელმწიფოები იყენებენ საგარეო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღებისა და მათი განხორციელების დროს**

კაცობრიობის მოქმედების სივრცე ეს არის არენა, სადაც სახელმწიფოები ეჯახებიან და ურთიერთმოქმედებენ, ეწინაღმდეგებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა დონეზე (გლობალურ, რეგიონალურ, მრავალმხვრივ, ორმხვრივ), ხორციელდება ეროვნული ინტერესები, რაც მოცემული ცნებით საერთაშორისო ურთიერთობებია.

საგარეო პოლიტიკა კომპლექსური პროცესების კომპლექსური შედეგია. იგი ყალიბდება დაპირისპირებულ თემატიკას, ქვეყნის შიდა ინტერესებსა და სამთავრობო უწყებებს შორის მუდმივი წინააღმდეგობების ფონზე. შედეგი არ განისაზღვრება ერთი კონკრეტული ინდივიდის, უწყებისა თუ სახელმძღვანელო პრინციპების მიერ, ვინაიდან საბოლოო ჯამში, საგარეო პოლიტიკა ლოგიკურად ჩამოყალიბებული ქმედებების ერთობლიობაა. სახელმწიფოები ქმნიან საგარეო პოლიტიკას ამა თუ იმ საკითხსა თუ რეგიონთან მიმართებაში. ეს არ არის დროდადრო და შემთხვევით მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების ქაოსური ერ-

თობლიობა. ***კარგად ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკა ეხმარება სახელმწიფოს სწორად და უმტკივნეულოდ წარმართოს შერჩეული პოლიტიკური კურსი საკუთარი ინტერესების დასაცავად.***

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკით გათვალისწინებული ეროვნული ინტერესები და პოლიტიკური კურსი ხშირად ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნის ინტერესებსა და პოლიტიკას.

საგარეო პოლიტიკის შემოქმედნი მოქმედებენ არა პოლიტიკურ ვაკუუმში, არამედ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური დებატების კონტექსტში. საზოგადოებრივი ზეწოლა უკლებლივ ყველა სახელმწიფოში დიდ ზეგავლენას ახდეს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი ზეწოლა სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა საშუალებებითა და არხებით ხორციელდება.

პლურალისტურ დემოკრატიაში დაინტერესებული მხარეები ზეგავლენას ახდენენ საგარეო პოლიტიკაზე თანამოაზრეთა ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების მეშვეობით. მსგავს ზეგავლენას დიქტატორულ სახელმწიფოებშიც ვხვდებით, მაგრამ ნაკლებად აშკარა ფორმებში.

სახელმწიფოების მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკა ასახავს შიდა კოალიციების ფორმირების პროცესს. შიდა პოლიტიკაზე უდავოდ დიდ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო ფაქტორები.

საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე უშუალო გავლენას ახდენენ *სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი პირები და ორგანოები* – დაწყებული სამთავრობო უწყებებით და დამთავრებული პოლიტიკური ჯგუფებით. შებამისად, საგარეო პოლიტიკა ხორციელდება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სახელმწიფო ორგანოების მიერ. მთელ რიგ ქვეყნებში ეს არის საგარეო საქმეთა სამინისტრო (ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დეპარტამენტი, საფრანგთში საგრეო ურთირთობების სამინისტრო, რუსეთში საგარეო საქმეთა სამინისტრო და ა.შ.), რომელიც სახელმწიფო მმართველობის მექანიზმში წარმოადგენს საჭირო რგოლს. იგი მოწოდებულია საერთაშორისო არენაზე წარადგინოს და დაიცვას სახელმწიფოს უფლება და ინტერესები.

საგარეო პოლიტიკის პოცესების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს ყოველ ქმედებას წინ უძღვის ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც საგარეო პოლიტიკაში ჩართული ყველა პირი, მათ შორის სახელმწიფო ლიდერები თუ ბიუროკრატები, იღებენ. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებს, როგორც წესი, ნაკლებად აინტერესებთ კონკრეტული პოლიტიკა და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მისი შემუშავებისა და განხორციელების პროცესს.

სახელმწიფო აყალიბებს სხვადასხვა ორგანიზაციულ სტრუქტურებს და ურთიერთობებს საგარო პოლიტიკის შექმნისა და წარმოების მიზნით. სახელმწიფო მოღვაწეები და სააგენტოები სხვადასხვა წყაროებიდან მოიპოვებენ ინფორმაციას არსებული ვითარების შესახებ; ისინი წერენ ანგარიშებს შესაძლო ქმედებების შესახებ, მართავენ დისკუსიებს მოცემული საკითხების ირგვლივ; ზოგიერთი მათგანი არაოფიციალურ შეხვედრებს მართავს, სადაც მომავალი კრების წარმართვის შესაძლო ვარიანტებს განიხილავენ. ასეთი ქმედებები ზოგადად "საგარეო პოლიტიკის პროცესის" სახელით მოიხსენება. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები იკვლევენ რამდენად შესაძლებელია კონკრეტულმა პოლიტიკურმა პროცესმა კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანოს ან კონკრეტულმა პროცესებმა ნებისმიერ სხვა პროცესზე უკეთესი შედეგი გამოიღოს სახელმწიფოსთვის.

საგარეო პოლიტიკის შედეგს გარკვეული ძალების მიერ სხვადასხვა დონეებზე გაკეთებული ანალიზი განსაზღვრავს. შედეგები დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, საზოგადოების ტიპზე, მთავრობაზე და ამ ქმედებების საერთაშორისო და გლობალურ კონტექსტზე. რადგან საგარეო პოლიტიკის კვლევის ძირითადი ობიექტი სახელმწიფოში არსებული ძალებია, ამიტომ კვლევისას დიდი ყურადღება ექცევა ცალკეული ინდივიდების მიერ გაკეთებულ ანალიზს.

საგარეო პოლიტიკის პროცესები სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია, რაც განპირობებულია მთავრობის ტიპით, თანამოაზრეთა ჯგუფებითა თუ ცალკეული ინდივიდების ზეგავლენით. მთავრობის ტიპებში მოიაზრება სამხედრო დიქტატურა, ერ-

თპარტიული მმართველობა და მრავალპარტიული დემოკრატიის სხვადასხვა ფორმა. როგორც წესი, დემოკრატიულ სახელმწიფოებს საერთო ფასეულობები და ინტერესები გააჩნიათ და, შესაბამისად, ერთმანეთში უფრო კარგ ურთიერთობებს ამყარებენ, ვიდრე არადემოკრატიულ სახელმწიფოებთან.

პრაკტიკულად, სახელმწიფოების უმრავლესობა მოიცავს როგორც დემოკრატიულ ისე ავტორიტარულ ელემენტებს.

სახელმწიფოები ყოველდღიურად მოქმედებენ საერთაშორისო არენაზე: ნიშნავენ, მითითებებს აძლევენ ან უკან იხმობენ დიპლომატებს; სამხედრო ძალები ქვეყანაში შეჰყავთ ან ომში აგზავნიან.

ყოველ ქმედებას წინ უძღვის ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც საგარეო პოლიტიკაში ჩართული ყველა პირი, მათ შორის სახელმწიფო ლიდერები თუ ბიუროკრატები, იღებენ. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებს, როგორც წესი, ნაკლებად აინტერესებთ კონკრეტული პოლიტიკა და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მისი შემუშავებისა და განხორციელების პროცესს.

საგარეო პოლიტიკის შედეგს გარკვეული ძალების მიერ სხვადასხვა დონეებზე გაკეთებული ანალიზი განსაზღვრავს. შედეგები დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, საზოგადოების ტიპზე, მთავრობაზე და ამ ქმედებების საერთაშორისო და გლობალურ კონტექსტზე. რადგან საგარეო პოლიტიკის კვლევის ძირითადი ობიექტი სახელმწიფოში არსებული ძალებია, ამიტომ კვლევისას დიდი ყურადღება ექცევა ცალკეული ინდივიდების მიერ გაკეთებულ ანალიზს.

დემოკრატიულ სახემწიფოებში საგარეო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღება რთული პროცესია. დემოკრატიულ ქვეყნებში მოღვაწე პოლიტიკური ლიდერები ყოველდღიურად იღებენ ინფორმაციას მასების მოთხოვნების, ინტერესებისა და შეხედულებების – ანუ საზოგადოებრივი აზრის შესახებ. ხსენებული ლიდერები რეგულარულად ატარებენ კენჭისყრას და აანალიზებენ მის შედეგებს.

საგარეო პოლიტიკის პროცესი გადაწყვეტილების მიღების პროცესია. სახელმწიფო სჩადის ქმედებებს, რომლებსაც ირჩევენ სახელმწიფო მოხელეები, ანუ გადაწყვეტილების მიმღები პირები.

გადაწყვეტილების მიღება მართვის პროცესია, რომელშიც ცვლილებების შეტანა მასზე გარესამყაროს რეაგირების შესაბამისად ხდება. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო სჩადის ქმედებებს, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო არენაზე ვითარების შესაცვლელად. გარესამყაროს რეაქცია განხორციელებულ ქმედებაზე გამოიყენება მიღებული შედეგის შესაფასებლად. მოცემული შეფასებები, სხვა დამოუკიდებლად მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ეტაპებზე.

როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა იწყება ***რაციონალური მოდელით***. ამ მოდელის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღები პირები სახავენ მიზნებს, აფასებენ მათ მნიშვნელობას, ანგარიშობენ ყოველი შესაძლო ქმედების ხარჯებსა და სარგებელს და შემდეგ ირჩევენ ყველაზე უფრო სარგებლიან და ნაკლებად ხარჯიან მიზანს ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელობის მიხედვით ხდება მათი მისაღწევის ალტერნატიული გზების ჩამოთვლა და შესაძლო შედეგების გამოკვლევა, საუკეთესო შედეგების მომტანი ქმედების შერჩევა.

გადაწყვეტილების მიღების რაციონალური მოდელის ალტრენატივაა ***ორგანიზაციული პროცესის მოდელი***. ამ მოდელის თანახმად, საგარეო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიმღები პირები, როგორც წესი, უგულებელყოფენ იმ ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს, რომელსაც მიზნების დასახვა და ალტერნატიული ქმედებების შემუშავება მოითხოვს; ამის ნაცვლად, ისინი სტანდარტულ პასუხებს ანუ სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებს მიმართავენ.

რაციონალური მოდელის მეორე ალტერნატივა ***სამთავრობო მოლაპარაკების (ანუ ბიუროკრატიული პოლიტიკის) მოდელია***. მოცემული მოდელის მიხედვით საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებს საფუძვლად უდევს მოლაპარაკების პროცესი იმ სამთავრობო უწყებებს შორის, რომლებსაც შედეგებთან მიმართებაში განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ. 1992 წელს იაპონიის მთავრობას გადაწყვეტილება უნდა მიეღო კალიფორნიიდან სუშის იმპორტის თაობაზე; სუშის შემოტანა შეარყევდა იაპონიის ტრადიციას ბრინჯის იმპორტის აკრძალვის შესახებ (იაპონიას

სურდა თავისი მთავარი კერძის ინგრედიენტები თავად ეწარმოებინა). იაპონელი ფერმერების კეთილდღეობით დაინტერესებულმა იაპონიის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ მოიწონა იმპორტის იდეა. მისგან განსხვავებით, შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობების დამყარებით დაინტერესებული საგარეო საქმეთა სამინისტრო იმპორტის დაშვებას ითხოვდა. სუშის იმპორტის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება სამინისტროებს შორის გამართული დისკუსიების შედეგი იყო. ამრიგად, სამთავრობო მოლაპარაკებების მოდელის თანახმად, საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებები სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ინტერესებს ასახავენ.

გადაწყვეტილების მიღების რაციონალური მოდელის თანახმად, ოფიციალური პირები ისეთ ქმედებებს ირჩევენ, რომელთა შედეგებიც აკმაყოფილებს სახელმწიფო მიზნებს. რაციონალური მოდელის საპირისპიროდ და ორგანიზაციული პროცესის მოდელის მიხედვით, გადაწყვეტილებები რუტინული ადმინისტრაციული პროცედურების შედეგია. *სამთავრობო მოლაპარაკებების მოდელის* (ანუ ბიუროკრატიული პოლიტიკის) თანახმად, გადაწყვეტილებების მიღება ხდება სხვადასხვა ინტერესების მქონე სამთავრობო სააგენტოებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების საფუძველზე.

გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები

ქვეყნის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია ცალკეული ინდივიდები, თანამოაზრეთა ჯგუფების ზეგავლენა, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა და საკანონმდებლო ორგანოების ეფექტურობა. მართალია, საზოგადოებრივი აზრი, თანამოაზრეთა ჯგუფები და საკანონმდებლო ორგანოები დამახასიათებელია ფაქტიურად ყველა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მათი ზეგავლენა ყველაზე უფრო თვალსაჩინო დემოკრატიულ ქვეყნებშია.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მთავრობის დემოკრატიული ფორმა მსოფლიოში გავრცელებულ ფორმად იქცა. ამ ფაქტმა შეცვალა საგარეო პოლიტიკის პროცესის ბუნება მთელს მსოფლიოში. ბევრ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნია დემოკრატიული ხელისუფლება (მათ შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ჩინეთია), ხოლო არსებული დემოკრატიული სახელ-

მწიფოები არასრულყოფილია – შეერთებულ შტატებში პოლიტიკური აპათიითა და იაპონიაში კორუფციით დაწყებული და რუსეთში ავტოკრატული ტრადიციებით დამთავრებული. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ბევრი რეგიონი მიისწრაფის დემოკრატიისაკენ.

საერთაშორისო ურთიერთობებს რეალურად ცალკეული ინდივიდები წარმართავენ. ყოველი საერთაშორისო მოვლენა განზრახ თუ განუზრახ ინდივიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგია.

საერთაშორისო ურთიერთობები ინდივიდების გადაწყვეტილებების გარეშე არ არსებობს. ამას პრეზიდენტი ჰარი ტრუმენიც მიხვდა, როდესაც 1945 წელს ორ იაპონურ ქალაქზე ბირთვული აფეთქების განხორციელების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. პრეზიდენტის მაგიდაზე იყო მინაწერი - საბოოლოო გადაწყვეტილების მიღება ჩემი მოვალეობაა. მას, როგორც მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს ლიდერს, არ შეეძლო გადაწყვეტილების მიღება სხვისთვის დაევალებინა. თუ პრეზიდენტი იარაღის გამოყენებას გადაწყვეტდა (და გადაწყვიტა კიდეც), მაშინ 100 000 მოქალაქეზე მეტი დაიღუპებოდა; ხოლო თუ თავს აარიდებდა ასეთ გადაწყვეტილებას, მაშინ შესაძლოა ომი თვეობით გაგრძელებულიყო, რასაც ათი ათასობით ამერიკელის სიცოცხლე შეეწირებოდა. ტრუმენი არჩევანის წინაშე იდგა. ხალხის ერთი ნაწილი მიესალმა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, მეორე ნაწილმა კი სასტიკად დაგმო იგი. ნებისმიერ შემთხვევაში, ტრუმენს, როგორც ინდივიდს, გადაწყვეტილება უნდა მიეღო და შედეგებზე პასუხი უნდა ეგო. ანალოგიურად, სწორედ ცალკეული მოქალაქეების გადაწყვეტილება, რაც არ უნდა უმნიშვნელო ჩანდეს იგი ცალკე აღებული, მსოფლიოს ისტორიაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ნაწილობრივ და არასრულფასოვნად რაციონალურია. გარდა იმისა, რომ ცალკეული ადამიანების მიზნები განსვავდება ერთმანეთისგან, გადაწყვეტილების მიმღებნი უამრავ დაბრკოლებას აწყდებიან სწორი ინფორმაციის მოპოვების, სამყაროს ზუსტი მოდელის შექმნისა და დასახული მიზნების განსახორციელებლად საჭირო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

რაციონალური მოდელი მხოლოდ და მხოლოდ გამარტივებული მოდელია, რომელიც არასრულფასოვანია იმ ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პროცესების გააზრების გარეშე, რომლებიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. გარდა ამისა ცალკეულ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს გააჩნიათ არა მხოლოდ განსხვავებული ფასეულობები და შეხედულებები, არამედ უნიკალური პიროვნული თვისებები, გამოცდილება, ინტელექტი და გადაწყვეტილების მიღების თავისებური სტილი. რა თქმა უნდა პიროვნული თვისებები ზემოქმედებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

თვით აბსოლუტურ დიქტატორსაც კი არ შეუძლია სრულიად დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. სახელმწიფო გადაწყვეტილებები ხალხის ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის შედეგია.

გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები - კომიტეტებითა თუ უწყებებით დაწყებული და საკანონმდებლო თუ პოლიტიკური პარტიებით დამთავრებული - ყველა დამოკიდებულია იმ ადანიანების ვიწრო ჯგუფებზე, რომლებიც ერთად განიხილავენ და კამათობენ ამა თუ იმ საკითხზე.

ჯგუფური დინამიკის ფსიქოლოგიას უდიდესი გავლენა აქვს საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესზე.

ჯგუფის ფსიქოლოგია საგარეო პილიტიკაში გადაწყვეტილების მიღებისას ხელს უშლის ცალკეული პიროვნებების სუბიექტურ დამოკიდებულებას თუ მიკერძოებას. მრჩეველებსა და საკანონმდებლო უწყებებს შეუძლიათ აიძულონ სახელმწიფო ლიდერი ხელმეორედ განიხილოს ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება. სხვადასხვა პიროვნებების ურთიერთთანამშრომლობა ჯგუფში სავარაუდოდ უზრუნველყოფს ისეთი მიზნების ფორმირებას, რომლებიც თითოეული ადამიანის ინდივიდუალურ ინტერესებს კი არა, არამედ სახელმწიფო ინტერესებს ასახავს.

მიუხედავად ამისა, ჯგუფებს ახასიათებთ გადაწყვეტილების მიღება შედეგების მხოლოდ ზედაპირულ შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი ტენდენცია იმით აიხსნება, რომ ჯგუფის ცალკეული წევრები იწონებენ იმ იდეებს, რომლებსაც, მათი აზრით, სხვებიც უჭერენ მხარს. ამ მოვლენას *ჯგუფურ აზროვნებას* უწოდებენ. ცალკეული ინდივიდებისაგან განსხვავებით ჯგუფები ზედმეტად

ოპტიმისტურად არიან განწყობილი და სჯერათ, რომ მათ გადაწყვეტილებებს დადებითი შედეგები მოჰყვება. შესაბამისად, ჯგუფები უფრო ადვილად მიდიან რისკზე. ეჭვი წარმატების თაობაზე ჯგუფშიც შეიძლება გაუჩნდეს რომელიმე წევრს, მაგრამ იგი მალევე ქრება, რადგან ჯგუფის ყველა დანარჩენი წევრი მოცემულ იდეას იწონებს და მისი წარმატების სჯერა. გარდა ამისა, რადგან ჯგუფში პასუხიმგებლობა მის ყველა წევრზე ვრცელდება, კონკრეტულად არც ერთი წევრი არ გრძნობს თავს ვალდებულად, რომ პასუხი აგოს რაიმე ქმედების შედეგებზე.

თანამოაზრეთა ჯგუფებსა და საზოგადოებას ამა თუ იმ საკითხზე ზეგავლენის მოხდენა საკანონმდებლო ორგანოების მეშვეობით შეუძლიათ. თუმცა ეს ბევრ წილად დამოკიდებულია ქვეყანის მმართველობით სისტემაზე. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში საკამომდებლო ორგანოები უშუალოდ მონაწილეობენ საგარეო პოლიტიკის შექმნაში, რადგან ისინი ამუშავებენ ბიუჯეტს, აყალიბებენ ბიუროკრატიულ წესებს, ქმნიან სავაჭრო კანონებს და საემიგრაციო პოლიტიკასაც კი აკონტროლებენ. თუ აღმასრულებელი პირის მოვალეობაა მაღალი დონის შეხვედრებსა თუ მოლაპარაკებებში მიიღოს მონაწილეობა; სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანომ კი ასეთი შეხვედრებისა თუ მოლაპარაკებების შედეგად ხელმოწერილი დოკუმენტები უნდა დაამტკიცოს.

გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა

გადაწყვეტილების მიღების პროცესის სტრუქტურა მოიცავს გადაწყვეტილიების მიღების პროცესში კენჭისყრის ჩატარებისათვის და ზოგადად მონაწილეთათვისა საჭირო წესებს, ა.შ. გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯგუფს *განუსაზღვრელი პრიორიტეტები* ამოძრავებს, რადგან მონაწილეთა უმრავლესობა არ ეთანხმება ერთ კონკრეტულ ალტერნატივას. საგარეო პოლიტიკის წარმოებაში გამოცდილი მოღვაწეები ფლობენ მანიპულაციის ტექნიკას, რომელიც მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკუთარი ინტერესებისა და შეხედულებების დაცვაში ეხმარება. ერთერთი გავრცელებული ტექნიკაა ჯგუფის გადაწყვეტილების მიღების წესების გაკონტროლება. წესი ეხება ჯგუფში წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობასა და განსახილველი შემოთავაზებების თანმიმდევრობის პრობლემას (ეს განსაკუთრებით მნიშ-

ვნელოვანია, როდესაც მონაწილეები *დამაკმაყოფილებელი გადაწ-ყვეტილების მეთოდით* სარგებლობენ). სავარაუდოდ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დღის წესრიგისა და დებატების წარ-მართვის სტრუქტურის კონტროლი.

გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა გადაწყვეტილების მიმღებთა ჯგუფის კომპოზიციასაც მოიცავს. ვინ არიან ჯგუფის წევრები? ჩვეულებრივ, ჯგუფი წარმოდგენილია ცალკეული წევ-რების სახით, რომლებსაც მოცემულ ჯგუფში კონკრეტული რო-ლის თამაში ევალებათ. (ზოგიერთ საერთაშორისო ურთიერთობე-ბის ექსპერტს მიაჩნდა, რომ როლი ანალიზის ყველაზე უფრო თვალსაჩინო დონეა ინდივიდუალურ და საშინაო დონეებს შორის). როლი შეიძლება იყოს *ინსტიტუციური*, რომლის მიხედვითაც მო-ნაწილე კონკრეტული ჯგუფის სახელით წარმოგვიდგენს თავის შეხედულებებს; მაგალითად, სადაზვერვო სააგენტო. ამა თუ იმ კონკრეტულ ჯგუფში არსებული სხვადასხვა როლები შეიძლება ეფუძვნებოდეს ფრაქციებს, შუამავლებს, მერყევ ამომრჩეველს და სხვა. ხშირად საკუთარი როლებიდან გამომდინარე ერთი ამომრჩე-ველი სხვებს ახალ იდეებს უზიარებს, მეორე – სტატუს კვოს იცავს, მესამე ნეიტრალურად განწყობილი ადამიანის როლს თამა-შობს, რათა ამით ლიდერის ზედმეტი ყურადღება არ მიიქციოს და სხვა.

საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების დროს სა-ხელმწიფო ლიდერები ხშირად ეყრდნობიან მრჩეველთა *შიდა წრეს*. ყოველ მთავრობას თავისთვის დამახასიათებელი კომპოზიციითა და მოქმედების სტილით გამორჩეული *შიდა წრე* გააჩნია. მაგალი-თად, პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი ცნობილი იყო თავისი "სამშა-ბათის ლანჩებით", რომლის დროსაც იგი ეროვნული უსაფრთხოე-ბის წარმომადგენლებთან ერთად ეროვნული უსაფრთხოების პო-ლიტიკას განიხილავდა. გარკვეული ჯგუფები ოფიციალური შეხ-ვედრების გარდა დამატებით არაოფიციალურ კონსულტაციებს ითხოვენ. ლიდერთა გარკვეულმა ნაწილმა ჩამოაყალიბა "სამზარე-ულოს კაბინეტი", სადაც ისინი თავიანთ უახლოეს მეგობრებთან ერთად, რომლებსაც მთავრობაში ოფიციალური პოსტები არ ეჭი-რათ – საჭირბოროტო პოლიტიკურ საკითხებზე საუბრობდნენ. მა-გალითად, გოლდა მეირს ისრაელიდან არაერთი ასეთი შეხვედრა

გაუმართავს თავის სახლში და ზოგჯერ უშუალოდ სამზარეულოში. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი თავისი უახლოესი მეგობრისა და პირადი მცველის რჩევებს ითვალისწინებდა.

არაოფიციალურ გარემოს სხვა გამოყენებითი დანიშნულებაც აქვს. შეგვიძლია გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფს აქტიური მოქმედებისკენ ვუბიძგოთ, ან მონაწილეებს მათ ჩვეულ ბიუროკრატიულ ტენდენციებზე უარი ვათქმევინოთ. 1972 წელს, სასურველი განწყობის შექმნის მიზნით, საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი კატარღით გაასეირნა, ვიდრე ქალაქგარეთ მდებარე აგარაკზე დისკუსიებს გამართავდნენ.

ინდივიდუალურ ჯგუფურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი განსაკუთრებით მწვავდება კრიზისი დროს. კრიზისი საგარეო პოლიტიკის მდგომარეობაა, რომელშიც შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და რომელსაც ერთობ შეზღუდული დროის ფაქტორი ახასიათებს. (შეერთებულ შტატებში კრიზისის დროს საგრძნობლად მატულობს სამთავრობო სააგენტოებში პიცის ადგილზე მიტანა, რადგან გადაწყვეტილების მიმღებნი ჭამის დროსაც დაძაბულად მუშაობენ). კრიზისის დროს გადაწყვეტილების მიღება და მისი შედეგების გათვლა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ნორმალური საგარეო პოლიტიკის ვითარებაში.

კრიზისის პირობებში გადაწყვეტილების მიმღებებს დროის ძალიან ვიწრო მონაკვეთში უწევთ მუშაობა. სიჩქარეში იშვიათად გადაამოწმებენ ხოლმე გადაწყვეტილების სისწორეს; კომუნიკაციები მოკლე და სტერეოტიპული ხდება, ხოლო ინფორმაცია, რომელიც არ ამართლებს გადაწყვეტილების მიმღების მოლოდინს, როგორც წესი, იგნორირებულია და დროის უქონლობის გამო საერთოდ არ განიხილება. იგივე დროის ფაქტორის გამო არჩევანის გაკეთებისას ხელთარსებული ვატიანტების რაოდენობა მინიმუმამდე დაჰყავთ. გადაწყვეტილების მიმღებნი ასეთ მდგომარეობაში უგულებელყოფენ ახალი ვარიანტების განხილვის შრომატევად პროცესს და ურჩევნიათ უკვე ხელთარსებულ და მოწონებულ ვარიანტებზე შეჩერდნენ.

ჯგუფური აზროვნება კრიზისის დამახასიათებელი ნიშანია. 1962 წლის კუბის კრიზისის დროს პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ჩამოაყალიბა მრჩეველთა მცირე და დახურული ჯგუფი, რომელიც

მთელი დღეების განმავლობაში დაუღალავად შრომობდა. ჯგუფის წევრები სრულიად მოწყვეტილი იყვნენ გარესამყაროსა და პოლიტიკურ წრეებში მიმდინარე დისკუსიებს. თავად პრეზიდენტის ურთიერთობა საბჭოთა ლიდერ ნიკიტა ხრუშოვთან პრეზიდენტის ძმის რობერტ კენედისა და საბჭოთა ელჩის შუამავლობით მიმდინარეობდა. ამ საკომუნიკაციო ჯაჭვში არანაირ მონაწილეობას არ იღებდა სახელმწიფო დეპარტამენტი. კენედი, რომელიც კარგად გრძნობდა ჯგუფური აზროვნების საშიშროებას, დროგამოშვებით ტოვებდა ხოლმე ოთახში შეკრებილ საზოგადოებას, რადგან იცოდა, რომ ავტორიტეტული პიროვნების ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი ჯგუფის წევრები უფრო გაბედულად და თავისუფლად გააგრძელებდნენ დისკუსიებს. ამ და სხვა საშუალებების დახმარებით ჯგუფმა არჩევანი გააკეთა (სამხედრო-საზღვაო ბლოკადა) ორ ხელთარსებულ ვარიანტს შორის (რაკეტების განლაგების ადგილის დაბომბვა ან ზომების მიღებისაგან თავის შეკავება). ზოგჯერ ლიდერები განზრახ ნიშნავენ კონკრეტულ პიროვნებებს (რაც *ეშმაკის ადვოკატის* სახელითაა ცნობილი) ჯგუფში, რათა ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობა გაუწიოს დომინანტურ იდეას.

კრიზისის პირობებში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არა მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში უწევთ მუშაობა, არამედ ისინი ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმყოფებიან. როგორც ბევრმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავზე გამოსცადა, ადამიანებს ჩვეულებრივ უჭირთ სწორი გადაწყვეტილების მიღება როდესაც სტრესში იმყოფებიან. სტრესის არსებობა კიდევ უფრო აძლიერებს ზემოჩამოთვლილ არაობიექტურ ტენდენციებს. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ახასიათებთ მოწინააღმდეგე მხარის მტრული დამოკიდებულების გაზვიადება და პირიქით, საკუთარი მტრული დამოკიდებულების გაუფასურება სხვების მიმართ. ანტიპატია ადვილად გადაიქცევა ხოლმე სიძულვილად, აღელვება კი – შიშად. დიდი მოცულობის ინფორმაცია უგულებელყოფილი რჩება იმისთვის, რომ მაქსიმალურად გაიოლდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და აღდგეს შემეცნებითი ბალანსი. კრიზისის პირობებში გადაწყვეტილების მიმღებს თანსდევს ფიზიკური გამოფიტვაც. ძილის უკმარისობა მძიმე პირობებში მომუშავე გადაწყვეტილების მიმღებთათვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა, რადგან კრიზისის

დროს სიტუაციის კონტროლის მიზნით ისინი მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ. კოლეჯის სტუდენტებმა, რომლებსაც ერთი ან რამდენიმე ღამე გაუთენებიათ ზედიზედ, იციან რამდენად იფიტება ორგანიზმი უძილობის გამო. ადამიანი კარგავს რეალობის შეგრძნებას, ირგვლივ ყველაფერი გაზვიადებულად ეჩვენება, დეპრესიაში ვარდება და ჰალუცინაციებს ხედავს. თუ გადაწყვეტილების მიმღებნი ღამეებს გაათევენ, რათა ჯეროვანი არჩევანი გააკეთონ, მაშინ იარსებებს იმის დიდი შესაძლებლობა, რომ მათ სწორედ ზემოხსენებულ პირობებში მოუწევთ საგარეო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღება.

კრიზისის პირობებში საღი გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობის გამო, ამომრჩეველი ყურადღებას აქცევს ლიდერის ფსიქოლოგიურ სტაბილურობას. ვიდრე 1992 წელს ისრაელის პრემიერ მინისტრი ისხაკ რაბინი არჩევნებში გაიმარჯვებდა გავრცელდა ინფორმაცია, რომ 1967 წლის ომამდე შეიარაღებული ძალების მეთაურობისას მას ერთდღიანი ნერვიული შეტევა ჰქონდა. იგი არ დაეთანხმა ამ ბრალდებას. ისრაელის პრემიერ მინისტრმა სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და განაცხადა, რომ კრიზისმა მისი ფიზიკური გამოფიტვა გამოიწვია. უფრო მეტიც, ფიზიკურ გამოფიტვას ნიკოტინით მწვავე მოწამვლაც თან დაერთო; ამიტომ, მან გადაწყვიტა დაესვენა, ვიდრე გადაწყვეტილებების მიღებაზე დაიწყებდა მუშაობას.

კრიზისულ თუ ჩვეულებრივ პირობებში მუშაობისას ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღებნი არასდროს მოქმედებენ სხვებისგან დამოუკიდებლად. მათი გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია იმ მთავრობასთან და სახელმწიფოსთან, რომლის დაქვემდებარებაშიც ისინი იმყოფებიან. საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე უშუალო გავლენას ახდენენ *სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი პირები და ორგანოები* – დაწყებული სამთავრობო საგენტოებითა და დამთავრებული პოლიტიკური ჯგუფებითა თუ მრეწველებით.

საგარეო პოლიტიკა ყალიბდება არა მხოლოდ ინდივიდუალური და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების შიდა დინამიკით, არამედ იმ სახელმწიფოსა და საზოგადოების საშუალებით, რომელშიც ის იქმნება.

სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოები, რომლებიც ყველაზე უფრო აქტიურად მონაწილეობენ საგარეო პოლიტიკის პროცესებში, სახელმწიფოს ბიუროკრატიულ ორგანოებს წარმოადგენენ. ისინი ავითარებენ და ახორციელებენ საგარეო პოლიტიკას. სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვა საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატიული სააგენტოები არსებობს, თუმცა ძირითადი მახასიათებელი ნიშნები ყველასათვის საერთოა.

ფაქტიურად ყველა სახელმწიფოს გააჩნია დიპლომატიური კორპური ან საგარეო საქმეთა სამსახური; დიპლომატების ერთი ნაწილი მუშაობს უცხო ქვეყნების დედაქალაქში განლაგებულ საელჩოებში (ან საკონსულოებში უცხო ქვეყნის რიგით ქალაქში); მეორე ნაწილი კი მშობლიურ ქვეყანაში რჩება, რათა კოორდინირება გაუკეთოს საგარეო პოლიტიკას. სახელმწიფო ნიშნავს ელჩებს, რომლებიც ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლები არიან უცხო ქვეყანასა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში. დიპლომატიური საქმიანობები ხორციელდება საგარეო სამინისტროსა თუ ეკვივალენტური ორგანოების საშუალებით (მაგალითად, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი).

ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში დიპლომატთა გარკვეული ნაწილი უბრალოდ სახელმწიფოს მიერ დანიშნულია, რომლებიც მთავრობაში ცვლილებებიდან გამომდინარე ინიშნებიან და იხსნებიან. მეორე ნაწილი პროფესიონალი დიპლომატებია, რომლებიც წლობით მუშაობენ საგარეო საქმეთა სამსახურებში და, ჩვეულებისამებრ, ადმინისტრაციული ცვლილებების მიუხედავად არ წყვეტენ თავიანთ მოღვაწეობას. გამოცდილი დიპლომატები სახელმწიფოს სიძლიერის უდავო გარანტიაა.

იმ ინფორმაციის დიდი ნაწილი, რომელსაც საგარეო პოლიტიკის წარმოების პროცესში იყენებენ დიპლომატების მიერ არის მოწოდებული. თუმცა თავად დიპლომატების ძირითადი მოვალეობა პოლიტიკის შექმნა კი არა, არამედ მისი გატარებაა. უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში მოღვაწე ბიუროკრატებს იმის უნარი შესწევთ, რომ საგარეო ურთიერთობები მაქსიმალურად სტანდარტული და რუტინული გახადონ; იმდენად რუტინული, რომ მაღალი თანამდებობის მქონე პირებისა თუ სახელმწიფოს მიერ დანშნული წარმომადგენლების ხელისუფლებაში

მოსვლა ან წასვლა ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ძვრებს არ გამოიწვევს. ბიუროკრატებს მიაჩნიათ, რომ ეროვნული ინტერესები დაცულია, თუ საერთო ეროვნული მიზნები და ზოგადი მდგომარეობა საერთაშორისო არენაზე სტაბილურია.

ურთიერთობა სახელმწიფო ლიდერებსა და საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატებს შორის ხშირად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს. პროფესიონალი დიპლომატები ყოველმხრივ ცდილობენ თავიანთი შეხედულებები გაუზიარონ ახალ ლიდერებსა თუ მათ მიერ დანიშნულ პირებს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავად აკონტროლონ ინფორმაციის ნაკადი, რომელსაც ლიდერები და მათი წარმომადგენლები იღებენ (ასე იქმნება *საინფორმაციო ფილტრი)*. თავის მხრივ პოლიტიკოსები ცდილობენ თავიანთი ზეგავლენის ქვეშ მოაქციონ ბიუროკრატიული სააგენტოები, რადგან ეს უკანასკნელნი ზედმეტად "ბიუროკრატიულნი" (კონსერვატორული, რუტინული, ნაკლებად დრეკადნი) არიან. გარდა ამისა, ასეთ სააგენტოებში, ჩვეულებრივ, პროფესიონალი პერსონალი მუშაობს (დაბალ ეშალონებში), რომლებიც შეიძლება არც კი იზიარებდნენ პოლიტიკური ლიდერების შეხედულებებს.

ბიუროკრატიული ორგანოს სიძლიერე მხოლოდ ამ ორგანოს ზომით არ განისაზღვრება. მაგალითად, შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენლობაში, ისევე როგორც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში მხოლოდ ორასი თანამშრომელია დაკავებული. ამათგან განსხვავებით კომერციისა და სახელმწიფო დეპარტამენტებში ხუთი ათასი ადამიანი მუშაობს, რომლებსაც მსგავსი მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრიათ. ამ სააგენტოების სიძლიერე შეერთებული შტატების პრეზიდენტთან სიახოვით განისაზღვრება. სწორედ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფროსს ევალება ყოველ დილით გააცნოს პრეზიდენტს საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია.

ზოგჯერ სახელმწიფო ლიდერები უახლოეს მეგობარს ან მრჩეველს ნიშნავენ და საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატიული ორგანოს მართვას ავალებენ. სწორედ ასე მოიქცა უფროსი პრეზიდენტი ბუში, როდესაც თავისი უახლოესი მეგობარი ჯეიმს ბეიკერი დანიშნა. პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც მეორე ვადით არჩევის შემდეგ ანალოგიურად მოექცა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ყოფილ უფროსსა და თავის მესაიდუმლეს კონდოლიზა რაისს. ჩი-

ნელმა ლიდერმა მაო ძედუნმა თავის ერთგულ მოკავშირეს ჟოუ ენლაის მიანდო საგარეო პოლიტიკის წარმართვა.

ზოგჯერ ბიუროკრატიული მიდგომით გაღიზიანებული პოლიტიკოსები გვერდს უვლიან დიპლომატიის სტანდარტულ ნორმებს. მაგალითად, 1962 წლის კუბის კრიზისის დროს პრეზიდენტმა კენედიმ მოითხოვა უშუალო კავშირი სამხედრო პერსონალთან კარიბის კუნძულებზე, რადგან გრძნობდა კუბის ბლოკადის საშიშროებას. თავისი ქმედებით პრეზიდენტმა გვერდი აუარა თავდაცვის მინისტრსა და მაღალ ჩინოსნებს.

ურთიერთობა პოლიტიკურ ლიდერებსა და საგარეო პოლიტიკის მწარმოებელ ბიუროკრატებს შორის *სააგენტოთშორისო დაძაბულობის* ერთერთი ფორმაა, რომელიც თავს იჩენს საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. ტრადიციულად, სააგენტოები ერთმანერთს უპირისპირდებიან და საგარეო პოლიტიკის ყოველი ახალი გადაწყვეტილება ამ გაუთავებელი დაპირისპირების ფონზე ვითარდება. სააგენტოთშორისო დაპირისპირების ერთერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია დაძაბული ურთიერთობა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს შორის: ისინი 1960 წლის ლაოსის სამოქალაქო ომში დაპირისპირებულ ბანაკებს უჭერდნენ მხარს. ცივი ომის დროს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირში თავდაცვის სამინისტრო ყოველთვის უფრო მილიტარისტულად განწყობილი იყო, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო ან სახელმწიფო დეპარტამენტი მშვიდობიან მოლაპარაკებებს აძლევდა უპირატესობას. ასეთ ვითარებაში სიტუაციას პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი აბალანსებდა.

ჩვეულებრივ ბიუროკრატიული დაწესებულებები ისეთ პოლიტიკას უჭერდნენ მხარს, რომელიც მათ უფლებამოსილებას ზრდიდა და მათ ინტერესებს იცავდა. ამა თუ იმ პოლიტიკოსის დამოკიდებულებას კონკრეტული საკითხის მიმართ, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის სტრუქტურა, რომელშიც მას უწევს მოღვაწეობა. ადვილად შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის თანამდებობით მიხვდე როგორ წარმართავს იგი მსჯელობას ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. *სამთავრობო მოლაპარაკების მოდელი* ყურადღებით სწავლობს სააგენტოთშორისო მოლაპარაკებებს, რომლებიც ერთი და იგივე მთავრობის სხვადსხვა სააგენტოებს შორის

არსებული ინტერესების კონფლიქტის შედეგია. მაგალითად, მას შემდეგ რაც 1979 წელს ირანმა ამერიკელი მძევლები აიყვანა, სამხედრო და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიციალური პირები პრეზიდენტ კარტერს სამხედრო ჩარევით მძევლების გადარჩენას ურჩევდნენ. მათგან განსხვავებით, სახელმწიფო დეპარტამენტი ამ იდეის სასტიკი წინააღმდეგი იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარე დებატების შემდეგ, პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება სამაშველო ოპერაციის ჩატარების შესახებ (რომელმაც სასტიკი კრახი განიცადა). უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღეს, სახელმწიფო მდივანი შეხვედაზე არ მიიწვიეს.

მართალია ბიუროკრატიული სააგენტოების წარმომადგენლები ჩვეულებრივ საკუთარი ბიუროკრატიული ორგანოს ინტერესებს იცავენ, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც სააგენტოს მეთაურები სახელმწიფო ლიდერისადმი ერთგულების გამოხატვის მიზნით, გვერდს უვლიან საკუთარი სააგენტოს ინტერესებს. ძნელია ყოველთვის სწორად გათვალო ბიუროკრატიული საგენტოების ლიდერთა პრიორიტეტები, რადგან ასეთ შემთხვევაში აუცილებელია თავად სააგენტოს მიზნების გათვალისწინებაც. მაგალითად კუბის კრიზისის დროს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები არ იყვნენ დარწმუნებული, რომ სამხედრო ჩარევა საკითხს გადაწყვეტდა, მაშინ როცა ზოგიერთი დიპლომატი უპირატესობას დაუყონებლივ სამხედრო ჩარევას ანიჭებდა.

იგივე სახის დაძაბული ურთიერთობები არსებობს ერთი და იმავე სააგენტოს სხვადასხვა განყოფილებებს შორის. ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა სამხედრო სამსახურებს (არმია, ფლოტი, საჰაერო ძალები) განსხვავებული შეხედულებები აქვთ მიუხედავად იმისა, რომ საგარეო სამინისტროს წინააღმდეგ გვერდიგვერდ და შეთანხმებულად ილაშქრებენ. ბიუროკრატები გარკვეულწილად დამოკიდებულნი ხდებიან იმ განყოფილებებსა თუ პროექტებზე, რომლებშიც ისინი მუშაობენ. თუ პროექტი იარაღის ახალი სისტემის შემუშავების შესახებ აკრძალეს, მაშინ ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელი მოცემული სისტემის შექმნაზე, უმუშევრად დარჩენის საშიშროების წინ აღმოჩნდებიან.

ძალიან ბევრი ღარიბი სახელმწიფო ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას - ეს არის სამხედრო ოფიცრების ინტერე-

სი ჰქონდეთ ძლიერი სამხედრო სტრუქტურა. თუ სამოქალაქო სახელმწიფო ლიდერი შეამცირებს ოფიცრების ხელფასებს ან სამხედრო ძალების რაოდენობას, იგი, სავსებით შესაძლებელია, ინსტიტუციური წინააღმდეგობის ობიექტი გახდეს სამხედრო სტრუქტურის მხრიდან – უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სამხედრო გადატრიალებაც. მგავსი ფაქტორები დაფიქსირდა სამხედრო გადატრიალების მცდელობის დროს ფილიპინებში, ვენესუელასა და პარაგვაიში ადრეულ 1990-იან წლებში[21].

ზოგადად ბიუროკრატიულ სააგენტოებში არსებული უთანხმოება, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს, როგორც უნიტარული ერთეული ცნებას საერთაშორისო სისტემაში. ასეთი უთანხმოებები იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოს არ აქვს მიზნების კარგად ჩამოყალიბებული ნუსხა, ანუ ეროვნული ინტერესები; მისი ქმედებები კი შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული მიზნების მქონე განყოფილებას შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგი იყოს. მსგავსი ვითარება სხვა სახის სააგენტოებშიც აღინიშნება, რადგან სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებსაც თავიანთი მიზნები აქვთ, რომელთა განხორციელების გამო ისინი საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ.

თანამოაზრეთა ჯგუფი აერთიანებს იმ ადამიანებს, რომლებსაც ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგთან მიმართებაში ერთი საერთო ინტერესი ამოძრავებთ და ცდილობენ ამ შედეგზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ. მაგალითად, ფრანგი ფერმერები დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო მოლაპარაკებებში ევროგაერთიანების ფარგლებში (რომელიც სუბსიდირებას უწევს სოფლის მეურნეობას), ისევე როგორც მსოფლიო სავაჭრო მოლაპარაკებებში (რომელიც სოფლისმეურნეობაში ტარიფებს განსაზღვრავს). ფერმერები თავიანთ სასიკეთოდ მიმართავენ პოლიტიკურ ზეწოლას საფრანგეთის მთავრობაზე, რისთვისაც დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულ და პოლიტიკურად კომპლექსურ ასოციაციებსა და ორგანიზაციებს იყენებენ. ინისი ლობირებას უწევენ მათთვის სასურველ კანონმდებლობას და თავინთი წვლილი შეაქვთ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო კამპანიებში. ფრანგი ფერმერების ქმედებები განსაკუთრებით კატეგორიული ხდება, როდესაც მათ ინტერესებს საფრთხე ემუქრებათ (ამის ნათელი მაგალითია

1992 წელს შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის წარმართული სავაჭრო დისკუსიები): უკმაყოფილო ფრანგი ფერმერები ქუჩებში გამოვიდნენ, გზები გადაკეტეს, სერიოზული დემონსტრაციები მოაწყვეს და დაიმუქრნენ, რომ თუ მთავრობა მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, ისინი ქვეყნის ეკონომიკას ჩიხში მოამწყვევდნენ. ანალოგიურად (თუმცა ნაკლებად კატეგორიული ფორმით), თანამოაზრეთა ჯგუფები ყალიბდებიან და თავიანთ ინტერესებს იცავენ ისეთ სფეოებშიც, როგორიცაა ბიზნესი, პროფესიონალური კავშირები, ეკლესიები, ვეტერანთა და ხანშიშესულ მოქალაქეთა გაერთიანებები, ერთი პროფესიის ადამიანთა ჯგუფები და იმ მოქალაქეთა გაერთიანებები, რომლებიც ეკოლოგიური საკითხებით არიან დაინტერესებული.

ლობირება განიმარტება როგორც მოლაპარაკების პროცესი, რომლის დროსაც გარკვეული ჯგუფი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს კანონმდებელ თუ ოფიციალურ პირებზე და შედეგად მისთვის სასურველი გადაწყვეტილება მიაღებინოს. გამოიყოფა სამი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც წარმატებულ ლობირებას უზრუნველყოფს: საქმიან ოფიციალურ პირებთან შეხვედრა, საფუძვლიანი არგუმენტაციის მოყვანა და თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში საპასუხო სამსახურის გაწევა. ეს უკანასკნელი მოიცავს კანონიერ თუ არაკანონიერ ქმედებებს, როგორიცაა ფულადი დახმარების გაწევა საარჩევნო კამპანიის წარმათვისთვის, ფეშენებელურ რესტორნებში სადილად მიწვევა, გოლფის კურორტებზე დასვენება, უკანონო სექსუალური კავშირები და ქრთამის მიცემა. ბევრ სახელმწიფოში სამთავრობო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველაზე უფრო მტკივნეულ პრობლემას კორუფცია წარმოადგენს. თანამოაზრეთა ჯგუფებს ძალუძთ არაკანონიერი გზებით წააქეზონ სამთავრობო პირები კონკრეტული ქმედებების ჩადენისაკენ.

უცხო სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები ხშირად აყალიბებენ თანამოაზრეთა გაერთიანებებს, რომლებსაც საკუთარი ერის ბედი აღელვებთ. ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ძლიერ ემოციონალურ კავშირს გრძნობენ თავიანთი ნათესავების მიმართ, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ; ჩვეულებრივ, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აღელვებს ეთნიკური ჯგუ-

ფების პრობლემები. ამიტომ ეთნიკური ჯგუფები თავად ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ კონკრეტული ქვეყნის მიმართ არსებულ პოლიტიკაზე. ასეთი ეთნიკური ჯგუფები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ იმ საგარეო პოლიტიკაზე, რომელსაც ღარიბ რეგიონებში ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში ატარებენ. შედეგი განსაკუთრებით აშკარაა შეერთებულ შტატებში, რომელიც ეთნიკურად მრავალფეროვანია და ვითარდება დემოკრატიულ და პლურალისტურ გარემოში. მაგალითად, კუბელი ამერიკელები გაერთიანდნენ, რათა საერთო ძალებით მოეხდინათ ზეგავლენა შეერთებული შტატების პოლიტიკაზე კუბის მიმართ. ანალოგიურად მოიქცნენ ბერძენი ამერიკელები საბერძნეთის, ებრაელი ამერიკელები ისრაელისა და აფრიკელი ამერიკელები აფრიკის დასახმარებლად. 1996 წლის შეერთებული შთატების სენატის არჩევნებში, რომელიც სამხრეთ დაკოტაში ტარდებოდა, ერთმა კანდიდატმა სერიოზული ფულადი დახმარება მიიღო პაკისტანელთა სათვისტომოდან ამერიკაში, მაშინ როდესაც მეორე კანდიდატს დახმარება ინდოელ ამერიკელთა საზოგადოებამ გაუწია.

იმის მიუხედავად თუ რამდენი ეთნიკური ამომრჩეველი ყავს უცხო ქვეყანას სხვა ქვეყანაში, მას მაინც შეუძლია ლობირება აწარმოოს სხვა ქვეყნის მთავრობაში. სწორედ ასე მოქმედებენ ნებისმიერი სხვა თანამოაზრეთა ჯგუფები. ისრაელს და ტაივანს ძლიერი ლობი ჰყავთ შეერთებული შტატების კონგრესში. ბევრმა სხვა სახელმწიფომაც დაიქირავა შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ურთიერთობების ფირმები, რათა ამ უკანასკნელებმა მათი ინტერესები დაიცვან ვაშინგტონში.

სავსებით გასაგებია, რომ თანამოაზრეთა ჯგუფებს გააჩნიათ მიზნები და ინტერესები, რომლებიც ზოგჯერ ემთხვევა, ზოგჯერ კი ეწინააღმდეგება საერთო ეროვნულ ინტერესებს (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ინტერესი არსებობს). ბიუროკრატიული სააგენტოების მსგავსად, სახელმწიფოს, როგორც უნიტარული ერთეულის ცნება, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. *ჯენერალ მოტორსის* დირექტორმა ერთხელ განაცხადა, რომ "ის რაც კარგია ჯენერალ მოტორსისთვის, კარგია ქვეყნისთვისაც და პირიქით". ეს, რა თქმა უნდა, უდავო ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს. თანამოაზრეთა ჯგუფის პოლიტიკის დამცველებს მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა თა-

ნამოაზრეთა ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებებით ვითადრებიან, მაგრამ მათ მიერ საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის აირეკლავენ ზოგადად საზოგადოების ინტერესებს.

საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მარქსისტული თეორიის თანახმად, კაპიტალისტურ ქვეყნებში საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მსხვილი ბიზნესის მდიდარი მეპატრონეები. მაგალითად, ევროპულმა იმპერიალიზმმა ხელი შეუწყო ბანკებისა და მსხვილი ბიზნესის განვითარებას, რომლებმაც, თავის მხრივ, წარმატებას მიაღწიეს, რადგან საზღვარგარეთის კოლონიებიდან მოპოვებულ რესურსებსა და იაფ მუშახელს იყენებდნენ. სწორედ ასეთი შეხედულება აქვს ჩინეთის მთავრობას დასავლეთის ინდუსტრიული სახელმწიფოების მიმართ. ცივი ომის დროს, მარქსისტული თეორიის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთელი მოკავშირეების საგარეო პოლიტიკას იარაღის წარმოებიდან მოგების მიღების სურვილი ამოძრავებდა.

საგარეო პოლიტიკა და საზოგადოებრივი აზრი

საგარეო პოლიტიკის მწარმოებლები არა პოლიტიკურ ვაკუუმში, არამედ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური დებატების კონტექსტში მოქმედებენ. საზოგადოებრივი ზეწოლა უკლებლივ ყველა სახელმწიფოში დიდ ზეგავლენას ახდეს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი ზეწოლა სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა საშუალებებითა და არხებით ხორციელდება. პლურალისტურ დემოკრატიაში დაინტერესებული მხარეები ზეგავლენას ახდენენ საგარეო პოლიტიკაზე *თანამოაზრეთა ჯგუფებისა* და პოლიტიკური პარტიების მეშვეობით. მსგავს ზეგავლენას დიქტატორულ სახელმწიფოებშიც ვხვდებით, მაგრამ ნაკლებად აშკარა ფორმებში. ამრიგად, სახელმწიფოების მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკა ასახავს შიდა კოალიციების ფორმირების პროცესს. შიდა პოლიტიკაზე უდავოდ დიდ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო ფაქტორები.

საზოგაროებრივი აზრი გაცილებით უფრო ძლიერად ზემოქმედებს საგარეო პოლიტიკაზე დემოკრატიულ ქვეყნებში, ვიდრე ავტორიტარულ სახელმწიფოებში. თუმცა, თვით დიქტატორებსაც მართებთ ყურადღება მიაქციონ მოქალაქეების აზრს. არ არსებობს

მთავრობა, რომელსაც ქვეყნის მართვა შიშველი ძალით შეუძლია: იმისთვის რომ მთავრობამ იარსებობს, თითოეული მისი ქმედება კანონიერად გამართლებული უნდა იყოს. მთავრობამ ხალხი უნდა დაარწმუნოს მის მიერ შერჩეული პოლიტიკის სისწორეში, რადგან, საბოლოო ჯამში, სწორედ რიგით მოქალაქეებს – ჯარისკაცებს, მუშებსა და ბიუროკრატებს მოუწევთ ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება.

საზოგადოებრივი მხარდაჭერა სახელმწიფოსთვის იმდენად აუცილებელია, რომ თვით ავტორიტარული მთავრობებიც კი ხშირად მიმართავენ პროპაგანდას და ამ გზით ცდილობენ ხალხი მათ მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკის სისწორეში დაარწმუნონ. საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიღების მიზნით სახელმწიფოები იყენებენ ტელევიზიას, გაზეთებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებს. მაგალითად, როდესაც 1972 წელს ჩინეთმა პრეზიდენტი ნიქსონი მიიპატიჟა, ჩინეთის მთავრობამ დაუყონებლივ დაიწყო პროპაგანდა და შეეცადა ხალხი დაეწმუნებინა, რომ შეერთებული შტატები არც ისე ცუდი ქვეყანაა.

ბევრ სახელმწიფოში, მთავრობები ფლობენ და განაგებენ მას-მედიის დიდ ნაწილს, როგორიცაა ტელევიზია და გაზეთები. ამ გზით, ისინი აკონტროლობენ ინფორმაციის ნაკადს; თუმცა, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მრავალფეროვნება ართულებს ამ ამოცანას.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც მთავრობა ამომრჩევლების წინაშე უნდა წარდგეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრი. ომმა, რომელსაც მხარს არ უჭერს მოსახლეობა, შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის ლიდერის ან პოლიტიური პარტიის შეცვლა. ამის ნათელი მაგალითია ვიეტნამის ომის შედეგად 1968 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონის თანამდებობიდან დათხოვნა. მეორე მხრივ, ომი, რომელმაც ხალხის მხარდაჭერა დაიმსახურა, მთავრობის მანდატის გაგრძელებას უზრუნველყოფს, როგორც ეს მოხდა მარგარეტ ტეტჩერის შემთხვევაში ფოლკლენდის კუნძულების ომის შედეგად 1982 წელს. განსაკუთრებით დიდ ზეგავლენას საზოგადოებრივ აზრზე ახდენენ ტელევიზიით ნაჩვენები კადრები: ამერიკელი ჯარისკაცები გააგზავნეს სომალიში ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად 1992

წლს მას შემდეგ, რაც ტელევიზიით სამოქალაქო ომის შემდგომი შიმშილის აღმბეჭდავი და სხვა საზარელი კადრები უჩვენეს. ხოლო მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ ტელევიზიის საშუალებით იხილა როგორ მიათრევდნენ სომალის ფრაქციის წევრები მოკლული ამერიკელი ჯარისკაცის ცხედარს ქუჩაში (რაც უშუალოდ იმ შებრძოლების შემდეგ მოხდა, რომელსაც თვრამეტი ამერიკელი ჯარისკაცი შეეწირა), საზოგადეობრივი აზრი სომალიში ჰუმანიტარული მისიის შესახებ სწრაფად შეიცვალა. როგორც ბოსნიაში ომის დროს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირებმა კერძო საუბარში განაცხადეს, შეერთებული შტატების პოლიტიკის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია არ მოხვედრილიყო ამერიკული გაზეთების პირველ გვერდებზე (თუმცა, როგორც გაირკვა, ეს მცდელობა ამაო აღმოჩნდა).

საგარეო პოლიტიკის ელიტისაგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია საზოგადოებამდე ჟურნალისტებმა უნდა მიიტანონ. მას-მედიასა და მთავრობას შორის კონფლიქტი არასდროს ცხრება, რადგან ტრადიციულად პრესა თვალყურს ადევნებს მთავრობის ქმედებებს და აკრიტიკებს მას. მას-მედია ცდილობს სააშკაროზე გამოიტანოს ის ინფორმაცია, რომლის დამალვასაც მთავრობა ასე რუდუნებით ცდილობს. მაგალითად, *ირან-კონტრას სკანდალი* და სხვა. საგარეო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებნი სწორედ მას-მედიის საშუალებით მოიპოვებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას საგარეო ურთიერთობების შესახებ.

მეორე მხრივ, მას-მედია მთავრობისაგან იღებს საჭირო ინფორმაციას. საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატიული ორგანოების მოცულობა და რესურსები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პრესის. მთავრობა სარგებლობს ამ უპირატესობით და მანიპულირებს ჟურნალისტებით; იგი ისეთ ინფორმაციას აწვდის ჟურნალისტებს, რომელიც საზოგადოებრივ აზრზე მთავრობის სასიკეთოდ იმოქმედებს. გადაწყვეტილების მიმღებებს შეუძლიათ თავისებური ინტერპრეტაციით გაავრცელონ ინფორმაცია, რომელსაც ისინი მაღალი დონის შეხვედრებზე კრიზისის თუ რაიმე ქმედებების განხილვისას მოიპოვებენ. ზოგჯერ ბიუროკრატიული ორგანოები საიდუმლო ინფორმაციას უმხელენ პრესას იმ მიზნით, რომ საკუთა-

რი შეხედულებები დაიცვან და ბიუროკრატიულ ბრძოლაში პირველობა მოიპოვონ. სამხედრო ძალების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა იმის გამო, რომ ჟურნალისტები დაჟინებით ითხოვდნენ უფლებას სამხედრო ოპერაციების შესახებ მიეღოთ ინფორმაცია. საბოლოო ჯამში, ორივე ზემოხსენებული მხარე მოგებული დარჩა, როდესაც 2003 წელს ერაყში მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად სამხედრო ჟურნალისტები გამოვიდნენ არენაზე.

საგარეო პოლიტიკური კურსის შერჩევა

ზოგჯერ საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია უშუალოდ რეფერენდუმზე, რომელშიც რიგითი მოქალაქეები იღებენ მონაწილეობას (შეერთებულ შტატებს ამ მხრივ ხანგრძლივი ტრადიცია არ გააჩნია, მაშინ როდესაც შვეიცარია და დანია ხშირად მიმართავენ ამ მეთოდს). 1992 წელს დანიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელეთ, *მასტრიხის ხელშეკრულება მჭიდრო პოლიტიკური ერთობისათვის ევროპაში* ფაქტიურად უგულებელყოფილი იქნა და ეს მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საკითხს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ხელისუფლების, ყველა წამყვანი პოლიტიკური პარტიის, მუშათა კავშირებისა და სხვა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან. (მოგვიანებით განმეორებით ჩატარებულმა რეფენედუმმა კი პირიქით – ფაქტიურად დაამტკიცა ხელშეკრულება). რაც შეეხება საფრანგეთს, იქ ხელშეკრულება არავინ მოიწონა.

თვით ყველაზე გამჭვირვალე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი, ხელისუფლება ბრმად არ ენდობა და სერიოზული მსჯელობის გარეშე არ ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს. გადაწყვეტილების მიმღები პირები გარკვეული თავისუფლებით სარგებლობენ არჩევანის გაკეთებისას; თუმცა მათზე ზეგავლენის მოხდენას დაუღალავად ცდილობენ და ზოგჯერ ახერხებენ კიდეც სხვადასხვა ბიუროკრატიული ორგანოები და თანამოაზრეთა ჯგუფები. ამ უკანასკნელთა შეხედულებები ხშირად არ ემთხვევა ან სრულიად ეწინააღმდეგება ფართო მასების მოთხოვნებს. უფრო მეტიც, თავად ფართო მასების შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ ყოველთვის არ არის ერთსულოვანი. კარგად ორგანიზებული კენჭისყრის დახმარებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მო-

სახლეობის გაკრკვეულ სეგმენტებს (ქვეყნის რეგიონები, სქესი, ერთნაირი შემოსავლის მქონე ჯგუფები, რასა და ა.შ.) განსხვავებული შეხედულებები აქვთ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული რომელიმე კონკრეტული საკითხის ირგვლივ. შესაბამისად, უფრო რეალურია, რომ პოლიტიკური კანდიდატი ხმათა უმრავლესობას მიიღებს ამომრჩეველთა ერთ კონკრეტულ ჯგუფში და არა უკლებლივ ყველა საარჩევნო უბანში. საზოგადოებრივი აზრი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ერთი და იმავე საკითხის ირგვლივ შეიძლება შეიცვალოს დროის განმავლობაში. სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ პროპაგანდას (დიქტატორული ხელისუფლების შემთხვევაში) ან ცდილობენ მას-მედიის მანიპულირებას (დემოკრატიული სახელმწიფოების შემთხვევაში), რათა საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ თავისდა სასიკეთოდ შემოაბრუნონ.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, საზოგადოებრივი აზრი, როგორც წესი, უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს საშინაო პოლიტიკაზე, ვიდრე საგარეოზე. ტრადიციულად, ეროვნული ლიდერები უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, როდესაც საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საკითხების შესახებ იღებენ გადაწყვეტილებებს. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პირველი - სახელმწიფოებს სჭირდებათ ერთი საერთო გზით იარონ, რათა საერთაშორისო სისტემაში სრულფასოვნად იმოქმედონ და მეორე – საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოები არ ამჟღავნებენ სახელმწიფო საიდუმლოებებს და ხშირად მიმართავენ დიპლომატიას, რაც არ წარმოადგენს აუცილებლობას საშინაო პოლიტიკის წარმოების დროს. იაპონიის შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულ სამხედრო დანახარჯებს, ხელს უშლის სამხედრო ძალების განლაგებას იაპონიის საზღვრებს მიღმა და გმობს ბირთვული იარაღის განვითარებას (რისი გაკეთებაც იაპონიას ტექნიკურად შუეძლია). შეერთებული შტატები მმართველი პარტიისაგან დაჟინებით მოითხოვენ, რომ ამ უკანასკნელმა უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა თავდაცვის საკითხებში და შეერთებულ შტატებთან ერთად პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებულ ქმედებებზე. ამ მოთხოვნის შესაბამისად, მმართველმა პარტიამ თანდათანობით გაზარდა იაპონიის სამხედრო დანახარჯები

და ნება დართო იაპონიის სამხედრო ძალებს გასულიყვნენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ (1980-იან წლებში იაპონიის სამხედრო ძალები პატრულირებდნენ აზიაში ზღვის იმ სანაპიროებზე, რომლებიც იაპონიის საგაჭრო ურთიერთობებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო; 1990-იან წლებში კი იაპონიის სამხედრო ძალებს უფლება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში). მმართველი პარტიის მსგავს გადაწყვეტილებებს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა ქვეყანაში დამკვიდრებული საზოგადოებრივი აზრი. იაპონელ ხალხს კარგად ახსოვს რა საზარელი შედეგები მოჰყვა 1920-იანი წლების მილიტარიზმსა და მეორე მსოფლიო ომს, რომელიც 1945 წელს ბირთვული აფეთქებით დასრულდა. ისინი ეჭვის თვალით უყურებენ სამხედრო ძალების ზრდას და მათ როლს ქვეყნის პოლიტიკაში. ყოველი რიგითი იაპონელი აღშფოთებულია, იმ ფაქტით, რომ სახელმწიფოს ბირთვული იარაღი ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრი ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილებები საგარეო პოლიტიკის სფეროში, რაც ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს მნიშვნელოვნად ანელებს.

ყურადღებიანი საზოგადოება დემოკარატიულ სახელმწიფოში მოსახლეობის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც საერთაშორისო არენაზე მიმდინარე ერთი კონკრეტული მოვლენის ან საკითხის ყველა დეტალი აინტერესებს. მათგან განსხვავებით, საზოგადოების მეორე ჯგუფი ზოგადად საერთაშორისო მდგომარეობითაა დაინტერესებული და უკლებლივ ყველა მოვლენის შესახებ ფლობს ინფორმაციას. საგარეო ურთიერთობებით დაინტერესებული *ყურადღებიანი საზოგადოების* ყველაზე უფრო აქტიური წევრების ჯგუფს *საგარეო პოლიტიკის ელიტას* უწოდებენ. ამ ჯგუფში გაერთიანებულია დიდი ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ ზემოქმედება მოახდინონ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. *საგარეო პოლიტიკის ელიტაში* გაწევრიანებული არიან როგორც სამთავრობო პირები ისე ნებისმიერი გავლენიანი ბიზნესმენი, ჟურნალისტი, ლობისტი თუ პოლიტიკის მეცნიერებათა პროფესორი. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ელიტის აზრი ზოგჯერ (თუმცა არა ყოველთვის) მნიშვნელოვანწილად განსხვავდება არა მხო-

ლოდ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის არამედ თავად მთავრობაში გავრცელებული შეხედულებებისაგან[28].

ზოგჯერ ხელისუფლება განზრახ იღებს ამა თუ იმ კონკრეტულ გადაწყვეტილებას საგარეო პოლიტიკის სფეროში, რათა თავისი ქმედებით საზოგადოების მხარდაჭერასა და წარმოებული საშინაო პოლიტიკის ლეგიტიმურობას მიაღწიოს. მაგალითად, სახელმწიფოს შიგნით არსებული დაძალბული ვითარების დროს ზოგიერთი ხელისუფლება ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ ომს იწყებს ან სამხედრო ჩარევას აწარმოებს. ამ გზით, ხელისუფლება ცდილობს ქვეყანაში არსებული სირთულეებით გაღიზიანებული მოსახლეობის ყურადღება საერთაშორისო პრობლემებზე გადაიტანოს და საზოგადოებრივი მხარდაჭერა ე.წ. *დროშის ქვეშ გაერთიანების სინდრომის* დახმარებით მოიპოვოს (მოსახლეობა დროშის ქვეშ მაშინ ერთიანდება, როდესაც სახელმწიფო ომს აწარმოებს სხვა ქვეყანასთან და ომში გამარჯვების მოპოვებით დაინტერესებული მოსახლეობა თავის ხელისუფლებას უჭერს მხარს). მოქალაქეები, რომლებიც გამუდმებით აკრიტიკებდნენ მთავრობას საგანმანათლებლო თუ ჯანდაცვის სისტემების გაუმართაობის გამო, ომიანობის დროს თავს იკავებენ კრიტიკისაგან, რადგან იციან, რომ მათი ქვეყანა და ჯარისკაცები განსაცდელის წინაშე დგანან. ხელისუფლების მიერ გამოყენებულ ამ მეთოდს საგარეო პოლიტიკაში ხშირად *ყურადღების გადატანის პოლიტიკად* მოიხსენებენ. საუბედუროდ ლიდერები არასდროს აღიარებენ, რომ ხალხის ყურადღების გადატანას ცდილობენ. სწორედ ამიტომ, ფაქტიურად შეუძლებელია გამოიცნო სახელმწიფო მართლა გასაჭირშია, თუ უბრალოდ ხალხის ყურადღების გადატანის მიზნით სხვადასხვა მანევრებს იყენებს.

თუმცა, თუ ომი ხანგრძლივი ან წარუმატებელი აღმოჩნდა, სრულიად შესაძლებელია, რომ საზოგადოებამ დაგმოს სახელმწიფოს ქმედებები და ხელისუფლების შეცვლის მიზნით მასიური გამოსვლებიც კი წამოიწყოს. 1982 წელს არგენტინის მილიტარისტულმა ხელისუფლებამ ქვეყანა ფოლკლენდის კუნძულების გამო ბრიტანეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრია. თავიდან არგენტინელები ერთი დროშის ქვეშ გაერთიანდნენ, თუმცა ომში წარუმატებლობის შემდეგ ისინი მილიტარისტულ ხელისუფლებას აუჯანყდნენ და მის ნაცვლად სამოქალაქო მთავრობა აირჩიეს, რომელმაც დაუყო-

ნებლივ გაასამართლა მილიტარისტული ხელისუფლების ყოფილი ლიდერები.

საგარეო პოლიტიკა და საკანონმდებლო ორგანოები

თანამოაზრეთა ჯგუფებსა და საზოგადოებას ამა თუ იმ საკითხზე ზეგავლენის მოხდენა საკანონმდებლო ორგანოების მეშვეობით შეუძლიათ. ზოგიერთ დემოკატიულ ქვეყანას, როგორიცაა შეერთებული შტატები, გააჩნია საპრეზიდენტო სისტემა, რომლის თანახმად არა მხოლოდ პრეზიდენტს (რომელიც ხშირად მოიხსენება როგორც *აღმასრულებელი*), არამედ საკანონმდებლო ორგანოსაც ირჩევენ. ასეთ სისტემაში, საკამომდებლო ორგანოები უშუალოდ მონაწილეობენ საგარეო პოლიტიკის შექმნაში, რადგან ისინი ამუშავებენ ბიუჯეტს, აყალიბებენ ბიუროკრატიულ წესებს, ქმნიან სავაჭრო კანონებს და საემიგრაციო პოლიტიკასაც კი აკონტროლებენ. აღმასრულებელი პირის მოვალეობაა მაღალი დონის შეხვედრებსა თუ მოლაპარაკებებში მიიღოს მონაწილეობა; სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანომ კი ასეთი შეხვედრებისა თუ მოლაპარაკებების შედეგად ხელმოწერილი დოკუმენტები უნდა დაამტკიცოს.

ფაქტიურად არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საკანონმდებლო ორგანოს უდიდესი ზეგავლენა აქვს ზოგადად საგარეო პოლიტიკაზე. რაც შეეხება სამხედრო ძალების გამოყენებას, აქ განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით. საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მოსახლეობის მსგავსად, საკანონმდებლო ორგანოებიც ერთი დროშის ქვეშ ერთიანდებიან, როდესაც ქვეყანა საერთაშორისო კრიზისის წინაშე დგას. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრს განხორციელებული ტერორისტული აქტიდან სამი დღის შემდეგ, შეერთებული შტატების კონგრესმა კენჭისყრის საფუძველზე შეუზღუდავი უფლება მისცა პრეზიდენტ ბუშს ავღანეთთან ომის წარმოების შესახებ. 2002 წლის ოქტომბერში, კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ერაყში სამხედრო ძალების გამოყენების უფლებას იძლეოდა. ამრიგად, საკანონმდებლო ორგანოები ფაქტიურად ყოველთვის მხარს უჭერენ აღმასრულებელს, როდესაც იგი მნიშვნელოვანი სამხედრო საკითხების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას.

საზოგადოების მეორე ნაწილი განსხვავებული აზრისაა. ისინი თვლიან, რომ საკანონმდებლო ორგანოები არ ეთანხმებიან აღ-

მასრულებელ პირს, როდესაც საქმე სამხედრო ძალების გამოყენებას ეხება. მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია თავიდანვე აღმოფხვრას ომის წარმოების შესაძლებლობა, რადგან სწორედ იგი განაგებს ბიუჯეტს და შეუძლია დაამტკიცოს ან უარყოს მოთხოვნები ახალი დანახარჯების შესახებ. შეერთებულ შტატებში ვიეტნამის ომის დასასრულს მიღებული იქნა კანონი სამხედრო უფლებამოსილებათა შესახებ, რომლის თანახმად პრეზიდენტმა უნდა შეატრყობინოს კონგრესს შეერთებული შტატების ჯარების საბრძოლო განლაგების დროის შესახებ. შეტყობინების შემდეგ პრეზიდენტს აქვს სამოცი დღე (ვადის გაგრძელება დასაშვებია კიდევ ოცდაათი დღით) იმისთვის, რომ უკან გმაოიხმოს ჯარები, ვიდრე კონგრესი არ დაამტკიცებს სამხედრო ქმედების მართებულობას. გარდა ამისა, შეერთებული შტატების ისტორიაში არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ პრეზიდენტები უფრო ხშირად მიმართავენ სამხედრო ძალას, როდესაც მათი პოლიტიკური პარტია კონგრესში უმრავლესობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, *რომ პოლიტიკა არ ჩერდება "წყლის ნაპირზე"*.

საპარლამენტო სისტემებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, აღმასრულებელ პირებს (მაგალითად, პრემიერ-მინისტრებს) ირჩევენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც დომინანტური პოზიცია უჭირავთ საკანონმდებლო ორგანოებში. ჩვეულებრივ, პარლამენტის აღმასრულებელი პირები არ წარუდგენენ საკანონმდებლო ორგანოს ხელშეკრულებებს ან მათ მიერ შერჩეული პოლიტიკური კურსის გეგმას ფორმალური დამტკიცებისათვის. რა თქმა უნდა, საპარლამენტო სისტემებში საკანონმდებლო ორგანოებს მაინც დიდი ზეგავლენა აქვთ საგარეო პოლიტიკაზე. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში პარლამენტს არ მოეთხოვება კენჭისყრა ჩაატაროს იმ საერთაშორისო შეთანხმებებზე, რომლებზეც მოლაპარაკებებს პრემიერ-მინისტრი აწარმოებდა. თუმცა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ნებისმიერი ცვლილება ქვეყნის კანონმდებლობაში, რომელიც ზემოხსენებული შეთანხმებების შედეგად წარმოიქმნა. რადგან საერთაშორისო შეთანხმებების უმრავლესობა აუცილებლად გულისხმობს ამა თუ იმ სახის ცვლილებებს, ამიტომ პარლამენტი

ეფექტურად იყენებს თავის უფლებას მოახდინოს საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირება.

ბევრ საპარლამენტო სისტემაში მოქმედებს შემდეგი კანონი: თუ საგარეო (საშინაო) პოლიტიკა საგრძნობლად წინააღმდეგობრივია, მაშინ საკანონმდებლო ორგანოებში უმცირესობაში მოხვედრილ პარტიებს შეუძლიათ ხელახალი არჩევნები მოითხოვონ – იგულისხმება, რომ სახელმწიფომ თავიდან უნდა აირჩიოს პოლიტიკური პარტიები საკანონმდებლო ორგანოში. იმ შემთხვევაში, თუ სხვა პარტია ან პარტიათა კოალიცია მიიღებს ადგილთა უმრავლესობას საკანონმდებლო ორგანოში, მაშინ ახალი აღმასრულებელი პირი დაინიშნება. ამრიგად, საპარლამენტო სისტემაში საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და წარმართვაში.

საგარეო პოლიტიკის პროცესები სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია, რაც განპირობებულია უფრო მეტად მთავრობის ტიპით, ვიდრე ბიუროკრატული აპარატით, თანამოაზრეთა ჯგუფებითა თუ ცალკეული ინდივიდების ზეგავლენით. მთავრობის ტიპებში მოიაზრება სამხედრო დიქტატურა, კომუნისტური პარტიის მმართველობა, ერთპარტიული (არაკომუნისტური) მმართველობა და მრავალპარტიული დემოკრატიის სხვადასხვა ფორმა. როგორც წესი, დემოკრატიულ სახელმწიფოებს საერთო ფასეულობები და ინტერესები გააჩნიათ და, შესაბამისად, ერთმანეთში უფრო კარგ ურთიერთობებს ამყარებენ, ვიდრე არადემოკრატიულ სახელმწიფოებთან[32].

პრაკტიკულად, სახელმწიფოების უმრავლესობა როგორც დემოკრატიულ ისე ავტორიტარულ ელემენტებს მოიცავს. მაგალითად, წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების მიზნით, თვით დემოკრატიული პარტიები ჩრდილოეთ ამერიკასა და იაპონიაში უპირატესობას საზოგადოების მდიდარ და არა ღარიბ ფენებთან თანამშრომლობას ანიჭებენ. ბევრ სახელმწიფოში ხელისუფლება აკონტროლებს ტელევიზიასა და რადიოსადგურებს, რითაც ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკოსებს არჩევნებში გამარჯვების შანსს უმცირებს. 1992 წელს ანგოლაში შედარებით სამართლიანი არჩევნები ჩატარდა, მაგრამ არჩევნებში დამარცხებულმა მხარემ ბათილად ცნო არჩევნების შედეგები და სამხედრო მოქმედებებს

მიმართა. ბურმაში ხელისუფლებამ ჩაატარა არჩევნები, დამარცხდა, შემდეგ უბრალოდ უარი განაცხადა გადადგომაზე და შეკრების საშუალება არ მისცა ახლადარჩეულ პარლამენტს. ალჟირში სამხედრო ხელისუფლებამ შეწყვიტა არჩევნები, როდესაც დაინახა, რომ ისლამური პარტიები იგებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თამამად შეგვიძლია გამოვყოთ დემოკრატიისათვის აუცილებელი ელემემტები (თავისუფალი არჩევნები, თავისუფალი პრესა, სიტყვის თავისუფლება), მაინც რთულია დემოკრატიის სრულყოფილი განმარტება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედი საგარეო პოლიტიკა ავტოკრატულ სახელმწიფოში მოქმედი საგარეო პოლიტიკისაგან განსხვავდება ქვეყნის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესით, თანამოაზრეთა ჯგუფების ზეგავლენით, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობისა და საკანონმდებლო ორგანოების ეფექტურობით. მართალია, საზოგადოებრივი აზრი, თანამოაზრეთა ჯგუფები და საკანონმდებლო ორგანოები დამახასიათებელია ფაქტიურად ყველა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მათი ზეგავლენა ყველაზე უფრო თვალსაჩინო დემოკრატიულ ქვეყნებშია.

დემოკრატიულ სახელმწიფოებს ერთმანეთის წინააღმდეგ ომი არ ახასიათებთ და ჩვეულებრივ ისინი ავტოკრატულ სახელმწიფოებს ებრძვიან. არც ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა არ ეწინააღმდეგება იმ განზოგადებულ თეორიას, რომელიც *დემოკრატიული მშვიდობის* სახელითაა ცნობილი. ამის მიზეზი გაურკვეველია. დემოკრატიული სახელმწიფოები არც ისე დიდი ხანია არსებობენ, ამიტომ შეიძლება ზემოხსენებული განზოგადებული თეორია უბრალოდ დამთხვევად მივიჩნიოთ; თუმცა ასეთი მსჯელობა ნაკლებად სავარაუდოა. ერთერთი თეორიის თანახმად, დემოკრატიული სახელმწიფოები თავს არიდებენ ერთმანეთში კონფლიქტის გაჩაღებას, რადგან მათი როგორც კაპიტალისტური სახელმწიფოების კეთილდღეობა ერთმანეთს შორის წარმატებულ გაჭრობაზეა დამოკიდებული (სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან ომის წამოწყება ძირს გამოუთხრიდა წარმატებულ სავაჭრო ურთიერთობებს). მეორე თეორიის თანახმად კი, დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეები (რომელთა მხარდაჭერა ომის წარმოებისას აუცილებელია) უბრალოდ არ აღიქვამენ მეორე დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებს მტრებად. ამის საპირისპი-

როდ, სხვა სახელმწიფოების ავტოკრატული ხელისუფლება შეიძ-ლება თავისუფლად აღიქვან მტრად.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მთავრობის დე-მოკრატიული ფორმა მსოფლიოში გავრცელებულ ფორმად იქცა. ამ ფაქტმა შეცვალა საგარეო პოლიტიკის პროცესის ბუნება მთელს მსოფლიოში. ბევრ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნია დემოკრატიული ხელისუფლება (მათ შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ჩინეთია), ხოლო არსებული დემოკრატიული სახელ-მწიფოები არასრულყოფილია – შეერთებულ შტატებში პოლიტი-კური აპათიითა და იაპონიაში კორუფციით დაწყებული და რუსეთ-ში ავტოკრატული ტრადიციებით დამთავრებული. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ბევრი რეგიონი მიისწრაფის დემოკრატიისაკენ.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში სახელმწი-ფოების სწრაფვა დემოკრატიისაკენ კიდევ უფრო გაიზარდა. ახა-ლი დემოკრატიული მთავრობები ჩამოყალიბდა ყოფილი საბჭოთა კავშირის (თუმცა არა ყველა) რესპუბლიკაში. სამხედრო ხელი-სუფლების ადგილი დემოკრატიულად არჩეულმა სამოქალაქო ხე-ლისუფლებამ დაიჭირა ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ისევე, როგორც აფრიკისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. 1994 წელს სამ-ხრეთ აფრიკამ არჩევნების მაჟორიტარული წესი დაამტკიცა. უმ-რავლეს შემთხვევაში (მაგალითად, 1986 წელს ფილიპინებში) ხან-გრძლივ დიქტატურას ბოლო მოუღო არააგრესიულმა სახალხო მოძრაობებმა. სხვა ქვეყნებში (მაგალითად, ნიკარაგუაში) სამოქა-ლაქო ომების შემდეგ ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, რო-მელსაც ესწრებოდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები. 1990-იანი წლების მიწურულს მრავალწლიანი დიქტატურები და სამხედრო მთავრობები მშვიდობიანად შეიცვალა დემოკრატიული მმართვე-ლობით ინდონეზიასა და ნიგერიაში – თავიანთი რეგიონების ორ უდიდეს სახელმწიფოში. 2004 წლის მიწურულსა და 2005 წლის და-საწყისში პროდემოკრატულად განწყობილმა ძალებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს უკრაინაში, პალესტინაში, ავღანეთში, ერაყსა და ყირგიზეთში. მიუხედავად ამისა, დემოკრატიის საწინა-აღმდეგო მოძრაობები მაინც მიმდინარეობდა: სამხედრო ხელი-სუფლებამ ძალაუფლება მოიპოვა პაკისტანსა და სპილოს ძვლის კუნძულზე 1999 წელს; ექსტრა-კონსტიტუციური გზით ძალაუფ-ლების მოპოვებას ადგილი ჰქონდა ტოგოსა და ნეპალში 2005

წელს; უკანასკნელ წლებში რუსეთის ხელისუფლება ზღუდავდა დემოკრატიას, ხოლო ჩინეთის კომუნისტური პარტია ცდილობდა შეენარჩუნებინა რკინის პოლიტიკა.

თემა 5

კონფლიქტები და თანამშრომლობა საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო კონფლიქტი

კონფლიქტი ეს არის მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია ადამიანური ურთიერთობების ყველა დონისათვის, პიროვნებებს შორის ურთიერთობებიდან დაწყებული საერთაშორისო ურთიერთობებით დამთავრებული.

კონფლიქტი არის: ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიზნების შეუთავსებლობა ან შეუთანხმებლობა. ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „conflictus" რაც ნიშნავს „შეჯახებას" და აღნიშნავს როგორც პროცესს, ასევე მდგომარეობას".

კონფლიქტი გულისხმობს ორი ან მეტი ადამიანის ბრძოლას რაიმე ფასეულობების ან ძალაუფლებისათვის, ან დეფიციტური რესურსების გამო შეჯიბრს.

განასხვავებენ პიროვნებათშორის, ჯგუფთაშორის და საერთაშორისო კონფლიქტებს. კონფლიქტები შეიძლება მიმდინარეობდეს იარაღის გამოყენებით, ან მის გარეშე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის საკითხი, რომელსაც კონფლიქტოლოგია სწავლობს.

კონფლიქტოლოგია საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ–ერთი ქვედარგია, რომელიც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ძალადობრივი კონფლიქტების მიმდინარეობისა და მათი მოგვარების პრობლემებს შეისწავლის.

კონფლიქტოლოგია თეორიებსა და კვლევის მეთოდებს რამდენიმე განსხვავებული სამეცნიერო დისციპლინისაგან სესხულობს. საერთაშორისო ურთიერთობების მეორე ქვედარგის, სტრატეგიული კვლევებისაგან განსხვავებით, კონფლიქტოლოგია საერთაშორისო ურთიერთობების პლურალისტურ პარადიგმას ეყ-

რდნობა და სახელმწიფოს კონფლიქტის უმთავრეს მოქმედ პირად არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტოლოგიის კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა-შორისი კონფლიქტები და ომები. კონფლიქტების მიზეზების ანალიზისა და გადაწყვეტის გზების ძიებისას კონფლიქტოლოგია მხარეებისაგან მოითხოვს: 1) თავიანთი მიზნების იმგვარად განსაზღვრას, რომ მათი მიღწევა კონფლიქტის გარეშე გახდეს შესაძლებელი; ან 2) თავიანთი ურთიერთობების ისე შეცვლას, რომ მიზნები ერთმანეთს აღარ ეწინააღმდეგებოდეს. არა მარტო კონფლიქტების კვლევისას, არამედ მათი გადაწყვეტისასაც კ. სამეცნიერო და აკადემიური წრეების აქტიურ ჩარევას მოითხოვს. ამ მიზნისთვის იგი აქტიურად იყენებს სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევებს.

მარტივი გაგებით საერთაშორისო კონფლიქტი ეს არის ინტერესების უშუალო და არაპირდაპირი შეჯახება ორ ან რამდენიმე მხარეს შორის.

ფართო გაგებით **საერთაშორისო კონფლიქტი ესაა საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების უკიდურესი ფორმა, რასაც ზოგჯერ შეიარაღებული შეტაკება მოჰყვება**.

საერთაშორისო კონფლიქტის წინაპირობაა პოლიტიკური კრიზისი მხარეებს შორის, რაც უკიდურესად ძაბავს სიტუაციას და ერთმანეთს უპირისპირებს როგორც პოლიტიკურ ელიტებს, ისე მასებსაც. თუმცა ყველა კრიზისი კონფლიქტში არ გადაიზრდება.

საერთაშორისო ურთიერთობების წარმოდგენა კონფლიქტების გარეშე უტოპია იქნებოდა, მაგრამ მათი შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა საერთაშორისო ურთიერერთობების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

კონფლიქტების რეგულირების ტრადიციული ფორმებია შეკავება და ძალთა წონასწორობა. **საერთაშორისო კონფლიქტ**ების ძირითადი სახეებია ტერიტორიული, რესურსული, ეთნიკური, ეკოლოგიური, იდეოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც უმთავრეს შემთხვევებში პოლიტიკური კონფლიქტის სახით ვლინდება, თუმცა არც თუ იშვითია მათი გამოვლენა ეკონომიკური და კულტურული კონფლიქტების ფორმითაც.

საერთაშორისო კონფლიქტი შეიძლება მოხდეს ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებით. ნიშანდობლივია საომარ მოქმედებათა შეზღუდული მასშტაბი და შედარებითი ხანმოკლეობა.

საერთაშორისო კონფლიქტის მხარეები მოვალენი არიან თავიანთ მოქმედებაში დაიცვან საერთაშორისო სამართლის ნორმების მოთხოვნა - ომის კანონები და ჩვეულებები. დამატებითი ოქმით დაცულია კულტურული ფასეულობები, აკრძალულია თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობის სასიცოცხლო ობიექტებზე (სახნავ მიწებზე, სასმელი წყლისა და ირიგაციულ სისტემებზე და სხვ.), აგრეთვე ისეთ ნაგებობებზე (წყალსაცავები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ.), რომელთა ნგრევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებული დაცვის ობიექტები არიან ქალები და ბავშვები, დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებანი. განსაზღვრულია აგრესიის ან სხვა სახელმწიფოს მიერ ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

საერთაშორისო კონფლიქტი გამომდინარეობს მათ შორის ობიექტური ან არაობიექტური ხასიათის წინააღმდეგობების არსებობიდან. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში თავისი წარმოშობის მიხედვით ეს წინააღმდეგობა და დაპირისპირება შეიძლება იყოს ტერიტორიული, ნაციონალური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული, სამეცნიერო-ტექნიკური და ა.შ. მთლიანობაში კი სახელმწიფოთა შორის არსებული ნებისმიერი სახის კონფლიქტი ღებულობს პოლიტიკურ ფორმას, ვინაიდან ამ წინააღმდეგობების შეგნება-გააზრება და გადაწყვეტა სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების და განხორციელების საშულებით ხდება.

საერთაშორიო კონფლიქტების წარმოქმნა და განვითარება დაკავშირებულია არა მხოლოდ სუბიექტურ წინააღმდეგობებთან, რომელებიც წარმოიქმნება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, არამედ ისეთ რეალურ ფაქტობთანაც როგორიც თვით სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაა.

კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობების ბევრად უფრო არსებით სახეს წარმოადეგნს. იგი განიხილება როგორც პროცესი, რომელიც წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთობებების უწყვეტ პროცესს.

საერთაშორისო თანამშრომლობა ყოველთვის გულისხმობს კონფლიქტურ სიტუაციებს, და პირიქით, ნებისმიერი კონფლიქტი განაპირობებს მისი მონაწილეებს შორის საქმიანი თანამშრომლობის ამა თუ იმ სახეს.

საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების უმთავრესი პირობები მოიაზრება კონფლიქტების და თანამშროლობის სისტემური მიდგომის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს მისი სტაბილურობის ხარისხს. ამიტომ საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის კრიტერიუმები დაკავშირებულია მის განზომილებებთან, რომელზე დამოკიდებულებითაც სისტემა ან ინარჩუნებს თავის თავს, ან განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როცა ხდება გადსვლა სხვა ტიპის სისტემაზე, ან საბოლოდ იშლება იგი. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში კონფლიქტებს ახასიათებს როგორც არასტაბილურობა, ისე სტაბილურობა.

სისტემის სტაბილურობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ღირებეულების თავსებადობა, რომელებიც ახდენს საკუთრივ სისტემის შემადგენელ ელემენტებად დაყოფას (საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეები) და არ იძლევა მუდმივი უნდობლობის საფუძველს მათ შორის; ასევე, სისტემის მონაწილეებს შორის არსებული კონსესუსი შედარებით მართავს არსებულ წინააღმდეგობებს, ხოლო მათ შორის ურთიერთობა ხასითდება ზომიერებით. ხოლო არსატაბილური სისტემის ჩარჩოებში ხდება პირიქით, არსებობს ფასეულეობათა შეუთავსებლობა, გაუთავებელი დავა და ზომიერების ურყოფა, შესაბამისად, არსებობს თანამშრომლობის სუსტი ხარისხიც.

ამრიგად, დღეისათვის არსებული დებულება იმის შესახებ, რომ კონფლიქტების და თანამშრომოლობის განსხვავება და წინააღმდეგობები არ შეიძლება აბსოლუტიზირებულ იქნას, არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთში გაიგიავებულია. თითეულ ამ საერთაშორისო პროცესის ძირითად მახასიათებლებს აქვს მისი საკუთარი განვითარების დინამიკა.

საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის ძირითადი მიმართულები

არსებობს საერთაშორისო კონფლიქტების შეწავლის სამი ძირითადი მიმართულება:

1. „სტრატეგიული კვლევის;

2. „მშვიდობის კვლევის";

3. „კონფლიქტების კვლევის".

მთავარი, რაც ამ სამ მიმართულებას აერთიანებს, ეს არის მოცემული სოციალური ფენომენის გააზრების მცდელობა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირების და მის ძირითად მონაწილეებს შორის არსებულ სხვადასხვა ურთიერთობების ფარგლებში და ამის საფუძველზე დასკვნების გაკეთება. მათ პრქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ამ მიმართულებებში არის განსხავებული ნიშნებიც. იგი ეხება მათ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, კველვის პრობლემატიკის შინაარს, რომელთა ხასითი დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკასთან და ა.შ. რა თქმა უნდა არის არსებითი განსხვავებებიც ამ მიმართულებებში. იგი დაკავშირებულია საერთაშორისო კონფლიქტების განმარტების, მათი ტიპოლოგიის და სახეების საკითხებთან და აშ.

სტრატეგიული კვლევის პოზიციდან საერთაშორისო კონფლიქტების ანალიზის დამახასითებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში თუ როგორ შეიძლება იგი **გამოვიყენეოთ პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, ვინაიდან** იგი დაკვაშირებულია ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან. ამავე დროს ქმნის სასურველ პირობებს არსებულ კონფლიქტში შესაძლო გამარჯვების მოპოვებისათვის. ცხადია, რომ კვლევის ეს მიმართულება საზრდოობს პოლიტიკური რეალიზმის ხედვებით, რომელიც ხაზს უსვამს ძალის უპირატესობას სახელმწიფოს მხრიდან მიზნის მისაღწევად.

ამ მიმართულების ცენტრალური ამოცანაა განსაზღვროს თუ როგორი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ქცევა ბევრად უფრო ადექვატურ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომ მოახდინოს უნარიანი გავლენა მოწინააღმდეგეზე, გააკონტროლოს ის და დაიყოლიოს თავის ნებაზე.

სტრატეგიული კვლევის ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემა არის ომის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედე-

გები ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის, რეგიონისა და, საერთოდ, მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. თუკი ადრე ომი განიხილებოდა როგორც ,,ნორმალური" საშულება საკუთარი მიზნის მიღწევისათვის, ახლა ბირთვული იარაღის დამანგრეველი ძალის პირობებში უკვე პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა. ერთის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მისი ფლობა მას აძლევს ახალ შესაძლებლობას გაატაროს საგარეო პოლიტიკა, და ნებისმიერ პოტენციურ აგრესორთან მიმართებაში უზრუნველყოს მისი ეროვნული უსაფრთხოების ამოცანის გადაწყვეტა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ძალა, რომელიც გააჩნია ბირთვულ იარაღს მისი გამოყენების შემთხვევაში, შედეგებიდან გამომდინრე, აბსურდულ შინაარს იძენს.

აქედან გამომდინრე, მთავარი აქცენტი კეთდება არა სამხედრო, არამედ ბირთვული შეიარაღების პოლიტიკურ ასპექტებზე. არა შეიარაღებული კონფლიქტის სტრატეგიაზე, არამედ მოწინაღმდეგის დაშინების სტრატეგიაზე. ყველაფერი ეს კი, იძლევა საშულებას მოხდეს შედარებითი სტაბილურობის შენარჩუნება გლობალურ საერთაშორისო სისტემაში.

თანამედროვე ეტაპზე სტრატეგიული კვლევის მიმართულებაში კორექტირება შეაქვს იმ რეალობას, რომელიც დღეს არსებობს მსოფლიო პოლიტიკაში. წინა პლანზე გამოდის ის ამოცანები, რომელიც მოითხოვს ადექვატურ რეაგირებას იმ ახალ გამოწვევებზე, როგორიცაა ახალი ტიპის კონფლიქტები, **აგრესიული ნაციონალიზმი, სეპარატიზმი, საერთაშორისო ორაგანიზებული დანაშაულობები და** ა.შ. უფრო მეტიც, ამ პრობლემების სირთულე ნაკლებ სავარაუდოს ხდის, რომ ისინი გადაწყდეს სტრატეგიული კვლევის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მეტ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტების შესწავლის სხვა კერძოდ, **კონფლიქტების კვლევის მიმართულება.**

ამ მიმართულების ცენტრალური საკითხებია სწორედ იმ პრობლემების შეწავლა, რომელიც არ შედის სტრატეგიული კვლევის მიმართულებაში. იგი უპირველს ყოვლისა **დაკავშირებულია საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის და მისი მრავლგვარობის გარკვევასთან,** ვინაიდან თითეულ მათგანის შეს-

წავლაშიც კი არსებობს გარკვეულ პოზიციათა მრავალფეროვნება.

მაგალითად, საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის შესახებ არსებობს ორი პოზიცია. პირველის მიხედვით, საერთაშორისო კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი დაკავშირებულია **საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ხასიათთან.** მეორე პოზიციის მიხედვით კი, საერთაშორისო კონფლიქტის წარმოქმნა განიხილება იმ კონტექსტში, რომელსაც ქმნის **საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის შიდა საშუალებები**.

პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორის პრაქტიკა იცნობს საერთაშორისო კონფლიქტების სხვადასხვა ტიპს და სახეს. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო კონფლიქტების კლასიფიკაციის საქმეში აზრთა სხვადასხვაობაა. ყველა მკვლევარის მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო კონფლიქტების ტიპოლოგია არ არსებობს. ბევრ შემთხვევაში საერთაშორისო კონფლიქტების კლასიფიკაციაში ვხდებით მათ ასიმეტრულ და სიმეტრიულ დაყოფას. სიმეტრიულს მიეკუთვნება ისეთი კონფლიქტები, რომლებიც ხასიათდება კონფლიქტური მხარეების თანაბარი ძალის ჩაბმით. ხოლო ასიმეტრიულ კონფლიქტები ხასიათდება კონფლიქტური მხარეების მკვეთრად განსხვავებული პოტენციალით. ძირითადად გამოყოფენ კონფლიქტების ***სამ ჯგუფს***:

პირველი ჯგუფი მოიცავს:

კლასიკური სახელმწიფოთაშორის კონფლიქტები; სახელმწიფოთაშორის კონფლიქტები რომლებიც დაკავშირებულია ინტეგრაციულ პროცესებთან; ეროვნულ-განმათავისუფლებილი ომები და ა.შ.

მეორე ჯგუფი მოიცავს:

ტერიტორიულ და არა ტერიტორიულ კონფლიქტებს, ამ უკანასკნელს შეიძლება ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური ან იდეოლოგიური მოტივი.

მესამე ჯგუფში მოიაზრებენ

მასშტაბებთან დამიკიდებულ კონფლიქტებს, რომელიც შეიძლება მსოფლიო კონფლიქტად გადაიზარდოს, ვინაიდან მასში შეიძლება ჩართული იქნეს სახელმწიფოთა დიდი რაოდენობა. ასე-

ვე რეგიონალური, სუბრეგიონალური და შეზღუდული (სახელმწიფოთა რაოდენეობის მიხედით) კონფლიქტები.

ასეთი მიდგომები არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის მესამე მიმართრულებაზე _ **„მშვიდობის კვლევაზე”** .

ამ მიმართულების ჩარჩოებში კვლევის ძირითადი ამოცანა არსებითად არის **მოძებნოს ბევრად უფრო ეფექტური საშუალებები საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებისათვის**.

კონფლიქტის მოგვარება არის ზოგადი ცნება რაც აღნიშნავს კონფლიქტების მშვიდობიანი, არაძალისმიერი მეთოდებით, დარეგულირების სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას. ეს მეთოდები ეწინააღმდეგება ფაქტიურად ყველა ძალისმიერ მეთოდს საერთაშორისო კონფლიქტებთან მიმართებაში. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მეთოდებს დღეისათვის ხშირად მიმართავენ და აღნიშნული მეთოდი უფრო დახვეწილ ფორმებს იძენს.

საყოვეთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების მოგვარების ყველაზე უფრო ეფექტური ფორმა და საშუალება არის მოლაპარაკებები. თუმცა, გარკვეული ნაწილი თვილს, რომ კონფლიქტების მოგვარების ერთ ერთი საშუალება, ასევ არის ძალის მეთოდის გამოყენება მშვიდობის დამყარებისათვის.

ცივი ომისა და გლობალური კონფრონტაციის დასრულების შემდეგ, მოლაპარაკებებმა ახალი ტენდენციები შეიძინა. უნდა აღინიშნოს, რომ იალტა_პოდსტამის სისტემის საერთაშორისო ურთიერთობებში, როცა არსებობდა ბიპოლარული მსოფლიო ორი სამხედრო-პოლიტიკური სიტემით, და, როცა ამ ორ პოლიტიკურ და სამხედრო ბლოკებს შორის დამყარდა ძალთა ბალანსი, რაც ბირთვულ პოტენციალს დაეფუძნა, ფაქტობრივად მოლაპარაკებები იყი ერთადერთი საშულება კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგებისათვის.

რა დატვირთვა შეიძინა მოლაპრაკებებმა ცივი ომის დასრულების შემდეგ?

1. საერთაშორისო მოლაპრაკებები გახდა სახელმწიფოთა ურთიერთობების ძირითადი ფორმა. სახელმწიფოები აქტიურად

თანამშრომლობენ სამომავლოდ ძალის ფაქტორის შემცირებისათვის;

2. იზრდება მოლაპარაკებების მოცულობა და რაოდენობა. მისი ობიექტი ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ახლი მიმართულებები (ეკოლოგია, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშროლობა და ა.შ.)

3. იზრდება მოლაპარაკებების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი;

4. მოლაპარაკებაში ერთვებიან სპეციალისტები, რომელთაც არ აქვთ დიპლომატიური მოღვაწეობის გამოცდილება, მაგრამ აქვთ ის განსაზღვრული კომპეტენცია იმ პრობლემურ საკითხზე, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა ახალი სფეროს ანალიზისათვის.

5. ქმნის პირობებს მოლაპარაკებების მართვის პროცესის ძირფესვიანი გადახედვის აუცილებელობისათვის: ე.ი. უნდა მოხდეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების გამოყოფა უმაღლესი სახელმწიფო მეთაურების დონეზე განხილვისათვის; სხვადასხვა სამუშაო დონეზე კომპეტენციების სფეროს გამიჯვნა; პასუხისმგებლობის დელეგირების სისტემის შემუშავება; დიპლომატიური სამსახურების მაკოორდინებელი როლის გაზრდა და ა.შ.

დღეისათვის მოლაპრაკებები რჩება მუდმივ, გრძელვადიან და უნივერსალურ ინსტრუმენტად საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი თავისთავად მოითხოვს მხარების მხრიდან მოლაპარაკების სტრატეგიის შემუშავებას. ასეთი სტრატეგია მოითხოვს:

ა. მოქმედი პირების განსაზღვრას;

ბ. მათ დახასიათებას კლასიფიკაციის მისაღებ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში;

გ. ფასეულობათა იერარქიის გამოვლენას იმ წესრიგში, რომელსაც მხარეები მას წარმოადგენენ;

დ. მიზანებს (რომელიც სურთ რომ მიაღწიონ) შორის ურთიერთობის და საშუალებების (რომელითაც განალგებენ განსაზღვრულ მხარეებს იმ მიმართულებით, სადაც მას საშულება ექნება იმოქმედოს) ანალიზს.

მოლაპარაკების პროცესი ეს არის გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების საშულება, სადაც მაქსიმალურად არის

გათვალისწინებული მხარეების ინტერესები, რაც რეალურად იძლევა მათი აღსრულების საშუალებას. მოლაპარაკება არ არის მიზანი, იგი არის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტი მისი მიღწევისათვის.

ამრიგად, კონფლიქტის მოგვარება ეს არის პროცესი, რომელიც მოწოდებულია, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითი ემოციური ენერგიის გასაფანტად, რომელიც მხარეებს არ აძლევს დიალოგის საშუალებას, და, მეორე მხრივ, მისცეს კონფლიქტის მონაწილეებს მოაგვარონ განხეთქილება და გადალახონ მათ შორის არსებული წინააღმდეგობები, რათა გადავიდნენ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების ძიებაზე, რომელიც აღმოფხვრის კონფლიქტის მიზეზებს. უკანასკნელ წლებში, ამ სფეროს სპეციალისტებმა დაიწყეს ახალი ტერმინის გამოყენება - „კონფლიქტის ტრანსფორმაცია", როგორც კონფლიქტის მოგვარების გრძელვადიანი და ღრმა სტრუქტურული, ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტები. ამრიგად, კონფლიქტის ტრანსფორმაცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ცვლილების ყველაზე ღრმა დონე კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.

კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მესამე მხარეს – რომელიც **მედიატორის როლს** ასრულებს კონფლიქტურ მხარეებს შორის.

თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტების უმრავლესობაში ჩართულია ერთი ან მეტი მედიატორი მხარე. ეს უკანასკნელნი ერთობლივად მუშაობენ კონფლიქტის არაძალისმიერი გზით მოგვარებისათვის. არ არსებობს დადგენილი წესი თუ როგორ უნდა დავადგინოთ, როგორი სახის მესამე მხარეებმა უნდა შეასრულონ მედიატორის როლი სხვადასხვა სახის კონფლიქტებში.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში უმნიშვნელოვანესი მედიატორის როლში წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ან კიდევ ევროკავშირი. ზოგიერთ რეგიონალურ კონფლიქტში მედიატორის ფუნქციებს რეგიონალური ორგანიზაციები, ზოგჯერ კი, კერძო პირებიც ასრულებენ. მაგალითად, კოსტა რიკის ყოფილი პრეზიდენტ ოსკარ არიასი 1987 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ცენტრა-

ლური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულებისათვის, რითაც მიღწეული იქნა მრავალმხრივი ხელშეკრულების მომზადება და დადება. აღნიშნული ხელშეკრულების შედეგად წერტილი დაესვა რეგიონში არსებულ სისხლისმღვრელ კონფლიქტებს.

მედიატორის მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარების საქმეში სხვადასხვაგვარად შეიძლება განისაზღვროს. ზოგჯერ მედიატორობა მკაცრად განსაზღვრული ტექნიკური ხასიათისაა – მედიატორს შეუძლია ითამაშოს აქტიური, მაგრამ მკაცრად ნეიტრალური როლი ორ მხარეს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბების საქმეში (როდესაც თითქმის არ არსებობს ურთიერთობა ორ კონფლიქტურ მხარეებს შორის). მაგალითად, პაკისტანი საიდუმლოდ ასრულებდა ინფორმატორის როლს ჩინეთსა და ამერიკას შორის. საბოლოოდ, 1971 წელს ამ ორ ქვეყანას შორის დამყარდა ურთიერთობები. ასეთი ქმედება წარმოადგენს კეთილ სამსახურს, რაც დადებითად მოქმედებს ორ მხარეს შორის მოლაპარაკების პროცესზე.

მხარეებს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად, მედიატორი თითოეული მხარის მოსაზრებების შესახებ სრულ ინფორმციას იღებს და ამ ინფორმაციის პრეზენტაციას ახდენს მეორე მხარისათვის მისაღები ფორმით. მედიატორი ცდილობს შეცვალოს მხარეების შეხედულებები კონფლიქტურ საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარი როლის შესრულებისას მედიატორი "თარჯიმნის" ან "მკურნალის" ფუნქციას ასრულებს და ეხმარება მხარეებს ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესის თანმხლები ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში.

პროცესს, რომელიც მიუთითებს, რომ ორივე მხარეს შორის მიღწეულია შეთანხმება, რაც ითვალისწინებს მედიატორის მიერ შეთავაზებული გადაწყვეტილების შესრულებას, ეწოდება ***არბიტრაჟი.*** ამ შემთხვევაში ორივე მხარე წარუდგენს თავის არგუმენტს მოსამართლეს და "სამართლიანი გადაწყვეტილების" მიღება ამ უკანასკნელის კომპეტენციაა. მაგალითად, როდესაც მოლაპარაკებების პროცესში სერბი და ბოსნიელი მხარეები ვერ შეთანხმდნენ თუ ვის უნდა გადასცემოდა ქალაქი ბრკო, მათ 1995 წლის დეიტონის ხელშეკრულების გვერდის ავლით ეს საკითხი განსახილველად წაუდგინეს არბიტრაჟს. არბიტრაჟის შემადგენლობა

ჩვეულებრივ წარმოდგენილია სამი ადამიანისაგან – თითო წარმომადგენელი მოწინააღმდეგე მხარეთაგან და ერთი კანდიდატურა რომელიც ორივე მხარისათვის მისაღებია. 2002 წელს, ხანგრძლივი ომის შემდეგ, ზემოაღნიშნული სტრუქტურის მიხედვით შემდგარმა საბჭომ (გაერო წარმოდგენილი იყო როგორც მესამე წევრი) დააწესა საზღვარი ეთიოპიასა და ერითრეას შორის.

რატომ უნდა გადაჭრას სახელმწიფომ კონფლიქტი უომრად თუ ამ კონფლიქტის გადაჭრა ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი? სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ არაძალადობრივი გზით გადაჭრილი კონფლიქტი მისთვის უფრო მისაღებია. სახელმწიფოს ლიდერების ასეთ გადაწყვეტილებამდე მისაყვანად დიდი ძალისხმევაა საჭირო. კერძოდ, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც გაითვალისწინებს ორივე მხარის უკვე არსებულ ინტერესებს, ან უნდა ჩამოყალიბდეს სრულიად ახალი ინტერესები, რაც ორივე მხარისათვის მისაღები იქნება.

მთელ რიგ შემთხვევებში მხარეებისათვის უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარება უფრო მისაღებია, მაგრამ ურთიერთნდობისა და კომუნიკაციის არარსებობის გამო ვერ მიდიან კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის გადაწყვეტილებამდე. ნეიტრალური შუამდგომლობით შესაძლოა ორივე მხარის საერთო ინტერესების დადგენა. მაგალითად, ეგვიპტესა და ისრაელის საერთო მიზანი 1970-იან წლებში მშვიდობის დამყარება იყო, მაგრამ იმავდროულად მათ შორის ურთიერთნდობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ამერიკის შეერთებული შტატების პროეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მიიწვია ორი სახელმწიფოს ლიდერი კერძო მყუდრო რეზიდენციაში - კემპ დეივიდში, და ამით მოლაპარაკებების პროცესი სრულიად არაფორმალურ გარემოში წარიმართა.

იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს ლიდერების ინტერესების თანხვედა ვერც ერთი განზომილებით ვერ ხერხდება, ორმხრივი ინტერესების დადგენა ორივე მხარის მოქალაქეების ძალისხმევით ხდება შესაძლებელი. ამ მიზნით კერძო პირებისა და ჯგუფების მიერ დაგეგმილი მოგზაურობებსა და დისკუსიებს **სახალხო დიპლომატიას** უწოდებენ. სახალხო დიპლომატია დიდი როლს თამაშობს როდესაც ორ კონფქიქტურ მხარეს შორის ურთეირთობები ჩიხშია შესული. არის შემთხვევები, როდესაც კერძო მოგზაურობა ისტო-

რიულ მნიშვნელობას იძენს, მაგალითად როდესაც აშშ-ს ძიუდოისტები 1998 წელს ირანში ჩავიდნენ.

კონფლიქტური მხარეები (და მედიატორები) აგრეთვე მუშაობენ რათა ისე შეცვალონ მოლაპარაკებების პირობები, რომ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მოხდეს ერთი ან ორივე მხარის ინტერესების თანხვედრა (სრული ან ნაწილობრივი). ხშირ შემთხვევაში, მედიატორის მეშვეობით მიღწეული შეთანხმების შედეგად ორივე მხარე მოგებული რჩება. ამგვარ სიტუაციაში ხდება სახელმწიფოების მიერ სხვადასხვა პრიორიტეტების მქონე ორი საკამათო საკითხის მოგვარება. შედეგად თითოეული მხარე წარმატებას აღწევს მისთვის მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში, და ნაკლებ ყურადღებას აქცევს სხვა, მისთვის არაპრიორიეტულ, საკითხის მოგვარებაზე

ამრიგად, კონფლიქტების კვლევა ერთ-ერთი რთული მიმართულებაა პოლიტიკურ მეცნიერებაში. საბოლოო სიტყვა ამ მიმართულებნით ჯერ კიდევ არ თქმულა. კაცობრიობა კონფლიქტების მრავალ სახეობა იცნობს და მის ახალ ახალ გამოვლინებებსაც აწყდება თანამედროვე ეტაპზე. იცნობს გაჭიანურებულ, მოუგვარებელ და უკვე გადაწყვეტილ პრობლემებსაც. მაგ. ერთი საშულება, რომელიც ერთი კონფლიქტის მოგვარებაში გვეხმარება, შეიძლება მეორე კონფლიქტის მოგვარებაში არ გამოდგეს.

ცივი ომის დასრულებამ, სოცილისტური ბანაკის დარღვევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ, წინა პლანზე წამოსწია კონფლიქტების ის სახეები, (მართალია ისინი თავისი არსით არ არის რადილკალური და დღეს აქარწყლებს კონფლიქტების მასობრივი მასშტაბის ფენომენს), რომლებიც მეტყველებს თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის გარდამავალ ხასიათზე. საერთაშორისო არენაზე არატრადიციული აქტორების (აქტორები სუვერენიტეტის გარეშე) გავლენის დემონსტრირება აშკარად მეტყველებს მათ კონკურენციაზე ტრადიციულ აქტორებთან მიმართებით.

როგორც აღვნიშნეთ, უნიტარული სახელმწიფოების დეზინტეგრაციამ, ბიპოლარული მსოფლიოს დაშლამ, რომელიც დაფუძნებული იყო ძალადობაზე გამოუწვია ახალი სახის კონფლიქტები, რომლებიც ხშირ შემთხვევასი არ თავსდება ჩვეულებრივ ტიპლოგიაში და იგი შეიძლება იყოს: ***გამოყნებული საშულებების შინა-***

არსით _ (პოლიტიკური ზეგავლენა, ეკონომიკური ბლოკადა, შეიარაღებული შეტაკება); ***გამოყენებული ძალადობის ხარისხზე*** (ომი მცირე ინტენსივობით და ა.შ.); ***გეოსტრატეგიული*** (გლობალური, ლოკალური, და რეგიონალური კონფლიქტები); ***მოტივირებული*** (ტერიტორიული და არა ტერიტორიული კონფლიქტები); ***სტრუქტურული*** (იდეოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტკიური და ა.შ.) და სხვა ცნობილი კრიტერიუმებით.

ამავდროულად წარმოებს არასახელმწიფოებრივი ტიპის კონფლიქტების ბანალიზაცია. მათი ახალი სახეები არ შეიძლება მოწესრიგდეს კლასიკური საერთაშორისო სტრატეგიის არსენალში არსებული მექნიზმებით (სამხედრო ზეწოლა, ,,ძალთა ბალანსი", ,,შიშის წონასწორობა" და ა.შ.).

კონფლიქტებში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთის სამხრეთსა და ჩრდილოეთში, კამბოჯაში, ავღანეთში, იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკებს შორის, პოსტსაბჭოთა რესპუბლკებში, ერაყში, რა თქმა უნდა შეიძლება ვიპოვოთ მათში მსგავსი თვისებები. მაგრამ თითეული ეს კონფლიქტი თავისთავში შეიცავს მრავლ წინააღმდეგობას და კრიზის. თითეული მათგანი უნიკალურია თვისი ხასიათითაც. სამწუხაროდ, მოლაპარაკებებმა, კონსულტაციებმა, შეხვერდებმა შეთანხმებამ და ა.შ. დარეგულირების სხვა მექანიზმებმა ამ კონფლიქტების მოგვარებაში დაბალი ეფექტურობა აჩვენს.

საერთაშორისო ორგანიზაციები, კანონები, და ნორმები ქმნიან სტაბილურ კონტექსტს მოლაპარაკებებისათვის და საერთაშორისო სტრუქტურის განვითარებასა და მასშტაბების გაზრდასთან ერთად იზრდება კონფლიქტების არასამხედრო გზით მოგვარების ეფექტურობაც.

სამხედრო ძალა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. სამხედრო ძალის გამოყენება არის აქტორზე ზეგავლენის მოხდენის ძვირადღირებული გზა დიპლომატიასთან, კონფლიქტის დიალოგის გზით მოგვარებასთან, სამშვიდობო ოპერაციებთან შედარებით.

კონფლიქტში მონაწილე მხარეების ურთირთსაწინააღმდეგო შეხედულებების გამო რთულია კონფლიქტის მოგვარება მესამე

მხარის გარეშე. ეს მესამე მხარე მოიზარება როგორც განმსჯელი ან ყველა კონფლიქტური მხარის ინტერესებიდან გამომდინარე შეხების წერტილის განმსაზღვრელი. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობას საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში.

ქცევის ნორმებს მსგავსი დატვირთვა ენიჭებათ როგორც საერთაშორისო ეკონომიკის, აგრეთვე, საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვინაიდან ფართომასშტაბიანი ეკონომიკური შეთანხმებების დაუბროკოლებელი განხორციელების გარანტი სწორედ აღნიშნული ორი სფეროს სტაბილურობაა.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტები კვლავ რჩება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებშიც და თუ ბევრ წილად დღეს არსებული კონფლიქტები არ ღებულობს გაცილებით ფართო მასშტაბებს, ეს სწორედ საერთაშორისო საზოგადოების დიდი ძალისხმების შედეგია, რასაც ხელს უწყობს დღეს არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკაც.

საერთაშორიო თანამშრომლობის არსი

ცნება საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს თანამშროლობის ისეთ პროცესს, რომელშიც გამორიხცულია შეიარაღებული ძალის გამოყენება და დომინირება, სადაც ხდება ერთობლივ ძიება იმ საშულებების, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს საერთო ინტერესების რეალიზაცა. რა თქმა უნდა, თანამშრომოლბა არ გამორიცხავს კონფლიქტებს, თუმცა, თავიდან გვაცილებს მძიმე კრიზუსულ ფორმებს.

თანამშრომლობის ტრადიციული ურთიერთობები მოიცავს ორმხვრივ და მრავალმხვრივ დიპლომატიას, რომელიც ფორმდება სხვადასხვა კავშირების და შეთანხმების სახით. იგი ითვალისწინებს პოლიტიკური ხაზის კორდინირებულ მოქმედებას. მაგ. კონფლიქტების ერთობლივად დარეგულირების, საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებითა და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის.

სახელმწიფოთა და საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა აქტორებს შორის თანამშრომლობის განვითარებამ ცხოვრებაში გამოიწვია გლობალური და რეგიონალური მნიშვნელობის სახელმწიფოთაშორის და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მთელი სისტემა. მსოფლიოში გლობალური პრობლიმების წარმოქმნის და დამძიმების კვალდაკვალ მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი იზრდება. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ ვაჭრობასთან, საბაჟო საქმესთან, სასაზღვრო მოწესრიგებებთან ან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებთან, არამედ იმ საკითხებთან, რომლებიც მოითხოვს ადექვატურ მოქმედებებს ეკოლოგიურ გამოწვევებზე, კოსმოსის ათვისებაზე, რესურსების მიზნიბრივ გამოყენებაზე, კომუნიკაციური ქსელის განვითარებაზე, შეიარაღებაზე კონტროლს და ა.შ. რაოდენ მნიშვნელოვანი და დიდიც არ უნდა იყოს თითოეული ამ სფეროს მნიშვნელობა, მაინც განსაკუთრებული ყურადრება ექცევა პოლიტიკურ ინტეგრაციას. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ინტეგრაციასთან.

პოლიტკურ ურთიერთობებში საერთაშორისო ინტეგრაცია თავისთავად წარმოადგენს თანამშრომლობის უმაღლეს ფორმას. იგი ქმნის ერთიან პოლიტიკურ საზოგადოებას ორი ან რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის კავშირის საფუძველზე.

ინტეგრაცია, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ერთდროულად არის პროცესი და მდგომარეობა, რომელსაც აქვს ტენდენცია-შეცვალოს დამოუკიდებელი ერთეულებისაგან შემდგარი საერთაშორისო ურთიერთობების დაქუცმაცებულობა, ახალი ბევრად უფრო ფართო გაერთიანებებით. ამ დროს ხდება ცალკეული პოლიტიკური სუბიექტების მიერ განსაზღვრული მიმართულების გარკვეული რწმუნების გადაცემა საბაზო ერთეულების კომპეტენციაში.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, განასხვავებენ გაერთიანების პროცესის მასშტაბებს. იგი შეიძლება იყოს:

გლობალური,

რეგიონალური,

სუბრეგიონალური ინტეგრაციის დონეები.

ასევე, არსებობს ინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპები და ფაზები – ეს შეიძლება იყოს ურთიერთობები პლურალური საერთა-

შორისო სისტემის ჩარჩოებში, ან მოხდეს ერთიანი პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

პოლიტიკური ინტეგრაციის პირობების ძირითადი არსი, მისი მთავარი ტენდენცია მიმართულია იქეთკენ, რომ იგი გამოვიდეს საგარეო პოლიტიკის უბრალო კორდინაციის ჩარჩოებიდან და თანდათან გადასცეს სუვერენიტეტი ახალ კომუნიტატურ სტრუქტურას.ინტეგრაციამ, როგორც სამართლებრივმა პროცესმა, რომელიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთქმედებას ქვეყნების ჯგუფებს შორის, ბუნებრივია, შეიძლება სხვადასხვა ფორმები მიიღოს. **ეკონომიკური** ინტეგრაცია ხშირად გულისხმობს საბაჟო კავშირებს, შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ანდა თავისუფალ ბაზარს, რის შედეგადაც იქმნება ეკონომიკური მოღვაწეობის ლიბერალიზაციისათვის აუცილებელი პირობები და მიიღება რეგულირებისათვის საერთო წესები სხვადასხვა ეროვნული კანონების სანაცვლოდ. **პოლიტიკური**ინტეგრაცია შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ინსტიტუციონალური მექანიზმების ფორმირებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს, არამედ ასევე თანმთხვევი ფასეულობებისა და მიზნების ჩამოყალიბებას, უთანხმოებათა მშვიდობიან გადაწყვეტასა და სოციალურ-პოლიტიკურ მჭიდრო დაკავშირებას.

საერთაშორისო თანამშრომლობის შესწავლა

დღეისათვის ინტეგრაციული პროცესების სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ძირითად ეყრდნობა იმ რეალურ პოლიტიკურ ინტეგრაციული პროცესების შეწავლას, რომელიც ბოლო ასწლეულია მიმდინარეობს მსოფლიოში.

მათგან აღსანიშნავია სამი ძირითადი თეორიული მიმართულება, ანუ სამი სამეცნიერო სკოლა ინტეგრაციული პროცესების შესწავალსთან დაკავშირებითთ:

1. ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი;

2. ფედერალაზმი;

3. ტრანსნაციონალიზმი (პლურალისტური).

ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი

ამ მიმართულების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ინგლისელ მკვლევართან დ. მიტერანთან. მან 1943 წელს გამოაქვეყნა სტატია ,,მშვიდობა და საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციური

განვითარება”, სადაც მოგვცა ყველა წინასწარ არსებული პოლიტიკური ინტეგრაციის მოდელის შეფასებები. მისი აზრით, ერთა ლიგამ ვერ შეძლო ფუნქციონირება უპირველს ყოვლისა იმიტომ, რომ მასში სახელმწიფოებმა დაინახეს საკუთრი სუვერენიტეტისათვის საფრთხე.

აზრი არ აქვს ომის შემდეგ, მშვიდობის მხარდაჭერისათვის იმ ამბიციური პროექტების შექმნას, რომელსაც ექნება ზენაციონალური ძალაუფლება და მოწოდებული იქნება უზრუნველყოს სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტეგრაცია, ვინაიდან ომი ბუნებრივი მოვლენაა, თვლიან რეალისტები.

თუმცა ლიბერალები/პლურალისტები მიიჩნევენ, რომ გლობალურ საერთაშორისო ორგანიზაციას ძალუძს არამარტო დაძლიოს სუვერენიტეტის ცუდი შედეგები, არამედ, ასევ შეუძლია, უბრალოდ შექმნას გარანტიც სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობებისათვის. აუცილებელია სახელმწიფოთა თანამშრომლობა იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ერთობლივი ინტერესების სფეროს და დაკავშირებულია თითოეული მთგანის კონკრეტულ ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ა.შ. მოთხოვნებთან.

მსგავსი თანამშრომლობისათვის პრაგმატული სიტუაცია სახალმწიფოებს თანდათან უბიძგებს საერთაშორისო ორგანოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ შექმნის პირობებს პოლიტიკური კორპორაციისათვის. ე.ი. **ფუნქციონალიზმი გვთავაზობს ფუნქციური თანამშრომლობიდან კორპორაციულ ურთიერთობებზე გადასვლას,** რაც დაგვირგვინდება საერთო მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბებით.

ფუნქციონალიზმი არა მარტო გვთავაზობს სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის გაფართოებას, რომელიც შეიძლება წმინდა ტექნიკური ხასიათს ატარებდეს, არამედ იგი მასში ხედავს პოლიტიკური მიზნის მიღწევის გზას – სახელმწიფოთა ინტეგრაციის ბევრად უფრო ფართო ურთიერთობებს მათ მიერ სუვერენიტეტის თანდათანობით დათმობის გზით.

ახალი ეკონომიკური, სოციალური და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის ფუნქციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოებს განიხილავს როგორც ძალზედ მწირ საშულებას. მათი აზ-

რით მსგავსი პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სახელ-მწიფოთაშორის თანამშრომლობის სფუძველზე. ამიტომ სახელ-მწიფოთაშორის თანამშრომლობა უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ,,ვერტიკალურ" ტერიტორიულ კარჩაკეტილობასთან ერთად უნდა შეიქმნას მოქმედი ,,ჰორიზონტალური" სტრუქტურა, რომ-ლის ადმინისტრაცია მოწოდებული იქნება საერთაშორისო თანამ-შრომლობის კორდინირებისათვის კონკრეტულ სფეროში. ეს კი სა-შულებას მისცემს საელმწიფოებს თავიდან აიცილონ ეკონომიკუ-რი და სოცილური კონფლიქტები, რაც საბოლოდ შექმნის იმ წინა-პირობებს რომ სახელმწიფოებმა თანდათან Dდა უმტკივნეულოდ დათმონ სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ამრიგად, ევოლუციური გზით სახელმწიფოთშორის თანამ-შრომლობა იქნება უფრი მჭიდრო, ხოლო ურთიერთდამოკიდებუ-ლება მაღალი.

საერთაშორისო გარემო განიცდის გლობალურ ცვლილე-ბებს, რომლის წყლობითაც ჯარისკაცების და დიპლომატების ად-გილს იკავებს ადმინისტრატორები და ტექნიკური მუშაკები, კან-ცელარიებს შორის ურთიერთობები კი იცვლება ტექნიკურ ადმი-ნისტრაციებს შორის პირდაპირი კონტაქტებით, ხოლო სუვერენი-ტეტსი დაცვის სურვილი დაჩრდილა კონკრეტული საკითხების პრაგმატულმა გადაწყვეტამ.

პრაგმატიზმთან ერთად, ინტეგრაციული პროცესების ფუნ-ქციური მიმართულება შეიცავს ნორმების შესამჩნევ ნაწილსაც. მაგ. ნათელია ფუნქციონალიზმის პარაქტიკული გავლენაც გაე-როს შექმნა_განვითრებაზეც. კერძოდ, მის ინსტიტუტებზე, როგო-რიცაა გაეროს სოციალურ-ეკონომიკური საბჭო, რომელმაც მიი-ღო მანდატი მოცემულ სფეროში სახელმწიფოთაშორის მოქმედე-ბის კორდინირებისათვის. გაეროს ქარტიაში სწორედ მის ფუნქცი-ონალურ ვალდებულებეს ეთმობა მნიშვნელოვანი ადგილი. გაეროს გენერალური ასამბლეა ქმნის ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და თანამშროლობის, ინ-დისტრიული განვითარების შესახებ და ა.შ. თუმცა, ისიც აღსანიშ-ნავია, რომ ფუნქციონალიზმის პრაქტიკული მიდგომები საერთა-შორისო ინტეგრაციის პრაქტიკაში ავლენს მის ნაკლსაც:

პირველი, მისი შედეგით საერთაშორისო საზოგადოება უფრო მეტად გახდა დეცენტრალიზებული, რაც განსაზღვრავს მისი ძალის დისპერსიას. ვებერთელა და მრავალრიცხოვანმა ტექნიკურმა ორგანიზაციებმა შექმნა კორდინაციის ახალი პრობლემები. გარდა ამისა, გაჩნდა იმის საშიშროებაც, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელობის დაცემის კვალდაკვალ გაიზარდოს სპეციალიზირებული ორგანიზაციების სუვერენიტეტის ხარისხი.

მეორე, აღმოჩნდა, რომ ფუნქციონალური თანამშრომლობით საერთაშორისო ინტეგრაცია პრაქტიკაში არ მიდის ავტომატურად ,,სუვერენიტეტის კვდომისაკენ". უფრო მეტიც, ევროპულმა პროცესებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა სწორედ მათი პოლიტიკური და სამხედრო კომპეტენციების გადაცემა საერთო სტრუქტურისათვის.

მესამე, პოლიტიკური ხასიათის გამო საკუთრივ ფუნქციონალურ თანამშრომლობას სჭირდება განმტკიცება გარკვეული ღონისძიებებით.

ამ ხარვეზთა არსებობამ განაპირობა ფუნქცინალისტურ მიმართულებაში ***ნეოფუნქციონალიზმის*** (მიდევერები ე. ხასი, ლინბერგი) ჩამოყალიბება, რომელიც შეეცადა აეხსნა აღნიშნული ნაკლოვანებები. ეს მიმართულება ავითარებს იდეას, რომლის თანახმადაც თანამშროლობის მოქმედების მოთხოვნილება ეკონომიკურ, სოცილურ თუ კულტურულ სექტორში იწვევს ჯაჭვურ რეაქციას სხვებთან მიმართებითაც, რასაც თავისთავად მივყავართ სპეციალიზირებული ზეეროვნული ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობამდე, ამ მოქმედებათა კორდინაციის მიზნით, და ამდენად, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისაკენ.

ნეოფუნქციონალისტებიც ადსატურებენ ინტეგრაციის საფუძვლად მის სტრუქტურულ უზრუნველყოფას. ამავე დროს მიუთითებენ, რომ ფუნქციონალური ინტეგრაციის ლოგიკა ატრებს არა მექანიკურ, არამედ ნდობით ხასიათს, და თვით ეს პროცესი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.

ფედერალიზმი

თუკი ,,ფუნქციონალიზმი" საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში მნიშვნელობას ფუნქციურ ურთიერთობებს ანიჭებენ უპირატესობას ვიდრე პოლიტიკურ ინსტიტუტებს (მათ აძელევენ მეორეხა-

რისხოვან მნიშვნელობას და მათ Fთვლიან როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესების პარალელურ ქმედებას,) **ფედერალიზმი** (ა. ეტციონი, ა. სპინელი, კ. ფრიდრიხი, ჯ. ელერი და ა.შ.) პირიქით, **პოლიტიკურ ინსტიტუტებს განიხილავს ინტეგრაციის საფუძვლად**.

ფედერალიზმი — სახელმწიფოს მოწყობის ფორმა, რომლის დროს ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს მინიჭებული აქვთ შესამჩნევი თვითმმართველობა. ფედერალიზმის საწინააღმდეგო ცნებაა უნიტარიზმი. უფრო ფართო გაგებით ფედერალიზმი ნიშნავს რაიმე ერთიანი სისტემის ისეთნაირად ორგანიზებას, რომ ამ სისტემის ცალკეულ ნაწილებს შესამჩნევი თავისუფლება უნარჩუნდებათ.

ფედერალიზმი პოლიტიკური ცნებაა, რომლის ობიექტია თვითონ „გაერთიანება ან კავშირი“. ფედერალიზმი, როგორც სამართლებრივი ცნება, არის „ამ მისწრაფებათა პოზიტიურ-სამართლებრივი შედეგი, როდესაც უკვე ჩამოყალიბებულია ფედერალური კავშირი“.როგორც წესი, ფედერალიზმის დღემდე ჩამოყალიბებულ ცნებათა უმრავლესობა არსებითად იზღუდება დინამიკური და სტატიკური კომპონენტებიდან მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის ანალიზით ან ახდენს რომელიმე მათგანის აბსოლუტიზაციას. ნფედერალიზმის ცნება პირველად საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფო სამართლის სფეროში იქნა გამოყენებული, მაგრამ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ფედერალიზმი განიხილება ადამიანთა მთელი საზოგადოების მომცველი უნივერსალური სოციალურფილოსოფიური სისტემის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ფედერალიზმი განიხილებოდა როგორც ისტორიულ-სოციოლოგიური რეალობა.

ფედერაციული სახელმწიფო შედგება რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვითმართველობით სარგებლობენ. მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოები და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. თავიანთ შემადგენლობაში არსებულ წარმონაქმნებს მოიხსენიებენ როგორც ფედერაციის ობიექტებს. მაგ. შტატები, მიწები, პროვინციები.

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პრობელმად და კონფლიქტის მიზეზად ფედერალისტები მიჩნევენ სუვერენიტეტების დეცენტრალიზაციას - მრავალფეროვანი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოების არსებობას, რომლებიც თავს ვერ აღწევენ ურთიერთუნდობლობას, საფრთხეებს, დაპირისპირებას და ძალადობას.

ფედერალისტები გამოდიან საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიის წინააღმდეგ და გვთავაზობენ ისეთ რევოლუციურ გადაწყვეტას, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სისტემის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრას. კერძოდ: ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ერთად გაერთიანება.

ფედერალისტების აზრით კონფლიქტების ინსტიტუციონალური გადაწყვეტისათვის მხარეებმა ფედერაციას უნდა გადასცენ მონოპოლია ძალების გამოყენებაზე, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე უპირატეს უფლებას, იმისათვის რომ ზენაციონალურმა მთავრობამ შეძლოს ევროპულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ისე რეგულირება, როგორც ეროვნული მთავრობა არეგულირებს საკუთარ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს სახელმწიფოს შიგნით.

ფედერალისტების შეხედულებებით შეიძლება აიხსნას თუ რატომ უნდა დადონე სახელმწიფოებმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მაგრამ შეუძლებელია მარტივად გავიგოთ ის თუ სახელმწიფოებმა რატომ უნდა დაუშვან ნებაყოფლობით საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვა ყველაზე უფრო მგრძნობიარე სფეროში.

ფედერალისტები, ფედერალიზმს განიხილავენ როგორც **ნებაყოფილობით უარის თქმას ცენტრალიზმზე** და **სხვადასხვა ცენტრებს შორის რწმუნებების დისპერსიის სტრუქტურულულად გაფორმებას**, რომელთა კანონიერი უფლებამოსილება გარანტირებულია კონსტუტუციით.

საერთაშორისო ინტეგრაცია, ფედერალიზმის ჩარჩოებში განიხილება სახელმწიფოების ,,შიდა რეჟიმების" ანალოგიურად, რომლებიც მოწყობილნი არიან ფედერალურ პრინციპზე.

ფედერალიზმი, დასაბუთებულად ამტკიცებს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს საერთაშორისო ინტეგრაციისათვის მის

მონაწილეთა პოლიტიკურ ნებას. ასევე **რწმუნებათა განაწილების როლს** სხვადასხვა დონეებს შორის. მათ **ფრაგმენტაციას,** როგორც გარანტს ცენტრის მხრიდან თავისი ხელისუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

სხვათაშორის ევროპის ინტეგრაციის პროცესი ბევრ საერთო ნიშანს ავლენს ,,ფედერალიზმის " მიმართულებასთან. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იგი ევროპული ინტეგრაციის კონცეპტუალურ ბაზას წარმოადგენს. ამ პროცესის დაწყებისათვის თეორიულად შესაძლებელი იყო სამი გზა:

1. ბევრად უფრო ტრადიციული _ სახელმწიფოებს შორის **კავშირების ან ასოციაციების ფარგლებში თანამშრომლობით**;

2. ბევრად უფრო გაბედული – ფედერაცია, რომელიც დაეფუძნებოდა მთელ რიგ მიმართულებებში **ზეეროვნულ პოლიტიკურ ხელისუფლებას**;

3. ბევრად უფორო ორიგინალური _ **ფუნქციონალური ინტეგრაცია**, რომელიც სპეციალიზირებული ინსტიტუტების ჩარჩოებში იძლევა ერთიანი მოქმედების შესაძლებლობას.

პრაქტიკაში პირველი გზა აღმოჩნდა აუცილებელი და სასრგებლო, მაგრამ არასაკმარისი; მეორე _ განუხორცილებელი. ამიტომ ინტეგრაციის პროცესი წავიდა ფუნქციონალური მოდელის გზით, რომელიც საშულებას იძლევა უბრალო თანამშრომლობის ფარგლებში შესვლას და პირობების მომზადებას შესაძლო ფედერაციისათვის.

ამრიგად, საერთაშორისო ინტეგრაციის ფედერალისტური მოდელისა ერთ ერთ მთავრ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მისი მთელი მიმზიდველობის პირობებშიც კი მას აქვს წარმატების ნაკლები შანსი, ვიდრე ფუნქციონალისტურ მოდელს, რამდენადაც მასში უფრო მაღალია **ნორმების ყველა ელემნტის ხვედრითი წილი**.

ამიტომ, ზემოთ განხილულ სხვა კოცეფციების ნაკლთა გათვალისწინებით, საერთაშორისო ინტეგრაციის რეალური პროცესი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ თითეული მთგანის უპირატესობების კომპლექსური გაგების საფუძველზე. არსით, სწორედ საქმე ეხება ,,პლურალისტურ" კონცეფციას, რომელიც ჩამოაყალიბა კ. დოიჩმა.

ტრანსნაციონალიზმი (პლურალისტური)

ტერმინი წარმოიქმნა ზედსართავიდან ტრანსნაციონალური, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ერსმიღმიერს (სახელმწიფოსმიღმიერს) ნიშნავს. საერთაშორისო ურთიერთობებში ტ-ის ცნება გულისხმობს როგორც ურთიერთობებს სხელმწიფოებს (ერებს) შორის, ისე სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებს შორის. უკანასკნელ წლებში **ტრანსნაციონალიზმ**ში უფრო ხშირად იგულისხმება გლობალიზაციის შედეგი, როცა სახელმწიფოებისა და ერების როლი განუხრელად მცირდება როგორც ურთიერთობებში, ისე ორგანიზაციებში. ყველა შემთხვევაში **ტრანსნაციონალიზმი** აღნიშნავს ეროვნულ (სახელმწიფო) საზღვრებს მიღმიერ ურთიერთობებს. ტრანსნაციონალური კავშირი გულისხმობს მოძრაობის სამ სახეს: ა) ფიზიკური ობიექტების (მათ შორის მოსახლეობის) მოძრაობას; ბ) ინფორმაციისა და იდეების მოძრაობას; გ) ფულისა და კრედიტების მოძრაობას. ტრანსნაციონალური კავშირის გააქტიურებამ და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და საგრძნობლად შეასუსტა სახელმწიფოცენტრიზმი.

მათი აზრით სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო აქტორი თმობს თავის მონოპოლიას. სახელმწიფოს გარდა საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობას ღებულობენ ინდივიდები, წარმოებები, ორგანიზაციები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და გაერთიანებები. ასევე, მრავლმხვრივი მონაწილეები, სახეები (კულტურული და სამეცნიერო თანმშრომლობა, ეკონომიკური გაცვლები და სხვა) და ,,არხები" (პარტნიორული კავშირები უნივერსიტეტებს შორის, რელიგიური ორგანიზაციები, ასოციაციები და აშ) ურთიერთობენ ერთმანეთთან, რითაც ფაქტობრივად დევნიან სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრიდან, ხელს უწყობენ ასეთი ურთიერთობების ტრანსფორმაციას ,,ინტერნაციონალურიდან" (სახელმწიფოთაშორის) ,,ტრანსნაციონალურად (სახელმწიფო მონაწილეების გარეშე).

ამ კონცეფციის ჩარჩოებში **ინტეგრაციის პროცესი განიხილება გადამცემი საკომუნიკაციო ქსელების სახით, რომელიც ახდენს ინფორმაციის გაცვლას, და რითაც ხელს უწყობს გან-**

საზღვრული ფუნქციების შესრულებას და გამოცდილების დაგროვებას.

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის **პლურალისტული** ტრადიცია მოიცავს არა მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებს, არამედ სხვადასხვა სახის აქტორებსაც, რომლებიც ჩართულნი არიან პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ ტრადიციის მიხედვით, კარლ დოიჩი ამტკიცებს, რომ კომუნიკაციების და ურთიერთქმედების (ტრანსაქციის) ზრდამ სხვადასხვა აქტორებს შორის შეუძლია გაამყაროს ტრანსნაციონალური პოლიტიკური საზოგადოების კავშირები (ინტეგრაცია) და გამოიწვიოს **„უსაფრთხოების საზოგადოების“** შექმნა, რომლის საფუძველს წარმოადგენს მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთობის სურვილი.კ. დოიჩი ანალიზს უკეთებს პოლიტიკური გაერთიენების ორ ტიპს, რომელთაგნ თითეულს შეესაბამება ინტეგრაციის თავისი განსაკუთრებული პროცესი _ ,,ამალგამიური”) და ,,პლურალისტური”. პირველში, შესაბამის ფორმაში შერწყმით, მოიაზრება ორი ან რამდენიმე თვითმყოფადი პოლიტიკური ერთეულის ბევრად უფრო ფართო გაერთიანება; საერთო მართვის განსაზღვრულ ტიპთან მიმართებით. მეორეში _ კი ინტეგრაციის პროცესში მყოფი ერთეულები ინარჩუნებენ თავიანთ პოლიტიკურ თვითმყოფადობას.

ამგვარ პირობებში ამალგამიური ინტეგრაცია მთლიანობაში საჭიროებს პოლიტიკური და სოციოკულტურული ხასიათის სხვადასხვა პირობების კომპლექს, რომელთა შორის აუცილებელია: ინტეგრაციული მოსახელობის მიმხრობას ერთი და იმავე ფასეულეობებისადმი; ინტეგრაციიდან მოსალოდნელი შედეგის დადასტურება; ერთიმეორეზე საკმარისი ინფორმაციის მიღება და შესაბამის ქცევის გათვლა.

ინტეგრაციულ პროცესს აუცილებლად უნდა ახლდეს მოსახლეობის ლოიალური დამოკიდებულება წარმოქმნილი ახალი პოლიტიკური ინსტიტუდებისადმი, ღრმა გააზრება საკუთრი ერთობის. ასევე პოლიტიკურ არენაზე ხელმძღვანელობის ახალი გენერატორის გამოსვლა. რა თქმა უნდა ჯამში უნდა ჩამოყალიბდეს ცხოვრების ერთიანი სახე, რომელიც დაეფუძნება ,,ამალგამური” ინტეგრაციის სახეს.

ინტეგრაციის ,,პლურალისტური” ტიპის რეალიზაცია არ მოითხოვს ესოდენ ფართო და მკაცრ პირობებს. ინტეგრაციული ერთეულების სოციოკულტურული ფასეულეობების საფუძვლები უბრალოდ არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი; ქცევის განჭვრეტა ეხება მხოლოდ საერთო ინტერესების შეზღუდულ სფეროებს; აგრეთვე, მოითხოვს პოლიტიკური ელიტის ადექვატურ რეაქციას დაინტერესებული მთვრობების და მოსახლეობის სიგნალებსა და მოქმედებებზე. გარდა ამისა, ინტეგრაციის წარმატებას ხელს უწყობს გამაერთიანებლი იდეის აღქმა ინტელექტულური წრეებისა და პოლიტიკური მოძრაობების მიერ, როგორც კომუნიკაციური ქსელის და ყოვლემხვრივი ურთიერთობების მუდმივი განვითარება. პლურალიზმის მომხრეები თვლიან, რომ ,,ევროპული ინტეგრაციის პლურალისტურ ვერსიას ბევრად უფრო საიმედო მომავალი აქვს, ვიდრე ,,ამალგამიურს”.

ამრიგად, მიუხედვად ინტეგრაციული პროცესების შესახებ განსხვავებული თეორიიული შეხედულებების არსებობისა, ეს პროცესი მართლაც დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან და სირთულეებთან, თუმცა თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესები აშკარად მეტყველებს ამ პროცესის შეუქცევად ხასიათზე. როგორ განხორციელდება, რა ფორმით, ინტეგრაციული პროცესები ეს დამოკიდებული იქნება კონკრეტული პოლიტიკური ერთეულების განვითერების დონეზე, მსოფლიოში არსებულ ვითრებასა და ცალკეული პოლიტური ერთეულების პოლიტიკურ ნებაზე. ისიც ცხადია, რომ ეს პრობლემა მოკლე დროში ბოლომდე ვერ გადაიჭრება და მოთხოვს ხანგრძლივ პერიოდს.

თემა VI

გლობალური და რეგიონალური პოლიტიკა

გლობალური პოლიტიკა

XX ს-ის მიწურულს ყველამ გააცნობიერა რომ მსოფლიო, მარშალ მაკლუენის თქმით, მართლაც ერთ დიდ – "გლობალურ სოფლად" იქცა. გლობალიზაციის ფენომენმა მთლიანად შეცვალა პოლიტიკის არსებული გაგებაცა და ჩვენი წარმოდგენებიც პოლიტიკური ურთიერთობების თაობაზე. კლასიკური შეხედულება ყველგან და ყველაფერში სახელმწიფოს დომინირებას გულისხმობდა: ცენტრალური ხელისუფლება მთავარ პოლიტიკურ ფიგურად იყო მიჩნეული, მთავრობის საქმიანობა – შიდა სახელმწიფოებრივ დონეს არ ცილდებოდა. აქედან გამომდინარე, არსებობდა დიდი ზღვარი საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის: ის, რაც ხდებოდა ქვეყნის შიგნით, არ ეხებოდა ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესებს, და პირიქით, საგარეო პოლიტიკის გასაანალიზებლად, სპეციალური დარგიც კი შეიქმნა – "საერთაშორისო ურთიერთობები". გლობალიზაციამ კი არათუ შეამცირა, თითქმის გააქრო კიდეც ეს სხვაობა "საშინაოსა" და "საგარეოს" შორის და შედეგად, როგორც ბევრი ვარაუდობს, მალე სრულიად ახალ – მსოფლიო საზოგადოებას მივიღებთ. მართალია, ჯერჯერობით ეროვნული სახელმწიფოები მაინც ინარჩუნებენ წამყვან როლს მსოფლიო რუკაზე, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ზე-ეროვნული სტრუქტურების მზარდი გავლენაც.

გლობალური პოლიტიკა უკვე ყალიბდება მაშინ როცა რამდენიმე წამყვანი გლობალური მოთამაშე უშუალოდ აკონტროლებს დედამიწის ტერიტორიისა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. სხვა დამოუკიდებელი სუბიექტების რაოდენობა შედარებით მცირეა, მათზე წამყვანი მოთამაშეების გავლენა, ხშირ შემთხვევებში, მხოლოდ ფორმალურად არ განიხილება როგორც კონტროლი. მსოფლიოს ხალხებისათვის დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა მინიმალურია. გლობალური პოლიტიკური განუ-

საზღვრელობის დონე შედარებით დაბალია რეალურად დამოუკიდებელი სუბიექტების მცირე რაოდენობის გამო, ერთდროულად შედარებით მაღალი, იმის გამო, რომ გლობალური პოლიტიკის წამყვან სუბიექტებს შორის უშუალო სამხედრო კონფლიქტის ალბათობა, და ასეთი შეტაკების მოსალოდნელი შედეგები, გააზრებული და გათვლილი არ არის. რამდენიმე, შესადარი ძალისა და გავლენის მქონე გლობალური მოთამაშის კონკურენცია იწვევს ორ მსოფლიო ომს.

გლობალური პოლიტიკის პირველი სტადია ეს არის 1945-1991 წლები - ორი, დაახლოებით ერთნაირი სამხედრო პოტენციალის მქონე გლობალური მოთამაშე ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. ისინი ეცილება ერთმანეთს გავლენას 150-ზე მეტ, ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოზე. შესაბამისად, პოლიტიკური განუსაზღვრელობის დონე ბევრად უფრო მაღალია. დამოუკიდებელ ქვეყნებს გააჩნიათ განვითარების მოდელის ფორმალური არჩევანი და პოლიტიკური მანევრირების საშუალება. წამყვანი გლობალური მოთამაშეები პრინციპულად არათავსებადია, მათი წინააღმდეგობა სისტემურ ხასიათს ატარებს. მათ შორის პოტენციური სამხედრო შეტაკების შესაძლებლობის დონე უაღრესად მაღალია, მაგრამ მისი შედეგები შესაბამისად გათვლილი და გააზრებულია. შესაბამისად, ასეთ შეტაკებას ადგილი არა აქვს, ცივ ომში დამარცხებული მოთამაშე (საბჭოთა კავშირი) წინააღმდეგობის გარეშე ტოვებს გლობალურ ასპარეზს.

გლოაბლური პოლიტიკის მეორე სტადია იწყება 1992 წელიდან - ერთადერთი დარჩენილი წამყვანი გლობალური მოთამაშე არსებობს 194 ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირისპირ. დამოუკიდებელ ქვეყნების მიერ განვითარების მოდელის არჩევანის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დასული. წამყვანი გლობალური მოთამაშე აგრძელებს მოქმედებას ცივი ომის დროინდელ იდეებზე, სტრატეგიებზე და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. პოლიტიკური განუსაზღვრელობის დონე შედარებით მატულობს, ისევე როგორც გლობალური პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის შესაძლებლობა. თავს იჩენს წამყვანი გლობალური მოთამაშის უშუალო გავლენის ფარგლებს გარეთ შექმნილი, და მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული, სპონტანური პროცესები,

რომელსაც პოტენციურად შეუძლია გლობალური საზოგადოებრივი განვითარების არსებული ტრენდების შეცვლა, ან ახლების ფორმირება.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან წლის შემდეგ გლობალური პოლიტიკა ცვალებადი და მრავალპოლუსიანია. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია პირველ რიგში იმის გარკვევას ისახავს მიზნად, თუ რამდენად შეუძლიათ ან არ შეუძლიათ ინსტიტუციონალიზებულ კოოპერაციულ რეგიონული ჯგუფებს გახდნენ მშვიდობიანი მრავალპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის ინტეგრალური ელემენტები. რეგიონული თანამშრომლობისა და სტრუქტურების განვითარება ხშირად აიხსნება, როგორც უტილიტარისტული და სახელმწიფოს მიერ წარმართული პროცესი, რომელიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ მოთხოვნების ჰარმონიზაციას გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პირობებში. ნეორალისტური-ნეოლიბერალური დებატები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რამდენად გააჩნია უნარი რეგიონულ თანამშრომლობასა და დაჯგუფებებს იყვნენ ეფექტური და სანდო იარაღი წესრიგისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად. დებატები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების მიმართულების შესახებ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ თანამშრომლობისა და კავშირების მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, როგორიცაა ურთიერთნდობა, კეთილდღეობის გადანაწილება თანამშრომლობის გზით; პროპაგანდა, რომლის მიზანიცაა დაჯგუფების წევრთა ურთიერთობის პროცესში უნდობლობის მოსპობა; და ასევე ის, თუ რამდენად შეიძლება იყოს შეთანმხმება, გამაგრებული ინსტიტუციონალიზაციის მაღალი დონით, მისი წევრებისაგან ავტონომიური და დამოუკიდებელი ქმედების საშუალება.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლა აჩვენებს, რომ ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები შეიძლება გახდეს გლობალური პოლიტიკური ცვლილების კატალიზატორი. ამ პერსპექტივიდან, „ნაციონალური“ ეკონომიკის ინტეგრაცია და კორპორატიული აქტიურობა შეიძლება გამოჩნდეს, როგორც რეგულირების სტრატეგია მოუწესრიგებელ და მეტად მგრძნობიარე გლობალურ ეკონომიკაში. ამასთანავე საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის დიდი ნაწილი ტერიტორიული

სუვერენული ძალაუფლების კონცეფციების ერთგული რჩება. ამ შემთხვევაში კი შეიძლება პრობლემები წარმოიქმნას იმ მიზეზით, რომ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ლოგიკა და აპარატი არ არის ტრანსნაციონალური ინტეგრიზმის - ეკონომიკურისა თუ პოლიტიკურის - ხელშემწობი; მაგრამ ნეოფორდიზმის შედეგებმა აიძულა მრავალი ქვეყანა განევითარებინა სხვადასხვა სახის კოოპერაციული სტრატეგიები“

XX ს. 80-იან წლებიდან პოლიტიკის მეცნიერებაში დაიწყო მსჯელობა გლობალურ ბაზრებზე, გლობალურ კომუნიკაციებზე, გლობალურ კონფერენციებზე, გლობალურ საფრთხეებზე, გლობალურ (როგორც ინტერნაციონალურისაგან განსხვავებულ) მმართველობაზე, გარემოს გლობალურ ცვლილებებზე, გლობალურ გენდერულ ურთიერთობებზე, გლობალურ პოლიტიკურ ეკონომიკაზე, გლობალურ საზოგადოების ფორმირებაზე, გლობალურ გამოწვევებზე და ზოგადად გლობლურ პოლიტიკაზე.

გლობალური პოლიტიკა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ისეთივე გამომხატველი ტერმინი არ არის როგორც „საერთაშორისო“. გლობალურ პოლიტიკას, როგორც ტერმინს ფართო მნიშვნელობა აქვს. ასევე არ არის თანხვედრაში „გლობალური ურთიერთობებისა“ და „საერთაშორისო ურთიერთობების“ გამოყენებაც.

გლობალური პოლიტიკის შედეგად საერთაშორისო აქტორების ურთიერთობებისა თუ მოქმედებების პროცესში თანდათანობით მცირდება მანძილისა და საზღვრების არსებობის მნიშვნელობა. საერთაშორისო სისტემის აქტორების მრავალფეროვანი და კომპლექსური ურთიერთკავშირი და ურთიერთქმედება განპირობებული და ორგანიზებულია პლანეტარული ერთობის მიერ. შედეგადა მსოფლიოში სულ უფრო მცირდება საზღვრების ჩაკეტილობა სახელმწიფოთა შორის.

გლობალური პოლიტიკა გამოხატავს კავშირების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დომენებს შორის. საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესში სახელმწიფოები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან მკაფიო საზღვრებით და ასევე იმ დროით, რომელიც ზოგადად საჭიროა მათ შორის არსებული მანძილების დასაფარავად.

საერთაშორისო სფერო არის სხვადასხვა სახელმწიფოთაგან შემდგარი ერთობა, მაშინ როცა გლობალური სფერო არის კავშირების „აბლაბუდა“, „ქსელი“, რომელშიც საზღვრების მნიშვნელობა უკიდურესად შემცირებულია. თუკი საერთაშორისო კავშირებისათვის, მაგ., ყავით ვაჭრობისათვის, ამ საქმესთან დაკავშირებულმა ადამიანებმა უნდა გადალახონ მნიშვნელოვანი მანძილები ამისათვის აუცილებელი დროის განმავლობაში, გლობალური კავშირებისათვის (მაგ., სატელიტური კავშირისათვის) არ არსებობს დისტანციები და ეს კავშირები, დროის თვალსაზრისით, პირდაპირია.

გლობალური ფენომენი ერთდროულად შეიძლება გავრცელდეს მთელ მსოფლიოში და მისთვის გადაადგილებისათვის საჭირო დრო არაფერს ნიშნავდეს. „ინტერნაციონალური“ ურთიერთდამოკიდებულების პირობები კი დიდწილად განპირობებულია მსოფლიოს ნაციონალურ სახელმწიფოებად დაყოფად. „გლობალური“ ურთიერთკავშირის ხაზები იშვიათად ემთხვევა ტერიტორიული საზღვრების ჩარჩოებს. ამასთანავე, საერთაშორისო და გლობალური ურთიერთობები, რა თქმა უნდა, შეიძლება თანაარსებობდნენ. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიო ერთდროულად ინტერნაციონალიზებული და გლობალიზებულია.

გლობალური პოლიტიკის განვითარებამდე საერთაშორისო ურთიერთობები უმთავრესად ორგანიზებული იყო ე.წ. ვესტფალიის სისტემის საფუძველზე. სახელწოდება მოდის ვესტფალიის ზავიდან (1648), რომელიც წარმოადგენს იმ უმთავრესი პრინციპების ადრეულ ოფიციალურ გამოხატულებას, რომელიც დომინირებდა მსოფლიოში სამი საუკუნის მანძილზე. ვესტფალიის სისტემა სახელმწიფოთა სისტემა იყო. XIX-XX სს-ში სახელმწიფოებმა თანდათანობით მიიღეს ეროვნული სახელმწიფოების ფორმა, დაიწყო ტერმინების „საერთაშორისოსა“ და „სახელმწიფოთაშორისოს“ გამოყენება და ვესტფალიის სისტემა ხშირად აღიწრებოდა, როგორც „საერთაშორისო სისტემა“.

ვესტფალიის სისტემა წარმოადგენდა მმართველობის ჩარჩოს. ეს იყო გზა გარკვეული სოციალური წესრიგის დამყარების, გაძლიერებისა და თვალყურის დევნისათვის. მის საფუძველს წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის პრინციპი.

სახელმწიფოებრიობა ნიშნავდა, რომ მსოფლიო დაყოფილი იყო ტერიტორიულ ნაწილებად, რომელთაგან თითოეულს მართავდა დამოუკიდებელი ხელისუფლება. ეს მოდერნისტული სახელმწიფო იყო ცენტრალიზებული, ფორმალურად ორგანიზებული საზოგადოებრივი სახელისუფლო აპარატი, რომელიც იყენებდა ლეგალურ მონოპოლიას შეიარაღებული ძალადობის ფორმით თავისი იურისდიქციის საზღვრებში. ვესტფალიის სისტემა ამასთანავე სუვერენული იყო, ეს ნიშნავს, რომ იგი ახორციელებდა ყოვლისმომცველ, უზენაეს, შეუზღუდავ და ექსკლუზიურ კონტროლს განსაზღვრული ტერიტორიის ჩარჩოებში[4].

გლობალური პოლიტიკის გამოკვეთილი ნიშნებია სუვერენიტეტის დასასრული და პოსტსუვერენული მმართველობა; გლობალური მმართველობა და საზოგადოებრივი მოძრაობები.

სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს მსოფლიოს ტერიტორიულ დაყოფას. სუვერენიტეტის კონცეფცია კვლავაც მნიშვნელოვანი რჩება, იმ ხალხებისათვის, რომლებისთვისაც გლობალიზაციის შედეგები არც თუ ისე შესამჩნევია და რომელთა ეროვნული თვითგამორკვევის პროცესსაც იგი გარკვეულწილად ხელს უშლის. გლობალიზაციის პირობებში კი საზოგადოებრივი ურთიერთობები იძენს მკაფიოდ გამოხატულ ზეტერიტორიულ ხასიათს და საზღვრები უპრობლემოდ გადაილახება ელექტრონული თუ სხვა გზებით. ამდენად, სუვერენიტეტის ეფექტურად განხორციელების საშუალება მცირდება.

მატერიალურ-ტექნიკურმა განვითარებამ შეამცირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი. თანამედროვე სახელმწიფო პრაქტიკუ-

---

[4]ყოვლისმომცველი მმართველობა ნიშნავს, რომ პრინციპში სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია იურისდიქცია საკუთარ ქვეყანაში ნებისმიერ საქმიანობაზე. უზენაესი მმართველობა ნიშნავს, რომ არ არსებობს მასზე ზემოთ მდგომი ხელისუფლება და სუვერენულ სახელმწიფოს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. შეუზღუდავი მმართველობა ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვესტფალიის სისტემის ეპოქაში ზოგჯერ იყო დებატები ჰუმანიტარული ჩარევის მოვალეობის შესახებ, მაგრამ სახელმწიფოთა უფლება ტოტალურ იურისდიქციაზე მიიჩნეოდა შეუვალად სხვა სახელმწიფოთათვის. და ბოლოს, ექსკლუზიური მმართველობა ნიშნავს, რომ რომ სახელმწიფო შინაურ საქმეებში არავის უნაწილებდა თავის კომპეტენციას. სახელმწიფოთა შორის არ არსებობდა „საზიარო სუვერენიტეტი“.

ლად უძლურია მარტო გააკონტროლოს მაგ., გლობალური კომპანიები, სატელიტური კავშირები, გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, გლობალური ვაჭრობა. მრავალი ხალხი თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში სულ უფრო მეტად ამჟღავნებს მზადყოფნას, რომ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს ეკონომიკურ წინსვლას, ადამიანის უფლებებს და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ვიდრე სახელმწიფო სუვერენიტეტსა და მასთან ასოცირებულ ნაციონალური თვითგამორკვევის ნორმას. თუმცა, გლობალიზაცია ასევე იწვევს ეროვნული გრძნობების გაღვივებასაც.

სახელმწიფოები ირჩევენ იმ გზასა და დონეს, რამდენადაც ისინი მზად არიან დათმონ სუვერენიტეტის ნაწილი გლობალიზაციის პირობებში, მაგრამ ისინი არ იბრძვიან მის შესაჩერებლად. მაგ., ჩინეთის ხელისუფლებამ, რომელიც განსაკუთრებულად ხაზს უსვამს სუვერენიტეტზე დამყარებული მსოფლიოს არსებობის აუცილებლობასა და მარადიულობას, 90-იანი წლების ათწლიან ეკონომიკურ პროგრამაში ცენტრალური ადგილი მიანიჭა „გლობალურ ურთიერთდამოკიდებულებას“. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მმართველობა, უზენაესი და ექსკლუზიური სახელმწიფო ტერიტორიული ხელისუფლების სახით, მეტად არაპრაქტიკული გახდა. ამასთან ერთად, მრავალ პოსტკოლონიურ სახელმწიფოს, რომლებიც გლობალიზაციის ხანებში შეიქმნა, არასოდეს გააჩნდა სუვერენობა.

გლობალიზაციამ გარკვეულწილად სუვერენიტეტის დაკნინება მოახდინა, თუმცა არ მომხდარა სახელმწიფოების მოსპობა. საპირისპიროდ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ., სომალისა და ავღანეთში) უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერებული ჩანს. კომუნისტური მმართველობის კოლაფსის შედეგად შექმნილმა ბუნდოვანებამაც მხოლოდ მცირედით თუ შეცვალა სახელმწიფო საზღვრები. როგორც მმართველობის სტრუქტურა, სახელმწიფო რჩება უცვლელად აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე.

სახელმწიფოს ისევ მნიშვნელოვანი ძალა გააჩნია, მაგრამ ამასთანავე მისი შემძლეობა, ორიენტაციები და მოღვაწეობის სფეროები იცვლება სუვერენიტეტის დაკნინებასთან ერთად. იმავ-

დროულად სხვა მხარეებმა სახელმწიფოს გარეთ ასევე მოიპოვეს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო მამრთველობის პროცესში.

გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელია პირდაპირი, საზღვრების გარეთა კავშირების განვითარება სუბსახელმწიფოებრივ ხელისუფლებათა შორის, რასაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივები შემოაქვს. მეორე **მნიშვნელოვანი მახასიათებელია ზესახელმწიფოებრივი გლობალური მმართველობს ჩამოყალიბების ტენდენცია. ეს ნიშნავს რომ** სამთავრობათშორისი მარეგულირებელი ჩარჩოების გაიზარდა გლობალიზაციასთან ერთად. სამთავრობო შეთანხმებების რიცხვი მთელ მსოფლიოში უკიდურესად იზრდება. 1945 წლიდან ათასამდე სხვადასხვა სახის შეთანხმებაა მიღწეული. მაგ. შედარებით გვიან შექმნილმა რეგიონალურმა ორგანიზაციამ, ევროპულმა კავშირმა უკვე მიიღო 20 ათასამდე მარეგულირებელი გადაწყვეტილება.

იმადროულად ახალი და უკვე არსებული (მაგ., გაერო) ორგანიზაციები ჩანს, რომ აფართოებენ თავიანთ ამოცანებს. მათი მზარდი გავლენისა და ინიციატივებიდან გამომდინარე, ზოგჯერ უპრიანია მათ არა „საერთაშორისო ორგანიზაციები», არამედ „გლობალური მმართველობის სააგენტოები“ ვუწოდოთ. სხვა სიტყვებით, მათი დანიშნულება დიდად ცდება სამთავრობათშორის კონსულტანციებსა და მოქმედების კოორდინაციას, რისთვისაც თავის დროზე შეიქმნა ეს ორგანიზაციები. ზესახელმწიფოებრივი რეგულირების ზრდა მეტად ფართო სპექტრს მოიცავს. მაგ., მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 60-იანი წლებიდან იძლევა მეტად გავლენიან დირექტივებს სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, საყოვეთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ხარჯების შემცირება, სამუშაო ადგილების შექმნა, ტრანსნაციონალური კორპორაციების მოღვაწეობის კოდექსი. 1979 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გააძლიერეს თავიანთი ძალისხმევა შორსმიმავალი სტაბილიზაციის პოლიტიკის შესამუშავებლად და სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამების ხელშესაწყობად თითქმის 100 ქვეყანაში. მრავალ შემთხვევაში ისინი ფაქტობრივად აკონტროლებენ და კურირებას უწვენ ნაციონალურ ფინანსთა სამინის-

ტროებს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც 1995 წელს შეიქმნა, მოღვაწეობის გაცილებით უფრო დიდ სფეროს მოიცავს დიდ სახელმწიფოებთან კავშირში, ვიდრე მისი წინამორბედი - ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმება. იმავდროულად საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, 70-იანი წლების შუა ხანებიდან თავის თავზე იღებს ვალდებულებას გარკვეულწილად თვალი ადევნოს გლობალურ ფინანსურ ბაზრებს. კონფლიქტების მოგვარების სფეროში ზესახელმწიფოებრივი სააგენტოები, მაგ., გაერო, აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია, ეუთო განსაკუთრებით გამოირჩევიან. ზესახელმწიფოებრივი მმართველობა ასევე აქტიურია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რაც 90-იან წლებში გამოიხატა არაერთი უპრეცედენტო ჰუმანიტარული ჩარევით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა იდეას საუკუნეების ისტორია აქვს, ამ საკითხზე გლობალური კანონდებლობა მხოლოდ 60-იანი წლებიდან ყალიბდება. 1972 წ. გაერო-ს მიერ ორგანიზებული გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი კონფერენციიდან დაწყებული, ტარდება გლობალური შეხვედრები, იქმნება ლეგალური ინსტრუმენტები და ინსტიტუტები მთელ მსოფლიოში ეკოლოგიური დეგრადაციის შედეგების უვნებელსაყოფად. რაც შეეხება ელექტრონულ მედიას, საერთაშორიოს სატელეკომუნიკაციო კავშირის სახელმძღვანელო ტექნიკური სტანდარტების შესახებ 19 ათასს გვერდს აჭარბებს. როგორც ეს მაგალითები მიუთითებს, როგორც მმართველები, ისე მოქალაქეები, სულ უფრო აცნობიერებენ, სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ტერიტორიული მმარველობა არ უზრუნევლყოფს ზეტერიტორიული ფენომენების ადექვატურ მოწესრიგებას, რაც უკავშირდება თანამედროვე ინფორმაციიის, კომუნიკაციებისა და იარაღის ტექნოლოგიებს, გლობალურ ეკოლოგიურ ცვლილებებს, გლობალურ ბაზრებს და ა.შ.

ზესახელმწიფოებრივი მმართველობისათვის არსებობს მნიშვნელოვანი შეზღუდვები. ოფიციალური გლობალური რეგულირება ჯერ კიდევ ნაკლებად ეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა შრომის სტანდარტები, შეიარაღების კონტროლი და ა.შ. ამასთანავე, გლობალური მმართველობის მრავალი ინსტიტუტი არაადექვატურად არის დაკომპლექტებული და ქრონიკულად განიცდის ფი-

ნასების ნაკლებობას. სააგენტოებს შორის მეტად მცირე დონის კოორდინაციამ და ეფექტური გამაძლიერებელი მექანიზმების მუდმივმა ნაკლებობამ დააკნინა გლობალური სამართლის რეპუტაციაც. მიუხედავად ზემოთქმულისა, ზესახელმწიფოებრივი რეგულირება ხდება საკმაოდ ფართო და ეფექტური რამდენადაც იგი ქმნის მმართველობის მნიშვნელოვან ფორმას დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში.

გლობალური პოლიტიკის ეს წარდგინება არასრული იქნება, თუ იგი შეეხება მხოლოდ ოფიციალურ სააგენტოებს სუბსახელმწიფოებრივ, სახელმწიფოებრივ და ზესახელმწიფოებრივ დონეზე. გლობალიზებულ მსოფლიოში ყველა წესი XX საუკუნის მიწურულს მარტოოდენ საზოგადოებრივი სექტორიდან როდი მომდინარეობს. ბაზრები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალური რეგულირების პროცესში, ხშირად ერთვებიან იმ სფეროებში, რასაც სახელმწიფოები და გლობალური მამრთველობის სააგენტოები უყურადღებოდ ტოვებენ.

კერძო სექტორის მიერ **წესების** ჩამოყალიბება და დანერგვა ალბათ გაცილებით უფრო შორს წავიდა გლობალური ფინანსური ბაზრების წყალობით, როდესაც ამ მხრივ ოფიციალურმა მმართველობამ ბევრი რამ ეფექტური ვერ გააკეთა. მაგ., გლობალურ საფონდო ბაზრების, ქცევისა და მოღვაწების კოდექსი ძირითადად ჩამოყალიბდა საფონდო ბირჟების საერთაშორისო ფედერაციის (დაარს. 1961), ბაზრის უსაფრთხოების საერთაშორის ასოციაციის (1969) და ნახევრადაოფიციალური უსაფრთხოების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (1984) საშუალებით. გარდა ამისა, კომერციული ბანკები მნივშნელოვან ინიციატივებს იჩენენ ისეთი ოფიციალური სააგენტოების, როგორიცაა მსაოფლიო სავალუტო ფონდი, მოღვაწეობის მოწესრიგებისათვის (ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ პირიქით - არევისათვის) ხშირი ფინასური კრიზისებისა და ვალების მქონე ქვეყნებში 1982 წლიდან.

კერძო სექტორის გლობალური ინიციატივები ასევე მოიცავს ფინანსურ ბაზრებს. მაგ., 1971წ. დაარსებული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აერთიანებს 900 უმსხვილეს კომპანიას. მის მრავალ ინიციატივას შორის არის განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების მოწესრიგებაზე, მათ შორის ისრაელ-არაბული ქვეყნების დაპირისპირებაზე.

ფორუმმა ასევე ფასდაუდებელი როლი შეასრულა მსოფლიო ვაჭ-რობის შესახებ ურუგვაის მოლაპარაკებების დროს, რისი შედეგიც გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა. კერძო ფონდე-ბის როლი ასევე გაიზარდა გლობალურ პოლიტიკის კეთების პრო-ცესში. ორი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ფორდის ფონდი, რომელიც განსაკუთრებით გავლენიანია განვითარებისათვის დახ-მარების სფეროში 60-იანი წლებიდან და სოროსის ფონდი, რომელ-მაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ყოფილი საბჭოთა ბლოკის ლი-ბერალიზაციაში. ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ გლობალური მმართველობა არ წარმოადგენს მხოლოდ საზოგა-დოებრივი სექტორის საქმეს.

საბაზრო ინსტიტუტები არ არიან ერთადერთი აქტორები სა-ზოგადოებრივი სექტორის მიღმა, რომლებიც ხელს უწყობენ მმარ-თველობის ახალი ფორმების წარმოქმნას თანამედროვე გლობა-ლიზებულ მსოფლიოში. მრავალი ინიციატივა ასევე მოდის გლობა-ლური საზოგადოებრივი მოძრაობებიდან. აქ სახალხო მოთხოვნე-ბი და პროტესტი მობილიზებულია სოციალური ურთიერთობების სტანდარტების შეცლის მიმართულებით (მაგალითად, მილიტა-რიზმი და კაპიტალიზმი). ასოციაციები გლობალურია ერთის მხრივ იმ თვალსაზრისით, რომ ეხებიან საერთო მსოფლიო პრობ-ლემებს და მეორეს მხრივ, იყენებენ გლობალიზაციის შედეგად შექმნილ საშუალებებს (საჰაერო მოგზაურობა, კომპიუტერული ქსელები, გლობალური კანონები და სხვ.).

გლობალურ საზოგადოებრივ მოძრაობებს ახასიათებს უკი-დურესი მრავალფეროვნება, ისინი მიმართულია სრულიად სხვა-დასხვა პრობლემების გადაწყვეტისაკენ - აბორიგენების უფლებე-ბიდან შიდსის საკითხამდე. ისინი ასევე ამჟღავნებენ მეტად მრა-ვალფეროვან ხედვას იმ სამყაროსა, რომლის შექმნაც მათ სურს, შთაგონების წყაროდ იღებენ იდეებს ხან ანარქიზმიდან, ხან ნეო-ფაშიზმიდან, ტრადიციული და ახლადშექმნილი რელიგიებიდან და მათი ნაზავიდან და ა.შ. ზოგიერთი ამ მოძრაობიდან გლობალურია იმ თვალსაზრისით, რომ მათ მიერ გაბმული ქსელი მთელ მსოფლი-ოს მოიცავს, მაგ., განვითარების ისეთი ალტერნატივები, რომ-ლებსაც გამოხატავს „ქალები ახალი ერისათვის“. საწინააღმდე-გოდ, სხვები „აზროვნებენ გლობალურად და მოქმედებენ ლოკა-

ლურად“. ეს ნიშნავს, რომ ისინი ირჩევენ გლობალურ ორიენტაციას, მაშინ როცა მოქმედებენ ჩვეულებრივი ადამიანების დონეზე. ზოგიერთი ჯგუფი კამპანიას მართავს იზოლირებულად, როდესაც სხვები მიზნების განსახირციელებლად ერთიანდებიან დიდ კოალიციებში. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ, პესტიციდების საწინააღმდეგო აქციის ქსელი აერთიანებს 350 ჯგუფს 50-მდე ქვეყნიდან. საზოგადოებრივ მოძრაობებში ჩართულნი არიან როგორც შემთხვევითი „მოყვარულები“ (როგორიცაა მრავალრიცხოვანი სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები), ასევე დიდი ხნის პროფესიონალები და ინსტიტუციონალიზებული პროგრამები. საბოლოო ჯამში, გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობები იყენებენ მრავალი სახის სტრატეგიას. ზოგიერთი აქტივისტი თანამშრომლობს მთავრობებთან, გლობალური მმართველობის სააგენტოებთან, ბიზნესის ასოციაციებთან, მაშინ როცა სხვებს კოლაბორაცია „ისტებლიშმენტთან“ საკუთარი პრინციპებისათვის მიუღებელ კომპრომისად მიაჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ საზოგადოებრივი მოძრაობები ხშირად განიცდიან სახსრების ნაკლებობას და ახასიათებთ შიდადაპირისპირებანი, ისინი მაინც შესამჩნევ გავლენას ახდენენ თანამედროვე მსოფლიოს მმართველობაზე. მრავალ ქმედებას შორის უნდა აღინიშნოს, რომ მათი ძალები კონცენტრირებულია პოლიტიკის ინოვაციისათვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკოლოგიური მდგრადობა, ადამიანის უფლებების დაცვა, სტიქიური უბედურებები, სანოვაგის ნაკლებობა და საზოგადოების სრულყოფა. 1990 წლიდან მრავალმა უმთავრესმა გლობალური მმართველობის სააგენტომ შექმნა ოფისები ამიერიდან არასამთავრობო ორგანიზაციებად წოდებულ საზოგადოებრივ მოძრაობებთან კავშირისათვის. მრავალი ამგვარი ასოციაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ოფიციალური ინსტიტუტებისათვის მრჩეველთა რანგში, ისე მათი პოლიტიკის გატარებისათვის დახმარებაში. ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და გაერო-ს უმაღლესი კომისრის ოფისი ლტოლვილთათვის ზოგჯერ თითქმის მთლიანად დამოკიდებული ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებისაგან. ათასობით სამოქალაქო ჯგუფი მონაწილეობას იღებდა გაერო-ს სპონსორიზებულ გლობალური

პრობლემების შესახებ კონფერენციებზე 70-იანი წლებიდან, სადაც ისინი ახდენდნენ ოფიციალური სტრუქტურის ლობირებას, გავლენა ჰქონდათ მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი პროგრამების მიღებაზე. ამგვარი სცენარები ახალი პოლიტიკის გამომხატველი გახდა XX ს. უკანასკნელ ათწლეულებში, რომელთა შედეგადაც საზოგადოებრივმა მოძრაობებმა ძალისხმევა მიმართეს ნაციონალური და ლოკალური ხელისფლების კონტროლისაგან თავის გამოთავისუფლებისაკენ ზესახელმწიფოებრივი მარეგულირებელი საგენტოების საშუალებით.

ამ და სხვა გზებით, გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობების მრავალი აქტივისტი მიზნად ისახავდა და ზოგჯერ ახორციელებდა კიდეც არა მარტო პოლიტიკის შეცვლას, არამედ საკუთრივ პოლიტიკის არსის გარდაქმნას. მათი ინიციატივები ხშირად ცვლიდა პოლიტიკური ქმედების დომინირებად კონცეფციებს, პროცედურებსა და ტაქტიკას. მაგ., მრავალმა ამგვარმა ასოციაციამ აირჩია გადაწყვეტილებათა მიღების არაიერარქიული მოდელები და ზოგადად, მათ საქმიანობაში გაცილებით უფრო ფართოდ ჩართეს ქალები, ვიდრე ეს არის ოფიციალურ და კომერციულ სტრუქტურებში. როგორც შედეგი გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობებისა, სახალხო ჩართვა მსოფლიო პოლიტიკაში გახდა უფრო პირდაპირი და ექსტენსიური, ვიდრე ვესტფალიის სისტემის დროს, როდესაც მოქალაქის პოლიტიკაში ჩართვა გამოიხატებოდა მხოლოდ ნაციონალურ არჩევნებში მონაწილეობით იმის განსასაზღვრავად, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას უნდა განეხორციელებინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მმართველობის სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას სუვერენიტეტზე ფოკუსირებული სახელმწიფოთა სისტემიდან ურთიერთქმედების მრავალმხრივი, კომპლექსური წესების შექმნისაკენ - იმ თვალსაზრისით, რომ იქმნება ისეთი გარემო, რომელშიც არც ერთი ლოკალური ადგილი არ შეიძლება იყოს სრულფასოვნად სუვერენული. ამჟამად გლობალური პოლიტიკა მოკლებულია ხელმძღვანელობისა და კონტროლის ცენტრს განსხვავებით ვესტფალიის სისტემისა. გარდა ამისა, ინიციატივების გამოჩენისა და ქცევის ნორმების შექმნის თვალსაზრისით, საზოგადოებრივ სექტორთან ერთად, ანგარიშგასაწევ

როლს ასრულებენ ბაზრის აგენტები თუ საზოგადოებრივი მოძრაობები.

გლობალური პოლიტიკის დეფინიციების, მოცულობის, ახსნის, პროგნოზების და მორალური მხარის განსაზღვრისას მკვლევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. გლობალიზაციამ მსოფლიო პოლიტიკას ახალი სივრცობრივი განზომილება მიანიჭა. ძველი გეოგრაფიული ადგილების, მანძილების, საზღვრების დამატებით, დღეს არსებობს გლობალური განზომილება, რომელშიც ზოგიერთი მოვლენა გარკვეულ ტერიტორიულ ფარგლებში არ თავსდება (ე.ი. შეიძლება ხდებოდეს ნებისმიერ ადგილზე და მანძილს მნიშვნელობა ეკარგება (შეიძლება გადაიკვეთოს პლანეტა დროის ნებისმიერ, მოცემულ მონაკვეთში) და საზღვრებს გარეშეა (შეიძლება იმოძრაოს ქვეყნებს შორის საზღვრებისათვის ანგარიშის გაწევის გარეშე). გლობალური ფენომენის არნახული სისწრაფე XX ს. შუა ხანებიდან იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს მმართველობის ფორმებში. ერთის მხრივ, გლობალიზაციამ დააკნინა, სუვერენიტეტის ძველი პრინციპი, თუმცა სახელმწიფოები კვლავაც აგრძელებენ არსებობას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრების რეგულირებაში. მეორეს მხრივ გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ასპექტების წინ წამოწევას მსოფლიო პოლიტიკაში, რაშიც შედის საზღვრებს გარეშე სუბსახელმწიფოებრივი ურთიერთობები, ზეასახელმწიფოებრივი კანონები, საბაზრო ინსტიტუტების მარეგულირებელი ინიციატივები, გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობების კამპანიები.

რეგიონალური პოლიტიკა

XXს. 60-იანი წლების მანძილზე, იმ ენთუზიაზმის ტალღაზე, რომელიც მოჰყვა რეგიონული ჯგუფების რაოდენობრივ ზრდასა და ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას, რეგიონები საერთაშორისო პოლიტიკაში განისაზღვრებოდა, როგორც „სახელმწიფოთა შეზღუდული რიცხვი, რომელთა კავშირსაც განაპირობებს გეოგრაფიული სიახლოვე და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე. მათი დიფერენცირება კი შესაძლებელია სავაჭრო კავში-

რების განვითარების, ფორმალური ორგანიზაციების რიცხვისა და მნიშვნელობის, პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის მიხედვით“. აღიარებენ, რომ რეგიონალიზმის პროცესი მოიცავდა მსოფლიოს მრავალ მხარეს და მას ხელს უწყობდა ახალი სახელმწიფოების - ყოფილი კოლონიების რიცხვის გაზრდა; დაძაბულობის შედარებითი განმუხტვა ზესახელმწიფოებს შორის; ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების აღმავლობა; მრავალმხრივი სავაჭრო რეჟიმის განმტკიცება; დასავლეთ ევროპის უმძლავრესი ქვეყნების დაახლოება ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებით.

რეგიონალიზმის სასურველი განვითარებისათვის არ არის საკმარისი მარტოოდენ გეოგრაფიულ სიახლოვე და ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულება. სხვა ფაქტორებიც ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის პროცესების განვითარების პოტენციური საფუძვლების შექმნისათვის. ეს არის ისტორიული გამოცდილება, ძალაუფლებისა და კეთილდღეობის გადანაწილება ჯგუფების შიგნითა და გარეთ, კულტურული, სოციალური და ეთნიკური ტრადიციები, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური არჩევანი - ყოველივე ზემოთქმულს შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდეს იმის გასაგებად თუ რატომ და როგორ სურთ მიიღონ აქტორებს გადაწყვეტილებანი რეგიონულ დონეზე.

მთავრობები და სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ უმთავრესი აქტორები ზოგიერთ რეგიონულ დაჯგუფებაში, სხვებში კი უფრო მნიშვნელოვან აქტორებს შეიძლება წარმოადგენდნენ კორპორატიული და ეკონომიკური ინტერესები. ზოგიერთი რეგიონული დაჯგუფების მიზანი შეიძლება იყოს უპირველესად ინტრარეგიონული ვაჭრობისა და ინვესტირებისაგან მაქსიმალური ეკონომიკური მოგების მიღება, სხვების დანიშნულებას კი შეადგენდეს თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ანდა სოციალური და კულტურული ტრადიციების დაცვა.

კლასიკური ერი-სახელმწიფო უსაფრთხოების, სტაბილურობისა და წარმატების გარანტად ყოფნას პრაქტიკულად ვეღარ ახერხებს. დღესდღეობით ამ მიზნების მიღწევა მხოლოდ მოკავშირე, მოზობელ ქვეყნებთან თანამსრომლობის შედეგად ხდება რეალური. ყველაფრის მიუხედავად, გლობალიზაციისა და რეგიონა-

ლიზაციის ურთიერთკავშირი მაინც ბუნდოვანია და რეგიონალიზაცია შეიძლება მხოლოდ გლობალიზაციის ერთ-ერთ ქვე-საფეხურადაც ჩავთვალოთ; ურთიერთდაოკიდებული ეკონომიკის ზრდა, საბოლოო ჯამში, რეგიონალურ ხასიათს მიიღებს. რეგიონალურ ორგანიზაციებს ერი-სახელმწიფოებსა და გლობალურ ძალებს შორის ურთიერთობის დარეგულირების შესაძლებლობა ეძლევათ. მეორეს მხრივ, რეგიონალიზაციაში საწინააღმდეგო, ანტი- გლობალისტური მიმართულებაც შეიძლება აღვიქვათ, რის დასტურადაც XIX საუკუნეში ეკონომიკური ნაციონალიზმის გავრცელებით გამოწვეული საერთაშორისო ღია ეკონომიკური სისტემის განადგურების მაგალითი გამოდგება. პროტექციონიზმისა და კონკურენტი ბაზრების ჩამოყალიბებამ საყოველთაო დაძაბულბის ფონის შექმნაშიც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი, რასაც საბოლოოდ I მსოფლიო ომი მოჰყვა. ასე რომ, თუ სახელმწიფო ეკონომიკის განვითარების, უსაფრთხოებისა თუ მისი სხვა ინტერესების უზრუნველყოფას ვეღარ ახერხებს, სავარაუდოდ მომავალში ეს მისია უკვე მთლიანად რეგიონს დაეკისრება.

რეგიონალიზაციის განვითარებას ხელი სტრატეგიულმა თუ ეკონომიკურმა ფაქტორებმაც შეუწყვეს. რეგიონალური დაცვის ორგანიზაციები ძირითადა 1945 წლის შემდგომ პერიოდში დაარსდა და ცივი ომის უკიდურესი დაძაბულობის გარემოშიც თავისი წვლილი. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნატო და ვარშავის პაქტია (თუმცა ამავე პერიოდში სხვა ორგანიზაციებიც ჩამოყალიბდნენ, მაგ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია- SEATO). თუმცა ცივი ომის დასრულებასთან ერთად, ნატო-ს დანიშნულებისა და ფუნქციის შეცვლა მოუხდა- სავაჭრო საფრთხის არარსებობის პირობებში, მისი როგორც რეგიონალური დაცვის ორგანიზაციის საქმიოანობის გაგრძელება სრულიად უპერსპექტივო იყო. ამის მიუხედავად, მოსალოდნელი დაშლის მაგივრად ნატო გაფართოვდა: 1999 წელს ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი მიიღო, 2004-ში კი სლოვენიას, სლოვაკეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს გაუღო კარი. უფრო მეტიც უსაფრთხოების დაცვამშვიდობის შენარჩუნებაზე ზრუნვითა და ჰუმანიტარული ჩარევის (ბოსნიისა და კოსოვოს ოპერაციები 1990-იან წლებში) პოლიტიკით

შეცვალა. 2003-ში, ნატო უკვე ევროპის საზღვრებსაც გასცდა და ავღანთში საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა ძალბს ჩაუდგა სათავეში.

ყველაფრის მიუხედავად საერთაშორისო რეგიონალიზაციის მთავარი საყრდენი მაინც ეკონომიკაა. საერთაშორისო ვაჭრობამ შეიძლება ერთის მხრივ ინტერესთა შეჯერებას შეუწყოს ხელი, მეორეს მხრივ კი- დიდი უნდობლობა და აღშფოთებაც გამოიწვიოს. მართალია სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ სხვა ქვეყნის ბაზრების დაპყრობას, მაგრამ ამავე დროს, საკუთარი ბაზრის უცხოური კონკურენციისგან დასაცავადაც იგივე ენერგიას ხარჯავენ. თავისუფალი ვაჭრობის ცნებას სათავისოდ, როგორც წესი, დომინანტი ძალები იყენებდნენ (დიდი ბრიტანეთი XIX საუკუნეში და ა.შ.შ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან), მაშინ როცა საკუთარი ბაზრის დაკარგვის შიში მათთვის სულიად უცხო იყო. საერთო ჯამში, იგი შეიძლება პროტექციონიზმის გაჩენასაც უწყობდეს ხელს- ნაკლებად განვითარებული ქვეყნები საკუთარი თავის ე.წ. „ უსაფრთხოების კორუფციისაგან“ დაცვას ცდილობენ. მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში ეკონომიკური ნაციონალიზმის გამძაფრება აღიარებულია, როგროც რეაქცია ბრიტანეთის უპირატესობის წინააღმდეგ; და რაკიღა დღეს ნაციონალური პროტექციონიზმი ეფექტურ იარაღად აღარ ითვლება, რეგიონალური ხასიათის თანამშრომლობა უფრო და უფრო მიმზიდველი ჩანს, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივებისთვის, ისე მზარდი გლობალური კორუფციისაგან თავის დასაცავად.

ზოგიერთი რეგიონალური სავაჭრო ბლოკი, მაგ. EEC- მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას ჩამოყალიბდა, მაგრამ უმეტესობა 1990 წლის შემდეგ, ეკონომიკური გლობალიზაციის საპასუხოდ დაარსდა: NAFTA, APEC და FTAA. დღესდღეობით მსოფლიო ვაჭრობის 1/3-ზე მეტი ამ 4 რეგიონზე მოდის: ჩრდილოეთ და სამხრეთ ამრიკა, ევროპა, აზია და ოკეანია, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი. ეკონომიკური რეგიონალიზაციის მომავალი ამგვარ სავაჭრო ბლოკების სტრატეგიაზეა დამოკიდებული: გლობალიზაციას შეეწინააღმდეგონ და ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემა ააწყონ, თუ გლობალურ ღია ეკონომიკაში რეგიონის ინტეგრაცია მოახდინონ. საბოლოო

ჯამში, მთავარი ისაა, რამდენად გაამართლებს გლობალური ეკონომიკის მმართველობა- ახლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანი- ლიბერალური ეკონომიკის გავრცელაბაა.

რეგიონალური ეკონომიკური გაერთიანებები

ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის პაქტი წარმოადგენს შეთანხმებას კანადას, მექსიკასა და ა.შ.შ-ს შორის 1993წ. მოეწერა ხელი და ნაწილობრივ, ეს იყო პასუხი ევროპის დაჩქარებულ გაერთიანებაზე. ეს ორგანიზაცია მიხნად ისახავს საფუძველი დაუდოს ფართო ეკონომიურ თანამშრომლობას მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს მასშტაბით.

ევროკავშირი შეიქმნა 1993წ. უკვე არსებული ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საფუძველზე. თავიდან მასში 6 სახელმწიფო შედიოდა. დღესდღებით კი მის რიგებში უკვე 27 წევრია.

აზია-წყნარი ოკეანის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობა 1989წ. შექმნილი ეს არაფორმალური გაერთიანება დღესდღეობით 21 წევრისაგან შედგება, და დედამიწის მოსახლეობის 40%, ხოლო მსოფლიოს მთლიანი ეროვნული შემოსავლების 50% მოითვლის.

მერკოსური: ეს ორგანიზაცია ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის უდიდესი კავშირია.

ამერიკათშორისი თავისუფალი ვაჭრობის არეალი (FTAA): ჩრდილო და ლათინური ამერიკის 34 სახელმწიფოს გამაერთიანებელი ორგანიზაცია, სადაც ა.შ.შ. და კანადა დომინირებენ.

რეგიონული ბლოკებისა და დაჯგუფებების ჩამოყალიბება 1945 წლის შემდეგ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. დღეს მსოფლიო პოლიტიკაში რეგიონალიზმის მრავალი ნიმუში არსებობს, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ამერიკის, სამხრეთ-დასავლ ეთი აზიის, აფრიკისა თუ ევროპის ქვეყნები. ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, განვიხილავთ სწორედ ევროპული რეგიონალიზმისა და ინტეგრიზმის პრობლემებს.

1945 წლის შემდეგ დასავლეთ ევროპა სულ უფრო და უფრო აღიქვამდა საკუთარ თავს, როგორც ეკონომიკების და ხალხების მაღალ დონეზე ინტეგრირებულ და მჭიდროდ დაკავშირებულ დაჯგუფებას. 1989 წლის შემდეგ ევროპის კონტინენტზე პოლიტი-

კური და ეკონომიკური ცვლილებები „აღარ ემყარება დანაწევრებულ, ძალთა ბალანსზე დაფუძნებულ ევროპას, არამედ პოლიტიკურ სივრცეს, რომელშიც სულ უფრო მეტად დომინირებს ერთიანი ორგანიზაცია, იმდენად, რომ დაპირისპირება და მეტოქეობა წევრებს შორის უკიდურესად შემცირებულია საერთო წესებისა და ინსტიტუტების საშუალებით. 1989 წლის შემდეგ ხდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რეინტეგრაცია ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებებში.

ევროპული ინტერაციისა და რეგიონალიზმის გამოცდილება დიდად განსხვავდება სხვა რეგიონული დაჯგუფებებისაგან (მაგ., **NAFTA**-სა და **ACEAN**-ისაგან). ევროპული ინტეგრაციის ფორმალური პროცესი, რომლის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა ევროკავშირი, განპირობებულია სპეციფიკური ისტორიული და პოლიტიკური მიზეზებით. ეს მიზეზები შეიძლება არც არსებობდეს, ანდა ნაკლები მნიშვნელობის იყოს სხვა რეგიონულ დაჯგუფებებში.

1945 წლის შემდგომი ეპოქის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება იყო ძალაუფლებისა და ხელისუფლების ფუნდამენტური გადანაცვლება ევროპულ და იმპერიაზე ორიენტირებულ ძალთა ბალანსიდან ახალ დაპირისპირებულ ბიპოლარულ მსოფლიოზე. როგორც ერთი მკვლევარი შენიშნავს, „ზესახელმწიფოები“ ევროპაში უკვე აღარ არსებობენ და ზენაციონალური „ევროპული საზოგადოების“ შექმნის ძალისხმევა და მისი შესაბამისი ევროპული იდენტურობის გრძნობის ჩამოყალიბების სურვილი, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს სახელმწიფოთა და ხალხების მიმართ არსებულ ისტორიულ ლოიალურობა, მკაფიო აჩვენებს ამ ცვლილების მთელ სიღმეს“.

ბიპოლარული წესრიგი მიუთითებდა ევროპის, როგორც გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრის დასასრულზე. სამხედრო უსაფრთხოება, განადგურებული ეკონომიკური და ფინანსური ინფრასტრუქტურები, პოლიტიკური არასტაბილურობა მთელს ევროპაში გახდა 1945 შემდგომ პირველ წლებში რეგიონალიზაციისა და დასავლეთ ევროპაში სახელმწიფოების მიერ მხარდაჭერილი ინტეგრაციული სქემების წარმატე-

ბის და გაიოლების მთავარი ფაქტორები. უინსტონ ჩერჩილის მიერ 1946 წელს წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც გაკეთდა მოწოდება „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის შესახებ, მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორც ცდილობდნენ პოლიტიკური ელიტები მორგებოდნენ და დაერეგულირებინათ ამ გლობალური ცვლილების კულმინაცია.

თანამშრომლობისა და განვითარების არაერთი გეგმის, შემდგომ კი ორგანიზაციების შექმნის შედეგად ევროპის ინტეგრაციის პროცესი აღმავალი გზით წავიდა.

თემა VII

საერთაშორისო ურთიერთობები და ნაციონალიზმი

ნაციონალიზმმა, როგორც რწმენათა სისტემამ, იდეოლოგიამ და ასევე პოლიტიკურმა მოძრაობამ განსაკუთრებული როლი ითამაშა თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების პროცესში. იდეოლოგიის თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს იდეათა ერთობლიობას კაცობრიობის საზოგადოებებად ორგანიზების შესახებ, ამ ორგანიზების შესაბამისი პოლიტიკური ფორმის თაობაზე და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარიმართოს ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა ერების ინტერესებს.

ნაციონალიზმმა მრავალი დისკუსია გამოიწვია როგორც ზოგადად სოციალური მეცნიერების, ისე კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ამ დისკუსიების ნაწილის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რატომ გახდა ნაციონალიზმი ესოდენ ყოვლისმომცველი ფენომენი, სხვა დისკუსიების თემას წარმოადგენდა იმ სიძნელეების გადალახვის გზების მოძიება, რომლებიც თან ახლავს ნაციონალური მოთხოვნების შეთანხმებას, შერიგებას საერთაშორისო წესრიგის მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმი ხშირად განიხილებოდა, როგორც წარსულის გადმონაშთი, საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ იგი ერთდროულად უპირისპირდება გლობალიზაციის პროცესებს და მეორეს მხრივ კი თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სწორედ ამ პროცესების შედეგია.

ნაციონალიზმის უმთავრეს პარადოქსს კი წარმოადგენს ის, რომ იდეოლოგიიის სახით იგი გამოკვეთავს სახელმწიფოებისა და ხალხების ურთიერთგანსხვავებულ ხასიათს. ამასთანავე იგი იმ გლობალური პროცესის შედეგია, როდესაც ყველა ქვეყანა ჩართულია ერთიან პოლიტიკურ და ნორმატიულ სისტემაში.

ნაციონალიზმი ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება - როგორც იდეოლოგია და როგორც გრძნობა. პირველი მნიშვნელობით იგი ემყარება ნაციის, ერის ცნებას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს დამოუკიდებლობის, ირედენტიზმისა თუ სეცესიის გზით. მეორე მნიშვნელობით ნაციონალიზმი არის გრძნობა, რომლის მიხედვითაც ერი და ერი-სახელმწიფო არის უმაღლესი ღირებულება და მათდამი ლოიალობა დომინანტურია ყველა სხვა ლოიალობასთან შედარებით. ე.ი. ეროვნული ინტერესები მაღლა უნდა იდგეს პირად, ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ რელიგიურ თუ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე.

ნაციონალიზმიის წარმოშობა XVIII ს-ის ბოლოს მიეკუთვნება და საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის ომებს უკავშირდება. ევროპის ხალხების უმრავლესობამ მაშინ გააცნობიერა საკუთარი თავი კულტურულ ერთობად (რაშიც დიდი წვლილი შეიტანა მშობლიურ ენებზე წიგნებისა და პრესის სწრაფმა გავრცელებამ ანუ ე.წ. ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა) და მიზნად პოლიტიკურ ერთობად ქცევა დაისახა, რაც საკუთარი ეროვნული სახლმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

რა არის ერი ანუ ნაცია

ქართული ტერმინი და ცნება „ერი“ ზუსტად იგივეა, რაც ევროპულ ენებში და კერძოდ ინგლისურში მიღებული "nation". უცხო სიტყვატა ლექსიკონში ნაცია განმარტებული როგორც ერი. სიტყვა „ნაცია“ ანდა მისი ექვივალენტები, მრავალი საუკუნეა, რაც არსებობს და სხვადასხვაგვარად გამოხატავდნენ იმას, რასაც დღეს უნდა ვუწოდოთ ტომები, ხალხები, მონარქის ქვეშევრდომთა ჯგუფები, თემები. თემის, საზოგადოების გარკვეული იდეა, მისი საკუთარი ისტორიითა და იდენტურობით, და ხშირად საკუთარი ენითა და რელიგიით, ნებისმიერ კულტურაში არსებობდა.

უკანასკნელი ორი-სამი საუკუნის მანძილზე მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა ნაციონალიზმი, იგივე ერთი ერის ინტერესებისადმი ერთგულება.

ერი არის მოსახლეობა, რომელსაც გააჩნია ერთიანი მახასიათებელი ერთი ენა და კულტურა. შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ, ერის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება დიდ ტერიტორიაზე, ქმნის ერის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ საფუძველს, – საზოგადოებას. აქედან გამომდინარე სახელმწიფოები ქმნიან ერებს. ხოლო მეორეს მხრივ, ერი, რომელიც აცნობიერებს თავის თვითმყოფადობას იბრძვის და მოიპოვებს სუვერენიტეტს და უკვე ერები ქმნიან სახელმწიფოებს.

ერი არის სოციალურ-ისტორიული ერთობის ფორმა. იგი არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც აქვს საკუთრი სახელმწიფო და რომელიც ემსახურება მის ინტერესებს. შესაბამისად ეს არის დადგენილი ურთიერთობა პიროვნებას, საზოგადოებას და სახელმწიფოს შორის.

ამრიგად, ერი არის ერთიანი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ზნეობრივ-ფსიქიკური ღირებულებების, კულტურის საფუძველზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანების ერთობა;

ნაციონალიზმი - იდეოლოგია

ნაციონალიზმს, სოციალურ მეცნიერებაში არსებული მრავალი სხვა ტერმინის - დემოკრატიის, რევოლუციის, ლიბერალიზმის ანდა სოციალიზმის მსგავსად, საკმაოდ ფართო მნიშვნელობა გააჩნია და გამოიყენება ორი საკმაოდ განსხვავებული მოვლენის აღსანიშნავად. პირველ რიგში იგი წარმოადგენს პოლიტიკურდოქტრინას ან და იდეოლოგიას, ე.ი. არის იმ პოლიტიკური პრინციპების ერთობლიობა, რომლებსაც მხარს უჭერენ მოძრაობები და ინდივიდები. მეორეს მხრივ კი იგი არის სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა, ტენდენცია, რომელმაც უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მთელ მსოფლიოში მოიცვა ყველა საზოგადოება და მოახდინა მათი პოლიტიკური ტრანსფორმაცია.

ნაციონალიზმი არის იდეოლოგია რომელის მიხედვითაც ერი ანუ "ნაცია" (ლათ.: აცია) არის საზოგადოების ფუნდამენტური ნაწილი და ქვაკუთხედი. ამასთანავე ერის ინტერესი და ერთგულება ყველა ჯგუფისა და ინდივიდუალის ინტერესზე მაღლა უნდა იდგეს. თავდაპირველი ნაციონალისტური (ეროვნული) მოძრაობები ჩამოყალიბდა საფრანგეთში მეფის დასამხობად მოწყობილ 1793 წლის რევოლუციის შემდეგ. მოგვიანებით XX ს-ში ნაციონალისტუმა იდეებმა მოიცვა ევროპის მრავალი ქვეყანა. ამ პერიოდში გერ-

მანიაში მოვიდა ოტო ფონ ბისმარკის ნაციონალური მთავრობა, საფრანგეთში ნაპოლეონის, ხოლო იტალიაში ნაციონალისტების წინ სვლის შემდეგ ქვეყანა გაერთიანდა. XX ს-ის ორი დამანგრეველი მსოფლიო ომის მიზეზიც ნაციონალისტური იდეები გახდა (თუმცა ბევრად უფრო გადაჭარბებული თავისი დედაღერძისაგან, რომელიც ამ იდეოლოგიას გააჩნია). ამის გამო 1945 წლის შემდეგ ევროპაში ნაციონალიზმმა ერთგვარი, დროებითი კრახი განიცადა[5].

ნაციონალიზმმა, როგორც იდეოლოგიამ და სოციალურმა მოძრაობამ, უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების პროცესში. ამ ცოტა ხნის წინათაც კი ნაციონალიზმს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ნაციონალიზმი განიხილებოდა, როგორც წარსულის გადმონაშთი, 1945 წლამდე ევროპაში ომების მიზეზი, კოლონიალიზმის მიერ დატოვებული „მემკვიდრეობა“ მესამე სამყაროში, საერთაშორისო ურთიერთობების თანმხლები, შესაძლოა აუცილებელი, მაგრამ ამასთანავე ირაციონალური თვისება. დომინირებდა თვალსაზრისი, რომ სახელმწიფოები თანდათანობით დაივიწყებდნენ ნაციონალიზმს და საერთაშორისო წესრიგის უზრუნველსაყოფად, უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის, გამოიყენებდნენ ახალ ინსტიტუტებს, მაგალითად გაერო-ს ანდა ევროკავშირს. გლობალიზაცია, როგორც სახელმწიფოთა და საზოგადოებების მჭიდრო ინტეგრაციის ფორმა, ამ პროცესის ხელშემწყობად მიიჩნეოდა: შემცირდებოდა განსხვავებები სახელმწიფოთა შორის, მოსახლეობა გახდებოდა უფრო გახსნილი თანამშრომლობისა და ვაჭრობისათვის. იდენტურობისა და ლოიალურობის დონე, რასაც აქამდე ემყარებოდა ნაციონალური სახელმწიფო, შემცირდებოდა. აქედან გამომდინარე, თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო უფრო დაპირისპირებული გლობალიზაციის სულისკვეთებასთან, ვიდრე ნაციონალიზმი.

[5] Tanamedrove evropaSi ki nacionalizmi mravali politikuri kavSirisa Tu partiis mTavari ideologiaa. isini umetesad liberaluri-demokratiuli ideologiis, islamizaciisa da erovnuli suliskveTebis dasacavad gamodian. maT evropis TiTqmis yvela qveyanaSi parlamentSi hyavT deputatebi.

ნაციონალიზმი XVIII საუკუნის მიწურულიდან იწყებს გავრცელებას. XIXს. დასაწყისიდან ევროპა ნაციონალისტური მოძრაობების არნახული აღმავლობის ფაქტის წინაშე აღმოჩნდა - საბერძნეთში, გერმანიაში, იტალიასა და ირლანდიაში, უფრო მოგვიანებით კი ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის მულტიეთნიკურ იმპერიეBბში - ავსტრო-უნგრეთის, პრუსიის, რუსეთის, ოსმალეთის იმპერიებში. ნაციონალისტური მოძრაობების გააქტიურების შედეგად ეს იმპერიები თანდათანობით თმობდნენ თავიანთ პოზიციებს, სანამ I მსოფლიო ომის შემდეგ საერთოდ არ გაქრნენ მსოფლიო პოლიტიკური რუქიდან.

ნაციონალიზმის მახასიათებლები

ნაციონალიზმს აქვს უმთავრესი მახასიათებლები: **ერი, ეროვნული თვითშეგნებისა და ერთიანი მიზნის** ჩამოყალიბების მცდელობა და განსაზღვრა. ეს ნიშვანს ყოველი ინდივიდისათვის მიკუთვნების შეგრძნების არსებობა და მისი გადაწყვეტილებებისა და ცხოვრების საკმაოდ ღრმად დაკავშირება სოციალურ რეალობასა და ეროვნულ ინტერესებთან. თავისთავად ეროვნული ინტერესი ან ვერ იარსებებს, ან ძალიან ზოგადი იქნება, რადგან ინდივიდის ბუნებიდან გამომდინარე ყველას თავისი მიზანი აქვს, თუმცა ნაციონალიზმის ერთ-ერთი მცდელობათაგანია გააერთიანოს ინდივიდი იმ საერთოს ირგვლივ რაც ყველასათვის ნამდვილად ერთია და დაარწმუნოს ისინი, რომ ერისა და ქვეყნის ერთიანობა და სიძლიერე დაკავშირებულია უშუალოდ პირად სიძლიერესთან. მაგრამ ეს არ ნიშვს რაიმეში ჩაკეტვას და "ბნელი" სისტემის შექმნას, პირიქით, ნაციონალიზმი ერთის მხრივ დაკავშირებულია ხალხთან და იმასთან რაც ხალხისთვის იქნება კარგი, ხოლო მეორეს მხრივ ეძებს საშუალებებს რაც ამ საუკეთესომდე მიიყვანს მათ.

თანამედროვე ეტაპზე ნაციონალიზმის განვითარება და პროგრესი შედარებით სახეცვლილია. მისი ჭეშმარიტი ფორმის შენარჩუნება ნაციონალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ მოახერხა, რადგან უბრალოდ სიტყვა "ნაციონალიზმმა" შეიძინა აგრესიული ან შოვინისტური დატვირთვა, ხოლო ნაციონალ-დემოკრატია, ან ნაციონალ-ლიბერალიზმი, მის ჩვეულ, შემწყნარებლურ ფორმას წარმოადგენს.

ხშირად ნაციონალიზმი ფორმაცვალებადი სახით გვევლინება და რადიკალურ ფორმებსაც იღებს. მაგალითად შოვინიზმი[6], ფაშიზმი[7], რომელიც ფანატიზმთანაც ასოცირდება, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფორმაა და უახლოვდება რჩეულობის მოთხოვნას. ასეთივეა ექსპანსიური ნაციონალიზმი, რაც დაკავშირებულია სხვა ერების დაქვემდებარებულობაზე დომინანტი ერის მიმართ. არსებითად ნაციონალიზმის რადიკალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა ნაციონალ-სოციალიზმიც (ნაციზმი), რომელიც ერის განდიდებას, საერთო ნების ჩამოყალიბებას და ყველა მოწინააღმდეგის არსებით ჩაგვრაზეა მიმართული.

ნაციონალიზმს გამორჩეული მახასიათებლებიც აქვს: იგი თითქმის ყველა იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ეკონომიკურსა და სოციალურ სისტემას მიიღებს რაც კი იდეურად იქნება თანხვედრილი ერის მოთხოვნისა და საჭიროებისათვის. ამასთანავე ნაციონალიზმი, თავის თავში როგორც კონსერვატიზმს და ტრადიციონალიზმს, მეორეს მხრივ პროგრესის სიყვარულს მოი-

---

[6] შოვინიზმი (ფრანგ. chauvinisme) — სხვა ერების სიძულვილი, გადამეტებულ ნაციონალიზმი, რომელიც ქადაგებს ეროვნულ განსაკუთრებულობას. უფრო ზოგადად, შოვინიზმი შეიძლება აღნიშნავდეს რაიმე ჯგუფისადმი კუთვნილების ძლიერ გრძნობას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეს გულისხმობს სხვა ჯგუფების სიძულვილს (ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით განსხვავებული ჯგუფების სიძულვილს).

[7] ფაშიზმი (*იტალ. fascismo*) - პოლიტიკური მიმდინარეობა. წარმოიშვა იტალიაში, რომლის ფუძემდებელიც იყო ბენიტო მუსოლინი. მოგვიანებით მისმა იდეებმა პოპულარობა ჰპოვა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში გერმანიისდამარცხების შემდეგ მრავალ სახელმწიფოში ხსენებული იდეოლოგია აკრძალულ იქნა. მოგვიანებით ფაშიზმის იდეებმა გამოძახილი ჰპოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა ყოველი მათგანი არასტაბილურ და არასერიოზულ ხასიათს ატარებდა.

სადღეისოდ, ფაშიზმის მიმდევრობა არაპოპულარულად ითვლება და ხშირად ფაშისტად ნათლავენ ადამიანს, რომელსაც ამ მოძღვრებასთან საერთო არაფერი აქვს, ხოლო უარეს შემთხვევაში ფაშიზმად ითვლება უკიდურესი ნაციონალიზმის გამოვლინება. რეალურად ფაშიზმი წარმოადგენს ზენაციონალურ (გნებავთ ტრანსნაციონალურ) ნაციონალიზმს, რომელიც წარმოადგენს ე.წ. ლიბერალურ-დემოკრატიული გლობალიზაციის საპირწონე მიმდინარეობას.

არსებობს მოსაზრება, რომ ლიბერალური დემოკრატიის გლობალური მასშტაბით გაკოტრების შემთხვევაში ფაშიზმის იდეები ახალ გამოძახილს ჰპოვებენ თანამედროვე სამყაროში.

ცავს, რადგან სხვა მხრივ რეგრესირებადი ნაციონალიზმი აუცილებლად მიიღებს ჰიბრიდულ, ანუ შერეულსა და რადიკალურ ფორმებს.

ნაციონალიზმის ფორმირება

ნაციონალიზმის თანახმად, ცალკეული „ერები“ და შესაბამისად „ეროვნული გრძნობა“ ათასწლეულების მანძილზე არსებობს. მაგრამ საკუთრივ დოქტრინა შედარებით ახალი შექმნილია და იგი წარმოადგენს XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. I ნახევარში საერთაშორისო სისტემის შეცვლის შედეგს.

მიუხედავად ამისა, ტერმინ „ნაციისა“ და მასთან ასოცირებული „ნაციონალიზმის“ დოქტრინის თანამედროვე სახით გამოყენება XVIII ს-დან იწყება. ჩანს, რომ იგი შეიქმნა სამი გამოცალკევებული, მაგრამ ურთიერთკავშირში მყოფი ფაზის შედეგად. პირველი ფაზა ასოცირდება განმანათლებლობასთან და უპირველესად საზოგადოებათა თვითგამორკვევის პრინციპთან. ეს არის იდეა, რომლის თანახმადაც ხალხის ჯგუფს გააჩნია გარკვეული საერთო ინტერესები და მან უნდა გამოხატოს საკუთარი სურვილი თუ როგორ შეიძლება საუკეთესო გზით ამ ინტერესების განხორციელება. მეორე ფაზა ნაციონალიზმის იდეის ევოლუციისა საფრანგეთის რევოლუციიდან მომდინარეობს. „ნაციის“ ამ დემოკრატიულ და პოლიტიკურ კონცეფციას შეუერთდა მისი მესამე ფაზა, საბოლოო კომპონენტი – გერმანული რომანტიკული იდეა Volk-ის ანუ ხალხისა. სწორედ ამ სამი ფაზისაგან შეიქმნა ის პოლიტიკური დოქტრინა, რომელსაც დღეს ნაციონალიზმს ვუწოდებთ. იგი ალბათ ყველაზე მკაფიოდ იტალიელმა ჯუზეპე მაზინიმ წარმოაჩინა. მისი რწმენით, ერებს გააჩნიათ საკუთარი ეროვნული ტერიტორიები და უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი.

ნაციონალიზმი ფართო განვითარებას იწყებს ახალი პერიოდიდან, როცა moxda ევროპაში ცენტრალიზირებული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება. თავის მხრივ, ეს დაკავშირებული იყო ევროპის კონტინენტზე მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, როცა ასპარზეზზე გამოდის ახალი ფენა ბურჟუაზია ანუ მოხდა ბურჟუაზიული ერის ფორმირება. არადა ამ პროცესის გან-

ხორციელებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ის ძვრები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარეობდა. ახალ ეპოქაში ეს პროცესი წავიდა ორი გზით. პირველი, ფეოდალური იმპერიის ნანგრევებზე (ნიდერლანდები) ახალი ბურჟუაზიული ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებით, და მეორე, ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის პირობებში (საფრანგეთი) ახალი ბურჟუაზიული ერი ჩამოყალიბდა.

ბურჟუაზიული ერის ფორმირების პროცესი დაკავშირებული იყო ე.წ. მესამე წოდების გაზრდასთან, რომელიც აერთიანებდა წინაბურჟუაზიულ, პროლეტარულ და თავისუფალი პროფესიის (ინტელიგენციის) პირებს. სწორედ ისინი უწყობდნენ ხელს ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევას და ერთიანი სახელმწიფოს შექმნას.

დაძლია რა მეურნეობრივი კარჩაკეტილობა და იზოლირება ახალ პერიოდში ბურჟუაზიული ერი ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული ბაზრის შექმნის საფუძველზე. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი აქ ითამაშა ბურჟუაზიამ და გაბურჟუებულმა პროვინციელმა აზნაურებმა. ასევე მსხვილი ქალაქის წინაპროლეტარიატულმა მასამ, სწორედ ეს ფენები უჭერნენ აბსოლუტურ მონარქებს მხარს სახელმწიფოს უკიდურეს ცენტარლიზაციაში.

დაახლოებით 1500 წელს, საფრანგეთმა და ავსტრიამ დაიწყეს თავიანთი ერის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება. შედეგად ჩამოყალიბდა უზარმაზარი და ძლიერი ახალი ეროვნული-სახელმწიფოები. შემდეგში მათ დაიპყრეს და თავიანთ დაქვემდებარებაში მოაქციეს მცირე ზომის მეზობელი სახელმწიფოები. თუმცა, იგივე ნაციონალიზმი ძლიერ იარაღად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი და მრავალეროვანი სახელმწიფოების დაშლაში (მაგ. ავსტრია-უნგრეთი).

ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ნიდერლანდებს. ისინი ახალ პერიოდში პირველები გათავისუფლდნენ ესპანეთის ბატონობისაგან და ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ახალ ეპოქაში სახელმწიფოები წარმოებულ ომებში სხვადასხვა გზით ახდენდნენ თავიანთი მოსახლეობის მობილიზაციას. მაგ., შვედეთში, რუსეთში და სხვაგან სარეკრუტო წესი იყო, ანუ ხანგრძლივი სამხედრო სამსახურისათვის ათიდან მხოლოდ ერთი მამაკაცი ირიცხებოდა, ხოლო ნიდერლანდები საგარეო ვაჭრობიდან შემოსულ თანხას მუდ-

მივი პროფესიონალური არმიის (ჯარის) დასაფინანსებლად იყენებდა.

ასეთი სახის მობილიზაციამ ფართო მასშტაბები მიიღო საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების დროს. მაშინ ფრანგებმა შემოიღეს სავალდებული სამხედრო სამსახური და ეკონომიკა ცენტრალურ ადმინისტრაციულ ორგანოებს დაუქვემდებარეს. საფრანგეთის ჯარის შემადგენლობაში მხოლოდ სახელმწიფოს მოქალაქეები შედიოდნენ, დაქირავებულ ძალებს პირველ ეტაპზე საფრანგეთი არ იყენებდა. პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული მოსახლეობა საერთო მიზნის მისაღწევად დიდი ენთუზიაზმით ერთიანდებოდა.

1776 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქვეყნის მასშტაბებისა და მოსახლეობის მრავალფეროვნების მიუხედავად შტატების ხელისუფლებამ მოქალაქეებში საოცრად მაღალ დონეზე მოახერხა ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, რამაც განაპირობა მოქალაქეების სრული მობილიზაცია XIX ს-ის 60-იანი წლების სამოქალაქო ომშიც.

ამრიგად, ახალი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში, სახელმწიოფოების საგარეო პოლიტიკის წარმოებაში მნიშვნელოვან აქტორად მოგვევლინა ნაციონალიზმი.

ეროვნული სახელმწიფოები და ევროპული თანასწორობის სისტემა

სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში სახელმწიფო ინტერესების ფენომენის გააქტიურება იყო უპრეცედენტო გარღვევა შუა საუკუნოვან შეხედულებებთან მიმართებაში. შუა საუკუნებში დასავლეთ ევროპის მოსახლეობისათვის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები განიხილებოდა არა საჯარო სამართალზე დაფუძნებული, არამედ როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები. ამგვარი შეხედულებებები მომდინარეობდა რომის სამართლებრივი სისტემიდან და შუა საუკუნეების სამართალმცოდნეები მიიჩნევდნენ რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს ერთადერთ სუვერენად და სულიერი ლიდერად რომის პაპს.

ახალ პერიოდში, ამ კუთხით განხორციელებული ცვლილებები უკავშირდებოდა ახალი სოციალური ფენების გაჩენას. სახელმწიფოს მიერ ნაციონალური საგარეო პოლიტიკის გატარების კუთხით ძალზედ საინტერესოა ამან ჟან დიუ პლესისი ჰერცოგ რიშელიეს პიროვნება. სწორედ მან დასვა საკითხი ,,სახელმწიფო ინტე-

რესების“ შესახებ, როგორც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირი.

რიშელის პრინციპის ,,სახელმწიფოს (შემდეგში ეროვნული-ი.მ.) ინტერესების“ გამოცხადება იმ ახალ რეალობაში მოხდა რომელიც საფრანგეთისათვის XVII ს-ის I ნახ. შეიქმნა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, რიშელი თავისი მოქმედებით ევროპაში ოცდაათწლიან ომში (1618-1648) მხარს უჭერდა გერმანელ თავდაებს. ვინაიდან იგი თვლიდა, რომ ამ გზით საფრანგეთი გავიდოდა მდ. რაინის დას. სანაპიროზე, რომელიც მიიჩნეოდა ფრანგების ბუნებრივ საზღვრად. თუმცა, რიშელი საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებიდან გამომდინარე მიიჩნევდა გერმანიის დანაწევრების შენარჩუნებას.

რიშელის და მისი თანამოაზრეებისათვის არ არსებობდა ნორმანდია, ბურგუნდია, გასკონია, საღვთო რომის იმპერია და პაპის გვირგვინი. მათვის მთავრი იყო მხოლოდ საფრანგეთი და მისი გულისათვის ისინი ყველაფერს აკეთებდნენ. მაგ., როდესაც ისინი მხარს უჭერდნენ პროტესტანტებს კათოლიკების წინარმდეგ ბრძოლაში, იმავე დროს ეს ნიშნავდა ბრძოლას იმპერატორ ფერდინად II წინაარმდეგ.

სახელმწიფო ინტერესების და შესაბამისად ნაციონალური საგარეო პოლიტიკის გააქტიურება გახდა საფუძველი ძალთა ბალანსის სისტემის ფორმირებისა. მან თავისი გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფოთა პოლიტიკური თანასწორობის პრინციპში. წარმოიქმნა საერთაშორისო ურთიერთიობათა ის სისტემა, რომელმაც ამ ურთიერთობებში მოიტანა გარკვეული წესრიგი და მოვლენების წინასწარჭვრეტა. ანუ მარტივად რომ ვთქვათ ინტენსიური ხდება ზესახელმწიფოთა კონდომინუმის (ლათ.ცონდომინიუმ-საერთაშორისო სამართალში: ერთი და იმავე ტერიტორიის მართვა ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ) შექმნა. იდეა კი მომწიფდა მხოლოდ 1814-1815 წწ. ვენის კონგრესის მუშაობისათვის.

ვესტფალიის ომის შემდეგ ლუი XIV-ის საფრანგეთი საკმაოდ გაძლიერდა. ვერსალი სასახლე ევროპაში ყველაზე ბრწყინვალე იყო. საფრანგეთის მეფის ყველას ეშინოდა. ფრანგული ენა გახდა დიპლომატიის და საერთაშორიო შეთანხმებების ოფიციალური ენა. და ეს კოლოსალური ძალა მიმართული იყო მსოფლიო არენაზე ფრანგული მრეწველობის და სავაჭრო ინტერესის დაცვა—დაწინაურებისაკენ.

ლუი XIV ამბიციები არ თავსდებოდა საკუთრივ საფრანგეთის საზრვებში. დაიწყო იმპერიის საზღვრისპირა ტერიტორიების შემოერთება.

საფრანგეთის წარმატებებმა და გაძლიერებამ შეაშფოთა მთელ ევროპა. შედეგად შეიქმნა ანტიფრანგული კოალიციები, რომელშიც სხვადასვა დროს შევიდნენ რომის საღვთო იმპერია, ჰოლანდია, გერმანიის და იტალიის მმართველები, ესპანეთი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შვეცია. საფრანგეთის ირგვლივ მტრების რკალი შეიქმნა. შედეგად საფრანგეთი დამარცხდა კოალიციასთან და ერთიანად შეირყა მისი ძლევამოსილების იმიჯი.

ამრიგად, საფრანგეთის ჰეგემონისტური მისწრაფებების აღკვეთისათვის, ნაციონალურმა სახელმწიფოების არსებულმა სისტემამ, როემლიც ეფუძნებოდა ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპს გამოავლინა თვითრეგულირების უნარი.

საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი პრინციპი — ეროვნული სუვერენიტეტი

სუვერენიტეტი წარმოდგება ლათინური სუპერანუს, სუპერანიტას და ძველი ფრანგული სოუვერაინ-იდან. სუვერენიტეტი, ეტიმოლოგიურად, ნიშნავს მას, რასაც უპირატესობა აქვს სხვების წინაშე და დასაბამს იღებს ანტიკური ეპოქიდან. სუვერენიტეტი ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური თეორია, რომელმაც მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა იურიდიული ნიშნები. თავისი განვითარების პროცესში სუვერენიტეტს ყოველთვის უფრო პოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა. ასე იყო ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული დაპირისპირების, ხოლო მოგვიანებით, მეფის აბსოლუტურ ხელისუფლებასა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენა შორის წარმოშობილი წინააღმდეგობის შემთხვევებში.

ეროვნული სუვერენიტეტის თეორია შემუშავდა აღორძინების ეპოქაში და მის თანახმადა უმაღლესი ხელისუფლების წყარა მოქალაქეები, ხოლო ერი ეს არის სრულუფლებიანი მოქალაქეების ერთობა). სუვერენიტეტის ცნება, მისი თანამედროვე მნიშვნელობით, პირველად მე-16 საუკუნეში გამოიყენა ფრანგმა მეცნიერმა ბოდენმა. ბოდენის მიერ ჩამოყალიბებული სუვერენიტეტის თეორიის აბსოლუტისტური საფუძვლები კიდევ უფრო განავითარა ჰობსმა. სუვერენიტეტის ცნება მოიცავს ორ ელემენტს: 1. სუვერენი უზენაესი ძალაუფლების მატარებელია და 2. სუვერენიტეტი არის თვითონ უზენაესი ხელისუფლება საერთოდ ან რომელიმე სა-

ხელმწიფო ფუნქციასთან მიმართებაში.სუვერენიტეტი, როგორც უზენაესი ხელისუფლება, არის ლოგიკური აბსტრაქცია.

ამ თეორიის პირველი ხმამღალი განაცხადი გაკეთდა 1775-1782 წწ. ჩრდილოეთ ამერიკული შტატების მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლის დროს. მოგვიანებით იგი აისახა საფრანგეთის კონსტიტუციაშიც.

მეფის ღვთიური წარმოშობის თეორიის გვერდით გამოცხადდა ერის უზენაესობის პრინციპი. ევროპის ქვეყნებში შეიქმნა კონსტიტუციები, რომელიც აღიარებდა სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობას, საშინაო და საგარეო საქამეებში ჩაურევლობის პრინციპს.

სუვერენიტეტი სამართლის თეორიის ცნებაა. სუვერენიტეტი (იურიდიული გაგებით) წარმოადგენს არაწარმოებულ, ყოვლისმომცველ და, მაშასადამე, უზენაეს ხელისუფლებას. ხელისუფლების იურიდიულად არაწარმოებადი ხასიათი შეესაბამება სახელმწიფოს იდეას, ხოლო საკითხი, თუ ვინაა სუვერენული – სახელმწიფო, თუ სახელმწიფო ერთობა – ეს იურიდიული დოგმატიკის საკითხია. ფედერალიზმისგან განსხვავებით სუვერენიეტი აღიარებს სამართლებრივ მონიზმს, სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობას და განუყოფლობას.

სუვერენიტეტი (გერმ. სოუვერანიტატ) - ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა. სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში ასხვავებენ სახელმწიფო, ეროვნულ და სახალხო სუვერენიტეტს. სუვერენიტეტი (უზენაესი ხელისუფლება) — ექსკლუზიური უზენაესობა, უზენაესი უფლებების ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოსა და მის მეთაურს ეკუთვნის. ქვეყნის სუვერენიტეტი მის სრულ დამოუკიდებლობას ნიშნავს. სახელმწიფო სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეროვნულ სუვერენიტეტს უწოდებენ ერის სრულუფლებიანობას, მის პოლიტიკურ თავისუფლებასა და რეალურ შესაძლებლობებს, განსაზღვროს თავისი ცხოვრების ხასიათი პოლიტიკური თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით. სახალხო სუვერენიტეტი არის ხალხის სრულძალაუფლებიანობა, მისი უფლებამოსილება, რეალურად მონაწილეობდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.სხვა სიტყვებით, სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყნის ტერიტორიის ყველა წესი და კანონი თავად ამ ტერიტორიის მიერ წესდება, და

მხოლოდ მის მიერ. სახელმწიფო სუვერენიტეტის გარეშე სახელ-მწიფო არ არის და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ნაწილს ან კო-ლონიას წარმოადგენს.

სახელმწიფო სუვერენიტეტი ეს არის მსოფლიოს ტერიტო-რიული დაყოფა იმისათვის, რომ ხელისუფლებამ განახორციელოს ექსკლუზიური ძალაუფლება მოცემულ დონეზე, მოვლენები უნდა ხდებოდეს ფიქსირებულ ადგილებზე, რომლებიც იურისდიქციით უნდა იყოს შემოსაზღვრული. გლობალიზაციის პირობებში კი სა-ზოგადოებრივი ურთიერთობები იძენს მკაფიოდ გამოხატულ ზე-ტერიტორიულ ხასიათს და საზღვრები უპრობლემოდ გადაილახე-ბა ელქტრონული თუ სხვა გზებით. ამდენად, სუვერენიტეტის ეფექტურად განხორციელების საშუალება მცირდება.სახელმწიფო სუვერენიტეტი ვრცელდება შიდა წყლებზე, ტერიტორიულ ზღვა-ზე, მიმდებარე ზონაზე, გეზ-ზე, კონტინენტურ შელფზე. აქედან აბსოლუტური სუვერენიტეტი ვრცელდება შიდა წყლებსა და ტე-რიტორიულ ზღვაზე. სახელმწიფო საზღვარი ზღვაზე ამ შემთხვე-ვაში გადის ტერიტორიულ ზღვაზე.

ეროვნული სუვერენიტეტის თეორიის თანახმად მოქალაქე-ებს აქვთ უფლება თვითონ განსაზღვრონ თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და მთლიანად ქვეყნის ბედიც. სწორედ დამოუკიდებ-ლობის ფენომენი ედვა საფუძვლად ჩრდილოეთ ამერიკულ კოლო-ნიებში დაწყებულ აჯანყებას ბრიტანეთის ბატონობის წინააღ-მდეგ. სადაც სუვერენიტეტის იდეამ თავისი გაქანება ჰპოვა და 1776 წელს გამოაცხადდა ამერიკის შერთებული შტატების დამოუ-კიდებლობა, რომელიც დიდმა ბრიტანეათმა მხოლოდ 1783 წელს აღიარა.

ნაციონალიზმი სხვა ყველა იდეოლოგიებისაგან განსხვავდება, თუნდაც იმით, რომ ყველაზე ნაკლებad გავს იდეო-ლოგიას და ხშირად განცდის ან უბრალოდ მიკუთვნებულობის შეგრძნებასთან ასოცირდება, მაგრამ, ასეა თუ ისე, იგი მაინც იდეოლოგიაა და ყველანაირად აქვს არსებობის უფლება, მით უფ-რო მის ცვალებად და ჰიბრიდულ ფორმებს

ამრიგად, ახალ პერიოდში ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა ახლი პრინციპი – ეროვნული სუვერენიტეტი, რაც მნიშვნელოვანწილად ნაციონალიზმის განვითარებასთან იყო და-კავშირებული.

ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები

ნაციონალიზმის დოქტრინის გაძლიერებისა და გავრცელების შედეგები საერთაშორისო ურთიერთობებისათვის მრავალი სახისაა. ერთის მხრივ ეს არის ნაციონალიზმის ჩართვა საერთაშორისო სისტემაში, მეორეს მხრივ კი ის ანალიტიკური და ეთიკური პრობლემები, რომელთაც ნაციონალიზმი წამოჭრის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისა და პრაქტიკისათვის.

შედეგების თვალსაზრისით, ოთხი უმთავრესი უნდა გამოიყოს: პირველ რიგში **ნაციონალიზმმა გამოიწვია სახელმწიფოთა სისტემისათვის ახალ ფასეულობათა, ლეგიტიმიზაციის ახალი სისტემის დამკვიდრება**. სუვერენიტეტისა და ჩაურევლობის ტრადიციული, ვესტფალიის სისტემისათვის დამახასიათებელი გამართლების გარდა, სახელმწიფოთა სისტემას ამჟამად სურს გამოხატოს ცალკეული, ინდივიდუალურად ლეგიტიმური ხალხების ინტერესები. აქედან მომდინარეობს „ეროვნული სახელმწიფოს“ კონცეფციის მნიშვნელობა და ის, რომ, სახელმწიფოებმა უნდა გამოხატონ ერთა ინტერესები (საკუთრივ ტერმინი „საერთაშორისო“ გამოხატავს ამ ორაზროვნებას. იგი 1780 წელს გამოიგონა ინგლისელმა პოლიტიკურმა თეორეტიკოსმა ჯერემი ბენთჰემმა, რათა განესაზღვრა სამართლის ფორმა, რომელიც არსებობდა სხვადასხვა რომაულ ტომებს შორის ურთიერთობისას. შემდგომში იგი აღნიშნავდა „სახელმწიფოთაშორისო“ ურთიერთობებს, რაც ასევე მოიცავდა „ერთაშორის“ ურთიერთობებს). თვითგამორკვევა გახდა თეორიულად საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი და არსებული საერთაშორისო წესრიგის სავარაუდო საფუძველი. როგორც ერთა ლიგის ხელშეკრულება, ისე გაერო-ს ქარტია ითავისებს ამ თვალსაზრისს და სწორედ მისგან წარმოდგება საერთაშორისო სამართლის სისტემა. სახელმწიფოებს პრატიკული საქმიანობისას შეუძლიათ გამოხატონ ან არ გამოხატონ საკუთარი ხალხების ინტერესები, მაგრამ დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში, დიპლომატიასა და სამართალში, თეორიულად ისინი მოვალენი არიან ამგვარად მოიქცნენ.

მეორე შედეგი არის ის, რომ **ნაციოონალიზმი გამოიყენებოდა როგორც მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული კომპონენ-**

ტი სახელმწიფო აღმშენებლობისათვის, საერთო იდენტურობისა და საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობის ფორმირებისათვის. ბუნებრივია, ლოიალურობის ფორმები მანამდეც არსებობდა. - ისტორიის მანძილზე ადამიანები თავს წირავდნენ საკუთარი საზოგადოების საკეთილდღეოდ და ეს მოვალეობად მიაჩნდათ. მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოსათვის, რომელიც აღმოჩნდა ქალაქებში ადამიანების მძლავრი ნაკადების მოდინების ფაქტის წინაშე და რომელსაც სჭირდება რესურსების მობილიზება გარეგანი მოქიშპეების უკუსაგდებლად და საფრთხის უვნებელსაყოფად, განსაკუთრებულად მნისვნელოვანი გახდა ნაციონალური იდენტურობისა და მიზნების ფორმირება. ყოველივე ამის რეალიზაციის საშუალებებს წარმოადგენს განათლება, ეროვნულ ჯარში სამსახური, ეროვნული ისტორიის აპოლოგია, პატრიოტული ფილმების გადაღება. ეს ხელს უწყობს ხალხში საერთო იდენტურობის გრძნობის გაძლიერებას და სახელმწიფოსადმი მორჩილების დონის გაზრდას. ნაციონალიზმის მკვლევარები ხშირად ამტკიცებენ, რომ ნაციონალიზმი ამგვარი ქადაგება განსაკუთრებით ძლიერია ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს საზღვრები და იდენტურობა შეიძლება იყოს სრულიად ახალი და გარედან თავსმოხვეული ხასიათის. ოფიციალური ნაციონალიზმის ქადაგება უეჭველად არის მესამე სამყაროს სახელმწიფოების მიერ წარმართული ეროვნული აღმშენებლობის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ეს არ ეხება მხოლოდ მესამე სამყაროს. განვითარებულ ქვეყნებშიც - აშშ-ში, საფრანგეთსა თუ დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო ასევე ზრუნავს ეროვნული იდენტურობის გაძლიერებასა და ნაციონალური მიზნების ჩამოყალიბებაზე. განათლებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით იგი გახდა ნაწილი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის კავშირის ფორმირებისათვის, აუცილებელი საშინაო კომპონენტი საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს ავტორიტეტისა და ძალოვანების ფორმირების პროცესში. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია წარმატებას მიაღწიოს საერთაშორისო არენაზე თუკი იგი იგი საკუთარი საზღვრების შიგნით არ ზრუნავს ეროვნული იდენტურობის გაძლიერებასა და ნაციონალური მიზნების ჩამოყალიბებაზე.

მესამე შედეგით, **ნაციონალიზმი წარმოადგენს უძლიერეს იარაღს საერთაშორიოს პოლიტიკურ რუქაზე ცვლილებათა შე-**

ტანის საქმეში - ე.ი. სახელმწიფოებს შორის საზღვრების განსაზღვრასა და მათ ტერიტორიებზე. თეორიულად ეს ნიშნავს, რომ რუქა ასახავს ხალხების გადანაწილებას დედამიწაზე. მაგრამ პრაქტიკაში, ხშირ სემთხვევაში, ამ რუქის კონტურებს ისტორიული შემთხვევითობა განაპირობებს - ომები, კოლონიური ეპოქის შემდეგ საზღვრების ხელოვნური შექმნა. გარკვეულწილად ასევე შემთხვევითობას წარმოადგენს საზღვრები აშშ-სა და კანადას, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის. მიუხედავად ამისა, ნორმა, რომ რუქა უნდა შეესაბამებოდეს ხალხთა განსახლებას, კვლავაც უბიძგებს სახელმწიფოებს იზრუნონ „სამემკვიდრეო“ ტერიტორიების მოპოვებაზე. როგორც აღინიშნა, კომუნიზმის კოლაფსმა გამოიწვია როგორც სახელმწიფოთა გაერთიანება, ისე მათი დაშლა და შესაბამისად პოლიტიკურ რუქასთან დაკავშირებული მრავალი ახალი პრობლემა შექმნა.

ნაციონალიზმის მეოთხე შედეგი **საერთაშორისო ურთიერთობებისათვის არის ის, რომ იგი წარმოადგენს კონფლიქტებისა და ხშირად ომების წყაროს.** ომთაშორის პერიოდში დავამ ტერიტორიული დაყოფის შესახებ, შექმნა რწმენა, რომ თვითგამორკვევის პრინციპს უნდა უზრუნველეყო მშვიდობა ხალხებს შორის. მაგრამ ამგვარად არ მოხდა. ნაცისტურმა და იაპონურმა ექსპერიმენტებმა შექმნეს თვალსაზრისი ნაციონალიზმის დამანგრეველი ძალის შესახებ. ნაციონალიზმი გამოიყენება დიქტატორული რეჟიმების მიერ შიდა ოპოზიციის ჩასახშობად, ასევე გარე აგრესიასთან დასაპირისპირებლად. ნაციონალისტური დაპირისპირების შედეგები გახდა უკანასკნელი პერიოდის კონფლიქტები ყოფილ იუგოსლავიაში, ქაშმირში, შრი-ლანკაში, არაბულ-ისრაელის დაპირისპირებაში.

თემა VIII

საერთაშორისო ურთიერთიობები და გლობალიზაცია

რა არის გლობალიზაცია?

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივი განვითარება დედამიწაზე მიმდინარეობს დიდი, ერთიანი პროცესის ფარგლებში, რომელიც გლობალიზაციის სახელითაა ცნობილი.

ტერმინი გლობალიზაცია ინგლისურ სიტყვა ,,Globe-ს" უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო საკუთრივ Globe-ს დღეისათვის დაკავშირებულია მსოფლიოს, გლობალურის აღნიშვნასთან. ტერმინ გლობალიზაციის სამეცნიერო წრეებში დამკვიდრება დაკავშირებულია ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელთან, რომელმაც ის 1983 წელს გამოიყენა.

გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის დრამატული ზრდით. ასევე ის ასახავს ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას ბარიერთა რღვევისა და ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულიბის ზრდის შედეგად. ე.ი. გლობალიზაცია აღნიშნავს პროცესს, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოში ეროვნული ეკონომიკების ურთიერთგადაჭდობის და სხვადასხვა ხალხების დაახლოების სახით. თუმცა, გლობალიზაცია მხოლოდ ეკონომიკურ გაერთიანებას როდი აღნიშნავს, გლობალიზაცია გამოიყენება კულტურული და პოლიტიკური გაერთიანებების აღსანიშნავადაც.

არსებობს გლობალიზაციის რამდენიმე განმარტება, მაგალითად: გლობალიზაცია არის -

- ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა;

- გლობალური, საერთო-საკაცობრიო პრობლემების აღმოცენება;

- რამდენიმე ქვეყნის მიერ მსოფლიოზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება;

- ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესების გავრცელება მთელს მსოფლიოში;

- ქვეყნების მიერ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა.

უფრო კონკრეტულად ზემოთქმული რომ განვავრცოთ თითოეულ კომპონენტში შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია არის ურთიერთობათა სისტემა, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს წამყვან მოთამაშეს და/ან მოთამაშეთა ჯგუფს (უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით) შეუძლია(თ) ისეთი პროცესების ინიცირება და მათზე ამა თუ იმ სახით გავლენის მოხდენა, რომლებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებს მსოფლიოს მასშტაბით.

ან კიდევ, გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების გასაზოგადოება-ინტერნაციონალიზაცია. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის გამიცდილების სწრაფი გაცვლა.

რაც შეეხება მსოფლიოს წამყვან, გავლენიან მოთამაშეებს, საერთაშორისო არენაზე ისინი შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა სუბიექტით, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან შესწევთ უნარი გავლენა მოახდინონ მის მიღებაზე. ასეთი შესაძლებელია, სახელმწიფოების გვერდით იყოს ნებისმიერი კერძო პიროვნება, საზოგადო მოღვაწე თუ ორგანიზაცია (კერძო, საჯარო, ეროვნული თუ ზეეროვნული, სახელმწიფო თუ არასამთავრობო), ვისაც შეუძლია მოახდინოს გადაწყვეტილების ინიციირება, რომელსაც საბოლოო ჯამში მოსდევს მსოფლიო მასშტაბის სისტემური ცვლილებები. უმეტეს შემთხვევებში ასეთებად გვევლინებიან სუვერენული სახელმწიფოები, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი ცვლილებების გენერირების უნარი. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ესა თუ ის ცვლილება ეფექტურად განხორციელდეს, საჭიროა მისი კოდიფიცირება, ფორმალიზაცია და ლეგალიზაცია საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეებზე. ეს კი საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობით მიიღწევა, რომელიც საერთაშორისო არენაზე წარმოდგენილია კერძო, საჯარო, ეროვ-

ნული თუ ზეეროვნული, სახელმწიფო თუ არასამთავრობო სუბიექტებით სახელმწიფოებთან ერთად.

ძოგადად, გლობალიზაციას საფუძვლად უდევს პროცესი, რომელიც ცნობილია როგორც - ექსპანსია - (ლათინურიდან expansio - გაფართოვება, გავრცელება) - ანუ რაღაცის ზომის, მოცულობის, რაოდენობისა ან ზღვარის გაფართოვებაზე მიმართული ქმედება. ფაქტიურად გლობალიზაცია შესაძლებელია დახასიათდეს როგორც - დედამიწის სასრულ სივრცეში ლოგიკურ ზღვარს მიღწეული ექსპანსია.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისათვის დიდი ხნის მანძილზე ექსპანსია არის პროცესი, რომელიც არა მარტო უშუალოდ ექვემდებარება დაგეგმვას, არამედ ხშირად გეგმიური ღონისძიების ხასიათს ატარებს. საკუთრივ ექსპანსიის რეალიზაციის კონკრეტულ მექანიზმებს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვთ. ის შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ.

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე სამხედრო ექსპანსია წამყვანი ქვეყნებისათვის გამონაკლისს წარმოადგენს. მას როგორც უკიდურეს საშუალებას მიმართავენ, თუმცა არც ისე დიდიხნის წინ ის ექსპანსიის ძირითად სახეს წარმოადგენდა.

ზოგადად „გეგმიური" ექსპანსია ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგზე და მიმდინარეობს კონტროლირებად გარემოში. ამის ტიპური მაგალითია ევროგაერთიანების პროცესი.

ამავე დროს არსებობს ექსპანსიის ნაკლებად კონტროლირებადი, სპონტანური პროცესი, რომელიც აბსოლუტური შედეგების მისაღებად ხორციელდება. ასეთი სახის ექსპანსიასთანაა დაკავშირებული ყველა მსხვილმასტაბიანი ცვლილებები ჯერ რეგიონალურ, ხოლო შემდგომ გლობალურ დონეზე, რომელიც კაცობრიობას განუცდია.

დღესდღეობით ერთადერთი საზოგადოება, რომელსაც შესწევს ასეთი ტიპის ექსპანსიის უნარი, ამერიკის შეერთებული შტატებია.

სპონტანური ექსპანსიის წარმატებული რეალიზაციის ყველაზე ცნობილი მაგალითებია: ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა; რომის იმპერიის შექმნა; არაბების ექსპანსია; მონღოლთათართა დაპყრობები; ესპანეთისა და ბრიტანეთის კოლონიური

იმპერიების შექმნა; მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის აშშ-ს გლობალური ექსპანსია.

ზემოთ აღნიშნულ ყველა შემთხვევაში ექსპანსიის შედეგად ათვისებული სივრცე უზარმაზარი იყო. ესპანეთის ექსპანსია თავისი გამოვლენით გლობალურს უახლოვდებოდა, მაგრამ, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპულმა კოლონიურმა ექსპანსიამ დაუდო დასაბამი გლობალიზაციას როგორც პროცესს, რაც განპირობებული იყო:

1. საბაზრო ურთიერთობების და კერძო საკუთრების დამკვიდრებით, რაც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში საშუალებას იძლეოდა ეფექტურად, დიდი მოგებით გამოეყენებინათ ის რესურსები, რომლებზეც ეს ქვეყნები ამყარებდნენ კონტროლს, ექსპანსიის შედეგად. ესპანეთი, სადაც მისი წარმატების პიკზე ასეთი ურთიერთობების რეალურად არ იყო, მან ვერ გამოიყენა ამერიკაში მოპოვებულ სიმდიდრეს – ვერ გამოიყენა ის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე;

2. სამრეწველო რევოლუციის შედეგად მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა მიიღეს ტექნოლოგიები, რომლებმაც არა მარტო გაზარდეს მათი საშუალებები მოეპოვებინათ, გადაეზიდათ და ეფექტურად გადაემუშავებინათ მათ განკარგულებაში აღმოჩენილი რესურსები, არამედ მოეპოვებინათ ინფორმაცია პოტენციულ თუ რეალურ მოწინააღმდეგეზე, მიეწოდებინათ ის გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის, მოეხდინათ სწრაფი რეაგირება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილ სიტუაციებზე იქ დამატებითი რესურსების (ჯარის, ტექნიკის) გადასროლის ხარჯზე, ეზრუნველეყოთ გადამწყვეტი უპირატესობა მოწინააღმდეგეზე ბრძოლის ველზე.

3. საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალი სისტემის შექმნა, რომლის ფარგლებში ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო შეგნებულად, დაძალების გარეშე მიეღო მონაწილეობა მისი ქვეყნის მიერ ინიცირებულ პროცესებში, დაეცვა მისი ინტერესები და შეეძლო ამ პროცესში მოხვეჭილი სიმდიდრე ლეგალურად გამოეყენებინა საკუთარი გამდიდრებისათვის.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი კი ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომლებიც საკმარისია მასზე მკაფიო წარმოდგენა შევიქმნისათვის. კერძოდ,

1. გლობალიზაციის ფარგლებში ყველა პროცესი ღია და ორმხრივია. არსებობს უკუკავშირები პროცესების ინიციატორებსა და მათ ობიექტებს შორის. ე.ი. ნებისმიერი ინიციატივა ამა თუ იმ სახით გარდაუვლად ასე თუ ისე უბრუნდება ინიციატორს. ნებისმიერი ინიციატივა მსოფლიო მასშტაბით გავრცელების პროცესში გარდაუვლად იცვლის სახეს, მახინჯდება; შესაძლებელია საბოლოო ჯამში თავისი საწინააღმდეგო სახეც კი მიიღოს.

2. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს, შეუერთდეს თუ არა ამ პროცესებს და რა სახით. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ეს არჩევანი ნებაყოფლობითი ან იძულებითია. საბოლოო ჯამში, ისინი შესაძლებელია დავიდეს საბაზრო ეკონომიკის განვითარებამდე, კონკურენტული ბაზრების შექმნამდე, საზღვრების გახსნამდე საქონლისა და კაპიტალის თავისუფლად გადასაადგილებლად და ტრანსნაციონალური კორპორაციების შეუზღუდავ დაშვებაზე იმ ქვეყნების საშინაო ბაზრებზე, რომლებიც გლობალიზაციის პროცესების გავლენას განიცდიან. ეს მკვეთრად ზრდის ნებისმიერი ცალკე აღებული ქვეყნის პასუხისმგებლობას საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის.

3. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უპირატესობა სხვებთან შედარებით იმდენად დიდია, რომ ისინი აღარ წარმოადგენენ „დახურულ კლუბს“, როგორც ეს გლობალიზაციის დასაწყისში იყო. მათ არ ეშინიათ დედამიწაზე მერიტოკრატიული სისტემის არსებობისა. პირიქით, გლობალიზაციის პროცესების ფარგლებში ნებისმიერ ქვეყანას უქმნიან „შესაძლებლობათა სარკმელს“, რომელიც ნებისმიერს შეუძლია გამოიყენოს იმისათვის, რომ წამყვან სახელმწიფოთა რიცხვს შეუერთდეს.

4. თანამედროვე ტექნოლოგიები (მართვის, კომუნიკაციური, ინფორმაციის დამუშავების, სამხედრო და ა.შ.) ისეთია, რომ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს დედამიწის ნებისმიერ კუთხეში შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა ტერიტორიაზე უშუალო სამხედრო თუ ადმინისტრაციული კონტროლის დამყარების გარეშეც.

ამრიგად, გლობალიზაციის შედეგები ვლინდება გლობალური სისტემების შექმნაში, რომლებიც მკაფიოდ გამოხატულ ქსელურ ხასიათს ატარებენ. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ფაქტობრივად გადაფარულია საწარმოო, ფინანსური, სავაჭრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, საინფორმაციო და ა.შ. ქსელებით. მსგავსი ურთიერთობები ვითარდება, არსებობენ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში და ქმნიან გლობალურ ეკონომიკურ სისტემას. ამ სისტემაში ჰორიზონტალური კავშირები აშკარად დომინირებენ ვერტიკალურზე, მას არ გააჩნია ერთიანი სამართავი ცენტრი, ის დიდწილად თვითრეგულირებადია და ფუნქციონირების პროცესში ნაკლებ ყურადღებას აქცევს მსოფლიოში არსებულ ფორმალურ საზღვრებს.

გლობალიზაციის ძირითადი ასპექტები

ტრადიციულად საუბრობენ გლობალიზაციის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებზე. თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი მოვლენის განსხვავებულ განშტოებას.

კულტურული გლობალიზაცია

კულტურული გლობალიზაცია მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლასა და ერთსახოვანი გლობალური კულტურის ფორმირებას. ე.ი. კულტურული გლობალიზაცია გულისხმობს კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას, კულტურული ღირებულებების გაცვლის პროცეს.

გლობალური კულტურა დასავლური სამყაროს პირმშოა და მასთან დაკავშირებული პროცესები მომდინარეობენ თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი მეტროპოლიებიდან და კულტურის უმსხვილესი ცენტრებიდან. ესენი არიან თანამედროვე ახალი ,,*კულტურული იმპერიები.*" ამგვარი გლობალური კულტურა და იდეები ყოველთვის წინააღმდეგობაშია და შეუთავსებადია სახელმწიფოს ძალისმიერ პოლიტიკასა და, რაც ყველაზე მთავარია, თითოეული ქვეყნის კულტურულ მახასიათებლებთან.

ზოგიერთ ქვეყანაში კულტურული გლობალიზაციის პროცესი დიდ წინააღმდეგობებსა და შეზღუდვებს აწყდება. ყოველი ქვეყნის კულტურა გამოირჩევა საკუთარი ბუნებით, სპეციფიკით,

თვითმყოფადობით, ისტორიით, თვისებებითა და ტრადიციებით, ღირებულებებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად აფერხებენ ე.წ. კულტურული იმპერიალიზმის მზარდ პროცესს. მაგრამ ხდება პირიქითაც, როდესაც ქვეყნის კულტურა იზღუდება, იჩრდილება, ან ცვლილებას განიცდის გლობალური კულტურის მიერ. მიუხედავად ამგვარი გავლენისა, ქვეყნის, ერის კულტურა მაინც ინარჩუნებს საკუთარ ბუნებას, რადგან მას გლობალიზაციის მავნე პროცესებისაგან გარკვეული სახის „თავდაცვითი მექანიზმები“ გააჩნია. აქ, გარკვეულწილად, იგულისხმება ის მახასიათებლები, რომლებიც თითოეული ერის, ეროვნული კულტურის განმასხვავებელ ნიშნებს მოიცავს. *ესენია:* 1) ეროვნული ხასიათი, 2) ისტორია, 3) ერისადმი კუთვნილების აღქმა და განცდა, 4) დროის ფაქტორი, 5) გარკვეულ სივრცეში არსებობა, 6) ენა, 7) არავერბალური კომუნიკაცია, 8) ღირებულებანი და ფასეულობანი, 9) ქცევა: ნორმა, წესები, ტრადიციები და ჩვეულებები, 10) სოციალური ჯგუფები, გაერთიანებები და კავშირები.

გლობალიზაციის ერაში კულტურის თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია თავად იმ ქვეყნის, ერის, მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე, იმაზე, თუ რამდენადაა ის ეროვნულად შეკრული და გაერთიანებული, რამდენად ძლიერი, ღრმაა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია ეს ტრადიციები, რამდენად მიიღებს მათი კულტურა გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს. მიუხედავად იმისა, რომ ერის როლი და მისი ფუნქცია სწორედ ამგვარი გარდაქმნების ფონზე საგრძნობლად შესუსტდა, იგი მაინც არსებობს და ზოგ ქვეყანაში გზასაც უღობავს და აფერხებს გლობალურ ცვლილებებსა და სიახლეებს, რაც მათი ეროვნული, თვითმყოფადი კულტურისათვის მიუღებელია.

თანამედროვე გლობალური კულტურა, პირველ რიგში, ტექნოლოგიური ცივილიზაციის შემომტანია მსოფლიოში. მისი კოსმოპოლიტიზმი ძირითადად ეფუძნება უდიდეს ტექნოლოგიურ ბაზას კომუნიკაციის ყოვლისმომცველი სისტემით, რომელიც თავისთავად ქმნის მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ, კულტურულ კავშირებს. ამგვარ უნივერსალურ-კულტურულ პროცესებს არა აქვთ კონკრეტული ისტორიული საფუძველი, არც

განვითარების სპეციფიური, მახასიათებელი რიტმი და თანმიმდევრობა. კულტურული გლობალიზაცია მესამე სამყაროს ქვეყნებსა და არადასავლურ საზოგადოებაში განსაკუთრებულად და ყველაზე მეტად იგრძნობა. იგი აქ ადგილობრივი კულტურისათვის სრულიად უცხო და ახალ ელემენტებსა და ღირებულებებს ამკვიდრებს.

ეკონომიკური გლობალიზაცია

ეკონომიკური გლობალიზაცია არის ობიექტური მსოფლიო პროცესი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია. იგი პლანეტას ერთიან ორგანიზმად აყალიბებს და ხელს უწყობს მისი ყველაზე დაშორებული კუთხეების განვითარებას.

ეკონომიკის გლობალიზაცია ეს არის სისტემა, რომელიც შემქმნელია, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ეკონომიკის მზარდი ურთიერთდამოკიდებულებით და იქმნება ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლის, საერთაშორისო კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის განვითარების, უამრავი ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებისა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული გლობალური საზოგადოების შექმნის შედეგად.

ტერმინი გულისხმობს მსოფლიოს მასშტაბით მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს, რომლის მამოძრავებელი ძალებია: საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაცია; დაჩქარებული ტექნოლოგიური პროგრესი და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება; დერეგულაცია. ეს სამი ფაქტორი გავლენას ახდენს ერთმანეთზე: ტექნოლოგიური პროგრესი ასტიმულირებს საერთაშორისო ვაჭრობას; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროგრესის უფრო ეფექტურ გავრცელებას. ამავე დროს, დერეგულაცია ავითარებს ტექნოლოგიების ახალ ფორმებს და ხელს უწყობს სავაჭრო ბარიერების მოხსნას

პოლიტიკური გლობალიზაცია

სახელმწიფოს აქვს ძალის გამოყენების მონოპოლია განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში. სახელმწიფოს ძლიერებას ყოველთვის აქვს რეგიონალური, ტრანსნაციონალური და გლობალური მნიშვნელობა. პოლიტიკური გლობალიზაცია

უნდა გულისხმობდეს მსოფლიო მთავრობის არსებობას, რომელიც დაარეგულირებს ერთაშორის ურთიერთობებს და დაიცავს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების უფლებებს სოციალური და ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. სამხედრო სფეროს გლობალიზაცია გულისხმობს კოლექტიური უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნას, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური იარაღი: საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, სადაზვერვო კოსმოსური თანამგზავრები.პოლიტიკის გლობალიზაცია ასახავს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტის დამკვიდრების მოთხოვნას. პოლიტიკური გლობალისტიკა – არის თავისებური პოლიტოლოგია პლანეტური უსაფრთხოებისა, რომელიც აყალიბებს პოლიტიკური მეცნიერების კომპლექსურ მიმართულებას.

სოციალური გლობალიზაცია

გლობალიზაციის სოციალური ასპექტში შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება. გლობალიზაციის ეპოქაში გაიზარდა მიგრირებული ადამიანების რიცხვი. მიგრაციის მოვლენა შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით აიხსნას, თუმცა ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა მაინც უდიდესია.

სოციალური მოძრაობა წარმოადგენს მოქმედების სპეციალურ მოდუსთა კომპლექსს, რომლებიც არიან პოლიტიკურად მოტივირებულნი და მიმართულნი სოციალური და კულტურული ცვლილებებისკენ.

სოციალური გლობალიზაცია გულისხმობს ადამიანთა თავისუფალ მიმოსვლას მთელ მსოფლიოში და საერთო შრომის ბაზარს.

გლობალიზაციის არატრადიციული ასპექტები

გლობალიზაციის არატრადიციულ ასპექტებში მოიაზრება: ეკოლოგიური გლობალიზაცია, ინფორმაციული გლობალიზაცია, ლინგვისტური გლობალიზაცია, ინდუსტრიული გლობალიზაცია.

ეკოოგიური გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიო მაშტაბის ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთობლივ ბრძოლას. მსოფლიოს წინაშე იჭრება არაერთი გამოწვევა, ისეთები როგორებიცაა:

კლიმატური ცვლილებები, გლობალური დათბობა, წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანება, რესურსების ამოწურვის საშისროება.

ინფორმაცია, დღევანდელ მსოფლიოში, თავისთავად არის ქცეული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროდუქტად, რომლითაც ვაჭრობა სულ უფრო და უფრო იზრდება და სულ უფრო მომგებიანი ხდება. ინფორმაციული გლობალიზაცია ნიშნავს ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას გეოგრაფიულად ერთმანეთისგან დაშორებულ ერთეულებში. იგი აგრეთვე გულისხმობს საერთაშორისო დანაშაულთან და საერთაშორისო ტერორიზმთან ერთობლივ ბრძოლას. ტექნოლოგიურ და კომუნიკაციურ პროგრესთან ერთად სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება ყველანაირი ინფორმაცია დედამიწის სხვადასხვა რეგიონებსა თუ წერტილებში. ეს კი თავის მხრივ ბევრად ზრდის ფირმათა, კომპანიათა, მთავრობათა თუ უბრალოდ რიგითი მოლალაქეების პროდუქტიულობასა და შრომისნაყოფიერებას.

ინდუსტრიული გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიოს სასწარმოო ბაზრების გაერთიანებას.

ლინგვისტური გლობალიზაცია. **ენობრივი** - გლობალიზაციის განვითარებასა და ყოვლისმომცველობასთან ერათად ვითარდება სხვადასხვა ენის გამოყენების მასშტაბები მთელს მსოფლიოში. საერთაშორისო ურთიერთობები ითხოვს გარკვეულ საერთაშორისო ენებს, რომლებზეც იქნება ნაწარმოები ეს ურთიერთობები. დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ენაა (პირველადი) ჩინური – 845 მლნ მოსაუბრე. მეორე ადგილზეა ესპანური - 329 მლნ, ხოლო მესამეზე - ინგლისური - 328 მლნ. ამასთან ყველაზე პოპულარულ ე.წ. ,,მეორე ენას" წარმოადგენს ინგლისური.

გლობალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობების და გლობალიზაციის ურთიერთმიმართებაზე საინტერესო თეზისები აქვს წამოყენებული ჰარვარდელ პროფესორს ერნსტ ჰოფმანს. ჰოფმანის აზრით, 90-იანი წლებში დომინირებდა შეტაკება სახელმწიფოების და სახელმწიფოთა სისტემის ფრაგმენტაციას და მზარდ გლობალიზაციას ანუ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინტეგრაციას შო-

რის. სწორედ ამის გამო წინა თწლეულში მრავლად წარმოიშვა თეორიები, რომლებიც საუბრობდნენ საერთაშორისო ურთიერთობებზე გლობალიზაციის გავლენაზე.

1990-იან წლებში წარმოიშვა რამდენიმე თეორია, რომელიც საუბრობდა გლობალიზაციის შედეგებზე მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, ფრენსის ფუკუიამა და მისი თეზისი ისტორიის დასასრულის შესახებ, სადაც ავტორმა იწინასწარმეტყველა იდეოლოგიური კონფლიქტების აღმოფხვრა და პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზმის მთელს მსოფლიოში გავრცელება, რაც მსოლფიოში კონფლიქტების გაუჩინარების საწინდარად მიიჩნია.

მეორე მხრივ, ფუკუიამას სტატიის საპასუხოდ სემუელ ჰანთინგტონმა თავის ნაშრომში ,,ცივილიზაციათა შეჯახება" ხაზი გაუსვა ცივილიზაციებს შორის მომავალი დაპირისპირების გარდაუვალობას და მომავალი კონფლიქტების კერებად ცივილიზაციებს შორის გამყოფი ხაზები მიიჩნია. ჰანთინგტონი ვარაუდობდა, რომ მსგავსი კულტურის, ენის და ცივილიზაციური კუთვნილების სახელმწიფოები გაერთიანდებოდნენ ცივილიზაციის ნიშნის ქვეშ და დაუპირისპირდებოდნენ სხვა ცივილიზაციებს, რასაც მსოფლიოში ახალი ტიპის კონფლიქტები მოჰყვებოდა. მიუხედავად ამისა, ჰანთინგტონმა ვერ მოახერხა ცივილიზაციის ზუსტი განსაზღვრა და გადამეტებით დიდი როლი მიანიჭა რელიგიას, არ გაითვალისწინა რა, რომ არადასავლური ელიტები ხშირად ივიწყებენ რელიგიას და ვესტერნიზებული და საერო მეთოდებით მართავენ სახელმწიფოს. ასევე, ვერ გასცა ჰანტინგტონმა პასუხი კითხვას, თუ რატომ მიმდინარეობდა დაპირისპირები თავად ცივილიზაციებს შიგნით.

ჰოფმანი ასევე აღნიშნავს სხვა მოდელებს. რეალისტებს ისევ სჯერათ, რომ მსოფლიოში არაფერი შეცვლილა თუკიდიდეს დროიდან, და რომ სახელმწიფო ისევ აკონტროლებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ამ მოდელის უდავო სისუსტე ისაა, რომ იგი ვერ ახერხებს ცვლილებების, უფრო ზუსტად კი გლობალიზაციის ინტეგრირებას თავის რეალობაში. ამ თეორიის მიხედვით ასევე უგულებელყოფილია ის, რასაც რაიმონ არონი ,,სამყაროს ცნობიერების ნაწილს" უწოდებს. ეს, მისი აზრით, დღეისათვის სა-

ხელმწიფოების უმეტესი ნაწილისათვის ღირებულებას წარმოადგენს.

ასევე, არიან მეცნიერები, რომელთაც დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის ტრიუმფის ასპარეზად მიაჩნიათ. ამ მეცნიერებს შორის აღსანიშნავია ,,ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტი ტომას ფრიდმანი, რომლის აზრით გლობალიზაცია არის დღევანდელი ეპოქის გადამრჩენელი, რადგან მას აუცილებლად მოაქვს მშვიდობა და დემოკრატია. ომი გლობალიზაციის უპირველესი ხელისშემშლელია და შესაბამისად ხელს უშლის პროგრესსაც, ხოლო ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინდივიდუალურ ავტონომიას და ინიციატივებს, რაც დემოკრატიის უპირველესი მამოძრავებელია.

ჰოფმანის აზრით გლობალიზაცია მთლად ისეთი ვარდისფერი არ არის, როგორც ეს ფრიდმანს წარმოუდგენია. მისი აზრით გლობალიზაციას აქვს სამი ფორმა, რომელთაგან თითოეულს თავისი პრობლემები გააჩნია. პირველ რიგში ესაა ეკონომიკური გლობალიზაცია, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიურ, საინფორმაციო, სავაჭრო და სხვა სახის უკანასკნელი დროის აქტივობასთან. კაპიტალიზმის ასეთი ზრდა წარმოშობს მნიშვნელოვან დილემას ეფექტურობას და სამართლიანობას შორის. შესაბამისად, ეკონომიკური გლობალიზაცია, გარდა სიკეთის მოტანისა, ქვეყნებს შორის მზარდი უთანასწორობის გამომწვევიცაა.

კულტურული გლობალიზაცია, ჰოფმანის აზრით, ტექნლოგიური პროგრესის და ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგია. აქ დილემა დგას უნიფორმიზაციას და მრავალგვარობას შორის. შედეგად ხდება მსოფლიოს დანაწევრებაც (disenchantment of the world - Webber) და ერთგვაროვნების წინააღმდეგი რეაქციის წარმოშობაც. უკანასკნელის დასტურია ადგილობრივი კულტურების რენესანსი და ადგილობრივი ენების აღორძინება, ასევე დასავლეთის კულტურის წინააღმდეგ მომრავლებული გალაშქრებები.

მესამე ფორმა, ჰოფმანის აზრით, არის პოლიტიკური გლობალიზაცია, რომელიც წინა ორი გლობალიზაციის პროდუქტია. აქ გამოირჩევა ამერიკის პოლიტიკური ინსტიტუტების და პოლიტიკის დომინირება, ასევე, არასახელმწიფო ინსტიტუტების მომრავლება და გააქტიურება მსოფლიო ასპარეზზე.

ჰოფმანის აზრით გლობალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რამდენიმე მომენტი:

1) გლობალიზაცია არის ამერიკული ნაწარმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა პოპულარული;

2) გლობალიზაცია არ არის ყოვლისმომცველი, რადგან მასში არ მონაწილეობს უამრავი პატარა ღარიბი ქვეყანა. ბაზრები არ არის ინტეგრირებული;

3) საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების იდეა მხოლოდ ემბრიონულ ფორმაშია. არასამთავრობოები ხშირად მთავრობების წანაზარდებს წარმოადგენენ;

4) ინდივიდუალური ემანსიპაცია არ არის აუცილებელი თანსართი დემოკრატიზაციის გზაზე მყოფ რეჟიმებში. ასევე საერთაშორისო ინსტიტუტები ხშირად მიკერძოებულნი არიან რაც ხელს უშლის ემანსიპაციას და დემოკრატიზაციას;

5) ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ბარიერების მოშლის შედეგად საკმაოდ საეჭვო იდეაა. ჰოფმანის აზრით, გლობალზიაცია მხოლოდ სხვადასხვა ტექნიკების (აუდიო და ვიდეოკასეტები, ინტერნეტი, კომუნიკაციები) ჯამია, რომლებიც სახელმწიფოების და კერძო სექტორის ხელშია. ეს აქტორები კი მოძრაობენ საკუთარი ინტერესების და იდეოლოგიის ძახილით და არა ჰუმანიტარული მოსაზრებებით. მათი ქმედებები არსებითად განსხვავდება გლობალიზაციის იმ ხედვისგან, რომელიც გლობალიზაციას აღიქვამს როგორც განმანათლებლურ ფენომენს, რომელიც ერთდროულად მეცნიერული, რაციონალური და უნივერსალურია.

ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობებზე გლობალიზაციის გავლენის შედეგია მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია.

თემა IX

საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება

უშიშროება თუ უსაფრთხოება

ქართულ ენაში არსებობს ორი ტერმინი "უშიშროება" და "უსაფრთხოება" და, გამოყენების თვალსაზრისით, თითოეულს შინაარსის შესაბამისი თავთავიანთი ბუნებრივი ადგილი აქვს.

ტრადიციულად საქართველოში ტერმინი "უშიშროება" გამოიყენება შემდეგ კონტექსტში: "ქვეყნის უშიშროება", "უშიშროების საბჭო", "სახელმწიფო უშიშროების დაცვა" და სხვ. ანუ ეს არის მდგომარეობა, როცა დაცულია ქვეყნის სტაბილურობა და მშვიდობა. რაც შეეხება ტერმინს "უსაფრთხოებას" იგი განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენება, მაგალითად, "ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა" და სხვ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, “უშიშროება” არის "მდგომარეობა, როდესაც რისამე საფრთხე არ არსებობს, რაიმე საშიშროება, საფრთხე არ ემუქრება ვისმე, რასმე. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების დაცვა. _ "გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო," ხოლო “უსაფრთხოება” - იგივეა, რაც უსაშიშროება, ანუ ,,საშიშროებისაგან დაცვის უზრუნველყოფა. მაგალითად, ,,ტექნიკური უსაფრთხოება." ინგლისურ ენაშიც ტერმინში “security” უშიშროება - "ეროვნული უშიშროება/ეროვნული უშიშროების" (National security), ეროვნული უშიშროების საბჭო, (Security Council), “საინფორმაციო უშიშროების” (security information) კონტექსტში გამოიყენება და მოიაზრებენ პოტენციურ მსხვერპლს, ხოლო ტერმინში ,,safety” – უსაფრთხოება, (როგორც ქართულ ენაში) უსაფრთხოების - ,,წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების" (Industrial safety), "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" (Road safety), “უსაფრთხოების ღვედების” (safety belt), “ტექნიკური უსაფრთხოების წესების” (safety code regulations) გამოსახატავად იხმარება და მოიაზრებენ

საფრთხის წყაროს. იგივე მდგომარეობაა მრავალ სხვა ენაშიც, განსხვავებით რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენებისა, სადაც ორივე მოვლენის გამოსახატავად მხოლოდ ერთი და იმავე სიტყვას იყენებენ.

შინაარსობრივი განსხვავების თვალსაჩინოებისთვის ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება - "სასურსათო უსაფრთხოებაში" მოიაზრება სურსათი, რომელმაც შეიძლება ადამიანის მოწამვლა გამოიწვიოს, ხოლო "სასურსათო უშიშროებაში", ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, - სურსათის ამოწურვის საფრთხე, რომელმაც პერსპექტივაში ვაითუ შიმშილი და სხვა თანმდევი პრობლემები გამოიწვიოს. ამიტომ უმჯობესია არ დავარღვიოთ ტრადიცია და შესაბამისად გამოვიყენოთ ტერმინი - "ეროვნული უშიშროება". ამ კონტექსტში ტერმინი "უშიშროება" უფრო ზუსტად განსაზღვრავს საქმის არსს (ხომ შეიძლება არსებობდეს საფრთხე, მაგრამ არ იყოს შიში), მით უმეტეს, ქართულმა ენათმეცნიერებამ და საქართველოს პარლამენტმა უპირატესობა მიანიჭა სწორედ ტერმინ "უშიშროებას": საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლში წერია ტერმინი "ეროვნული უშიშროების საბჭო", ხოლო 1996 წლის 24 იანვარს მიღებულია "კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ". შესაბამისად ტერმინი "უსაფრთხოებაც" უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ საწარმოო, ტექნოგენური და ბუნებრივ-ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენებთან და პროცესებთან მიმართებაში (ტექნიკური უსაფრთხოება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, უსაფრთხოების ღვედები და სხვ.)[8].

თუმცა ხშირად ამ ტერმინების გამოყენება ერთი და იმავე მნიშვნელობითაც შეიძლება კონტექსტუალური შინაარსიდან გამომდინარე და ეს განსაკუთრებით თვალში საცემია საერთაშორისო უსაფრთხოების/უშიშროების კონტექტსში.

---

[8] **ჰენრი კუპრაშვილი,** ეროვნული უშიშროება (security) თუ ეროვნული უსაფრთხოება (safety)?, http://ghn.ge/news-35066.html

უშიშროების არსი

უშიშროება წარმოადგენს ნებისმიერი სისტემის და მისი მიზნის განუყოფელ თვისებას. შესაბამისად ,,უშიშროების" ცნება საკმაოდ რთულია და ატარებს სისტემურ ხასიათს. ყველა სისტემა და ქვესისტემა განიცდის როგორც დადებით ისე უარყოფით ურთიერთგავლენას.

უშიშროება ეს არის წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმიერ და ა.შ (სოციალურ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ და სხვ.) ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის დინამიურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან პირობებში, ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით.

ამრიგად, უშიშროება ეს არის მოსალოდნელი ზიანისაგან თავის არიდების მდგომარეობა, საფრთხის შემცვლელი ქმედებების უკუგდების ან შეკავების და მიყენებული ზიანის სწრაფი კომპენსაციის საშუალება.

უშიშროება ნიშნავს სისტემის სტაბილურობის, მდგრადობის და შესაძლო თვითგანვითარების დაცვას. უშიშროება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც მათ არ ემუქრებათ ომის საფრთხე, ან კიდევ სხვა ხელყოფა გარედან.

უსაფრთხოება კი ეს არის პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერსების დაცულობის მდგომარეობა საშინაო და საგარეო საფრთხეებისაგან.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები ეს არის იმ მოთხოვნილებების ერთობლიობა, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობას და არსებობას. ხოლო სასიცოცხლო მოქმედების უსაფრთხოება ეს არის მოქმედების ისეთი მდგომარეობა, რომელის დროსაც განსაზღვრული საიმედოობით გამორიცხულია საფრთხის გამოვლინება.

საყოველთაო უშიშროება იქნება იმდენად მტკიცე და სტაბილური, რამდენადაც იქნება მტკიცე ეროვნული უშიშროება, უშიშროება თითოეული სახელმწიფოს.

უსაფრთხოება წარმოადგენს ღირებულებას ყველა მისი სუბიექტისათვის, იქნება ეს პიროვნება, საზოგადოება, კორპორაცია, ეთნოსი თუ სახელმწიფო. ამასთანავე, უსაფრთხოების ღირებულებითი ბუნება ორგვარია–იგი ღირებულებაა თავისთავად (აბსოლუტური ღირებულება) და ასევე ინსტრუმენტია, დასახული მიზნების მისაღწევად (ინსტრუმენტალური ღირებულება). უსაფრთხოების კატეგორიას ორივე ეს ღირებულება თან ახლავს ერთდროულად, ოღონდ ერთი ჩვეულებრივად ღიად, ერთიც ფარულად. იმდენად რამდენადაც უსაფრთხოების სისტემას გააჩნია მრავალი ასპექტი: ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამხედრო, პოლიტიკური და ა.შ., პასუხის გაცემა კითხვაზე – უსაფრთხოების რომელი ბუნება უფრო მნიშვნელოვანია – ძნელია. უსაფრთხოება ღირებულებასა და თვითმიზანს მაშინ წარმოადგენს, როცა იგი ჯერ მაქსიმალურად არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ როცა დასახული მიიღწევა, შედეგი სახეზეა და რაღაც სფეროში უსაფრთხოება გარანტირებულია, ამ სიტუაციაში თავს იჩენს უსაფრთხოების მეორე ანუ ინსტრუმენტალური ბუნება, რათა გაირკვეს თუ რა საშუალებებითა და ხერხებით შენარჩუნდეს მიღწეული შედეგები. ასეთი მოქმედებები და პრიორიტეტები თავისთავად წარმოშობენ უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებსა და მიმართულებას, რომლებშიც ზოგჯერ უსაფრთხოება მიზნიდან საშუალებად იქცევა (ან პირიქით).

როგორც ზემოთაა აღნიშნული არსებობს უსაფრთხოების შემდეგი სახეები: - ეკოლოგიური უსაფრთხოება; - ეროვნული უსაფრთხოება; - სამრეწველო უსაფრთხოება; - სახანძრო უსაფრთხოება; - საინფორმაციო უსაფრთხოება; - ეკონომიკური უსაფრთხოება; - სამხედრო უსაფრთხოება; - საშინაო უსაფრთხოება; - საგარეო უსაფრთხოება.

გეოგრაფიული დონის მიხედვით ჩვეულებრივ უშიშროება განიხილება სხვადასხვა მასშტაბებში:

ეროვნული უშიშროება - ერთი სახელმწიფოს ფარგლებში;

რეგიონული უშიშროება - მსოფლიოს ამა თუ იმ რაიონის ფარგლებში;

საერთაშორისო, საყოველთაო უშიშროება - გლობალურ, მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო უშიშროების სისტემა სტრუქტურულად მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს და მიმართულებს როგორიცაა სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული. ყველა ამ სფეროში არსებობს რთული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია უშიშროების მთელი კონსტრუქციის სიმტკიცე- უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ეს პრობლემებია:

სამხედრო სფეროში:

ბირთულ ომზე უარის თქმა; კოსმოსის დემილიტარიზაცია; ქიმიური და ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია/აკრძალვა; ჩვეულებრივი შეიარაღების და სამხედრო ხარჯების შემცირება.

პოლიტიკურ სფეროში:

თითოეული ხალხის უზრუნველყოფა ისეთი უფლებით, რომელიც განაპირობებს მათ საკუთარ სოციალურ და პოლიტიკურ არჩევანში თავისუფლებას; კონფლიქტების სამართლებრივი დარეგულრება; ხალხებს შორის ნდობის განმტკიცება.

ეკონომიკურ სფეროში:

ეკონომიკური დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმაზე უარის თქმა; ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარება.

ეკოლოგიის სფეროში:

ყველა სახელმწიფოს ძალების გაერთიანება გარემოს დაბინძურების შემცირებისათვის; ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების და წარმოების განვითარება; პლანეტის ოზონის შრის დაცვა და შენარჩუნება.

ჰუმანიტარულ სფეროში:

საერთაშორისო კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოვება; მედიცინის და განათლების სფეროში ერთობლივი მოქმედებები; ადამიანის პოლიტიკური და სხვა უფლბების დაცვა.

უსაფრთხოებას სისტემას ბევრი სუბიექტი და მონაწილე პირი ჰყავს, დაწყებული ინდივიდებიდან, დამთავრებული მცირე ხალხებითა და დიდი ერებით. ამიტომ ფერხდება უსაფრთხოების რომელიმე ასპექტისათვის პრიორიტეტის მინიჭება. ძალიან საკამათოა, პიროვნული უსაფრთხოება უნდა დავაყენოთ უფრო მაღლა თუ ნაციონალური, საზღვრების ურღვეობის კანონს მივცეთ უპირატესობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა უსაფრთხოებას, თუ ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი ვაღიაროთ უზენაესად, რომლითაც პატარა ერები ცდილობენ არსებობის შესანარჩუნებლად მაქსიმალური გარანტიების მიღწევას.

ეროვნული უშიშროება, განსაზღვრება, სახეები, მნიშვნელობა

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში მიღებული შეხედულებით ცივი ომის შემდგომი უსაფრთხოების სტრუქტურა და ფუნქციონირება ემყარება ძალთა და ინტერესთა ბალანსს. საერთაშორისო სისტემის მონაწილე სახელმწიფოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უსაფრთხოების დაცვასა და განხორციელებას. თუმცა, უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით, სხვადასხვა თვალსაზრისი ფიგურირებს, მაგრამ ყველა უსაფრთხოების ამოსავალი წერტილი მაინც ეროვნული უსაფრთხოებაა.

ეროვნული უსაფრთხოება უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს გარე საფრთხეებისაგან დაცვას. ეროვნული უშიშროება სახელმწიფოს ეს ისეთ მდგომარეობაა, როცა მას არ ემუქრება ომი ან სხვა რაიმე სახის ძალადობა დამოუკიდებლად არსებობისთვის, მთლიანობისთვის და საერთაშორისო სისტემაში ძალუძს დამოუკიდებელ სუბიექტად გამოსვლა. ზოგჯერ ეროვნული უშიშროების პოლიტიკა საერთაშორისო სამართლის ნორმების ჩამოყალიბებაზეც კი ახდენს გავლენას. ვინაიდან ეროვნული უშიშროების ინტერესები განსაზღვრავს სწორედ სახელმწიფოთა დამოკიდებულებას საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საერთაშორისო რეჟიმების მიმართ, რომლებიც ტოტალური იზოლაციონიზმიდან კონსტრუქციულ თანამშრომლო-

ბამდე ვარირებს. ამიტომ, საერთაშორისო სამართალი ვერ გაიგება პოლიტიკური ბაზისის გარეშე, რომელსაც იგი ეფუძნება და პოლიტიკური ინტერესების გარეშე, რომელსაც იგი ემსახურება.

ეროვნული უშიშროების ცნება და მნიშვნელობა

ეროვნული უშიშროება პოლიტიკური მეცნიერების კატეგორია. იგი იძლევა იმ სოციალური ინსტიტუტების დახასიათებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და პიროვნების არსებობა-განვითარების ოპტიმალური პირობების დაცვისათვის ეფექტიან საქმიანობას.

მთავარი ობიექტები, რისთვისაც ეროვნული უშიშროების სისტემის ფორმირება ხდება, არიან: 1. პიროვნება, მისი უფლებები და თავისუფლებები; 2. საზოგადოება (ერი), მისი მატერიალური და სულიერი ფასეულობები; 3. სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მოიაზრება მრავალი კომპონენტი: პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება), ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.), ენერგეტიკული უშიშროება, სამხედრო უშიშროება, საინფორმაციო უშიშროება, საზოგადოებრივი უშიშროება, ეკოლოგიური უშიშროება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება,სოციალური უშიშროება, ტექნოლოგიური უშიშროება, ადამიანის უფლებათა დაცვითი და მოქალაქეთა პირადი უშიშროება, ჯანდაცვითი უშიშროება, გენეტიკური უშიშროება, დემოგრაფიული უშიშროება და სხვ.

პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად სიტყვა ეროვნული უსაფრთხოება/უშიშროება გამოყენებულ იქნა ამერიკის პრეზიდენტის თ. რუზველტის მიერ 1904 წელს კონგრესისადმი გაკეთებულ მიმართვაში, სადაც მან დაასაბუთა პანამის არხის მიერთება ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.

ამრიგად, ეროვნული უსაფრთხოება ეს არის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. სახელმწიფო უშისროების საკუთარ ხედვებს აყალიბებს ეროვნული უსფართხოების კონცეფციაში. ეროვნული

უსაფრთხოების კონცეფცია ეს არის სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთობლიობა იმ მიზნით რომ არსებული რესურსრების და შესაძლებლობის გათვალისწინებით უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უსაფრთხოება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, საინფორმაციო და სხვა სახის საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან.

პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციის მიხედვით, ეროვნული უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური ცნებაა, რადგან ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს უსაფრთხოება უმაღლეს ღირებულებად ითვლება. სახელმწიფო კი მოსახლეობის უსაფრთხოების მთავარი და ჯარჯერობით შეუცვლელი გარანტია.

ეროვნული უსაფრთხოება დაკავშირებულია ღირებულებებთან. იგი ის პირობაა, რომლის მეშვეობითაც ღირებულებათა შენარჩუნება ხორციელდება.

ეროვნული უსაფრთხოება მრავალი კომპონენტისგან შედგება: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ინფორმაციული, ბუნებრივი გარემოს დაცვისა და სხვ. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა ეროვნული უსაფრთხოების არასამხედრო კომპონენტების მნიშვნელობა.

ეროვნული უსაფრთხოება გამოხატავს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებებს და პრინციპებს. იგი არის მთავარი საფუძველი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში კონკრეტული პროგრამების და საორგანიზაციო დოკუმენტების შემუშავებისათვის.

ეროვნული უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს შეადგენს:

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული მოქმედებების დროს ქვეყნის კონსტიტუციის და კანონმდებლობის დაცვა;

უსაფრთხოების ყველა სახის ერთიანობა, ურთიერთკავშირი და ბალანსირება, ასევე სიტაუციის შესაბამისად უსაფრთხოების ასპექტების პრიორიტეტულობის ცვლილება;

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო ღონისძიებების პრიორიტეტულობა;

არსებული რესურსებს და შესაძლებლობის გათვალისწინებით დასმული ამოცანების რეალურობა;

იძულებითი ღონისძიებების (მათ შორისო სამხედრო ძალების გამოყენების) გატარების პირობებში საერთაშორისო სამართლის და ქვეყნის საკანონმდებლო ნორმების დაცვა.

ამრიგად, ეროვნული უსაფრთხოება არის საგარეო და საშინაო საფრთხებისაგან პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვა სასიცოცხლო მოქმედების სხვადასხვა სფეროში, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნების მდგრად განვითარებას. აქედან გამომდინარე, იგი არის ნაციის უნარი დაიკმაყოფილოს ის აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებები, რომელიც საჭიროა მისი თვითდაცვის, თვითწარმოების და თვითსრულყოფილებისათვის დანაკარგის მინიმალური რისკებით არსებული მდგომარეობის საბაზო ფასეულობებისა და ღირებულებებისათვის. საბოლოო ჯამში კი იგი ქმნის ქვეყნის სტაბილურობის იმ ხარისხს, რომელიც შეიძლება საკმაოდ დიდიხანს არსებობდეს და უნარიანად, დინამიურად ახდენდეს რეალურად არსებული საფრთხეების და საშიშროებისაგან ქვეყნის დაცვას.

ჩვენ შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოება ეს უპირველს ყოვლისა არის ქართული ერის უსაფრთხოება, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ერებისაც. ეროვნული უსაფრთხოების ძირითად სახეებს წარმოადგნეს: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სასულიერო, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, რადიაციული, თავდაცვის, საინფორმაციო, ადამინით ვაჭრობის, ეთნიკური, ინტელექტუალური, სამედიცინო, სისხლის სამართლის, საკუთრების, გენეტიკური, პიროვნული და სხვა სახის უსაფრთხოებები. ეროვნული უსაფრთხოება ძალზედ სერიოზული საკითხია სახელმწიფოსათვის და მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის.

ამროგად, ეროვნული უშიშროება ეს არის სახელმწიფოს დაცულობა საშინაო და საგარეო საფრთხებისაგან, გარედან არასა-

სურველი გავლენისადმი მდგრადობა, ქვეყნის არსებობის ისეთი საშინაო და საგარეო პირობების უზრუნველყოფა, რომელიც შექმნის საზოგადოების და მისი მოქალაქეების სტაბილური პროგრესის შესაძლებლობის გარანტიას.

ეროვნული უშიშროების სტრუქტურა

ეროვნული უშიშროების სისტემაში არსებობს საკუთარი განსაკუთრებული ფასეულობები და ღირებულებები. მათი სუბორდინაცია (იერარქია) განისაზღვრება იმის მიხედვით თუ როგორი კუთვნილებისაა ეს სისტემა რეგიონულ და საერთაშორისო სტრუქტურებთან მიმართებით, და იმით, რომ მის თითეულ ელემენტს საკუთარ შინაარსში აქვს მისი პრიორიტეტები. თუკი მოქალაქისათვის ეს არის მისი განუყოფელი უფლება და თავისუფლება, მაშინ საზოგადოებისათვის ეს არის მატერიალური და სულიერი ღირებულბების დაცვა და განვითარება, ხოლო სახელმწიფოსათვის საშინაო სტაბილურობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობა. უფრო მეტიც ეროვნულ უშიშროებაში/უსაფრთხოებაში გაერთიანებულია ყველა სოციალური სუბიექტის უმთავრესი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილბებები და ინტერესები.

ეროვნული უშიშროების ფაქტორები შეიძლება გაიყოს ორ დიდი ჯგუფად: სამხედრო და არასამხედრო.

სამხედრო ჯგუფის ფაქტორებს მიეკუთვნება:

ქვეყნის შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, ეროვნული ხელმძღვანელობის განკარგულებაში თანამედროვე ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების არსებობა, სამობილიზაციო (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) შესაძლებლობები.

სამხედრო მოქმედების შესაძლო თეატრის მდგომარეობა

სამხედრო მოკავშირეების არსებობა (ან არარსებობა), მონაწილეობა (ან არმონაწილეობა) სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებსა და სხვა სახელმწიფოთაშორის და კოალიციურ დაჯგუფებებში.

არასამხედრო ფაქტორების ჯგუფში შეიძლება დავასახელოთ:

ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები

გეოპოლიტიკური ფაქტორები: ტერიტორიის სიდიდე და ათვისებადობა, სახელმწიფოს საზრვრების მდგომარეობა და განფენილობა, განსაზღვრულ ქვეყნებთან ურთიერთობების ხასიათი.

საკუთრივ სოციალური ფაქტორები: მოსახლეობის ცხოვრების დონე, მისი პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, პროფესიული, დემოგრაფიული, ეთნიკური მახასიათებლები.

სახელმწიფოს საინფორმაციო და სახელმწიფო უსაფრთხოების მდგომარეობა

ეროვნული უშიშროების ჩამოთვლილი და ასევე სხვა ობიექტური და სუბიექტური, სამხედრო და არასამხედრო ფაქტორები უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხო განვითარებას, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ კომპლექსში, ერთიან სისტემაში, რომლებიც არ ცვლიან და არ გამორიცხავენ ერთმანეთს.

თანამედროვე პირობებში, როცა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული უბირთვო, არაძალადობრივი მსოფლიო, სამხედრო ფაქტორები აგრძელებენ მნიშვნელოვანი როლის თამაშსს სახელმწიფოს მისწარფებაში, რომ უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება.

ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს:

სახელმწიფო უსაფრთხოებას. იგი გულისხმობს სახელმწიფოს დაცვას საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან;

საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. იგი გამოიხატება პიროვნების და საზოგადოების დაცვას, უპირატესად საზოგადოებრივი ხასიათის საშინაო საფრთხებისაგან.

ტექნოგენური უსაფრთხოება. გულისხმობს ტექნოგენური ხასიათის საფრთხეებისაგან დაცვას. კერძოდ, ეს არის მოსახლეობის, ტერიტორიის, ობიექტების დაცულობის მდგომარეობა ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების ნეგატიური შედეგებისაგან.

ეკოლოგიური უსაფრთხოება. მოკლე გაგებით იგი გულისხმობს სტიქური უბედურებებსისაგან დაცვას. ფართო გაგებით ეს არის ისეთი მდგომარეობის, პროცესების და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურ ბალანს გარემომცველ სამყაროში და არ იწვევს სასიცოცხლოდ მნიშვენლოვან ზარალს, რომელიც შეიძლება თან სდევდეს ადამინის ზემოქმედებას ბუნებაზე. ეს ასევე არის პროცესი, რომელიც უზრუნველ-

ყოფს პიროვნების, საზოგადოების, ბუნების, სახელმწიფოს და მთელი კაცობრიობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობას რეალური და პოტენციური საფრთხებისაგან, რომელიც შეიძლება შეიქმნას გარემომცველ ბუნებაზე ანთროპოგენური და ბუნებრივი ზემოქმედებების შედეგად. ეკოლოგიური უსაფრთხოების ობიექტს წარმოადგენს უფლება, ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილება, ბუნებრივი რესურსები და ბუნებრივი გარემო ანუ სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მატერიალური საფუძველი.

ეკონომიკური უსაფრთხოება. მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. მისი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. წარმოუდგენელია, ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტური და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით. ფუნქციური თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, რესურსების ეფექტური გამოყენება და განაწილება, ასევე სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება. სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლების უნარს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება. ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენს ყველა ქვეყნის ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მთავრი ამოცანა არის ენერგეტიკული პოლიტიკა. ენერგეტიკული უსაფრთხოება ეს არის ქვეყნის, მისი მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოს და ეკონომიკის სათბობ-ენერგეტიკული საიმედო უზრუნველყოფის დაცული მდგომარეობა ნებისმიერი საფრთხისაგან. აღნიშნული საფრტხეები შეიძება განისაზრვროს როგორც საგარეო გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, კონიუნტურული) ფაქტორებით, ასევე საკუ-

თარი მდგომარეობით და ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ფუნ-ქციონირებით.

საინფორმაციო უსაფრთხოება ეს არის ინფორმაციური გა-რემოს დაცვის მდგომარეობა, ხოლო საკუთრივ ინფორმაციის დაცვა წარმოადგენს მოქმედებას, რომ არ მოხდეს დაცული ინ-ფორმაციის გაჟონვა, არასანქცირებული და წინასწარ გულუზრახი ზემოქმედება. ე.ი. ეს არის პროცესი რომელიც მიმართულია ამ მდგომარეობის მიღწევაზე.

პიროვნების უსაფრთხოება ეს არის ადამიანის ურთიერ-თთობა/დამოკიდებულება გარემოს ობიექტებთან, რომლის დრო-საც დაუგეგმავი (მოულოდნელი) ცვლილება მათ მდგომარეობაში სრულდება სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ან ქონების დაკარ-გვით. გარემო ობიექტებთან ურთიერთობების სხვადასხვა ფორ-მების დროს პირდაპირი და უკუ კავშირების ზემოქმედების პარა-მეტრებს აქვთ მნიშვნელობის განსაზღვრული დიაპაზონი. თუმცა, მოსალოდნელი ნორმების ან მეორე ობიექტის ამ ობიექტზე (ადა-მიანი) აღელვების გავლენის გამო, პირდაპირი კავშირის გავლენის გამორიცხვის შედეგად გარე სამყაროს ობიექტის მოძრაობაში, უკუკავშირის გავლენის პარამეტრებმა შეიძლება გადააჭარბოს მნიშვნელობას, რომელიც პასუხობს ადაპტაციის პერსონალურ ზღვარს ანუ აქვს ისეთი ფორმა რომელიც უსაფრთხოა ადამიანი-სათვის, ე.ი. ადამიანს უქმნის ცხოვრების ექსტრემალური პირო-ბებს.

სამხედრო უსაფრთხოება არის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გამომდინარეობს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეო-ბიდან და მსოფლიოში არსებული მდგომარეობიდან. სამხედრო უსაფრთხოება ეს არის სამხედრო საფრთხეებისაგნ პიროვნების, საზოგადოების და სახელწმიფოს დაცვა. ისეთი მდგოამრეობა რო-ცა ომის შესაძლებლობა დაყვანილია მინიმუმადე, რომლის შედე-გადაც გამორიცხულია სამხედრო ძალების გამოყენების მოტივე-ბი, ასევე იმ ღონისძიებების გატარება რომელიც გამორიცხავს სამხედრო საფრთხეებს. სამხედრო უსაფრთხოებას აქვს საშიანო და საგრეო ასპექტები:

საგარეო ასპექტები გამოხტავას გარედან სამხედრო ძალის შეკავების ან წინააღმდეგობის გაწევის უნარს;

შიდა ასპექტები მოიცავს სამხედრო ორგანიზაციის შექმნის გზით ქვეყნის მოსახლეობის და ეკონომიკის სამობილიზაციო მზადების განხორციელებისათვის სამხედრო საფრთხეების წინასწარ გაფრთხილებას სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების მზაობის ღონისძიებათა შექმნის და მხარდაჭერის სისტემას.

საშიანო უსაფრთხოება ეს არის უსაფრთხოება ქვეყნის შიგნით. საქართველოში არსებობს ისეთი შიდა საფრტხები როგორიცაა კორუფცია, ბანდიდზმი, ხულიგნობა სხვადსხვა ფორმის, ნარკომანია, პროსტიტუცია, ძარცვა, მკველეობა, სხვადსხვა სახის სამრტალდარღვევბი მოსახლეობის მხრიდან. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მასობრივი უწესრუგოები, არასანქცირებული დემონსტრაციები და მიტინგები.

საგარეო უსაფრთხოება ეს არის უსაფრთხოების ისეთი სახე, რომელიც ქვეყნას გარედან ემუქრება. ის შეიძლება მომდინარეობდეს სხვა ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სიტუაციებიდან. მთავარი საგარეო საფრთხე შეიძლება იყოს მაგ., საერთაშორისო ტერორიზმი. მსოფლიოში გამოჩნდა მრავალი ტერორისტული ჯგუფი, სხვადასხვა სექტის, დასახელების, დანიშნულების, მიმართულების და აღმსარებლობის.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეს არის კომპლექსური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, სამხედრო და სამართლებრივი ღონისძიბები, რომლებიც მიმართულია ნაციის ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფათ, შესაძლო საფრთხების აღკვეთისათვის.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს:

სახელმწიფო წყობის დაცვა;

საზოგადოებრივი წყობის დაცვა;

ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა;

ჯანსაღრი ნაციის უზრუნველყოფა;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

ბრძოლა დამნაშავეობასთან;

ტექნოგენური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სტიქიური უბედურებებისაგან დაცვა.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფელი ორგანოები არის: არმია, დაზვერვის და კონტრდაზვერვის სდამსახურები, სამართალდამცავი ორგანოები, სამედიცნო ორგანოები.

ცნება „საერთაშორისო უსაფრთხოება“

საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გაგება, მოცემულია გაეროს წესდების პირველ მუხლში, სადაც საუბარია უსაფრთხოების მთავარი ამოცანების უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ, ის რომ - საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებული უნდა იქნეს ეფექტური კოლექტიური ზომები, რომ მოხდეს მშვიდობისათვის საფრთხის თავიდან აცილება; - აგრესიის ან მშვიდობის სხვა დარღვევის აქტები უნდა აღიკვეთოს მშვიდობიანი ხერხებით; - საერთაშორისო დავები ან სიტუაციები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მშვიდობის დარღვევა უნდა მოწესრიგდეს და გადაწყდეს სამართლიანობის და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად.

ცნება "უსაფრთხოებამ" ფართო გავრცელება ჰპოვა აშშ-ში XX ს. 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ამ ტერმინით ცივი ომის პირობებში სამხედრო სამოქალაქო გამოკვლევების კომპლექსურ სფეროში დაიწყეს სტრატეგიის, ტექნოლოგიების, შეიარაღებაზე კონტროლის აღნიშვნა. ხოლო ახალ ბირთვულ განზომილებაში, როდესაც სამხედრო დაპირისპირების პრობლემა, გადაიქცა საერთაშორისო ურთიერთობების დომინირებად სფეროდ, საერთაშორისო უსაფრთხოების კურსები გახდა საუნივერსიტეტო პროგრამების განუყოფელი ნაწილი და საკუთრივ ეს თემატიკა გადაიქცა სამეცნიერო კვლევითი ცენტრების შესწავლის ცენტრალურ საგნად.

ცივი ომის დროს სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში ,,უსაფრთხოების" ქვეშ მოიზარებოდა საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების სამხედრო, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვა რესურსების მობი-

ლიზაციისკენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ის რეფორმა, რომელიც გატარდა აშშ-ში 1947 წ. ,,ნაციონალური უსაფრთხოების შესახებ" კანონის საფუძველზე. რეფორმის შესაბამისად შეიქმნა თავდაცვის, შინაგან საქმეთა, მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზაციის უწყებები, აგრეთვე უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ორგანო - ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. მოკლე ხანში ცნება უსაფრთხოება მიღებულ იქნა ნატოს სტრუქტურებში, იგი გადაიქცა ,,მაღალი პოლიტიკის" საგნად, საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის საგნად ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

დასავლეთთან კონტაქტების ინტენსიფიკაციის კვალდაკვალ ტერმინი ,,უსაფრთხოება" თანდათან შევიდა საბჭოთა სამხედრო და პოლიტიკურ ლექსიკონში. თავდაპირველად იგი გამოიყენებოდა შეიარაღებებზე კონტროლის სფეროში, ხოლო შემდეგ როცა სსრკ-ი ჩაერთო სათანადო პრობლემების განხილვაში, რომელიც მიმდინარეობდა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის მომზადების, ჩატარებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის ფარგლებში ეს ტერმინი აქტიურად დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო და პრაქტიკულ ხმარებაში. საბჭოთა რეალობაში თავდაპირველად უსაფრთხოებისადმი, როგორც დარგისადმი, ისევე როგორც ,,პოლიტიკური მეცნიერებისადმი", ,,საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიისადმი" და ა.შ. იყო კრიტიკული დამოკიდებულება. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ ცნებამ სრული ლეგიტიმურობა მიიღო 1985 წ. შემდეგ ე.წ. გარდაქმნის, სსრკ-ს დაშლის და დამოუკიდბელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ, როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული უშიშროების საბჭოები და დაიწყოს სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ამ მიმართულებით.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების სფერო წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას, შიდა პოლიტიკური ბრძოლის, სამოქალაქო საზოგადოების ყურადღების, სამეცნიერო კვლევების საგანს. ეს თავის მხრივ მოითხოვს გააზრებულ მიდგო-

მას ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემისადმი არამარტო სპეციალისტთა, არამედ მოქალაქეთა რაც შეიძლება უფრო ფართო წრის მხრიდან. სწორედ ამ მიზეზების გამო ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები ხდება საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი.

საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი თეორიული ასპექტები

საერთაშორისო უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში განიხილებოდა, როგორც სამხედრო საფრთხის არარსებობა. საერთაშორისო უსაფრთხოების ამ ტრადიციულ გაგებაში აქცენტი კეთდება ორ მომენტზე. პირველი უკავშირდება სახელმწიფოს ფიზიკურ გადარჩენას და მის უფლებას სუვერენიტეტის შესაბამისად საერთაშორისო სისტემის ფარგლებში იმოქმედოს. მეორე-სახელმწიფოებს შორის ურთიერთობისას მშვიდობის მხარდაჭერას გულისხმობს.

ომების ეპოქაში რამდენიმეწლიანი მშვიდობაც კი საკვირველი იყო, ხოლო ხანგრძლივი მშვიდობა მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა. დღეს მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე დგას ახალი გამოწვევები, რომელთა ეფექტური გადაწყვეტის გარეშეც საერთაშორისო მშვიდობა არ იქნება არც სტაბილური და არც ხანგრძლივი. ერთ-ერთ ასეთ საფრთხეს მასობრივი იარაღის გავრცელება წარმოადგენს. ამის მაგალითია ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე ბალანსის დარღვევა.

ასევე აქტუალურია ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან. ტერორისტული აქტები ატომურ ელექტროსადგურებზე, ქიმიურ საწარმოებზე და მსგავს ობიექტებზე სერიოზული კატასტროფის მიზეზი შეიძლება გახდეს.

თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეკონომიკური და ინფორმაციული ასპექტები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პი-

რობებში ეკონომიკურ კრიზისებს შეუძლია ქვეყნის შიდა მეურნეობის დესტაბილიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციული ასპექტი, რადგანაც ინფორმაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ რესურსს წარმოადგენს. ეკოლოგიური, ენერგეტიკული პრობლემები ასევე თანამედროვე გლობალური მსოფლიოს გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება.

შეიცვალა ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოებები, რომელთა ფარგლებშიც უნდა გადაიჭრას საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში არსებული პრინციპულად ახალი გამოწვევები. თუ ადრე სახელმწიფო მხოლოდ საშინაო და საგარეო საკითხებზე ზრუნავდა, დღეს XX-XI ს. საზღვრები უფრო გაფართოვდა. ძველად თუკი სახელმწიფოს ჰქონდა შიდა სტაბილურობა, მას თითქოსდა საფრთხე არ ემუქრებოდა. დღესდღეობით კი იმ ქვეყნებსაც შეიძლება დაემუქროს საფრთხე, რომლებიც სტაბილურია და არ ელის საგარეო საფრთხეს (ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბირთვული კატასტროფა, რომლის შედეგადაც შეიძლება განადგურდეს ათობით ნეიტრალური ქვეყანა). საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება გახდეს სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა ცდილობს გადაწყვიტოს პრობლემები, რომლებიც ძველი დროიდან მომდინარეობს. საერთაშორისო უსაფრთხოება კი გულისხმობს საერთაშორისო საზოგადოების გაერთიანებას გამოწვევების წინააღმდეგ.

ამა თუ იმ ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში გამოწვეულია პირველ რიგში ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებით. ნაციონალური უსაფრთხოება ამ შემთხვევაში სწორედ საბაზისო ელემენტს წარმოადგენს. ნაციონალური უსაფრთხოება გულისხმობს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას საგარეო და საშინაო საფრთხეებისგან. დღესდღეობით არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული და სხვა ტიპის უსაფრთხოება. გლობალურ და რეგიონალურ დონეზე შეიძლება ვისაუბროთ ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ საფრთხეებზე.

საერთაშორისო უსაფრთხოების ზოგადი დახასიათება

ტრადიციულად უსაფრთხოება დაკავშირებული იყო სამხედრო ძალასთან, ძლიერებასთან. ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა საჭიროდ მიიჩნიეს უსაფრთხოების ცნების გაფართოება და მის ანალიტიკურ ჩარჩოებში ეკონომიკური, საზოგადოებრივი, გარემოს დაცვითი, ინფორმაციული და სხვა სახის უსაფრთხოების არატრადიციული სფეროების შეტანა.

საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა და გლობალიზაციის გავლენით წინ წამოიწია არა ცალკეული სახელმწიფოს, არამედ საერთაშორისო, ანუ საერთო უსაფრთხოების პრობლემატიკამ. თუმცა, ჯერჯერობით, საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს, როგორც უსაფრთხოების მთავარ გარანტს, ალტერნატივა არ გააჩნია. ვერც საერთაშორისო ეკონომიკური აქტორები და ვერც საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება ცალკეული ადამიანების უსაფრთხოების დაცვას ვერ ახერხებს ისე, როგორც ეს ძალუძს სახელმწიფოს, რომელიც ძალის ლეგიტიმური გამოყენების მონოპოლიას ინარჩუნებს და სამხედრო ძალითაცაა აღჭურვილი.

საერთაშორისო უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობა ისეთი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ყველა სახელმწიფოს მიერ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვაზე და რომელიც გამორიცხავს მათ შორის სადავო საკითხების და უთანხმოების გადაჭრას ძალის ან მუქარის გამოყენებით.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ეს არის ურთიერთდაკავშირებული სახელმწიფოთაშორის ურთიერთობები და პოლიტიკურ-დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და საზოგადოებრივი ღონისძიებების და ძალისხმეის ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოების და ხალხების კოლექტიური უსაფრთხოებას.

საერთასორისო უსაფრთხოების სისტემა შეიძლება იყოს გლობალური და რეგიონალური. ის ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პრაქტიკის, საერთაშორისო გამოცდილების და მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე.

საერთასორისო უსაფრთხოების სისტემა მოიცავს უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების, სახელმწიფოთაშორის მექანიზმების და სტრუქტურების, საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების, მრავალმხრივი ხელშეკრულებების და სხვა ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც იქმნებიან და ფუნქციონირებენ სამხედრო დაპირისპირებების აღკვეთისათვის, მათი ლოკალიზაციისათვის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული წინაარმდეგობების მოწესრიგებისათვის პოლიტიკური გზით.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ასევე გულისხმობს კონტროლის სპეციალურ რეჟიმს საერთაშორისო, განსაკუთრებით კი სამხედრო მოქმედებების და ინფორმაციის შესაბამის რეჟიმს, რომელიც დაფუძნებულია ომების აღკვეთის და სახელმწიფოების სამხედრო დაპირისპირების შესუსტების პრინციპების რეალიზაციაზე.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მნიშნელოვანი ელემენტია გაერო, ხოლო მისი გადაწყვეტილებების რეალიზაციის ძირითადი საშუალება სამშვიდობო ძალები, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სანქციების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ძალთა ძეკავების ზღვრულ დონეს, ასევე სამხედრო ფორმირებების და შეიარარებული ბრძოლის ყველა ფორმის შესაბამის შეზღუდვებს.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მოდელები

უშიშროების უზრუნველსაყოფად აუცულებლია არსებული სააფრთხეების გამოვლენა, შეფასება და მისგან დაცვის გარკვეული მექანიზმების შემუშავება. ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მდგომარეობის მოდელირება. მოდელი ეს არის უშიშროების სისტემის აგების შესაძლო ვარიანტების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა, რომელიც გულისხმობს მის განსაზღვრულ

ამოცანებს და მიზნებს, შესაძლო საფრთხეების შეფასებას და სისტემის დაცულობის ზრდის მექანიზმებს და უნარს დაიცვას აღნიშნული საფრთხეებისაგან.

უშიშროების მოდელებს შორის მნიშველოვნია სამხედრო უშიშროების მოდელი, ვინაიდან სამხედრო კომპონენტი დრემდე მნიშვნელოვანი ასპექტია უშიშროების უზრუნველყოფაში. აღნიშნული მოდელი მოიცავს უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მექანიზმების და ორგანოების აღწერას, რომელთა ერთობლივი ან დამოუკიდებელი მოქმედებები მიმართულია სახელმწიფოს ძლიერების უზრუნველყოფის, ნაციონალური და კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციისკენ და მოიცავს ერთობლივი და ცალმხრივი მოქმედებების შესაძლებლობას ომების აღკვეთისა ან სხვა სააფრთხეების გაუვნებელყოფისათვის.

განასხვავებენ უშიშროების პოლიტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ და სამხედრო სტრატეგიულ მოდელებს. მათ შორის ყალიბდება კავშირი, რომელიც ასაბუთებს მათ შეთანხმებულ ფუნქციონირებას. მოდელის საფუძველზე ფასდება უშიშროების ამა თუ იმ სისტემის ეფექტურობა, ხდება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მართებულობის და შედეგების ანალიზი, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს სამხედრო უშიშროების სფეროში.

მოდელი გამოიყენება როგორც კვლევის ინსტრუმენტი და სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის პრაქტიკული რეკომენდაციების დასაბუთება.

საერთაშორისო ურთიერთობა სპეციალისტების შეხედულებათა უფრო დეტალური დახასიათებისთვის აუცილებელია საერთაშორისო უსაფრთხოების იმ კონკრეტული მოდელების განხილვა, რომლებსაც ისინი დისკუსიისას გვთავაზობენ. მოდელირება შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომების და კრიტერიუმების საფუძველზე. ჩვენ განვიხილავთ მოდელების ორ ტიპს. პირველი ტიპი **ოთხ მოდელს** შეიცავს, მეორე ტიპი - **სამ ძირითად მოდელს**.

საერთაშორისო უსაფრთხოების მოდელები, რომლებიც პირველ ტიპს მიეკუთვნებიან, გამოიყოფა უსაფრთხოების სისტემის **სუბიექტების რაოდენობიდან**. გამოიყოფა **ოთხი ძირითადი მოდელი**, რომლებიც ერთმანეთს შორის კონკურირებენ:

1. უსაფრთხოების ერთპოლუსიანი სისტემა

სსრკ-ს დაშლის შემდეგ აშშ-ი დარჩა ერთადერთ ზესახელმწიფოდ, რომელიც ამგვარი მოდელის მომხრეების აზრით ცდილობს საკუთარ თავზე აიღოს მსოფლიო ლიდერობის ,,ტვირთი", რათა არ დაუშვას ,,ძალის ვაკუუმი" საერთაშორისო ურთიერთობებში და უზრუნველყოს დემოკრატიის გავრცელება მთელ მსოფლიოში.

არც რეალისტები და არც ნეოლიბერალები არ უარყოფენ თეზისს ამერიკული ჰეგემონიის შესახებ ,,ცივი ომის" დასრულების შემდეგ. ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯ. ნაი თვლის რომ ლიდერობის არ არსებობა ზესახელმწიფოს მხრიდან ცუდია სხვა ქვეყნებისთვისაც, რადგან ცალკე მათ არ შეუძლიათ გაუმკლავდნენ გლობალური ურთიერთდამოკიდებულობის ეპოქის რთულ პრობლემებს.

ერთპოლუსიანი მოდელი გულისხმობს აშშ-ს მიერ მართული სამხედრო-პოლიტიკური კავშირების სისტემის გაძლიერებას. ის რომ ნატომ უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა საერთაშორისო ურთიერთობა ტრანსატლანტიკურ ქვესისტემაში, მოახდინოს აშშ და ევროპული სახელმწიფოების ურთიერთობათა ჰარმონიზაცია სტრატეგიულ სფეროში, უზრუნველყოს, ამერიკული სამხედრო გავლენის არსებობა ევროპაში და არ დაუშვას კონფლიქტები ამ კონტინენტზე.

აშშ-მ ნათლად გააგებინა (და ამის დემონსტრაციაც მოახდინა ბალკანეთში 1999 წ. ომის დროს), რომ სწორედ ნატო უნდა გახდეს, ევროპული უსაფრთხოების მთავარი გარანტი.

სხვა რეგიონულ ორგანიზაციებს - ევეოკავშირს, ეუთოს და სხვ. შეუძლიათ მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლის თამაში 21-ე ს. ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში. ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის შესაბამისად, რომელიც მიღებულია 1999 წ. გაზაფხულში, ამ ბლოკის პასუხისმგებლობა ფართოვდება მასში მომიჯნავე რეგიონების ჩართვის ხარჯზე. ნატო არამარტო ასრულებს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ამოცანებს, არამედ სულ უფრო მეტად იძენს მაიდენტიფიცირებელ-ცივილიზაციურ ფუნქციებს. ნატოს წევრობა გამოდის დასავლეთის ,,დემოკრატიული" ცივილიზაციის კუთვნილების თავისებურ ინდიკატორად. ისინი კი, ვინც არ შედის ნატოში და არა აქვთ შანსები შევიდნენ ამ ორგანიზაციაში, ,,უცხოებს", მტრულ ცივილიზაციებს აკუთვნებენ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ერაყში შშ-ს გამარჯვებით საბოლოოდ დამკვიდრდა მსოფლიოს ერთპოლუსიანი მოდელი და ვაშინგტონი აქტიურად, მარტო წარმართავს შემდგომ მსოფლიოს და მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს.

საერთაშორისო უსაფრთხოების ერთპოლუსიანი მოდელი დასაბუთებულ კრიტიკას ექვემდებარება ვინაიდან აშშ-ს უბრალოდ არ გააჩნია საჭირო რესურსები მსოფლიო ლიდერის ფუნქციების შესრულებისთვის. ასევე საკუთროვ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ თავდაჭერილად უდგება ამ იდეას, რამეთუ შეგნებული აქვს, რომ ასეთი როლი მოითხოვს არსებით ფინანსურ ხარჯებს.

ძალის სხვა ცენტრები - ევროკავშირი იაპონია, ჩინეთი - ასევე გამოხატავენ ამერიკული ჰეგემონიის მიუღებლობას. გარდა ამისა, ამერიკული ლიდერობის ძირითადი ინსტრუმენტი - სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები - ცუდად არის მორგებული თანამედროვე პრობლემების გადაჭრისთვის. ეს კავშირები შეიქმნა ,,ცივი ომის" პერიოდში და მათი მთავარი დანიშნულება იყო სამხედრო მუქარების თავიდან აცილება. იმ გამოწვევებზე, რომელბიც მიეკუთვნება ,,რბილი უსაფრთხოების" სფეროს, ადეკვატური პასუხის გასაცემად (ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები, ეკოლოგიური კატასტროპფები, ტერორიზმი, ნარკობიზნესი, უკანონო მიგრაცია, ინფორმაციული ომები და სხვა), სამხედრო მანქანა, რომელიც მემკვიდრეობითაა მიღებული წასულიდან, უბრალოდ არ ვარგა.

2. "ზესახლმწიფოების კონცერტი"

ზოგიერთი სპეციალისტი საერთაშორისო უსაფრთხოების საუკეთესო მოდელად მიიჩნევს რამდენიმე დიდი სახელმწიფოს კავშირს (წმიდა კავშირით, რომელიც განსაზღვრავდა ევროპის მოწყობას ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ), რომლებიც შეძლებდნენ თავისთავზე აეღოთ პასუხისმგებლობა როგორც მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებაზე, ისე ლოკალური კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოწესრიგებაზე.

"დერჟავების კონცერტის" ღირსება, ამ კონცეფციის მომხრეთა აზრით, მდგომარეობს მის უკეთეს მართვადობასა და შესაბამისად, მეთ ეფექტურობაში, რადგან ამ კონსტრუქციის ფარგლებში უფრო იოლია პოზიციების შეთანხმება და გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ორგანიზაციებში, რომლებიც ათეულობით და ასეულობით (გაერო) წევრს ითვლიან.

თუმცა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ,,კონცერტის" შემადგენლობაზე. თუ მკველვართა ერთი ნაწილი გვთავაზობს ამ კავშირის ჩამოყალიბებას ,,რვა მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების საფუძველზე" (ეს შეხედულება განსაკუთრებით გავლენიანი გახდა ერაყში ომის დასრულების შემდეგ), სხვები ამტკიცებენ, რომ მასში აუცილებლად უნდა იყოს ჩინეთიც და ინდოეთიც.

მაგრამ მოცემული მოდელის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ის დისკრიმინაციულია მცირე და საშუალო სახელმწიფოების მიმართ. უსაფრთხოების სისტემა კი, რომელიც შექმნილია რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს დიქტატის საფუძველზე, არ იქნება ლეგიტიმური და არ მიიღებს მსოფლიო თანამეგობრობის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერას. გარდა ამისა, ამ მოდელის ეფექტურობა შეიძლება შერყეული იქნას დიდ სახელმწიფოებს შორის მეტოქეობით ან კავშირიდან მისი ერთი ან რამდენიმე წევრის გასვლით.

3. მრავალპოლუსიანი მოდელი:

რეალიზმთან დაახლოებული მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ,,ცივი ომის" დასრულების შემდეგ ფაქტობრივად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების არა ერთი, არამედ მრავალპოლუსიანი სისტემა.

აშშ-ს ლიდერობა დიდწილად მითიურია, რადგან ისეთი აქტორები, როგორებიცაა: ევროკავშირი, იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, ასეანი, რუსეთი, მართალია აღიარებენ აშშ-ს სიძლიერეს, მაგრამ მაინც თავის გეზს ატარებენ საერთაშორისო საქმეებში, ხშირად რომ არ ემთხვევა ამერიკის ინტერესებს. ძალის ამ ცენტრების გავლენის ზრდას ხელს ის ფაქტიც უწყობს, რომ იცვლება საკუთრივ ძალის ბუნება საერთაშორისო ურთიერთობებში. წინა პლანზე გამოდიან ამ ფენომენის არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ინფორმაციული და კულტურული შემადგენლები. ამ მაჩვენებლებით კი აშშ არ არის ყოველთვის ლიდერი. მაგ., ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით ევროკავშირი, იაპონია და ასეანი თავისუფლად შეიძლება შევადაროთ აშშ-ს (10 მლრდ დოლარი ყოველწლიურად). სამხედრო სფეროში ევროკავშირი ასევე ავლენს იმის განცდას, რომ აპირებს დაიწყოს რეგულარული ევროპული არმიის ფორმირება. ჩინეთი, რომელიც ახორციელებს თავისი შეიარაღებული ძალების

მოდერნიზაციის ფართომასშტაბიან პროგრამას, სპეციალისტთა აზრით, 2020 წლისთვის გახდება ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო სახელმწიფო არა მარტო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისში, არამედ მთელი მსოფლიოში.

მრავალპოლუსიანობის მომხრეები მოითხოვენ, რომ აშშ-მ აღიაროს ლიდერობაზე თავისი პრეტენზიების უსაფუძვლობა და დაიწყოს პარტნიორული დიალოგი სხვადასხვა ცენტრებთან. მრავალპოლუსიანობის იდეები განსაკუთრებით პოპულარულია რუსეთის პოლიტიკურ და აკადემიურ ისტებლიშმენტში და აყვანილია კიდეც ოფიციალური საგარეო პოლიტიკური დოქტრინის რიგში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ყველა ვარიანტში.

მრავალპოლუსიანობის ოპონენტები აღნიშნავენ, რომ ამგვარი მოდელი არ მოიტანს სტაბილურობას საერთაშორისო ურთიერთობებში. რადგან ის გამოდის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის, როგორც ,,ძალის ცენტრებს" შორის მუდმივი კონკურენციის ველის აღქმიდან. ეს კი, თავის მხრივ, გარდაუვლად გამოიწვევს კონფლიქტებს ამ უკანასკნელებს შორის და გავლენის სფეროების მუდმივ გადანაწილებას.

4. გლობალური (უნივერსალური) მოდელი

ამ კონცეფციის მომხრეები გამოდიან იმ თეზისიდან, რომ საერთაშორისო უსაფრთხოება ნამდვილად უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ გლობალურ დონეზე, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობის ყველა წევრები იღებენ მონაწილეობას მის შექმნაში. ერთი ვერსიით, ამ მოდელის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ქვეყანა და ყველა ხალხი გაიაზრებს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების რაღაც მინიმუმს და წარმოიქმნება გლობალური სამოქალაქო საზოგადოება მართვის ერთიანი სისტემით. მოცემული კონცეფციის ნაკლებად რადიკალური ვარიანტების მიხედვით ამგვარი მოდელი გაეროს წამყვანი როლის პირობით საერთაშორისო უსაფრთხოებისა რეჟიმებისა და ორგანიზაციების თანდათანობითი ევოლუციის შედეგი გახდება.

ამგვარი კონცეფცია პოპულარულია ძირითადად რუსი გლობალისტების სხვადასხვა სკოლებში, მაგრამ პოლიტიკური ელიტის დონეზე ის არ სარგებლობს განსაკუთრებული გავლენით. ამ მოდელის მოწინააღმდეგეები ძირითადად აკრიტიკებენ უსაფრთხოების ამგვარი სისტემის შექმნის გააზრებული მექანიზმის არარსებობისთვის.

საერთაშორისო უსაფრთხოების მოდელების მეორე ტიპი განისაზღვრება უსაფრთხოების სისტემების **მონაწილეთა შორის ურთიერთობათა ხასიათით**. დისკუსიები ძირითადად მოდიოდა სამი მოდელის ირგვლივ: კოლექტიური, საყოველთაო და კოოპერაციული.

1. კოლექტიური უსაფრთხოება:

ცნება, რომელიც გაჩნდა მსოფლიო პოლიტიკურ ლექსიკონში და დამკვიდრდა დიპლომატიურ პრაქტიკაში ჯერ კიდევ 1920-1930-იან წლებში, მაშინ როდესაც ცდილობდნენ შეექმნათ ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების მექანიზმი (ძირითადად ერთა ლიგის ბაზაზე).

კლექტიური უსაფრთხოების მთავარ ელემენტს წარმოადგენს საერთო მიზნით (თავისი უსაფრთხოების დაცვა) გაერთიანებული სახელმწიფოების ჯგუფი და სამხედრო-პოლიტიკური ზონების სისტემა, რომელიც მიმართულია პოტენციური მოწინააღმდეგის თუ აგრესორის წინააღმდეგ.

შეიძლება იყოს კოლექტიური უსაფრთხოების სხვადასხვა სახეობები, რომლებიც ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან თუ სახელმწიფოთაშორისი კოალიციის რა ტიპი უდევს მას საფუძვლად და რა მიზნებს ისახავენ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მონაწილეები. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობა, საერთო ფასეულობანი და ისტორია (მაგალითად, ნატო, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევროკავშირი, დსთ და სხვები). ასევე კოალიცია შეიძლება აღმოცენდეს გარეშე საფრთხის მიზეზითაც, რომელიც ემუქრება სრულიად განსხვავებული ტიპის სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან შექმნან ერთიანი კოლექტიურ თავდაცვაა საერთო მტრის წინააღმდეგ.

მთლიანობაში კი კოლექტიური უსაფერთხოება ყურაღგებას ამახვილებს სამხედრო-სტრატეგიულ პრობლემებზე და არ არის გამიზნული საერთაშორისო უსაფრთხოების სხვა ასპექტების გადაწყვეტაზე (ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და სხვა განზომილებები). ეს კი ზღუდავს მოცემული მოდელის გამოყენების შესაძლებლობას თანამედროვე პირობებში. XX ს-ის 90-იან წლებში დსთ-ს სივრცეში ამგვარი მოდელისადმი ინტერესის შედეგი იყო იყო, ის რომ ტაშკენტის 1992 წ. შეთანხმებას დაერქვა შეთანხმება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ.

ამრიგად, კოლექტიური უსაფრთხოება გულისხმობს სახელმწიფოთა შორის ისეთ თანამშრომლობას, რომლის დროსაც ერთი რომელიმე წევრის წინააღმდეგ აგრესია განიხილება აგრესიად ყველა დანარჩენის მიმართ. კოლექტიური უსაფრთხოება თითოეული მისი წევრისგან მოითხოვს საჭირო ქმედებებს და უთანხმოების არარსებობას კონფლიქტებზე რეაგირების დროს.

თუმცა კოლექტიური უსაფრთხოება არ არის იდეალური. მაგალითად, კოლექტიური უსაფრთხოების ზოგიერთმა წევრმა შეიძლება საკმარისი წვლილი არ შეიტანოს საერთო ამოცანებში და ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ასეთ დროს ჭიანურდება.

დადებითი მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ სულ უფრო მეტი სახელმწიფო მიისწრაფვის ასეთ გაერთიანებებში შევიდეს და ეს საფრთხის არსებობას ამცირებს.

2. საყოველთაო უსაფრთხოება

ცნება პირველად გაჩნდა 1982 წ. პალმიოს კომისიის მოხსენებაში. მას მხარს უჭერს რიგი გლობალისტური სკოლა. ეს კონცეფცია მოწოდებულია ხაზი გაუსვას საერთაშორისო უსაფრთხოების მრავალგანზომილებიან ხასიათს, რომელიც უნდა მოიცავდეს არამარტო ტრადიციულ ,,ხისტ", არამედ ,,რბილ" უსაფრთხოებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ვიწრო ჯგუფის სახელმწიფოების, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის ყველა წევრის კანონიერი ინტერესებს.

საყოველთაო უსაფრთხოების ინსტიტუციონალურ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს არა მარტო და არა იმდენად სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები (როგორც კილექტიური უსაფრთხოების შემთხვევაში), რამდენადაც გაეროს ტიპის გლობალური ორგანიზაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ევრისტიკული თვალსაზრისით საყოველთაო უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს კოლექტიურ უსაფრთხოებასთან შედარებით, მას რიგი ნაკლოვანება გააჩნია.

- საერთაშორისო უსაფრთხოების განსაზღვრის გარკვეული ბუნდოვნობა (უსაფრთხოების ცნება გახდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის სინონიმი);
- პრიორიტეტების არ არსებობა;
- ტექნიკური საკითხთა გაუმართაობა;

- სუსტი ინსტიტუციონალური განმტკიცება და მასთან დაკავშირებული სამართლის განხორციელება საერთაშორისო უსაფრთხოების რეგიონული ან გლობალური სისტემების პრაქტიკული მშენებლობის პროცესში.

საერთო უსაფრთხოება საერთაშორისო სისტემაში გულისხმობს კონფრონტაციაზე უარის თქმას. მისი მთავარი პრინციპებია: 1) სამხედრო ძალის გამოყენებაზე უარის თქმა და მხოლოდ თავდაცვის მიზნით მისი გამოყენება; 2) სამხედრო უპირატესობის მოპოვების ტრადიციულ სტრატეგიაზე უარის თქმა; 3) აღიარება იმის, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოება არ უნდა იყოს დამყარებული მის სამხედრო ძალაზე; 4) საერთო უსაფრთხოების საბაზისო პრინციპების თანახმად შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება, ქიმიურ და ბიოლოგიური იარაღის ლიკვიდაცია/აკრძალვა, 5) ბირთვულ იარაღის ფლობაზე უარის ტქმა.

3. კოოპერაციული უსაფრთხოება

კოლექტიური უსაფრთხოებისგან განსხვავებით სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფრთხოება ემყარება არაფორმალურ დიალოგს და ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ფორმალური ინსტიტუტების არსებობა.

ეს მოდელი პოპულარილი გახდა XX ს-ის 90-იანი წლების შუახანებიდან. მისი მომხრეების აზრით, იგი თავისთავში უხამებს ორივე წინა კონცეფციის დადებით მხარეებს. ერთის მხრივ ის აღიარებს საერთაშორისო უსაფრთხოების მრავალგანზომილებიან ხასიათს, მეორეს მხრივ კი აწესებს პრიორიტეტების გარკვეულ იერარქიას და მიუთითებს საერთაშორისო საქმიანობის სუბიექტებს პირველი რიგის ამოცანების გადაჭრაზე.

კოოპერაციული უსაფრთხოების მოდელი უპირატესობას ანიჭებს სადავო საკითხების მშვიდობიან, პოლიტიკურ საშუალებებს, მაგრამ იმავე დროს არ გამორიცხავს სამხედრო ძალის გამოყენებას (არა მარტო როგორც უკანასკნელ საშუალებას, არამედ როგორც პრევენციული დიპლომატიის და მშვიდობისმყოფელობის ინსტრუმენტს). ის მხარს უჭერს სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი და ცივილიზაციური მოწყობის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობასა და კონტაქტებს. ამასთან ერთად, მას შეუძლია დაეყრდნოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირების არსებულ სისტემას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის დროს. და ბოლოს, ეს კონცეფცია, აღიარებს რა ერი-სახელმწიფოს, როგორც

საერთაშორისო საქმიანობის ძირითად სუბიექტს, დიდ ყურაღებას უთმობს საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების პოტენციალის გამოყენებას.

კოოპერაციული უსაფრთხოების მოდელი შორსაა სრულყოფილებისაგან. არ არის ბოლომდე ნათელი მისი ბევრი კონკრეტული პარამეტრი: რომელი ინსტიტუტები უნდა გახდნენ საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი სისტემის ბირთვი, როგორია ძალის ბუნება და მისი გამოყენების საზღვრები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორია ეროვნული სუვერენიტეტის პერსპექტივები, როგორი იქნება არსებული სამხდრო-პოლიტიკური ალიანსების ბედი, როგორ უნდა მოხდეს რომ თავიდან იქნეს აცილებული ბლოკების პოლიტიკის აღორძინება და საერთაშორისო უსაფრთხოების ამჟამინდელი სისტემის გასვლა ქაოსამდე და ა.შ.? შიშს ბადებს ზოგიერთი ქვეყნის და კოალიციის (აშშ, ნატო) ცდებიც განმარტონ კოოპერაციული უსაფრთხოების ცნება თავისთვის სასარგებლოდ და ააგონ არა თანასწორუფლებიანი, არამედ იერარქიული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა.

ერაყის ომის გამო რუსეთისა და აშშ-ს შორის ურთიერთობის დროებით გაციების მიუხედავად, თანამშრომლობა ისეთ გლობალურ საკითხებში, როგორებიცაა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, სამხედრო პოტენციალების შემცირება და განიარაღება, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, ნარკობიზნესთან, როგორც ადრე გრძელდება, ზოგიერთი მიმართულებით ახლაც ძლიერდება.

თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ უსაფრთხოების ტრადიციულ სამხედრო-პოლიტიკურ გაგებას, მაშინ შეიძლება გამოვყოთ თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერი რეგიონისთვის უსაფრთხოების სამი ძირითადი მოდელი: ესაა: საერთო უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფრთხოება, რაც, ასევე, შეიძლება საკამათო იყოს.

როგორც თანამედროვე რუსი მკვლევარი, პეტროვსკი აღ-ნიშნავს, ეს კონცეფცია „ბევრი რამით ჰგავს საერთო უსაფრთხოე-ბის კონცეფციას. თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფრთხოება ხშირად განიხილება, როგორც ქვეყნებს შორის უსაფრთხოების სფეროში დიპლომატიური თანამშრომლობა. მაშინ

როდესაც, ძალთა ბალანსის ტრადიციული კონცეფცია სამხედრო კონფრონტაციის პირობებში სახელმწიფოს სავარაუდო ქმედებას განსაზღვრავს, თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოების კონცეფცია პრევენციული დიპლომატიის და სამხედრო-პოლიტიკური ნდობის როლზე აკეთებს აქცენტს, რაც გულისხმობს უსაფრთხოების კუთხით სახელმწიფოთა შორის რეგულარულ დიალოგს, კონსულტაციებსა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის შემუშავებას".

თუკი კოლექტიური უსაფრთხოების შემთხვევაში სახელმწიფოები ერთიანდებიან საერთო აგრესორის წინააღმდეგ, თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფრთხოება გულისხმობს საერთო მონაწილეობას, რომლის დროსაც პირველ ადგილზე გამოდის არა ფორმალური ინსტიტუტები, არამედ არაფორმალური დიალოგი.

საერთაშორისო უსაფრთხოების პრინციპები ითვალისწინებენ:

> მშვიდობიანი თანაარსებობის, როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის უნივერსალური პრინციპის დამკვიდრებას.

> ყველა სახელმწიფოსთვის თანაბარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

> სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში ქმედთი გარანტიების შექმნას.

> კოსმოსში გამალებული შეიარაღების არდაშვებას, ბირთვული იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტას და მისი სრული ლიკვიდაციას.

> ყოველი ხალხის სუვერენული უფლებების უპირობო პატივისცემას.

> საერთაშორისო კრიზისებისა და რეგიონული კონფლიქტების სამართლიან, პოლიტიკურ დარეგულირებას.

> სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

> საერთაშორისო ტერორიზმის თავიდან აცილების ეფექტური მეთოდების შემუშავებას.

> გენოციდის, აპართეიდის, ფაშიზმის ქადაგების აღმოფხვრას.

> საერთაშორისო პრაქტიკიდან ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვას, ეკონომიკურ ბლოკადასა და სანქციაზე უარის თქმას (იმ შემთხვევაში თუ მსოფლიო თანამეგობრობის რეკომენდაცია არ არის);

> ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარებას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოს თანაბარ ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი არის - გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ქმედითი ფუნქციონირება.

საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ხერხები არის:

> დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ურთიერთუსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ ორმხრივი მოლაპარაკებები;

> სახელმწიფოების გაერთიანება მრავალმხრივ კავშირებში;

> საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერი საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონული სტრუქტურები და ინსტიტუტები;

> საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის დემილიტარიზაცია, დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია, სამართლის უზენაესობის აღდგენა საერთაშორისო ურთიერთობებში;

გამოვლენის მაშტაბებიდან გამომდინარე განასხვავებენ საერთაშორისო უსაფრთხოების შემდეგ დონეებს: რეგიონული და გლობალური

რეგიონალური უსაფრთხოების სისტემა

რეგიონალური უშიშროება საერთაშორისო უშიშროების შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოიცავს განსაზღვრული რეგიონის საზღვრებში არსებული სახელმწიფოების შეთანხმებული ღონისძიებების კომპლექსს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. თანამედროვე ცხოვრებაში უფრო და უფრო მატულობს რეგიონების, როგორც საერთაშორისო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დამოუკიდებელი სუბიექტის როლი.

რეგიონალური უსაფრთხოება ეს არის განსაზღვრული რეგიონის სოციალურ-ტერიტორიულ გაერთიანებებს შორის და შიგნით ურთიერთობების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია მასთან დაკავშირებული სახელმწიფოების, ხალხების, მოქალაქეების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების და ჯგუფების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების, საიმედო არსებობის და სტაბილური განვითარების დაცულობა.

რეგიონი ლათინური სიტყვაა და ითარგმნება, როგორც მხარე, ოლქი, ქვეყანა და მართლაც მასში შეიძლება გავაერთიანოთ,

როგორც პატარა გეოგრაფიული ერთეული ან ადმინისტრაციული დანაყოფი, ისე მთლიანად გეოგრაფიული კონტინენტიც კი. როგორც ყველა სოციალური და პოლიტიკური წარმონაქმნი, რეგიონიც დაინტერესებულია და იღწვის კეთილდღეობისათვის, სტაბილურობისათვის და განვითარებისათვის. ყველაფერი ამის გარანტი კი უსაფრთხოებაა. რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები, დიდი ხანია მოექცა მეცნიერთა ინტერესების სფეროში, მაგრამ პრობლემათა დამუშავება ვერ ხერხდება. საკმაოდ მოარულია ცნებები –გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოება, რეგიონალური და სუბრეგიონალური ინტეგრაცია; რეგიონალური ინტეგრაციული ორგანიზაციები და ა.შ.

ეკონომიკური თვალსაზრისით, რეგიონები იყოფა ტექნოლოგიური სპეციალიზაციების, ერთნ სულ მოსახლეზე ხვედრითი წილისა და მეურნეობის განვითარების მიხედვით. პოლიტიკური დაყოფით ისინი სუბეროვნულ ან ზეეროვნულ გაერთიანებად ჯგუფდებიან, ან საერთოდ იმყოფებიან პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ იზოლაციაში.

რეგიონალური უშიშროება ხორციელდება სხვადასხვა დონეზე: ქვეყნების ცალკეული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში; სახელმწიფოების მეზობელი რამდენიმე რეგიონის მიმართებაში; გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში შემავალი ქვეყნების ჯგუფის მასშტაბში. ნებისმიერ დონეზე იქმნება ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების ურთიერთკავშირი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სამხედრო და უშიშროების სხვა სახეების ელემენტებს.

გაეროს წესდების და სხვა დოკუმენტების შესაბამისი მოთხოვნებიდან გამომდინარე რეგიონალური უშიშროების სფეროში შედის: დავების მშვიდობიანი მოწესრიგება, რეგიოანლური სისტემის წევრებს შორის კონფლიქტების აცილება; კოლექტიური ღონისძიებების ორგანიზაცია აგრესიის და მშვიდობის საფრთხეების აღკვეთისათვის; პრევეციული დიპლომატია, მშვიდობის მხარდაჭერა, განმტკიცება და შენარჩუნება პოსტკონფლიქტურ პერიოდში. ასეთი შეთანხმებები, ორგანიზაცია და სტრუქტურა ქმნის უშიშროების რეგიონალურ სისტემას.

რეგიონალური უშიშროების სისტემა ეს არის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების და ორგანიზაციის, სამხედრო-დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და საზოგადოებრივი

ღონისძიებების და ძალისხმევის ურთიერთდაკაშირებული კომ-პლექსი, რომელიც უზრუნვეყოფს სახელმწიფოების და ხალხების კოლექტიურ უსაფრთხოებას. ანუ **რეგიონალური უშიშროების სისტემა** ღონისძიებების და ურთიერთობების ის კომპლექსია, რომელიც უსაფრთხოებას უზრუნველყოფს რეგიონალურ დონე-ზე.

რეგიონალური უშიშროების სისტემა შეზღუდულ ხასიათს ატარებს, მათი ჩამოყალიბება ხდება კონკრეტული მდგომარეო-ბის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება შეიქმნას ამა თუ იმ რეგიონში. ბევრად უფრო განვითარებული ფორმა მიიღო ევრო-პულმა უსაფრთხოებამ, რომელიც ბირთვიც XXI ს-ის დასაწყისში არის ისეთი ორგანიზაცია , როგორიცაა ევროკავშირი, ეუთო და ნატო.

გლობალური უსაფრთხოება

გლობალური უშიშროება ეს არის საერთაშორისო პოლი-ტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სხვადასხვა საფრთხეები-საგან უზრუნველყოფს სახელმწიფოებისა და მათი ბლოკების, კავ-შირების, გაერთიანებების და მთლიანად მსოფლიო თანამეგობრო-ბის არსებობას, თანამშრომლობას და ურთიერთობებს მათი სასი-ცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების გარანტირებული დაც-ვის პირობებით. იგი ამცირებს სახელმწიფოთაშორის კონფლიქტე-ბის დონეს და უზრუნველყოფს სამხედრო-პოლიტიკურ მდგრადო-ბას მსოფლიოში. ასევე აფართოებს და აძლიერებს თანაშრომლო-ბას სხვადასხვა სახელწიფოებსა და ერებს შორის.

გლობალური უსაფრთხოება ეს არის მთელი მსოფლიოს დაცვა გლობალური მასშტაბის საფთხეებისგან, რომლებიც ემუქ-რებიან კაცობრიობის არსებობას ან უნარი შესწევთ გამოიწვიონ სასიცოცხლო პირობების მკვეთრი გაუარესება პლანეტაზე. ამგვა-რი მუქარებს უპირველეს ყოვლისა მიეკუთნებენ თანამედროვეო-ბის გლობალური პრობლემები.

გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვა მიმართულებებს წარადგენენ:

- განიარაღება და კონტროლი შეიარაღებებზე;
- გარემოს დაცვა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომკური და სოციალური პროგრესისთვის ხელის შეწყობა;
- ეფექტური დემოგრაფიულლი პოლიტიკა, ბრძოლა საერ-თაშორისო ტერორიზმთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნ-ვასთან;

- ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების თავიდან აცილება და დარეგულირება;

- კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება თანამედროვე მსოფლიოში;

- ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა;

- კოსმოსის ათვისება და მსოფლიო ოკეანის სინდიდრის რაციონალური გამოყენება.

გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიოს საზოგადოებაზე გლობალური ზეწოლის შესუსტებასთან. თანამედროვეობის გლობალური პრობლემები - ეს არის პლანეტური მასშტაბის ისეთი პრობლემები, რომლებიც ამა თუ ის ზომით ეხებიან მთელი კაცობრიობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს, ისინი გამოდიან რა როგორც თანამედროვე ცივილიაზიის განვითარების, ყველა სახელმწიფოსა და ხალხის, პლანეტის ყველა მცხოვრების არსებობის ობიექტური ფაქტორი, იძენენ უკიდურესად მწვავე ხასიათს და ემუქრებიან არამარტო კაცობრიობის პოზიტიურ განვითარებას, არამდედ მთელი ცივილიზაციის არსებობას თუ არ იქნება მოძებნილი მათი გადაწყვეტის კონსტრუქციული გზები და მოითხოვს მათი გადაჭრისთვის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის, მთელი მსოფლიოს საზოგადოების ძალისხმევას.

თანამედროვე გაგებით ცნება ,,გლობალური პრობლემები" ფართო გამოიყენება XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოდან, როდესაც მრავალი ქვეყნის მეცნიერი, რომლებიც შეშფოთებულები იყვნენ იმ წინააღმდეგობებით და პრობლემებით, რომლებიც იმ დროისთვის დაგროვდა. აღნიშნული პრობლემები ღრმავდებოდა და სრულიად რეალურს ხდიდნენ კაცობრიობის დაღუპვას ან მასში სერიოზული რყევების გამოწვევას, ასევე მისი არსებობის უმნიშვნელოვანის ასპექტების დეგრადაციის მუქარას. შესაბამისად დაიწყო გლობალურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და მათი შესაძლო შედეგების გამოკვლევა.

მოკლე ვადაში ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო მიმართულება - **გლობალისტიკა.** ხოლო მისი მიმდევრები ცდილობენ ჩამოაყალიბონ ზოგადსაკაცობრიო პრობლემების სიები, ჩამონათვალები, რეესტრები. მაგალითად 1991 წელს მიუნხენში გამოცემული ,,მსოფლიო პრობლემების და ადამიანური პოტენციალის ენციკლოპედიის" ავტორებმა გლობალურ პრობლემებს მიაკუთნეს 12 000-ზე მეტი პრობლემა. თუმცა, ზოგადსაკაცობრიო პრობლე-

მატიკის ასეთი ფართო განმარტება სერიოზულ უთანხმოებას იწვევს მრავალი მეცნიერის მხრიდან.

გლობალური პრობლემები ხასიათდებიან გამოვლენის პლანეტური მაშტაბებით, დიდი სიმწვავით, კომპლექსურობით და ურთიერთდამოკიდებულებით, დინამიზმით.

გლობალურ უსაფრთხოებას საყოველთაო და ყოვლისმომცველი ხასიათი გააჩნია. საყოველთაო ნიშნავს, რომ გლობალური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ხდება მსოფლიოს თანამეგობრობის ყველა წევრის შეთანხმებული ძალისხმევით.

უსაფრთხოების ყოვლისმომცვლელი ხასიათი იმასთანაა დაკავშირებული, რომ მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს განვითარების ყველა კრიზოგენური ფაქტორის გათვალისწინებით და იმ ზომების მიხედვით, რომლებიც ხელს უწყობენ თანამედროვე ცივილიზაციის ყველა მცხოვრების მდგრადი უზრუნველყოფელი სისტემის და სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკას, გლობალური სფეროს პოლიტიკური შესაძლებლობების და საშუალებების ფორმირებას იკვლევს **პოლიტიკური გლობალისტიკა.**

ცივილიზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გლობალური საფრთხეების ზრდასთან დაკავშირებით ჩნდება სხვადასხვა მიდგომები. ამ მხრივ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა მხოლოდ ეკონომიკური (ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნა) და სოციოკულტურული სფეროს ინდივიდებისა და ადამიანების დიდი ჯგუფების მორალური მოტივაციის გამოყენების შესაძლებლობებს იმისთვის, რომ გაეერთიანებინათ ადამიანების ძალისხმევა ცივილიზაციისთვის მზარდი საფრთხების შემცირებისთვის. მაგრამ ათწლეულებმა, რომლებიც გავიდა პირველი გლობალური პროგნოზის გაჩენის დროიდან აჩვენა, რომ სტიქიური ეკონომიკური მექანიზმები უუნარონი არიან შეამცირონ გლობალური საფრთხე ცივილიზაციისათვის. ამიტომაც სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა იმ ინსტიტუტებს, რომლებიც გააჩნია პოლიტიკური სფეროს და პოლიტიკის ცხოვრებას. შესაბამისად ხდებოდა გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკის ცნების ფორმირება.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკას რთული და კომპლექსური ხასიათი გააჩნია. ის განუყრელად დაკავშირებულია პოლიტიკური პროცესის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებთან და ელემენტებთან. პოლიტიკის გლობალიზაცია საბო-

ლოო შედეგში ნიშნავს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტის დამკვიდრებას, რის შედეგადაც ხდება მისი სექტორის გაფართოება და ფორმირება ზოგადსაკაცობრიო ინტერესებთან დაკავშირებით. ზოგადპლანეტარული პრობლემების გადაჭრის ობიექტური მოთხოვნილება გარდაუვლად გააფართოებს პოლიტიკის იმ სფეროს, რომელიც ორიენტირებულია ზოგადსაკაცობრიო ინტერესზე. ამასთან, ამ სფეროს გაფართოება ძალზე რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს, მით უმეტეს, რომ არც თუ იშვიათად, პოლიტიკური სცენის ბევრი აქტიორი ცდილობს თავისი ეგოისტური ინტერესები გაასაღოს, როგორც ზოგადსაკაცობრიო, საერთოპლანეტარული მოვლენა.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკა სტრუქტურირდება გამომდინარე საქმიანობის დონისა და სფეროსგან:

- ის შეიძლება მიმართული იყოს სხვადასხვა სფეროებზე, როგორიცაა ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამხედრო, ინფორმაციული, სოციოკულტურული.
- ის შეიძლება ვლინდებოდეს სხვადასხვა სივრცობრივ დონეზე - გლობალურზე, რეგიონულზე, ზოგადეროვნულსა და ლოკალურზე.

ფართო გაგებით, უსაფრთხოების პოლიტიკა არის გლობალური რისკის შემცირების პოლიტიკა; ამ ასპექტში პოლიტიკური გლობალისტიკა, რომელიც ფორმირდება პოლიტიკური მეცნიერების კომპლექსურ მიმართულებად, მოწოდებულია გახსნას პოლიტიკური პროცესის თავისებურებები მზარდი გლობალური საფრთხეების ზრდის პირობებში; ის იკვლევს ცალკეული საზოგადოებების და მთლიანად ცივილიზაციის ადაპტაციის პოლიტიკურ ფორმებსა და საშუალებებს გადარჩენის იმპერატივებთან; ახორციელებს ურთიერთდამოკიდებულების რეგულირების მექანიზმების, მეთოდებისა და მიმართულებების ძიებას; განსაზღვრავს გლობალური სისტემისა და მისი სხვადასხვა სტრუქტურების უსაფრთხოებას.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ პრობლემებისა და წინააღმდგობების სათავეების გარკვევა, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ გლობალური სისტემის უსაფრთხოებას.

კაცობრიობის ევოლუციის რისკობრივი ხასიათი საზოგადოებრივ ცნობიერებაში ფიქსირდება ცნება „ცივილიზაციის კრიზის-

ში“. სოციალური პროგრესის მთავარი კრიტერიუმი ამჟამად არ შეიძლება იყოს შეზღუდული მეურნეობის სისტემის მხოლოდ ეკონომიკური ეფექტურობით. კრიტერიუმის განუყრელ ნაწილად იქცევა ის, თუ რამდენად შეუძლია ამა თუ იმ გზას გააფართოვოს მომავლის ჰორიზონტები, მოხსნას და შეარბილოს გლობალური პრობლემების სიმწვავე.

თემა X

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება

ეკონომიკური ფაქტორები მთელი ისტორიის მანძილზე დიდ როლს ასრულებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში. ეკონომიკური მიზნები, რესურსები და ინსტრუმენტები ხშირად განსაზღვრავდნენ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ უამრავი ისტორიული მოვლენა - ეს იქნება ომები, ზავები, შეთქმულებები, კოალიციების წარმოშობა თუ სხვა, და მათი კარგად შესწავლის შემდეგ დავინახავთ, რომ ნებისმიერი მათგანის უკან იყო ეკონომიკური დაინტერესება ან, პირიქით, გარკვეული ეკონომიკური მოვლენები პოლიტიკური ქმედებების გამოხმაურება იყო ან კონკრეტული პოლიტი კური მიზნის მიღწევას ემსახურებოდა. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ადრინდელი ინდუსტრიალიზაცია მეცხრამეტე საუკუნეში მისი პოლიტიკური სიძლიერისა და მსოფლიოში დომინანტ სახელმწიფოდ გადაქცევის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. ასევე აშშ-ს ეკონომიკურმა სიძლიერემ განაპირობა მისი სამხედრო ძლიერება და მეოცე საუკუნეში პოლიტიკური დომინანტის როლის შესრულება.

საერთაშორისო პოლიტიკა არ შეიძლება განხილულ იქნეს ეკონომიკის ასპექტების ცოდნის გარეშე, ხოლო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები გულისხმობს როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა სახის, ასევე, თუ პირველ რიგში არა, ეკონომიკურ ურთიერთობებსაც.

საერთაშორისო ეკონომიკა შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ცალკე, დამოუკიდებლად მოქმედი სისტემა, თავისი საკუთარი კანონებითა და წესებით, მაგრამ იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, გადახლართული საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემასთან, რომ თავის უმთავრეს, განმსაზღვრელ ასპექტებში მათი ერთმანეთისგან გამორჩევაც კი ძნელდება. საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ხშირად დამოუკიდებელ მოვლენად გვეჩვე-

ნება, რომელსაც საკუთარი სტრუქტურა და დინამიკა ახასიათებს. კაპიტალი, ადამიანების მოთხოვნილებებსა და სურვილებთან ერთად, ამ დინამიკის ძირითადი წყარო, ხოლო შრომის საერთაშორისო დანაწილება მისი ფუნდამენტური სტრუქტურაა. საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას ანუ მსოფლიო მეურნეობას, მეტად რთული და დინამიკური ისტორია აქვს, რომლის გენერატორები იყო : მოსახლეობის რიცხვის ზრდა, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები, კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური ორგანიზაციის დახვეწა და ეკონომოკური თეორიის განვითარება. თავისი განვითარების მანძილზე საერთაშორისო ეკონომიკურმა სისტემამ შექმნა უზარმაზარი სიმდიდრე, უზრუნველყო მილიონობით ადამიანი საცხობრებლით, სურსათით, სამუშაო ადგილებით, უამრავი სხვადასხვა ნივთითა და მომსახურებით, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლასაც რამდენიმე სქელი ტომი დასჭირდებოდა. საერთაშორისო ეკონომიკამ თავისი განვითარების მანძილზე წარმოშვა არა მხოლოდ ძლიერი ეროვნული ეკონომიკები, არამედ მათ შორის ეკონომოკური კავშირებიც წარმოქმნა და გააღრმავა, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების რთული სისტემა და, პირველ რიგში, საერთაშორისო ვაჭრობა კაცობრიობის არსებობის აუცილებელ და განუყოფელ პირობად აქცია. საერთაშორისო ეკონომიკურმა პროცესებმა მოგვცა ჭეშმარიტად გლობალური ეკონომიკა, რომლის ფონზე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ საკმაოდ "განუვითარებელი" და დანაწევრებული მოჩანს. საერთაშორისო კაპიტალი კი, როგორც რ. მარი შენიშნავს, სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება სახელმწიფოთა ინტერესებისაგან.

ეკონომიკის გლობალიზაციისა და საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების ინტენსიფიცირების მიუხედავად, ეროვნული ეკონომიკები მაინც რჩება საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მთავარ შემადგენელ ელემენტად. სახელმწიფოთა ეკონომიკური შესაძლებლობები და ძლიერება პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს და თვით საერთაშორისო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური პოლიტიკაა. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ უკვე დროა, ერთმანეთისაგან აღარ გავმიჯნოთ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები, რადგან საერთაშორისო ეკონომიკა უკიდურესად გადახლართუ-

ლია სახელმწიფოთა სტრუქტურებთან და ძალაუფლებისა და უსაფრთხოების დინამიკასთან, ისევე როგორც სახელმწიფოთა სისტემებია გადახლართული საწარმოო სტრუქტურებთან, მოხმარებასთან, სიმდიდრის დინამიკასთან. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ორივე სისტემას საკუთარი სტრუქტურა და დინამიკა ახასიათებს. თეორიულ ლიტერატურაში დიდი დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რომელ სისტემას მივაკუთნოთ უპირატესობა, რომელია განმსაზღვრელი და ა.შ.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი იმავე კაპიტალიზმის განვითარების პროცესია. XIX საუკუნეში, როცა კაპიტალიზმის განვითარება დაჩქარდა და დიდი ბრიტანეთის ბატონობის პირობებში ე.წ "თავისუფალი ვაჭრობის" სისტემა ფუნქციონირებდა, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასაც. Kკაპიტალიზმის განვითარება იმავე საბაზრო ეკონომიკის განვითარება იყო, მაგრამ საბაზრო ეკონომიკა არც ეროვნული და არც საერთაშორისო მასშტაბით თავისთავად, ავტომატურად ვერ განვითარდებოდა, ამისათვის ზოგიერთი სხვა პირობა რომ არ შექმნილიყო. ერთ-ერთი ასეთი პირობა იყო ლიბერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სახელმწიფო საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის შემქმნელი და წამმართველია. ტრადიციული მარქსისტული შეხედულება, რომლის თანახმად სახელმწიფო მხოლოდ მმართველი კლასის ინსტრუმენტად არის წარმოდგენილი, რა თქმა უნდა, მეტად პრიმიტიულია.

სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოშობის პირობებით, განვითარების თავისებურებებით, იდეოლოგიითა და პოლიტიკური კულტურით. დასავლეთის სახელმწიფოები XIX საუკუნეში ორი პოლიტიკური კულტურის _ ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის _ გავლენას განიცდიდნენ. ნაციონალიზმის ბაზაზე აღმოცენებული სახელმწიფო უფრო მილიტარიზებულია. რომელშიც სახელმწიფო გავლენა დიდია ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკის ათვლით. ნაციონალისტურ სახელმწიფოში სამხედრო ელიტა საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და რეალიზაციაში მნიშვნელოვან (შეიძლება გადამწყვეტ) როლს ასრულებს. Lლიბერალური სახელმწიფო კი მოწოდებულია, მფარველობა გაუწიოს საკუთრებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავში-

რებულ საქმეებს. ამიტომ ნამდვილი ლიბერალური სახელმწიფო მინიმალურად ერევა ეკონომიკურ საქმიანობაში, მისი მთავარი ფუნქცია სამართლიანი და ეფექტიანი კანონების დაწესება და დაცვაა. ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები წარმოიქმნა ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის ჭიდილში. პრუსია უფრო ნაციონალისტური სახელმწიფოს ტიპისა იყო, ხოლო აშშ ლიბერალური სახელმწიფო გახდა. აშშ-ში ფედერალური მთავრობა მინიმალურად ერეოდა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში (1929-1933წწ. "დიდი დეპრესიის" დროს ფედერალური მთავრობა საფუძვლიანად პირველად ჩაერია სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში). Dდიდი ბრიტანეთის, XIX საუკუნის უძლიერესი სახელმწიფოს, ეკონომიკა აგრეთვე ლიბერალიზმის პირობებში ვითარდებოდა. იგივე ხდებოდა დასავლეთ ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

XIX საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო სისტემაში შედარებითი წესრიგი ოთხ ინსტიტუტზე იყო დაფუძნებული: 1. ძალთა წონასწორობის სისტემაზე; 2. ოქროს საერთაშორისო სტანდარტზე; 3. თვითრეგულირებად ბაზარზე და 4. ლიბერალურ სახელმწიფოზე. აქედან ორი ინსტიტუტი ეკონომიკურია, ხოლო დანარჩენი ორი _ პოლიტიკური, ორი ეროვნული მასშტაბისაა და ორიც _ საერთაშორისო. 1815-1914 წლების პერიოდი, როცა ზემოთ ხსენებული ოთხი ინსტიტუტი ფუნქციონირებდა, "100 წლიანი მშვიდობის" ხანად არის ცნობილი, რადგან დროის ამ მონაკვეთში დიდი, გამანადგურებელი ომი არ მომხდარა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები რომ მოშლილიყო, მშვიდობას მხოლოდ ძალთა წონასწორობის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფდა. იმდროინდელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, რომლებშიც საბაზრო ეკონომიკა ვითარდებოდა და ლიბერალური სახელმწიფო ინსტიტუტები მტკიცდებოდა, მშვიდობით იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ეკონომიკური აღმავლობა მხოლოდ მშვიდობის პირობებში იყო შესაძლებელი. იყო აგრეთვე კიდევ ერთი ფაქტორი, _ აღნიშნავს კ. პოლანი, _ რომელიც თითქოს უხილავი იყო, მაგრამ სწორედ მისი წყალობით მოხერხდა იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის ხიდის გადება. ამან დიდი წვლილი შეიტანა მშვიდობის შენარჩუნებაში _ ეს ფაქ-

ტორი საერთაშორისო ფინანსები, საერთაშორისო ბანკები იყო. საერთაშორისო ვაჭრობას მშვიდობა სჭირდებოდა. დიდი ომის პირობებში საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებიც მოიშლებოდა და ამიტომ იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკა დინამიკურად ვითარდებოდა, ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ დიდი მასშტაბის ომი თავიდან აეცილებინათ. ასე რომ, ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ ხელი შეუწყო საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებას.

როცა კოლონიებისათვის ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა და წამყვანი ქვეყნები მტრულ დაჯგუფებად დაიყო, ძალთა წონასწორობაც მოიშალა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირებიც ძალზე შესუსტდა. ფუნქციონირებდა მხოლოდ ოქროს სტანდარტი, რაც საკმარისა არ აღმოჩნდა მშვიდობისა და საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის განხილვისას არ შეიძლება მოკლედ არ შევეხოთ იმპერიალიზმის საკითხს, რადგან მას არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ იდეოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. ეროვნულ (სახელმწიფო) საზღვრებს გარეთ სხვა ხალხებზე ბატონობა არის ისტორიული მოვლენა, რომელსაც იმპერიალიზმს ან კოლონიალიზმს უწოდებენ. იმპერიების გადაშენებისა და ყოფილი კოლონიების სუვერენულ სახელმწიფოებად გადაქცევის შემდეგ ხშირად რჩება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც უხილავ ან აშკარა ეკონომიკურ ან პოლიტიკურ დომინირებას, ბატონობას გულისხმობს. მ ახალი ტიპის ბატონობას უწოდებენ ნეოიმპერიალიზმს ან ნეოკოლონიალიზმს. რა არის იმპერიალიზმი? იგი ეკონომიკური მიზეზებით არის გამოწვეული თუ წმინდა პოლიტიკური უპირატესობის შედეგია? იმპერიალიზმში რომ ძლიერი ეკონომიკური კომპონენტია _ ეს აუცილებელი ფაქტია.

კოლონიებისათვის და მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლა, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ანტაგონიზმმა მკლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რადგან იმპერიალიზმისა და კაპიტალისტური განვითარების გვერდი-გვერდ სვლამ უამრავი თეორიული და პრაქტიკული პრობლემა წარმოშვა. მთავარი იმის

დადგენა იყო, თუ რა კავშირშია იმპერიალიზმი კაპიტალიზმის განვითარებასთან. კარლ კაუცკის აზრით, იმპერიალიზმი მაღალგანვითარებული სამრეწველო კაპიტალიზმის პროდუქტია და მისი არსი ისაა, რომ ყოველი სამრეწველო კაპიტალისტური ქვეყანა საკუთარი მრეწველობის მოთხოვნილებების გამო "იძულებულია", დაიმატოს ან დაიმორჩილოს აგრარული ქვეყნები განურჩევლად იმისა, რომელი ხალხებით არიან ისინი დასახლებულნი. Kკაუცკი ხაზს უსვამდა ანექსიისაკენ სწრაფვას, პოლიტიკურ მხარეს. მისთვის იმპერიალიზმი, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური მოვლენაა. ვ. ლენინისაგან განსხვავებით, კაუცკი იმპერიალიზმში არ ხედავდა კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ფაზას. კაუცკის მიაჩნდა, რომ მომავალში კაპიტალიზმი "ულტრაკაპიტალიზმში" გადავა, როცა კარტელების პოლიტიკა იმპერიალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე გავრცელდება. საერთაშორისო მასშტაბით გაერთიანებული საფინანსო კაპიტალის მიერ მსოფლიოს ერთობლივი ექსპლუატაცია მოხსნის ეროვნულ საფინანსო კაპიტალებს შორის მეტოქეობას. ამ გზით, კაუცკის თანახმად, კაპიტალიზმი მიაღწევს თავისი განვითარების უმაღლეს, საბოლოო დონეს, რის შედეგადაც პროლეტარიატი განახორციელებს თავის საბოლოო მიზანს. როგორც ვხედავთ, კაუცკის კონცეფციაში მოცემულია კაპიტალისა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზმის სურათი.

კიდევ ორმა ავტორმა სცადა იმპერიალიზმის არსში ჩაწვდომა. ერთი იყო რუდოლფ ჰილფერდინგი (II ინტერნაციონალის ავსტრიელი თეორეტიკოსი), რომელმაც ამ საკითხს მიუძღვნა თავისი წიგნი "ფინანსური კაპიტალი", ხოლო მეორე ინგლისელი ჯ. ჰობსონია, რომლის წიგნი "იმპერიალიზმი" დღესაც არ მოძველებულა. ვ. ლენინმა თავის გახმაურებულ შრომაში "იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" ორივესაგან ბევრი რამ ისესხა. 1917 წელს ლენინის მიერ იმპერიალიზმის შესახებ გამოცემული შრიმა იყო არა მხოლოდ პოლემიკა სხვა მარქსისტებთან, არამედ კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის მარქსისტული კრიტიკის სინთეზიც. საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად, ლენინმა მარქსიზმი შიდა ეკონომიკის თეორიიდან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობათა თეორიაში "გადაიყვანა". ლენინის ზოგადი იდეა, ასეთია: რადგან

კაპიტალისტური ქვეყნები სხვადასხავა ტემპით ვითარდებიან და კაპიტალიც ასევე უთანაბროდ გროვდება, ამიტომ საერთაშორისო სისტემა არ შეიძლება იყოს სტაბილული (ან თუ იქნება, მხოლოდ მოკლე დროით). კაუცკის "ულტრაიმპერიალიზმის" დოქტრინის საპირისპიროდ, ლენინი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ნებისმიერი კავშირი დროებითია და ძალთა "წამიერ" წონასწორობას ასახავას. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის უთანაბრო განვითარება იწვევს კონფლიქტებს კოლონიური ტერიტორიების გამო. ეს მარქსის თეორიაში შეტანილი შესწორებაა. ლენინმა მარქსის "ინტერნაციონალიზაცია" მოახდინა.

მარქსის მიხედვით, თუ კაპიტალიზმის დროს საზოგადოებრივი კლასები ისტორიული პროცესის მთავარი მონაწილეები არიან, ლენინმა მონაწილეების როლში გამოიყვანა ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიური აუცილებლობიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. აქედან გამოდის, რომ საერთაშორისო კაპიტალიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის მიუხედავად, იგი პოლიტიკურად არასტაბილურია და ომების სისტემას წარმოადგენს. ლენინის მიერ რეფორმირებული მარქსიზმი თითქმის ჩვენთვის ცნობილ პოლიტიკური რეალიზმის დოქტრინას დაემგვანა. ორივე თეორიის მიხედვით სახელმწიფოები სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის იბრძვიან, მაგრამ ადამიანის მოტივაციაზე, სახელმწიფოს თეორიასა და საერთაშორისო სისტემის არსზე შექმნილი სხვადასხვა შეხედულებებიდან გამომდინარე, ორივე თეორიის წინამძღვრები სხვადასხვაა. მარქსისტული გაგებით, ადამიანის ბუნება კაპიტალიზმის პირობებში "დამთმობი" ხდება და კორუმპირებას იოლად დაჰყვება, მაგრამ სოციალიზმა შეიძლება იგი გამოასწოროს.

რეალისტები კი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური კონფლიქტი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. მარქსისტების აზრით, სახელმწიფო, გაბატონებული ეკონომიკური კლასის მსახურია, რეალისტები კი სახელმწიფოს უფრო ავტონომიურ წარმონაქმნად განიხილავენ, რომელსაც ეროვნული ინტერესების დაცვის ფუნქცია აკისრია და იგი მხოლოდ რომელიმე კლასის განსაკუთრებულ ინტერესებამდე არ დაიყვანება.

ისევე როგორც ლიბერალიზმა და ნაციონალიზმა, მარქსიზმაც მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა. მასში ორი ძირითადი მიმართულებაა. ერთი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციური მარქსიზმია, რომელიც ე. ბერნშტეინისა და კ. კაუცკის სახელებთანაა დაკავშირებული და თანამედროვე ეტაპზე ლიბერალიზმის ეგალიტარული ფორმებისაგან თითქმის არ განირჩევა, მეორე კი, რევოლუციური, ლენინური მარქსიზმია.

ავსტრიელი ეკონომისტის იოზეფ შუმპეტერის (1883-1950წწ) შრომაში "იმპერიალიზმი და საზოგადოებრივი კლასები" ის აზრია გატარებული, რომ კაპიტალიზმი და აგრესია ერთმანეთს არ ეთანხმება. კაპიტალიზმის პირობებში სასაქონლო ურთიერთობები აყალიბებენ პიროვნების ახალ ტიპს, რომელიც, მისი აგრესიული წინამორბედებისაგან განსხვავებით, ცდილობს, თავისი პრობლემები მშვიდობიანად გადაწყვიტოს, კეთილდღეობას მიაღწიოს გაცვლის, პატიოსანი გარიგების გზით, და არა ძალადობით, როგორც ეს ფეოდალიზმის დროს იყო. ამიტომაც, შუმპეტერის აზრით, არ არის მართებულიKკაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობებიდან იმპერიალისტური პოლიტიკის "გამოყვანა", როგორც ამას მარქსისტები აკეთებენ. იმპერიალისტური პოლიტიკა კაპიტალიზმის მაღალი განვითარების, მისი "გადამწიფების" შედეგი კი არ არის, არამედ, პირიქით, მისი არასაკმარისი განვითარებისა და მომავალში, შუმპეტერის აზრით, იგი, ეტყობა გაქრება კიდეც.

იმპერიალიზმის თემა აქტიური დარჩა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკისათვის და ეს არც არი გასაკვირი, რადგან საერთაშორისო სისტემა, რომელშიაც სახელმწიფოთა სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები და ძალის პოლიტიკა განსაზღრავენ თითქმის ყველაფერს, იმპერიალისტური მისწრაფებებისათვის ყოველთვის ხელსაყრელი გარემო იქნება. დღეს იმპერიალიზმი უფრო შენიღბულია და უმეტეს წილად ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებით ხორციელდება. ამიტომაც მას ხშირად ნეორეალიზმს, არაფორმალურ იმპერიალიზმს და ნეოკოლონიალიზმს უწოდებენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი "იმპერიალიზმი" იმდენად მორალური გახდა და ისე ხშირად გამოიყენება პოლიტიკური პროპაგანდისათვის, რომ იაფფასიან და

ემოციურ სტერეოტიპად იქცა; და ეს გარემოება კი იმპერიალიზმის კვლევისას ობიექტურ, მეცნიერულ ანალიზს აფერხებს.

XX საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა, ისევე როგორც პოლიტიკური სისტემა, უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა. მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარი კი ამ სისტემის სწრაფი განვითარების, შიდა სისტემური კავშირებისა და პროცესების დინამიზმისა და განმტკიცების ეპოქად იქცა. საერთაშორისო ეკონომიკურმა სისტემამ, რომლის საფუძველს შრომის საერთაშორისო დანაწილება და მკვეთრად გაზრდილი საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს, სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მიიღო ჭეშმარიტად გლობალური განზომილება.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემების ქვესისტემები

საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესების, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის მიზეზებისა და შედეგების ანალიზის მიხედვით, ამერიკელი ეკონომისტი ჯოან სპირო გვთავაზობს ხსენებულ სისტემაში სამი შემადგენელი ქვესისტემის (დასავლეთის ანუ ურთიერთდამოკიდებულების, ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის) გამოყოფას. გლობალური სისტემის ამგვარად დანაწევრება ასე თუ ისე პირობითია, რადგან ქვესისტემები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი, იზოლირებულნი არ არიან, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები და მოვლენები თითოეულ ქვესისტემაში მაინც სპეციფიკურია.

დასავლეთის ქვესისტემა. ეს ქვესისტემა მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკას. მასში შემავალი სახელმწიფოები არიან მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც უამრავი ეკონომიკური, საავაჭრო, საფინანსო, ტექნოლიგიური და სხვა კავშირით ყველაზე მეტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მათ შორის ცხოველი ურთიერთობა განვითარდა და ჩამოყალიბდა მეორე მსოიფლიო ომის შემდეგ. ამაში უდიდესი როლი შეასრულა ე.წ ბრეტონ-ვუდსის სავალუტო-საფინანსო სისტემამ და ვაჭრობისა და ტარიფების

თაობაზე დადებულმა ზოგადმა ხელშეკრულებამ (GATT), ორმა საერთაშორისო რეჟიმმა, რომლებიც ამერიკულ დოლარზე, ამერიკულ ეკონომიკურ და სამხედრო ჰეგემონობაზე იყო დაფუძნებული. Oრივე ხსენებულმა რეჟიმმა ხელი შეუწყო ამ ქვესისტემის სახელმწიფოებში ეკონომიკურ აღმავლობას, წარმოების გაშლას, ექსპორტის ზრდას, ტექნოლოგიურ პროგრესს და ა.შ. ამან საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო აქტივობა, საფინანსო ბაზრების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, წარმოების ინტერნაციონალიზაცია და როგორც ყოველი ამის შედეგი, ხსენებულ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება მოიტანა. ამ ქვესისტემის შიგნით ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ინტეგრაცია. ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ინტეგრაციაც (NAFTA) პირველ ნაბიჯებს დგამს.

მკვეთრად გაზრდილმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ინტეგრაციამ, მართალია, კეთილდღეობა მოუტანა ამ პროცესში ჩართულ სახელმწიფოებს, მაგრამ მათ გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებიც შეუქმნა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვესისტემაში მოქცეული ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულების გამო განვითარებული ეროვნული ეკონომიკა სხვა მონაწილე ეკონომიკური პოლიტიკისა და ვითარების მიმართ მეტად მგრძნობიარეა. ერთი ქვეყნის მონეტარულ, სავაჭრო და დაბანდებათა პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები უშუალოდ გავლენას ახდენს სხვა მონაწილეთა იმავე სფეროებზე. უარყოფითი მოვლენები ამ შემთხვევაში საზღვრებს არ ცნობენ _ უმუშევრობა, წარმოების დაცემა და სხვა მოვლენები ქვესისტემის ერთი ქვეყნიდან მეორეში პრაქტიკულად დაუბრკოლებრივ გადადის და ამ ქვეყნების ეკონომიკა გარეშე ზეგავლენის მიმართ გახსნილია. ქვეყნებს შიგნით ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს ურთიერთდამოკიდებულებით გამოწვეული არანაკლებ რთული ახალი პრობლემები ემატება. Qქვეყნების მთავრობები ძალიან ხშირად დგანან ურთულესი არჩევანის წინაშე; რომელ პოლიტიკას მიანიჭონ უპირატესობა, გაწირონ საშინაო ინტერესებითი, პირიქით, საერთაშორისო კონტაქტები შეამცირონ, რაც ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ისედაც ძნელია.Eეროვნული ეკონომიკის მართვა ამგვარ პირობებში რთულ პრობლემებს ქმნის, რასაც ის

გარემოებაც ემატება, რომ ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკურ სუვერენიტეტსაც ზღუდავს. ამიტომ, ეროვნული მთავრობების წინაშე მდგომი ურთულესი პრობლემა, არის ეროვნული და "გუნდური" ინტერესების ისეთი შეხამება, რომელიც ოპტიმალური იქნებოდა როგორც ცალკეული ქვეყნებისათვის, ასევე მათი პარტნიორებისათვის. ურთიერთდამოკიდებულება გაღრმავდა, ინტეგრაციის პროცესმა გაუსწრო მისი კონტროლისა და მართვისათვის აუცილებელი გამოცდილების დაგროვების პროცესს.

ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვესისტემა. ამ ქვესისტემაში მკაფიოდ გამოხატული დაპირისპირება და დაქვემდებარება შეინიშნება განვითარებულ და ე.წ. განვითარებად ქვეყნებს შორის. თუ დასავლეთის ქვესისტემაში დაახლოებით ერთნაირი განვითარების დონის სახელმწიფოებია წარმოდგენილი, ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვესისტემაში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობა ძალზე განსხვავებული დონეების მქონე ქვეყნებს გულისხმობს. ერთ სულზე ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლის, ტექნოლოგიური და სხვა მაჩვენებლის მიხედვით, ამ ქვესისტემაში, ყველაზე განვითარებული ქვეყნებიდან ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებამდე, ყველანაირი უკიდურესობაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ეს სხვაობა, (ზოგის თქმით _ უფსკრული) კიდევ უფრო ღრმავდება.

ამ ქვესისტემის მთავარი თავისებურება დაქვემდებარებაა, რაც ნიშნავს უთანასწორო ეკონომიკურ ურთიერთობებს და ბაზრის კონიუნქტურის მიმართ ძალზე განსხვავებულ მგრძნობიარობას. თუ დასავლეთის ქვესისტემაში გაბატონებული ურთიერთდამოკიდებულება სიმეტრიულია, ამ ქვესისტემაში გაბატონებული დაქვემდებარება ასიმეტრიული ხასიათისაა.

დაქვემდებარება სხვადასხვა ფორმით გვევლინება. პირველ ყოვლისა, დაქვემდებარება აშკარად მოჩანს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობაში. განვითარებადი სახელმწიფოების უმრავლესობა, არასაკმარისი ეკონომიკური განვითარების გამო, მცირე, არატევადი შიდა ბაზრის მქონეა, მათი მეურნეობა და ექსპორტი არ არის დივერსიფიცირებული. ამიტომ ისინი დიდად არიან დამოკიდებულნი "ჩრდილოეთის" განვითარებული ქვეყნების მძლავრ, ტევად შიდა ბაზარზე, მათი მოსახლეო-

ბის მაღალ მსყიდველობით უნარზე. ამის გამო "სამხრეთის" განვითარებადი ქვეყნები თითქმის მთლიანად დამოკიდებულნი არიან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც იმპორტზე განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებას განსაზღვრავს. ეს იმპორტი კი იმავე სასიცოცხლო მნიშვნელობის ექსპორტია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, მინერალურ და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებსა და ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციას ყიდიან. განვითარებადი ქვეყნების არსებობა თითქმის მთლიანად მათ ექსპორტზეა დამოკიდებული, ეს ექსპორტი კი მთლიანად დამოკიკიდებულია განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებაზე. თუ განვითარებადმა ქვეყანამ ვერ მოახერხა თავისი ძირითადი საექსპორტო პროდუქციის გაყიდვა, მისი ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება, კატასტროფულიც კი გახდება. განვითარებადი ქვეყნების ექსპორტით მიღებული შემოსავლის ორი მესამედიდან სამ მეოთხედამდე ნაწილს სულ რამდენიმე დასახელების ტრადიციული პროდუქცია (მინერალები, სასოფლო-სამეურნეო ნედლეული და ა.შ.) ქმნის. თუ ამ პროდუქციის რეალიზება ვერ მოხერხდა, ექსპორტიორი ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

დაქვემდებარება ვლინდება კაპიტალდაბანდებათა სფეროშიც. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობის მნიშვნელოვანი ან უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. ეს კაპიტალდაბანდებანი, ბუნებრივია, მიედინება იმ დარგებში, რომლებშიც ტექნოლოგიური პროგრესი, თანამედროვე სამრეწველო განვითარება შესაძლებელია; და აქვე უნდა ვიგულისხმოთ საექსპორტო დარგები, ე.ი. მიმღები ქვეყნების ეკონომიკის საკვანძო, სასიცოცხლო სფეროები. მაშასადამე, მიმღები ქვეყანა დაქვემდებარებულია განვითარებულ ქვეყნებზე, საიდანაც შემოდის ეკონომიკისათვის მნიშვნელობის მქონე ინვესტიციები.

დაქვემდებარების კიდევ ერთი ფორმაა საფინანსო დაქვემდებარება. იგი იმაში გამოიხატება, რომ სუსტად განვითარებული ქვეყანა საფინანსო დახმარებას იღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, რომელიც სესხისა თუ დახმარების მიმღები ქვეყანის საშინაო თუ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლე-

ნის მოხდენის უფლებას იტოვებს. განვითარებადი, სუსტი ქვეყნები სესხებს აგრეთვე განვითარებული ქვეყნების კერძო კომერციული ბანკებისაგან იღებენ. ამ სესხების მოცულობა დღეს 700 მლრდ. დოლარს აღემატება.

განვითარებადი ქვეყნების ზემოთ ჩამოთვლილი სამივე სახის ეკონომიკური დაქვემდებარება კიდევ უფრო ღრმავდება განვითარებულ ქვეყნებთანკულტურული კავშირებისა და შეთანხმებების,არაფორმალური პოლიტიკური კავშირების, სამხედრო კავშირების მეშვეობით. Eკონომიკური დაქვემდებარება, სავსებით გასაგებია, პოლიტიკური გავლენისა და საქვემდებარების წინამძღვარი დამიზეზი ხდება. დაქვემდებარების ქვესისტემაში დაქვემდებარებული ქვეყნების ბედს, ფაქტობრივად, განვითარებული ქვეყნები წყვეტენ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვესისტემა. ხსენებული ქვესისტემა უკვე, ფაქტობრივად, არ არსებობს, ე.წ. სოციალისტური ბანაკის დაშლისა და მის ყოფილ წევრთა უმრავლესობის მიერ საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაზე გადასვლის გამო, ინტერეს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ამ ქვესისტემის თავისებურებები და მისი კვდომის მიზეზები. ეს ქვესისტემა რიგი გარემოების გამო ყველაზე თავისებურია. პირველ ყოვლისა, ამ ქვესისტემაში შემავალი პარტნიორები ორ სხვადასხვა და დაპირისპირებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბანაკს წარმოადგენენ. ერთ ბანაკში გაბატონებული იყო საბაზრო ეკონომიკა, ხოლო მეორეში _ ე.წ. გეგმიანი ეკონომიკა, რომელშიც უარყოფილი იყო კერძო საკუთრების განმსაზღვრელი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ ორი პარტნიორის, მაღალგანვითარებული დასავლეთისა და კომუნისტური აღმოსავლეთის (სსრკ, ჩინეთი, დანარჩენი სოციალისტური ქვეყნები) ეკონომიკური ურთიერთობები არ იყო მაინცდამაინც ინტენსიური (პრაქტიკულად მხოლოდ ვაჭრობდნენ) და მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა. სოციალისტური ქვეყნები არ მონაწილეობდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ ზოგადი შეთანხმებით გათვალისწინებულ საქმიანობაში. ერთ-ერთი პარტნიორი, აღმოსავლეთი, ცდილობდა იზოლირებული დარჩენილიყო და დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობა გარკვე-

ულ, აღმოსავლეთისათვის მისაღებ ჩარჩოებში განეხორციელებინა.

სოციალისტურ აღმოსავლეთს 80-იან წლების მიწურულსა და 90-იან წლების დასაწყისში ბოლო მოეღო (მართალია, ორ ქვეყანაში, კუბასა და ჩრდილოეთ კორეაში, კიდევ ცდილობენ ძველებურად ცხოვრებას, მაგრამ ამ მცდელობას მომავალი არა აქვს). ყოფილი სოციალისტური ქვეყნები (მათი რიცხვი კი გაიზარდა სსრკ-ის დაშლის შემდეგ) დაადგენ საბაზრო ეკონომიკის შექმნის რთულ გზას. ფაქტობრივად, ისინი ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვესისტემის ურთიერთობათა მონაწილენი ხდებიან. ზოგიერთმა მათგანმა (ჩეხეთი, უნგრეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვენია, ხორვატია, ბულგარეთი, რუმინეთი), რეალურად "ჩრდილოეთში" ამოყო თავი. რუსეთიც ცდილობს განვითარებული ქვეყნების რაზმში დაიმკვიდროს თავი. დანარჩენი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის "სამხრეთიდან" "ჩრდილოეთში" გადასვლა ადვილი ნამდვილად ვერ იქნება, ტრანსფორმაცია ამ ქვეყნებისაგან უაღრესად დიდ ძალისხმევასა და მეტად გონივრულ სტრატეგიას მოითხოვს. ისინი, როგორც ჩანს, დიდხანს დარჩებიან "სამხრეთში". აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით, აღმოსავლეთის სახელმწიფოთა რეინტეგრირება მსოფლიოს კაპიტალისტურ მეურნეობაში ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, რთულ და დრამატულ პრობლემას წარმოადგენს.

ცალკე უნდა ითქვას ისეთ მძლავრ ინტეგრაციუკლ წარმონაქმზე, როგორც ევროპის კავშირია. ამ გაერთიანების დინამიკურია განვითარება არა მხოლოდ აღაფრთოვანებს ყველას, ვინც იმედოვნებს, რომ კაცობრიობა ინტეგრაციის გზით ომებს თავს დააღწევს და ღირსეულ ერთა ოჯახს შექმნის, არამედ მსოფლიოს სხვა რეგიონებსაც შემდგომი განვითარების მოდელად ესახებათ.

ევროპის კავშირს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების თვალთაკუთხით ორი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს. Pპირველ ყოვლისა, იგი საერთაშორისო საზოგადოების "მაცივილიზებული" ფაქტორის სახით გვევლინება. Eევროპის კავშირი აგებულია დემოკრატიულ საერთო ფასეულობებსა და პრინციპებზე და მის საზღვრებში აღარ ბატონობენ მილიტარიზმი და ნაციონალიზმი. ევროპის კავშირი წარმოადგენს "უსაფრთხოების

თანამეგობრობას”, რომლის წევრები ძალას პოლიტიკის ლეგიტიმურ ინსტრუმენტად აღარ განიხილავენ. ევროპის კავშირის მეორე თავისებურება მის “სამოქალაქო ძალაშია”, რაც პოლიტიკური ცივილიზაციის ახალ საფეხურზე ასვლას ნიშნავს. ევროპის სახელმწიფოები აღარ არიან ძალთა წონასწორობის მექანიზმის მონაწილეები ერთმანეთთან ურთიერთობაში და არც იმპერიულ წარმონაქმს წარმოადგენენ. კავშირის წევრებს “საერთო პასუხისმგებლობის” პრინციპი კრავს და კავშირის შიგნით გაბატონებული ფასეულობები და პრინციპები მართლაც უფრო “მაღალი”, ცივილიზებული ურთიერთობების საფუძველია.

ევროპის კავშირს საერთაშორისო პოლიტიკაში საკუთარი ინტერესების დაცვისათვისათვის სათანადო სამხედრო ძალა არ გააჩნია და ბევრი ექსპერტის აზრით, ეს გარემოება ახალი გლობალური საფრთხეებისა და გამოწვევების პირობებში ევროპის კავშირის ძირითად სისუსტედ უნდა მივიჩნიოთ. ევროპის კავშირის საერთაშორისო ურთიერთობებში შემდგომ როლსა და ხასიათს ტრანსატლანტიკური ურთიერთობებისა (აშშ-ევროპა) და ნატო-ს მომავალი განსაზღვრავს.

ევროპის კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ძალის პოლუსად ჯერ არ ქცეულა. შესაძლოა ეს მალე მოხდეს და მაშინ ხსენებული კავშირის როლი და ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში კიდევ უფრო გამოკვეთილი გახდება.

დღეს ტერმინი “გლობალიზაცია” ისე ხშირად გამოიყენება, რომ იგი საკმაოდ გაცვეთილ და ზოგჯერ, კონკრეტულ შინაარს მოკლებულ მცნებად გვეჩვენება. ყველა თანამედროვე პროცეს გლობალიზაციას უკავშირებენ და ამ უკანასკნელით ხსნიან. გლობალიზაცია, ლამის, საგინებელ სიტყვად იქცა. ყოველ შემთხვევაში, იგი უარყოფითი ემოციების გამომწვევია.

ბევრისთვის გლობალიზაციის არსი გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში მდგომარეობს და ისინი გლობალიზაციის ძირითად მიზეზს ეკონომიკურ პროცესებში ხედავენ. მართლაც, გლობალური საფინანსო ბაზრები, მრავალეროვანი კორპორაციები და პირდაპირი საგარეო ინვესტიციები გლობალიზაციის უტყუარი ნიშნებია, მაგრამ გლობალიზაცია იმავდროულად გარკვეული სოციალური პროცესების ჯგუფია, რომლებიც თანამედროვე სო-

ციალურ გარემოს გლობალურად აქცევს. Aამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლობალიზაცია ერთსა და იმავე დროს არის პროცესი, პირობა, სისტემა, ფაქტორი და ეპოქა. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციის პროცესს უფრო ღრმა გლობალიზაციისკენ მივყავართ.

რამ დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი და რამ შესძინა ჩვენ სოციალურ გარემოს გლობალური განზომილება? პირველ ყოვლისა, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის, კომუნიკაციის საშუალებებისა და ტრანსპორტის დაჩქარებულმა განვითარებამ. სწორედ ამან დააჩქარა ეკონომიკური ინტეგრაცია და ურთიერდამოკიდებულების გაღრმავება გლობალური მასშტაბით. გლობალიზაციისთვის დამახასიათებელია საერთაშორისო ვაჭრობის გაზრდილი დონე, საერთაშორისო საფინანსო ნაკადების გაზრდილი რიცხვი და მოცულობა, პირდაპირი საგარეო ინვესტირების სწრაფი ზრდა, ახალი სოციალური კავშირების გაჩენა, კულტურის “ პროდუქტების” საერთაშორისო გავრცელების გაზრდილი მასშტაბი, ახალი ტრანსნაციონალური ელიტის წარმოშობა, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის როლის შესუსტება.

გლობალიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდება, თუნდაც, საბაზრო ეკონომიკის დინამიზმისა და ტექნოლოგიური პროგრესის გამო. გლობალიზაციის პროცესი აჩქარებს ცვლილებებს კაცობრიობის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცვლილებები კი დესტაბილიზაციის წყარო და Mმიზეზია. გლობალიზაცია ბუნებრივი პროცესია. მას მოაქვს პოზიტიური ცვლილებები, ცხოვრების ზოგიერთ სფეროში გაუმჯობესება, მაგრამ ამავე დროს ბევრისათვის იგი არასასურველი ცვლილებების და მიუღებელი ცხოვრების წესისა თუ ფასეულობების დამკვიდრების მიზეზია და ძასლზე უარყოფით მოვლენად განიხილება.

თუ ლიბერალები გლობალიზაციას ბუნებრივ, პროგრესულ მოვლენად განიხილავენ და მისგან საბოლოო ჯამში საყოველთაო კეთილდღეობას მოელიან, რადიკალები გლობალიზაციაში კაპიტალისტური ექსპლოატაციის კიდევ უფრო მაღალ დონეს ხედავენ. რეალისტების შეხედულებით, გლობალიზაციის პროცესი უთანაბრობით ხასიათდება, რაც გულისხმობს გარკვეული ჯგუფების თუ

საზოგადოებების ძლიერებისა და გავლენის გაზრდას დანარჩენების ხარჯზე. ეს კი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში გარკვეული სახელმწიფოების გაძლიერებას, ხოლო სხვათა შესუსტებასაც გულისხმობს. გლობალიზაცია მსოფლიოს თითქოს უფრო მშვიდობიანს ხდის, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში თანამედროვე სახელმწიფოებისათვის საკუთარი ინტერესების დაცვის პრობლემას კიდევ უფრო ართულებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზააციები

მეორე მსოფლიო ომამდე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთოებების მრავალმხრივ რეგულირებას სერიოზული ხასიათი არ ჰქონდა. მოგვიანებით, მსოფლიო სამეურნეო კავშირების მრავალმხრივი რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია;
- საინვესტიციო ნაკადების ზრდამ და ტნკ-ის საქმიანობის გაძლიერება;
- საქონლისა და მომსახურების ნაკადების ზრდა;
- ეროვნული კანონმდებლობების შეუთავსებლობა;
- სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებლობა;
- დარგთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაცია;
- ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსხვავებული

დონეების არსებობა.

თანამედროვე პირობებში, როდესაც სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ ზოგიერთი ეროვნული და რეგიონული პრობლემა გლობალურ პრობლემად გადააქცია, აამაღლა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების(სეო), უპირველესად კი გაეროს როლი მსოფლიო სამეურნეო კავშირების რეგულირებაში. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო სამეურნეო კავშირების რეგულირებამ

ხასიათი შეიცვალა, რაც განპირობებულია ეკონომიკური აგენტების შემადგენლობის შეცვლით.

განსაკუთრებული გავლენა იქონიეს უმსხვილესმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა(ტნკ). ეს პროცესი განაპირობა ინტერნაციონალიზაციის შედეგად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაძლიერებამ, რაც ტნკ-ების განვითარებას უწყობს ხელს. საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ურთიერთოებების განვითარებამ გამოიწვია მსოფლიო საფინანსო ბაზრის გადაქცევა ცენტრალურ სტრუქტურად, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ქვეყნების, არამედ რეგიონების ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას. საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე დაფინანსების სისტემის განვითარებამ საერთაშორისო დავალიანების ზრდა განაპირობა. მეცნიერულ–ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე შეიცვალა საწარმოო ძალების შინაარსი როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, რამაც გამოიწვია ქვეყნების უთანაბრო განვითარება.

მსოფლიო სამეურნეო პრობლემების რიცხვში შევიდა ბუნებათსარგებლობის და ეკოლოგიის პრობლემა, რომელიც სო-ის და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის მთავარ მიმართულებად იქცა.

მსოფლიო სამეურნეო კავშირების რეგულირებაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც ემყარება ეროვნული კანონმდებლობების სრულყოფას, ფინანსური დახმარების უზრუნველყოფას, მცირე ბიზნესის პროექტების მხარდაჭერას და ა.შ.

ტრანსპორტისა და კავშირის, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებების განვითარებამ განაპირობა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთოებების გაღრმავება, საგარეო კომერციული ოპერაციების, საერთაშორისო ანგარიშსწორების და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვის ზრდა. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამატებითი ძალისხმევა მოითხოვა ჩამოთვლილი პროცესების დასარეგულირებლად.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო რეგულირების ძირითადი ამოცანებია:

- მსოფლიო ეკონომიკის და სავალუტო-საფინანსო სფეროს სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა;

- ქვეყნებს შორის სხვადასხვა ფორმით ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება;

- ქვეყნებს და დაჯგუფებებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოფხვრა;

- კერძო მეწარმეობის განვითარებაზე ზემოქმედება;

- მსოფლიო ბაზარის და კონკრეტული ქვეყნის კრიზისიდან თავის დაღწევა;

- სახელმწიფოთა მაკროეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმება და კოორდინაცია, რაც განპირობებულია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური ტენდენციით.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაეროს სისტემის ორგანიზაციებს. მათ მიერ შემუშავბული ნორმები და მექანიზმები გადამწყვეტ როლს თამაშობენ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობების და ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფორმირებაში.

გლობალურ და რეგიონულ დონეებზე საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიზნები და ფუნქციებია:

- სეუ-ის ძირითადი პრობლემების შესწავლა და მათ დასაძლევად ღონისძიებების გატარება;

- ვალუტის სტაბილიზაცის უზრუნველყოფა;

- სავაჭრო ბარიერების მოხსნა და სახელმწიფოებს შორის ფართო საქონელბრუნვის ხელშეწყობა;

- კერძო კაპიტალისათვის დამატებითი სახსრების მოძიება ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესის სტიმულირების მიზნით;

- შრომის პირობების და შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ზემოქმედება;

მსოფლიო სამეურნეო კავშირების სფეროში რეკომენდაციების შემუშავება და რეზოლუციების მიღება.

საერთაშორისო რეგულირება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობა;
- თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში;
- თანამშრომლობა სავალუტო-საფინანსო სფეროში;
- თანამშრომლობა მსოფლიო ვაჭრობის სფეროში;
- თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში;
- თანამშრომლობა პროდუქციის სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სფეროში;
- თანამშრომლობა ინვესტიციების სფეროში;
- სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა;
- თანამშრომლობა საერთაშორისო კომერციული პრაქტიკის

სფეროში. მაგალითად, გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომისია ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მუშაობს; გაეროს სამრეწველო განვითარების პროგრამა მრეწველობის სფეროში თანამშრომლობას არეგულირებს; სავალუტო-საფინანსო სფროში საერთაშორისო თანამშრომლობას ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი(სსფ), რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი(რგმბ), ასევე რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი(რგებ) და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი; გაეროს ფარგლებში ტრანსპორტის განვითარების რეგულირებას ახორციელებს სამოქალაქო ავიაციის სპეციალიზებული ორგანიზაცია და საზღვაო ტრანსპორტის ორგანიზაცია; სარკინიგზო ტრანსპორტისათვის ფუნქციონირებს ევროპის კონფერენცია სამგზავრო ტარიფების შესახებ, საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში კი _ საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი; მსოფლიო ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირება ხორციელდება გაეროს ფარგლებში არსებული სტრუქტურებით: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია(ვმო), UNCTAD, UNSTAL. ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით მსოფლიო ვაჭრობის დასარეგულირებლად შექმნილია სპეციალური საერთა-

შორისო ეკონომიკური ორგანიზაციები. ვაჭრობის სფეროში ფუნ-ქციონირებენ საერთაშორისო არასამთავრობო საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებიც, მათ შორის, საერთაშორისო სა-ვაჭრო პალატა, საბაჟო ტარიფების პუბლიკაციის საერთაშორისო ბიურო; ინტელექტუალურ საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას ინტელექტუალური სფეროს საერთაშორისო რეგულირებაში წამ-ყვანი ადგილი უკავია.

სეო-ების კლასიფიკაცია, ასევე, შესაძლებელია ორგანიზა-ციული პრინციპის და მრავალმხრივი რეგულირების სფეროს მი-ხედვით. ორგანიზაციული პრინციპის მიხედვით სეო-ის კლასიფი-კაციას საფუძვლად უდევს ქვეყნის მონაწილეობა გაეროში. აქედან გამომდინარე, სეო-ები იყოა სამ ჯგუფად:

1. გაეროს სისტემის სეო-ები;

2. გაეროს სისტემის გარეთ ფუნქციონირებადი სეო-ები;

3. რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები.

მრავალმხრივი რეგულირების სფეროს მიხედვით სეო-ების კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ჯგუფებში:

1. მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკის და მრეწველობის სფეროს მარეგულირებელი ორგანიზაციები;

2. მსოფლიო ვაჭრობის მარეგულირებელი სეო-ები;

3. მსოფლიო ეკონომიკის მარეგულირებელი რეგიონული ორგანიზაციები;

4. სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი რეგიონული და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები;

5. მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარებაზე მოქმე-დი არასამთავრობო სეო-ები.

თემა XI

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა საერთაშორისო ურთიერთობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ქვედარგი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკაზე პოლიტიკურ გარემოს ზემოქმედებასა და, პირიქით, საერთაშორისო პოლიტიკაზე ეკონომიკის ზეგავლენას შეისწავლის შედარებით ახალი დისციპლინაა, რომელმაც ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში. მისი წარმოშობა განპირობებული იყო საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის სწრაფად მზარდი მჭიდრო ურთიერთკავშირით და იმ მოსაზრებით, რომ ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები ცალ-ცალკე მეტად ვიწრო დისციპლინებია იმისათვის, რომ ახსნან საერთაშორისო პოლიტიკური და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკვანძო ასპექტები.

საერთაშორისო პოლიტიკაზე ეკონომიკის, როგორც ცალკე დისციპლინის წარმოშობას ხელი შეუწყო ბრეტონ-ვუდსის სისტემის ფორმირებამ და საერთაშორისო დახმარების განვითარებამ, რამაც უფრო მწვავედ დააყენა საერთაშორისო ეკონომიკაზე პოლიტიკური პროცესების ზეგავლენის პრობლემა. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან გამიჯნულად შესწავლის უარყოფითი ტენდენცია, გარკვეულწილად, ს.პ.ე-ის გამოცოცხლებამ შეაჩერა. ისევე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, ს.პ.ე-შიც მიმდინარეობს პარადიგმული კამათი ნეორეალისტურ, ნეოლიბერალურ და რადიკალურ მიმდინარეობებს შორის.

ეკონომიკური ფაქტორები მთელი ისტორიის მანძილზე დიდ როლს ასრულებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში. ეკონომიკური მიზნები, რესურსები და ინსტრუმენტები ხშირად განსაზღვრავდნენ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას. პოლიტიკური ფაქტორები სამი სახით ახდენენ გავლენას ეკონომიკაზე:

• პოლიტიკური სისტემა აყალიბებს ეკონომიკურ სისტემას, ვინაიდან ეკონომიკური სისტემის სტრუქტურა და საქმიანობა დიდწილად განპირობებულია საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის სტრუქტურითა და საქმიანობით;

• პოლიტიკური მოსაზრებები ხშირად განაპირობებენ ეკონომიკურ პოლიტიკას, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკა განისაზღვრება პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე;

• საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები თავად არის პოლიტიკური ურთიერთობები, ვინაიდან საერთაშორისო ეკონომიკური ინტერაქციები, პოლიტიკური ინტერაქციების მსგავსად, არის პროცესი, რომლის დროსაც ქვეყნები ან სისტემის სხვა მონაწილეები, ცდილობენ მოაგვარონ თავიანთი პრობლემები, მიაღწიონ საერთო მიზნებს, ითანამშრომლონ და აშ.

ერთი მხრივ, პოლიტიკა ფართოდ განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის ჩარჩოებს და მიმართულებას აძლევს მას, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკურ პროცესებს წვლილი შეაქვთ ძალაუფლებისა და სიმდიდრის გადანაწილებაში. ისინი ცვლიან ძალაუფლებრივ ურთიერთობებს ჯგუფებს შორის, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციისაკენ, ხოლო ამას — ეკონომიკური ურთიერთობების ახალი სტრუქტურისაკენ.

საერთაშორისო ურთიერთობების ეკონომიკური პოლიტიკა არის მეცნიერება ეკონომიკურ მოტივებზე, საქმიანობასა და პოლიტიკაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა არის საერთაშორისო ურთიერთობებში ორმხრივი და დინამიური ურთიერთქმედება სიმდიდრისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით.

სახელმწიფოსა და ბაზრის პარალელური არსებობა და ურთიერთქმედება თანამედროვე მსოფლიოში ქმნის პოლიტიკურ ეკონომიკას. სახელმწიფოს არარსებობის პირობებში ფასის მექანიზმი და ბაზრის ძალები განსაზღვრავდნენ ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს. ეს იქნებოდა წმინდა ეკონომისტის სამყარო. ბაზრის არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფო გამოყოფდა ეკონომიკურ რესურსებს. ეს იქნებოდა წმინდა პოლიტიკოსის სამყარო.

პოლიტიკა და ბაზარი მუდმივ ურთიერთქმედებაშია. ყველა პოლიტიკური მოვლენის უკან არის ეკონომიკური ასპექტი, და, პირიქით. პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის ეკონომიკური მოვლენების პოლიტიკურ საფუძვლებს ან მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ბაზრის ფუნქციონირებაზე. შეიძლება ასეც ითქვას — პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის პოლიტიკური მოვლენების ეკონომიკურ საფუძვლებს.

1970-იანი წლები პოლიტიკური ეკონომიიის აღორძინების პერიოდია, რაც განპირობებული იყო იმით, რომ რეალურ და მეცნიერულ ფაქტებს შორის ეკონომიკასა და პოლიტიკაში უფსკრული გაჩნდა. მოხდა ეკონომიკური პრობლემების ძლიერი პოლიტიზირება, ხოლო პოლიტიკური პროცესები, თავის მხრივ, განიცდიდა ეკონომიზაციას. გარდა ამისა, ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის გაიზარდა უფსკრული. პრიორიტეტულად იქცა გლობალური პრობლემები ახალი ეკონომიკური წესრიგის შექმნის მოთხოვნით.

საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიის თანამედროვე თეორიებში აღსანიშნავია სამი თეორია. პირველი არის ორმაგი ეკონომიკის, ანუ დუალიზმის თეორია, რომელიც გამომდინარეობს ლიბერალური თეორიიდან. მის მიხედვით, ბაზრის წარმოქმნა პირდაპირ უკავშირდება საყოველთაო სურვილს მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ეფექტურობა და მაქსიმალური მოგება. მეორე არის თანამედროვე მსოფლიო სისტემების თეორია. მასზე უდიდესი გავლენა იქონია მარქსისტულმა მოძღვრებამ.

ამ თეორიის მიხედვით მსოფლიო ბაზარი არის განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიერ ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების ექსპლოატაციის მექანიზმი. მესამე და დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული თეორიაა ჰეგემონური სტაბილურობის თეორია. ამ უკანასკნელის თანახმად ჰეგემონის, ანუ დომინანტური ეკონომიკური და სამხედრო ძალის არსებობა არის საჭირო ლიბერალური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის შესაქმნელად, რადგან ასეთი ძალის არსებობის გარეშე ლიბერალური წესები ვერ დაკანონდება მსოფლიოში. ანუ ჰეგემონი არის ძალა, რომელსაც აქვს უნარი და სურვილი რომ დაამყაროს და შეინარჩუნოს წესრიგი. ჰეგემონი ამას აკეთებს არა მხო-

ლოდ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად არამედ ის ქმნის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, რომელიც ეფუძნება თავისუფალ ვაჭრობას, რომელიც ყველა მონაწილე ქვეყნისთვის არის სასარგებლო და არა მარტო ჰეგემონისთვის. რომ არ იყოს ჰეგემონი, ეკონომიკური ურთიერთობები გახდება ნაციონალისტური მისწრაფებების ტყვე და პროტექციონისტური, რის შედეგადაც ქვეყნები შეეცდებიან თავიანთ მეზობლებს ყველაფერი წაართვან თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სამი მოდელი

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ანუ მსოფლიო მეურნეობა, საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის მსგავსად, შეიძლება რამდენიმე განსხვავებული მოდელის, კონცეფციის მეშვეობით განვიხილოთ. ისინი, რა თქმა უნდა, სინამდვილის ძლიერ გამარტივებული, იდეალური მოდელია.

ლიბერალიზმი. ეკონომიკური ლიბერალიზმი, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ადამ სმითისა და დევიდ რიკარდოს მოძღვრებასთან. აღსანიშნავია, რომ კლასიკური ლიბერალიზმი და ის, რასაც დღეს დასავლეთში ლიბერალიზმს უწოდებენ, ერთი და იგივე არ არის. ნამდვილი (კლასიკური) ლიბერალიზმის მიხედვით, ეკონომიკაში თავისუფალი ბაზარი უნდა ბატონობდეს და მთავრობა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს ეკონომიკურ პროცესებში. თანამედროვე ლიბერალები კი, პირიქით, მთავრობების აქტიურ ჩარევას მოითხოვენ ეკონომიკაში. ამიტომ, კლასიკური, ნამდვილი ლიბერალები დღეს კონსერვატორებად იწოდებიან.

ლიბერალიზმის კონცეფცია საყოველთაოდ ცნობილია – ეკონომიკაში მთავრობის ჩარევა, ნებსით თუ უნებლიეთ, ზღუდავს საბაზრო ძალებს და ხელს უშლის ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას. ამიტომ, მთავრობის ამოცანა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაა. საერთაშორისო დონეზეც, ლიბერალიზმის კონცეფციის თანახმად, იგივე უნდა ხდებოდეს – სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში უნდა ბატონობდეს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, ხოლო მთავრობები ნაკლებად უნდა ერეოდნენ საერთაშორისო ბაზრის ფუნქციონირებაში. ამავე დროს, სხვადასხვა ეროვნული ვალუტის გაცვლის დასარეგულირებლად მათ გარკვეული წესები და ნორმები (ე. წ. “საერთაშორისო რეჟიმი”) უნდა დაამკვიდრონ და

“უსამართლოდ” არ დაუშვან რომელიმე ქვეყნის, ან ქვეყნის შიგნით არსებული ჯგუფის “დაჩაგვრა” საერთაშორისო კონკურენციის შედეგად.

ლიბერალიზმი “თავისუფალი ვაჭრობის” სახელით არის ცნობილი. შეუზღუდავი თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა, ლიბერალების აზრით, წარმოშობს ინტერესთა ჰარმონიას, საერთაშორისო წონასწორობას და ყველა მონაწილე საბოლოოდ მოგებული რჩება. ნებისმიერი ჩარევა ამ ბუნებრივ პროცესში არც ცალკეულ ქვეყანას წაადგება და არც მთლიანად საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას. ლიბერალიზმის თანახმად, ეკონომიკა და პოლიტიკა სხვადასხვა სფეროებია, მაგრამ, ბაზარი თუ ნორმალურად ფუნქციონირებს, პოლიტიკური კონფლიქტებისათვის მიზეზებიც აღარ რჩება, რადგან ყველა კმაყოფილია.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, ლიბერალური ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, სუვერენული სახელმწიფო ანაქრონიზმად უნდა იქცეს, რადგან ურთიერთდამოკიდებულების, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის რევოლუციის, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა საზღვრებს ფუნქცია და მნიშვნელობა ეკარგება. ამის შესაბამისად, მომავლის უმთავრესი პრობლემა იქნება კონფლიქტი ნაციონალიზმის პოლიტიკურ ძალებსა და იმ ეკონომიკურ ძალებს შორის, რომლებიც მსოფლიოს ინტეგრაციაზე “მუშაობს”. ზოგიერთი ლიბერალი ფიქრობს, რომ, ნაციონალიზმის ამჟამინდელი გავრცელებისა და გაძლიერების მიუხედავად, დროთა განმავლობაში ინტეგრაციის ეკონომიკური ძალები “გადაწონიან” პოლიტიკურს და საბოლოოდ მსოფლიოს ფედერალური მთავრობა გაჩნდება. მართალია, ლიბერალიზმის ყველა მიმდევარი ამგვარ უკიდურეს შეხედულებამდე არ მიდის და მსოფლიო მთავრობის შექმნის პერსპექტივას უარყოფს, მაგრამ ისინი არ ცდებიან, როცა მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციას მომხდარ ფაქტად მიიჩნევენ. მართლაც, დღეს ვერავინ უარყოფს იმას, რომ ისტორიაში პირველად წარმოება, მარკეტინგი და კაპიტალდაბანდებები არა მხოლოდ იზოლირებულ ეროვნულ მეურნეობებში არის ორგანიზებული, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთ მრავალმხრივ საქმიანობაში (წარმოება, ბაზრები, ნედლეულით და მუშახელით უზრუნველყოფა) სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოთა საზღვრებს. ლიბერალიზმის თანახმად, ეროვნული მეურნეობები ეკონომიკური ურთიერთდაქვემდებარებისა და ურთიერთდამოკიდებულების ისეთ “ობობას ქსელშია” გაბმული, რომლიდანაც თავის დაღწევა საკუთარი

მოსახლეობის კეთილდღეობისათვის დიდი ზიანის მიუყენებლად უკვე აღარ შეუძლიათ და მათგან ეროვნული მეურნეობები ხომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობებს ღებულობენ. ქვეყნის მოქალაქეები თავიანთ ეკონომიკურ კეთილდღეობას, ეროვნული ავტონომიისა თუ სხვა ეროვნული მიზნების მიღწევის მოტივით, უარეს პირობებზე აღარ გაცვლიან. ეს ტენდენცია უკვე გამოიკვეთა დასავლეთ ევროპაში და მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ნაწილშიც იგივე შეიმჩნევა. ეკონომიკური მიზნები და ინტერესები უკვე საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მიზნებსა და ინტერესებს წარმოადგენს. სრული დასაქმება, რეგიონული განვითარება და ეკონომიკური კეთილდღეობის სხვა მიზნები პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად იქცა. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ ხსენებული მიზნების მიღწევა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებით, მასში აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი.

სტრუქტურალიზმი და დაქვემდებარება. სტრუქტურალიზმი ძალიან ახლოს დგას მარქსიზმის ეკონომიკურ მსოფლმხედველობასთან. სტრუქტურალიზმის თანახმად, ლიბერალური კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა ხელს უწყობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ სხვაობათა შენარჩუნებას და აფერხებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას. სტრუქტურალიზმის სკოლის შეხედულებათა მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობა მეცხრამეტე საუკუნეში, მართალია, ხელს უწყობდა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განვითარებას, მაგრამ, თანამედროვე ეტაპზე ამ ფუნქციას ვეღარ ასრულებს, რადგანაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოების დღევანდელი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური (ნატურალური სოფლის მეურნეობა, ჩამორჩენილი სამეურნეო სტრუქტურა და ა.შ.) თავისებურებების გამო. ისინი თავიანთი მეურნეობის სტრუქტურის ხასიათით განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან იმდენად განსხვავდებიან, რომ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ეკონომიკურ წინსვლას ვერ ახერხებენ; თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის პირობები და მექანიზმები კი იმგვარია, რომ ჩამორჩენილი ეკონომიკური სტრუქტურის მქონე ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკის პერიფერიას წარმოადგენენ, თავიანთ გარიყულობას და ჩამორჩენილობას ვერ დაძლევენ, თუ სტრუქტურული ტრანსფორმაცია ვერ შეძლეს. ეს ტრანსფორმაცია უნდა განხორციელებულიყო ჩამორჩენილი ქვეყნების შიგნით და არა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დონეზე. 60-იან წლებში ნათელი გახდა, რომ ეს ქვეყნები ამ ამოცანას ვერ დაძლევდნენ; მაშინ

სტრუქტურალიზმის წიაღიდან ამოიზარდა უფრო რადიკალური თეორიები, რომელთა შორის ყველაზე გავლენიანი ამჟამადაც ე. წ. "დაქვემდებარების" თეორიაა. იგი ლათინურ ამერიკაში რადიკალმა ეკონომისტებმა და პოლიტოლოგებმა შეიმუშავეს.

დაქვემდებარების თეორიის ავტორებმა და მათმა მიმდევრებმა ირწმუნეს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში "ჩრდილოეთსა" და "სამხრეთს" შორის არსებული უფსკრული არის პირველის მიერ მეორის ექსპლუატაციის შედეგი. სწორედ "მდიდარი ჩრდილოეთისა" და "ღარიბი სამხრეთის" ურთიერთმიმართება არის საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ყველა რადიკალური თეორიის, მათ შორის – დაქვემდებარების თეორიის, არსებითი საკითხი. ეკონომიკური განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში "ჩრდილოეთს" აგრეთვე უწოდებენ განვითარებულ ცენტრს, ხოლო "სამხრეთს" კი – განუვითარებელ პერიფერიას. ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთმიმართება, ამ თეორიის თანახმად, თანასწორთა თანამშრომლობა კი არ არის, არამედ ერთის მიერ მეორის ექსპლუატაცია, რადგან პირველის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა ძირეულად განსხვავდება მეორისაგან. დაქვემდებარების თეორიის მიხედვით, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები იმიტომ ვერ ვითარდებიან ნორმალურად, რომ მათ ამის შესაძლებლობას საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ხასიათი არ აძლევს. ჩამორჩენილი ქვეყნები მსოფლიოს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის პერიფერიას წარმოადგენენ. ისინი განვითარებული ცენტრის მიერ იყვლიფებიან. მათი ეკონომიკური განვითარება შენელებულია არა იმის გამო, რომ კაპიტალის ნაკლებობა და კულტურული ჩამორჩენილობა ახასიათებთ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ექსპლუატაციის მარწუხებში მოექცნენ და მას თავს ვერ აღწევენ. დაქვემდებარების თეორია ამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ისტორიის მთავარ მასტრუქტურირებელ ფაქტორს ეკონომიკური პროცესები წარმოადგენს და უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში სწორედ ჩრდილოეთის კაპიტალიზმი (ჯერ – მერკანტილიზმის, შემდგომში – თავისუფალი ვაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსების, ხოლო ამჟამად – ტრანსნაციონალური კორპორაციების სახით) იყო ისტორიის მამოძრავებელი ძალა.

დაქვემდებარების თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ვაჭრობის მექანიზმების თავისებურებებს, რომლებიც უარყოფით როლს ასრულებენ განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში. საგარეო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების საგარეო

ვაჭრობის 2/3 განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის უცხოური ვალუტის წყაროებს წარმოადგენს: ექსპორტი, უცხოეთის ქვეყნების დახმარება, კომერციული სესხები და კერძო კაპიტალდაბანდებები. ამ ქვეყნების უცხოური ვალუტის მთავარი წყარო არის ექსპორტი, საიდანაც საშუალოდ ამ ვალუტის 75 პროცენტი შემოდის. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ექსპორტი იმდენად მნიშვენლოვანია, რომ მისი სტაბილურობის ან ზრდის გარეშე ეს ქვეყნები ეკონომიკური კატასტროფის პირას აღმოჩნდებიან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილი საერთაშორისო სავაჭრო (ჩთთ) და სავალუტო-საფინანსო (ბრეტონ-ვუდსის) სისტემა ანუ რეჟიმი სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის, დაქვემდებარების თეორიის მომხრეთა აზრით, არახელსაყრელი და დამთრგუნავი აღმოჩნდა. ამ რეჟიმმა, მათი აზრით, ხელი შეუწყო ისედაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას, ხოლო ნაკლებ განვითარებულები კი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი, დაქვემდებარებისა და სხვა რადიკალური თეორიების მომხრეთა შეხედულებათა თანახმად, ხელს არ უწყობს სუსტად განვითარებული ქვეყნების აღმავლობას და სინამდვილეში ძლიერი ქვეყნების ინტერესებს უზრუნველყოფს.

დაქვემდებარების უარყოფა შეუძლებელია, თუ მას განვითარებადი ქვეყნების წინსვლის სტრატეგიაზე უდიდესი ზეგავლენის მომხდენ ფაქტორად განვსაზღვრავთ. ნებისმიერი ნაკლებად განვითარებული ქვეყანა ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიო ბაზრის ცვალებადობაზე იქნება დამოკიდებული, დაქვემდებარებული. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ყველა ერთმანეთზეა დაქვემდებარებული, მაგრამ ზოგიერთებზე ეს მეტად ითქმის; ასეთები, პირველ რიგში, ჩამორჩენილი და პატარა ქვეყნებია. ნუთუ ზოგიერთი ქვეყანა იმიტომ არის ჩამორჩენილი, რომ იგი დაქვემდებარებულია, როგორც ამას დაქვემდებარების თეორია აცხადებს? ნუთუ პირდაპირ უცხოურ კაპიტალდაბანდებებს ექსპლუატაცია უფრო მოაქვთ, ვიდრე სიკეთე? – ზოგიერთი ავტორის აზრით, ყოველივე ეს, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია დაბანდებათა ტიპზე, მათ პირობებზე და მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

დაქვემდებარების თეორიას, მისი იდეოლოგიური მიმზიდველობის მიუხედავად, დღეს შესამჩნევად ნაკლები მიმდევარი ჰყავს. ეჭვგარეშეა, რომ იგი ვერ გამოდგება ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენის ასახსნელად, როგორიც არის ე. წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (ტაივანი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, არგენტინა, ბრაზილია, ფილიპინები,

ინდოეთი, მექსიკა, ვენესუელა, ტაილანდი და მალაიზია). ეს ქვეყნები კი საერთაშორისო ეკონომიკის შესამჩნევი მოქმედი პირები და ზოგიერთი სახის სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ექსპორტიორები გახდნენ.

რადიკალიზმი (მარქსიზმი). მარქსიზმმა უარყო ლიბერალიზმის შეხედულება, რომლის თანახმად, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები არა მარტო მთელი საზოგადოების, არამედ მთელი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის კეთილდღეობის საწინდარი და აუცილებელი პირობაა. კაპიტალიზმი, მარქსიზმის მოძღვრების მიხედვით, კონფლიქტური საზოგადოებრივი სისტემაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს აუცილებლად უარყოფილი უნდა იყოს და მისი ადგილი სოციალიზმმა უნდა დაიკავოს.

მარქსისტები უარყოფენ ლიბერალიზმს და მას ნათლავენ კაპიტალისტური ექსპლუატაციის სისტემად, რომელშიც განვითარებული სახელმწიფოები ეფექტურად იყენებენ თავიანთ დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას სუსტად განვითარებულ სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოსახდენად და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას თავიანთ შემდგომ გაძლიერებასა და გამდიდრებას ახმარენ. ამის შედეგად ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები ექსპლუატირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ეკონომიკურად ვერ ვითარდებიან და კიდევ უფრო ღარიბდებიან. მარქსისტების აზრით, ლიბერალური ანუ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა ხელს უწყობს ძლიერს და ამონებს სუსტს.

რადიკალური, მარქსისტული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის კონცეფციებიდან ყველაზე ცნობილია ე. წ. "მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის" კონცეფცია. ეს გლობალისტური კონცეფციაა და იგი, პირველ ყოვლისა, იმანუელ ვალერსტაინის შრომებიდან იღებს სათავეს. ვალერსტაინის კონცეფცია წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის წარმოშობისა და განვითარების, მსოფლიოს სხვადასხავა რეგიონს შორის ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დიდი სხვაობების მიზეზების ანალიზის ცდას. ამავე დროს, ვალერსტაინი გვთავაზობს მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის განვითარების კონცეფციასაც, რომელსაც იგი მსოფლიოს სისტემის თეორიას უწოდებს.

რადიკალური თეორიები, მათი სერიოზული სისუსტეების მიუხედავად, მაინც გვეხმარება საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის დროს, რადგან რეალიზმთან და პლურალიზმთან (კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება) ერთად, რთული საერთაშორისო ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან მხარეზე მიგვითითებს. სანამ ეკონომიკური

ჩამორჩენილობა, სოციალური კონტრასტები, შიმშილი არსებობს, რადიკალური კრიტიკა და თეორიებიც იარსებებს.

საერთაშორისო ვაჭრობა

ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერი იმდენად შორს მიდის ვაჭრობის როლის შეფასებაში, რომ ვაჭრობასა და ომს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენლებად მიიჩნევს.

საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში.

ეკონომისტები უკვე დიდი ხანია თვლიან, რომ ვაჭრობა აძლევს უფლებას ქვეყნებს მიაქციონ ძირითადი ყურადღება იმ საქონლის წარმოებას და იმ მომსახურებას, რომელთა მაღალი ხარისხიც შეუძლიათ უზრუნველყონ ამ ქვეყნებმა მაქსიმალური ეფექტურობით. ამგვარად, ისინი ამაღლებენ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის საწარმოო სიმძლავრეებს. უფრო მეტიც, ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის ზრდას, დემოკრატიის განვითარებას ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე მსოფლიოს აყვავებას, კანონიერების დამყარებას და მშვიდობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ურთიერთობებში.

ვაჭრობაში წარმოიშვა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა აღმოცენების შედეგად. ცალკეული ქვეყნის შიგნით ვაჭრობა უზრუნველყოფს მომხმარებლამდე საქონლის გადაყვანას. ერთი ქვეყნის ვაჭრობამ მეორესთან, რომელიც მოიცავს საქონლის ექსპორტსა და იმპორტს, საგარეო ვაჭრობა ეწოდება, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთვაჭრობის ერთობლიობას _ საერთაშორისო ვაჭრობა.

საერთაშორისო ვაჭრობა განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით:

1. ბიზნესის წარმოების პრიცესში ფირმებს სჭირდებათ სხვადასხვა ქვეყნის ნედლეული, საქონელი და მომსახურება;

2. მსხვილი მანქანური წარმოების განვითარების შედეგად ფირმებს სჭირდებათ სხვა ქვეყნის ბაზარზე გასვლა და საქონლის მომგებიანად რეალიზაცია;

3. ზოგიერთი ფირმები დასპეცებულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის მყიდველთა და გამყიდველთა საშუამავლო ფუნქციებზე და მოქმედებენ როგორც საექსპორტო სავაჭრო ფირმები ან იმპორტ-ექსპორტის კომერსანტები.

საერთაშორისო ვაჭრობა უძველეს დროში ჩაისახა, მაგრამ მისი განვითარება ნატურელური მეურნეობიდან სასაქონლო-ფულად ურთიერთობებზე გადასვლასთანაა დაკავშირებული. Kკაპიტალის აღმოცენებამ განაპირობა ეროვნული ბაზრებისა და ეროვნული მეურნეობების ჩამოყალიბება, ხოლო საწარმოო ძალების განვითარებამ წარმოშვა ნატურალური მეურნეობათა შორის კავშირების დამყარების აუცილებლობა.

ქვეყანათა შორის სამეურნეო კავშირების გაფართოებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მანქანური წარმოების ჩამოყალიბებამ. წარმოების მასშტაბების გაფართოებამ კი, თავის მხრივ, მოითხოვა საერთაშორისო ვაჭრობის გაძლიერება.

მრავალი ქვეყანა ხასიათდება რესურსების შეზღუდული რაოდენობითა და ვიწრო შიდა ბაზრით. ასეთ ქვეყანაში უბრალოდ შეუძლებელია შიდა მოხმარებისათვის აუცილებელი ყველა საქონლის წარმოება სათანადო ეფექტიანობით. შესაბამისად, მათთვის

საერთაშორისო ვაჭრობა სასურველი საქონლის მიღების საშუალებაა.

საერთაშორისო ვაჭრობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მრავალმიმართულებიან ნაკადს მოიცავს. მისი საშუალებით უცხოურ ბაზარზე იღებენ საჭირო საქონელსა და მომსახურებას. ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას ეწოდება წმინდა ექსპორტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მართალია, ექსპორტის შედეგად ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონელი, რომელზედაც ეროვნული ხარჯებია გაწეული, უცხო ქვეყანაში გაედინება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ხელს უწყობს წარმოების გაფართოებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების ზრდას. ამასთან ერთად, საერთაშორისო ვაჭრობისათვის ღია რკონომიკაში მოხმარებისა და ინვესტიციებისათვის განკუთვნილი დანახარჯების ნაწილი მიდის იმპორტზე, ე.ი. ქვეყნის გარეთ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე.

წმინდა ექსპორტისა და შიდა წმინდა ეროვნული პრიდუქტის ანალიზით დადგენილია, რომ ჩვენი სავაჭრო პარტნიორების წმინდა ეროვნული პროდუქტის ზრდსა გვაძლევს საზღვარგარეთ უფრო მეტი საქონლის გატანის შესაძლებლობას. შესაბამისად, ეს ზრდის ჩვენი ქვეყნის წმინდა ეროვნულ პროდუქტს. ჩვენ დაინტერესებულნი უნდა ვიყოთ ჩვენი პარტნიორების წინსვლაში, ვინაიდან ესვ მათ უფრო მეტი იმპორტული საქონლის შეძენისაკენ უბიძგებს. თავის მხრივ, ასეთი სიტუაცია დადებითად მოქმედებს ჩვენს ექსპორტზე და ზრდის მას. შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობა წარმოების გაფართოების ხელშემწყობი ფაქტორია. ეს კი იძლევა შემოსავლისადა დასაქმების ზრდის შესაძლებლობას.

საერთაშორისო ვაჭრობა, ქვეყნის შიდა ვაჭრობისაგან განსხვავებით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რომელთა შორის ძირითადია სამი მომენტი: 1. სხვაობა რესურსების მობილურობაში; 2. ვალუტა და 3. Pპოლიტიკა.

საერთაშორისო ვაჭრობის არსის და მისი ბუნების ახსნას ცდილობს ორი ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული თეორია.

ერთი ეფუძნება ლიბერალურ ტრადიციებს (მას დღეს ჰექსჩერო-ლინ-სამუელსონის თეორიას უწოდებენ, შემოკლებით — H-O), ხოლო მეორე — ნაციონალისტურს. ამ თეორიებში აბსოლუტურად განსხვავებულად არის ახსნილი საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზები, მიზნები და შედეგები.

ლიბერალებს სჯერათ ვაჭრობის ღია სისტემის, რომელზეც ვრცელდება კანონიერების პრინციპი. მათი აზრით, თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მასში ჩაბმული ყველა მხარისათვის. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მხარე აუცილებლად თანაბრადაა მოგებული ამ პროცესში. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მიიღწევა მაქსიმალური ეფექტურობა და მსოფლიო სიმდიდრის გაზრდა. შრომის საერთაშორისო დანაწილება ზრდის ინდივიდუალურ პროდუქტიულობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო სიმდიდრის შექმნასა და დაგროვებას. შრომის საერთაშორისო დანაწილება და მისი გაღრმავება მსოფლიო ეკონომიკის აყვავების და საერთაშორისო კეთილდღეობის საწინდარია. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მშვიდობის გარანტიაა, და რაც მეტი ქვეყანაა ჩაბმული მასში, მით უფრო უსაფრთხო და სტაბილურია მსოფლიო.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორიის ოპონენტები თვლიან, რომ თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ განვითარებული და ძლიერი ქვეყნებისთვისაა მომგებიანი, რომელთა ეკონომიკაც არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე სექტორზე და ერთ კონკრეტულ პროდუქტზე. ხოლო ეკონომიკურად შედარებით დაბალგანვითარებული სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური პროტექციონიზმი უფრო მომგებიანი და მიზანშეწონილია.

ნაციონალისტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო ვაჭრობას და მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ექსპორტი უნდა აღემატებოდეს იმპორტს — ქვეყანამ უნდა გაყიდოს მეტი პროდუქცია, ვიდრე იყიდოს. ისინი თვლიან, რომ დღევანდელმა გლობალურმა ეკონომიკამ, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკას მოიცავს, მოიტანა დამოკიდებულების ახალი ფორმები და შექმნა ნიადაგი ეკონომიკური კონფლიქტებისათვის.

ლიბერალებიც და ნაციონალისტებიც თანხმდებიან, რომ წარმოებას სჭირდება დაცვა მის საწყის ეტაპზე, მაგრამ მათი შე-

ხედულებები ფუნდამენტურად განსხვავდება იმასთან მიმართებაში, თუ რა არის ამ დაცვის, ანუ პროტექციონიზმის, მიზანი. ნაციონალისტებისთვის პროტექციონიზმი საბოლოო მიზანია, რომელსაც მოჰყვება ინდუსტრიული ძალაუფლება და ძლიერი სახელმწიფო. ლიბერალებისთვის კი — პროტექციონიზმი დროებითი ეტაპია, რომელიც ქვეყანას საშუალებას აძლევს მიხვდეს, თუ რომელ სფეროში აქვს მას შეფარდებითი უპირატესობა. საბოლოო მიზანი კი — თავისუფალი ვაჭრობა და მსოფლიო სიმდიდრის შექმნაა. ლიბერალების აზრით, ყველა ეკონომიკას გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა რამეში და ამიტომ მათ არ უნდა ეშინოდეთ თავისუფალი ვაჭრობის.

საერთაშორისო ბიზნესი

საერთაშორისო ბიზნესი მსოფლიო სამეურნეო საქმიანობის მახასიათებელი ცნებაა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ბაზართან. საბაზრო ეკონომიკის ევოლუციის პროცესში იცვლება ბიზნეს-საქმიანობის ეკონომიკური პირობები და მისი ორგანიზაცია.

საერთაშორისო ბიზნესი ეწოდება ორი ან მეტი ქვეყნის მონაწილეობით (სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთით ანუ უცხოეთში აქტივების გატანით) და მოგების მიღების მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ სამეურნეო ოპერაციას. საერთაშორისო ბიზნესის წარმოების პროცესში სამეურნეო ურთიერთობანი მყარდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, მაგრამ სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობა მუდამ არაA გამიზნული მოგების მიღებაზე.

საერთაშორისო ბიზნესი მოიცავს სამეურნეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ნებისმიერ სფეროს. მასში შედის:

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, საგამომცემლო და სხვა საწარმოთა წარმოებითი საქმიანობიდან გამომდინარე ნებისმიერი სავაჭრო გარიგება;

საქონლისა და ფულის მიმოქცევასთან დაკავშირებული სავაჭრო, საბანკო და სხვა გარიგებები;

სატრანსპორტო, სადაზღვეო, სატრანსპორტო-საექსპედიციო, აგრეთვე საქონელმოძრაობასთან დაკავშირებული სადაზღვევო, შენახვის და სხვა ოპერაციების შემსრულებელი საწარმოების მიერ განხორციელებული გარიგებები; სადაზღვევო, შენახვის და სხვა ოპერაციების შემსრულებელი საწარმოების მიერ განხორციელებული გარიგებები;

სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის მომსახურების (საინჟინრო, საარენდო, საკონსულტაციო და ა.შ.)უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებები.

საერთაშორისო ბიზნესის განვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან, რომელთაგან ყველაზე ხშირად გამოყოფენ შემდეგს: გასაღების სფეროს გაფართოება; რესურსების შეძენა; მომარაგებისა და გასაღების წყაროების დივერსიფიკაცია.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობისათვის დამახასიათებელია მსხვილი მანქანური წარმოება, რომელიც პროდუქტის მასობრივ წარმოებას გულისხმობს. ასეთ სიტუაციაში ვიწრო შიდა ბაზრებზე შეუძლებელია ქვეყანაში წარმოებული საქონლის რეალიზაცია და აუცილებელი ხდება მისი სხვა ქვეყანაში გატანა. საქონლის რეალიზაცია სხვა ქვეყნების ბაზრებზე გასვლით, საბოლოოდ, მოგების ზრდას განაპირობებს. აღნიშნულის გამო, გასაღების ბაზრების გაფართოება საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივია.

სამეურნეო საქმიანობის პროცესში, ადგილობრივი რესურსების შეზღუდულობის გამო, ფირმებს სჭირდებათ სხვადასხვა ქვეყნის ნედლეულის, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. ამასთან, ხშირად სხვა ქვეყნებში რესურსების შეძენა შეიძლება უფრო იაფად. აღნიშნული გარემოება კი იძლევა იაფი საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობას.

ყოველი ფირმა ჩვეულებრივ ცდილობს არ დაუშვას მკვეთრი მერყეობა გაყიდვების მოცულობასა და მოგების დონეებში. ამ მიზნით ისინი ახორციელებდნენ მომარაგებისა და გასაღების წყაროების დივერსიფიკაციას, რომელიც გულისხმობს სამეურნეო საქმიანობის მრავალი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სახეების გამოყენებას. დივერსიფიკაცია კაპიტალის კონცენტრაციის ერთ-

ერთი ფორმაა, რომელიც აფართოებს სამეურნეო საქმიანობის მასშტაბებს და შესაბამისად, უზრუნველყოფს დამატებით მოგებას.

საერთაშორისო ბიზნესის მიზნების მისაღწევად გამოიყენება ოპერაციული და ფუნქციური საშუალებები. Oპერაციულ საშუალებებს მიეკუთვნება: ექსპორტი, იმპორტი, ტრანსპორტი, ლიცენზირება, ფრანშიზინგი, სამმართველო კონტრაქტები, კონტრაქტები "გასაღების ჩაბარებით", პირდაპირი და საპორთველო ინვესტიციები; ფუნქციურს _ წარმოება, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხავა, ფინანსები და საკადრო მუშაობა.

საერთაშორისო ბიზნესი ძირითადად ხორციელდება შემდეგი სახით: საქონლის ექსპორტი და იმპორტი, მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, ინვესტიციები. აქედან ყველაზე ფართოდ გავრცელებული და საყოველთაოდ აღიარებული სახეა საქონლის ექსპორტი და იმპორტი, რომელიც ჩვეულებრივ ნებისმიერი ქვეყნის საერთაშორისო გარიგების საკვანძო მუხლია. საქონლის ექსპორტი მრავალი ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყაროა, ხოლო იმპორტი ქვეყნის დანახარჯების ზრდის. Gარდა ამისა, საერთაშორისო ბიზნესის ეს სახე ითვალისწინებს მინიმალურ ვალდებულებებს და ნაკლებად სარისკოა, ამიტომ იგი ნებისმიერი კომპანიის პირველი საერთაშორისო ოპერაციაა და მას იყენებენ საერთაშორისო ბიზნესის დივერსიფიკაციის შემთხვევაშიც კი.

საქონლის იმპორტის დროს ხდება ნივთობრივი ფორმის საქონლის გატანა უცხოეთში, ხოლო იმპორტი ითვალისწინებს მის შზემოტანას. საქონლის ექსპორტი და იმპორტი თვალსაჩინოა, ამიტომ ხშირად მათ "ხილულ" ექსპორტსა და იმპორტს უწოდებენ. თავის მხრივ, მომსახურება გარკვეული ჯგუფის დარგთა ან კონკრეტული სახის შრომითი საქმიანობის პროდუქტია, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის გარკვეულ მოთხოვნილებას ან საჭიროებას. ე.ი. ისიც საქონელია, მაგრამ საქონლის სამყაროდან გამოყოფილია წმინდა ფორმალური მიზეზებით: მისთვის დამახასიათებელია არანივთობრივი ფორმა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინდივიდუალიზებული ტიპი. Mომსახურება ითვლება "უხილავ სიკეთედ". ამასთან, მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის დროს უცხოეთიდან მიღებული შემოსავალი განსხვავდება საქონ-

ლის ექსპორტირებისა დაიმპორტირების დროს არსებულისაგან. კერძოდ, მომსახურების ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი განიხილება მომსახურების ექსპორტისსაცით, ხოლო მისი საფასური _ მომსახურების იმპორტად.

უკანასკნელ პერიოდში, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის შედეგად, დიდი ყურადღება ეთმობა უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც ითვალისწინებენ უცხოეთში საკუთრების ფლობას (ჩვეულებრივ კომპანიის ჩარჩოში) ფინანსური მოგების მიღების მიზნით. უცხოური ინვესტიციების დროს კაპიტალი გადის ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ეს პროცესი არსებითად განსხვავდება საქონლის გადაადგილებისაგან, რომელიც სხვადასხვა სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, საბაჟო ფორმალობათა შესრულება, ტრანსპორტირება და ა.შ. აღნიშნულის გამო, უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო პრაქტიკაში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება.

საერთაშორისო ბიზნესში მთავარი ადგილი უკავია მულტინაციონალურ ანუ მრავალნაციონალურ კორპორაციებს. მულტინაციონალური კორპორაცია (მნკ) ეწოდება ისეთ კომპანიას, რომელსაც ორ ან მეტ ქვეყანაში აქვს საწარმოო ბაზა. თანამედროვე ეტაპზე მნკ ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ სახეს. მათზე მოდის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 1/3. Aმჟამად გიგანტი კორპორაციები აკონტროლებენ ძირითად სასაქონლო და რეგიონალურ ბაზრებს. ისინი ლიდერობენ სამრეწველო საქონლის, მომსახურებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ექსპორტში.

ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი გაეროს ჩარჩოში, მნკ-ის ნაცვლად გამოიყენება ტრანსნაციონალური კორპორაციის (ტნკ) ცნება. გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნაციონალური კორპორაციების კოდექსის თანახმად, ტნკ-ად ითვლება ისეთი საწარმო, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. იურიდიული ფორმის ან საქმიანობის სფეროს მიუხედავად, ორ ან მეტ ქვეყანაში აქვს ე.წ. ქალიშვილ-კომპანიები;

2. აქვს გადაწყვეტილებათა მიღების ისეთი სისტემა, რომელიც იძლევა ერთი ან რამდენიმე ცენტრიდან შეთანხმებული

პოლიტიკისა და ერთიანი სტრატეგიის განხორციელების შესაძ-ლებლობას;

3. ქალიშვილ-კომოპანიები საკუთებრივი ან სხვა ურ-თიერთობებით ისე არიან დაკავშირებულნი, რომ ყოველ მათგანს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს სხვა კომპანიების საქმიანობაზე, განსაკუთრებით კი სამეცნიერო-კვლევითი შედეგე-ბისა და რესურსების გამოყენებაზე, აგრეთვე სხვა კომპანიებთან ერთად პასუხისმგებლობის განაწილებაზე.

მართალია, ხშირ შემთხვევაში მრავალნაციონალური და ტრანსნაციონალური კორპორაციების ცნებები სინონიმებად იხმა-რება, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა: ტრანსნაციონა-ლური კორპორაციები ინტერნაციონალურია საქმიანობის სფერო-თი და ეროვნული კაპიტალით, ხოლო მულტინაციონალური კორ-პორაციები ინტერნაციონალურია როგორც საქმიანობის სფერო-თი, ისე კაპიტალით.

მნკ (ტნკ) განსხვავდებიან ზომებით, კაპიტალისა და წარმო-ების კონცენტრაციის დონით, აგრეთვე საერთაშორისო სამეურ-ნეო საქმიანობით, საბაზისო და რეციპიენტი (მიმღები) ქვეყნების ეკონომიკაზე ზემოქმედების დონით.

ზოგიერთ შემთხვევაში მნკ-ს ყოფენ გლობალურ და მრა-ვალქვეყნიან კორპორაციებად. Gგლობალურს უწოდებენ მნკ-ს, რომლის საქმიანობა , ქვეყანათა რაოდენობის მიუხედავად, ერთი-ანი სამეურნეო მექანიზმის სახცითაა წარმოდგენილი. თავის მხრივ, მრავალქვეყნიანი კორპორაცია სხვადასხვა ქვეყანაში წარ-მოებული ოპერაციების დამოუკიდებლობის მაღალი დონით ხასი-ათდება.

მნკ-ს რიცხვი საკმაოდ დიდია. Eექსპერტები ჩვეულებრივ იკვლევენ 1მლრდ. დოლარზე მეტი საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ მნკ-ს. ასეთი მილიარდერი მონოპოლიები აწესებენ კონტროლსა და ზღუდავენ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე. მნკ-ს ინტერესები კოსმოპოლიტიკურია, ამიტომ ისინი ისწრაფვიან საგარეო ეკონომიკური ექსპანსიისაკენ და ცდილობენ მათ საქმია-ნობაზე ყოველგვარი შეზღუდვების გაუქმებას იმისდა მიუხედა-ვად, ავნებს ეს ეროვნულ ეკონომიკას თუ არა.

მნკ, როგორც წესი, დივერსიფიცირებულია. მათი მთავარი კომპანია ახორციელებს საზღვარგარეთული ფილიალების ფინანსურ მართვას, აკონტროლებს მაჩვენებლებს (პროდუქციის რაოდენობასა და ასორტიმენტს, მის შესაბამობას ხარისხის სტანდარტებთან, წარმოების ხარჯებს), ანაწილებს რესურსებსა და განსაზღვრავს ბაზრებს. მნკ-ის ცენტრი ჩვეულებრივ ფლობს სრულ ინფორმაციას მთელ მსოფლიოში ფირმის მიერ წარმოებული საქონლის გასაღებისვ ბაზრების, სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების კურსების, ბანკების სესხის განაკვეთების, ახალი ტექნოლოგიებისა და ა.შ. შესახებ, რის საფუძველზეც ამუშავებს საბაზრო სტრატეგიასა და ტაქტიკას.

მნკ-ის საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის მთავარი ფორმაა კაპიტალის გატანა. სხვადასხვა ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებით მნკ იწვევენ კაპიტალდაბადებანთა შემხვედრ ნაკადებს. ასეთ სიტუაციაში ყველა ქვეყანა ერთდროულად ხვდება კაპიტალის ექსპორრიორი და იმპორტიორი.

ეროვნული და უცხოელი აქციონერების კაპიტალის გაერთიანებით მნკ თავიანთი ფილიალების, ქალიშვილ-კომპანიების მეშვეობით მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყანაში. მნკ დასაწყისში ჩვეულებრივ აფართოებენ საქონლის ექსპორტს, შემდეგ გადადიან წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის ექსპორტზე და ბოლოს, ქმნიან ფილიალებს, რის შედეგად საგარეო ვაჭრობა ფირმისშიდა ვაჭრობით იცვლება. ე.ი. სასაქონლო ნაკადები მართალია კვეთენ სახელმწიფოთა საზღვრებს, მაგრამ მათი მოძრაობა ხორციელდება ერთი და იმავე კომპანიის ფარგლებში (არ ხდება საქონლის მფლობელის შეცვლა). აღნიშნულის გამო, იქმნება ე.წ. ჩაკეტილი ბაზრები, სადაც ოპერაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ტრასფერტული გარიგებების ხასიათისაა ან ხორციელდება შეზღუდული რაოდენობის ფირმათა მონაწილეობით. ფართოდ გამოიყენება ტრანსფერტული ფასები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოგების მაქსიმიზაციას.

მნკ-ის საგარეო ვაჭრობა და მისი ორგანიზაციური ფორმები ვითარდება კაპიტალის გატანის ზემოქმედებით. ამის გამო, მათი საგარეო ვაჭრობის დასახასიათებლად ექსპორტის ნაცვლად გამოიყენება ”უცხოური ოპერაციების” ცნება. ”უცხოურ ოპერაცი-

ებში", სამრეწველო ფირმის მეთაური კომპანიის საბაზისო ქვეყნიდან განხორციელებულ ექსპორტთან ერთად, იგულისხმება მის კუთვნილებაში მყოფი უცხოური საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვა.

საქონლის ექსპორტის ნაცვლად უცხოეთში მისი წარმოების ორგანიზაცია შეიძლება შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენების, საიმპორტო ბარიერების აღმოფხვრის, ოპტიმალური ორგანიზაციული და ტექნოლოგიური სტრუქტურების გამოყენების, სავალუტო კურსების მერყეობით გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების, უცხოური ბაზრების "შიგნიდან" დაპყრობის შესაძლებლობას.

მნკ-ის საბასიზო (დონორი) ქვეყნის როლში ჩვეულებრივ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები გამოდიან, ამიტომ მათი კაპიტალი უშუალოდ მოქმედებს რეციპიენტი (მიმღები) ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, რომელთა როლში უმეტეს წილად განვითარებადი ქვეყნები არიან. მნკ ეძებენ იაფი შრომის, ეკოლოგიურად მავნე წარმოებებზე დაბალი საჯარიმო სანქციების, სახელმწიფო რეგულირების ნაკლები მასშტაბებისა და სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნებს.

მსოფლიო მეურნეობა

მსოფლიო მეურნეობა ხანგძლი ისტორიული განვითარების შედეგია. ერთიან სისტემად იგი ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდში. მსოფლიო მეურნეობის ობიექტური საფუძველია შრომის საერთაშორისო დანაწილება, რომელმაც განაპირობა ეროვნული მეურნეობების კავშირურთიერთობანი. შესაბამისად, მსოფლიო მეურნეობა საწარმოო-სავაჭრო, საკრედიტო-საფინანსო, სამეცნირო-ტექნიკური ურთიერთობათა და შრომის საერთაშორისო დანაწილებით დაკავშირებული ეროვნული მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო სუბიექტების (ფირმების, ბანკების, სახელმწიფოთა კავშირების) ერთობლიობაა. მსოფლიო სამეურნეო სისტემის განვითარების ძირითადი ნიშნები და ტენდენციები საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირების ობიექტური კანონზომიერებით განისაზღვრება.

მსოფლიო მეურნეობა ისტორიულად ემყარება საბაზრო ეკონომიკის კანონებს. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისუფალი კონკურენციის პერიოდში არსებულისაგან. Eეს განსხვავება განსაკუთრებით გაძლიერდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზემოქმედებით, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და წარმოების განსაზოგადება, წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესი და განვითარებულ ქვეყნებთან კავშირურთიერთობანი.

ინტეგრაციული პროცესის გაღრმავებისა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა მსოფლიო მეურნეობის შემდეგი სტრუქტურა:

1. საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი;
2. კაპიტალის მსოფლიო ბაზარი;
3. შრომის მსოფლიო ბაზარი;
4. საერთაშორისო სავალუტო სისტემა;
5. საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო სისტემა.

ინტერნაციონალიზაციის პროცესები მიმდინარეობს კულტურისა და ინფორმაციის, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროებში. ჩამოყალიბების სტადიაში აგრეთვე ერთიანი სამეცნიერო-საინფორმაციო სივრცე.

მსოფლიო მეურნეობის სუბიექტები არიან: სახელმწიფოები მათი სახალხო-სამეურნეო კომპლექსებით; ტრანსნაციონალური კორპორაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები.

80-იან წლებში მსოფლიოში მიმდინარეობდა მასშტაბური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პროცესები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინეს და ახლაც ახდენენ მსოფლიო სამეურნეო სისტემის განვითარებაზე. სავჭოთა კავშირის დაშლისა და სოციალისტურ ბანაკში შემავალი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაციის შედეგად მოიშალა ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემის ზღვრები, იცვლება განვითარებული ქვეყნების ძალთა თანაფარდობა, ცენტრებსა და პერიფერიებს შორის კავშირურთიერთობანი. ცენტრი მრეწველობით განვითარებული, ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებია. მათთვის

დამახასიათებელია “სოციალური საბაზრო მეურნეობის” განვითარების ტიპი. თავის მხრივ, პერიფერიის როლში გვევლინებიან განვითარებადი ქვეყნები, რომელტაც, როგორც წესი, აქვთ სანედლეულო სპეციალიზაცია გა განვიტარების არაეფექტიანი მექანიზმი.

ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალისტური სამყაროს ლიდერები იყო აშშ, ამჟამად კი მსოფლიო მეურნეობაში ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი ცენტრი: აშშ, დასავლეთი ევროპა და იაპონია. ამასთან, სულ უფრო ძლიერდება მათ შორის კონკურენტული ბრძოლა გასაღების ბაზრისათვის, კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წამყვან დარგებში უპირატრსობის მისაღწევად. განსაკუთრებით გამძაფრდა აშშ-ის უთანხმოება იაპონიასთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობათა საკითხში.

80-90-იან წლებში გამოიკვეთა ეკონომიკური დიფერენციაცია განვითარებად ქვეყნებს შორის. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ჰონკონგი, სინგაპური, ტაივანი,სამხრეთ კორეა) და ლათინური ამერიკის (არგენტინა, მექსიკა) ქვეყნებმა, რომელთა დღეს “ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს” უწოდებენ. Iსინი მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ მსოფლიოს სამი ცენტრის ქვეყნებს არა მარტო მსოფლიო ბაზარზე, არამედ განვითარებული ქვეყნების ბაზრებზედაც. Eს იწვევს ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრების შექმნას წყნარი ოკეანის აუზსა და ლათინურ ამერიკაში.

ურთიერთსაწინააღმდეგო ზღვრების მოშლამ და ერთიანი მსოფლიოს აღიარებამ განაპირობა მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკაციის ახალი ნიშნების გამოყენების აუცილებლობა. ამჟამად ასეთ ნიშნად აღიარეს საბაზრო მეურნეობის პრინციპებთან სახელმწიფოს შესაბამისობის კრიტერიუმი. Aმ ნიშნით ქვეყნები დაყოფილია ჯგუფებად:

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები. ამ ჯგუფს ტრადიციულად მიაკუთვნებენ მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებს;

განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები. Eსაა თანამედროვე განვითარებადი ქვეყნების ნაწილი _ ე.წ. “ახალი ინ-

დუსტრიული ქვეყნები” და ზოგიერთი გარდამავალი ეკონომიკის (ყოფილი სოციალისტური ბანაკის) ქვეყნები;

განუვითარებელი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ანუ ე.წ. ყველაზე ნაკლებად განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები;

არასაბაზრო ეკონომიკის ქვეყნები. ეს ჯგუფი ფაქტობრივად თეორიულ ცნებას გამოხატავს, რადგან ყველაზე ცენტრალიზებულ ეკონომიკაშიც კი ადგილი აქვს საბაზრო ურთიერთობათა ელემენტებს.

მსოფლიო ბაზარი

მსოფლიო სამეურნეო სისტემის ეკონომიკური ცხოვრების მარეგულირებელი მექანიზმია ბაზარი. ბაზარი, თავისი არსით, მიმოქცევის სფერში დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთოების სისტემაა, რომლის მეშვეობით ხდება საქონლის ღირებულების რეალიზაცია და საზოგადოების მიერ მისი აღიარება. ბაზარი უზრუნველYოფს მყიდველთა (მოთხოვნის წარმომდგენთა) და გამყიდველთა (საქონლის ან მომსახურების მწარმოებელთა) შორის კონტრაქტების დამყარებას ანუ მათ თავმოყრას.

საბაზრო სისტემა კავშირების რთული სისტემა, რომლის მეშვეობით ხდება უამრავი ინდივიდუალური, თავისუფლად მიღებული გადაწყვეტილებების მიღება, შეჯერება და ურთიერთგაწონასწორება. ზოგირთი მათგანისათვის დამახასიათებელია მყიდველთა და გამყიდველთა პირადი კონტაქტები, ზოგიერთი კი უპიროვნოა, ე.ი. მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს არ ხდებიან.

მსოფლიო ბაზარი ქვეყნისშიდა ბაზრებისგანაა წარმოებული. იგი სავაჭრო-ეკონომიკური და საკრედიტო-ფინანსური ურთიერთობებით დაკავშირებული ცალკეულ ქვეყანათა ეროვნული ბაზრების ერთობლიობაა. მსოფლიო ბაზარი მოიცავს შრომის საერთაშორისო დანაწილების ყველა ძირითAდ მიმართულებას, ხოლო მისი განვითარების მასშტაბები ასახავენ საზოგადოებრივი წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას.

ამასთან, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ეროვნული მეურნეობების მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე.

მსოფლიო ბაზარი ჩაისახა მე-16 საუკუნეში კაპიტალიზმის მანუფაქტურული განვითარების სტადიაზე და ამჟამად მიაღწია სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის, კაპიტალის ინტერნაციონალიზაციისა და მსხვილი მონოპოლისტური წარმოების საფეხურს.

მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მსოფლიო სასაქონლო მიმოქცევაში ძირითადი ხვედრითი წონა ნედლეულსა და სურსათზე მოდიოდა. მისი ექსპორტირება ხდებოდა აგრარული ქვეყნებიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. შემდგომ, კაპიტალის გატანის შედეგად, გაიზარდა აგრარული ქვეყნების მოთხოვნილება მანქანა-მოწყობილობებზე, რის შედეგად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ საქონელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო საქონელბრუნვაში.

მსოფლიო ბაზარი, ცალკეული ქვეყნების ეროვნული ბაზრებისაგან განსხვავებით, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამ თავისებურებებს მიეკუთვნება:

სახელმწიფოთაშორისი საზღვრების არსებობა და ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. აღნიშნული გარემოებების გამო, ეროვნულ მეურნეობათა შორის საქონელმოძრაობა შეზღუდულია და ცალკეულ ქვეყნებში წარმოებული ზოგიერთი საქონელი მსოფლიო ბაზარზე საერთოდ არ ხდება და მსოფლიო საქონელბრუნვაში არ მონაწილეობს;

ფასების განსაკუთრებული სისტემის - მსოფლიო ფასების არსებიბა, რომელთა ფორმირებას გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს;

მსხვილი მონოპოლიების არსებობა. მსოფლიო სამეურნეო სისტემის მონოპოლიზაციის შედეგად იქმნება ე.წ. ჩაკეტილი ბაზრები, სადაც ოპერაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ტრანსფერტული გარიგებების ხასიათისაა ან ხორციელდება შეზღუდული რაოდენობის მხარეთა მონაწილეობით. ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე შეზღუდული რაოდენობის ფირმათა მოქმედების შედეგად იქმნება ობიექტური პირობები ამა თუ იმ სახის შეთანხმებებისათვის სხვა ფირმების საწარმოო და საბაზრო სტრატეგიებზე ზემოქმედების მიზნით. არსებობს ასეთი კოორდინაციის მრავალი ფორ-

მა: კარტელური შეთანხმებები, ”ერთიანი ქცევის პოლიტიკა”, ”ფასებში ლიდერის” პრაქტიკა და სხვა. აღნიშნული გარემოებების თავიდან აცილების მიზნი, მთელ რიგ ქვეყნებში მჯიღებულია ანტიტრესტული კანონმდებლობა, თიმცა იგი არ გამორიცხავს კომპანიათა შორის ფარულ გარიგებებს.

მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ცალკეული სახელმწიფოთა და განსაკუთრებით ინტეგრირებული ბლოკებისა და გაერთიანებების მიერ მიღებული სხვადასხვა სახის პროგრამები და პროექტები, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ეროვნული ბაზრების დაცვა გარე ზემოქმედებისაგან (საქონლის შეტანისაგან) და საკუთარი საქონლისექსპორტის ფორსირებული პოლიტიკის გატარება. გარდა ამისა, თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია მსოფლიო ბაზრისა და საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების სახელმწიფოთშორისი ფორმები, რის შედეგად იქმნება როგორც საერთო სავაჭრო (მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), ისე რეგიონალური ინტეგრაციული ეკონომიკური ორგანიზაციები (ევროკავშირი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია და ა.შ.). ასეთ სიტუაციაში უფრო ადვილი ხდება მოთხოვნა-მიწოდების თანაფართობაზე ზემოქმედება.

მსოფლიო ბაზარზე გამოყოფენ სამ უმსხვილეს ბაზარს: საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი, კაპიტალის მსოფლიო ბაზარი და შრომის მსოფლიო ბაზარი. ისინი ჩამოყალიბებულია ზენაციონალურ დონეზე.

საქონლისა და მომსახურების ბაზარი იყოფა ცალკეული ჯგუფის საქონლისა და მომსახურების ბაზარებად. მაგალითად, სათბობისა და ნედლეულის, მანქანებისა და მოწყობილობების, სატრანსპორტო მომსახურების და ა.შ. ყოველი მათგანი, თავის მხრივ განიცდის სეგმენტაციას, რომლის დონე დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკულ მიზნებზე.

თემა XII

საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო სამართალი

საერთაშორისო არენაზე ურთიერთმოქმედი სხვადასხვა სოციალური გაერთიანებები, ყოველთვის დაინტერესებულნი იყვნენ, რომ სახელმწიფოებსა და მოქალაქეებს შორის კულტურული და ეკონომიკური გაცვლები, პოლიტიკური და სოციალური პროცესები, რომლებიც სცილდებოდნენ სახელმწიფოთაშორისო საზღვრებს, მათ შორის კონფლიქტებიც და ომებიც, განხორციელებულიყო რეგულირების განსაზღვრული, დაშვებული წესების შესაბამისად. საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე ეტაპზე. ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი მკვეთრად გაიზარდა კაცობრიობის ცივილიზაციის გლობალურ გამოწვევების _ ეკოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის და შესაძლო გამოყენების პრობლემატიკის გამო.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური რეგულატორის საფუძვლები, რომლებიც კაცობრიობის მიერ შემუშავდა ისტორიული განვითრების მანძილზე იყო სამართლებრივი და მორალური ნორმები. მათ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აქვთ არსებითი თავისებურები და უპირატესობები. ამავე დროს იგი ხასიათდება სირთულით, და სამეცნიერო ლიტერატურაში იწვევს არაერთგვაროვან შეფასებებს.

სამართლიანად აღნიშნავს მკვლევართა ერთი ჯგუფი მსოფლიოში სამართლებრივი ცნობიერების დონის ზრდას, ასევე ფუნქციონირებადი და განვითრებადი საერთაშორისო სამართლის პროცესში ეთიკური როლის ზრდასაც. მაგრამ მკვლევართა მეორე ჯგუფი, პირიქით, და არც თუ უსაფუძვლოდ, მიუთითებს იმაზე, რომ, როგორც საერთაშორისო მორალი, ასევე საერთაშორისო სამართალი შედარებით ნაკლებად დაწინაურდა თავისი გავლენით სახელმწიფოებისა და ხალხების ურთიერთობის ხასიათზე, და ამი-

ტომ იგი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეფექტური რეგულატორი ასეთი ურთიერთბისათვის.

საერთაშორისო სამართლის ცნება პირველად ჯერემი ბენტჰემმა 1780 წელს წიგნში „შესავალი მორალისა და წარმომადგენლობის პრინციპებში“ გამოიყენა. დაახლოებით 1840 წლიდან ამ ცნებამ ინგლისურ და რომანულ ენებში ძველი ტერმინი „ხალხთა სამართალი“ ჩაანაცვლა (ფრანგ. droit de gens) ცნება „ხალხთა სამართალი“ ძალიან ძველია და რომაულ ეპოქას უკავშირდება. რომაელები საერთაშორისო ურთიერთობებში ius gentium-ის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ (შემონახულია ციცერონის ნაწერებში). გერმანულ, დანიურ, სკანდინავიურ და ზოგიერთ სლავურ ენებში ისევ ძველი ცნება „ხალხთა სამართალი“ გამოიყენება.

პირველსა და მეორე მსოფლიო ომს შუა მოღვაწე მკვლევარებს საერთაშორისო სამართლის დეფინიციასთან დაკავშირებით პრობლემა არ შექმიათ. აზრთა სხვადასხაობის მიუხედავად ისინი თანხმდებობნენ, რომ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დარეგულირების საშუალებაა. პოზიტივისტთა დომინანტური დოქტრინის თანახმად საერთაშორისო სამართლის ერთადერთი სუბიექტი სახელმწიფო იყო.

თუმცა ეს მოსაზრება მაშინაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. უკვე მაშინაც არსებობდა მცირე რაოდენობის საერთაშორისო სამართლებრივი წარმონაქმნები, რომელთაც სახელმწიფოს სტატუსი არ ჰქონდათ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო არენაზე გამოჩნდა უამრავი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია, კერძო პირების მიერ დაარსებული რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ბევრი მრავალეროვნული კონცერნი, ეთნიკური უმცირესობები, რომელთაც საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტის სტატუსი მიიღეს.

საერთაშორისო სამართლის ცნების მუდმივ განვითარებაზე ამერიკის სამართლის ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ დეფინიციაც (მესამე შესწორება) მიუთითებს, რომელშიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად განიხილება, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, ასევე საერთაშორისო ორგანიზა-

ციები და (შეზღუდული უფლებებით) კერძო და იურიდიული პირები.

განარჩევენ საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალს. საერთაშორისო კერძო სამართალი არეგულირებს ინდივიდების უფლებებსა და მოვალეობებს თავისი სახელმწიფოს გარეთ (სხვა ქვეყნებში და საერთაშორისო არენაზე). საერთაშორისო საჯარო სამართალი განისაზღვრება როგორც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სფეროში მოქმედი ქცევის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფოთა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა მიერ აღიარებულია იურიდიულად სავალდებულო ნორმებად და გამოხატავს სუბიექტთა საერთო ინტერესებს. ეს ნორმები თავს იჩენს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ ჩვეულებებში და მათ შესრულებას უზრუნველყოფენ სუბიექტები ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

ტერმინი საერთაშორისო საჯარო სამართალი საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლსა და გაეროს გენერალური ასამბლეის 1946 წლის 11 დეკემბრის „საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და კოდიფიკაციის“ შესახებ რეზოლუციაშია დაფიქსირებული. საკუთრივ, გაეროს წესდებაში გამოყენებულია ზოგადი ტერმინი, „საერთაშორისო სამართალი“. მე-19 – მე-20 საუკუნეებში არაერთხელ წამოიჭრა საკითხი, დამკვიდრებულიყო ახალი ტერმინები: „სახელმწიფოთა შორის სამართალი“, „ტრანსნაციონალური სამართალი“, ორივე შემთხვევაში ცვლილების მიზანს წარმოადგენს სუბიექტთა წრის დაზუსტება.

საერთაშორისო სამართლის სწორი გაგებისა და გამოყენებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მოვლენის არსს, ბუნების გათვიცნობიერებას, ხოლო ამ უკანასკნელის გააზრებისთვის აუცილებელია მისი წარმოშობის და განვითარების საკითხის შესწავლა.

საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლის და მორალის როგორც რეგულატორის როლის ასეთი არაერთგვაროვანი შეფასებები, სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ შეიძლება იგი არც იმსახურებდეს ყურადღებას. ცხადია, აღნიშნული ვითარება ხაზს უსვამს საერთაშორისო სამართლის და მორალის ნაკლოვანებასა და უარყოფით ხასიათზე, მაგრამ ეს არაერთგავროვანი მიდგომაც

ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ რამდენადაც მსოფლიო არ იცნობს საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირების სხვა საშუალებებს, იმდენად მისი მონაწილეებისაგან მოითხოვს მუდმივ ყურადღებას მორალური და სამრთლებრივი პრინციპებისა და ნორმებისადმი.

საერთაშორისო სამართლის მარეგულირებელი როლის ისტორიული ფორმები და თავისებურებები

თანამედროვე საერთაშორიო სამრთალი წარმოადგენს ხანგრძლივი ისტორიული განვითრების პროდუქტს, რომელსაც სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ფორმა ჰქონდა.

საერთაშორისო სამართალი, ობიექტური სოციალური მოვლენების კანონზომიერი შედეგია. მან წარმოშობიდან დღემდე, რთული ევოლუციური გზა გაიარა. სამწუხაროდ, მსოფლიო ლიტერატურაში მწირედ არის წარმოდგენილი, საერთაშორისო სამართლის ისტორიული ნაწილის, ფუნდამენტური კვლევები. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ არ არის ერთიანი შეხედულება საერთაშორისო სამართლის წარმოშობის ზუსტ პერიოდთან დაკავშირებით.

მსოფლიო ლიტერატურაში, საერთაშორისო სამართლის წარმოშობასთან დაკავშირებით, ძირითადად სამი კონცეფცია დომინირებს: ა) საერთაშორისო სამართალი წარმოიშვა თემთა შორის ურთიერთობების შედეგად, სახელმწიფოთა ჩამოყალიბებამდე; ბ) საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფო ერთდროულად ჩამოყალიბდა; გ) საერთაშორისო სამართალი წარმოიშვა შუა საუკუნეების მიწურულს ევროპაში სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის ჩამოყალიბებით.

ჯერ კიდევ თემური წყობილების დროს, არსებობდა ურთიერთობის გარკვეული წესები და შესაბამისად არსებობდა საერთაშორისო სამართალი. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ მსხვილი და მდგრადი თემების წარმოქმნამ ყველა წინაპირობა შექმნა, მათ შორის გარკვეული ურთიერთობებისთვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მდგომარეობა, რომელშიც თემები პირველადი სახით იმყოფებოდნენ, კერძოდ ითვლებოდა, რომ თემები ერთმანეთის მტრები იყვნენ მანამ, სანამ არ დაიდებოდა შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავდა ურთიერთობის კონკრეტულ ფორმატს. თავიდან რეგლამენტირებული ურთიერთობები პრიმიტიული ხასიათის იყო

და შემოიფარგლებოდა ელემენტარული ქცევის ნორმებით, რომელთაც საფუძვლად თანაბარი ურთიერთმოქმედების წესი ედო. აღნიშნულის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ტალიონი წარმოადგენს: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“. თემური ურთიერთობების მახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა მისი პერსონიფიკაცია. ურთიერთობები ფაქტობრივად იწარმოებოდა ბელადებს შორის, თუმცა რეალურად საქმე ეხებოდა თემებს. აღნიშნული თვისება ახასიათებდა ასევე მონათმფლობელურ და ფეოდალურ სახელმწიფოებს. აღნიშნული კონცეფციის მიმდევარი ძალიან ცოტაა და განიცდიან დოქტორინალური მხარდაჭერის სისუსტეს, თუმცა მაინც გვხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ნათელი ხდება მისი არსებობის საფუძვლიანობა, კერძოდ რიგი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულებები წარმოიშვა, ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდში, სახელმწიფოთა ჩამოყალიბებამდე.

საერთაშორისო სამართლის წარმოშობის უფრო გავრცელებული კონცეფცია დაკავშირებულია სახელმწიფოს ფორმირებასთან. მისი მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სამართალი სახელმწოფოსთან ერთად წარმოიშვა. აღნიშნული მოსაზრების დასაბუთება ბანალურ ლოგიკას უკავშირდება, დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა დაამყარეს რა კავშირები და მათ შორის დაიწყო ინტენსიური ურთიერთობები, შესაბამისად უნდა წარმოშობილიყო მათი მარეგულირებელი ნორმები, საერთაშორისო სამართალი. მიუხედავად ამისა არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოცემული კონცეფცია სრულად ამოწურავს და ასაბუთებს საერთაშორისო სამართლის წარმოშობის საკითხს. საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია სუბიექტების თანხმობა ნორმის შინაარსთან მიმართებაში, ხოლო შემდგომ თანხმობა მისთვის იურიდიული ძალის მინიჭების შესახებ. სწორედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ჩნდება ეჭვები, რომ მისი არსებობის ნიშნები იმ პერიოდის საერთაშორისო ნორმათშემოქმედებით პროცესში არ მოიძებნება.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ საერთაშორისო სამართლის, როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების იურიდიული რეგულირების საშუალების აღიარება, ხდება შუა საუკუნეების დასასრულს, ნაციონალური სახელმწიფოთა ფორმირების მიჯნაზე. სწორედ ეს მოსაზრება დომინირებს მსოფლიო ლიტერატურაში. მას ემხრობიან საერთაშორისო სამართლის ისტორიის ისეთი სპეციალისტები, როგორებიც არიან:

კ. ვან ვოლენჰოვენი, რ. ანანდი, ა. ნუსბაუმი და სხვ. სრულიად კანონზომიერია, რომ თეორიაში დამკვიდრდა საერთაშორისო სამართლის ისტორიის რამდენიმე პერიოდიზაცია.

საერთაშორისო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ჰოლანდიელი ღვთისმეტყველის, იურისტის, დიპლომატის, ჰუგო გროცის ავტორობით 1625 წელს გამოქვეყნებულმა წიგნმა „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ“. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში მიუძღვით ისეთ ცნობილ მეცნიერებს, როგორებიცაა: ს. პუფენდორფი (1632-1694), კ. ბენკერსკუგი (1673-1743), ე. ვატელი (1714-1767), გ. გეგელი (1770-1831), ი. კანტი (1724-1804), ფ. მარტენსი (1845-1909), ლ. შალანდი (1870-1919), ვ. გრაბარი (1865-1956) და სხვ.

სამართლის სახელმძღვანელოებში გამოყოფილია საერთაშორისო სამართლის შემდეგი პერიოდიზაცია:

1. მე-4 ათასწლეული ჩვ.წ აღრიცხვამდე - 476 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით - ძველი მსოფლიოს საერთაშორისო სამართალი. აღნიშნული პერიოდი შეესაბამება მონათმფლობელურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას;
2. 476-1648 წ.წ შუა საუკუნეების საერთაშორისო სამართალი. აღნიშნული პეროდი შეესაბამება ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას;
3. 1648-1919 წ.წ კლასიკური საერთაშორისო სამართალი. აღნიშნული პერიოდი შეესაბამება კაპიტალისტური წარმოების ჩამოყალიბების ხანას;
4. XX-XXI საუკუნეების საერთაშორისო სამართალი. აღნიშნული პერიოდი მოიცავს 1919 წლიდან XXI საუკუნის დასაწყისს.

განსხვავებულ კონცეფციას ავითარებს რუსი მეცნიერი ი. ლუკაშუკი,რომელიც თავის სახელმძღვანელოში გამოჰყოფს: საერთაშორისო სამართლამდე პერიოდს; შუა საუკუნეებს; კლასიკურ საერთაშორისო სამართალს და თანამედროვე საერთაშორისო სამართალს.

აღნიშნული პერიოდიზაციები სრულად ასახავენ საერთაშორისო სამართლის წარმოშობისა და განვითარების გზას.

განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ საერთაშორისო სამართლის დოქტრინის ანუ მეცნიერების წარმოშობისა და განვითარების საკითხი. საერთაშორისო სამართლის პრაქტიკული მნიშვნელობის ზრდამ მოითხოვა ცალკეული საკითხების დეტალური დამუშავება და მისი ნორმების უფრო ზუსტი განმარტება. შედეგად შემცირდა ბუნებითი სამართლის

მიმართულების ზეგავლენის წილი დოქტრინაში და გაიზარდა პოზიტიური სამართლის მიმართულების გავლენა. განსაკუთრებული ადგილი ამ მიმართულებით დაისაკუთრეს ინგლისელმა და ამერიკელმა იურისტებმა (ჰ.უიტონი, რ.ფილიმორი, ჯ.კენტი, ჯ.მური და სხვ.) ისინი ძირითადად აგროვებდნენ პრაქტიკულ მასალებს და არ ამტკიცებდნენ შესაბამისი ნორმების არსებობის აქტს, ასევე თავს იკავებდნენ კრიტიკული ანალიზისგან. უფრო მეტიც, ისინი სწავლობდნენ და უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკუთარი სახელმწიფოების პრაქტიკას.

დომინირებული ადგილი დაიკავა შერეულმა მიმართულებამ, რომელიც ჩამოყალიბდა ბუნებითი სამართლისა და პოზიტიური სამართლის მიმართულებების შერწყმით. პრაქტიკა შეიცავდა შეფასებისათვის არასაკმარის მასალებს, ამიტომ ყველაზე ერთგული პოზიტივისტებიც კი იძულებული იყვნენ ხარვეზების შესავსებად მოეძებნათ სხვა წყაროები. ნორმებს ავლენდნენ არამარტო პრაქტიკიდან, არამედ „საერთაშორისო საზოგადოების ბუნებიდან“ ძალიან ნელა მიმდინარეობდა საერთაშორისო სამართლის, როგორც ეროვნული სამართლისაგან დამოუკიდებელი მოვლენის, ცნების ფორმირება. ნიჰილისტური კონცეფცია მდგომარეობს საერთაშორისო სამართლის იურიდიული ძალის უარყოფაში. მისი მიმდევრები თვლიან, რომ საუკეთესო შემთხვევაში იგი შეიძლება მივიჩნიოდ პოზიტიურ მორალად, ვინაიდან არ არსებობს ისეთივე მექანიზმები, როგორიც გააჩნია ეროვნულ სამართალს (მაგ.: ჟან ჟაკ რუსო).

ყველა აღნიშნული კონცეფცია რეალურ საერთაშორისო ცხოვრებას ეფუძნება. ისინი ვინც მხარს უჭერდნენ საერთაშორისო სამართლის იურიდიულად სავალდებულო სამართლებრივ ხასიათს მიუთითებდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნებზე. ნიჰილისტები კი მიუთითებდნენ ძალის უზენაესობასა და საერთაშორისო სამართლის მოქმედების მექანიზმის განუყოფელობაზე. ამ უკანასკნელმა ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა დოქტრინალურ ლიტერატურაში, თუმცა საკმაოდ გავრცელდა პრაქტიკოს იურისტებსა და დიპლომატებში.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალს მკვლევარები მას განსაზღვრავენ როგორც ,,სამართლის განსაზღვრულ სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს საერთაშორისო სიტემაში, როგორც სახელმწიფოს ნებაყოფლობითი გამოვლენა; ან კიდევ იურიდიული ნორმების სისტემა, რომელიც არეგულირებს განსაზღვრულ საზო-

გადოებრივ ურთიერთობებს". ცხადია, **საერთაშორისო სამართალი არის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ერთობლიობა. საერთაშორისო სამრთლის სუბიექტებს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ სახელმწიფოები, სახელმწიფოების მსგავსი გაერთიანებები (ვატიკანი), საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები, გარდა ამისა უკანასკნელ პერიოდში ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირებიც**, რაც ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციის კიდევ ერთ-ერთ მნიშვნელონ ნიშანს. .

XX ს. 80-იან წლები მსოფლიოში აღინიშნა ლიბერალური დემოკრატიის ფართო გავრცელებით, რომელიც დღესაც გრძელდება. ამ წლებში სამხედრო რეჟიმები დაემხო ლათინურ ამერიკაში (არგენტინა, ბრაზილია, ჩილე), აზიაში (ფილიპინები), დაიწყო სამხრეთ კორეის და ტაივანის დემოკრატიული გარდაქმნები, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა აფრიკის მთელ რიგ ქვეყენბში. განხორციელდა გარდაქმნები აღმოსავლეთ ევროპაში – ე.წ. ,,პერესტროიკიდან" დაწყებული ბერლინის კედელის და საბჭოთა კავშირის დაშლით, საბოლო ჯამში კი ცივი ომის დასრულებით დამთავრებული. ასევე ფერადი რევოლუციების ტალღა აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკის და აზიის ქვეყნებში.

ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების მატარებელი სახელმწიფოები მათ შორის წარმოქმნილი დავების და უთანხმოების გადაწყვეტისათვის გამოიყენებენ ისეთ პოლიტიკურ საშულებებს როგორიცაა მოლაპარაკებები, შუამავლობა, საერთაშორისო არბიტრაჟი და ა.შ. მათთვის დამახასიათებელია ქსენოფობიის დაგმობა, თავის ტერიტორიაზე ადამიანის და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა, მეზობელ სახელმწიფოებთან ტერიტორიულ საკითხზე პრეტენზიის არ ქონა და ა.შ. თუმცა მსგავსი რამ შეუძლებელია ვთქვათ ,,ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოებზე". მათ შორის იმ ქვეყნებზე, რომლებიც შეუერთდნენ ევროპის კონვენციას ადამიანთა უფლებების შესახებ. ასეთი ქვეყნები ძირითადად ყოფილი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლები არიან.

ისტორიულად საერთაშორისო ურთიერთობათა დემოკრატიზაციის ერთ ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს ე.წ. ,,ბუნებრივი უფლების დოქტრინა", რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე საერთშორისო სამართლის პიველსახედაც.

,,ბუნებრივი უფლების დოქტრინის" ელემენტები შეიძლება ვიპოვოთ ძველი ბერძენი სწავლულის არისტოტელეს, შუასაუკუნეების თეოლოგის თომა აქვინელისა და ავგუსტის, აღორძინების ეპოქის ფ. დე ვიტორიას და ფ. სუარესის, პირველი პროტესტანტი იურისტის ჰ. გროცის შეხედულებებსა და განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფიურ ნააზრევში.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლები ბუნებრივ უფლებებში ხედავენ საშუალებას, რომელიც ხელს უწყოს პოლიტიკური ცხოვრების, რაღაც შეგნებულ წესებზე დაქვემდებარების და სახელმწიფო ხელისუფლების ისეთ მოწყობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თავის მოქმედებაზე. მიუხედავად ,,ბუნებრივი უფლების" კონცეფციის ცალკეული დებულების მიმიზიდველობისა, უნდა აღინიშნოს, რომ მას, ყველა დროში აქვს დამახასიათებელი ტენდენცია, ერთიანი რაციონალური პრინციპებით წარმართოს ყველა ხალხის და სახელმწიფოების ცხოველმოქმედება მრავალმხვრივ სამართლებრივ საფუძველზე, რაც თავის მხვრივ გამომდინარეობს ბუნებიდან. რა თქმა უნდა, რაღაც ბუნებრივი უფლების მარადიული კოდექსის შექმნის მცდელობა, თავისთავად წარმოადგენს კაცობრიობის ყველა ზნე-ჩვეულებისა და ადათის გადაქცევას ერთიანი ევროპული ცივილიზაციისათვის დამახასითებელ სტრუქტურად, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ცივილიზაციის არსებული პლურალიზმის იგნორირებას, როგორც დროში, ისე სივრცეში.

პოლიტიკურ პრაქტიკაში ,,ბუნებრივი უფლების" აბსოლუტიზაციის საფრთხე დაკავშირებულია მისგან მომდინარე მორალურ რელიატივიზმთან. რამდენადაც თვით ბუნება არ რჩება უცვლელი, ვინაიდან ქმნის ახალ გარემოებებს, იმდენად სიტუაციის ცვლილებას თავისთავად აქვს აუცილებელი მიდრეკილება შეცვალოს მორალური და სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმები.

,,ბუნებრივი უფლების" კონცეფციისათვის დამახასიათებლი ნაკლოვანებები და წინააღმდეგეობები თავის გამოვლინებას პოულობენ თანამედროვე საერთაშორისო სამართალშიც. იგი ბევრი რამით, რჩება სამრთლის დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის და საერთაშორისო სუბიექტების სავალდებულო საფუძვლად. თუმცა მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი იურიდიული სივრცე, როგორც უნივერსალური სისტემა, რომლის ძირითადი კონცეპტი _ თავისუფლება, თანასწორობა, უფლება და ა.შ. იქნებოდა ერთი და იგივე მნიშვნელობით ყველა ადამიანისა და ხალხებისათვის. მეორეს მხვრივ, საერთაშორისო ურთიერთობებში სა-

ერთაშორისო საზოგადოება აგებულია ზეგავლენის განსაზღვრულ ინსტრუმენტებზე. მთავარი მათ შორის არის გაერო. გაეროს გენერალურმა ასაბლეამ 1948 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ხოლო 1966 წელს ასევე ორი პაქტი: ერთი-ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, ხოლო მეორე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. დეკლარაციისაგან განსხვავებით, აღნიშნული პაქტების უპირატესობა ის არის რომ იგი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც რატიფიცირებას გაუკეთებენ მას, სავალდებულოდ შესასრულებელია.

ამრიგად, საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლის თანახმად ხდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეგლამენტირება. იგი მიიღება სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთშეთნხმებების საფუძველზე. საერთაშორისო სამართლის მიზანს წარმოადგენს ნაციონალურ კანონმდებლობათა შეხამება ერთიანი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესამუშავებლად. საერთაშორისო სამართლის ქვესახეობას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო სამართალი, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, საერთაშორისო სამართალი კოსმოსური სივრცის გამოყენების თაობაზე, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი, საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართალი.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლს საყოველთაო ხასიათი აქვს, იგი ყველა კონტინენტის სუვერენულ სახელმწიფოებს მოიცავს. ეს შესაძლებელი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალისტური და სოციალისტური კოლონიური სისტემების მსხვრევისა და საერთაშორისო მართლწესრიგის დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის შედეგად. საერთაშორისო სამართლის რეგულაციის სფერო დღითი დღე იზრდება, რაც თავის მხრივ, განაპირობებს საერთაშორისო სამართლის დარგების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, საზღვაო სამართალი, საჰაერო სამართალი, კოსმოსური სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი; განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია ადამიანის უფლებათა დაცვაზე, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარგებად ჩამოყალიბდა.

საერთაშორისო სამართლის წყაროები

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებობს ორი ძირითადი წყარო - საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო ჩვეულება. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, აგრეთვე, სამართლის ზოგადი პრინციპები.

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის თანახმად (38-ე მუხ.)., სასამართლო, რომელიც მოვალეა, მისთვის გადაცემული დავა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გადაწყვიტოს, გამოიყენებს:

ა) როგორც ზოგად, ისე სპეციალურ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ წესებს;

ბ) საერთაშორისო ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას;

გ) სამართლის ზოგად პრინციპებს, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ.

მთავრობათაშორისი ორგანიზაციების საერთაშორისო აქტები (მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციები, სხვა რეზოლუციები), თუ ისინი არ ეხებიან ორგანიზაციის შინაგან წესებს (სტრუქტურას, ბიუჯეტს, წესდებით გათვალისწინებულ სავალდებულო სხვა მსგავს სფეროს), არ ითვლებიან საყოველთაო საერთაშორისო სამართლის წყაროდ: ასეთ აქტებს მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ და იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესად გახდომა შეუძლიათ მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებისა ან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის საშუალებით (მაგ.: რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1963 წლის დეკლარაციას იურიდიული სახე მიეცა 1969 წლის ამავე სახელწოდების კონვენციის მიღების შემდეგ; გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საყოველთაო საერთაშორისო სამართლის აქტად იქცა საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების სახით - სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღიარა მისი სავალდებულო ძალა თავის კანონმდებლობაში სათანადო დებულებათა შეტანით, რაც წინ უსწრებდა ამ დეკლარაციაზე დაყრდნობით

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების შემუშავებასა და ძალაში შესვლას 1976 წელს). ამ სახის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამართლის ნორმათა ჩამოყალიბების პროცესში: მათი ზემოქმედებით სუბიექტები იძულებულნი ხდებიან, გაითვალისწინონ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის განწყობილება და იხელმძღვანელონ სათანადო მორალურ-პოლიტიკური პრინციპებით, თუმცა იციან, რომ ამ პრინციპების დარღვევის შემთხვევაში მათ არ დაეკისრებათ საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ბოლო დროს ზოგიერთ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში (მაგ., ევროპის კავშირში) ნორმაშემოქმედებით საქმიანობას სავალდებულო ძალა ეძლევა მათი წევრი სახელმწიფოების მიმართ, რაც მათ ზენაციონალური ორგანიზაციის ელემენტს მატებს. თავისთავად არც შიდასახელმწიფოებრივი კანონი მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლის წყაროთა რიცხვს: ეს კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ასეთ წყაროდ, თუ იგი სხვა სუბიექტისა ან სუბიექტების მიერ აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ჩვეულებით (იხ. აგრეთვე ცალმხრივი აქტები). ასევ სასამართლო პრეცედენტები და მეცნიერთა დოქტრინა, ანუ მათი შრომები, დასკვნები, გამოკვკლევები გვევლინება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ ნორმის არსებობის ფაქტის დადგენის დამხმარე წყაროდ, რომელსაც საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროების შემუშავების ან საერთაშორისო დავების გადაწყვეტის დროს იყენებენ.

საერთაშორისო სამრთლის ძირითადი პრინციპები

საერთაშორისო სამრთლის პრინციპების საფუძვლებში მოიაზრება მისი ბევრად უფრო ფართო და საჭირო ნორმები, რომელებშიც ვლინდება მისი მთავარი შინაარსი და თავისებურებების ხასიათი. იგი ფლობს უმაღლეს იმპერატიულ იურიდიულ ძალას. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები მოცემულია მთელ რიგ ავტორიტეტალურ საერთაშორისო ორგანიზაციების და ფორუმების დოკუმენტებში. კერძოდ, გაეროს წესდება, 1970 წელს მიღებული დეკლარაცია საერთაშორისო სამარ-

თლის პრინციპების შესახე, 1975 წლის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი.

საერთაშორისო სამართლის პრინციპებია საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა მიერ ძირითადად, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ან თითქმის ყველა წევრის მიერ აღიარებული იურიდიული სავალდებულო ქცევის წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა საერთაშორისო სამართლის სუბიექტისათვის, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა ის ნორმის შექმნაში თუ არა.

როგორც წესი საერთაშორისო აქტებში საქმე ეხება შემდეგ ათ პრინციპს:

1. სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობა;
2. ძალისა და ძალის მუქარის გამოუყენებლობა;
3. საზღვრების ურღვეობა;
4. სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა;
5. დავების მშვიდობიანი მოწესრიგება;
6. შიდა საქმეებში ჩაურევლობა;
7. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა და დაცვა;
8. ნებისმიერ ხალხს უფლება თვითონ განკარგოს და გადაწყვიტოს საკუთრი ბედი;
9. სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა;
10. საერთაშორიოს სამართლის ვალდებულებათა ნებაყოფლობითი აღსრულება.

ამ პრინციპების ფუნქციური დანიშნულებაა ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლების განმტკიცებას და დაცვას, მის პროდუქტიულ ფუნქციონირებას და განვითრებას. აგრეთვე, უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობა საერთოსაკაცობრიო ინტერესებისა და ფასეულობების _ მშვიდობისა და უსაფრთხოების, ცხოვრებისა და სიჯანსაღის, რეალიზაციადაცვის საქმეში.

საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებში, რომლებიც ისტორიულ ხასიათსაც ატარებს, საერთაშორისო ურთიერთობების არსებული ეტაპებისა და შემადგენლობის მიხედვით, თავს იყრის სახელმწიოფოს ძირითადი უფლებები და ვალდებულები.

საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირების საქმეში მათი მნიშვნელობისა და როლის აბსოლუტიზირება არ შეიძლება. როგორც პრაქტიკამ აჩვენა ეს პრინციპები ხშირად იგნორირებულია, და არც მეტი არც ნაკლები, რჩება კეთილ სურვილებად. თუმცა, ისიც შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს თუ ხელაღებით ვუარყოფთ აღნიშნული პრინციპების გავლენას სახელმწიფოთშორის ურთიერთობების ხასიათზე.

საერთაშორისო სამრთლის პრინციპების სიტემაში მკვლევარები ძირითადად გამოყოფენ სამ ჯგუფს.

1. პრინციპები, რომლებიც აყალიბებენ მდგომარეობას საერთაშორისო სამართლის სუბიექტების თანასწორობის შესახებ;

2. პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ხარისხს;

3. პრინციპები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოთშორის წინააღმდეგობების მშვიდობიანი რეგულირებისაკენ.

პირველ ჯგუფში შედიან ის ნორმები, რომლებშიც მოცემულია ერთ ერთი ძველი და ფუნდამენტური იდეა, და რომელიც ეხება, სახელმწიფოთა ურთიერთობების საერთაშორიო-სამართლებრივ რეგულირებას. გაეროს ქარტიაში იგი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „..ორგანიზაცია დაფუძნებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპზე". ეს პრინციპი შემდეგ დებულებებში ვლინდება: ხალხთა უფლება თვითონ განკარგონ საკუთრი ბედი; სახელმწიფოთა შორის თამანშრომლობა; საერთაშორისო სამართლის ვალდებულებათა ნებაყოფლობით აღსრულება. ასევე მან მიიღო შემდეგი განვითრება იმუნიტეტის, ურთიერთპატივისცემის და არადისკრიმინაციის პრინციპებში. ამათგან პირველის თანახმად სახელმწიფო შეუძლებელია დაემორჩილოს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობას (იურისდიქციის იმუნიტეტი); მისი წარმომადგენლები ფლობენ ხელშეუხებლობის უფლებას მეორე სხელმწიფოს ტერიტორიაზე (დიპლომატიური იმუნიტეტი). ხოლო მეორესთან მიმართებით იგი გამიზნულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტების პრაგმატული ქცევისათვის: საუბარია ურთიერთობების კონკრეტულ მიმართულებებში მოვალება-ვალდებულების თანასწორობის შესახებ. მაგალითად, სავაჭრო და კულტურულ გაცველებში და ა.შ. და ბოლოს,

მესამესთან მიმართებით საუბარია ე.წ. ნეგატიური ვალდებულებების შესახებ, როცა საერთაშორისო სამართლის ერთი სუბიექტისათვის აღიარებული უფლება და სარგებელი აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული სხვებისთვისაც.

მეორე ჯგუფი მოიცავს ისეთ პრინციპებს როგორიც არის ჩაურევლობა, საზღვრების ურღვეობა, ტერიტორიული მთლიანობა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრინციპები არც თუ ხშირად ირღვევა, ვიდრე პირველი ჯგუფის. ასევე შეიძლება პირდაპირ ითქვას მესამე ჯგუფის პრინციპებზეც (ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობა, დავების მშვიდობიანი მოწესრიგება, ადამინაის უფლებების დაცვა).

საერთაშორისო სამართლის ერთ ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების დაცვის პრინციპი. ეს პრინციპი უკანსკნელ ათწლეულებში დამოუკიდებელ თემად გადაიქცა (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღეს 1948 წელს) და მზარდ გავლენას ახდენს საერთასორისო ურთიერთობებზე. სწორედ ამის გამო, ეს თემა დარჩა ერთ ერთ ყველაზე იდეოლოგიზირებული ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომელიც გამოიყენებოდა როგორც კონკრეტული იარაღი დასავლეთის და აღმოსავლეთის კონფრონტაციაში. გარდა ამისა, ის დღესაც რჩება ერთ ერთ აქტუალურ თემად საერთაშორისო ურთიერთობებში და ხშირ შემთხვეავში ავლენს წინაამღმდეგობებსაც და ორაზროვნებასაც. რაც მთლიანობაში დამახასიათებელია საერთაშორისო სამართალში.

ომის შემდეგ, სწორედ ევროპაში შემუშავდა და აპრობაცია გაიარა იმ იურიდიულმა ნორმებმა, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას ეხება.

მაგალითად, 1949 წელს შექმნილ ევროპის საბჭოს ფარგლებში, 1950 წლის 4 ნოემბერს მიიღეს ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ. ეს სისტემა კონკრეტულ ინდივიდებს უფლებას აძლევდა შეეტანა შესაბამისი სარჩელი და შუამდგომლობა ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ, ხოლო პროტოკოლზე ხელისმომწერი ქვეყნიის მოქალაქეებს უფელებას უშუალოდ მიემართათ ადამიანის უფლებათა კომისიისათვის. კომისია, რომელიც შედგება დამოუკიდებელი პიროვნებებისაგან,

აფსებს ასეთ სარჩელის დასაბუთებულობას და შემდეგ გადსცემს ევროპის სასამართლოს ადამიანთა უფლებების შესახებ. ამ მიმართულებით კომისიამ 1972 წელს მიიღო 63 გადაწყვეტილება, ხოლო 1982 წელს 146. უკანასკნელ ხანს ასეთი საქმის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, უკვე ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, კონკრეტული ადამიანი გახდა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. მთელ ამ სისტემში ფასეულობების ცენტრში ადამიანის პიროვნებაა. თუმცა აქაც იჩენს თავს გარკვეული წინააღმდეგობები.

რა თქმა უნდა ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფცია უზრუნველყოფს კონკრეტული ინდივიდის დაცვას სახელმწიფოს უსამართლო მოქმედებისაგან. მაგრამ მას იურდიული მართლზომიერება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თვით სახელმწიფოს მიერ იქნება მიღებული იმავე ხარისხის ნორმები. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო თავად არის ადამიანის უფლებების და თავისუფლების მთავარი საფრთხის წყარო. ხოლო მკველევარების მეორე ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ უფლებებისა და თავისუფლების განხორციელება შეუძლებელია, იმ შესაბამისი პროცედურების, წესების და მექნიზმების გარეშე, რომელიც ქმნის შესაბამის გარანტიას მათი დაცვისათვის, და ეს ყველაფერი სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ სახელმწიფო აყალიბებს ამ მიმართებით გარკვეულ შინაარს, ადამიანის უფლებათა გამოხატვის წესებს. აგრეთვე, შეიმუშავებს სანქციებს მათი დარღვევისათვის. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ნორმებსა და მის ობიექტებს შორის არსებობს ,,ეკრანის" თავისებური სახე, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფოს სახით, და როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, სწორედ ადამიანის უფლებათა მიმართულებით ეს ეკრანი აირეკვლავს ნებისმიერ გამოვლენას, რომელიც არ არის ჩაწერილი შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ ნორმებში. ამიტომ მიუთითებენ, რომ იმ სახით, პრინციპი, როგორც იგი წარმოდგენილია საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვის შესახებ, თავის დანიშნულებას ასრულებს მხოლოდ იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომლებიც ამის გარეშეც ასრულებს მას საკუთრი შიდასახელმწიფოებრი კანონმდებლობის შესაბამისად.

კიდევ ერთი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ დასავლური რაციონალისტური იდეოლოგიის შესაბამისად, რომელმაც წარმოშვა ადამიანის უფლების კონვენცია, აღნიშნული უფლება უნდა მიიღოს ყველა დაჩაგრულმა ხალხმა, რომელიც მიიყვანს მათ საზოგადოებრივ პროგრესამდე. თუმცა ამ ხალხებს იმთავითვე შეუძლიათ მოცემული უფლებები მიმართონ მათი ინიციატორების წინააღმდეგ, ვინაიდან მათ განიხილავე როგორც არაფერს, უცხოს საკუთრ ტრადიციებთან მიმართებით. საერთდო, მსოფლიოს მრავლგვარობა და მასში სხვადსხვა კულტურების არსებობა განაპირობებს ადამიანთა უფლებების შესახებ სხვადსხვა დამოკიდებულებას და გაგებას. ამიტომ სამთავრობათშორისო ორგანიზაციები, რომელებიც მოწოდებულნი არიან იმისთვის, რომ ინდივიდები მოთხოვნილებების და უფლებების გარანტებით უზრუნველყონ და ამით გარკვეულდა ხელს უწყობენ საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებას, იმთავითვე არიან ახალი კონფორმიზმის, ახალი გაბატონებული იდეოლოგიის რუპორები.

ადამიანის უფლებათა პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან – ჩარევის სამართალთან, რომელიც ითვალისწინებს ჩარევას საგანგებო მდგომარეობის, მასობრივი არეულეობების დროს დახმარების და ადამიანთა დაღუპვის საფრთხის აცილების აღმოჩენის მიზნით. ეს ორი სხვადსხვა სახის საერთაშორისო სამართალი (ისინი განსხვავდებიან წყაროების, მიზნების, ბუნების, მეთოდების მიხედვით) უკანსკნელ ხანს მჭიდროდ უახლოვდება ერთმანეთს. ასეთი დაახლოების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე მათგანი იცავს ადამიანთა ფუნდამენტალურ, ბუნებრივ უფლებას. მეორეს მხვრივ, ორივე შემთხვევაში საუბარია საერთაშორისო სამართლის ისეთი კლასიკური პრინციპების შეჯახების შესახებ, როგორიცაა პრინციპი სახელმწიფო სუვერენიტეტის, სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ნებისმიერი ჩარევის აკრძალვის და სახლმწიფო საზღვრების ურღვევობის შესახებ. მათი დარღვევა ან შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სახელმწიფოს თანხმობის გარეშე.

ჩარევის უფლების პრობლემა ცნობილია ჯერ კიდევ XVI ს., როცა თეოლოგებმა ფ. დე ვიტორიამ, შემდეგ ფ. სუარესმა წამოს-

წიეს საკითხი ადამიანის, როგორც ღმერთის ქმნილების, და როგორც ერთიანი კაცობრობის წევრის, ქრისტიანულ და პოლიტიკურ და მორალურ ურთიერთობებთან მიმართებით პასუხიხმგებლობის შესახებ.

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ჩარევის საკითხი შემოდის XIX საუკუნეში, როცა დაიდო პირველი ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულებას, ზოგიერთი სახეობის იარაღის აკრძალვას, წითელი ჯვრის მისიას და ა.შ. თუმცა უკანასკნელ წლებში ამ პრობლემამ შეიძინა თვისობრივად ახალი განზომილება. პირველი, დაკონკრეტდა ჰუმანიტარული სამრთლის გამოყენების არეალი, რომელშიც შედის სიტუაციის სამი ტიპი: ბუნებრივი კატასტროფები, მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები, ეკოლოგიური უბედურებები; მეორე, პირველად საერთაშორისო სამართალში მიიღეს მსხვერპლთან თავისუფალი დაშვების პრინციპი – ანუ უფლება მაშველთავის, წითელი ჯვრის წარმომადგენელბისათვის, გაეროს ინსტიტუტებსათვის, დევნილთა საქმეების უმაღლესი კომისრისათვის, ბავშვთა ფონდის და სხვა სამთავრობათშორისო და არსამთვრობო საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის.

1988 წლის 8 დეკემბერს სომხეთში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით გარეოს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 43/131. სადაც, დაადსტურა რა სუვერენიტეტის პრინციპი და სახელმწიფოს პირველხარისხოვანი როლი მოსახელობის დახმარების ორგანიზაციის საქმეში, ხაზი გაუსვა სხვა სახელმწიფოების მხრიდან ჰუმანიტარული დახმარების და მოქმედების მნიშვნელობას.

1991 წლის 5 აპრილს გარეოს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 688, სადაც დაგმო რა ს. ხუსეინის რეჟიმის რეპრესიები ქურთების და შიიტების წინააღმდეგ, მოუწოდა მას დაუყოვნებლივ უზრუნველეყო საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაშვება და უსაფრთხო გადადგილება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად. რეზოლუციაში, გარეოს ისტორიაში, პირველად ხაზგასმული იყო, რომ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები უკვე წარმოდგენდა საფრთხეს საყოველთაო მშვიდობისათვის მსოფლიოში. აქედან

გამომდინარე, რეზოლუცია უშვებს არა მარტო ჩარევას, არამედ ითვალისწინებს მაშველთა დაცვას ,,ცისფერჩაფხუტიანთა" მიერ. 1991 წლის 16 დეკემბერს გარეოს გენერალურმა ასამბელეამ მიიღო რეზოლუცია 46/182 _ კორდინაციის გაძლიერების შესახებ. იგი ითვალისწინებდა ყოფილი იუგოსლავიის მოსახლეობისათვის სასწრაფო ჰუმანიტარულ დახმარების აღმოჩენას, რომელბიც დაზარალდნენ სამოქალაქო ომის შედეგად. ამ ყველაფერთან ერთად, ხდებოდა ჩარევის აღმოჩენის ვალდებულების ინსტიტუციონალიზაცია.

მსგავსი მაგალითები ბლომად შეიძლება იქნეს მოყვანილი. ყველაფერი ეს კი, მეტყველებს იმაზე, რომ თანამედროვე პირობებში ჩნდება საერთაშორისო ურთიერთობების შეგენებული რეგულირების ზოგიერთი მექანიზმი, და მით უფრო ,,ბუნებრივი მდგომარეობის" დაძლევის პირობები. თუმცა, ყველაფერ ამასთან ერთად, მკვლევარები, ამ მიმართებით, ასევე გარკვეულ საკითხებს გამოყოფენ.

ასეთი საკითხების ერთი ჯგუფი თავს იყრის სიტუაციაში, სადაც შეიძლება იყოს ჰუმანიტარული ჩარევა აუცილებელი. რა თქმა უნდა ადამიანის უფლებათა დარღვევები ეს არ არის იშვითი გამოხატულება, მით უფრო თანამედროვე მსოფლიოში. რატომმა რომ ერთ შემთხევაში (იუგოსლავია) იგი იწვევს თავისთავდა ჩარევას, ხოლო სხვა შემთხვევაში (აზრებაიჯან-სომხეთის ომი) რჩება უყურადღებოდ? ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ჩარევის შესახებ _ გავლენიანმა საერთაშორისო ორაგნიზაციამ (გაერომ, ეუთომ) თუ თვით სახელმწიფომ? შეიძლება კი მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომლის მოსახელობაც საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას? რა თქმა უნდა აქ გასათვალისწინებელი ჩარევის სპფეციფიკაც.

საკითხების მეორე ჯგუფი ეხება ჰუნმანიტარულ და პოლიტიკურ ჩარევას შორის საზღვრების გამიჯვნის პრობლემას. ხომ არ წარმოადგენს ნებისმიერი ჩარევა მაინც პოლიტიკურ ხასიათს? ცნობილია, რომ ვერცერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს თავის დაღწევას (აბსტრაგირებას) საკუთრი ეროვნული ინტერესებიდან, ხოლო ნებისმიერ შემთხვევაში კი გაეროს გადწყვეტილება პოლიტიკური შეთანხმების პროდუქტს წარმოადგენს. 1991 წელს შეერთე-

ბულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა აღმოუჩინეს რა დახმარება ქურთებს არ წავიდნენ „უსაფრთხოების ზონის” შექმნაზე, რადგან საშიშად მიიჩნიეს, რომ ამით ხელს შეუწყობდნენ ქურთთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

საკითხების კიდევ ერთი ჯგუფი დაკავშირებულია თანასწორობის პრინციპთან. შეძლება კი ჰუმანიტარული სამართალი გამოყენებული იქნეს ყველა სახელმწიფოსთან ერთნაირად? რთულია იმის წარმოდგენა, რომ იგი გამოყენებული იქნეს შეერთებული შტატების ან ევროპის ნებისმიერი ძლიერი სახელმწიფოს მიმართ.

ნაჩვეები საკითხები კიდევ ერთხელ მეტყველებენ საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგობებზე. კერძოდ, იმას რომ ბევრად უფრო დინამიური მისი დებულებები, რომელებიც უფრო მეტად ასახავს მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულების რეალობას და გამოდის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ჩარჩოებიდან, უცილობლად ეჯახება ბევრად უფრო ტრადიციულ სუვერენიტეტის, საზღვრების ხელშეუხებლობის და სახელმწიფოს დამოუკიდებლობების ცნებებს.

აღნიშნული ძირითადი პრინციპები ქმნის სოციალურ ურთიერთობებს შორის ურთიერთმოქმედების საყოველთაო ნორმების შეღწევის მთავრ არხებს საერთაშორისო ურთიერთობებში.

თემა XIII

საერთაშორისო პოლიტიკა - მორალი და სამართალი

საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის რომ მასში არ არსებობს ძალდატანების ერთიანი ლეგიტიმური ცენტრი, ხელისუფლების ერთიანი წყაროს სახით, რომელიც იქნებოდა დიდი ავტორიტეტი მასში არსებული კავშირების და ურთიერთობების ყველა მონაწილისათვის. საერთაშორისო სფერო საგარეო პოლიტიკას არეგულირებს სხვადასხვა ნორმებით. როგორც ცნობილია საკუთრივ მის მთავარ პოლიტიკურ რეგულატორს წარმოადგენს ძალთა ბალანსი, რომელიც დამყარებულია სახელმწიფოებს შორის.

საერთაშორისო ურთიერთობებში გარდა ზემოარნიშნულისა დიდი ადგილი უჭირავს ზნეობრივ რეგულატორებს_საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რაზეც უნდა იყოს დაფუძნებული საერთაშორისო ურთიერთიობების სუბიექტების მოქმედებები. გაეროს წესდებაში, ასევე, ჰელსინკის დეკლარაციაში _ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ, ისინი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი. ეს პრინციპი თავისთავში მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ა. სამართლებრივი სტატუსით ყველა სახელმწიფო თანაბარია;

ბ. ყოველი სახელმწიფო სარგებლობს სრული სუვერენიტეტის უფლებით;

გ. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს მეორე სახელმწიფოს სამართალსუბიექტობას;

დ. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და სამართალსუბიექტობა ხელშეუხებელია;

ე. ყოველ სხელმწიფოს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს და განავითაროს მისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები;

ვ. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია სრულად და პირნათლად შესრულოს საერთაშორისო ვალდბეულებები;

ამ მოთხოვნების დაცვა და გათვალისწინება ყველა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახალმწიფო საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან იზოლაციურ მდგომარებაში აღმოჩნდება.

ამავე დროს სახელმწიფოს სუვერენიტეტის მუდმივი პლურალიზმი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს აძლევს საკმაოდ გაუთვლელ, ქაოსურ, არაზომიერ შინაარს. ასეთ ატმოსფეროში არცერთ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი მუდმივად დაიცვას მკაცრი გამომეტყველება და უცვლელი პოზიცია ერთმანეთთან ურთიერთობებში, თუნდაც მაგალითად ვინმესთან მუდმივი კონფრონტაციის ან საკავშირო ურთიერთობების დროს.

საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენს პოლიტიკური ურთიერთობების არათანაბარ და უთანასწორო სფეროს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთოიბათა არაბალანსირება გაიზარდა იმას გამო, რომ დაინგრა სოციალისტური ბანაკი. ამან კი უფლება მისცა დასავლეთს მსოფლიოსათვის შეეთავაზებინა მისი საკუთარი კრიტერიუმები საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობათა დარეგულირებისათვის. საერთაშორისო ურთიერთობებში ქაოსის ზრდა შეიძლება ასევე გამოწვეულ იქნეს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ახალი დამოუკიდებლი სუბიექტის გამოსვლით, რომელიც იმოქმედებს ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით და ორგანიზაციებით. მსოფლიო პოლიტიკის მონაწილეთა ურთიერთობების სირთულეს და არაერთგვაროვნებას განაპირობებს ასევე ისიც რომ მათ მოქმედებებს ინიცირებას უკეთებს სხვადსხვა მიზეზები.

ძალაუფლება და მორალი

ძალაუფლებისა და მორალის ურთიერთმიმართების საკითხზე საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში რეალიზმის ხედვა დომინირებს. რომლის მიხედვითაც ადამი-

ანი არის ,,პოლიტიკურ არსებას'', რომელსაც ,,ძალაუფლებისადმი სწრაფვა'' ახასიათებს.

ადამინებისათვის ძალაუფლება სიკეთესა და კეთილდღეობას წარმოადგენს. თუმცა ის ვინც ადამიანს თავისი ბუნებით განიხილავს, როგორც გარყვნილს, ზნედაცემულს, უგუნურსა და საშიშს, ვინც სამყაროს ქაოტური ფორმით აღიქვამს, მისთვის პოლიტიკა ყოველთვის ბინძური და გარდაუვალი ბოროტებაა. შესაბამისად, ძალაუფლებას ის განიხილავს, როგორც ბოროტებას. მაგრამ არის მესამე უკიდურესობაც - ჭეშმარიტების რეალისტური ხედვა ანუ ორმაგი რეალობის – ბოროტებისა და სიკეთის – სამყაროს აღიარება და ადამიანშიც ორთავეს ნაზავის არსებობა. ადამიანი არც ანგელოზია და არც ეშმაკი. ამბობენ: ადამიანი ეშმაკი რომ ყოფილიყო, მმართველობა შეუძლებელი იქნებოდაო. ან კიდევ: ადამიანი რომ ანგელოზი იყოს, მმართველობა საჭირო აღარ იქნებოდაო. მაგრამ ადამიანი გონებასა და უგუნურებას, სიკეთესა და ბოროტებას შორის მდგარი კომპლექსური და ამბივალენტური არსებაა, რომელშიც ეგოიზმი და სიკეთე ერთადაა შერწყმული. შესაბამისად მას შეუძლია ძალაუფლება როგორც კარგი, ისე ცუდი მიმართულებით გამოიყენოს – დიდი თუ მცირე მასშტაბებით, პირად ცხოვრებასა თუ პოლიტიკაში.

ძალაუფლება არის ერთგვარი უნარი, აიძულო სხვა, გააკეთოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. იგი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ–ერთი ძირითადი მცნებაა, რომელსაც ხშირად იძულებასთან და გავლენასთან აიგივებენ. ძალაუფლების ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში დავის საგანია და მისი ერთგვაროვანი განსაზღვრება არ არსებობს.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების ცნება რეალიზმის პარადიგმასთან ასოცირდება, რადგან რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლებისათვის ბრძოლად მიიჩნევს.

ძალაუფლებას ხშირად ორმაგი გაგება აქვს:

1) ძალაუფლება როგორც უნარი

2) ძალაუფლება როგორც ურთიერთობა.

პირველ შემთხვევაში ძალაუფლების ძირითადი შემადგენელი ნაწილი ძალა, ძლიერებაა, რომელიც ტერიტორიის სიდიდით,

ბუნებრივი რესურსებით, საერთო ეროვნული პროდუქტის სიდიდით, მოსახლეობის უნარ–ჩვევებითა და შეიარაღებული ძალების მომზადების დონით განისაზღვრება.

ძალაუფლება, როგორც ურთიერთობა, ამ ძალის, ძლიერების გამოყენებას გულისხმობს. ურთიერთობითი ძალაუფლების მიზანია სხვა აქტორების მხრიდან წინააღმდეგობის გადალახვის გზით მათზე ზეგავლენის მოპოვება და მათგან დათმობების მიღწევა. ამ მნიშვნელობით ძალაუფლება განსხვავდება გავლენისაგან, რომელიც სხვა აქტორების მხრიდან სასურველი ქცევის მისაღწევად წინააღმდეგობების გადალახვასა და იძულების გამოყენებას არ გულისხმობს. ცნება „სტრუქტურული ძალაუფლება“, მეორე მხრივ, ნიშნავს რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის უნარს, დაადგინოს საერთაშორისო ურთიერთობების ჩარჩოები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათი განისაზღვრება. სტრუქტურული ძალაუფლების შემადგენელ ნაწილებად სიუზან სთრეინჯი უსაფრთხოებას, ცოდნას, წარმოებასა და ფინანსებს ასახელებს.

ძალაუფლება არის უფლებამოსილება, შესაძლებლობა ან თავისუფლება, რომელიც სხვა ადამიანებისა თუ მათი ქცევების გაკონტროლებას ისახავს მიზნად. მაქს ვებერის კლასიკური სოციოლოგიური განმარტების მიხედვით: ძალაუფლება არის სოციალურ ურთიერთობებში საკუთარი ნების მოწინააღმდეგეზე თავის მოხვევის თითოეული შანსი და არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რას ეფუძნება ეს შანსები.

ძალაუფლების გარეგანი გამოხატულების არქონა არ ნიშნავს შინაგანი ძალისა და ძლიერების დაკარგვას, რაც ყველაზე მეტად სწორედ ყოვლისშემძლე დიქტატორებს აშინებთ. ისინი ფიქრობენ, რომ მოწინაარმდეგეების დამორჩილებას მხოლოდ მათი ფიზიკური ლიკვიდაციით თუ შესძლებენ.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების სამხედრო კომპონენტი ძალაა, რასაც ოთხი ფუნქცია აქვს: დაშინება, იძულება, თავდასხმა და პრესტიჟის დემონსტრირება.

ძალა, უპირველეს ყოვლისა, მისი შეძენის უნართანაა დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, სამხედრო რესურსების ფლობას უკავშირდება. საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა იერარ-

ქიზაციის უმთავრესი პრინციპი ძალის ფლობა და მისი გამოყენების სხვათა მიერ აღქმული უნარია. ძალაზე დიდ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური განვითარების დონე, რაც სახელმწიფოს ეკონომიკურ და მისი მოსახლეობის ინტელექტუალურ განვითარებაზეცაა დამოკიდებული.

ბირთვული იარაღის გავრცელების კვალდაკვალ გარკვეულწილად შეიცვალა დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მნიშვნელობისა და და მისი გამოყენების მიმართ. ამჟამად ძალის გამოყენებასა და ძალით მუქარაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალის გამოუყენებლად პოლიტიკური მიზნების მიღწევას. თუმცა, ამისათვის კვლავაც ძალის ფლობაა აუცილებელი, რადგან ძალა კვლავაც წარმატებული დიპლომატიის საწინდარია. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სამხედრო ძლიერების კომპონენტი კვლავაც წამყვანია, რასაც თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო ხარჯების ზრდა, სამხედრო პოტენციალის დაგროვება და იარაღით ვაჭრობაც ადასტურებს.

პოლიტიკაში განსაკუთრებით თვალშისაცემია ის, რომ ძალაუფლება ამბივალენტური არსების – ადამიანის ხელში ყველგან და ყოველთვის არ არის მხოლოდ პოზიტიური ან მხოლოდ ნეგატიური კუთხით გამოყენებული.

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული თანამედროვე ეტაპამდე ევროპამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რომელიც ,,დღეს სამართლებრივი და სოციალური, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებით შინაარს წარმოადგენს.

ძალაუფლების შეზღუდვა ინსტიტუციონალიზირებული პოლიტიკური ეთიკის სახით დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ძალაუფლების შეზღუდვის პირველი ნაბიჯი ეს იყო ძალაუფლების შეზღუდვა კონსტიტუციითა და კანონებით. ძალაუფლების მართვა ხდება მმართველთა კანონმორჩილების საშუალებითაც. თვითნებობის წინააღმდეგ კანონის უზენაესობის (ნომოკრატია) ფილოსოფიური დასაბუთება ჯერ კიდევ პლატონთან გვხვდება. არისტოტელემ კი ეს იდეა განავითარა და ერთმანეთისაგან გა-

მიჯნა კანონი და კონსტიტუცია. უნდა ბატონობდნენ კანონები და არა ადამიანები. კანონი კი თავის მხრივ, კონსტიტუციასთან უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში.

მეორე ნაბიჯი ეს იყო ძალაუფლების დანაწილება შერეული კონსტიტუციისა თუ ძალაუფლების გადანაწილების საშუალებით. სახელმწიფოში მონოკრატიული, ოლიგოკრატიულო და/ან დემოკრატიული ელემენტებისაგან შემდგარი კონსტიტუციის იდეაც პლატონს ეკუთვნის. მოგვიანებით ის არისტოტელემ, პოლიბიოსმა, ციცერონმა, თომა აქვინელმა და იტალიური რენესანსის წარმომადგენლებმა განავითარეს. სხვადასხვა ურთიერთმაკონტროლებელ ორგანოებს შორის ძალაუფლების ამდაგვარი განაწილების მეტნაკლებად რეალისტური იდეა XVI საუკუნეში დონატო ჯიანოტის (მან ერთმანეთისაგან გამიჯნა სახელმწიფოს ოთხი ფუნქცია და გადაწყვეტილების მიღების სამი ფაზა) მიერ იქნა წამოყენებული, ხოლო XVIII საუკუნეში მონტესკიე მას - უკვე თანამედროვე ფორმით - ფეოდალურ აბსოლუტიზმს უპირისპირებს, თუმცა ის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების დიფერენცირებასაც არ ახდენს მკაფიოდ. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდიდან მოყოლებული აშკარა გახდა, რომ არაკონტროლირებადი ძალაუფლება, ძალაუფლების კონცენტრაცია და უპირველეს ყოვლისა ძალაუფლების მონოპოლია თითოეული ადამიანის თავისუფლებას უქმნის საფრთხეს და ამიტომაც ძალაუფლება ძალაუფლებითვე უნდა შეიზღუდოს.

მესამე ნაბიჯი: ძალაუფლების შეზღუდვა ხელშეუხებელი ფუნდამენტური უფლებებით. ის აზრი, რომ არსებობს ხელშეუხებელი და განუყოფელი ფუნდამენტური უფლებები, რომელიც ზესახელმწიფოებრივია (მაგრამ სახელმწიფო უნდა მფარველობდეს მას) და თვით ადამიანის ბუნებაშია გამყარებული, პირველად განმანათლებლობის ეპოქაში გაცხადდა, თუმცა მისი საფუძვლები ანტიკურ პერიოდსა და ქრისტიანობაში ძევს.

მსგავს აზრი გატარებულია ჯონ ლოკთან და 1976 წლის ამერიკაში მისი იდეებით შთაგონებული დამოუკიდებლობის ფილოსოფიის ტექსტებში (თომას ჯეფერსონი გააზრებულად საუბრობს

საკუთრების უფლების თაობაზე), რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის (1789) ადამიანის უფლებების დეკლარაციის იდეალად მოგვევლინა. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პროკლამირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოხდა 1948 წელს და დღეს იგი უკვე თითქმის ყველა თანამედროვე კონსტიტუციაშია დაცული: იოანე XXIII-მ და ვატიკანის მეორე კრებამ (1962-65) ადამიანის უფლებები კათოლიკურ ეკლესიაშიც დაამკვიდრა. რომი ხომ მას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ღვთისგმობად მიიჩნევდა.

მეოთხე ნაბიჯი: ძალაუფლების შეზღუდვა შესაბამისობის პრინციპით. სახელმწიფოს და საერთოდ ძალაუფლების მატარებელს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების შესაბამისი საშუალებების გამოიყენების უფლება აქვს. მან უნდა დაიცვას საშუალებათა შესაბამისობის (გადამეტების აკრძალვა) პრინციპი, როგორც ეს თანამედროვე სისხლის სამართალშია მოცემული. თუმცა საერთაშორისო სამართალში ამ პრინციპთან ერთად, სანქციების (საპასუხო ზომა), რეპრესალიებისა და თავდაცვის უფლების გამოყენებისას, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა თვითდახმარების პრინციპის გათვალისწინება ხდება.

თანამედროვე ეტაპზე ძალაუფლების შეზღუდვის პრინციპი ყოველგვარი კანონმდებლობის, კანონის გამოყენებისა და სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივ ფუნდამენტს წარმოადგენს.

მეხუთე ნაბიჯი: ძალაუფლებაში ქვეშევრდომთა მონაწილეობა. აქ დემოკრატიის ის ფორმა იგულისხმება, რომელიც ათენელებმა აღმოაჩინეს: ძალაუფლების მატარებელთა და ადრესატთა მინიმალური იდენტობა. ამ პრინციპმაც მოდერნში განიცადა მარცხი, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური პარლამენტის, ფრანგული და ამერიკული რევოლუციების ფონზე. XX საუკუნეში კი ის სრულყოფილ სახეს ღებულობს, როდესაც ზოგადი საარჩევნო უფლება სახელმწიფოს ყველა ზრდასრულ მამაკაც მოქალაქეს, ხოლო მოგვიანებით უკვე ქალებსაც მიენიჭა.

მეექვსე ნაბიჯი: ძალაუფლების დაბალანსება ძალაუფლების მფლობელთა მხრიდან ზეწოლის შემცირებით. სამართლიანობა

მოითხოვს, რომ ძალაუფლების მფლობელთა მხრიდან ზეწოლა შეიზღუდოს, ზეწოლა, რომელიც ძლიერ და სუსტ ინდივიდებსა და ჯგუფებს, პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ ადამიანებს, დამქირავებელსა და მოსამსახურეს, დასაქმებულ და შრომის პროცესს მოწყვეტილ ადამინებს შორის არსებობს. ძალაუფლების შეზღუდვა არასოდეს არაა ადვილი. ამიტომ სახელმწიფომ და სხვა ინსტიტუტებმა კეთილსინდისიერად უნდა გააწონასწოროს ის.

პოლიტიკურმა მეცნიერებებმაც რეალისტურად უნდა გაარკვიოს ის, თუ რა არის ადამიანის ამბივალენტური რეალობა და მისი სამყარო. პოლიტიკური ქცევის ყველაზე დიდ კრიტერიუმად არა რეალობა, რომელიც პოლიტიკაში შეიძლება სიმხეცედ მოგვევლინოს, არამედ ჰუმანურობა უნდა იქცეს, ჰუმანურობა, სადაც მორალი თავის კულმინაციას აღწევს. ვინაიდან პოლიტიკაში საქმე მხოლოდ ძალაუფლებასა და სისტემას არასოდეს ეხება და ვინაიდან იქ ყურადღების ცენტრში ადამიანი დგას, პოლიტიკის მხოლოდ პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგებისადმი მინდობა შეუძლებელია.

რეალობა ისაა, რომ პოლიტიკასა და ეთიკას შორის არსებობს მარადიული დაძაბულობა.

ძალაუფლებისა და მორალის ურთიერთმიმართება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ საგარეო და მსოფლიო პოლიტიკისათვის. შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მათი ურთიერთმიმართება განსაზღვრული ხალხისა თუ სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული. თუმცა როგორ უნდა მოხდეს ძალაუფლების დარეგულირება ერებს შორის?

საერთაშორისო პოლიტიკა და მორალი

თანამედროე საერთაშორისო სამართალს საფუძვლად უდევს კაცობრიობის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, რომლებიც, პირველ რიგში, სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს შეიცავს. როგორც წესი, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმოდგენა - რა არის მორალური, ზნეობრივი, წინ უსწრებს სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბებას და მამანამდე, მისი დარღვევისათვის, მხოლოდ საზოგადოებრივი გაკიცხვის ზომებს ეყრდნობა.

საერთაშორისო მორალი ეთიკური ღირებულებები და ნორმებია, რომელიც საერთაშორისო სამართალს არ მიეკუთვნება, მაგრამ, ზოგიერთი მოსაზრებით, საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვის საფუძველი უნდა იყოს.

საერთაშორისო მორალი ეს არის სოციალური ქცევის წესების ერთობლიობა, აღიარებული სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ, როგორც კაცობრიობის განვითარების დღევანდელი საფეხურისაგან განუყოფელი ნორმა, რომელსაც ან ჯერ არა აქვს იურიდიული ძალა (მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით ჩამოყალიბებული წესები), ან უკვე შერწყმულია მოქმედ სამართლებრივ ნორმასთან.

რეალიზმის სკოლა საერთაშორისო მორალის ობიექტურ არსებობას უარყოფს. რეალისტებისათვის პოლიტიკური ქმედება და ზნეობა თავსებადია მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების ფარგლებში. ზნეობის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით შეიძლება განხორციელდეს.

საერთაშორისო ანარქიის პირობებში უზენაესი ზნეობა თვითგადარჩენაა, რაც ეროვნული ინტერესებისა და სახელმწიფო ინტერესის აღსრულებას ნიშნავს. წესრიგის ინტერესები უპირატესია სამართლიანობისა და თანასწორობის კატეგორიებთან შედარებით, რადგან წესრიგის გარეშე რომელიმე მათგანის განხორციელება შეუძლებელი ხდება.

იდეალისტების აზრით, ზნეობის საკითხში კაცობრიობის ეროვნული ინტერესების მიხედვით დაყოფა მცდარია, რადგან ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ზნეობრივი მოვალეობები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს მიღმაც აკისრიათ. საზღვრები ზნეობრივ პოზიციებს არ უნდა ცვლიდეს და თუ ეს მაინც ხდება, მიზეზი არსებული საერთაშორისო სისტემის ნაკლოვანებებში უნდა ვეძიოთ. ისეთი საკითხები, როგორიცაა თვითგამორკვევა, ადამიანის უფლებები და უნივერსალური სამართლიანობა, საყოველთაო-საკაცობრიო ხასიათისაა.

ცნობილმა ამერიკელმა გეოპოლიტიკოსმა ნიკოლად სპაიკმენმა თავისი ძირითადი ნაშრომის „ამერიკის სტრატეგია მსოფ-

ლიო პოლიტიკაში“ მთელი მსოფლიო პოლიტიკის ამოსავალ თეზისად მიიჩნია შეხედულება, რომ „ძალაუფლებებისათვის ბრძოლა იგივეა, რაც ბრძოლა გადარჩენისათვის“. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთათვის ძალაუფლებისთვის ბრძოლა სტრატეგიული იმპერატივია და ყოველი სახელმწიფოსათვის გადარჩენა განპირობებულია ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მისი უნარითა და მიღწევებით.

ამგვარი შეხედულების ბატონობის პირობებში არც არის გასაკვირი, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას ზნეობრივი მხარე ყბადაღებულ „ეროვნულ ინტერესებს“ დაექვემდებარა.

რეალიზმმა ზნეობრივ პრინციპებს ანაცვალა სასურველი შედეგი, ხოლო არჩევანს - აუცილებლობა. რეალიზმის პრინციპის თანახმად, საერთაშორისო ურთერთობებში ფსონი იმდენად მაღალია (სახელმწიფოს ინტერესი, სახელმწიფოს გადარჩენა და ა.შ.), რომ ზნეობას მნიშვნელობა ეკარგება. ანუ უკიდურესი ეგოიზმის, საერთაშორისო ანარქიის, მუდმივი კონფლიქტის ან ომის მოლოდინი, პირველობისათვის თუ უსაფრთხოებისათვის დაუნდობელი ბრძოლა და ა.შ ზნეობრივ ნორმებს ადგილს არ უტოვებს სამყაროში.

ნიკოლო მაკიაველი ამ მხრივ საკმაოდ მკაფიოდ გამოხატავდა რეალიზმის არსს, „სახელმწიფოს ინტერესსგარეთ ნებისმიერი ზნეობრივი იმპერატივები არა მხოლოდ საეჭვო ღირებულებისაა, არამედ ხშირად საზიანოც“. მაკიაველის აზრით, საფრთხის შემთხვევაში, უნდა დაიწყო პრევენციული ომი, უნდა დაასწრო, არ უნდა იფიქრო არაფერზე გარდა გამარჯვებისა. ამ შეხედულების საუკეთესო მაგალითად მაკიაველი რომის პოლიტიკას მიიჩნევს.

ზნეობრივი პრინციპები ნაკლებად განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს. თუმცა საგარეო პოლიტიკაში ზნეობრივი ქმედებები შესაძლებელი და აუცილებელია, მაგრამ არის უკიდურესი შემთხვევები, როდესაც ზნეობრივი ნორმების გამოყენება შეუძლებელია.

სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ, რომ მათ ხელთ არსებული „პოლიტიკური ინსტრუმენტები“ (ცენტრალური, ორგანიზებული ძალაუფლება და ძალთა წონასწორობა) არ გადაიზარდონ ტირანიასა და ანარქიაში. ეს ინსტრუმენტები ზნეობრივად „კომპრომისულია“, მაგრამ მათი საშუალებით შესაძლოა შედარებითი სამართლიანობის მიღწევა. ინდივიდის მოვალეობაა თავი გადაირჩინოს. ამიტომ, სახელმწიფოთა ქმედებების წმინდა ადამიანური ზნეობრივი კრიტერიუმებით შეფასება მართებული არ იქნებოდა. სახელმწიფო მოღვაწეების მოვალეობაა სახელმწიფო ინტერესების დაცვაა თუნდაც ზნეობრივ პრინციპებთან კომპრომისი გზით. ამიტომ პოლიტიკაში მარტივ ზნეობრივ შეფასებებზე მაღლა პრაქტიკული მოსაზრებები დგანან.

საერთაშორისო ურთიერთობებში კონსენსუსის მიღწევა ჭირს. სანამ არ იქნება მსოფლიო სავალდებულო სამართალი.

სახელმწიფოს ინტერესები და ზნეობრივი განსჯა ერთმანეთს დაცილებული არ არის. საგარეო პოლიტიკაში არის ისეთი საკითხები, რომლებიც ზნეობრივი ნორმების გამოყენებას მოითხოვს. ასეთია მაგალითად: სამხედრო დანაშაული, ბირთვული შეიარაღება, კოლონიალიზმი, რასობრივი დაპირისპირება, მსოფლიო სიღარიბე და ა.შ. ბევრი მათგანი საერთაშორისო დოკუმენტებშიც აისახება. ზოგიერთი კი, არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს განსაზღვრავს, არამედ საფრთხეს უქმნის კაცობრიობის არსებობას. ზნეობრივმა ნორმებმა ეროვნულ ინტერესებში სათანადო ადგილი უნდა დაიკავონ, მაგრამ არ შეიცვალონ ისინი. ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწე არასოდეს ივიწყებს პრინციპებს, მაგრამ მოქმედებს შექმნილ ვითარების გათვალისწინებით.

ზნეობრივი ფასეულობები საგარეო პოლიტიკაში ეროვნულ ინტერესებში „შეფუთული“ ხვდება და მათი ფუნქცია ეროვნული ინტერესების გაადამიანება და ქმედებათა მისაღებ სტანდარტებამდე „აყვანაა“, სადაც ეს შესაძლებელია. ნებისმიერი ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსათვის მისი საგარეო პოლიტიკით ხდება ცნობილი და ამიტომ, ბუნებრივია, უნდა ცდილობდეს უკეთესად გამო-

იყურებოდეს. თუ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მაღალი ზნეობრივი პრინციპებია გაბატონებული, იგივე ნორმების საგარეო პოლიტიკაში შეძლებისდაგვარად გამოყენება მისთვისვეა უკეთესი.

ზნეობრივი კატეგორიები ხშირად გამოიყენება საგარეო პოლიტიკაში წმინდა იდეოლოგიური დანაშაულებით. ამავე დროს უმთავრესი ზნეობრივი ნორმები გავლენას ახდენენ და ზოგჯერ განსაზღვრავენ კიდეც საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. საერთაშრისო ურთიერთობათა შესწავლისას ხსენებული ორივე მომენტი არ უნდა დავივიწყოთ.

ზნეობრივი კონფლიქტი რთულ ვითარებას უქმნის საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეებს, კერძოდ კი გადაწყვეტილების მიმღებს. მე-20 საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რამდენჯერმე მძვინვარებდა შიმშილი და აშშ-ში გაისმა ხმები, რომ სსრკ-ის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარება გააძლიერებდა საბჭოთა რეჟიმს, რომელიც თავის იდეოლოგიითა და პრაქტიკული საქმიანობით ეწინააღმდეგებოდა ამირიკელთათვის უმნიშვლელოვანეს ღირებულებებს: თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს. ამერიკულ კონტექსტში საბჭოთა კავშირისათვის დახმარებამ ზნეობრივი კონფლიქტის ხასიათი მიიღო. მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, როდესაც გენმანიის, ასევე წყნარი ოკეანის აუზში იაპონიის წინააღმდეგ, გერმანიის ქალაქების გამუდმებით დაბომბვა თავად ამერკელი სამხედროებისათვის ზნეობრივ პრობლემად იქცა. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი და სამხედრო ხელმძღვანელი მიიჩნევდა, რომ მშვიდობიანი ქალაქების (მაგ. დრეზდენის) ინტენსიური დაბომბვა მხოლოდ გაზრდიდა სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლს. სამაგიეროდ, სხვების აზრით, გერმანიის ქალაქების ტოტალური მოსპობა დააჩქარებდა გერმანიის დამარცხებას, ბევრ ამერიკელ სამხედროს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, ხოლო აშშ მთელ ყურადღებას იაპონიაზე გადაიტანდა და უფრო ეფექტურად შეძლებდა მასთან ბრძოლის გაგრძელებას. იგივე ვითარება შეიქმნა პირველი ატომური ბომბის გამოყენებასთან დაკავშირებით. მათი გამოყენება ზოგიერთისათვის ზნეობრივად მიუღებელი იყო მაშინაც და დღესაც, მაგრამ ბირთვული იარაღის გამოყენების გადაწყვეტილება აშშ-ია

უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მიიღო, რომლისთვისაც ეს გადაწყვეტილება ზნეობრივად გამართლებული იყო, რადგან მისი მოსაზრებით იგი მოაახლოებდა ომის დასასრულს და უჩველებდა აშშ-ია პოტენციურ მოწინააღმდეგეს (სსრკ-ს!), რომ აშშ ამგვარი იარაღს მფლობელია.

გლობალიზაციის პროცესისა და ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის, ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების გამო სახელმწიფოთა სუვერენიტეტი რამდენადმე შეირყა და ისეთმა ცნებამ, როგორიც არის „ეროვნული ინტერესები“, ზოგჯერ რეგიონული და გლობალური განზომილება შეიძინა. მიუხედვად ამისა საერთაშორისო ურთიერთობებში დღესაც ზნეობრივ ნორმებთან შედარებით ინტერესების პრიმატია.

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში არის ერთ მოვლენა, რომელიც ჰუმანიტარული ჩარევის (ინტერვენციის) სახელით არის ცნობილი და რომელსაც მძლავრი ნორმატიული განზომილება აქვს. უფრო მეტიც, ჰუმანიტარული ჩარევის არსი ადამიანის უფლებათა დაცვაში მდგომარეობს და ამგვარი ჩარევა უმეტესწილას საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უზენაესი ნორმის - სახელმწიფოთა სუვერენიტეტის საზიანოდ ხდება ხოლმე. XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ადამიანის უფლებების საკითხმა წმინდა საშინაო, ქვეყნის შიდა პრობლემების რიგიდან საერთაშორისო სამართლებრივ სფეროში გადაინაცვლა. 90-იან წლებში კი გაეროს მიერ სანქციონირებული ჩარევის ახალი ნორმა იქნა დადგენილი. მაშასადამე, შესაძლო ხდება ლეგიტიმურად გამოცხადდეს ჩარევა (ძალის გამოყენება) რომელიმე ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვისა თუ კანონიერი ხელისუფლებისა და ქვეყნის საშინაო წყობის გარკვეული ფორმების (მაგალითად, დემოკრატიის) მხარდასაჭერად. ჰუმანიტარული ჩარევის მომხრეების აზრით, საერთაშორისო სისტემა იცვლება, იგი ლამის საერთაშორისო საზოგადოებად გადაიქცა და ნორმებს უპარატესობა უნდა მიენიჭოს.

ჰუმანიტარული ჩარევის მიზეზი ხშირად ხდება საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფა და გარკვეული უპირატესობის მოპოვება. ამიტომ, ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ ჰუმანიტარული ჩარევის ნიღბით ხშირად სწორედ ზოგიერთ სახელმწიფოებსა თუ

კავშირებს საკუთარი მიზნების მიღწევის და არა საერთაშორისო ნორმების აღდგენისა და ხელშეწყობის სურვილი ამოძრავებთ. „ანგარებიანი“ ჩარევის წინააღმდეგ გათვალისწინებულია მრავალმხრივი სანქციის (მაგალითად, გაეროს) აუცილებლობა, ე.ი. ჰუმანიტარული სანქციის ნებართვა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (პირველ ყოვლისა, გაერომ) უნდა გასცეს. ამგვარი პრაქტიკა სერიოზულად ზღუდავს საკუთარი ინტერესებისათვის ჩარევის მსურველებს.

ცალმხრივი ჩარევის შემთხვევები ამჟამად საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მაინც არის. 1989 წელს აშშ შეიჭრა პანამაში გენერალ ნორიეგას გადასაყენებლად, ხოლო 90-იან წლებში რუსეთი ჩაერია ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მიმდინარე კონფლიქტებში (საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ტაჯიკეთი). კოსოვოში ჩარევა (1999) ნატოს მიერ გაეროს უშშროების საბჭოს სანქციის გარეშე მოხდა, ხოლო ჰაიტიში აშშ-ის ჩარევა (1994) მხოლოდ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სანქციით. აშშ-ის ჩარევა ერაყში 2003 წელს მწვავე საერთაშორისო დებატები და ნატოს წევრებს შორის განხეთქილებაც კი მოჰყვა. როცა 1994 წელს ჰაიტიში და 1997 წელს სიერა-ლეონეში კანონიერი დემოკრატიული რეჟიმების აღსადგენად და 1994 წელს რუანდაში გენოციდის შესაჩერებლად ჰუმანიტარული ჩარევა განხორციელდა, საერთაშორისო საზოგადოებამ ეს დადებითად შეაფასა.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა 1998 წელს აღნიშნა, რომ „გაეროს ქარტია იცავს ხალხების სუვერენულობას.იგი არასოდეს გულისხმობდა მთავრობების მიერ ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსების გათელვას. სუვერენულობა ნიშნავს პასუხისმგებლობას, და არა მხოლოდ ძალაუფლებას“. ეს ნიშნავდა, რომ ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევა სახელმწიფოს სუვერენულობის დაქვეითებას გულისხმობდა. როგროც გვახსოვს, ვესტფალიის სისტემაში (ერითსახელმწიფოებისაგან შემგარი საერთაშორისო სისტემა) ნორმატიული პრინციპიდან ერთი ჩაურევლობა იუყო ანუ სახელმწიფოებს სხვათა საქმეებში ჩარევის უფლება არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდათ. გაეროს მიერ ჰუმანიტარული ჩარევის მიერ სანქციონირება სახელმწიფოთა სუვერენი-

ტეტის დარღვევის ხარჯზე საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სერიოზულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ. ჰუმანიტარული ჩარევის პრაქტიკით საერთაშორისო პოლიტიკაშ ზნეობრივი ნორმების დამკვიდრების ამგვარი მცდელობა საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებაში სერიოზულ წვრილად უნდა ვაღიაროთ.

საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკური, ზნეობრივი მხარე უაღრესად მნიშვნელოვან და მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენს როგორც პოლიტიკოსებისთვის, ასევე დარგის მკვლევარებისთვის. საერთაშორისო პოლიტიკა და ზნეობა ადრე ბევრად უფრო დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთს, თუმცა მათ შორის ჰარმონიის მიღწევა არც დღეს მიაჩნიათ შესაძლებლად.

სამართლის და მორალის ურთიერთმოქმედებები საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო სამართლის და საერთაშორიოს მორალის ურთიერათმოქმედება, მათი დიალექტური ერთობა არ ამოიწურება საერთაშორისო აქტორების ქცევის ძირითადი პრინციპების ერთობლიობით. ამ ერთობის საფუძველი არის: გენეტიკური ერთობა; ფუნქციონალური ერთობა (რეგულატორული დანიშნილება); საერთაშორისო სამრთლის და საერთაშორისო მორალის ერთობა მათ ნორმატიულ-ფასეულობათა გეგმაში. როგორც სამრთალი, ისე მორალი თავისთავად წარმოადგენს ქცევის სავალდებულო წესს, რომელიც იძენს იურიდიულ ან ზნეობრივ მოვალეობის როლს და პასუხისმგებლობას მათ დარღვევებზე, და რომელიც მთლიანობაში აირეკვლავს საერთაშორისო სისტემის, კაცობრიობის ცივილიზაციის, განვითრების არსებულ დონეს.

ზნეობრივი და სამართლებრივი ერთობა არ ნიშნავს იგივეს, რაც საერთაშორისო სამრთალი და საერთაშორისო მორალი. ერთი მათგანის პრინციპებში ჭარბობს იურიდიული ელემენტები (მაგ. სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობა), ხოლო მეორეში პირიქით მორალური ელემენტები (მაგ. თანამშრომლობის პრინციპი). აქ ერთობა უბრალოდ ნიშნავს მათ იდეურ შინაარსს. ობიექტური პირობებით განპირობებული სამართლის და მორალის ერთობა ხასიათდება არსებული გნსხვავებით, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს იმ როლის ანალიზის დროს, რომელსაც ისინი თანაშობენ საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების

დროს. აღნიშნული განსხვავები მკვლევართა მიერ შემდეგნაირად არის დაჯგუფებული.

პირველი, სამართლებრივი ნორმები ატარებენ ფიქსირებულ ხასიათს, რომელიც აღნიშნულია შესაბამის დოკუმენტებში - წესდება, შეთანხმება, ხელშეკრულება და ა.შ. ამავე დროს, მასთან, საერთოდ, მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის ინსტიტუციონალისტური ხასიათი და საერთაშორისო სამრთალი. კერძოდ, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზხაციებთან (გაერო და მისი სპეციალიზირებული ორგანიზაციები, ევროპის საბჭო, სხვა რეგიონალური ორგანიზაციები). ამრიგად, საერთაშორისო სამართლის სისტემა მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სამართლებრივი ცნობიერება, სამართლებრივი ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობები და სამართლებრივი ინსტიტუტები. საერთაშორისო ურთიერთობების ზნეობრივი რეგულირების მექნაიზმებში, მათგან უპირატესობა ბოლო ელემენტს (ინსტიტუტებს) არ აქვს, ვინაიდან მხედველობაში უნდა მივიღოთ საერთაშორისო მორალის სპეციფიკა. იგი ასევე უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან: იგი იქმნება და ხორციელდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების პროცესში (რა თქმა უნდა მოცემული თავისებურება ატარებს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ერთ სახეობასთან – სახელმწიფოთაშორის). როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ეს ,,ინსტიტუციონალიზაცია" შედარებით საკმაოდ პირობითია, ვინაიდან საბოლო ჯამში ინსტიტუტები, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო მორალურ ნორმებს (სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები) არ ქმნიან სპეციალიზირებულ ორგანოებს მსოფლიო არენაზე საყოველთაო ზნეობრივი წესების შემუშავებისა და გავრცელებისათვის.

საბოლო ჯამში, როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები ეყრდნობიან ნორმებს, რომლებიც მოთავსებულია თვით საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში", და რომლის საფუძველსაც წარმოადგენს კაცობრიობის ცივილიზაციის მთელი ისტორიის პროცესში ქცევის უნივერსალური ნიმუშების და სოციალურ ინდივიდებისა და ერთობების შედგენა. მეორეს მხვრივ, საერთაშორისო მორალის ნორმების შემუშავება-გან-

ვითრებაში უდავოდ ჩანს ისეთი სოციალური ინსტიტუტის როლი (ინსტიტუტის პირდაპირი გაგებით), როგორიცაა მეცნიერება.

მეორე, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო მორალი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოქმედების სფეროების მიხედვითაც: მორალური ნორმები საყოველთაო მომცველობით ხასიათს ატარებს, მაშიმ როცა, სამართალს აქვს თითეულ მოცემულ მომენტში გამოყენების შეზღუდული სფერო. ბევრ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობები რეგულირდება ერთდროულად როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ნორმებით. მაგალითად, სამხედრო აგრესია წარმოადგენს როგორც საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების დარღვევას, ასევე მორალურ დანაშაულსაც. თუმცა, მორალური ნორმები უფრო ფართო და ელასტიურია, ვიდრე სამართლებრივი.

რა თქმა უნდა, როგორც მორალური, ისე სამართლებრივი ნორმები დაკავშირებულია ღირებულებების სისტემასთან, როემლიც მიღებულია ამა თუ იმ სოციალური ერთეულების მიერ. იგი განსაზღვრავს მისი მოთხოვნილებების და ინტერესების უზრუნველყოფისათვის საშუალებების არჩევანსაც. იმისათვის რომ, ეს საშუალებები იყოს ადექვატური და გარანტის მიმცემი დადგენილი მიზნის მიღწევაში, ისინი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში თანხმობაში უნდა იყვნენ სავალდებულო ნიმუშებთან, ან როგორც იტყვიან ქცევის ისეთ წესებთან, რომლებიც აღიარებულია როგორც ნორმალური, და ან დაშვებულია განსაზღვრული პირობებით. ისინი სავსებით შეიძლება გასაგები იყოს მხოლოდ იმ სოციოკულტურულ გარემოში, რომელშიც ის ჩამოყალიბდა. ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი გადაცემა ან სესხება. მათში მოცემული უნივერსალური ელემენტები ზოგჯერ ხელს უწყობენ ზოგიერთი მათგანის განმტკიცებას და ჩამოყალიბებას საერთაშორისო სამრთლის ნორმებში.

საყოველთაოდ აღიარებული ქცევის ნიმუშების განმტკიცებას აქვს დიდი პარქტიკული მნიშვნელობა. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მისი წარმოება დამოკიდებულია მათთან ერთობის ქცევის შეთანხმების ხარისხზე, ისინი განსაზღვრავენ აქტორების მოქმედედბებს, საბოლო ჯამში კი საერთაშორისო სისტემის დინამიკურ თანასწორობას. თუმცა, ქცევის ყველა უნივერ-

სალური ნიმუში არ შეიძლება ღრმად ჩაჯდეს საერთაშორისო სიტემაში. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი განმტკიცებულია საერთაშორისო სისტემაში ორიგნალური ნორმებით. პრინციპში თითეულ ეთნიკურ, ტერიტორიულ ან ფუნქციონალურ ერთობას აქვს თავისი სპეციფიკური ქცევის ნიმუშები და საკუთრი ფასეულობების სისტემა, რომლებიც არ განიცდიან საერთაშორისო სამრთლის გავლენას. ამავე დროს, იგი საერთაშორისო ცხოვრებაში ახლად წარმოქმნილი და არსებული ეტიკური ქცევის წესების და ნორმების ურეთიერთმოქმედებით ზოგიერთ მათგანს უნარიანად უკეთებს მოდიფიცირებას.

თანმედროვე ურთიერთდამოკიდებულების და კრიზისული გამოვლინებების პირობებში, ცივილიზაციის განვითრებაში, მათი ათვისების და გამოყენების აუცილებლობა სხვა საერთაშორისო აქტორებთან ურთიერთობებში განსაკუთრებით იზრდება.

მაგრამ თუკი მორალური ნორმები აღწევენ და განიცდიან კიდეც ასეთ ტრანსფორმაციას, მაშინ სამართლებრივი ნორმები საწინააღმდეგოს აჩვენებს: ისინი გამიზნულნი არიან აქტორების საგარეო ქცევაზე, ატრებენ უპირატესად რაციონალურ ხასიათს. მათი ზღვარი მკაცრად არის შესწავლილი და მიმართულია ასეთი ქცევის სტანდარტების მიღწევისაკენ.

მეასმე, საერთაშორისო სამრთალი და საერთაშორისო მორალი განსხვადებიან საერთაშორისო აქტორების ქცევზე ზემოქმედების შესაძლებლობების ფორმის, მეთოდების და საშუალებების თვალსაზრისითაც. და მაშასადამე _ საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობითაც. სამართლებრივი რეგულირება საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს იძულების საშულებები (საერთაშორისო სასამართლო, სამხედო, ეკონომიკური, და პოლიტიკური სანქციები, საერთაშორისო ორაგინაზციებიდან გაძევება, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა). ძირითადი რეგულატორი საერთაშორისო ქცევის, ზნეობრივი ნორმების დაცვის საქმეში არის მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, როცა ზოგჯერ მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეებზე, შეიძლება აღმოჩნდეს ბევრად ეფექტური, ვიდრე საერთაშორისო სამართლის გავლენა. ამავე დროს, საერთაშორისო სამართლის სპეციფიკას წარმოადგენს ის რომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შედარებით, მისი ნორმები ატარებენ უფრო

სარეკომენდაციო ხასიათს. მას სუბიექტი ღებულობს მისი თანხმობით ან პირიქით. საერთაშორისო-სამართლებრივი და მორალური ნორმების სხვაობა, შეიძლება მათ შორის ქმნიდეს დაპირისპირების წყაროს, მაგრამ ეს არ უარყოფეს მათ ერთობას და ურთიერთმოქმედებას, მისი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების რეგულატორის როლს. ამავე დროს იგი მოითხოვს იმ თავისებურებების ღრმა გაგებას, რომელიც დამახასიათებელი თითეული მათგანისათვის.

თემა XIV

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია; ევროპის კავშირი

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია **(ეუთი//OSCE)** 1975 წელს შეიქმნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სახელწოდებოთ, როგორც მონაწილე ქვეყნებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ფორუმი, როდესაც ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტს 5.1975 VIII ხელი მოაწერა 35-მა სახელმწიფომ. ეს აქტი, მართალია არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური შეთანხმებაა, რომლის მიზანი იყო, შეესუსტებინა ,,ცივი ომით“ გამოწვეული დაძაბულობა აღმოსავლთსა და დასავლეთს შორის. 1990 წლამდე ეუთო ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების ფორუმი, რომელიც ადგენდა სახელმწიფოთა და მოქალაქეთა მოქმედების წესებს და პერიოდულად მიმოიხილავდა მათ შესრულებას.

პარიზის 1990 წლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ეუთთ ახალ კურსს დაადგა. ,,პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის“ ეუთო-ის ძირითად ამოცანებად მიჩნეულ იქნა ევროპაში მიმდინარე ისტორიული გარდაქმნის წარმართვისა და ,,ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ახალ მოთხოვნებზე რეაგირებისათვის ხელის შეწყობა. ამ ამოცანების შესრულების გასაადვილებლად შეიქმნა ცალკეული ინსტიტუტები, ხოლო შეხვედრებმა უფრო რეგულარული ხასიათი მიიღო და ეუთთ-ის მუშაობა უფრო ორგანიზებული გახდა.

ბუდაპეშტის 1994 წლის სამიტზე აღიარეს, რომ ეუთთ-ი უკვე აღარ იყო უბრალოდ კონფერენცია, და ამიერიდან მას ევროპა-

ში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ეწოდა. ამან ორგანიზაცია ახალი პოლიტიკური იმპულსი მისცა, მით უფრო, რომ ეს იყო ,,ცივი ომის" დასრულების შემდეგ ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარების გამოხატულება.

ეუთო არის უსაფრთხოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი წევრი 55 სახელმწიფო განლაგებულია ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულ გეოგრაფიულ სივრცეზე. იგი შეიქმნა გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: შეიარაღების კონტროლი, გაეროს პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგ, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება. **აქედან გამომდინარე ეუთო** მხარს უჭერს დემოკრატიის განვითარებას და დახმარებას უწევს მონაწილე ქვეყნებს დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში. დემოკრატიზაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებით ორგანიზაცია საკუთარ თავზე იღებს არჩევნებში და მის მოსამზადებელ სამუშაოებში დახმარების გაწევას. **ეუთოს** ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა კონცენტრირებულია ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორიცაა მოქმედებისა და რელიგიის თავისუფლება, წამებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე გენდერული თანასწორობის მიღწევა, ეთნიკური კონფლიქტების აღმოფხვრა, კანონის ლეგიტიმურიბის საფუძველზე ადამიანების უფლებების დაცვა და სხვა. **ეუთოს** ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა დემოკრატიის მშენებლობისა და ადამიანის უფლებების სამსახური ძირითადად დაკავებულნი არიან რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმსა და დისკრიმინაციასთან ბრძოლით. **ეუთო** აქტიურადაა ჩართული მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში.

უკანასკნელ პერიოდში **ეუთო**-ს საქმიანობის პრიორიტეტული სფეროებია ცეცხლსასროლი და მცირე კალიბრიანი იარაღის, ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ეწინააღმდეგება იარაღის არალეგალურად გავრცელებას და ხელს უწყობს მის განადგურებას. საზღვრების კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობა მოიცავს როგორც კონფლიკტების თავიდან

აცილებას, ასევე პოსტკონფლიქტური სიტუაციის მართვას და ინ-სტიტუციონალურ მხარდაჭერას. **ეუთო** -ს მონაწილე ქვეყნები მუ-შაობენ ჰაერში, წყალსა და მიწაში მტკიცე ეკოლოგიური ბალანსის აღდგენისა და შენარჩუნებისთვის.

1990 წლის ნოემბერში მოლაპარაკება წარმოებდა ეუთთ-ის საქმიანობის ფარგლებში შეიარაღების კონტროლის მნიშვნელლო-ვან შეთანხმებაზე - ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შე-იარაღებული ძალების შემცირების ხელშეკრულებაზე (CFF). ერ-თობლივი საკონსულტაციო ჯგუფი (იგი პასუხისმგებელია ხელ-შეკრულების შესრულების ხელშეწყობაზე) და ,,ღია ცის" საკონ-სულტაციო კომისია (მასში წარმოდგენილია ,,ღია ცის" შესახებ 1992 წლის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო), თუმ-ცა ისინი ეუთო-ს ორგანიზაციები არ არაინ, რეგულარულად იკ-რიბებიან ეუთო-ს საკონფერენციო დარბაზში ჰოფსბურგების კონგრესცენტრში (ქ. ვენა).

1996 წლის ლისაბონის სამიტზე უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცა ეუთო-ს საკვანძო როლს ყველა განზომილებით უსაფ-რთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში. ლისაბონის შეხ-ვედრამ ხელი შეუწყო აგრეთვე ევროპული უსაფრთხოების ეუთო-ს ქარტიის შემუშავებაში (მიღებულ იქნა ქ. სტამბოლის 1999 წლის სამიტზე), ქარტიისა, რომელიც მიზნად ისახავს ეუთოს ქმედითუ-ნარიანობის გაუმჯობესებას. სტამბოლშივე ეუთო-ს მონაწილე 30-მა სახელმწიფომ ხელი მაწერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღე-ბებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ხელ-შეკრულების გადასინჯულ ვარიანტს. მათ მხარი დაუჭირეს არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების საქ-მეში ეუთო-ს უფრო აქტიურად და ეფექტიანად ჩარევის აუცილებ-ლობას.

ეუთო-ს სტრუქტურა. პოლიტიკური კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებათა მიმღები მთავარი ორგანოა **მუდმივი საბჭო**. მისი წევრები არიან ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა მუდმივი წარ-მომადგენლები (ელჩები) ვენაში, რომლებიც ყოველკვირეულად იკრიბებიან ეუთო-ს კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხის განსახილველად და გადაწყვეტილებათა მისაღებად.

უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ფორუმი იკრიბება ყოველ კვირას ვენაში, რათა განიხილოს **ეუთო-ს** სივრცეში უშიშროების სამხედრო ასპექტებთან დაკავშირებული საკითხები და მიიღოს შესაბამისი ზომები, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური ფორუმი - 1992 წელს - საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს დაეარსებინათ ეკონომიკური ფორუმი, რათა გაეძლიერებინათ ორგანიზაციის საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კუთხით, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დემოკრატიისა და სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს. მისი მიზანია: პოლიტიკური სტიმული მისცენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას; შეიმუშაონ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრაქტიკული საშუალებები (გზები); ჩამოაყალიბონ ყოველწლიური მიზნები ეკონომიკისა და გარემოს საკითხებთან დაკავშირებით; სპეციფიკური რეკომენდაციებისა და შემდგომი საქმიანობების Gგავრცობა, დაზუსტება;ძირითად დოკუმენტებში აღწერილი მონაწილე ქვეყნების ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა. ყველა ეკონომიკურ ფორუმს წინ უძღვის სემინარების სერია, რომლის მიზანია მოამზადოს მონაწილე ქვეყნები წლის ფორუმისთვის.

ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები წელიწადგამოშვებით მართავენ ,,**მინისტერიალს,**" ხოლო ,,მინისტერიალთა" შორის პერიოდში სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები რამდენიმე წელიწადში ერთხელ იკრიბებიან უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ანუ სამიტზე.

ეუთო-ს თავმჯდომეარე. თავჯდომარის კომპეტენცია: **ეუთოს** ინსტიტუტების მუშაობის კოორდინაცია; ორგანიზაციის წარდგენა; კონფლიქტების თავიდან აცილებასთან დაკავშირებული საქმიანობების ზედამხედველობა, კრიზისების მართვა და პოსტკონფლიქტების რეაბილიტაცია.

მოქმედ თავმჯდომარეს ეკისრება პასუხისმგებლობა აღმასრულებელი საქმიანობისათის. თავმჯდომარე 6 თვეში ერთხელ იცვლება. ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს, შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, საქმიანობაში დახმარებას უწევენ წინა და მომდევნო თავმჯდომარეები და მით იქმნება ე.წ. ,,ტროიკა". მოქმედ თავმჯდომარეს აგრეთვე შეუძლია დანიშნოს პირადი წარ-

მომადგენლები, რომლებსაც ავალებს კონკრეტულ საკითხებზე ან სიტუაციებზე მუშაობას.

ეუთო-ს **საპარლამენტო ასამბლეა** საპარლამენტო ელემენტია, რომლის მონაწილე 55 ქვეყანა მოიცავს მთელ ტერიტორიას ვანკუვერიდან ვლადივასტოკამდე. 317 წევრის მთავარი ამოცანაა, შიდასაპარლამენტო განხილვების ფასილიტაცია და **OSCE**-ს ფარგლებში დემოკრატიული მოძრაობის მხარდაჭერა. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა ატარებს ყოველწლიურ სესიას ივლისში, ხოლო მთელი წლის განმავლობაში აწყობს აგრეთვე სხვადასხვა შეხვედრასა და იღებს რეზოლუციებსა და რეკომენდაციებს ეუთო-ს საქმიანობის შესაბამისად. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგშიც. ასამბლეის სამდივნოს ადგილსამყოფელია კოპენჰაგენი (დანია).

ეუთოს **სამდივნო** დაარსდა 1991 წელს პრაღაში, ხოლო 1993 წელს გადაინაცვლა ვენაში. სამდივნო დირექტორის ხელმძღვანელობით ეწევა ორგანიზაციის ხალშემწყობ საქმიანობას. მისი ადგილსამყოფელია ვენა, ხოლო დახამრებას უწევს პრაღის ოფისი.

ეუთო-ს გენერალური მდივანი, რომლის ადგილსამყოფელია ქ. ვენა (ავსტრია), ფუნქციებს ახორციელებს როგორც ეუთო-ს მიზნების განხორციელებისათვის იღებს. გენერალური მდივნის კომპეტენციაში შედის აგრეთვე ეუთო-ს სტრუქტურებისა და ოპერაციების წარმართვა. სამდივნოში (მისი ადგილსამყოფელია ქ. ვენა) შედის: გენერალური მდივნის ოფისი, კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრი, ადმინისტრაციისა და გარემოს დაცვის სფეროში ეუთო-ს საქმიანობის კოორდინატორი. სამდივნოს პრაღის ოფისი ახორციელებს დოკუმენტების უსაფრთხოებასა და საინფორმაციო ფუნქციებს.

ეუთო-ში შედის აგრეთვე სხვა ინსტიტუტებიც. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია **დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი**, რომელიც აქტიურ როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგსა და ერონული საარჩევნო და ადამიანის უფლებაღთა დამცველი ინსტიტუციების განვითარებაში, ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა დასამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაში,

ადამიანის უფლებათა და არჩევნების მიმართ ეუთო-ს მონიტორინგის მომზადებაში, ჟურნალისტთა მომზადებაში. აღნიშნული სამსახურის ადგილსამყოფელია ქ. ვარშავა (პოლონეთი).

წინასწარი გაფრთხილებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებს **ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი,** რომლის ადგილსამყოფელია ქ. ჰააგა (ჰოლანდია). უმაღლესი კომისარი აფასებს და ცდილობს, ადრეულ ეტაპზე მოაგვაროს სიტუაციები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს ეხება. იგი ხელს უწყობს მხარეებს არაკონფრონტაციული პოლიტიკის განხორციელებაში. ეუთო-ს მეთვალყურეთა მისიები ფუნქციონირებენ: ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, ესტონთში, ლიტვაში, საქართველოში, მოლდოვაში ტაჯიკეთში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიზე - მაკედონიასა და კოსოვოში; ეუთო-ს აგრეთვე დამხმარე ჯგუფში ჰყავს ჩეჩნეთში (რუსეთის ფედერაცია). წარმომადგენლები - ალბანეთში, საკონსულტაციო და სამეთვალყურეო ჯგუფი - ბელორუსიაში, პროექტის კოორდინატორი - უკრაინაში, ოფისი - სომხეთში, საერთო ოფისი - ცენტრალურ აზიაში (უზბეკეთი) და ცენტრები - ალმა-ათაში. აშხაბადსაა და ბიშკეკში; მოლაპარაკება წარმოებს ბაქოს (აზერბაიჯანი) ოფისის გახსნის შესახებ; სოხუმში შექმნილია ადამიანის უფლებათა გაერო-ეუთო-ს ერთობლივი ოფიასი; ეუთო-ს მისიები არაერთხელ დასწრებიან არჩევნებს საქართველოში.

ეუთო-ს კომპეტენციაში შედის აგრეთვე ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლი და ნდობის მოსაპოვებლად მიმართული ზომაბის მიღება. ვენის 1994 წლის დოკუმენტი (1999 წლის შესწორებებით) ავალდებულებს ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს, გამოიჩინონ გამჭვირვალობა თავიანთ სამხედრო საქმიანობაში; ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებულია სამხედრო ქცევის კოდექსი, რომელიც ადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების როლის განმსაზღვრელ პრინციპებს.

ეუთო-მ შექმნა დავათა მშვიდობიანი მოგვარების რამდენიმე მექანიზმი. მათ შორის ორგანიზაციას აქვს **შერიგებისა და არბიტრაჟის სასამართლო, რომელიც** დაარსდა კონვენციის საფუძველზე 1995 წელს და მდებარეობს ქ. ჟენევაში. ეუთო-ს წევრ სა-

ხელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს შერიგებისა და არ-ბიტრაჟის კონვენციას, შეუძლიათ, სასამართლოს გადასცენ სადავო საკითხი, რომელსც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ან შერიგების კომისია გადაწყვეტს. მისი ფუნქციაა ქვეყნებს შორის წარმოშობილი უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარება. კონვენციის წევრია 33 სახელმწიფო.

ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებია: ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, აშშ, ანდორა, ბელგია, ბელორუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია იუგოსლავია, კანადა, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, მონაკო, ნიდრელანდი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, შვედეთი, ჩეხეთი, ხორვატია და ვატიკანი.

ეუთო-ს საქმიანობა ვრცელდება შემდეგ რეგიონებში - სამხრეთ-არმოსავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია, ცენტრალური აზია, დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა. **OSCE**-ს თითოეული რეგიონის მიხედვით, გააჩნია კონკრეტული მიზნები და პრიორიტეტები.

ევროპის კავშირი

ევროპის კავშირი შემოკლებით *ევროკავშირი* -ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. მისი წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა - 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-ის და იაპონიას.

„ერთიანი ევროპის იდეა“ (რომლის თანახმადაც ისტორიული, კულტურული თუ ენობრივი განსხვავებების მიუხედავად, ევ-

როპა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს) 1945 წლამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. XVI საუკუნეში, ჯერ კიდევ რეფორმაციის პროცესის დაწყებამდე, რომის პაპის "ზე-სახელმწიფოებრივი" ძალაუფლება თითქმის მთელ ევროპაზე ვრცელდებოდა. მას შემდეგ კი, რაც ევროპაში სუვერენული სახელმწიფო სისტემები ჩამოყალიბდა, ისეთი განსხვავებული მოაზროვნეები, როგორიცაა ჟან ჟაკ რუსო, ანრი დე სენ-სიმონი (1760-1825) და ჯეზეპე მაძინი, სხვადასხვა დროს ევროპული ნაშრომლობისა და საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების დაარსების იდეებს ავითარებდნენ; ოღონდაც, XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ასეთი იდეები მხოლოდ უიმედო და უტოპიური იყო. II მსოფლიო ომის დასრულებისას კი ევროპა ისტორულად უპრეცედენტო ინტეგრაციის პროცესის მომსწრე გახდა- ზოგის აზრით, იქმნებოდა ის, რასაც 1946 წელს უინსტონ ჩერჩილმა „ევროპის შეერთებული შტატები“ უწოდა. მართლაც, მაშინ როცა ერი- სახელმწიფოს ნაკლოვანებები უკვე აშკარაა, ევროპული ინტეგრაციის ასეთი მოდელი მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობის უნივერსალურ მაგალითს გვთავაზობს.

ცხადია, პროცესის დაჩქრებას თავისი მიზეზებიც ჰქონდა. მნიშვნელოვანი მოვლენების სწრაფი და. შეიძლება ითქვას უალტერნატივო განვითარება 1945 წლის შემდგომ ევროპაში. აქ აღსანიშნავია შემდეგი: ომებით დაუძლურებულ ევროპაში ეკონომიკური რეკონსტრუქციისა და ფართო ბაზრის შექმნის აუცილებლობა. საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების სურვილი, რაც თავის მხრივ, ფრანგულ-გერმანული კონფლიქტის განმუხტვაში გამოიხატა. თავდაცვის უზრუნველყოფა საბჭოთა ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ; დამოუკიდებელი როლის დამკვიდრება ბიპილარულ მსოფლიო წესრიგში.

წარსულში ევროპის ტერიტორიაზე, ევროკავშირის მასშტაბების სადარი ერთიანი სახელმწიფო გაერთიანებები იყო: დასავლეთ რომის იმპერია, ფრანკების სახელმწიფო, საღვთო რომის იმპერია. გასული ათასწლეულის განმავლობაში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების შესახებ მუდამ არსებობდა. ამერიკული რევოლუციის შემდეგ კი გაჩნდა

იდეა ევროპის შეერთებული შტატების შესახებ, რომელიც ხელახლა გაცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი - ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს გზებისა და საშუალებების ძიება მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის. მათ თანდათან გაიაზრეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის იდეა და დაადგნენ პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა და უსაფრთხოება იყო.

დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა. ევროკავშირის ძირითადად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ჩათრეულნი იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში, და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა იდეა გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (Europeam Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (ზეეროვნული) ორგანო, ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება" (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

1957 წელს ხელი მოეწერა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ხელშეკრულებას, ქალაქ რომში. ეს ხელშეკრულება ძალაში 1958 წლის 1 იანვარს შევიდა. რეალურად შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა საბოლოო ტარიფების ნულამდე დაყვანას და სხვა ქვეყნების მიმართ ერთიანი ტარიფის შემოღებას. რეალურად კი არ არსებობდა არც პანევროპული ინსტიტუტი და არც გეოგრაფიულად, ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად ჩამოყალიბებული ევროპის კავშირი. გარდა ამისა, მოხდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებებად ევროპის ნახშირისა და ფოლადის ხელშეკრულების და ევრატომის, ანუ ევროპის ატომური ენერგეტიკის საკითხებში თანამშრომლობის ორგანიზაციის გაერთიანება.

შეიქმნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელსაც 1986 წლის თებერვალში ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ საერთო ევროპული აქტით მოახერხდა ეკონომიკური და მონეტარული ინტეგრაციისათვის საფუძვლის ჩაყრა, რადგან ხელშეკრულებაში ჩაემატა თავი, სადაც ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის კონვერგენცია გაერთიანების მომავალი განვითარების უმთავრეს საწინდარად იყო გამოცხადებული.

1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულება ევროკავშირის განვითარების ახალი ეტაპი გახდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად არა მარტო ჩამოყალიბდა ევროკავშირი, არამედ რომის ფუძემდებლური ხელშეკრულების საფუძვლიანი რევიზიაც მოხდა. საბოლოოდ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ საყრდენს, საიდანაც მხოლოდ პირველი საყრდენი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებები) იქნებოდა საზოგადოებრივი (ანუ რეგულირდება სუპრაეროვნულ დონეზე) და დარეგულირდებოდა ევროპულ დონეზე. რაც შეეხება მეორე (მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები) და მესამე (საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) საყრდენებს, გადაწყდა, რომ მათი ადმინისტრირება ეროვნულ დონეებზე მომხდარიყო, კომისიის და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების ჩარევის გარეშე. მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი და დაიწყო სერიოზული მზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებლად.

პოლიტიკური გაერთიანების გარდა, მოლაპარაკებები წარმატებიტ დასრულდა საერთო ვალუტის შექმნის შესახებ. „ევროს“ შესახებ შეთანხმება მიღწეულია 1999 წელს, თავად ფული კი მიმოქცევაში 2002 წლიდან შემოდის. 2004 წელს ევროკავშირი გაფართოების რადიკალურ ფაზას იწყებს: თავის რიგებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, ცენტრალური და აღოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანას იღებს და ამით წლების განმავლობაში მათ გამყოფ „რკინის ფარდას“ ხსნის. 2007-ში გაერთიანებას ბულგარეთი და რუმინეთიც ემატებიან. მოლაპარაკებები ხორვატყიასთან, მაკედონიასთან და ტურქეთთან მიმდინარებს; პოტენციური კანდიდატების სიაში ბოსნია-ჰერცოგოვინა, ჩერნოგორია და სერბეთიც შედიან.

ევროპის კავშირი აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის საფუძველზე:

- ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება - 1951 წელს ამ ორგანიზაციისგან დაიწყო ევროპის კავშირის შექმნა;
- ევროპული თანამეგობრობა - შეიქმნა 1957 წელს ე.წ. რომის შეთანხმებით და ეწოდებოდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა ანუ “საერთო ბაზარი”;
- ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა - შეიქმნა 1957 წელს.

ევროპის კავშირში ინტეგრაციული პროცესების მთავარი მიზნები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებით:

- რომის შეთანხმება - ხელი მოეწერა 1957 წელს;
- ერთიანი ევროპული აქტი - ხელი მოეწერა 1987 წელს;
- მაასტრიხტის შეთანხმება - ხელი მოეწერა 1992 წელს;
- ამსტერდამის შეთანხმება - ხელი მოეწერა 1997 წლის ოქტომბერში;

ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი დღეისათვის არის 2003 წლის ”მიერთების შეთანხმება”, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლია 1 მაისს. ზემოთაღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში, ევროკავშირის კონ-

სტიტუციის პროექტში, რომლის მიღების პროცედურა ამჟამად მიმდინარეობს.

ევროკავშირი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება ევროპის 28 სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ევროპულ ხელშეკრულებათა დადებისას წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემდნენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს , რომლებიც იცავენ ეროვნულ და საერთო ინტერესებს. ევროკავშირის გამგებლობაშია, კერძოდ, საერთო ეკონომიკური ბაზარი, საბაჟო კავშირი, ერთიანი ვალუტა, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და სხვა.

ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ევროპის კავშირს განასხვავებს მისი უნიკალური ინსტიტუციური სტრუქტურა. შექმნილია დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლების ავსებენ ერთიმეორეს და ყოველ მათგანს გარკვეული როლი აკისრია გადაწყვეტილებათა მირების პროცესში.

ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუციები[6]

რომის ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირის მიმართულებებთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზნების განსახორციელებლად დაარსდა ხუთი ძირითადი ინსტიტუცია:

ევროპის კავშირის საბჭო

ევროკავშირის საბჭო, რომელსაც ასევე მინისტრთა საბჭო ეწოდება, არის ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო ორგანო. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან წევრი სახელმწი-

---

[*] დიდ გაუგებრობას, როგორც წესი იწვევს ევროკავშირის ორგანოების აღრევა ევროსაბჭოსა და მის ორგანოებში. ასე მაგალითად, ხშირად ზოგიერთებს ერთმანეთში ერევა ევროპარლამენტი, რომელიც ევროკავშირის ორგანო არის და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. განსაკუთრებით გაუგებარია ბევრისათვის ევროპაში არსებული სხვადასხვა საბჭოების რაოდენობა და ფუნქციები. შესაბამისად ხშირად ხდება ევროსაბჭოს, ევროკავშირის საბჭოს და ევროპული საბჭოს ერთმანეთში არევა. თავიდანვე უნდა განვასხვავოთ, რომ ევროსაბჭო ეს არის საერთოევროპული ორგანიზაცია, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, და რომლის წევრიც არის საქართველო. რაც შეეხება ევროკავშირის საბჭოს და ევროპულ საბჭოს, ისინი ევროკავშირის ოფიციალურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ და არაფერი აქვთ საერთო ევროსაბჭოსთან. ამ თავში ჩვენ საუბარი სწორედ ამ ორ ორგანოზე გვექნება.

ფოების მინისტრები. იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხი განიხილება საბჭოს სხდომაზე, შესაბამისი მინისტრი წარმოადგენს თითოეულ ქვეყანას (საგარეო საქმეთა, ფინანსთა, სოციალური საკითხების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, და ასე შემდეგ). მიუხედავად იმისა, რომ საბჭოში წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები შედიან, იგი ევროკავშირის ძირითად საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს.

მინისტრთა საბჭო გამოხატავს თითოეული წევრი სახელმწიფოს ინტერესებს. მინისტრთა საბჭო გაერთიანების ყველაზე ძლიერი ორგანოა.საბჭო შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან. მის სხდომას ესწრება ერთი კომისარი მაინც და საბჭოს სამდივნოს მოხელეები. წევრთა შემადგენლობა მუდმივად იცვლება. თუ დღის წესრიგში სოფლის მეურნეობაა, სხდომას ესწრებიან სოფლის მეურნეობის მინისტრები, მრეწველობის საკითხების განხილვას ესწრებიან მრეწველობის მინისტრები, ბიუჯეტის განხილვაში კი მონაწილეობენ ფინანსთა მინისტრები.

საბჭოს ექვსი თვის ვადით ხელმძღვანელობს ერთი წარმომადგენელი თითოეული წევრი სახელმწიფოდან. როტაცია მიმდინარეობს ლათინური ალფაბეტის მიხედვით. კონკრეტული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს ენიჭება მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ტიტული და საბჭოს სამდივნოს დახმარებით მისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო სათავეში უდგას საბჭოს საქმიანობას ექვსი თვის განმავლობაში. ასეთ პერიოდებს უწოდებენ საფრანგეთის პრეზიდენტობის, ჰოლანდიის პრეზიდენტობის ვადას და ა.შ., იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელია ამ პოსტზე.თუ ევროპის კონსტიტუცია მიღებული იქნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, მაშინ როტაციის პრინციპი შეიცვლება ერთი თავმჯდომარით, რომელიც აირჩევა ორწელიწადნახევრით.

საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება მინისტრების მიერ ხმის მიცემის პროცედურის შედეგად. არის ხმის მიცემის სამი პროცედურა, იმის მიხედვით, თუ რომელ საკითხზე მიმდინარეობს კენჭისყრა: უბრალო უმრავლესობა (პრცედურული საკითხებისათვის), კვალიფიცირებული უმრავლესობა (ხმის მიცემის დაბალანსებული სისტემა, სადაც ყველა ქვეყანას აქვს შესაბამისი ხმე-

ბის რაოდენობა მისი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ძირითადად გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა შიდა ბაზარი, ეკონომიკური საკითხები, ვაჭრობა) და ერთსულოვნება (საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, იურიდიული და პოლიციური თანამშმრომლობა და საგადასახადო პოლიტიკა).

ხშირად საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ევროკომისიის მიერ გაკეთებული მოხსენების ან წინადადების საფუძველზე ევროპარლამენტთან ერთად. ეს ხდება ან კონსულტაციების პროცედურის სახით (მაგალითად, ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, იურიდიულ და პოლიციურ თანამშმრლობასთან და გადასახადებთან), ან გადაწყვეტილებებში თანამონაწილეობის (codecision) სახით (შიდა ბაზართან დაკავშირებული საკითხები).

ევროკავშირის კანონმდებლობის გარდა მინისტრთა საბჭო ინაწილებს პასუხისმგებლობას ევროპარლამენტთან (თუმცა მისი როლი მეორეხარისხოვანია) გაერთიანებული ბიუჯეტის მიღებაზე. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე სხვა ინსტიტუციების, როგორიცაა: ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის ან აუდიტორული სასამართლოს დანიშვნა.

საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში 80-90-ჯერ. როგორც წესი სხდომები გრძელდება ერთი დღე, ხანდახან ორი დღე, იშვიათად კი უფრო გრძელვადიან ხასიათს ატარებს. ხშირად ორი-სამი სხდომა ერთდროულად ტარდება. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრების ერთ პალატაში, ხოლო ფინანსთა მინისტრების მეორეში.

1995 წლამდე მინისტრთა საბჭო მდებარეობდა ბარლეიმონის გვერდით მდგომ შარლემან ბილდინგში. ხოლო 1995 წლის შემდეგ მინისტრთა საბჭო და მისი სამდივნო განლაგებულია იუსტუს ლიპსიუს ბილდინგში, ბრიუსელში.

ევროპული საბჭო

ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტად, რომელიც მეტწილად არაფორმალურია, თუმცა აქვს გამორჩეული მნიშვნელობა, არის ევროპული საბჭო, ანუ ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო. მისი შექმნა იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც ნიშნავდა, რომ არ არსებობდა მისი არსებო-

ბის არც ფორმალური და, არც ინსტიტუციონალური საფუძველი. კერძოდ, არ მომხდარა საბჭოს ლეგალიზაცია ახალი ხელშეკრულების გაფორმებით, თუმცა მომდევნო წლების მანძილზე საბჭოს ,,კონსტიტუციონალიზაცია" მაინც მოხდა.

განვითარების სხვადახვა ეტაპზე ევროპის საბჭოს განსხვავებული როლი და ფუნქციები ჰქონდა. თუ დასაწყისში იგი „ბუხრისპირა მოლაპარაკებების" ფორუმს წარმოადგენდა, 80-იან წლებში მოგვევლინა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ ინსტიტუტად და ხელშეკრულებების მომმზადებელ უპირეველეს ორგანოდ, სადაც ფორმდებოდა მნიშვნელოვანი კომპრომისები და მიიღწეოდა ევროკავშირის მომდევნო განვითარების განმსაზღვრელი შეთანხმებები.

ევროპული საბჭო იკრიბება მინიმუმ წელიწადში ორჯერ. ეს შეხვედრები ტარდება როტაციის მქონე პრეზიდენტობის დასასრულს, შესაბამისად ყოველ ექვს თვეში. იმის გამო, რომ პრეზიდენტობის მქონე სახელმწიფოები, როგორც წესი, თვლიან, რომ მათ უნდა მოახდინონ თავიანთი მიღწევების აფიშირება, ყოველი პრეზიდენტობის დროს ტარდება დამატებით ერთი სამიტი მაინც. 90-იანი წლების შუა ხანებიდან მსგავსი სამიტები იმართება წელიწადში ოთხჯერ. სამიტები ტარდებოდა პრეზიდენტობის მქონე ქვეყანაში, თუმცა 2001 წლიდან გადაწყდა, რომ ერთი სამიტი მაინც თითოეული პრეზიდენტობის პერიოდში ჩატარებულიყო ბრიუსელში. რაც შეეხება სამიტების ხანგრძლივობას, ისინი გრძელდება რამდენიმე დღე, თუმცა ამ ბოლო დროს მათი შეხვედრების ხანგრძლივობა შემცირდა ერთ დღემდე.

ევროპული საბჭოს ფუნქციებში შედის როგორც ზოგადი სახის მითითებების მიცემა ევროკავშირის განვითარებსიათვის, ასევე კონკრეტულ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება. მართალია, ზოგჯერ ევროპული საბჭოს როლი ევროკავშირის განვითარების და ინტეგრაციის ახალი გეზების მოძებნაში დიდია, მისი საქმიანობა ხშირად ძირს უთხრის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას.

ევროპის პარლამენტი

ევროპარლამენტის მიზანია მოახდინოს ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუციების დემოკრატიული კონტროლი და დააკის-

როს მათ პასუხისმგებლობა, თუმცა მისი ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდულია. იგი არ წარმოადგენს გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოს და მის სტატუსს ვერ შევადარებთ წევრ სახელმწიფოთა ეროვნული პარლამენტების სტატუსებს. ევროპარლამენტი არის ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ასამბლეის მემკვიდრე, რომელიც დაარსდა სტრასბურგში, როგორც მრჩეველთა ორგანო.

ევროპარლამენტი შეიქმნა პარიზის ხელშეკრულებასთან ერთად, თუმცა სახელი ევროპარლამენტი ეწოდა მხოლოდ 1962 წელს. 1979 წლიდან ევროპარლამენტი არის არჩევითი და მის არჩევაში მონაწილეობს ევროკავშირის ყველა მოქალაქე. არჩევნების სისტემა ყველა სახელმწიფოში განსხვავებულია, თუმცა არჩევნები დროის ერთ მონაკვეთში ტარდება და ყველა ქვეყანაში შედეგებიც ერთდროულად ქვეყნდება. ძირითადად, ხმის მიცემა ხდებოდა პროპორციული წესით, დ'ონდტის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი გამორჩეულია იმით, რომ მასში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მცირე პარტიების უფლებები. იტალიაში გამოიყენებოდა ღია სიები, დიდ ბრიტანეთში კი დახურული სიები (ინგლისი, უელსი და შოტლანდია) და ერთჯერადი გადატანითი ხმების (single transferrable votes) სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტი საკონსულტაციო ორგანოს წარმოაგენს, უკანასკნელ ხანებში გაიზარდა მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გავლენა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე არის სამგვარი: 1) საკანონმდებლო პროცესი, 2) ბიუჯეტის მიღების პროცესი და 3) აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა.

ევროკომისია

ევროკომისია წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს. მის წევრებს, რომელთა დანიშვნაც ხდება ეროვნული მთავრობის მიერ, არავითარი ვალდებულება არ აკისრიათ მათ წინაშე. კომისიის წევრთა მთელი ძალისხმევა მიმართულია ევროკავშირის როგორც ერთი მთლიანობის ინტერესებისკენ. კომისიის თითოეული წევრი მოცემულ თანამდებობაზე დანიშვნისას წარმოთქვამს საზეიმო დეკლარაციას.

ევროკომისია შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან, ქვეყანების გარკვეული ნაწილი ევროკომისიაში წარმოდგენილია ორი კომისიის წევრით, ხოლო დანარჩენი - ერთით. მოცემულ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ 5 წლის ვადით ეროვნულ მთავრობათა წარდგენით. შესაძლებელია კომისიის წევრის ხელახალი დანიშვნა. ტრადიციულად კომისიის წევრთა ერთი ნაწილი ოთხწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა ინიშნება, ნაწილი კი - იცვლება ახალი კანდიდატებით. კომისიის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ პოლიტიკოსები, რომლებიც წევრ ქვეყანაში წარმოადგენენ მმართველ პარტიას.

კომისიის მოვალეობები ჩამოთვლილია რომის ხელშეკრულების 155-ე მუხლში, რომლებიც ზოგადად მოიცავს საინიციატივო, აღმასრულებელი და ზედამხედველობითი ფუნქციების შესრულებას.

ევროკომისიას ევალება ევროსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკში განხორციელება. კომისია ახდენს წევრი სახელმწიფოების მიერ გაერთიანების კანონების შესრულების კონტროლს, როგორც კი იგი ჩათვლის, რომ წევრმა სახელმწიფომ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები, მან უნდა გამოთქვას თავისი აზრი და შემდგომ შეუძლია აღძრას საქმე უზენაეს სასამართლოში მოცემული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

კომისიის პრეზიდენტი არის ევროკომისიის და ხშირ შემთხვევაში მთელი ევროკავშირის სახე. კომისია შედგება გენერალური დირექტორატებისა და სამსახურებისაგან. ეს სტრუქტურა დაახლოებით წააგავს სახელმწიფო უწყებებში არსებული დეპარტამენტების სტრუქტურას.

ევროკომისიის შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში და უკავია სპეციალურად ამ მიზნით 1992 წელს აგებული მინის ფასადის მქონე ბარლეიმონის შენობა. კომისიის პერსონალი 16 000 კაცისგან შედგება, რომელთა ერთი-მესამედიც დაკავებულია გაერთიანების 11 ოფიციალურ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, შვედური, ფინური) თარგმნით, 1 600 თანამშრომელი აწარმოებს მეცნიერული კვლევებს ისპრაში (იტალია), ქალ-

ჰემსში (გაერთიანებული სამეფო), გილში (ბელგია) და სხვა მრავალ ცენტრებში.

პერსონალი, რომლის ნაწილიც ლუქსემბურგშია, ორგანიზებულია 36 დეპარტამენტად და გენერალურ-დირექტორებად, რომელთაგანაც თითოეული ექვემდებარება ერთ ან ორ კომისარს.

ევროკომისია იკრიბება ყოველ ორშაბათს დილით და თუ დღის წესრიგი დატვირთულია სხდომა შეიძლება გაგრძელდეს ლანჩის შემდეგაც. ხშირად იგეგმება დამატებითი სხდომები. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს როგორც წესი კენჭისყრის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ყველა ოფიციალური დოკუმენტი ითარგმნება და ქვეყნების ოფიციალურ პირთა დასწრებით ჩატარებული სხდომების სინქრონული თარგმნა თერთმეტივე ენაზე ხდება, კომისიის შიგნით ყოველდღიური საქმიანობა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე წარმოებს.

ევროსასამართლო

რომის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის მასშტაბით კანონის მოქმედების შემოწმების ამოცანას ასრულებს ევროსასამართლო, რომელიც განთავსებულია ლუქსემბურგში.

ევროსასამართლო შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენელი მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატებისაგან. მოსამართლეთა არჩევას ახენს მინისტრთა საბჭო, წევრ სახელმწიფოთა წარდგენის საფუძველზე. სასამართლოს წევრები ფლობენ თავიანთ ქვეყანაში უმაღლეს იურიდიულ თანამდებობაზე დანიშვნისთვის საჭირო კვალიფიკაციას, ან წარმოადგენენ აღიარებული კომპეტენციის მქონე იურისტ-კონსულტანტებს (რომის ხელშეკრულების 167 მუხლი). მათი დანიშვნა ხდება ექვსწლიანი განახლებადი ვადით. სასამართლოს შემადგენლობის ნახევრის განახლება ხდება ყოველ სამ წელიწადში. იგივე პრინციპით ხდება გენერალური ადვოკატების დანიშვნაც.

მოსამართლეები თავიანთი წევრებიდანვე ირჩევენ ევროსასამართლოს პრეზიდენტს სამწლიანი განახლებადი ვადით. მნიშვნელოვანი საქმეებისა და წევრი ქვეყნის, ან გაერთიანების ინსტიტუციის მიერ აღძრული საქმის განხილვისას სასამართლო განუხრელად მოქმედებს როგორც ერთიანი ორგანო. სხვა საქმეების განხილვა ევალებათ სასამართლოს შიგნით მოქმედ პალატებს. ნე-

ბისმიერ ეტაპზე პალატას შეუძლია გადასცეს საქმე სრულ სასამართლოს, თუ მისი აზრით წარმოქმნილი იურიდიული გარემოება მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას.

ევროკავშირის სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტებია ევროკავშირის საფინანსო ორგანიზაციები: ევროპის ცენტრალური ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი. ასევე ევროკავშირის სხვა დამხმარე ორგანოები: ევროპის რეგიონთა კომიტეტი; ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი; ევროპის პოლიტიკის და უშიშროების კომიტეტი.

ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებშია განთავსებული: ბრიუსელი (ბელგია), სტრასბურგი (საფრანგეთი), ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი), მაინის ფრანკფურტი (გერმანია). ევროკავშირს ოფიციალური პოლიტიკური ცენტრი არა აქვს, თუმცა დე-ფაქტო "დედაქალაქად" ბრიუსელი ითვლება

ევროკავშირის დამფუძნებელი სახელმწიფოები:

• 1950: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი

ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოები:

• 1973: დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია

• 1981: საბერძნეთი

• 1986: ესპანეთი, პორტუგალია

• 1995: ავსტრია, ფინეთი, შვედეთი

• 2004: ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი

• 2007: ბულგარეთი, რუმინეთი

• 2013: ხორვატია

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოები:

• 201?: თურქეთი, მაკედონია, ისლანდია, სერბეთი

ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს პლურალისტურ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, გააჩნია გამართული და

კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს.

ევროზონა , ასევე **ევროსისტემა** ან **ევროლენდი** — რეგიონი, რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი,სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი,სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს — ესტონეთი.

შენგენის ზონაში შედის ევროპის 25 სახელმწიფო, რომლებმაც 1985 წელს ქალაქ შენგენში (ლუქსემბურგი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. შენგენის ზონა ჰგავს ერთგვარ სახელმწიფოს, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტულ ზონისათვის, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება.

ეს წესები შეიმუშავა 1999 წლის ევროკავშირის ქვეყნებისამსტერდამის შეხვედრამ. გარდა ამისა შენგენის ხელშეკრულება მოქმედებს სამ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში: ისლანდიაში,-ნორვეგიასა და შვეიცარიაში და დე-ფაქტოდ სამ მიკრო-სახელმწიფოში: მონაკოში, სან-მარინოში და ვატიკანში. ევროკავშირის ყველა ქვეყანამ გარდა დიდი ბრიტანეთისა დაირლანდიის, შეასრულა დანაპირები და შევიდა შენგენის ზონაში.

გამონაკლისია კვიპროსი, რუმინეთი და ბულგარეთი, რომლებიც უახლოეს მომავალში შევლენ კავშირში. ამ დროისათვის შენგენის ხელშეკრულება მოიცავს: 25 ქვეყანას, 4 312 099 კვ. კმ. და 400 მილიონ მოსახლეს.

შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა რომ შიდა, სახელმწიფოებს შორის საზღვრები გაუქმებულიყო. ხოლო გარე საზღვრები გამაგრებულიყო. ასევე ქვეყნები ვალდებულნი არიან რომ ერთიანი პილიტიკა შეიმუშავონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის შექმნას.

შენგენის ზონამ დაიწყო ფუნქციონირება 1995 წლის 26 მარტის. თავდაპირველად ხელშეკრულება ამოქმედდა 6 ქვეყანაში: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი და პორტუგალია. 1997 წელს შეუერთდა იტალია და ავსტრია. 1999 წლის ამსტერდამის შეხვედრაში ხელშეკრულებამ საერთო ევროპული სამართლებრივი სტატუსი მიიღო, ანუ ევროკავშირის ყოველი ახალი წევრი ვალდებული იყო კანონმდებლობა მოწესრიგებინა ამ დოკუმენტის გათვალისწინებით. 2000 წელს ზონაში შევიდა ახლადმიღებული საბერძნეთი და სკანდინავიის საპასპორტო კავშირის (ფინეთი, დანია, შვედეთი) ქვეყნები, ხოლო 2001 წელს ევროკავშირის არაწევრი 2 ქვეყანა ისლანდია და ნორვეგია. 2007 წელს ზონაში შევიდნენ - ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. 2008 წლის 12 დეკემბერს ხელშეკრულებას მესამე არაწევრი ქვეყანა, შვეიცარია შეუერთდა.

თემა XV

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსი

გაერო

გაერო თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დიდი და ავტორიტეტული ორგანიზაციაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანება და საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციაა. გაერო თავად არ ფლობს სუვერენიტეტს. ორგანიზაციის ნებას წევრი-სახელმწიფოები განსაზღვარავენ, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით - კონსესუსის ან კენჭისყრის გზით.

1941 წლის აგვისტოს აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სერ უინსტონ ჩერჩილი ატლანტიკის ოკეანეში საბრძოლო ხომალდზე („უელსის პრინცი“) გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ მსოფლიო სამშვიდობო გეგმაზე. მოგვიანებით 1942 წლის 1 იანვარს, 26 სახელმწიფოს წარმომადგენელი აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში შეიკრიბა, სადაც პირველად გაჩნდა ტერმინი „გაერთიანებილი ერები“, რომელიც რუზველტს ეკუთვნის.

შემდეგი შეხვედრა მოსკოვში შედგა. ამ შეხვედრაზე აშშ-ს, სსრკ-ს, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები შეთანხმდნენ ჩამოეყალიბებინათ ორგანიზაცია, რომელსაც მშვიდობისა და უსაფრთხოების ფუნქციები დაეკისრებოდა.

1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოში 50-მა სუვერენულმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა გაეროს წესდებას. დამფუძნებელი კრება კალიფორნიის შტატში, სანფრანცისკოში, რედვოდ გროუში გაიმართა. ოფიციალურად გაერო შეიქმნა 24 ოქტომბერს, წესდების რატიფიცირება მოხდა ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ.

თითოეული სახელმწიფო, განურჩევლად სიდიდისა, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერებისა, ერთი ხმის მფლობელია. გამონაკლისია უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი. ესენია: აშშ. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და რუსეთის ფედერაცია. მათ

მსოფლიო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას შეუძლიათ ვეტოს უფლება გამოიყენონ.

გაეროს დამფუძნებელი აქტი - გაეროს წესდება - განსაზღვრავს ორგანიზაციის მანდატს, მისი წევრების უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციის სტრუქტურასა და პროცედურას.

გაეროს შტაბ-ბინა განლაგებულია ნიუ-იორკში. გაეროს მართვის ცენტრალური ორგანოები და დაწესებულებები მდებარეობს ნიუ-იორკში (აშშ), ვენაში (ავსტრია), ჟენევაში (შვეიცარია) და ნაირობიში (კენია). გაეროს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აქვს მისი წარმომადგენლობა.

გაეროს წევრი ქვეყნების რაოდენობა შეადგენს 194. საქართველო გაეროს წევრია 1992 წლიდან.

გაეროს აქვს 6 ოფიციალური ენა. ესენია: ინგლისური, ფრანგული, რუსული, სპანური, ჩინური და არაბული.

გაეროს მიზნები და ამოცანები

გაეროს წესდების მიხედით მისი ძირითადი მიზანია: დაეხმაროს მსოფლიოს ყველა ხალხის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. გაერო ასევე მიზნად ისახავს:

- დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება;
- ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით განავითაროს მეგობრული ურთიერთობები სხვადასხვა ერებს შორის;
- გააღრმავოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული სახის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განვითარების მიზნით;
- გახდეს საერთაშორისო ცენტრი ამ მიზნების შესათანხმებლად და განსახორციელებლად.

მისი მთავარი ამოცანაა კაცობრიობის წინაშე მდგომი ძირითადი პოლიტიკური პრობლემების მოწესრიგება. ამავე დროს გაეროს პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური ხასიათის საკითხების გადაწყვეტასთან.

დასახული ამოცანების განხორციელებისას ორგანიზაცია და მისი თითოეული წევრი სახელმწიფო ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

- ორგანიზაციის წევრთა სუვერენული თანასწორობა;
- ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება;
- საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დასაცავად საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით მოწესრიგება;
- საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;
- საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარისაგან თავის შეკავება;
- გაეროსათვის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებაში დახმარება და თავის შეკავება იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერისაგან, რომელთა წინააღმდეგად გაერო, წესდებიდანვე გამომდინარე, პრევენტული ხასიათის იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს.

გაეროს ძირითად **ფუნქციას** კი წარმოადგე ნს - განახორციელოს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა ეკონომიკური წესრიგის დამყარების მიზნით. გაეროს საქმიანობის ძირითადი**პრინციპებია** - მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

გაეროს წევრობა

ორგანიზაციის წევრებად მიიღებიან ნებისმიერი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, რომლებიც იღებენ ვალდებულებებს წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულება. ორგანიზაციის წევრად გახდომისათვის საჭიროა უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია (არანაკლებ 9 ხმისა ყველა მუდმივი წევრის ხმათა ჩათვლით) და გენერალური ასამბლეის წევრთა 2/3-ის თანხმობა.

გაეროს სტრუქტურა

გაერთიანებული ორგანიზაცია ექვსი ძირითადი ორგანოსაგან შედგება, თუმცა გაეროს „ოჯახი“ უფრო ფართოა და მოიცავს 15 სპეციალიზებილ სააგენტოს, რამდენიმე პროგრამასა და ორგანიზაციას.

გაეროს ძირითადი ორგანოებია:

- გენერალური ასანბლეა;

• უშიშროების საბჭო;

• ეკონომიკური და სოციალური საბჭო;

• საერთაშორისო სასამართლო;

• სამეურვე საბჭო და გაეროს სამდივნო, რომელსაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.

გაეროს ორგანიზაციული სტრუქტურა

გენერალური ასამბლეა გაეროს ძირითადი სათათბირო ორგანოა. მისი უნიკალური ხასიათი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მასში გაეროს ყველა წევრი-სახლმწიფოა წარმოდგენილი. გაეროს „მსოფლიო ფორუმი“ 191 წევრ-სახლმწიფოს აერთიანებს. გენერალური ასამბლეა კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს და ერთმანეთისაგან განსხვავებულ, გლობალური თუ უნივერსალური ხასიათის, პრობლემებს განიხილავს. ეს პრობლემებია: საყოველთაო მშვიდობა, ადამიანის უფლებები, მდგრადი განვითარება, ჩვენი პლანეტის ეკოლოგია, მსოფლიო მოსახლეობის ზრდა და მრავალი სხვა. სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, განურჩევლად ქვეყნის სიდიდისა თუ ძლიერებისა, თითოეულ სახელმწიფოს ერთი ხმის უფლებას ანიჭებს, გადაწყვეტილება კი - ხმათა უმრავლესობით მიიღება.

საკითხები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა, მაგალითად, საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება, ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება თუ საბიუჯეტო პრობლემები, ხმათა 2/3-ით უნდა იყოს დამტკიცებული. სხვა საკითხები ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღება.

გაეროს შტაბ-ბინაში (ნიუ-იორკში) განლაგებულია წევრი სახელმწიფოების მუდმივმოქმედი დიპლომატიური მისიები, რომელთაც მუდმივი წარმომადგენლის სტატუსით გაეროში წევრ-სახელმწიფოთა ელჩები ხელმძღვანელობენ. გენერალურ ასამბლეაზე წევრი-სახელმწიფო წარდგენილია დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელით, რომელიც კენჭისყრისა და საკითხის განხილვის პროცესში მონაწილეობს.

ყოველ წელს, სექტემბრის ბოლოს, გენერალური ასამბლეა ნიუ-იორკში მორიგ პლენარულ შეხვედრას ხსნის. ასამბლეას წინ უძღვის სპეციალური დებატები, რომლებშიც სახელმწიფოთა მე-

თაურები და საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები მონაწილეობას იღებდნენ. აქ მსოფლიოში არსებული ფართო პრობლემატიკა განიხილება და საკუთარ შეხედულებებსა და პოლიტიკას განმარტავენ.

პლენარული სესიების გარდა, გენერალური ასამბლეა საგანგებო სიტუაციების დროსაც იმართება. საგანგებო სესიის მოწვევა შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში უშიშროების საბჭოს ან ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობის მოთხოვნით. ასამბლეის წევრთა შეკრება ერთი სახელმწიფოს ინიციატივითაც შეიძლება მოხდეს, თუ მას უმრავლესობა დაუჭერს მხარს.

გენერალურ ასამბლეას აქვს შემდეგი ფუნქციები და მოვალეობები:

• საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოების დაცვის ზოგადი საკითხების, მათ შორის განიარაღებისა და შეიარაღების მარეგულირებელი პრინციპების განხილვა;

• საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობა;

• წესდების ფარგლებში ნებისმიერი საკითხის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;

• პოლიტიკის, კულტურის, განათლების, ეკოლოგიისა თუ ჯანდაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების, საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და კოდიფიკაციის, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზაციის მიზნით კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება;

• რეკომენდაციების შემუშავება იმ საერთაშორისო დავათა მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ, რომელთაც შეიძლება სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობები საფრთხის ქვეშ დააყენონ;

• უშიშროების საბჭოსა და გაეროს სხვა ორგანოთა მოხსენებების მოსმენა და განხილვა;

• ორგანიზაციის ბიუჯეტისა და სახელმწიფოთა საწევრო შესატანის მოცულობის განხილვა და დამტკიცება;

• უშიშროების საბჭოს დროებითი წევრებისა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შემადგენლობის არჩევა; სამეურვეო

საბჭოს არჩეული წევრების დამტკიცება; უშიშროების საბჭოსთან ერთად საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებისა და უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გაეროს გენერალური მდივნის არჩევა.

გენერალური ასამბლეის მიერ დასამტკიცებელ საკითხებს უმთავრესად მისი 6 ძირითადი კომიტეტი განიხილავს:

I კომიტეტი - განიარაღებისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისა საკითხებს;

II კომიტეტი - ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს;

III კომიტეტი - სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურის საკითხებს;

IV კომიტეტი - სპეციალურ პოლიტიკურ და დეკოლონიზაციის საკითხებს;

V კომიტეტი - საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ საკითხებს;

VI კომიტეტი - სამართლებრივ საკითხებს.

კომიტეტები ასამბლეის ძირითად სამუშაო ერთეულებს წარმოადგენენ. საკითხის განხილვისას გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. რიგ შემთხვევაში, როდესაც არავინ არის წინააღმდეგი, საკითხი კენჭისყრის გარეშე წყდება.

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება რეზოლუციის სახით გამოდის, რომლის შესრულებაც სახელმწიფოთათვის სავალდებულო არ არის. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება ერთადერთ შემთხვევაში აქვს სავალდებულო ძალა: როდესაც გადაწყვეტილება გაეროს ბიუჯეტის საკითხს ეხება. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია სახელმწიფოსთვის საერთაშორისო არენაზე მორალური პასუხისმგებლობის ჩარჩოა, რომლის ფარგლებშიც ქვეყანას აქვს თავისუფალი არჩევანის უმთავრესი უფლება. მისი შესრულება ან შეუსრულებლობა ქვეყნის პრეროგატივაა, მაგრამ ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟსა და გავლენაზე.

უშიშროების საბჭო არის საყოველთაო მშვიდობისთვის პასუხიმგებელი მთავარი ორგანო გაეროს შემდგენლობაში. იგი 15 წევრისგან შედგება. 5 მათგანი - აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი და ჩინეთი - საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსით სარგებლობს. დროებითი 10 წევრი კი 2 წლის ვადით,

გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით, გენერალური ასამ-ბლეის მიერ აირჩევა.

უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ერთპიროვნული ვეტოს უფლებით სარგებლობენ, ანუ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი მათგანის უარი საკითხის ჩავარდნას ნიშნავს. გადაწ-ყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს 9 წევრის თანხმობა, თა-ნაც არც ერთი მუდმივი წევრი საკითხის წინააღმდეგი არ უნდა იყოს (თუ მუდმივი წევრი არ ეთანხმება საკითხს, თუმცა არც მისი საბჭოში ბლოკირება სურს, მას შეუძლია თავი შეიკავოს).

უშიშროების საბჭო პლენარულ სესიებს არ ატარებს. საჭი-როების შემთხვევაში მისი შეკრება უმოკლეს დროში შეიძლება - რომელიმე, თუნდაც არაწევრი სახელმწიფოს თხოვნით ან გენერა-ლური მდივნის მოწოდებით. საბჭოს წევრი სახელმწიფოები ვალ-დებულნი არიან უზრუნველყონ მათი წარმომადგენლების გან-თავსება ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში.

უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომ-ლის ფუნქციებს მონაცვლეობით ერთი თვის ვადით საბჭოს წევრი-სახელმწიფოს წარმომადგენლები ასრულებენ. რიგითობა ლათი-ნური ანბანის მიხედვით განისაზღვრება. უშიშროების საბჭოს სხდომას გაეროს გენერალური მდივანიც ესწრება.

გაეროს უშიშროების საბჭოს ფუნქციებსა და კომპეტენცია-ში შედის შემდეგი საკითხები:

• საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფა;

• საერთაშორისო დავების ან იმ სიტუაციების შესწავლა, რომელთაც შეუძლიათ საერთაშორისო არენაზე ახალი დაძაბუ-ლობის კერა წარმოქმნან;

• აღნიშნული სახის დაძაბულობის განმუხტვის ან მოგვარე-ბის მეთოდების შემუშავება;

• შეიარაღებაზე კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების გეგ-მის შემუშავება;

• მშვიდობისადმი მუქარის ან აგრესიის ფაქტების გამოვლე-ნა და მათ აღსაკვეთად რეკომენდაციის შემუშავება;

• აგრესიის აღკვეთის მიზნით გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის ეკონომიკური ან სხვა სახის სანქციების დაწესებისკენ მოწოდება;

• აგრესიის წინააღმდეგ შეიარაღებული აქციის განხორციელება;

• ორგანიზაციაში ახალი წევრებისთვის რეკომენდაციის გაწევა;

• გაეროს მხრიდან „სტრატეგიული რაიონების“ მეთვალყურის ფუნქციის განხორციელება;

• გენერალური ასამბლეისთვის გენერალური მდივნის კანდიდატურისთვის რეკომენდაციის გაწევა და ასამბლეასთან ერთად საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობის არჩევა.

საერთაშორისო კონფლიქტის წარმოშობისას უშიშროების საბჭო, უპირველეს ყოვლისა, დაპირისპირებულ მხარეებს დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის რეკომენდაციას აძლევს. უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში სამშვიდობო მექანიზმის ამუშავებაც შედის: მას შეუძლია ესკალაციის ზონაში დამკვირვებელთა მისიის ან სამშვიდობო ჯარების გაგზავნა. პირველის ფუნქციაა სიტუაციის მონიტორინგი და ანალიზი, ასევე პირველადი ინფორმაციის მიწოდება უშიშროების საბჭოსთვის. მეორეს შემთხვევაში - მხარეთა დაშორიშორება, სამშვიდობო კორდონის შექმნა, ჰუმანიტარული მისია. სამშვიდობო ჯარებს ეკრძალებათ იარაღის გამოყენება. ცეცხლის გახსნა უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი, მხოლოდ თავდაცვის მიზნით.

გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია ეკონომიკური სანქციების, ბლოკადის და ა.შ. დაწესების შესახებ, ხოლო მათი არაეფექტურობის შემთხვევაში - იგი უფლებამოსილია აგრესორის დასაშოშმინებლად საერთაშორისო მშვიდობისა და სამართლიანობის აღსადგენად ყოველგვარი სახმელეთო, საჰაერო ძალები თუ სხვა სახის საშუალებები გამოიყენოს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი) გაეროს ძირითადი ორგანოა, რომელიც ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სფეროში მისდამი დაქვემდებარებული დამხმარე ორგანოებსა და ინსტიტუტების საქმიანობას წარმართავს. საბჭო შედგება 54 წევრისაგან, რომელიც გენერალური ასამბლეის მიერ 3

წლის ვადით აირჩევა. საბჭოზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ეკოსოსი უმნიშვნელოვანესი ფორუმია, რომელზეც განიხილავენ საერთაშორისო სისტემაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემატიკას, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს წევრ-სახელმწიფოთა მთავრობებისა თუ გაეროს სისტემის შემადგენელი ორგანიზაციებისათვის.

ეკოსოსი სწავლობს, აანალიზებს და რეკომენდაციას გასცემს საერთაშორისო სისტემაში არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ, განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ეკოსოსი კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაცემის გზით კოორდინაციას უწევს სპეციალიზებული დაწესებულებების საქმიანობას.

ეკოსოსის შეხვედრები წელიწადში ერთხელ ჟენევაში ან ნიუიორკში იმართება, რომელშიც სახელმწიფოთა უმაღლესი პირები მონაწილეობენ. სესიის ხანგრძლივობა 5 კვირამდეა. სესიებს შორის ეკოსოსის საქმიანობას მისი სხვადასხვა ორგანოები, კომისიები და კომიტეტები წარმართავენ. ეკოსოსის შემადგენლობაში 9 ფუნქციური კომისია და 4 მუდმივი კომიტეტიც შედის:1) პროგრამებისა და საკოორდინაციო; 2) განახლების; 3) არასამთავრობო ორგანიზაცია; 4) სამთავრობათაშორისო სააგენტოებთან ურთიერთობის კომიტეტი.

გაერო მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. მსოფლიოში 1500-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას ეკოსოსის სპეციალური დამკვირვებლის სტატუსი აქვს. ამ ორგანიზაციებს 3 კატეგორიად ყოფენ: I - ეკოსოსის საქმიანობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ორგანიზაციები; II - ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან პერიოდულად მონაწილეობა მიიღონ ეკოსოსის მიერ დასახული პრიორიტეტების განხორციელებაში, III - ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა სახის კონსულტაციებში მონაწილეობენ.

სამეურვეო საბჭო გაეროს ძირითადი ორგანოა, რომლის ჩამოყალიბების უმთავრეს მიზანს, ერთიანი სისტემის მეშვეობით, სამანდატო (სამეურვეო) ტერიტორიების მეთვალყურეობა წარმოაედგენს. მისი ფუნქცია წესდებითაა განსაზღვრული და 11 ტერი-

ტორიის მოსახლეობის კეთილდღეობის განვითარება და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის პროცესის ხელშეწყობა აკისრია.

სამეურვეო საბჭო უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრისაგან არის დაკომპლექტებული. საბჭოს უფლება მიეცა გამოეკვლია და განეხილა ასეთ ტერიტორიათა მმართველი აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშები ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

დღეს ყველა სამანდატო ტერიტორიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1994 წელს უკანასკნელი ათი ტერიტორიის დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირება შეჩერდა. მიღებული გადაწყვეტილებით, საბჭოს საქმიანობა განახლდება პირველივე მოთხოვნისთანავე.

საერთაშორისო სასამართლო გაეროს წესდებით ჩამოყალიბებული ორგანოა, რომელიც ჰააგაშია (ნიდერლანდები) განლაგებული. საერთაშორისო სასამართლო იმ დავებს განიხილავს, რომლებშიც მოსარჩელე მხარეებს სახელმწიფოები წარმოადგენენ. მისი გადაწყვეტილებები რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დასკვნით შემოიფარგლება. შეხედულებებსა და დასკვნებს სასამართლო გაეროს წარუდგენს. საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი წესდების შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფო გაეროს წესდებასთან მიმართებით სასამართლოს სტატუტსაც ავტონომიური წესით უერთდება. გაეროს ამ ორგანოს ნებისმიერმა წევრმა-სახელმწიფომ შეიძლება მიმართოს.

საერთაშორისო სასამართლოს სტატუტთან მიერთებული ქვეყნები, რომლებიც სასამართლოში განსხვავებული საკითხის მხარეს წარმოადგენენ, სარგებლობენ განაწესითა და პროცედურებით, რომელსაც თავად სტატუტი განსაზღვრავს. ქვეყნები, რომლებიც მას არ უერთდებიან, უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით მოქმედებენ.

გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს საშუალება აქვთ საკონსულტაციო დასკვნისთვის საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერი საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემით მიმართონ. გაეროს სხვა ორგანოებსა და სპეციალიზებული სააგენტოების მიერ წარდგენილი საკითხები კი თავად ამ სააგენტოე-

ბის საქმიანობისა და კომპეტენციის სფეროს არ უნდა სცილდებოდეს.

საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია მონაწილე მხარეების მიერ გადაცემულ ნებისმიერ საკითხზე ვრცელდება. აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებსაც გაეროს წესდება, მოქმედი ხელშეკრულებები თუ დეკლარაციის საფუძველზე ქვეყნებს თავიდანვე შეუძლიათ აიღონ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება.

სასამართლო შედგება 15 წევრისაგან, რომლებსაც გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ირჩევს. შერჩევა ხდება მათი კვალიფიკაციის და არა ეროვნების, ანუ სახელმწიფოებრივი კუთვნილების საფუძველზე. სასამართლოში წარმოდგენილი უნდა იყოს მსოფლიოს ყველა ძირითადი სამართლებრივი სისტემა. დაუშვებელია ერთი სახელმწიფოდან ორი მოსამართლის არჩევა. სასამართლოს წევრებს 9 წლის ვადით ირჩევენ და ამ ვადის დასრულების შემდეგ კვლავ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ მოსამართლის მანტიაზე. საერთაშორისო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს პარალელურად სხვა საქმიანობით იყოს დაკავებული.

სასამართლო საკითხებს სრული შემადგენლობით განიხილავს, მაგრამ მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე საკითხის განხილვა შესაძლებელია მცირე შემადგენლობითაც. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სასამართლოს სრული შემადგენლობის მიერ დადგენილი გადაწყვეტილების ტოლფასია. სასამართლო პროცესი საჯაროა. თუმცა, მხარეთა მოთხოვნით მისი დახურული სახით წარმოებაც შეიძლება.

გაეროს სამდივნო ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს. იგი გაეროს მიერ შემუშავებული პოლიტიკისა და კურსის განხორციელებას უწევს კოორდინაციას; ახორციელებს გაეროს პროგრამებისა და პროექტების ადმინისტრირებას და ორგანიზაციის ძირითად აღმასრულებელ რგოლს წარმოადგენს.

გაეროს სამდივნოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. მას გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე 5 წლის ვადით ირჩევს. ვადის გასვლის შემდეგ გენერალური მდივანი კიდევ 1 ვადით შეიძლება აირჩიონ. გაე-

როს გენერალური მდივანი, ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი პირი, გაეროს ძირითადი ორგანოებისა და მისი სისტემის დამაკავშირებელი რგოლია. გენერალური მდივანი ორგანიზაციის სახე და სიმბოლოა. იგი საერთაშორისო საზიგადოებრიობის ნების გამომხატველი და მშვიდობის დესპანია. გაეროს რიგით VII გენერალური მდივანი 1997 წლის 1 იანვრიდან არის კოფი ანანი.

გაროს სამდივნოს საქმიანობა ძალზედ მრავალფეროვანია. იგი მოიცავს სამშვიდობო ოპერაციებს, მდგრად განვითარებასა და ადამიანის უფლებებს; ასევე ეკონომიკურ და სხვა საკითხებს. სამდივნოს მოვალეობაში შედის მსოფლიოს ინფორმირება მიმდინარე საკითხების და, საერთოდ, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. ასევე, პლანეტის ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება, გაეროს გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარების მონიტორინგი თუ გაეროს დოკუმენტების თარგმნა ორგანიზაციის ოფიციალურ ენებზე.

დღეს გაეროს სამდივნოს საერთაშორისო პერსონალი 8.6 ათასზე მეტ ადამიანს აერთიანებს, რომლებიც 170-ზე მეტ სახელმწიფოს წარმოადგენენ. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო სამოქალაქო პერსონალიც და გენერალური მდივანიც ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, ისინი მთლიანად გაეროს ექვემდებარებიან და ინსტრუქციებსა თუ მითითებებს მხოლოდ მისგან იღებენ. წევრ-სახელმწიფოებს ეკრძალებათ ინფორმაციის მიღების ან გარკვეული მითითების შესრულების მიზნით რაიმე ზეწოლის მოხდენა თავიანთ მოქალაქეებზე, რომლებიც გაეროს სამდივნოში მოღვაწეობენ.

გაეროსთან არსებობს ასევე სპეციალიზირებული ორგანიზაციები, მათ შორის: (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO); გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO); ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO); გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO); სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD); საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); მსოფლიო ბანკის ჯგუფი; ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO). ასევე მოქმედებს გაეროს პროგრამები და სხვა ორგანოები, როგორიცაა: გაეროს ბავშვთა

ფონდი (UNICEF); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR); გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD); გაეროს მოხალისეები (UNV); გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP); გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA); მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP); გაეროს ადამიანთა დასახლებების ცენტრი (Habitat); გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM); გაეროს უნივერსიტეტი (UNU).

ჩრდილოეთ-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა ბარიერებმა ევროპის კონტიტენტი ორად გაჰყვეს. საბჭოთა კავშირმა, როგორცერთ-ერთმა მთავარმა გამარჯვებულმა სახელმწიფომ, მნიშვნელოვნად განიმტკიცა საკუთარი პოზიციები გლობალური მასშტაბით, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპაში. მოსალოდნელი საბჭოთა გავლენის გაძლიერების და გაფართოების თავიდან აცილების მიზნით, დასავლეთის ქვეყნებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები, რომელთაც უნდა შეესუსტებინათ სსრკ-ის გეოპოლიტიკური გავლენა ევროპაში და განემტკიცებინათ დასავლეთის ქვეყნების ერთიანობა.

აშშ-სა და კანადას შორის მოლაპარაკებების წარმოებამ საფუძველი დაუდო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბებას, რაც ძირითადად ეფუძნებოდა უსაფრთხოების გარანტიასა და ევროპასა და აშშ-ს შორის ორმხრივ პასუხისმგებლობას დასავლეთ ევროპაზე საბჭოური გავლენის აღმოსაფხვრელად და ევროპის სახელმწიფოების დაცვის მიზნით.

1949 წლის 4 აპრილს, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული დამფუძვნებელი ქვეყნის მიერ დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. დამფუძვნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. ხელშეკრულების ხელმოწე-

რით წევრებმა ვალდებულება აიღეს ერთობლივად დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებით.

დამფუძვნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. ხელშეკრულების ხელმოწერით წევრებმა ვალდებულება აიღეს ერთობლივად დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებითნატო არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, სადაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ კონსესუსის საფუძველზე. ალიანსში გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები ორგანოა ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომლის სხდომებს ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. ნატო-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად, რაც დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლით არის გათვალისწინებული: ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ, ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა, როგორც თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება. ნებისმიერი ამგვარი სახის შეიარაღებული თავდასხმის და მის მიმართ განხორციელებული ღონისძიების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. ამგვარი ღონისძიებები დასრულდება მაშინ, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს ზომებს, რაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის იქნება მიმართული.

ამრიგად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს, წევრი ქვეყნების პოლიტი-

კური და სამხედრო უსაფრთხოებისა და თავისუფლების შექმნა. ალიანსი უზრუნველყოფს სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებას ევროპაში, რაც დემოკტარიულ ღირებულებებს, ადამიანთა უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობას ემყარება.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია საერთო უსაფრთხოების შექმნის მიზნით, ერთმანეთთან აკავშირებს ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას. იგი წარმოადგენს წევრი ქვეყნების ეფექტურ კოლექტიურ ძალისხმევას, დაიცვან საერთო სამშვიდობო ინტერესები. ისინი ნაციონალური უსაფრთხოების მიზნებს ერთობლივად აყალიბებენ. ალიანსი არის თავისუფალი სახელმწიფოების კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, რომელიც ალიანსის ლეგალურ ბაზას წარმოადგენს, შეიქმნა გაერთიანებული ერების ქარტიის 51-ე მუხლის მიხედვით, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაცვას ითვალისწინებს. იგი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის საშუალებითაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლიბას. ორგანიზაცია მართავს ფორუმს, რომელზეც განიხილება პოლიტიკური თუ სამხედრო მნიშვნელობის საკითხები.

ალინსის პოლიტიკა ომის შეჩერებასა და ქვეყნების ეფექტურ თავდაცვას ითვალისწინებს. იგი აგრეთვე მშვიდობის დამყარების მიზნით, მოიცავს სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოებას, კოლექტიურ ძალისხმევას, მომავალში სამხედრო ტექნოლოგიების კონტროლსა და განიარაღებას. ასევე ფართო საპარტნიორო ბაზის შექმნასა და ევროპისა და ატლანტიკის ქვეყნებთან დიალოგების გამართვას, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალე და საიმედო პოლიტიკის გატარებას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს სთავაზობს თანამშრომლობასა და კონსულტაციებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა არასამხედრო სფეროებში, ისევე, როგორც თავდაცვის სფეროში. იგი უზრუნველყოფს სამხედრო ძალებს აღჭურვილობითა და ტრენინგებით.

ნატოს -ს წევრი ქვეყნების უფლება-მოვალეობები

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეები გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად, ვალდებულნი არიან დაარეგულირონ საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას და სამართლიანობას და თავი შეიკავონ საერთაშორისო ურთიერთობებში მუქარისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისგან, რაც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს;

• ხელშეკრულების ამოცანების ეფექტური განხორციელებისთვის მონაწილე მხარეებმა საკუთარი ძალებით და ურთიერთდახმარებით უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ შეიარაღებულ თავდასხმასთან ბრძოლის ინდივიდუალური და კოლექტიური სამხედრო პოტენციალი;

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს უნდა გაუწიონ კონსულტაციები, თუკი რომელიმე მათგანის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრება;

• მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთ-ერთ მათგანზე თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ყველას წინააღმდეგ, ამიტომაც ამ პრობლემის დასაძლევად გამოიყენება ერთიანი ძალები;

• ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მონაწილეობა არ მიიღოს არცერთ საერთაშორისო გარიგებაში, რაც ხელშეკრულებისთვის იქნება საწინააღმდეგო;

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აყალიბებენ საბჭოს, რომელსაც ესწრება მათი უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, რათა განიხილოს ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. საბჭო მზად უნდა იყოს, შეიკრიბოს ნებისმიერ დროს და ასევე უნდა შექმნას დამხმარე ორგანოები (კერძოდ თავდაცვის კომიტეტი, რომელიც იძლევა რეკომენდაციებს გარკვეული ღონისძიებების გატარებაზე);

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და განახორციელონ მისი დებულებები კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად. სარატიფიკაციო სიგელები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს აშშ-ს მთავრობას, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც უკვე

მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმომწერ სახელმწიფოთა სარატიფიკაციო სიგელების გადაცემისთანავე;

• ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ, ან ნებისმიერ შემდეგ წლებში, მხარეებმა (თუკი ამის მოთხოვნა იქნება) უნდა აწარმოონ ერთობლივი კონსულტაციები ხელშეკრულების გადასინჯვასთან დაკავშირებით;

• ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 წლის შემდეგ, ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია გააუქმოს საკუთარი წევრობა მას შემდეგ, რაც აშშ-ს მთავრობას ოფოციალურად აცნობებს ხელშეკრულების წევრობის გაუქმების თაობაზე;

• ხელშეკრულება, რომლის ინგლისურ და ფრანგულ ორიგინალებს ერთნაირი იურიდიული ძალა გააჩნიათ, ინახება Aაშშ-ს არქივში. დამოწმებული ასლები გადაეცემათ აშშ-ს მთავრობის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი მხარეების მთავრობებს;

• მოკავშირე ქვეყნები ვალდებულნი არიან დაიცვან მშვიდობა და სტაბილურობა, არა მარტო საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ სრული ევრო-ატლანტიკური მასშტაბით.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია მოიცავს შემდეგ აუცილებელ ელემენტებს:

ტრანსატლანტიკური კავშირის შენარჩუნება - სტრატეგიული კონცეფცია ევროპასა და ჩრ. ამერიკას აერთიანებს უსაფრთხოების შექმნის მიზნით და მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერებას უწყობს ხელს;

ეფექტური სამხედრო ძალების კონტროლი - სტრატეგია იმ სამხედრო ძალების არსებობას და კონტროლს ითვალისწინებს, რომელიც კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფისა და კრიზისის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება;

ალიანსში ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტი - სტრატეგიული კონცეფციით დადგენილია, რომ ალიანსში ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტი მომავალშიც განაგრძობს განვითარებას, რაც 1996 წელს ბერლინში ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრთა განხილვის საფუძველზე იქნა გადაწყვეტილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა არსებობდეს მჭიდრო ურთიერთობები ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების

ორგანიზაციას, დასავლეთ ევროპულ კავშირსა და ევროკავშირს შორის;

სამხედრო შეიარაღების კონტროლი - საბოლოოდ, სტრატეგიული კონცეფცია სამხედრო შეიარაღების კონტროლსა და სამხედრო ძალების იმ რაოდენობით ზრდას ითვალისწინებს, რაც ალიანსის მიზნების განხორციელებისთვის იქნება საჭირო. კერძოდ, კი მშვიდობის დამყარებისა და კრიზისის დასაძლევი ოპერაციების გატარებისთვის. დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია დაპირისპირებულ მხარეებთან კონტაქტის დამყარება და მოკავშირე ქვეყნებს შორის ურთიერთმხარდამჭერი ოპერაციების წარმოება. ალიანსი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს იარაღის კონტროლის გაძლიერების, განიარაღებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებაში;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის როლი უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარების პოლიტიკაში გაიზარდა. ამჯერად, იგი გულისხმობს არა მარტო გაეროს სამშვიდობო ძალისხმევისადმი მხარდაჭერას, არამედ მრავალრიცხოვან პარტნიორ ქვეყნებსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის, არა წევრი ქვეყნების მონაწილეობას საერთო სამშვიდობო პოლიტიკაში.

ნატოს შტაბ-ბინა და სტრუქტურა

ბრიუსელში **ნატო**-ს შტაბ-ბინა წარმოადგენს **ნატო**-ს პოლიტიკურ შტაბს და ალიანსის მუდმივ ადგილსამყოფელს. მასში განთავსებულია **ნატო**-ს მუდმივი წამომადგენლობა, ეროვნული დელეგაციები, გენერალური მდივანი და საერთაშორისო სამდივნო, ნაციონალური სამხედრო წარმომადგენლები, სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე და საერთაშორისო სამხედრო შტაბი. შტაბბინაში, ასევე იმყოფებიან პარტნიორი სახელმწიფოების დიპლომატიური მისიები, **ნატო**-ს შტაბბინის სამდივნო და მთელი რიგი სააგენტოები.

ნატო-ს წევრი ქვეყნების დელეგაციებისა და მისიების მუშაობის სრულყოფილად განხორციელებას ეხმარება ნატო-ს საერთაშორისო და საერთაშორისო სამხედრო სამსახური, რომელიც მდებარეობს შტაბ-ბინაში. თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელს აქვს თავისი განსაზღვრული ადგილი საბჭოს შეხვედრების

დროსა და არსებულ კომიტეტებში, მათ აქვთ სუვერენული ძალაუფლება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შესაბამისად ისინი მიღებულ გადაწყვეტილებებზე არიან პასუხისმგებელნი.

ნატო-ს შტაბ-ბინა არის ალიანსის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუდმივი ადგილსამყოფელი. ნატო-ს შტაბ-ბინაში ყველა წევრი ქვეყნიდან სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლები კონსესუსის საფუძველზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად იკრიბებიან. შტაბ-ბინა წარმოადგენს დიალოგისა და თანამშრომლობის წარმოების ადგილს პარტნიორ ქვეყნებსა და ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორის, რომელიც სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარების მიზნით მათ ერთობლივ მუშაობას უზრუნველყოფს.

ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირში **ნატო**-ს ქვეყნებს წამოადგენს ელჩი, ან მუდმივი წარმომადგენელი, რომელსაც დახმარებას უწევენ ნაციონალური დელეგაციები, რომელიც შედგება მრჩევლებისგან და თანამდებობის პირებისგან. ეს დელეგაციები რაღაცით ჰგვანან პატარა საელჩოებს. ის გარემოება, რომ ისინი იმყოფებიან შტაბბინის ერთ შენობაში, ეს მათ საშუალებას აძლევთ დროულად და იოლი გზით დაამყარონ კონტაქტები ოფიციალურ და არაოფიციალურ დონეებზე, როგორც ერთმანეთთან, ასევე **ნატო**-ს საერთაშორისო სამდივნოს თანამშრომლებსა და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან.

ნატო იმართება 28 წევრი სახელმწიფოს მიერ. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესი განისაზღვრება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით და სხვა არსებული დოკუმენტებით. ყველა წევრი სახელმწიფო აგზავნის დელეგაციას ბრიუსელში (ბელგია) ნატო-ს შტაბ-ბინაში. თითოეული დელეგაციის ხელმძღვანელი არის მუდმივი წარმომადგენელი. მუდმივი წარმომადგენლები ქმნიან ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, რომელიც იკრიბება კვირაში ერთხელ და აქვს ნატო-ს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ძალაუფლება. საბჭო პერიოდულად ატარებს უფრო მაღალი დონის შეხვედრებს, სადაც იკრიბება წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და საგარეო მინისტრები, ან სახელმწიფოს მეთაურები. ამ დონის შეხვედრებზე გადაწყვეტილებები მიიღება ნატო-ს პოლიტიკასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმი-

სა, თუ რა დონეზე ტარდება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრები, მიღებული გადაწყვეტილებები თანაბარი ძალის მქონეა.

ნატო-ს გენერალური მდივანი წარმოადგენს მნიშვნელოვან საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწეს. **ნატო**-ს წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ მას მინიჭებული აქვს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავმჯდომარის წოდება. ის არის მთავარი შემსრულებელი პირი და პასუხს აგებს ჩრდილოატლანტიკურ კავშირში კონსულტაციების პროცესის მიმართულებებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე. მას გააჩნია უფლებამოსილება უთანხმოების შემთხვევაში იშუამავლოს წევრ სახელმწიფოებს შორის. ის პაუსხისმგებელია საერთაშორისო სამმდივნოს საქმიანობაზე, **ნატო**-ს ქვეყნების ხელისუფლებებთან და მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე.

ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამსახურს, მაგრამ ადმინისტრაციული თვალსაზრისით, არის საერთაშორისო სამსახურის წევრი. მას გააჩნია პირადი ოფისი, რომელშიც შედიან დირექტორი, მომუშავე პერსონალი, გენერალური მდივნის მოდგილე, სამართლებრივი საკითხების მრჩეველი და პოლიტიკის დაგეგმარების განყოფილება. გენერალურ მდივანის მოადგილე ეხმარება მას მისი მოვალეობების შესრულებაში და ცვლის მას, მისი არყოფნის შემთხვევაში.

ნატო-ს შტაბ-ბინაში დაახლოებით 4200 ადამიანი მუშაობს სრული განაკვეთით. ამათგან 2100 არის მოკავშირე ქვეყნების ეროვნული დელეგაციის წევრი და ნატო-ს სამხედრო ეროვნული წარმომადგენელი. დაახლოებით 1200 არის ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის სამოქალაქო წევრი, ხოლო 500-ზე მეტი – საერთაშორისო ეროვნული სამხედრო სამსახურის წევრი. სამოქალაქო წევრები, ნატო-ს სააგენტოების თანამშრომლების ჩათვლით, განლაგებულნი არიან ბრიუსელის გარეთ, იმ სამოქალაქო წევრების რაოდენობა, რომლებიც მსახურობენ ნატო-ს საერთაშორისო სამხედრო სამსახურში, დაახლოებით 5200-ს აღწევს.

ნატო-ს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“ თანახმად „ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ხელშეკრულებაში გაწევრიანების მიზნით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეუძლიათ მოიწვიონ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც გა-

აჩნია შესაბამისი შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში“ /ჩრდილოატ-ლანტიკური ხელშეკრულება, მე-10 მუხლი/.

ნატო-ს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ შედგება 5 თავისგან: 1. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები; 2. თავდაცვის/სამხედრო საკითხები; 3. ფინანსური რესურსები; 4. უშიშროების საკითხები; 5. ლეგალური ბაზა

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, **ნატოში**-ში გაწევრიანებით დაინტერესებულ ქვეყნებს სთავაზობს გარკვეულ პროგრამებს, რაც მათ ეხმარება იმ პროცედურების მომზადებაში, რაც აუცილებელი პირობაა ალიანსში გაწევრიანებისთვის.

დაინტერესებულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს ის პროგარმა, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ ალიანსში გაწევრიანების მზადების პერიოდში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამოქმედო გეგმაში მონაწილეობა რაიმე პერიოდით ლიმიტირებული არ არის და არც **NATO**-ში გაწევრიანების გარანტიას იძლევა. ეს პროცესი გაწერილია ეტაპობრივად.

პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“

აღნიშნული პროგრამა შეიქმნა 1994 წელს, რომელიც მოიცავს 27 პარტნიორ სახელმწიფოს, რომელიც ჯერჯერობით არ არის **NATO**-ს წევრი. საქართველო ამ პროგრამას შეუერთდა 1994 წელსვე.

„პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგარამის ყველა წევრი ქვყენა ასევე არის ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი, რომელიც **NATO**-სა და მის პარტნიორ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

დღეს ნატო არის ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან რასაც იგი წრმოადგენდა 1989 წელს. ალიანსი არ არის ის სტრუქტურა, რომელმაც უზრუნველყო დასავლეთ ევროპის თავდაცვა ცივი ომის ოთხათეულზე მეტი წლის განმავლობაში და აღარც ის, რომელიც მეთვალყურეობდა გარდამავალ პროცესებს ევროპაში ადრეულ 90-იან წლებში.

მართალია, ალინსის პოლიტიკა ომის შეჩერებასა და ქვეყნების ეფექტურ თავდაცვას ითვალისწინებს. თუმცა, იგი აგრეთვე

მშვიდობის დამყარების მიზნით, მოიცავს სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოებას, კოლექტიურ ძალისხმევას, მომავალში სამხედრო ტექნოლოგიების კონტროლსა და განიარაღებას. ასევე ფართო საპარტნიორო ბაზის შექმნასა და ევროპისა და ატლანტიკის ქვეყნებთან დიალოგების გამართვას, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალე და საიმედო პოლიტიკის გატარებას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს სთავაზობს თანამშრომლობასა და კონსულტაციებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა არასამხედრო სფეროებში, ისევე, როგორც თავდაცვის სფეროში. იგი უზრუნველყოფს სამხედრო ძალებს აღჭურვილობითა და ტრენინგებით.

ნატოს განვითარება არავითარ შემთხვევაში არაა შემთხვევითობა ან ისტორიის კაპრიზი. ნატოს წარმატების გასაღები არის მისი უცვლელი ფასეულობები და პრინციპები, რომლებსაც ის დღემდე ემყარება.

ნატო არაა მხოლიდ ალიანსი კოლექტიური თავდაცვისათვის, არამედ ასევე საერთო ფასეულობების გაერთიანება. მუდმივად ცვალებადი საფრთხეების პირობებში სწორედ დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა პატივისცემის და კანონის უზენაესობის ფასეულობებია, რომლებიც აერთიანებენ და აკავშირებენ ყველა წევრ სახელმწიფოს.

ნატო მოიცავს გლობალურ უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავების ტრანსატლანტიკური ძალისხმევას. ალიანსი აკავშირებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას და აბალანსებს სხვადასხვა ეროვნულ ინტერესებს სტაბილურობისა და მშვიდობისათვის.

ცივი ომის განმავლობაში ნატოს უმთავრესი როლი, გასაგები მიზეზების გამო, იყო მისი წევრების დაცვა საბჭოთა ექსპანსიონისტური საფრთხისაგან. საბჭოთა კავშირის დაშლით გაქრა ალიანსის ტრადიციული მოწინააღმდეგე, რომელმაც განაპირობა უსაფრთხოების გარემოს გადაფასება და ალიანსის როლის ხელახალი განსაზღვრა.

ალიანსი სწრაფად ადაპტირდა ცივი ომის შემდგომ დამკვიდრებულ უსაფრთხოების გარემოსთან. მან განსაზღვრა თავისი ახალი ადგილი ნატო-ს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ წარმოებულ პირველ ოპერაციაში, დაუჭირა რა მხარი ბალკანეთში კონ-

ფლიქტის დასრულებას. 1995 წლის დეკემბერში ნატო-მ თავისი პირველი სამშვიდობო კონტიგენტი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში განათავსა. რამდენი წლის შემდეგ ალიანსმა განახორციელა საჰაერო კამპანია იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ კოსოვოს მოსახლეობაზე ზეწოლისა და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის აღმოფხვრის მიზნით და ამ რეგიონში 1999 წლისივნისში სამშვიდობო ძალები ჩააყენა.

თანამედროვე პერიოდში ნატო ჩართულია შვიდ მისიასა და ოპერაციაში, მათ შორის: კრიზისების დარეგულირება და მშვიდობის მხარდაჭერა ავღანეთში ბალკანეთსა დალიბიაში; ანტიტერორისტული ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის რეგიონში; ადენის ყურეში მეკობრეობასთან ბრძოლის ოპერაციები; მხარდამჭერი მისია ერაყში; აფრიკის კავშირის მხარდამჭერის მისია.

1999 წელს გამოქვეყნებულმა ნატოს ახალმა სტრატეგიულმა კონცეფციამ, დაახასიათა გლობალური უსაფრთხოების რისკები, როგორც მრავალმხრივი და ძნელად პროგნოზირებადი. ალიანსისი ძირითადი ამოცანები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. იყოს სტაბილურობის ბაზისი მთელს ევროატლანტიკურ არეალში.

2. იყოს ფორუმო კონსულტაციებისათვის უსაფრთხოების საკითხებზე.

3. იყოს შემაკავებელი და დამცველი ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეს აგერსიის ყოველგვარი საპრთხისას.

4. ხელი შეუწყოს კონფლიქტების ეფექტურ პრევენციასა და კრიზისების მოწესრიგებას.

5. განახორციელოს პარტნიორობა და დიალოგი ევროატლანტიკური არეალის ქვეყნებთან.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია ასევე აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების გარემოს ცვლილება ძირითადად პოზიტიურია. თუმცა, ამავდროულად, სახელმწიფოები აღმოჩდნენ სხვა რისკებისა და არასტაბილურობის წყაროების პირისპირ, როგორებიცაა ეთნიკური კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა ხელყოფა, პოლიტიკური არასაიმედოობა და ეკონომიკური კრიზისი. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარა-

ღების გავრცელების საფრთხე. ასევე ზრდის უახლესი სამხედრო ტექნოლოგიის პოტენციური მტრის ხელში მოხვედრი რისკს საინ-ფორმაციო-ტექნოლოგიური ბუმი. მომდევნი წლებში განსაკუთრე-ბით შეერთებულ შტატებზე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორის-ტური თავდასხმის შემდეგ ნატომ მოახდინა გლობალური ტერო-რისტული საფრთხისა და ქმედუუნარო სახელმწიფოებთან დაკავ-შირებული რისკების გადაფასება და მათ უსაფრთხოების პრიორი-ტეტთა ნუსხის სათავეში მიუჩინა ადგილი.

ნატოს წევრი სახელმწიფოები:

დამფუძნებლები: ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ, საფრანგეთი.

პირველი გაფართოება საბერძნეთი, თურქეთი.

მეორე გაფართოება გერმანია;

მესამე გაფართოება ესპანეთი;

მეოთხე გაფართოება უნგრეთი,პოლონეთი,ჩეხეთი;

მეხუთე გაფართოება ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი;

მეექვსე გაფართოება ალბანეთი, ხორვატია.

გამოყენებული ლიტერატურა

ალექსანდრე რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006;

მალხაზ მაცაბერიძე, პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების თეორიული საფუძვლები, თბ., 2009;

გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2001;

ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003

ვალერი მელიქიძე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2006

სერგი კაპანაძე, ევროკავშირის პოლიტიკა, თბ., 2006

ნინო ჟვანია, საერთაშორი პოლიტიკური ეკონომია, თბ., 2006

ეკა აკობია, საერთაშორი ურთიერთობების თეორია, თბ., 2006

ირაკლი მანველიძე, საერთაშორისო პოლიტიკის ლექსიკონ-ცნობარი, ბათ., 2012

ლევან ჯაყელი, საერთაშორისო საჯარო სამართალი, ლექციების კურსი, ბათ., 2013 (ნაბეჭდი)

Актуальные проблемы международных отношений в начале XXI века: Материалы 6-й научно-практической конференции молодых ученых. М.: Научная книга, 2003.

Арбатов А. Дипломатия силы в начале XXI века // Свободная мысль - XXI. - 2004. - № 4.

Бек У. Трансформация политики и государства в эпоху глобализации // Свободная мысль – XXI. 2004. №7.

Бовин А. Ведущие тенденции развития международных отношений // Международная жизнь. 2004.№4-5.

Богатуров А.Д., Косолапов Н.А., Хрусталев М.А. Очерки теории и политического анализа международных отношений. М., 2002.

Бондаевский В.П. Мировой политический процесс: Учеб. Пособив. Кемер. гос. ун-т, Каф. полит. наук. - Кемерово: Кузбассвузиздат, 2004.

Гоулдманн К. Международные отношения: общие проблемы // Политическая наука: новые направления / Под ред. Р.Гудина и Х.-Д. Клингеманна. - М., 1999.

Задохин А.Г. Глобализация и глобальные проблемы человечества (методологический аспект). М., 2003.

Здравомыслов А.Г. Социология конфликта. М., 1995.

Лебедева М.М. Мировая политика. М., 2003.

Лебедева М.М. Политическое урегулирование конфликтов. М., 1997.

Идеализм в международно-политической науке: иллюзии и реальность // Социально-политический журнал. 1998. № 5.

Интеграционные процессы в современном мире:учебное пособие. М.: МАКС Пресс, 2005.

Иноземцев В. О мировом порядке XXI века // Россия в глобальной политике. 2005. Т.1. №1.

Косолапов Н. Легитимность в международных отношениях: эволюция и современное состояние проблемы // Мировая экономика и международные отношения. - 2005. - № 2..

Кохейн Р.О. Международные отношения: вчера и сегодня. // Политическая наука: новые направления / Под ред. Р. Гудина и Х.-Д. Клингеманна. М., 1999.

Кулагин В.М. Современная теория международных отношений // Международная жизнь. 1998, № 1.

Международное гуманитарное право. М., 2001.

Международные отношения: социологические подходы. М., 1998.

Международные отношения: теории, конфликты, организации. М., 2004.

Мировая политика: проблемы теории и практики. М., 1995

Моргентау Г. Политические отношения между нациями. Борьба за власть и мир // Социально-политический журнал. 1997. № 2.

Мунтян М.А. “Центры силы” и “центры модернизации” в современном мире / Проблемы глобальных и региональных интеграционных процессов. Сб. ст. М., 1996.

Мунтян М.А. Система международных отношений и тенденции ее эволюции / Проблемы глобальных и региональных интеграционных процессов. Сб. ст. М., 1996.

Мировая политика: теория, методология, прикладной анализ. М., 2005.

Мировое политическое развитие: век XX. М., 1994. Пер. с англ. Под ред. В.Л. Иноземцева. М.: Ладомир, 2004. XXXIV, 502 с.Мунтян М.А. Проблемы становления нового демократического миропорядка /

Политическая наука: новые направления. Часть V. Международные отношения. М., 1999.

Савченко Н.В. Основы глобалистики: Учеб. пособие для студеии всех специальностей: [В 2 ч.]. Ч. 2. Новосибирск: СибУПК, 2004.

Савченко Н.В. Основы глобалистики: Учеб. пособие для студентов всех специальностей: [В 2 ч.]. Ч. 1 Новосибирск: СибУПК, 2004.

Сандерс Д. Международные отношения: неореализм и неолиберализм // Политическая наука: новые направления / Под ред. Р.Гудина и Х.-Д. Клингеманна. М. 1999.

Современные международные отношения и мировая политика: Учебник для вузов / [А.В. Торкунов, И.Г. Тюлин, А.Ю. Мельвиль и др.]; Отв. ред. А.В. Торкунов. - М.: Просвещение, 2004.

Современные международные отношения: этнополитический контекст: Материалы семинара..Под общ. ред. К.С. Гаджиева. - М., 2003.

Современные международные отношения / Под. ред. А.В. Торкунова. М., 1999.

Теория международных отношений на рубеже столетий / Под ред. К. Буса и С. Смита. Перевод с англ. М., 2002.

Теория международных отношений: хрестоматия / Сост., научн. ред. и коммент. П.А. Цыганкова. М., 2002.

Технологический прогресс и современные международные отношения: Учебник для вузов. М.: Просвещение, 2004. - 447 с.

Транснациональные процессы: XXI век. М.: Современная экономика и право, 2004. - 340 с.

Теория международных отношений. Учебное пособие. В 2 т. Т. 1: Эволюция концептуальных подходов. Под ред. О.А. Колобова. - Н. Новгород, 2004.

Теория международных отношений. Учебное пособие. В 2 т. Т. 2: Оригинальные материалы для чтения. Под ред. О.А. Колобова. - Н. Новгород, 2004.

Фукуяма Ф. Конец истории? // Вопросы философии. 1990, №3.

Цыганков П.А. Теория международных отношений. М., 2002.

Хантингтон С. Столкновение цивилизаций? // 1994, №1.

Шреплер Х.А. Международные организации. Справочник. М. 1995.

Ядерный фактор в современном мире. Под ред. В.И. Кривохижи. М., 1996.

Уткин А.И. Мировой порядок XXI века. М., 2001.

A.Wenger. International relations: from the Cold War to the globalized world / A. Wenger, D. Zimmermann. - London: Lynne Rienner, 2003.

European Union negotiations: processes, networks and institutions / ed. by O. Elgstrom and C. Jonsson. - London: Routledge, 2005

Goldstein J.S. International Relations / J.S. Goldstein. - 5th ed. - New York: Longman, 2004.

Powell R. Anarchy in International Relations Theory: the Neorealist — Neoliberal Debat // International Organizations. Spring 1994. Vol. 48, № 2.

Roskin M.G. IR: The New World of International Relations / M.G. Roskin, N.O. Berry. - 6th ed. - New Jersey: Pearson Education, 2005. -

ირაკლი მანველიძე

საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები

ლექციების კონსპექტური კურსი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge